

114  
1957/2



114/2

# მედიონი

41

9

სსსსსსსსსს



1957

# მ ნ ა თ მ რ



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული  
დასაზოგადოებრივ-კოლონიალური შუამდგომლობის

წელიწადი 34-ე

№ 9

სექტემბერი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობართა კავშირის ორგანო

7278


## შ ი ნ ა ა რ ს ი

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ . . . . .	3
ნ. ხრუშჩოვი — ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირ- სათვის . . . . .	4
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტეტრალოგია, გაგრძელება . . . . .	28
ირაკლი აბაშიძე — უსათაურო, ლექსი . . . . .	58
იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება . . . . .	57
შალვა აფხაიძე — ლექსები . . . . .	82
ოთარ შამგორია — ლექსები . . . . .	84
დავით დონდუა — სამი სურათი ძველი თბილისის ცხოვრებიდან . . . . .	95
ნამდრ რაშიძე — ბელურა, ლექსი. თარგმანი აზერბაიჯანულიდან ნოდარ წულუისკი- რისა . . . . .	96

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნოდარ ჩხეიძე — მტრმან ლებანიძის ლექსები . . . . .	97
ოთარ შაქანიძე — მწერის ვიწრო . . . . .	102
ი. სურგულაძე — საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დამაბინძურების წინააღმდეგ . . . . .	106
კ. გრიგოლია — ისევ ქართლის ცხოვრების შესახებ . . . . .	118
გ. ბეი-შამიკონიანი — ქართველი მამულეები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში . . . . .	125
ნოდარ კაკაბაძე — პაინეს პროზის პირველი ქართული თარგმანი . . . . .	141

ბ. შე-2 გვ.





ლიბრატარული მემკვიდრეობა



აკაკი შანიძე — „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები . . . . . 145  
 თამარ კუკავა — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიყვარულისა“ დაწერის თარიღისათვის . . . . . 149

ილია ჭავჭავაძე

(დაბადებიდან 120 წლის და გარდაცვალების 50 წლისთავი)

ილია ჭავჭავაძე — გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი. შალვა გოზალიშვილის პუბლიკაციითა და შენიშვნებით . . . . . 153  
 ი. ვართაგავა — ილია ჭავჭავაძე როგორც რექტორი . . . . . 166  
 კონსტანტინე მედველია — ილია ჭავჭავაძე — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი . . . . . 171  
 ირაკლი კენჭოშვილი — ილია ჭავჭავაძე და ქართული შექსპირიანა . . . . . 177  
 შალვა ვიგაშვილი — ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ . . . . . 182

ხელოვნების საკითხები

გ. ბუხნიკაშვილი — ა. სემზათაშვილის დრამატურგია ქართულ სცენაზე . . . . . 185

წიგნების მიმოხილვა

შ. შათირიშვილი — ქართული ენის ფონეტიკა . . . . . 190  
 შოთა ძიმიგური — ნაშრომი ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიის საკითხებზე . . . . . 192  
 შ. ხანთაძე — ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან . . . . . 195  
 დავით კომახიძე — სოლომონ თავაძის რომანი „დაუეწიყარნი“ . . . . . 198  
 ახალი წიგნები . . . . . გარეკანის მესამე გვ.

რედქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),  
 გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედქტორის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IX-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12 1/2. შეკვეთა № 461.  
 უკ 03305. ჭაბუღის ზომა 70 X 106. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამოწვევლობის  
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.  
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმის შესახებ

ამა წლის 22—29 ივნისს შედგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმი.

კლენუმმა განიხილა ბ. მ. მაღენკოვის, ლ. მ. კაბანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის საქმეები.

კლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება.

კლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გამორიცხა ან. მაღენკოვი, კაბანოვიჩი, მოლოტოვი; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტიდან მოხსნა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გამორიცხა ან. შვილოვი.

კლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ანხანაბები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულბანიანი, ქ. ე. ვოროსილოვი, ბ. ქ. შუკოვი, ნ. ბ. ივანოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოვლოვი, რ. ვ. კუშნიანი, ა. ი. მიჰოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშოვი, ნ. მ. შვენიცი.

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ანხანაბები ნ. ა. მუხომედიევი, ვ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნაიანი, ა. ვ. კირილენკო, ა. ნ. კოსიბიანი, მ. ტ. მაჟუროვი, ვ. ვ. მუჰომედიევი, მ. ბ. პარკოვიანი.

კლენუმმა შეავსო სამდივნოს შემადგენლობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ან. რ. ვ. კუშნიანი.



## ხალხის ცხოვრებასთან ღიბერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის

კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებებით იმის შესახებ, რომ ლიტერატურა და ხელოვნება კომუნიზმისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, მუდამ ანიჭებდა და ანიჭებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეების, კომპოზიტორების, საბჭოთა კულტურის ყველა მოღვაწის საქმიანობას, ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური კულტურის აყვავებას.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ძლიერი არიან ხალხის ცხოვრებასთან თავიანთი კავშირით, კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწეები არიან ახალი საზოგადოების მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიდი ამოცანების განხორციელებაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხები არ შეიძლება განვიხილოთ იმ საარსებო ამოცანებისაგან მოწყვეტით, რომლებსაც ახლა წყვეტენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

### I

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, როგორც ცნობილია, დიდი ამოცანები დააყენა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში. ყრილობის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ყრილობის მიერ დასახული კურსის განხორციელებაში ამ პერიოდში მიღწეული წარმატებანი ქვეშაირიტად უდიდესია. ჩვენი ქვეყნის მრეწველობა წარმატებით ასრულებს შეიქმნეულ ნუმიწილდის დავალებებს. ბევრი ბურჟუაზიული პოლიტიკოსი გულახდილად ამბობს, რომ მათ აშინებთ საბჭოთა მრეწველობის ზრდის ტემპები, აშინებთ შოელი მსოფლიოს მშრომელებზე საბჭოთა მაგალითის ზემოქმედების ძალა. ჩვენ კი თქვენთან ერთად კარგად ვიცით, თუ რა დამაჯერებლად მოქმედებს ჩვენი მაგალითი ყველა ქვეყნის მშრომელთა გონებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამის წინათ გამართულ სესიაზე, რომელმაც განიხილა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის საკითხი, აღინიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 30-ჯერ და მეტად, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების დარგში — 180-ჯერ, ელექტროენერჯიის წარმოება გადიდდა თითქმის 100-ჯერ.

შემოკლებული შინაარსი გამოსვლებისა მწერალთა თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1957 წლის 13 მაისს, მწერალთა, მხატვართა, მოქანდაკეთა და კომპოზიტორთა მიღებაზე 1957 წლის 19 მაისს, პარტიულ აქტივზე 1957 წლის ივლისში.

ეს მონაცემები მკვერმეტყველურად მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელიც ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიდის, გადაიტყა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნას, რომელიც ამჟამად ხორციელდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

მრეწველობის მართვის სიმძიმის ცენტრის გადატანა ადგილებზე შესაძლებლობას იძლევა ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად, უფრო მეტად განვავითაროთ მასების ინიციატივა, ავამაღლოთ ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა. ახლა საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის საკითხებს გადაწყვეტენ არა სამინისტროებსა და მთავარ სამმართველოებში, არამედ უშუალოდ ადგილზე, ეკონომიურ რაიონში.

ვფიქრობ, შესაძლოა, ყველა როდი მეთანხმება ამ საკითხში. ზოგნი ამას პირდაპირ იტყვიან, სხვები კი შეიძლება გაჩუქდნენ. ეს მათი საქმეა. უნდა მოვავსოთ, რომ როცა, კომუნისტური პარტია და ჩვენი მთავრობა წყვეტდნენ ყამირის ათვისების საკითხს, მაშინაც ყველას როდი ესმოდა ამ საქმის მნიშვნელობა. ასე მოხდა მრეწველობის მართვის გარდაქმნის დროსაც. ზოგმა გაილაშქრა ამ საქმის წინააღმდეგ. აქ თავი იჩინა ძველისადმი მიდრეკილებამ. ძველი მოხერხებული იყო, მას შეეჩვივნენ, ხოლო დრომოკმული, ძველი უნდა დავამსხვრიოთ. ჩვენ არ შეგვიძლია ძველებურად ცხოვრება, ჩვენ წინ უნდა ვიაროთ.

თუ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მეოხებით საბჭოთა ხალხმა დიდი წარმატებანი მოიპოვა, ღონისძიებანი, რომლებსაც კომუნისტური პარტია ახორციელებს ჩვენი მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების დარგში, კიდევ უფრო მეტ შედეგებს მოგვცემს. სამეურნეო მართვის რეორგანიზაცია, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, საბჭოთა ხალხს მარტო მატერიალურ სიკეთეს როდი მისცემს. იგი გამოიწვევს აგრეთვე კულტურის ახალ აყვავებას, იმიტომ რომ კულტურული ძალები უფრო თანაბარზომიერად განაწილდება, ეკონომიურ რაიონების ცენტრები კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდებიან როგორც კულტურის ცენტრებიც.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ მოხსენების თეზისების გამოქვეყნების შემდეგ ცალკეულმა მწერლებმა გამოიჩინეს იმ ახალი პროცესების გაუგებლობა, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში ხდება, საკმაოდ მომზადებულნი ვერ აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ სწორად შეეფასებინათ მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში თანამედროვე ეტაპზე, როცა დაბეჯითებით ისმება საკითხი მრეწველობის მართვის ფორმების სრულყოფის შესახებ. სხვათა შორის ამაში იჩინა თავი ასეთი მწერლების მოწყვეტამ ცხოვრებისაგან. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ცხოვრება მალე უჩვენებს ამ ამხანაგებს, თუ როგორ ცდებიან ისინი.

პარტია უკანასკნელ წლებში ბევრ ყურადღებას აქცევს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობას. თქვენ იცით, რა ძნელ მდგომარეობაში იყო იგი რამდენიმე წლის წინათ. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რა ყვირილი და ზმაური ატეხეს ჩვენმა მტრებმა კაპიტალისტურ ქვეყნებში, როცა ჩვენ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე 1953 წელს აშკარად და პირდაპირ აღვნიშნეთ ნაკლოვანებათა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. მტრები გაპყვიროდნენ, რომ ეს კომლემურნეობების კრახია, მთელი ჩვენი საქმის კრახია.

ამ წლებში პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, და ახლა თვითეული საბჭოთა ადამიანი გრძნობს მის ნაყოფს. მაშ რატომ იყო, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ხან-

გრძლივი დროის მანძილზე სერიოზულად ჩამორჩებოდა? ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ცენტრში არავის არ უნდოდა ჯეროვნად გარკვეულიყო ადგილებზე საქმის მდგომარეობაში. სტალინი, როგორც ცნობილია, არსად არ დადიოდა, სოფლის მეურნეობის მუშაებს არ ეთათბირებოდა, ადგილობრივ მუშაკთა ხმას უტრს არ უგდებდა, ხოლო ადამიანები, რომლებსაც იგი ცენტრში ავალბდა სოფლის მეურნეობისადმი მეთვალყურეობას, უშალავდნენ მას დიდ ნაყოფა ნებებს, ეწოდნენ თვალთმაქცობას. უხეშად ირღვეოდა პრინციპი კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებით.

მოვიყვან თუნდაც ასეთ მაგალითებს. მალე ომის დამთავრების შემდეგ მე ვიყავი სოფელში, სადაც დავიბადე, იქ შევედი ბიძაშვილ ქალთან. მას ბალი აქვს. მე ვუთხარი:

— შესანიშნავი ვაშლისხეები გაქვს.

მან მიპასუხა:

— შემოდგომაზე მოგჭრი.

— რატომ? — ვკითხე მე.

— დიდი გადასახადის გადახდა მიხდება, — განაცხადა მან. — ხელსაყრელი არ არის ბალი ვიქონიო.

მე ამ საუბრის შესახებ ეუამბე ი. ბ. სტალინს. ვაცნობე მას, რომ კოლმეურნეები ბალებს კაფავენ. მან კი შემდეგ მითხრა, ნაროდნიკი ხარ, ნაროდნიკული მიდგომა გაქვს, პროლეტარულ კლასობრივ გრძნობას კარგავო.

მეორე მაგალითი. ხომ იყო ისე, რომ ჩვენ ქალაქებიდან ათასობით ადამიანს ვგზავნიდით კოლმეურნეობებში კარტოფილის ასაღებად, მაშინ როცა თვით კოლმეურნეები მონაწილეობას არ იღებდნენ მოსავლის აღებაში? დიახ, იყო. რატომ არ უნდოდათ კოლმეურნეებს მუშაობა კარტოფილის აღებაზე? იმიტომ, რომ კარტოფილის დამზადებისას ჩვენ ძალიან მცირე ფასს ვაძლევდით. მარტო კარტოფილის მიტანა დამამზადებელ პუნქტში კოლმეურნეობას უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე იგი მასში ფულს იღებდა.

ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვეცვალა ასეთი მდგომარეობა, გამოგვენახა ფასების შესაბამისი დონე, შეგვექმნა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებით. კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება თუ არ იქნა, ისე შორს ვერ წახვალ ამ საქმეში. ეს არ უნდა დავივიწყოთ, როცა საქმე ეხება ხალხისათვის ისეთი სასიცოცხლოდ საჭირო პროდუქტების წარმოებას, როგორც არის პური, ხორცი, კარაქი, კარტოფილი. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი „მაგარი თავები“, რომლებსაც არ ძალუძთ გაიგონ ეს კეშმარიტება. ცხოვრებას, ხალხის ინტერესებს მოწყვეტილ ადამიანებს არ ძალუძთ გაიგონ, რომ, ჯიუტად ებღაუბებიან რა ძველს, შეიძლება დაღუპონ საქმე, გამოუსწორებელი ზარალი მიაყენონ ხალხის ინტერესებს. ასეთი ადამიანები იდეოლოგიური ფრონტის მუშაებს შორისაც არიან. ისინი ცხოვრობენ მოძველებული წარმოდგენების, წიგნური სქემების, დოგმებისა და ფორმულების ტყვეობაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ სქოლასტიკური წიგნური წარმოდგენები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი არიან, და ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად იჩენენ თავს ჩვენს მუშაობაში. ასეთ შეხედულებათა მატარებლებს აშინებთ ყოველივე ახალი, ისინი ყვირილსა და ხმაურს ტყვენ, აქვთ-იქვით აწყდებიან შიშით, კარგავენ ვითარების საღად ანალოზრების უნარს, იმის გაგების უნარს, რომ საჭიროა განხორციელდეს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობით ნაკარნახევი მომ-

წიფებული ღონისძიებანი. როცა ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება წამოაყენა შემოგველო სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესი, კონსერვატიულმა ადამიანებმა გაილაშქრეს ამ ღონისძიების წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ დაეშინებინათ ცენტრალური კომიტეტი, ამბობდნენ, თუ ჩვენ ხელი ავიღეთ კულტურებისთვის დაგეგმვაზე ცენტრიდან, კოლმეურნეები ზორბალს აღარ დათესავენ და პურს ვეღარსაზიდან მივიღებთო. ცხოვრებამ დასცინა ამ კონსერვატორებს. მილიონობით კოლმეურნემ მხურვალედ დაუჭირა მხარი დაგეგმვის ახალ წესს, აქტიურად ჩაება ამ საქმეში, და ჩვენ ამის შედეგად დიდა მოგება გვაქვს.

პარტიის XX ყრილობამ ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანას ახლა ყველა საჭირო პირობა აქვს იმისათვის, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში გადაჭრას სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუწიროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის გადაჭრა, რომელზეც ლენინი ლაპარაკობდა ოქტომბრის რევოლუციის წინ როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე, საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო განვამტკიცოთ სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერება, მნიშვნელოვნად ავაძლიოთ ხალხის ცხოვრების დონე.

ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები მიჰყვებოდნენ ბოლშევიკურ პარტიას, ლენინს 1917 წლის ოქტომბერში მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დამხობისათვის საბრძოლველად იმიტომ, რომ მოეზოვებინათ თავისუფლება და აეშენებინათ ახალი, უკეთესი ცხოვრება. რით გამოიხატება ეს უკეთესი ცხოვრება? იმით, რომ ადამიანი იყოს თავისუფალი მოქალაქე, თავისი ბედის ბატონ-პატრონი, რომ იგი მუშაობდეს არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, საკმაოდ ჰქონდეს ყველაფერი, რაც საჭიროა მისი კულტურული და უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. კომუნისტურ პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია მუდმივი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობის განუზრელი გაუმჯობესებისათვის. ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ უკვე უახლოეს წლებში საკმაოდ გვექონდეს ჩვენს ქვეყანაში ისეთი სასიცოცხლო აუცილებელი პროდუქტები, როგორც არის პური, ხორცი, კარაქი, რძე და სახალხო მოხმარების სხვა საგნები. თქვენ იცით, თუ რა ღონისძიებებს იღებს ახლა პარტია იმისათვის, რომ ყოველმხრივ გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა როგორც ქალაქებში, ისე სასოფლო რაიონებში, რათა უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყნის მშრომელები კეთილმოწყობილი ბინებით.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენი სოფლის მეურნეობა ახლა განვითარების ისეთ დონეზეა, რომ მას შეუძლია წარმატებით გადაჭრას ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. როგორ არის ამჟამად ხორცის, კარაქის, რძის წარმოების საქმე ჩვენში და ამერიკის შეერთებულ შტატებში? 1956 წელს საბჭოთა კავშირში წარმოებული იყო ერთ სულ მოსახლეზე 32,3 კილოგრამი ხორცი, ხოლო შეერთებულ შტატებში — 102,3 კილოგრამი. კარაქი ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული იყო 2,8 კილოგრამი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,8 კილოგრამი, რძე ერთ სულზე ჩვენ ვაწარმოებთ 245 კილოგრამი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 343 კილოგრამი. როგორც ხედავთ, ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამოვარჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე კარაქის, რძის და განსაკუთრებით ხორცის წარმოებაში. ჩემს მიერ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდესი ამოცანა დავისახეთ. შე-



გვიძლია თუ არა მისი გადაჭრა? სკეპტიკოსები გვაშინებენ, გვეუბნებიან, თითქოს ჩვენ ვკისრულობთ ისეთ ტვირთს, რომელიც ჩვენს ძალოვნს აღემატება; მათ არ სწამთ სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობანი, არ იცნობენ ჩვენს ქვეყანას, არ ესმით ჩვენი ხალხის სული, არ სწამთ მისი დაუშრეტელი ძალები.

ჩვენ კომუნისტები, ლენინის მოწაფეები და მიმდევრები არ ვიქნებოდით, რომ შევშინებოდით სიმწიფეებს, რომლებიც წამოიჭრება ბრძოლაში ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანა დიდი და რთულია, მაგრამ კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი გადაჭრიან ამ ამოცანას. ჩვენი მტკიცე რწმენა ემყარება იმ რეალურ შესაძლებლობათა ზუსტ გაანგარიშებას, რომლებიც აქვს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას, მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების გათვალისწინებას.

პარტიის მიერ დასახული ამოცანა მთელმა ხალხმა მოიწონა და მხარი დაუჭირა. ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ინიციატივის მძლავრი აღმავლობაა. კოლმეურნეები ვალდებულებას კისრულობენ ერთისამად, ერთიხუთად, ერთიათად და შეტად გაადიდონ ხორცის, კარაქისა და რძის წარმოება — ამით უპასუხებენ ისინი ურწმუნოებსა და სკეპტიკოსებს.

ამეზად საკოლმეურნეო მეცხოველეობა აღმავლობას განიცდის. ამ პირობებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი განიხილავს იმ საკითხს, რომ უკვე 1958 წლიდან უარი ვთქვათ კოლმეურნეთა პირადი მეურნეობებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებაზე. ახლა სრული შესაძლებლობა გვაქვს გავაკეთოთ ეს. ასეთი ღონისძიების განხორციელებას დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მილიონობით მშრომელისათვის.

მე მინდა აგრეთვე გიამბოთ სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც პარტია ახორციელებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ჩვენი მრეწველობის სწრაფი ზრდა, შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართოდ გამოყენება წარმოების მექანიზაციისათვის საშუალებას გვაძლევს უახლოვს ხანში შემოვიღოთ შეიღბ საათის სამუშაო დღე, ხლო მიწისქვეშა სამუშაოებზე ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობაში — ექვსი საათის სამუშაო დღე. კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია იწვევს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუარესებას, მასობრივ უმუშევრობას მუშათა კლასისათვის. ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში საქმე სულ სხვანაირად არის. რაც უფრო სრულყოფილი ხდება წარმოების ტექნიკა, მით უფრო სწრაფად იზრდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, მადლდება მშრომელთა ცხოვრების დონე. არც ისე შორს არის ის დრო, როცა ჩვენ შევიდ საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ შემოვიღებთ ექვსი საათის სამუშაო დღეს. ამით კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნება სულიერი კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. მატერიალური კულტურის ზრდა სულიერი კულტურის ზრდის საფუძველია. მატერიალური კულტურის დაბალი დონის დროს არ შეიძლება აყვავდეს მთელი საზოგადოების სულიერი კულტურა. ეს ორი ფაქტორი დაკავშირებულია ერთმეორესთან.

საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს თხუთმეტ თანასწორუფლებიან მოძმე მოკავშირე რესპუბლიკას. წინათ ჩაგრულმა ხალხებმა, სოციალისტური



განვითარების გზაზე მიიღეს რა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, უსაზღვრო შესაძლებლობა მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის ზრდისათვის და მოკლე ვადაში უდიდესი ნახტომი გააკეთეს წინ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯეროვნად კიდევ არ გვიჩვენებია მკაფიოდ ის დიდი ისტორიული გარდაქმნები, რაც მოხდა ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე. და ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაგები დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე. მინდა ვურჩიო ლიტერატორებსა და მხატვრებს, რომ ისინი უფრო გულმოდგინედ დააკვირდნენ და უფრო ღრმად ჩასწვდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ცხოვრებას. მაშინ ათასობით ცოცხალი მაგალითი უჩვენებს მათ, თუ როგორ შეიცვალა ადამიანთა ბედი, რა შესანიშნავი წარმატებებით ეგებება ჩვენი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ამ უკანასკნელ წლებში მე რამდენჯერმე ვიყავი ყაზახეთში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში. ვიყავი ავრთვე ყირგიზეთში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში — ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. ვყოფილვარ საქართველოშიც, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო. თვითველ ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკაში უდიდესი წარმატებებია მიღწეული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, გაიზარდნენ აზრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები.

ეკონომიკისა და კულტურის რა განსაცვიფრებელი აყვავება გვაქვს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში! რა შესანიშნავი ადამიანები გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ საბჭოთა საზოგადოების პირობებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისმის საქმისათვის ისტორიული ბრძოლის მსვლელობაში! ამ ადამიანებს რომ ზედები და ესაუბრები, გულისტყვილსა და მწუხარებას განიცდი იმის გამო, რომ მწერლები და მხატვრები ასე იშვიათად ახერხებენ ღირსეულად დაგვიხატონ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში ჩვენი ადამიანების სახეები, გვიჩვენონ, რომ ესენი არიან ახალი ადამიანები, რომლებიც სოციალიზმის ეპოქამ წარმოშვა და აღზარდა. ეს ახალი ადამიანები არიან კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლნი, განასახიერებენ მაღალ სულიერ თვისებებს კომუნისტური მორალის თვისებებს. ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მის შრომითს საქმიანობასთან კავშირის განმტკიცება დაეხმარება მწერლებსა და მხატვრებს დაძლიონ მოძველებული წარმოდგენები ჩვენი ადამიანების შესახებ, შეიცნონ მათი სული, მათი ხასიათი, ფიქრები და მისწრაფებები და შექმნან მოთხრობებში, რომანებში, პოემებსა და პიესებში, კინოხელოვნების, ფერწერისა და მუსიკის ნაწარმოებებში ჩვენი თანამედროვეების მართალი და მკაფიო სახეები.

პარტიის XX ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების მიზნით საქიროა ყოველი ღონისძიებით გაავფართოოთ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები და გაავაძლიეროთ მათი როლი, თანმიმდევრულად განახორციელოთ ლენინური ეროვნული პოლიტიკა. ყრილობის შემდეგ პარტიამ და მთავრობამ უკვე განახორციელეს მნიშვნელოვანი მუშაობა ამ მიმართულებით, და მისი შედეგები დადებითს გავლენას ახდენენ ყველა რესპუბლიკის ცხოვრებაზე.

ამასთან დაკავშირებით მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უფლებათა გასაფართოებლად. რუსეთის ფედერაცია სამართლიანად სარგებლობს საბჭოთა კავშირის ყველა მომე ხალხის დამსახურებული პატივისცემით. რუსებთან ერთად

სსრ კავშირის ყველა სოციალისტური ერის ადამიანები სიყვარულით ამბობენ: დედა რუსეთი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე რუსეთში მყოფი ტიული ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები მკიდროდ იყვნენ დაკავშირებული რუსეთის ყველა ხალხის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან, აქტიურად იბრძოდნენ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ სხვადასხვა ერისა, და ხალხის კულტურის განვითარებაზე.

რუსეთის გმირი მეშათა კლასი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა ყველა ეროვნების მშრომელთა ბრძოლას საბჭოეული ცარიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ და უზრუნველყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. დიდი სოციალისტური გარდაქმნების მსვლელობაში ჩვენს ქვეყანაში რუსმა ხალხმა ბევრი და ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ დახმარებოდა ჩვენი ქვეყნის წინათ ჩაგრულ ხალხებს დაეძლიათ საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენა და თავის დონემდე აეყვანა ისინი. რუსი ხალხის დიდმა და კეთილშობილურმა საქმეებმა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის განსაცდელის პერიოდში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მხურვალე მადლობა და პატივისცემა მოუპოვა შსს. ეს ოდნავაც არ ამცირებს ყველა ხალხის თვალსაჩინო მნიშვნელობას სსრ კავშირის სოციალისტური ერების ძმურ ოჯახში. ჩვენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს თავისი დიდი წვლილი შეაქვს კომუნისტური მშენებლობის საქმეში. საბჭოთა წყობილების უძლეველ ძალას წარმოადგენს ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობა.

უნდა ვაღიაროთ, ამხანაგებო, რომ სულ ამ ახლო დრომდე რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა მთელი სათანადო უფლებანი, რომლებიც შეესაბამება მის მნიშვნელობასა და ადგილს სახელმწიფოში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ ეს არანორმალური მდგომარეობა გამოსწორდა, შეიქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურო. ეს არის ცენტრალური კომიტეტის ოპერატიული ორგანო, რომელიც განაგებს რუსეთის ფედერაციის ყველა საქმეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ხელმძღვანელობს რუსეთის სფსრ პარტიული, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგს. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მინიჭებული აქვს ყველა უფლებანი, რომლებიც საჭიროა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც ამას წინათ განხორციელდა, რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში 70 სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შესაძლებელს გახდის უფრო კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას.

ლონისძიებებს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გასაფართოებლად დიდი მნიშვნელობა აქვს და კიდევ უფრო ფართო შესაძლებლობას ქმნიან მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენი ძალა ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობა, ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მათი დარაზმულობა. ჩვენი რიგების ამ მონოლითური და ურღვევი ერთიანობის დროს ჩვენთვის საშიში არ არის მსოფლიო რეაქციის ძალების არავითარი ხრიკები.

„წმინდა თეორიის“ ზოგიერთი მომხრე ცდილობს ჩვენი პარტიის საქმიანობა, მის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი დასახოს როგორც ერთგვარი ვიწრო პრაქტიციზმი. ასეთ შეხედულებათა ცალკეული მომხრეები მწერალთა შორისაც გვხვდებიან. ასეთი შეცდომების უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება. შიდათ განვიხილოთ, როგორ უნდა გავიგოთ მარქსისტული თვალსაზრისით თეორიის კავშირი პრაქტიკასთან. არც ერთ მარქსისტ-ლენინელს ფიქრად არ მოუვა დააყენოს რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა, თუ რევოლუციური თეორია არ იქნა, ამბობდა ლენინი, არც რევოლუციური პრაქტიკა არის.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია მუშათა კლასის ძირეული ინტერესების, მშრომელთა ძირეული ინტერესების გამოხატულებაა. იგი დოგმა კი არ არის, არამედ პრაქტიკული რევოლუციური მოქმედების სახელმძღვანელოა. ისტორიული განვითარების თვითველ ახალ ეტაპზე ცხოვრება აყენებს თავის ამოცანებს, რომლებიც საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობენ. შემოქმედებითი მდგომარეობა თეორიისადმი, უნარი ავითარებდე და წინ სწევდე მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი გამოცდილების მეცნიერული განზოგადოების საფუძველზე სწორად გაიგო საზოგადოებრივი განვითარების ახალი მომწიფებული ამოცანები და დასახო მათი პრაქტიკული განხორციელების გზები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშია. ჩვენი პარტიის პოლიტიკური კურსი, რომელიც ყრილობამ დასახა, გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს კომუნისტიკისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე. ხალხის ეს ძირეული ინტერესები იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყვით სოციალისტური მრეწველობისა და პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის შემდგომი მძლავრი განვითარება, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

ღონისძიებანი, რომლებსაც უკანასკნელ წლებში კომუნისტური პარტია ახორციელებს როგორც პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის დარგში, ისე ეკონომიკის აღმავლობისა და ხალხის ცხოვრების ღონის ამაღლების დარგში, იმის დადასტურებაა, რომ ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობა ემყარება თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელ ერთიანობას. სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თეორიისა და პრაქტიკის ეს კავშირი დარღვეული იყო, აი რა არ ესმით ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ადამიანებს, რომლებსაც თავი წარმოუდგენიათ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ქურუმებად და განმმარტებლებად, ნამდვილად კი გაწყვეტილი აქვთ კავშირი ლენინიზმთან და დაქანებული არიან ფრაქციული, გამთიშველი საქმიანობის გზაზე, რაც მიმართულია პარტიის ძირეული ინტერესების წინააღმდეგ, ხალხის ძირეული ინტერესების წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა ამხილა და იდეურად გაანადგურა მაღლენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებიც გამოდიოდნენ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსის წინააღმდეგ. მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია პარტიის ლენინური ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

მე ვიციან ისეთ ადამიანებს, რომლებსაც თავი მოაქვთ თეორეტიკოსებად, არსებითად კი მთელი მათი თეორიული „სიბრძნე“ იმით ამოიწურება, რომ საბაბით და უსაბაბოდ ჟონგლიორობენ ციტატებით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შიერ გამოთქმული აზრებიდან. ასაღებენ რა თავს თეორეტიკოსებად, ასეთ ვაი-მეცნიერებს ვერ გაუგიათ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მარქსისტული კეშმარტება, რომ ადამიანებმა პირველ რიგში უნდა ჰქონონ, სვან, იქონიონ ბინა და ჩაიცივან, სანამ შეეძლებოდათ იმუშაონ პოლიტიკაზე, მეცნიერებასა და ზელოვნებაზე. ამ თალმუდისტებსა და შედავითნეებს ავიწყდებათ, რომ ხალხმა სწორედ იმისათვის აიღო ძალაუფლება თავის ხელში, რომ რაც შეიძლება უფრო მალე განეცითარებინა საწარმოო ძალები, გაემრავლებინა საზოგადოებრივი სიმდიდრე, გაეუმჯობესებინა თავისი კეთილდღეობა, შეეკმნა ცხოვრების უკეთესი პირობები.

მარქსს, ენგელსსა და ლენინს რომ ახლა შეეძლოთ წამოდგომა, ისინი დასცინებდნენ იმ ასოკრიკიტა-მეციტატეებს, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ შეისწავლონ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება, შემოქმედებითად განაეითაონ თეორია, ცდილობენ კლასიკოსთა ნაწარმოებებში მოძებნონ ციტატი იმის შესახებ, თუ რა უკეთა მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ამა და ამ რაიონში. სასაცილოა მარქსის ან ენგელსის ნაწარმოებებში ეძებდნენ მითითებებს იმის შესახებ, თუ, მაგალითად, როგორ მოვიქცეთ კოლმეურნეთა მიერ თავიანთი მეურნეობებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების საქმეში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ეკონომისტებსა და ფილოსოფოსებს შორის არიან ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას მოწყვეტილი ადამიანები. შეიძლება შევხვდეთ ისეთ ეკონომისტებსაც კი, რომლებიც, ლაპარაკობენ რა ხელფასზე თანამედროვე პირობებში, სარგებლობენ მაგალითებით, რომლებიც თითქმის ასი წლის წინათ მოჰყავდა მარქსს თავის განთქმულ „კაპიტალიზმი“. რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები ცოტა არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან. ასეთ ეკონომისტებს არ შეუძლიათ მოგვეცენ კონკრეტული მაგალითები ცხოვრებიდან იმიტომ, რომ ისინი სათანადოდ ვერ იცნობენ ცხოვრებას. ესენი თეორეტიკოსები კი არა, თუთიყუშები არიან, რომლებსაც განსაზღვრული ფრაზები გაუზეპირებიათ და იმეორებენ მათ. გახვრეტილ ფარად არა ღირს ასეთი „თეორიული“ მუშაობა.

ჩვენ, კომუნისტებს, აქტიური რევოლუციური მოქმედების ადამიანებს, ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია ის, რომ გარდავეყმნათ მსოფლიო, ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება. ჩვენი თეორიის ძალა იმაშია, რომ იგი მკიდროდ ღაჯავშირებულა ცხოვრებასთან, განაზოგადებს მილიონების შემოქმედებითს გამოცდილებას, დგას მშრომელთა ძირეული ინტერესების დაცვის საგუშაგოზე. რომლებიც მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა იმაშია, რომ თავისი არსებით იგი რევოლუციურია, ვერ ითმენს დახავსებულებას, რუტინასა და უძრაობას, იგი აშუქებს გზას კომუნისტური მომავლისაკენ, წინ მიჰყავს ხალხები, ეხმარება მათ ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვაში.

მარქსისტული-ლენინელები გამოდიან როგორც ახალი ცხოვრების შემოქმედნი, დიდი რევოლუციური აზრის, გაბედულნი ფანტაზიის, აღმაფრთოვანებელი ოცნების ადამიანები. ამასთან ერთად ისინი არიან მიწიერი ადამიანები, რომლებიც ორივე ფეხით მტკიცედ დგანან რეალური სინამდვილის ნიადაგზე, არიან ფიზიკური პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობაში ანგარიშს უწყვენ მთელ რეალურ პირობებსა და შესაძლებლობებს, არ ეშინიათ სიძნელეები-

სა, არ მალავენ წინააღმდეგობებს, უნარი აქვთ აშკარად და პატიოსნად უთხრან თავიანთ ხალხს მთელი სიმართლე, რაც უნდა მწარე იყოს ზოგჯერ ღვიწკვინების მოწაფეები და მიმდევრები, კომუნისტები, ისახავენ უაღრესად გამტკიცებელად ცანებს ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ და არ იშურებენ ძალებს მათი განხორციელებისათვის.

გაეხსენოთ, ამხანაგებო, რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ჩვენი პარტიის პრაქტიკულ საქმიანობას სამეურნეო განვითარების დარგში. იგი ამბობდა, რომ თუ ჩვენ შევძლებდით მიგვეცა 100 ათასი ტრაქტორი, მაშინ გლებები იტყოდნენ, რომ კომუნიას, ესე იგი კომუნისმს ემხრობიან. ხოლო როცა შემეშავდა რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა, ლენინმა მას ჩვენი პარტიის მეორე პროგრამა უწოდა.

კომუნისტური მშენებლობის დიდი გეგმები, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ შეიმუშავა, ჩვენი მოქმედების საბრძოლო პროგრამაა ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ეს გეგმები ითვალისწინებენ საწარმოო ძალების გიგანტურ ზრდას განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს პროდუქტებისა და სახალხო მომხარების საქონლის წარმოება და ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგას წინ კომუნისმის გზაზე.

იმ გეგმების განხორციელებას, რომლებიც XX ყრილობამ დასახა, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს იქნება გამანადგურებელი ძალის ახალი დარტყმა კაპიტალისტური სამყაროს იდეოლოგიებისადმი, რომლებიც თავიანთ მტრულ გამობდომებში სოციალიზმის წინააღმდეგ ფართოდ იყენებენ ისეთ დროებითს, წარმავალ ფაქტორებს, როგორც არის მონაცემები ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე საქონლის წარმოების შესახებ.

ყველა პატიოსანი, უწინაზრახვო ადამიანი ხედავს, თუ ჩვენი სახალხო მეურნეობის წლითიწლით სწრაფი განვითარებისას რა მკვეთრად მცირდება განსხვავება ერთ სულ მოსახლეზე პროდუქტების წარმოების დონეში ჩვენს ქვეყანასა და ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამჟამად ჩვენ უკვე გამოვედით მეორე ადგილზე მსოფლიოში სამრეწველო წარმოების მოცულობით. დაუძინებელი მტრებიც კი ვერ უარყოფენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას და მისი ეკონომიური განვითარების სწრაფ ტემპებს.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყველა სოციალისტური ქვეყნის თვალსაჩინო წარმატებანი თავზარს სცემენ სოციალიზმის მოწინააღმდეგეებს და ამტკიცებენ მათ. სოციალისტური ქვეყნების სწორედ ეს წარმატებანი განაპირობებენ სოციალიზმის იდეების სულ უფრო მზარდ მიმზიდველ ძალას ყველა ქვეყანაში. სოციალიზმის მოწინააღმდეგენი ამ იდეებს თითქმის ზებუნებრივ ხასიათს მიაწერენ. სწორედ ამიტომ ჩვენ ბრალად გვდებენ ისეთ ადგილებში მომხდარ ამბებს, სადაც ჩვენი ფეხი არასოდეს არ დადგმულა. შეიგნონ, გაიანჯრონ და სწორად გააშუქონ დიად სოციალისტურ გარდაქმნათა არსი — ასეთია ჩვენი იდეოლოგიური მუშაეების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

იდეოლოგიური მუშაეების ამოცანებზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი პიროვნების კულტისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის საკითხს. იმ გარემოებამ, რომ ჩვენმა პარტიამ დაგმო ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტი, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, ფართო გამობნაურება გამოაწვია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საბჭოთა ხალხმა, კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, ჩვენმა ყველა უცხოელმა მეგობარმა მხურვალედ მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და საბჭოთა კავშირის კო-

მუნიციპალიტეტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის შესახებ. სოციალიზმის მტრები ცდილობდნენ პიროვნების კულტის კრიტიკა გამოეყენებინათ თავიანთი ბრძოლის მიზნებისათვის, მოაწყეს მყვირალა ცილისმწამებლური კამპანია ჩვენი ქვეყნისა და მთლიანად სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ. მათ ძლიერ სურდათ არგვადარევა შეეტანათ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა რიგებში, შეესუსტებინათ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენა, შეერყიათ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა, ცილი დაეწამებინათ და სახელი გაეტეხათ კომუნისტური პარტიებისათვის ხალხთა თვალში. ახლა ყველა ხედავს, რომ სოციალიზმის მტრების ეს საზიზღარი ვარაუდები სამარცხენოდ ჩაიფუშა.

კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა დროზე გამოიციენეს და ამხილეს იმპერიალისტთა ზრახვები, გამანადგურებელი დარტყმა აგემეს იდეოლოგიური დივერსიის სულისჩამდგმელებსა და ორგანიზატორებს, აგრეთვე ყველა ოპორტუნისტულ ელემენტებს, რომლებიც ცდილობდნენ მოეხდინათ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების რევიზია.

გამწევეებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში ჩვენმა საბჭოთა ინტელიგენციამ ცხადყო, რომ იგი პოლიტიკურად მწიფეა, მტკიცეა, ერთგულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ცხადყო ერთიანობა და დარწმუნებულობა კომუნისმის საქმისათვის დიდ ბრძოლაში. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ინტელიგენციის წრეში აღმოჩნდნენ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც ფეხქვეშ ნიადავი ეკარგებოდათ, რომლებმაც გამოიჩინეს ერთგვარი მერყეობა და ყოყმანი მთელი რიგი რთული იდეოლოგიური საკითხების შეფასებაში, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების კულტის შედეგების დაძლევისასთან.

რით აიხსნება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წრეში ცალკეულ წარმომადგენელთა ასეთი მერყეობა და ყოყმანი? ჩემი აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ზოგიერთმა ამხანაგმა ცალმხრივად, არასწორად გაიგო სტალინის პიროვნების კულტის პარტიული კრიტიკის არსი. ისინი ცდილობდნენ ეს კრიტიკა განემარტათ როგორც ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში ი. ბ. სტალინის დადებითი როლის ხელაღებით უარყოფა და დაადგნენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის ისტორიაში მხოლოდ ჩრდილოვანი მხარეებისა და შეცდომების წინასწარ აკვიატებული გამოქმნის ყალბ გზას და ეგულბელუყოფდნენ საბჭოთა ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმის“ რედაქტორთან საუბარში, ვუპასუხე რა მის კითხვაზე — „რა ადვილს დაიკავენ სტალინი ისტორიაში?“, — მე ვთქვი, რომ სტალინი ჯეროვან ადვილს დაიკავენ საბჭოთა კავშირის ისტორიაში. მას ჰქონდა დიდი ნაკლოვანებანი, მაგრამ სტალინი ერთგული მარქსისტ-ლენინელი, ერთგული და მტკიცე რევოლუციონერი იყო. სტალინმა ბევრი შეცდომა დაუშვა თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, მაგრამ მან ბევრი რამ სასარგებლოც გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი პარტიისათვის, მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხალხს ეხსომებათ სტალინი და ჯეროვნად დააფასებენ მას.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ პიროვნების კულტის პარტიული კრიტიკის არსი, საჭიროა ღრმად შევიგნოთ, რომ ამხანაგ სტალინის მოღვაწეობაში ჩვენ ვხედავთ ორ მხარეს: დადებითს, რომელსაც მხარს ეუჭერთ და დი-



დად ვაფასებთ, და უარყოფითს, რომელსაც ვაკრიტიკებთ, ვგმობთ და უარყოფთ.

ი. ბ. სტალინის დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელი მდგომარეობა ეკავა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. მთელი მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში დიად სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებასთან. ამ წლებში სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმების განხორციელების შედეგად ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა რუსეთი დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე. ეს იყო ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელიც ცარიზმმა ნახევრად კოლონიური სახელმწიფოს მდგომარეობამდე ჩამოიყვანა. შეხედეთ, რას წარმოადგენს საბჭოთა ქვეყანა დღეს! საბჭოთა კავშირი დიდი, ძლიერი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც გადაამწყვეტ გაველნას ახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, რომელიც სარგებლობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი პატივისცემით.

დიდი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მოპოვებულია კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელშიც წამყვან როლს ასრულებდა ი. ბ. სტალინი. სოციალიზმის მშენებლობა სსრკ კავშირში ხორციელდებოდა პარტიაში კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის — ტროცისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში. ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა. პარტია სწორად მოიქცა, როცა ამხილა ისინი როგორც ლენინიზმის მოწინააღმდეგენი, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მოწინააღმდეგენი. პოლიტიკურად ისინი დაგმობილი არიან, და სამართლიანადაც არიან დაგმობილი.

ამ ბრძოლაში სტალინმა სასარგებლო საქმე გააკეთა. ეს არ შეიძლება ამოიშალოს სოციალიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ბრძოლის ისტორიიდან, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიიდან. ამისათვის ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ სტალინს. ჩვენ გულწრფელი ვიყავით ჩვენს პატივისცემაში ი. ბ. სტალინისადმი, როცა ვტიროდით მის ცხედართან მდგომნი. ჩვენ გულწრფელი ვართ ახლაც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში მისი დადებითი როლის შეფასებაში. თვითეული ჩვენგანი ენდობოდა სტალინს. ეს ნდობა დამყარებული იყო რწმენაზე, რომ საქმე, რომელსაც სტალინთან ერთად ვაკეთებდით, კეთდებოდა რევოლუციის ინტერესებისათვის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის.

ჩვენი პარტია, ჩვენ ყველანი გადაჭრით ვგმობთ სტალინს იმ უხეშ შეცდომათა და დამახინჯებათა გამო, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს პარტიის საქმეს, ხალხის საქმეს. ჩვენ დაეკარგეთ ბევრი პატიოსანი და ერთგული ადამიანი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მუშაკები, რომლებსაც ცილი დასწამეს და რომლებიც უდანაშაულოდ დაისაჯნენ. ბევრი მათგანის რეაბილიტაცია უკვე მოვახდინეთ. პარტიამ დაგმო ხელმძღვანელობის ის არასწორი მეთოდები, რომლებიც პიროვნების კულტის პერიოდში წარმოიშვა, თანამიმდევრულად და მტკიცედ ეწევა მუშაობას პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენისათვის, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით გაფართოებისათვის.

როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ სტალინმა, რომელსაც სწორი პოზიცია ეკავა ლენინიზმის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, ასეთი უხეში და მძიმე შეცდომები ჩაიდინა? ეს რთული საკითხია; ამხანაგებო. ეს არის სტალინის ტრაგედია, რომელიც ბევრად განპირობებულია მისი პიროვნების, მისი ხასია-



თის დიდი ნაკლოვანებებით, რომლებსაც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი 1922 წლის დეკემბერში თავის წერილში პარტიის ყრილობისადმი. სტალინის ეს ნაკლოვანებანი განსაკუთრებით განვითარდნენ მისი სიკაცხლის უკანასკნელ პერიოდში, როცა იგი უშვებდა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების უხეშ დარღვევებს, უგულვებელყოფდა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპებს, ერთპიროვნულად წყვეტდა ბევრ უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ საკითხს, როცა შესუსტდა მისი კავშირი კადრებთან და მშრომელთა მასებთან. მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ სტალინის პირადი ნაკლოვანებანი ჩვენი საქმის საზიანოდ გამოიყენა პარტიისა და ხალხის მოსისხლე მტერმა პროკუატორმა ბერიამ.

ამ საქმეში დიდი ბრალი მიუძღვის ამხ. მალენკოსაც, რომელიც ბერიას სრულ გავლენაში მოექცა, მისი ჩრდილი იყო, იარაღი იყო ბერიას ხელში. ეკავა რა მაღალი მდგომარეობა პარტიისა და სახელმწიფოში, ამხ. მალენკოვი არათუ არ აკავებდა ი. ბ. სტალინს, არამედ ძალიან მარჯვედ სარგებლობდა სტალინის სისუსტით და ჩვევებით მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში. ბევრ შემთხვევაში იგი ბიძგს აძლევდა მას ისეთი მოქმედების ჩასადენად, რომელიც მკაცრი დაგმობის ღირსია.

ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, თუ რა უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვს მუშაობას, რომელიც პარტიამ გასწია პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

პიროვნების კულტის კრიტიკამ და მისი შედეგების ლიკვიდაციამ იდეოლოგიური მუშაობის დარგში, სავსებით ბუნებრივია, გამოიწვია ღრმა განცდები და სერიოზული დაფიქრება შემოქმედებით მუშაკთა შორის და უწინარეს ყოვლისა მწერალთა შორის.

ყველაზე მეტად და ყველაზე მწვავედ ვინ განიცდიდა ამას? მე მგონია, ამხანაგებო, რომ ყველაზე მეტად განიცდიდნენ მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები და ხელოვნების სხვა მუშაკები. მწერლებიდან კი განსაკუთრებით ღრმად განიცდიდნენ ის ამხანაგები, რომლებიც ყველაზე ახლო იყვნენ პარტიასთან, ცენტრალურ კომიტეტთან და, მაშასადამე, სტალინთან. ეს იყო სიახლოვე ხალხთან, ყოველივე იმასთან, რასაც ხალხი აკეთებდა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით. ამ მწერლების ნაწარმოებებში სიმართლით, წრფელი გრძნობით იყო მოთხრობილი პარტიისა და ხალხის ბრძოლის და გამარჯვებათა შესახებ. ამ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდებოდა ამხანაგ სტალინის სახეც. ასეთ ნაწარმოებთა ავტორები კარგ საქმეს აკეთებდნენ, მათ კარგი სურდათ ჩვენი პარტიისათვის, მთელ ხალხთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ მაღალი კომუნისტური იდეალებისათვის. რა თქმა უნდა მთელ რიგ შემთხვევებში საერთო ვითარების გავლენით პიროვნების კულტის პერიოდში ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში თავს იჩენდა ი. ბ. სტალინის პიროვნების არაობიექტურად, ცალმხრივად დახატვა, მეტისმეტად აზვიადებდნენ მის დამსახურებას მაშინ, როცა პარტიის როლი, ხალხის როლი ღირსეულ ასახვას ვერ პოულობდა.

როცა პარტიამ გააჩაღა პიროვნების კულტის კრიტიკა, სტალინის მიერ დაშვებულ შეცდომების კრიტიკა, ზოგიერთმა მწერალმა წარმოიდგინა, თითქოს თითქმის მთელი მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა წარსულში სწორი არ იყო. ცალკეულ ლიტერატორებს ისეთი განწყობილებაც კი შეექმნათ, საჭირო ხომ არ არის ყველა ჩვენი დაწერილი წიგნი გადავაკეთოთო. უნდა ველიართო, რომ ინტელიგენციაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც წინათ აქტიურად არ მონაწილეობდნენ ჩვენი საქმისათვის ბრძოლაში, რომლებმაც დაიწყეს

ლიტერატურისა და ხელოვნების იმ მუშაეთა ლანძღვა და სახელის გატეხვა, რომლებიც ქებას ასხამდნენ ჩვენი ხალხის მიერ პარტიის ხელმძღვანელობით მოკლებულ წარმატებებს. მათ მოიგონეს და ხმაირებაში შემოიღეს ისეთი სალანძღავი სიტყვა, როგორიც არის „შემლამაზებელი“, და ამ იარაღს აკრავდნენ ყველას, ვინც სიმართლით წერდა ჩვენს სინამდვილეზე, ხალხის შემოქმედებითს შრომასა და მის დიდ გამარჯვებებზე, ვინც ქმნიდა საბჭოთა ადამიანების დადებითს სახეებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში.

ზოგიერთი ამხანაგი აყენებს საკითხს, როგორ მოვეყუროთ სტალინურ პრემიებს, რომლებითაც დაჯილდოებული არიან ჩვენი ადამიანები. მე მიმაჩნია, რომ პატივისცემის გრძნობით უნდა მოვეყილოთ პრემიებს და სიამაყით ვატაროთ სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანი. მე რომ სტალინური პრემია მქონოდა, ვატარებდი ლაურეატის საპატიო ნიშანს. სტალინური პრემიების მიკუთვნების საქმეში დაშვებული იყო შეცდომები, როცა მთელ რიგ შემთხვევებში პრემიას უღირსი ადამიანები იღებდნენ. მაგრამ ეს წვრილმანია. იშვიათი გამოჩაყლისის გარდა სტალინური პრემიები მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაებზე და მსახურებულად მიიღეს.

საკუროთა მთელი პირდაპირობითა და სიცხადით ითქვას, რომ კომუნისტური პარტია მუდამ უჭერდა, უჭერს და დაუჭერს მხარს იმ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც პატიოსნად და ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ხალხს, ხალხთან ერთად უხარიათ საშობლოს წარმატებანი კომუნისმის მშენებლობაში და პოულობენ მკაფიო ფერებს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებში ამ წარმატებათა გამოსახატავად.

### III

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმაჩნია, რომ ამხანაგური შეხვედრები და საუბრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ფრიალსასარგებლოა და ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია. მე ძალიან მომეწონა, რომ შეხვედრებზე და საუბრებში, რომლებიც ამ ბოლო დროს მოეწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები გულახდილად და თავისუფლად ლაპარაკობდნენ ყველა საკითხზე, რომლებიც მათ აღელვებს. ისინი გამოდიოდნენ თავიანთ მეგობრულ წრეში და მათ სწორად გაუგეს. ურთიერთობის ასეთი ფორმები უაღრესად საკუროთა აზრთა ამხანაგური გაზიარებისათვის, რომლის შედეგად ხდება ურთიერთგაგებისა და საერთო თვალსაზრისთა შემუშავება ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის საარსებო საკითხებზე.

რატომ უთმობს პარტია ასე ბევრ ყურადღებას ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს? იმიტომ, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები, კინოსა და თეატრალური ხელოვნების მუშაეები, მთელი ჩვენი ინტელიგენცია თავიანთი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა საზოგადოების შემოქმედებითს საქმიანობაში, ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ხალხს. კომუნისტურ პარტიას ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები მიმაჩნია თავის ერთგულ მეგობრებად, თანაშემწეებად, სიმედო დასაყრდენად იდეოლოგიურ ბრძოლაში. პარტია ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტა-

ტობისათვის. ჩვენს ხალხს ესაჭიროება ლიტერატურის, ფერწერის, მუსიკის ნაწარმოებნი, რომლებიც ასახავენ შრომის პათოსს და გასაგები არიან ჩაღბისთვის. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი უზრუნველყოფს ასეთ ნაწარმოებთა შექმნის უსაზღვრო შესაძლებლობებს. პარტია შეურიგებლად იბრძვის ლიტერატურისა და ხელოვნებაში უცხო იდეოლოგიის გავლენის შეღწევის წინააღმდეგ, სოციალისტურ კულტურაზე შტრული თავდასხმების წინააღმდეგ.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში იდეური ბრძოლის სირთულე და თავისებურება ამჟამად, სხვათა შორის, ის არის, რომ ჩვენ გვიხდება დავიცვათ ლიტერატურა და ხელოვნება არა მარტო გარედან თავდასხმებისაგან, არამედ ცალკეულ შემოქმედ მუშაკთა იმ ცდებისაგანაც, რომ გადაიყვანონ ლიტერატურა და ხელოვნება არასწორ გზაზე, ააცილინონ განვითარების მთავარ ხაზს.

განვითარების მთავარი ხაზი კი ის არის, რომ ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ განუყრელად იყონ დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასახედნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებდნენ საბჭოთა ხალხის დიდ გარდამქნელ საქმიანობას, მის მისწრაფებათა და მიზანთა კეთილშობილებას, მაღალ მორალურ თვისებებს. ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებაა ხალხის დარაზმვა კომუნისმის მშენებლობაში ახალი წარმატებისათვის საბრძოლველად.

უნდა ვალიაოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენს მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებში ჯერ კიდევ გვხვდებიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც ზოგჯერ კარგავენ ნიადაგს ფეხქვეშ, ასცდებიან ზოლმე სწორ გზას. ასეთი ადამიანები მცდარად, დამახინჯებულად განმარტავენ ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანებს. ისინი ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს ლიტერატურა და ხელოვნება მოწოდებული არიან ეძებონ მარტო ნაკლოვანებები, ილაპარაკონ უმთავრესად უარყოფითზე ცხოვრებაში, მოუწყობლობის ფაქტებზე და დუმილით აუარონ გვერდი ყველაფერს დადებითს. მაგრამ ზომ სწორედ ეს დადებითი, ახალი და პროგრესული ცხოვრებაში შეადგენს მთავარ სოციალისტური საზოგადოების სინამდვილეში, რომელიც სწრაფად ვითარდება.

მცდარ და მავნე შეხედულებათა და განწყობილებათა შატარებლებმა ვილაშქრეს იმ მწერლებისა და მხატვრების წინააღმდეგ, რომელთა ნაწარმოებებში მოცემულია საბჭოთა საზოგადოების ძლევათსილი განვითარების მართალა და მკაფიო სურათები, ჩვენი თანამედროვეების დადებითი სახეები. იმათ რიცხვს, ვისაც დაცინვით „შემლამაზებელს“ უწოდებენ, დამმუშავებლებმა მიაკუთვნეს, მაგალითად, ისეთი მწერალი, როგორც არის ამხ. გრიბაჩოვი და ზოგიერთი სხვა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მწერლებს, რომლებსაც სწორი პოზიცია უკავიათ ლიტერატურაში, წერენ დადებითზე ცხოვრებაში. ეს როდი ნიშნავს, რომ მათ მიერ დაწერილი ყოველი ნაწარმოები თავისუფალია ამა თუ იმ ნაკლისაგან და არ შეიძლება მისი გაკრიტიკება. შესაძლებელია, რომ ამ ამხანაგების შემოქმედებით მუშაობაში კიდევაც იყო ცალკეული მცდარი გატაცებანი, მაგრამ ეს არავის არ აძლევს საფუძველსა და უფლებას გააბიაზროს ისინი, უარყოს ის სასარგებლო საქმე, რომელსაც ისინი აკეთებდნენ.

ზოგნი, ალბათ, შეეცდებიან ლიტერატურული ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენების ასეთი შეფასება გაიკონ როგორც მოწოდება ცხოვრების ცალმხრივი ასახვისაკენ, ჩვენს სინამდვილეში ნაკლოვანებებისა და სიძნელეებისათვის დუმილით გვერდის ავლისაკენ. მაგრამ უვარგისი საშუალებებით ამგვარ ცდას ჩვენ წინასწარ გადაჭრით უარეყოფთ.

ჩვენ, კომუნისტებს, ბრალად ვერავინ ვერ დავედებს, რომ გვეშინია კრი-

ტიკისა, რომ ვისწრაფვით მიეჩქმალეთ და დაემალოთ ნაკლოვანებანი მუშაობაში. ისტორიული გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ კრიტიკისა და უფრო-კრიტიკის შიში ახასიათებთ მხოლოდ წარმატებულ კლასებს და მათს პოლიტიკურ პარტიებს. კომუნისტური პარტია, როგორც ყველაზე მოწინავე კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელი როგორც კომუნისმის მშენებელი ხალხის ბელადი, თავის დიად გარდამქმნელ საქმიანობას ახორციელებს მარქსიზმ-ლენინიზმის — თავისი არსით ყველაზე რევოლუციური და კრიტიკული თეორიის დროში. მას არ ეშინოდა და არ ეშინია არავითარი სიძნელისა დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, მუდამ გაბედულად უსწორებს თავს სიმატლეს. იგი ემსახურება ხალხის ინტერესებს, აშკარად და უღმობლად ამხილებს და აკრიტიკებს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, მასებთან ერთად სახავს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შეცდომათა გამოსწორების გზებს ჩვენი საქმის წარმატებისათვის.

კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მთელ თავიანთ საქმიანობაში გვიჩვენებენ მაგალითს, თუ როგორ უნდა ვამხილოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი. გაიხსენეთ, მაგალითად, პარტიის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის საკითხებზე, ადგილობრივი ორგანოებისათვის მეტი უფლებების მინიჭებისა და მუშაობაში მათი ინიციატივის განვითარების შესახებ, სახელმწიფო და პარტიული აპარატის შტატების შემცირებისა და ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ. განა ჩვენი პარტიის მაღალ ლენინურ პრინციპულობას, მამაცობასა და სიმტკიცეს არ მოწმობს პიროვნების კულტის კრიტიკა, თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა მისი შედეგების დაძლევისათვის. პარტიის XX ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ნაკლოვანებებისა და შეცდომებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა. პარტია თვითიული კომუნისტისაგან, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების თვითიული მუშაკისაგან მოითხოვს მაღალ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმიანობის და სასტიკად სჯის ყველას, ვინც თავის პრაქტიკულ მუშაობაში უკან იხევს პარტიის პოლიტიკური ხაზიდან, ვინც ივიწყებს პარტიისა და ხალხის ინტერესებს. ვერც პოსტი, რომელიც მუშაკს უჭირავს, ვერც წარსული დამსახურება ვერ დაიცავს და ვერც უნდა დაიცვას იგი კრიტიკისაგან და პარტიისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

მთელი საკითხი ის არის, თუ რა პოზიციიდან და რისთვის წარმოებს კრიტიკა. ჩვენ ვამყვანებთ და ვაკრიტიკებთ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ისინი როგორც დაბრკოლება ჩვენს გზაზე, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა წყობილება, კომუნისტური პარტიის პოზიციები, უზრუნველყოთ ახალი წარმატებანი და უფრო სწრაფი წინსვლა. ხოლო რა მოსდის ზოგიერთ ლიტერატორს, როცა იგი ხელს ჰკიდებს ნაკლოვანებათა გაკრიტიკებას? ცხოვრებას რომ არ იცნობენ, საქირო პოლიტიკური გამოცდილება, ცხოვრებაში მთავარისა და განმსაზღვრელის დანახვის უნარი რომ არა აქვთ, ისინი ებლაუჭებიან ამა თუ იმ მუშაკის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, განურჩევლად და გაუაზრებლად ყრიან ყველაფერს ერთ გოდორში, ამე-ნებენ თავიანთ თავს და ცდილობენ დააშინონ სხვები.

ასეთ არასახარბილო მდგომარეობაში ჩავარდა, კერძოდ მწერალი ვ. დუდინცივი. მის უბადრუკ წიგნში „არა პურითა ერთითა“, რომლის გამოყენებას ჩვენს წინააღმდეგ ახლა ცდილობენ რეაქციული ძალები საზღვარგარეთ, განზრახ ყურით მოთრეულია უარყოფითი ფაქტები და ტენდენციურად გაშუქე-

ბულია ჩვენდამი არამეგობრული პოზიციებიდან. დუდინცევის წიგნი არის სწორი, ძლიერად დაწერილი ფურცლებიც, მაგრამ წიგნის საერთო მიმართულება თავისი საფუძვლით არასწორია: მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ამ წიგნის ავტორი გამსჭვალული არ არის ზრუნვით მის მიერ ჩვენს ცხოვრებაში დანახულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, იგი განზრახ ამუქებს ფერებს, იჩენს ღვარძლიანობას ნაკლოვანებათა გამო. ასეთი მიდგომა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში სინამდვილის ასახვისადმი სხვა არა არის რა, თუ არ მისწრაფება დამახინჯებულად, მრუდე სარკეში აჩვენო ეს სინამდვილე.

მხოლოდ სინანული უნდა გამოვთქვათ, რომ ეს არაჯანსაღი და მავნე ტენდენცია დროზე ვერ შენიშნა და მას სწორი პასუხი ვერ გასცა ზოგიერთმა ლიტერატურულ-მხატვრულმა ჟურნალმა და გამომცემლობამ. ჟურნალ „ნოვი მირის“ რედაქციამ ჟურნალის ფურცლები დაუთმო დუდინცევის წიგნის მსგავს ნაწარმოებთა გამოსაქვეყნებლად. მთელი რიგი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების რედაქციები და ზოგიერთი გამომცემლობის ხელმძღვანელები ჯეროვან სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ, მთელ რიგ შემთხვევებში ასცდნენ პრინციპულ პოზიციებს. ამ ამხანაგებმა დაიწყეს იმის დავიწყება, რომ პრესა ჩვენი მთავარი იდეური იარაღია. იგი მოწოდებულია მუსრავდეს მუშათა კლასის მტრებს, შრომელთა მტრებს. როგორც არმიის არ შეუძლია იომოს უიარაღოდ, ისე პარტიასაც არ შეუძლია წარმატებით აწარმოოს თავისი იდეოლოგიური მუშაობა ისეთი ბასრი და საბრძოლო იარაღის უქონლად, როგორც არის პრესა. ჩვენ არ შეგვიძლია პრესის ორგანოები არასაიმედო ხელში ჩაეგდოთ, ისინი უნდა იყვნენ ყველაზე ერთგული, ყველაზე საიმედო, პოლიტიკურად მტკიცე და ჩვენი საქმისადმი ერთგულ მუშაკთა ხელში.

ამის დავიწყებას ის მოჰყვა, რომ მწერალთა კავშირის ზოგიერთი ბექდვითი ორგანო ნაცვლად იმისა, რომ თანმიმდევრულად იცავდეს პრინციპულ ხაზს ლიტერატურაში, არასწორ პოზიციებზე მდგომი ცალკეული ადამიანების ძლიერი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა და, არსებითად, არაჯანსაღ განწყობილებათა და ტენდენციათა გამტარებელი გახდა. ნათქვამი განსაკუთრებით ეხება ალმანახ „ლიტერატურნაია მოსკვას“. ამ ალმანახში გამოქვეყნებული იყო იდეურად მანკიერი ნაწარმოებნი და სტატიები, რომლებიც მკვეთრად დაგმეს ჩვენმა საზოგადოებრიობამ და უწინარეს ყოვლისა თვითონ მწერლებმა. ამაზე სამართლიანად ილაპარაკა ბევრმა ლიტერატორმა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე. ამავე დროს კი ალმანახის სარედაქციო კოლეგიის წევრებმა ცხადყვეს თავიანთი უპატივცემლობა მათი შეცდომების კრიტიკისადმი, თავიანთი თანამოკალმე ამხანაგების, მწერლების აზრისადმი, და თავი აარიდეს პირდაპირ და პატიოსან გამოსვლას მათ მიერ დაკავებული პოზიციის გამო. განსაკუთრებით უნდა ითქვას ამხ. ალიგერის შესახებ, რომელიც დღემდე იცავს იმ შეხედულებას, რომ ალმანახ „ლიტერატურნაია მოსკვას“ ხაზი თითქოს სწორი იყო, იგი იცავს ალმანახში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, რომლებშიც გაპარებულია ჩვენთვის უცხო იდეები.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შორის ბევრი ლაპარაკობს პარტიულობაზე, ხალხურობაზე, შემოქმედების თავისუფლებასა და პარტიულ ხელმძღვანელობაზე. ეს საკითხები სერიოზული ყურადღების ღირსია. მათზე უნდა ითქვას მით უმეტეს იმიტომ, რომ ამ საკითხებზე ნათქვამი და დაწერილია ძალიან ბევრი არასწორი და აბნეული რამ, რასაც გაუგებრობა და არეულობა შეაქვს ადამიანთა გონებაში, ხელს უშლის ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, პარტიის პოლიტიკის სწორად გაგებას, იდეოლოგიური მუშაობის

ამ უმნიშვნელოვანესი დარგებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების სწორად გაგებას.

რამდენიმე შენიშვნა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულ ცხოვრებასა და ხალხურობის შესახებ. უწინარეს ყოვლისა არ შეიძლება ერთმანეთს დაეუბი-რისპირობო პარტიულობისა და ხალხურობის ცნებები. საბჭოთა სოციალისტუ-რი საზოგადოების ძალა კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობაშია. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გა-მობატავს, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სასი-ცოცხლო საფუძველს შეადგენს. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს საბჭოთა პირობებში ისე შეიძლება ემსახურებოდეს ხალხს, რომ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გან-ხორციელებაში. შეუძლებელია გსურდეს ხალხთან ერთად იარო ისე, რომ არ იზიარებდეს პარტიის შეხედულებებს, მის პოლიტიკურ ხაზს. ვისაც სურს ხალხ-თან იყოს, იგი მუდამ იქნება პარტიასთან. ვინც მტკიცედ დგას პარტიის პოზი-ციებზე, ის მუდამ იქნება ხალხთან.

პარტიულობა მხატვრულ შემოქმედებაში განისაზღვრება არა იმით, რომ მხატვარი ფორმალურად ეკუთვნოდეს პარტიას, არამედ მისი რწმენით, მისი იდეური პოზიციით. ჩვენ ცოტა როდი გვყავს კარგი მწერლები, რომლებიც პარ-ტიის წევრები არ არიან, მაგრამ მათი ნაწარმოებნი თავიანთი იდეური შინაარ-სით, პოლიტიკური მიზანდასახულობით ღრმად პარტიული არიან და სამართ-ლიანად მოიპოვეს ხალხის აღიარება, როგორც მისი ინტერესების გამოუმხატვე-ლებმა.

თუ ბრძოლა კომუნიზმის იდეალებისათვის, თავისი ხალხის ბედნიერები-სათვის მხატვრის ცხოვრების მიზანია, თუ იგი ცოცხლობს ხალხის ინტერესე-ბით, მისი ფიქრებითა და მისწრაფებებით, რა თემასაც უნდა მოჰქიდოს ხელი. ცხოვრების რა მოვლენასაც უნდა ასახავდეს, მისი ნაწარმოებები დააკმაყოფი-ლებს ხალხის, პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

ასეთი მხატვარი ხალხისადმი სამსახურის გზას ირჩევს თავისუფლად, ძალ-დაუტანებლად. საკუთარი რწმენითა და მოწოდებით, სულისა და გულის კარ-ნახით. სოციალისტური საზოგადოების პირობებში, სადაც ხალხი ნამდვილად თავისუფალია, თავისი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი და ახალი ცხოვრების შემოქმედია, მხატვრისათვის, რომელიც ერთგულად ემსახურება თავის ხალხს. არ არსებობს საკითხი იმის შესახებ, თავისუფალია, თუ თავისუფალი არ არის იგი თავის შემოქმედებაში. ასეთი მხატვრისათვის სინამდვილის მოვლენებისად-მი მიდგომის საკითხი ნათელია, მას არ სჭირდება ეგუებოდეს, საკუთარ თავს აიძულებდეს, კომუნისტური პარტიულობის პოზიციებიდან ცხოვრების მართა-ლი გაშუქება მისი სულის მოთხოვნილებაა, იგი მტკიცედ დგას ამ პოზიციებზე, იცავს მათ თავის შემოქმედებაში.

საზოგადოების, ხალხის ცხოვრების სიმართლით გაშუქება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში გულისხმობს როგორც სოციალისტური სინამ-დვილის დადებითი, ნათელი და მკაფიო მხარეების ჩვენებას, რომლებიც მის საფუძველს შეადგენენ, ისე ნაკლოვანებათა კრიტიკას, უარყოფითი მოვლენების გამოვლინებასა და დაგმობას, რომლებიც აბრკოლებენ ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას.

ცხოვრებაში, სინამდვილეში დადებითთან ერთად ყოველთვის არსებობს უარყოფითიც, ზოგჯერ ყვავილების გვერდით შამშნარი იზრდება. სინამდვილის ასახვაში ყველაფერი დამოკიდებულია ავტორზე. თუ იგი პარტიულ პოზიციებ-ზე დგას, ხალხს ემსახურება და გულწრფელად სურს ეხმარებოდეს ხალხს ახა-



ლი საზოგადოების შენებაში, კვალადეს გზას კომუნისმის აშენებისათვის ბრძოლაში, ასეთი მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, ინოვაციის საკმაოდ კარგ მაგალითებს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ცხოვრებაში, ცალკეული ადამიანების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების ცხოვრებაში და შექმნის უარყოფითისათვის დაპირისპირებით მხარი დაუჭიროს დადებითს, სიმართლით გვიჩვენოს იგი მკაფიო ფერებით. ხოლო თუ ავტორს არ ახარებს თავისი ხალხის წარმატებანი, იგი გამოძების მხოლოდ ცუდს, უარყოფითს, დაიწყებს ქექვას ნაგვის ორმოებში და ამას ცხოვრების დამახასიათებლად გაასაღებს.

ჩვენ მტკიცედ და შეურიგებლად ვილაშქრებდით და გავილაშქრებთ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სინამდვილის ცალმხრივი, არაკეთილსინდისიერი, არამართალი გაშუქების წინააღმდეგ. ჩვენ იმათი წინააღმდეგი ვართ, ვინც ცხოვრებაში ეძებს მხოლოდ უარყოფით ფაქტებს და ღვარძლიანობს ამის გამო, ცდილობს ცილი დასწამოს, სახელი გაუტეხოს ჩვენს საბჭოთა წესწყობილებას. ჩვენ იმათი წინააღმდეგიც ვართ, ვინც ქმნის ბრუკვიალა, დაშაქრულ სურათებს, რომლებიც შეურაცხყოფენ ჩვენი ხალხის გრძნობებს, რომელიც არ იღებს და ვერ ითმენს ვერავითარ სიყალბეს. საბჭოთა ადამიანები უარყოფენ ისეთ, არსებითად, ცილისმწამებლურ თხზულებებსაც, როგორც არის დუდინცევის წიგნი „არა პურითა ერთითა“, და ისეთ მოთაფლულ, გულის ამრევ ფილმებსაც, როგორც არის „დაუვიწყარი 1919 წელი“ ან „ყუბანელი კახაყები“.

სამწუხაროდ, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შორის გვხვდებიან ისეთი ადამიანები, „შემოქმედების თავისუფლების“ დამცველები, რომლებსაც სურთ, რომ ჩვენ გავრდეს ვუვლიდეთ, ვერ ვაჩვენებდეთ, ჩვენს პრინციპულ შეფასებას არ ვაძლევედეთ და არ ვაკრიტიკებდეთ ასეთ ნაწარმოებებს, რომლებიც დამახინჯებულად ხატავენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას. ამ ადამიანებს თურმე აწუხებთ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობა პარტიისა და სახელმწიფოს მხრივ. ისინი ილაშქრებენ ამ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ზოგჯერ პირდაპირ, ხოლო უფრო ხშირად ამ თავიანთ განწყობილებასა და სურვილებს ფარავენ ლაპარაკით ზედმეტ მეურვეობაზე, ინიციატივის შებოქვაზე და სხვ.

ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, რომ ასეთი შეხედულებები ეწინააღმდეგება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი პარტიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ლენინურ პრინციპებს. ლენინი, როგორც ცნობილია, ითვალისწინებდა, რა ლიტერატურისა და ხელოვნების მთელ სპეციფიკას, არაერთგზის აღნიშნავდა, რომ პარტიას არ შეუძლია განზე გაუდგეს საზოგადოების სულიერი ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი ნაწილისადმი ხელმძღვანელობას და თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში, როგორც პარტიის ბელადი და საბჭოთა მთავრობის მეთაური, თანმიმდევრულად ახორციელებდა ამ პრინციპს. არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდეს და თავისუფალი იყოს საზოგადოებისაგან, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. იგი ამასთან ხაზს უსვამდა, რომ სოციალისტური საზოგადოების თავისუფალი ლიტერატურა აშკარად იქნება დაკავშირებული მუშათა კლასთან, რომ მისი შთამბავთებელი იქნება მშრომელთა ინტერესები, სოციალიზმის იდეები.

ლენინი შეურიგებელი იყო იმათდამი, ვინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში პრინციპულ ხაზს უხვევდა, ვინც იდეური შეცდომებისადმი დამოკიდებულებაში ლიბერალურ პოზიციებზე ეშვებოდა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორია უადრესად დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ.



მათა ყურადღებამ მხატვრული შემოქმედებისადმი და მწერლებისათვის, მხატვრებისათვის, მოქანდაკეებისა და კომპოზიტორებისათვის ზრუნვამ უზრუნველყო ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმატებანი, ესრევე მწერის ყველა ხალხის სოციალისტური კულტურის აყვავება. პარტიის გადაწყვეტილებებში იდეოლოგიურ საკითხზე განსაზღვრულია პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები და ძირითადი პრინციპები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, რომლებიც თავიანთ ძალას ამჟამად ინარჩუნებენ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განუყრელი კავშირი კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. ამ გადაწყვეტილებათა დიდ დადებით მნიშვნელობაზე ლაპარაკობდნენ მხატვრები და კომპოზიტორები თავიანთ სიტყვებში ამას წინათ გამართულ ყრილობებზე.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ი. ბ. სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, პიროვნების კულტის პირობებში, შეცდომებს უშვებდნენ. მოვიყვან ასეთ მაგალითს. მე დიდი შრომა დამჭირდა, რომ გამანდგურებელი კრიტიკისაგან დამეცვა ისეთი დამსახურებული მწერალი, როგორც არის მაქსიმ რილსკი, მისი ლექსის „დედის“, გამო, რომელიც აღსავსეა დიდი პატრიოტული გრძნობებით. რილსკის წინააღმდეგ უსაფუძვლო ბრალდებებისა და მასზე თავდასხმების მთავარი საბაბი გახდა ის ფაქტი, რომ ამ ლექსში, რომელიც საბჭოთა უკრაინას უმღერის, ნახსენები არ იყო სტალინის სახელი. და ამხ. კავანოვიჩმა, რომელიც მლიქვნელობდა და ყოველივეს აკეთებდა იმისათვის, რომ გაეზვიადებინა სტალინის პიროვნების კულტი, მაქსიმ რილსკი დასახა როგორც უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტი. იგი იყენებდა სტალინის სუსტ თვისებებს, არ ფიქრობდა იმ მძიმე შედეგებზე, უკრაინული, და არა მხოლოდ უკრაინული ლიტერატურისათვის, რომლებიც შეიძლებოდა გამოეწვია ასეთ უსაფუძვლო ბრალდებებს პატივცემული უკრაინელი პატრიოტი მწერლის მაქსიმ რილსკის მიმართ. უნდა ითქვას, რომ ამას შეეძლო მძიმე შედეგები გამოეწვია არა მარტო ლიტერატურისათვის.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეფასებისადმი ასეთი მიდგომის წინააღმდეგი ვართ.

პარტიამ მტკიცედ დაგმო და თანმიმდევრულად ასწორებს შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია პიროვნების კულტის პერიოდში ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის იდეოლოგიური მუშაობის საკითხებშიც. მაგრამ იგი ამასთან ერთად აგრეთვე მტკიცედ ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს წარსულის ეს შეცდომები გამოიყენოს ისეთი გამოსვლებისათვის, რომლებიც უარყოფენ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობას. ასეთი პოზიციებიდან ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოსვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არ ეთანხმებიან პარტიის პოლიტიკას ამ დარგში. ასეთ ადამიანთა შორის, ჩვენდა საწყენად, აღმოჩნდნენ ცალკეული მწერლებიც, პარტიის წევრები. ზოგიერთ ამ ამხანაგს არა სურს თავისი საქციელი შეუთანხმოს პარტიული დისციპლინის მოთხოვნებს, დისციპლინისა, რომელსაც განსაზღვრავს პარტიის წესდება, ისინი პარტიული დისციპლინისა და პარტიის წევრის მოვალეობათა თავიანთ სუბიექტივისტურ განმარტებას იცავენ და თავიანთ არაპარტიულ ყოფაქცევას ჩქმალავენ ლაყბობით პარტიის ხელმძღვანელობისადმი ვითომდა „შემოქმედებითი დამოკიდებულების“ შესახებ. იმ ერთეულების ასეთმა ყალბმა პოზიციებმა, რომლებიც სწყყდებიან კოლექტივს, „ფეხი“ ეშლებათ საერთო მწყობრში, გამოიწვია სამართლიანი დაგმობა რო-

გორც კომუნისტი ისე უპარტიო მწერლების მხრივ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, მოსკოველი მწერლების კრებაზე, მოკავშირე და უცხო-ნომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მწერალთა ყველა მხარეანთა ხაციაში. მე კმაყოფილებით ვუქერ მხარს აქ გამოსულ უპარტიო მწერალს ამხ. სობოლევს, რომელსაც თანმიმდევრული, პრინციპული და შეურიგებელი პოზიცია უქირავს არაჯანსაღი განწყობილებებისა და ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში. არ მინდა დაგიმალოთ, რომ ჩემთვის, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისათვის, ლიტერატურის პარტიულობის საკითხებში გაცილებით უფრო მახლობელია უპარტიო მწერლის ამხ. სობოლევს პოზიცია, ვიდრე პარტიის წევრის ამხ. ალიგერისა, რომელსაც ყალბი პოზიცია უქირავს და სწორად არ ეკიდება მისი შეცდომების კრიტიკას.

ზოგიერთ ლიბერალურად განწყობილ ადამიანს შეუძლია ბრალად დამდოს, რომ მე ბრძოლისაკენ მოვუწოდებ. დიახ, ჩვენ არასოდეს არ ვმალავდით, რომ მივუწოდებდით და მოვუწოდებთ პრინციპული იდეური ბრძოლისაკენ. თანამედროვე მსოფლიოში ორი იდეოლოგიის — სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გააფთრებული ბრძოლაა, და ამ ბრძოლაში არ შეიძლება იყონ ნეიტრალური.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება წარმოებს ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული კულტურის გავლენის წინააღმდეგ, დრომოკმულ წარმოდგენათა და შეხედულებათა წინააღმდეგ, ჩვენი კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის იდეური ბრძოლის პირობებში.

ჩვენ მარქსისტ-ლენინელები არ ვიქნებოდით, განზე რომ ვმდგარიყავით, გულგრილად და პასიურად მოვკიდებოდით იმის ცდებს, რომ ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში გააპარონ საბჭოთა ადამიანების სულსკვეთებისათვის უცხო ბურჟუაზიული შეხედულებანი. საღად უნდა ვუყურებდეთ საგნებს, ვითვალისწინებდეთ იმას, რომ მტრები არსებობენ და ისინი ცდილობენ იდეოლოგიური ფრონტი გამოიყენონ სოციალიზმის ძალების შესასუსტებლად. ამ ვითარებაში ჩვენი იდეური იარაღი წესრიგზე უნდა იყოს და უმტყუფნებლად მოქმედებდეს. უნგრეთის ამბების გაკვეთილი, როცა კონტრრევოლუციამ თავისი ბინძური მიზნებისათვის გამოიყენა ზოგიერთი მწერალი, მოგვაგონებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკურ უღარდულობას, უპრინციპობასა და უნებისყოფობას სოციალიზმისადმი მტრული ძალების ხრიკების მიმართ. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ თანამედროვე პირობებში, როცა მწვავე ბრძოლა წარმოებს სოციალიზმის ძალებსა და იმპერიალისტური რეაქციის ძალებს შორის, თოფისწამალი მშრალად უნდა ვიქონიოთ.

ჩვენი საუბრების მსვლელობაში მწვავედ დაისვა იდეოლოგიურ შეცდომათა და არაჯანსაღ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ამ საკითხების სხვანაირად დაყენება წარმართდგენელიც არის. სანახევროდ დაყენებას ან უთქმელობას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს საქმეს.

ჩვენ გვინდა ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი ძალების კონსოლიდაცია, მჭიდროდ დარაზმვა პრინციპულ საფუძველზე და არა დათმობათა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან გადახვევათა გზით. ამ კონსოლიდაციის ინტერესებისათვის ჩაღდება პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ეს კრიტიკა ადამიანებს რომლებიც შეცდომებს უშვებენ, ესმარება შეიგნონ და გამოასწორონ თავიანთი შეცდომები, უფრო მაგრად იდგნენ ფეხზე, აძლიერებს შემოქმედებითს აქტივობას. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებისას საპირობა გულდასმით გავერკვეთ, ამა თუ იმ მოღვაწის შეცდომა შემთხვევითია თუ მის

შეხედულებათა სისტემას, მისი ყოფაქცევის გარკვეულ ხაზს ასახავს, გვეთვით-ლისწინით, როგორ ეპყრობა ეს მოღვაწე კრიტიკას. შეცდომა ყოველ-აღმართს შეიძლება მოუვიდეს, უნდა ვხედავდეთ არა მარტო იმას, თუ რა გააკეთა ადამიანი გუშინ, არამედ იმასაც, რის გაკეთება შეუძლია ხვალ, — და ეს მთავარია, — ჩვენ უნდა დავეხმაროთ ასეთ ადამიანს შეიგნოს და სწრაფად აღმოფხვრას ნაკლოვანებანი და გამოასწოროს შეცდომები.

ცნობილია, მაგალითად, რომ საზოგადოებრიობამ გააკრიტიკა ზოგიერთი ნაკლი ჩვენი შესანიშნავი პოეტის ამხ. ტვარდოვსკის მუშაობაში, რომლის დამსახურება საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში ფართოდ აღიარებულია. მეგობრული საუბრები ამხ. ტვარდოვსკისთან საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ სიტყვის ეს ოსტატი საჭირო დასკვნებს გააკეთებს და ახალი კარგი ნაწარმოებებით გაახარებს მკითხველებს. საზოგადოებრიობამ ერთ დროს მკვეთრად გააკრიტიკა ისეთი დიდი მწერლის ნაკლოვანებები, როგორიც არის ამხ. პანფილოვი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სწორი იყო. ამხ. პანფილოვი ახლა თვითონ აღიარებს, რომ კრიტიკამ მას სარგებლობა მოუტანა.

პრინციპული კრიტიკის მიზანია დაეხმაროს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს მათს შემოქმედებითს შრომაში, რათა ისინი კიდევ უფრო მეტი წარმატებით შრომობდნენ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, აქტიურად მონაწილეობდნენ მის ბრძოლაში კომუნისტიზმისათვის, თავიანთ ნაწარმოებებით ამდიდრებდნენ საბჭოთა სოციალისტურ კულტურას.

ჩვენმა საბჭოთა წყობილებამ, კომუნისტურმა პარტიამ არაერთხელ დაუბრუნა ცხოვრებას, აქტიურ საქმიანობას ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც დაკარგულებად და უიმედოებად მიაჩნდათ. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბევრია მაგალითი, როცა კრიტიკის შემდეგ შემოქმედებითი მუშაგები დიდ მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. თუ ამხ. დუდინცევზე ვილაპარაკებთ, ვფიქრობ, რომ ისიც ჩვენი დახმარებით და მისი სურვილით შეიძლება სწორ გზას დაადგეს და მწერალთა მთელ კოლექტივთან ერთად ნაყოფიერად იშრომოს ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში, თვითველი მხატვრის იდეურ აღზრდასა და შემოქმედებითს ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი როლი უნდა შეასრულოს შემოქმედებითმა კავშირებმა, რომლებიც ნამდვილად უნდა გახდნენ პრინციპულ საფუძველზე მტკიცედ დარაზმულ, აქტიურ მებრძოლ კოლექტივებად. საჭიროა, რომ შემოქმედებითს კავშირებში ნამდვილი მეგობრობა იყოს, რომ იქ ყოველდღე იჩენდნენ ამხანაგურ ზრუნვას თვითველი მწერლის, მხატვრის, მოქანდაკის, კინოს, მუსიკის, თეატრის მოღვაწის შემოქმედებითი ზრდისათვის. კოლექტივმა დროზე უნდა დაუპიროს მხარი ყოველ კარგ ნაწარმოებს, შემოქმედებითს მუშაობაში სასარგებლო ინიციატივის გამოვლინებას. უაღრესად საჭიროა აგრეთვე დროზე შევნიშნოთ ცალკეული შემოქმედებითი მუშაგების ნაკლოვანებანი ან შეცდომები, თავიდან ავიცილოთ პრინციპული პოზიციებიდან მათი დაქანების შესაძლებლობა, დავეხმაროთ და მხარი დავუჭიროთ იმათ, ვისაც ეს ესაჭიროება.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები კომუნისტიზმისათვის აქტიური მებრძოლები არიან. მათი საუკეთესო ნაწარმოებებით მილიონობით ადამიანი იზრდება. ეს ავალებს ჩვენს შემოქმედებითს კავშირებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღეურად ეწეოდნენ დიდ იდეურ-აღმზრდელიობითს მუშაობას, აიარალებდნენ ჩვენს შემოქმედებითს კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სწორი გაგებით. საჭიროა, რომ მთელ ჩვენს შემოქმედებითს კადრებს კარგად ჰქონდეთ

შეგნებული თავიანთი დიდი რელი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში მუშაობის და ფაქტის დიდი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. *საბჭოთაო*

ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დაუსახა ლიტერატურასა და ხელოვნებას. ამ ბოლო დროს გამართულმა პლენუმებმა მწერალთა კავშირებში, მხატვართა და კომპოზიტორთა ყრილობებში ხელი შეუწყვეს შემოქმედებითი ძალების აქტიურობის გაძლიერებას, მათ დარაზმეს. სასიხარულოა აღინიშნოს მწერალთა კავშირების საქმიანობის აქტიურობა ჩვენს მოკავშირე რესპუბლიკებში — უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიის, ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

მაგრამ შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებიც არის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს გამოვლენილია სისუსტე მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების მუშაობაში, რომელიც ლიტერატორთა დიდ რაზმს აერთიანებს. მოსკოვის მწერალთა კრებებზე იყო მცდარი გამოსვლები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა პარტიის პოლიტიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. სამწუხაროდ, ეს გამოსვლები ყოველთვის როდი ხდებოდნენ ჯეროვან პასუხს, ყოველთვის როდი იყო ჯეროვან სიმაღლეზე მოსკოვის მწერალთა პარტიული ორგანიზაცია. ხომ ცნობილია, რომ უკრაინის, ბელორუსიისა და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მწერალთა კავშირებმა ყურადღება მიაქციეს საქმის მდგომარეობას მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებაში, სამართლიანად გააკრიტიკეს მთელი რიგი იდეურად მანკიერი ლიტერატურული ნაწარმოებები და სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო აღმანახ „ლიტერატურისა და მოსკოვი“.

არ შეიძლება შევეუბნოთ ასეთ დიდ ნაკლოვანებებს მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების მუშაობაში, რომელიც მაგალითს უნდა უჩვენებდეს სხვა ქალაქების შემოქმედებით კავშირებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თვითონ მწერლები პარტიული ორგანიზაციების დახმარებით გაერკვევიან ამ ნაკლოვანებათა მიზეზებში და მიიღებენ ღონისძიებებს, რათა გამოასწორონ საქმის მდგომარეობა.

აქ აღიძრა საკითხი რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის მოწყობის შესახებ. ვფიქრობ, ამ წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროთ და შეექმნათ რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირი. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ რუსეთის ფედერაციის მწერლებს ახლა თავიანთი კავშირი არა აქვთ, მაშინ როცა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მწერალთა კავშირები არსებობენ. მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება რუსეთის სფსრ ყველა მწერლის წარმომადგენელი იყოს. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოდეთ, რომ რუსეთის ფედერაცია ბევრი ეროვნების ნებბაყოფლობითი კავშირია. მასში მხარეებთან, ოლქებთან ერთად შედის 14 ავტონომიური რესპუბლიკა, 7 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის შექმნა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება იმ ღონისძიებებიდან, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისა და რუსეთის ფედერაციის როლის გაძლიერებისათვის. იდეურ-შემოქმედებითს საკითხებთან ერთად, რომლებიც რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, სერიოზულად უნდა მოვიფიქროთ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მწერალთა ძალების ზრდას ადგილებზე. უნდა ვიზრუნოთ, რომ შეიქმნას საჭირო პირობები ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მწერალ-

თა მუდმივი შემოქმედებითი მუშაობისათვის, კერძოდ, საჭიროა მოვაწესრიგოთ ჰონორარების საქმე ადგილობრივ გამომცემლობებში, ქალაქის ფონდების განაწილება მხატვრული ლიტერატურის გამოსაცემად.

• • •

ჩვენი შეხვედრები და საუბრები ნაყოფიერია. ამ შეხვედრებში ჩვენ გულახდილად გავუზიარეთ ერთმანეთს აზრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებისა და მუშაობის ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, მის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის გეგმებს. წელს ჩვენ აღენიშნავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ამ დღისშესანიშნავ ისტორიულ თარიღს ჩვენი ხალხი ეგებება შესანიშნავი გამაჯგვრებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. რა უდიდესი წარმატებებია მოპოვებული ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში! პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც მხურვალედ მოიწონა ჩვენმა ხალხმა, უფართოესი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, შემოქმედებითი ინიციატივის უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია, შექმნა პირობები ხალხის ტალანტების შემდგომი გაფურჩქვნისათვის. გრანდიოზული აღმშენებლობითი შემოქმედებითი საქმიანობის მსვლელობაში იზრდება მშრომელთა კომუნისტური შეგნება, სულ უფრო სრულად ვლინდება საბჭოთა ადამიანის — ახალი ეპოქის ადამიანის, კომუნისმის მშენებლის საუცხოო სულიერი თვისებები და მისი ხასიათისა და მორალური სახის საუკეთესო ნიშნები.

მძლავრი ოქტომბრის რევოლუციური ტალღა შეუკავებლად მიდის წინ და სპობს ყველა დაბრკოლებას კომუნისტური საზოგადოების გზაზე.

ისტორიული გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ჩვენი წინსვლა კომუნისმისაკენ გაკაფული, სადა და სწორი გზით როდი ხდება, იმათ, ვინც კომუნისმის მშენებელთა პირველ რიგებში მიდის, მოეთხოვებათ უნარი ნათლად ხედავდნენ დიად მიზანს და ამ მიზნისაკენ წინსვლის პერსპექტივას, ღრმად ესმოდეთ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, ჰქონდეთ მძლავრი ენერჯია და შეუდრეკელი ნებისყოფა, არ ეშინოდეთ სიძნელეებისა, ძალების დაუშურებლად კვალავდნენ გზას და მიუძღოდნენ ახალი საზოგადოების მილიონობით მშენებლებს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ორმოცი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხი, თავისი ნაცადი ბელადის — კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული. მარქსიზმ-ლენინისმის ყოვლისმძლე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული, ღირსეულად შეასრულებს მის წინაშე მდგომ დიდ ისტორიულ ამოცანებს. შეიძლება ეკვი არ ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მწერლები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები, კომპოზიტორები კვლავაც იქნებიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული შვილები, მთელ თავიანთ ძალებს, თავიანთ ნიქს მოახმარენ იმას, რომ აღიდონ ჩვენი დიდი ხალხის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის გმირობა.



## დავით აღმაშენებელი\*

ტეატრალაგია

მახარა დარიალისკენ არ იყო ნამგზავ-  
რი, თუმცა ბაკურ ერისთავმა ბარე ექვსი  
სატალახო ცხენი, ამდენივე ჯორი და  
მერევე გაატანა, მაინც ძლიერ მისჭირდა  
საქმე. ეს იყო ის დრო, როცა ცხვრის  
ფარები კავკასიონის მთიანეთიდან, საზა-  
ფხულო საძოვრებზე მოჰყავთ ხოლმე  
ჩვენს მწყემსებს.

აურაცხელ ფარებს შეეტბორებინათ  
გზები და ბილიკები, მთის ფერდობზე-  
დაც ცხვარი იყო შეფენილი.

ხანგრძლივად ფეხით სვლისაგან დაო-  
სებულ მწყემსებს ეზარებოდათ გზის  
მიცემა მგზავრებისათვის, ამიტომაც  
გინგილა და მაიმახა იქლებულნი იყუ-  
ნენ მახარას ცხენის წინ ერბინათ და  
შოლტით დაეფრთხოთ ეს უწყინარი  
ცხოველი, რომელსაც, როგორც უგუნუ-  
რებს სჩვევიათ, გზის დათმობა არ უყ-  
ვარს საერთოდ.

უღელტეხილებს კვეთ შესდგომოდა  
რილო-ჭრელო. ლელმა ახლად დაწყებუ-  
ლი იყო, ნაკადულები მოწანწყარებდნენ  
ფერდობებიდან. ქვემოთ ისინი ურთი-  
ერთს უერთდებოდნენ უკვე რუებად  
ქცეულნი. რუები ლელებს მიერთოდ-  
ნენ და აზვავებულნი გარბოდნენ ხევე-  
ბის სადენისაკენ.

სწორედ მწვერვალებიდან დაძრულ  
რუებსა და ლელებს გამოეწვიათ გზის-  
პირა ქარაფების რღვევა, ასე რომ დაშ-

ლილ კლდეთა ნამუსრევეს გზები და  
ბილიკები დაეხორცათ ზოგვან.

გინგილა და მაიმახა წარამარა ჩამო-  
დიოდნენ ჯორიდან და ქვესკნელისაკენ  
აგორებდნენ უზარმაზარ ლოდებს.

სდუმდნენ უსიერი ტევრები, გოლია-  
თური ფიქვების მწვერვალები მთებზე  
დაწოლილი ღრუბლების თავანს ებჯი-  
ნებოდნენ.

ჯვარის უღელტეხილზე იელი ჰყვა-  
ვოდა, პეპლები თავს დაფოფინებდნენ  
ოქროსფრად მობიბინე ბოლოკას, ხო-  
ლო ისრის მისაწვდენზე სთოვდა.

ხეობების ყბებში ნახამთრალი თოვ-  
ლი ეყარა ჯერაც, ზოგვან ცხენებს სამ-  
კერდემდის უწევდა ნახვავარი შვავი.

უფრო დიდ დაბრკოლებებს ჰქმნიდ-  
ნენ დასავლეთიდან მომავალი ხევეები და  
ნაღვარევეები, ალაგ ალაგ ისინი ცურვით  
უნდა გადაეღახათ ჯორ-ცხენებს.

განსაკუთრებით მძვინვარებდა ნაჯიხ-  
ვარი, გადაღმელმა მწყემსებმა უამბეს  
მახარას, წინეებში ისე აღიდებულოყო  
იგი, მის მიერ გატაცებულ ცხვრებს  
მეტეზვარენი გამოსდგომოდნენ ცურვით,  
მათ შორის სამნი წაუღიარო წყალს.

ეს ნაჯიხვარი უშველებელი კალაპო-  
ტია რომელიღაც ამომშრალი მდინარი-  
სა, რომელსაც არაგვზე უფრო განიერი  
სადენი აქვს დღესაც, იგი ლელმის დროს  
ვეშაბად იქცევა და მუსრს ავლებს ხოლ-  
მე მითამამებულ მგზავრებს.

მახარამ საბელი გამოაღებინა გინგი-  
ლას, მისრატულსა და მენმლეს მისცა  
თითოეული წვერი საბელისა, თავათ  
შუაში ჩასჭიდა ხელი იბერიელმა სპარა-  
ზენმა და ასე გაჯახირებულად ძლივს  
გადავიდნენ გაღმა.

\* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 6, 7, 8.



ხეობების ყელბთან აგებულ ციხე-ბიდან ლანდებივით ჩამოდიოდნენ მოყურადენი, წინ გადაუდგებოდნენ მახარასა და მის მხლებლებს, რა შეიცნობდნენ დავით მეფის ბიძა მიბრძანდებო, — პატივითა ხილვას უწყობდნენ, ციხეებში წვევასა სთხოვდნენ საკურისს.

მახარა ხედავდა რომ უკანასკნელი ხიფათის მეოხებით ისევ შიმშილი მოადგათ კარზე. მაგრამ შიშობდა: ვაჟ, თუ გზაში ავცდეთო დავით მეფეს, ამიტომაც ნაჯიხვარის ხევი რა გადალახეს, თავის მისრატულსა და მენმლეს უბრძანა დაუზოგავად გაერქვათ ჯორ-ციხენი.

ადამიანის ორანი აღარსად იყო ამ უკაცრიელ ქარაფებზე მიმცოცავ ბილიკებზე, იკლო ტყიურის ჩქამაც, მხოლოდ არწივების ლეგიონები მდუმარედ გარს უსხდნენ ნამხეცარი პირუტყვების ლეშებს, ფლოქვების ტკაპუნზე შექმნიდნენ ერთობლივ ყვირის, ხოლო მათ გარშემო წრიულად დამსხდარი ყორნები მგზავრების მიახლოებას რა შეიცნობდნენ, ყრანტალით წამოიშლებოდნენ და კუპრის ლაქებივით შეესხმებოდნენ ცას.

მხოლოდ მესამე დღეს უწია მახარამ იმ ადგილს არაგვისპირად, სადაც თვალშეუდგამ ქარაფებს შორის მიიპარება ოვსეთსა და ძურძუკეთს მიმავალი გზა.

დარიალს ციხემდის რამდენი ფარასანგი დაგვრჩაო?

შეკითხა მახარა გზადშემოყრილ ტყაპუქიან მოხუცს, კითხულმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, — ორი მოისარი ლანდებივით გამოძვრა მახლობელ გვირაბიდან, ვინაობა და სადაურობა ჰკითხეს საკურისს.

ისინი აღმოჩნდნენ მოყურადენი დავითის ციხისა და სწორედ მათ მოჰგვარეს მახარა და მისი მხლებლები შტორა მორკნეველს, ახლად დანიშნულ ციხისთავს.

მახარას არ იამა მეფე და ტაძრული ნასასახლევი გადასულანო რა გაიგო, აგრე იგონა კიდეც დიდხანს მოგვიხდებო ცხენით სვლა.

მორკნეველმა სამი მეციხოვნე აიყოლია და დაღმა დაჰყვნენ არაგვს.

„განა მარტო დავითის ციხე ავგავთ ამ მოკლე ხანში, ნასასახლევი განვახლებთ საორბიოს ზეგანზე. ეს სასახლე რა გორც მოგესხენება ალბათ, ვახტანგ გორგასალზე აღრე ყოფილა აგებული. აქ დაბანაკდებოდნენ ჩვენი მეფეები როცა ხაზარეთისა და ყიფჩაღეთის დალაშქვრას განიზრახავდნენ ხოლმე“.

სთქვა მორკნეველმა.

ჯორ-ციხეების ფლოქვთა რიტმული ტკაპუნი ისმოდა უკაცრიელ ფლატეებს შორის, მახარა უზომოდ დაქანცული იყო, მაინც წვრილად გამოჰკითხავდა მორკნეველს ახალსა და ახალ ამბებს.

ოვსეთში ხომ არ ჩასულაო პატრონი? უპასუხეს: საამისოდ ვერ მოიცალაო მეფემ.

სტეფანოზ წილენელს ხომ არაფერი მოუწერიაო ახალი?

არაო, მიუგეს.

ახლა ეს იკითხა მახარამ:

რა მოიწერაო, თუ იცი, ლულუ ბენ ჰაიდარმა?

სამი დღის წინად მიიღოვო ლულუს უსტარი ნაჰარმაგვეიდან მეფემ, მას შემდეგ გალიმებული არავის უნახავსო იგი.

„ნუთუ ველარც შენ გაიგე შტორა, თუ რა მოიწერა ლულუმ?“

„მე კი არა, ნინია ბაკურიანსა და არსენ იყალთოელსაც არ წააკითხა ეს უსტარი მეფემ. ლულუს წიგნი რა გადაიკითხა, გადაფითრდა, ისევ დაგრაგნა და თავის საწიგნეში შეინახა, თურმე.“

„ერთი მითხარი შტორა, როდის აპირებს შინ გაბრუნებას პატრონი?“

„მეფეს გადაწყვეტილი აქვს ხვალ უთენია აპყაროს ბანაკი. ბაკურ ერისთავისთვის სიტყვა მიუცია, უცილოდ გეწვევით შეილიშვილის ქორწილში. ეგეც არ იყოს, ქარიმან სეტიელს არც თუ მთლად კეთილი ამბები მოსდის შირვანიდან...“

განძაში სელჯუქიანთა ლაშქრის ამირა შიხ ალდინ ახმეტ ჩამოსულა დიდძალი სპითა.

ჩვენმა მსტოვრებმა ჯერაც ვერ დაად-



გინეს, თრიალეთს უპირებენ დალაშქვრას, თუ კახეთ-ჰერეთში შემოჭრას?

ზეგანი მოათავეს და სამი მხრიდან ხევებით შემორაგველ ტაფობს რა გადაადგენ, ცხენების ერთობლივი ჭიხვინი შემოესმათ.

სახელდახელო საჯინბოდან დავით მეფის საომარ ცხენებს გამოეყოთ თავი.

თავთ ძველთა ძველ სასახლეს, რომელიც თავის დროზე ნეოლიტის ქამინდელ ლოდებიდან იყო ნაკეთები, განახლების იერი დასტყობოდა. წინა ფასადისათვის მტრედისფერი მარმარილოს პერანგი ჩაეცვათ, დანარჩენებს ჯერაც შერჩენოდათ მრავალქამინდელი ხავსი, ამ კედლებზე ჯერაც ხარაჩოები იყვნენ მიდგმულნი.

მხარამ თვალი წაატანა ახლადგამართულ ნადირთა საჩიხეში მიწრიულ დათვის ბელებს, მგლის ლეკვებს, ჯიბვის ფოთრებს, მათგან შორიახლოს, გარაზე სთვლემდნენ თავმოტვლებილი კრავიქამიები.

გორგასალისეული სასახლის დაბალ კერიან დარბაზში ფიქალის გრძელ მაგიდას გარს უსხდნენ დავით მეფე, არსენ იყალთოელი, ნიანია ბაკურიანი, შერგილ ლიპარტიანი, სამი ეპისკოპოზი და ერთი ქაჩალი ხუცეს-მონაზონი, რომელსაც ქამრამდის წვდებოდა გვიმრისფერი წვერი.

ჯერაც აულაგებელ სუფრას ზედ ეტყობოდა პურობა უკვე მოეთავებინათ, შავწვერა ჭაშნაგირი დაღონებული ზედ დასტკეროდა გამოუტყელ ფიალებს.

ისხდნენ და ხმადაბლა მასლაათობდნენ.

მხარას ეუცნაურა დავითის დანახვა, იგი ოდნავ წელში მოდრეკილი იდაყვებზე დაყრდნობილი იჯდა. თმაწვერი უზომოდ წამოზრდოდა, ნიკაპის გარშემო რამდენიმე თეთრი თმა გამორეოდა, ქარცემულ ლაწვისთავებს მზვარებში გარუჯვა დასტყობოდა...

დავითი გაოცდა... თვალები გაუბრწყინდა გაუმტლავნებელი სიხარულისაგან. ზედწამოიწია, ეამბორა ახლადმოსულს. ნაპარმაგვეის ამბავთა გამოკითხვა

რა მოათავა, გვერდზე მოისევა საჭურთია, კვლავ მიუბრუნდა თავის მწინახეებს და წამოწყებული საუბარი განაგრძო!

...„დიდი ჯაფა შევალეთ ამ ციხის აგებას, მაგრამ არა ვნანობ. დარიელას ციხე ჯერ კიდევ მეფე მირვანს აუგია ხაზართა წინააღმდეგ სალაშქროდ.

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საშუროა დარიელის ხეობის ამ ყელის გამაგრება.“

დღესხვალ ყიფჩაღთა ორასათასიანი ტომი უნდა შემოვიყვანოთ შიდა ქართლში:

ათრაბა შარალანისძეს ჩვენ ამ მოკლევ ხანში დაეუმოყვრდებით ალბათ, მაგრამ ეს არაა მთავარზე უმთავრესი მაინც.

დღეს დღეობით ყიფჩაღეთს შარალანი და ვაფი მისი განაგებენ, მაგრამ როგორც ცნობილია, ფრიად მოუსვენარია ყიფჩაღთა ნათესავი.

ხვალ, ან ზეგ რა მოხდება, ეს მხოლოდ უფალმა უწყის...

ეგეც არ იყოს, ამ წუთისოფელში არაფერია გარდაუვალი, მით უფრო მეგობრობა...

მეგობრობა ხშირად მტრობაზე მეტად ბედითი ხდება, იგიც ცნობილია, მეგობრობა და მტრობა უფაქიზესს სასწორზე ქანაობენ ნიადაგ, საკმარისია მღოვავის მარცვალი დაეცეს ამ სასწორის ფიალას, შესაძლოა მეგობარი მტრად მოგვეიდოს და მტერი დაგიმოყვრდეს... იგიც ცხადია, მტრადქცეული მოყვარე უფრო სახიფათოა, ვიდრე ოდითგანვე მოძალებული მოსისხარი.“

ახლა საჭურთის მიუბრუნდა დავითი.

„როგორ მოგეწონა ჩვენი ახალი ციხე, მახო?“

„კიდევ ათი ათასი ასეთი სიმაგრე აგეგოს, ჩვენი პატრონო, სწორედ მოგახსენო უპირველესად ყოვლისა გამოიკა ამ მხარეში ციხეთა სიმრავლემ. ყოველ ხეობის ყელს ციხე იცავს, ყოველ ზეგანს ციხე სდარაჯობს. ნეტავ, მთელი საქართველო აგრე გვეწონდეს გამაგრებული...“

ესა სოქვა მახარამა და მოჰყვა იმ აღვილების ჩამოთვლას, სადაც მას ახალციხეთა აგება საჭიროდ მიიჩნდა.

«ეჰ, ჩემო მახო, ახალ-ახალი სიმაგრეების აგება დიხაც საშუროა ჩვენთვის, მაგრამ მარტოოდენ ციხეთა სიმრავლე როდია გადაწყვეტილი.

აუღებელი ციხე, მხოლოდ ჯერჯერობით ცნობილი, აღმუთისა ირანში და ბირთვისის ბასტიონი საქართველოში. მე აგრე მეოცნებება, ჩვენს ხალხს ერთი და უმთავრესი ციხე უნდა ჰქონდეს მტკიცედ დაცული, ეგ არის საკუთარი ძალისადმი რწმენა. ეს სიმაგრე შემუსრეს მტრებმა, სხვა ციხეები თავისთავად მონებდებიან მათ.»

მახარა შეერთა, რადგან ელვის შუქი შემოიჭრა სასახლის სარკმლებიდან, მერმე ანაზღად გაისმა გრგვინვა. მცირე ხანს სდუმდნენ გარსმოჯარული მწვერვალები და ერთბაშად აგრუხუნდნენ ხევები.

მეფე წამოდგა და აივანზე გავიდა, მთელი ტაძრული მას მიჰყვა. მზე პირს იბანდა, მყინვარს თავზე წამოდგომოდა უფლის მკლავივით წაგრძელებული ღრუბელი. მის გადაღმა სთოვდა, ახლად ამოღებული აბრეშუმით ხასხასა სხივები გარს ევლებოდნენ მყინვარს.

ამ ღრუბლის ჩრდილს ქვეშ მოსჩანდა სამების ეკლესია და გერგეთი. ახლა ეს წაგრძელებული ღრუბელი გაუჩინარდა ანაზღად, წამოვიდნენ ბაღის ოცნებასავით თეთრი ფრთილები და გარს შემოეყვანნენ მყინვარს.

მზე გადაიხარა დასავლეთისაკენ და ნარინჯისფრად აენთო ტერაკოტისფერი კალთა ზეცისა. იმატა სიღამემ, მთების წამახული მუზარადები შეამკო წითელქვითელი ფერების ვასკასმა.

როგორც მახარა, ისე მთელი ტაძრული შეაერთო ზეციერი დეკორაციის ამ უცაბედმა ცვალებადობამ, ახლა მგლისფერი გადაეკრა ღრუბლებს, ისევ გაიღვა ყინულიან მწვერვალებს გადაღმა, ატყდა ქუხილი მთებს გადაღმა და ელვის მახვილებმა გაიღვეს თვალსაწიერზე.

ერთბაშად კალა გადაეკრა ცას, ხევების ჩაბნელებულ ხაზაში განმანდა გაბმული ღვრინვა. მცირე ხანს გაგრძნებულნი იდგნენ ღამენასვამი მწვერვალები, შაბიამნისფერს ნელ-ნელა მოერიო სიღამე. ერთბაშად ზეცის კალთა ძირს ჩამოიწიაო თითქოს, ერთორჯერ გაიღვა და წამოვიდა მერეხი...

მეფე და ტაძრული დარბაზში შებრუნდნენ. ყველანი გრძობდნენ, მეფის მტკიცე გადაწყვეტილება მეორე დღეს გამგზავრების გამო, ბაკურ ერისთავის შვილისშვილის ქორწილზე დასწრების ამბავი რომ არ იყო.

იგიც იცოდნენ: დავითს არ უყვარდა შიშის გამომგლავნება, არსებითად განძიდან მოსულმა ამბებმა დააფიქრეს იგი.

მიუხედავად ამისა, მსკიომოსილნი საშიშრად სთვლიდნენ მეორე დღით გამგზავრებას, ამიტომაც შეუჩინდნენ არსენ იყალთოელს: ქარიმან სეტეელი და ჩუხინი გაეგზავნათ წინასწარ, გზები დაეხვერათ და მერმე დავადგეთო გზას.

მეფემ მოუსმინა თავის მოძღვარს და მშვიდად მიუგო:

«მე ეს მხარე ნადირობითა მაქვს შემოვლილი, მამაო არსენ, მართალია ამ ხევებს უეცარი ამბობება სჩვევით, მაგრამ საქმე ისეა, დაყოვნება არ შეიძლება.»

ქარიმან სეტეელის დასაზვერად წინ წარგზავნას აზრი არა აქვს, რადგან ვიდრე იგი ამბავს მოგვიტანდეს, ერთ ორ დღეს დაეკარგავთ.

მოგესხენებთ, მე ამჟამად არც გუნება და არც მოცალეობა გამაჩნია საღბინოდ, მაგრამ ბაკურ ერისთავს ისეთი დიდი მსხვერპლი აქვს გაღებული მამულიათვის, მე არ შემიძლია, პატივი არ დავდო უსინათლო მოხუცს.

რაც უმთავრესია, მე არ მომწონს ლაშქრის ამირას სპიანად ჩამოსვლა განძაში.

ხშირად ერთი დღის დაგვიანებული საქმე მთელი საუკუნის სატირალი გახდება ხოლმე. მე მეშინია მღვდელმთავრებმა ვერ აიტანონ ეს სახიფათო გზე-

ბი. მე და ჩემი სპასალარები ომებსა და ნადირობაში ვართ ნაწრთობი, თუ საჭირო იქნება ცურვით გადავლახავთ ადიდებულ ნაღვარეებს, მწყემსების ბინებში გავათევთ ლამეს“.

იყალთოელი დადუმდა და დავითმა განაგრძო:

„მე მგონია ტაძრეულის წამოსვლა საშურო არაა, თქვენ და ეპისკოპოზები დაყოვნდით რამდენსამე დღეს. დიდი კარავი ჩვენ გამოგვყვება, მეკარვეთ უხუცესი და მებარგეთ უხუცესი თქვენთან ერთად წამოვლენა“.

როგორც არსენ იყალთოელი, ისე მოხუცი ეპისკოპოზები ერთბაშად შეეკედრნენ, მეფეს, რა კი აგრე საშუროა გამგზავრება ჩვენც დავადგებითო გზას.

მეფემ ნიანია ბაკურიანს უბრძანა მტორა მორკნეველის ნაცვალი, მურკიკნელი დაენიშნა ახლადგებული ციხისთავად.

ნიანია ძლიერ დააფიქრა ამ ამბავმა... არ გვიმხელს პატრონი, თორემ დიდ ამბებს მოელისო ალბათ.

უთენია მთელი ტაძრეული ფეხზე დადგა.

მეფემ თვალი შეავლო მყინვარწყერს, ერთადერთი ღრუბელი თავზე დადგომოდა მას ბრწყინვალე, როგორც მოოქროვილი გავალაკი.

დავითს ყორნისფერი ულავი მიჰგვარეს, ლამესავით შავი ძუფაფარიაანი; დავითს ეამა მასზე შეჯდომა, ცხენის კისრის სიგრძეზე მის უკან ცხენდაცხენ მომავალ ნიანია ბაკურიანსა და მახარას უთხრა:

„ამ ულავზე ჯერაც არა ვმჯდარვართ, ყოველი მათგანის გამოცვლისას მომინდება ასეთი რამ ვუთხრა ხოლმე ჩემს ცხენს:

ვნახოთ ჩვენთაგანი რომელი უფრო დიდხანს გაუძლებს მტრებს. ომში შეჭრული ვარ ცხენების სიბრალულისაგან. როგორი მშვენიერი, თავდადებული პირუტყვევებია ეს საბრალონი!.....

ჩვენ აღამიანები ვებრძვითა და ვხოცავთ ურთიერთს, ისინი უნებლიედ გვეწირებთან მსხვერპლად.

მე განმიცდია ბრძოლის დროს ერთობლივი გაგიება, რომელმაც ყველ ჩვენთაგანს შეიპყრობს ხოლმე, უნებლიედ მათაც დაეუფლება და ისინიც ხელდებათ“.

„განა მარტო ცხენები, სიტყვა ჩაურთო მახარამ, მე დავკვირებებივარ აქლემებისა და სპილოების გაცოფებას ომის დროს.

ხომ ასეთი უწყინარნი არიან თითქოს ისინი, ცხენებზე უფრო დიდი მძვინვარება შეიპყრობს ხოლმე მათ.“

მეფეს ისევ საომარი ცხენების გამო სურდა განეგრძო საუბარი, მაგრამ საცხენე გზა ისე მიეხალა არაგვს, ყურთასმენა აღარ იყო ირგვლივ. გაცოფებული ბაბრვიით ბრღვენიავდა არაგვი, დუფმორეული ლოშნიდა კლდეებს.

ორბები ზანტად დგებოდნენ ქარაფებიდან. მახარა წარამარა უთვალთვალედა ვიწრო ზოლს ცისას, რომელიც ქარაფების ზეთავზე მოსჩანდა. მახარა დავითს წამოეწია, უზანგები ერთმანეთს უსწორდებოდნენ ისე უთხრა მეფეს:

„ის მგლისფერი ღრუბლი არ მომწონს. მე შეშინია არ გაავდარდეს, ჩვენო პატრონო“.

„ეჰ რაც მოსასვლელია მოვიდეს, განგების ნებას ვერვინ დაუდგება წინ, მეც ვატყობ ის ღრუბლები უხეიროდ დაწანწალეებენ ცაზე“.

სტეფან-წმინდას უკვე გამოსცდნენ, როცა გაისმა ძალოვანი გერგვინვა ქუხილისა შორიდან, ცამ წარბები შეიკრა ანაზღად, ხელახლა დაიგრუხუნა და უხეირო ქარმა ააფორიაქა ცხენების ძუა და ფაფარი.

დავითმა სთქვა:

„უკვე მომწყინდა ამ ორ თვეში მღორე და უძრავი ცხოვრება. მე ისე არაფერი არ მახალისებს ამ ქვეყნად, როგორც, მენთა-ტენის განცდა კავკასიონის მთიანეთში, ჩემი სიჭაბუკე მაგონდება, უნებლიედ, მაშინ ამდენი დარდიც არა მქონდა და ჯიხვებს დავდევი დვალეთის მთებში.“

მე არც მინდა ვიცოცხლო მაშინ, რო-

ცა ბუნების ეგზომ დიდი ალტყინება არ აღმაფრთოვანებს“.

ჯერ კიდევ მოსჩანდა მყინვარი როცა წამოვიდა მთელი ლეგეონი მგლისფერი ღრუბლებისა და გარემოიკვეს ორკუნძიანი მწვერვალი, ისევ დაიგრუხუნა მთებში, ხეობებში გაისმა ძალღვანი გრიალი, მერმე რიტმული ბაგუნი, მინაგვარი იმ ხმებისა, რომელთაც გამოსცემს ხოლმე ხის ბოგირზე ცხენის ფლოკეების ცემა.

ირველივ მოტვლეპილი ქარაფები მოსჩანდნენ და გაქაჩლებული კორდები, ხანაც ურთიერთზე ზედახორად შემდგარი ლოდები.

ორი ამღვრეული ხევი მშვიდობით გადაიარეს ცხენდაცხენ. ნისლი დგებოდა ჯერაც სანახევროდ დათოვლილ მთებიდან, მხოლოდ მახარას სატალახო ცხენს შეემთხვა ხიფათი, იგი წყალქვეშა ლოდს წაეფორხილა და წინა მუხლებით ჩაიჩოჭა, მაგრამ შტორა მორკნეველმა და ნიანია ბაკურიანმა მიაგელვეს მასთან ცხენები, გულურასავით აიყვანეს მოხუცი ხელში და გადასვეს სამარქაფო ცხენზე, რომელიც მის უკან მისრატულს გინგილას მოჰყავდა კბალდაკვალ.

ამ გააგებული ხევის მეორე კიდემდის მისულნიც არ იყვნენ, მერეხი წამოვიდა მთებიდან, თვალის დაფახულებამზე ადგა ქარბორბალა და თოვლის ნამქერები დასძრა მწვერვალებიდან, ახალი მოლით ამწვანებულ ველებზე ხელახლა დააფრქვია თოვლი.

მახარა ენერგიულად უჩიჩინებდა მეფეს: კუმილის ციხეს შევაფართოთ თავი, თორემ ჩვენ მალე მივადგებითო ნაჯიხვარის ხევს. დიდროამ თუ მოგვისწრო, ცხენებიანად წაგვიდგებსო უთუოდ.

მეფე მიხვდა რომელ ხევს გულისხმობდა საჭურისი, მან კარგად იცოდა თუ მართლაც დიდროას არ გადაასწრებდნენ, იმ ხევს გადაღმა სამ დღესაც ვეღარ გავიდოდნენ, ამიტომ მოიხზო ათასისთავი ლათერია და უბრძანა მცირე სპა წამოეყვანა თან.

მაშინ შეაყენეს ცხენები, მაგრად მოუქირეს მოსართავეები და შეუდგნენ ცე-

რალმართულ გზებს. ნახევარი ფარსაგანი უკლდათ ნაჯიხვარამდის, ქარიშხანსკეტიელი და ჩუხჩთა ასეული წინ შემოეყარათ.

ქარიშხანმა უპატაკა ნიანია ბაკურიანს: ნაჯიხვარის ხევი ძლიერ ადიდებულა, სამგზის ვეცადეთ გადალაზვა და ცხენები ლამის იყო არ წაგვართვაო.

მეფემ არ ინდომა უკან გაბრუნება. გორის წვერზე ცხენი შეაყენა და გადახედა ადიდებულ ხევს, დასაგლეითიდან მომავალი ნიაღვარი აღარ ეტეოდა სადენში...

როცა აზვავებული ხევის სადენს მიადგნენ, ნიანია და შერგილი დაქვეითდნენ და ემუდარნენ მეფეს: სამეფო კარავს მოუუცადოთ, აქ გავათიოთო ლამე.

ნაჯიხვარი საშინელის გრიალით მოექანებოდა გაავებისკენ, თან მიჰქონდა ფესვიანად მოგლეჯილი ნამქვები და ჯახველის ხეები, დამხრჩვალი საქონელი და ხევის წისქვილების ნამუსრევები.

მახარაც დიდხანს ევედრა მეფეს: მოუუცადოთო-სამეფო კარავს, დავითმა გაუღიმა და უთხრა:

„თუ ნაჯიხვარიც ვერ გადავიარე, მაშინ არეზი როგორღა გადავლახო, თავათ განსაჯე, მახო“.


მახარამ დაიმართოხელა მეფე და წმენისაგან გაბზარული ხმით უთხრა:

„მთელს სამეფოში მხოლოდ მე მაქვს შენთვის სიმართლის შეუფარველად თქმის უფლება, ჩვენო პატრონო.“

მამად გერგები, ამიტომაც ვიბედავ: მამიჩემისეული სიჯიუტე შენც მოგდგამს, ავეთი იყო სულკურთხეული მამაი, ხმლით რომ აგეკება გულში ამოქრილს ვერ გადაათქმევიენებდი. არ ვარგა ამგვარი სიჯიუტე, ჩვენო პატრონო“.

„იცი ჩემო მახო, არაჯიუტებს ჯერ არც ერთი ომი არ მოუგიათ ამ ქვეყნად მე რომ ჩემდამი გულშემატყვიართა ვედრებისათვის ყური მიმეგდო, გეგუთის ბუხართან დავრჩებოდი მოლხენილი.“

სიჯიუტე აგებს ციხეებს და მათი ამდებშიც სიჯიუტეა, ლოკოკინებს ჯერ არც ერთი ომი არ მოუგიათ, არა?“



ესა სთქვა დავითმა და მცირე სპის წინამდგომი, ლათერია ახმობინა. და ხმადაბლა უთხრა მას:

„მე შეშინია მახარა და მღვდელმთავრები არ წარგვართვას წყალმა; ამიტომაც, ვიდრე ნალვარევში შევაგდებდეთ ცხენებს, საბელები მიეცით ხელში მხედრებს, კაცად კაცადმა უთვალთვალოს მოხუცებს... ისე მოახერხეთ, ათასეულმა შეჭკრას აღმოსავლეთისაკენ მდინარე წინასწარ“.

ქარიმან სეტიელს, დიდი გამოცდილება არა ჰქონდა წყლის სტიქიასთან ბრძოლისა, იგი დარცხენილი იყო ამ ჯერად, მაინც პირველმა დააპირა ცხენის შეგდება წყალში. შერგილ ლიბარტიანმა შეაჩერა იგი, ხუთმეტი ეგრისელი ცხენოსანი აიყოლია და აზვავებულ მდინარეში შეაგლეგეს ცხენები.

დავითი და ნიანია მიჰყვნენ მათ, ვადამღელი ნაპირი არა სჩანდა, ყოველ წუთში დიდდებოდა ხევი, ბოლოს იგი ისე აზვავდა, იმ ადგილებში, სადაც ეს ხევი არავის მიერთვის, უკვე ზღვად იყო დამდგარი.

დავითის ულაცი მდდგრად მიაპობდა წყალს, მხედარმა სადავე დაუმოკლა თავის ცხენს, რათა-დაენახა თუ რა ხდებოდა მის გარშემო. მცირე სპის ცხენოსნებით გაწყაბულნი მისცურავდნენ აღმოსავლეთით.

დავითს ეშინოდა: ვად, თუ მახარა გაიტაცოსო წყალმა, ერთბაშად თვალი მოჰკრა რომელიღაც ცხენოსანს ეცა ზათქით წამოსული მდინარება, ცოტა ხანს აბურთავა მხედრიანად იგი, მერმე აღმოსავლეთისაკენ წაიღო ცხენიცა და მხედარიც.

დავითს მახარა ეგონა, მხარმარცხნივ მოულრიჯა თავის ულაცს კისერი, თანაც განიზრახა: წამოეწევიო წყალწალებულს, მახარა მიეჭრა მეფეს, და იყვირა:

ქარიმან სეტიელი გაიტაცაო წყალმა. დასავლეთისაკენ ატყდა ყიფინა, ათასისთავმა ლათერიამ უყიღლა თავის ცხენოსნებს, ათი ვაჟკაცი გადაეშვა ცხენებიდან და ქარიმან-სეტიელი ცურვით გა-

იტანეს სამშვიდობოზე. ჩუხჩნი მისედნენ, ხელ ფეხში ხელები წაყვედნენ და აქანავებდნენ.

როცა იგი მოსულეირდა, მეფე თავზე წამოადგა ჩუხჩარხს, დიმილით უთხრა:

„მე უფრო მეტ ვაჟკაცობას მოველოდი ქარიმან შენგან“.

„რა ვქნა, მეფეე ბატონო, ჩვენ სენები ხმელეთზე ურიგოდ არა ვხმარობთ ხმალს. ხოლო წყალში ხელების გაქნევასაც ველარ ვახერხებთ“.

მწყემსების ბინებადის საკმაოდ დიდი მანძილი იყო დარჩენილი.

მთებში ჯერაც ცივოდა, ამიტომაც ბრძანა მეფემ: ოთხახმით წაეყვანათ ფარეხებადის ცხენები. აქ უკვე გამწვანდა ცხენების ჭენება, რადგან მთელი ხეობა დაეკავებინათ ცხვრის ფარებს.

ნიანია ბაკურიანმა და შტორა მორკნეველმა მიასწრეს ფარეხებადის პატრონს.

მწყემსებს არა ერთხელ ენახათ დავით მეფე შორიდან, მიუხედავად ამისა, შტორა მორკნეველი მეფე ეგონათ, თავყვანისსცემა დაუპირეს, მაგრამ მომღიძარე მორკნეველმა დაასწრო:

ჯერ კიდევ გზაშიაო პატრონი.

როცა დავითი მწყემსების ბინებში შევიდა, ახლადმოსულები ხან მას შესცქეროდნენ, ხანაც აზნაურ მორკნეველს. კარგად ვერ გარკვეულიყვნენ ამ ორთაგან რომელი იყო მეფე? მოხუცებულმა მცნობმა ლევანამ შეიწყო პატრონი, რადგან მას ზედაზენის ბრძოლაში დაედლო წილი.

ბატკნები დაკლეს და კოცონები გააჩაღეს.

სარქაოს, ლევანს ერთი მოშინაურებული ფოთრი ჯიხვისა ჰყოლოდა ფარაში, ხელი წამოსუვა, უნდა დაეკლო მეფისათვის. დავითმა არ დაანება.

მე პირველად ვნახე ცხვარში გარეული ჯიხვი, ნულარ მოუსწრაფავითო სიცოცხლეს ამ ლამჯს.



მახარამ მკლავები წაიკარწახა, მწვა-  
დების აგებაში შევლოდა, ხუმრობდა:

ახლა მე ვარო მზარეულთუხუცესი.  
დავითი და სპასალარები ცეცხლს  
ეფიცებოდნენ, ზეზეურად იზრობდნენ  
დასველებულ სამოსელს.

დავითმა ლევანას უთხრა:  
„მე ხშირად ვწვევივარ ღამის გასა-  
თევად მწყემსებს, მაგრამ დოლის დროს  
ვერასოდეს მოვხვდი, ეს მითხარი ჩემო  
ლევანა, რამდენი მწყემსი უვლის დო-  
ლის ეამს ცხვარს?“

„დოლის დროს ას ცხვარზე ერთი კა-  
ცია მიჩინილი, მეფევე ბატონო, ერთი-  
ცა ღამხმარე. ღამხმარე მთელი ღამე  
ძილფიზლობს. თუ რომელიმეს აპტკა-  
ვა მუცელი, დაულოდინებს, ჰალს მია-  
ნათებს და წაეშველება. ახლადმოგებუ-  
ლი ბატკანი ცალკე გადაჰყავს.“

ცხვარი რა მაადებს, გაალოკაჰს ბატ-  
კანს, მეგრე მააწუებს, თუ არ მააწუა,  
მწყემსი მააწუებინებს.

ღამე რა მაადებს ცხვარი, თავათ გამ-  
წვევებულა და დააძინებს. ბატკანი  
აღგება და სიარულს დაიწყებს და გა-  
ითხუნება ფუნითა.

ღედა დააძულებს გათხვარილ ბატ-  
კანსა, თავისი სული რა აღარ აადის.  
ამას დააძულება გვიქვიან.

თუ ბევრი მაადგროვდა ახლადმოგე-  
ბული ბატკანი, მე გამააღვიძებენ. ას  
ცხვარსა და ას ბატკანში მე უნდა გავაა-  
რჩიო რომელი რომლისაა. ზოგი თუ  
ძულობს, ზოგი იყურობს.“

მეფემ გაიხუმრა: „ზოგი კაცი მე და  
შტორა მორკნეველს ვერ გვარჩევს ურ-  
თიერთისაგან, შენ ამდენ ცხვარსა და  
ციკანს როგორ არჩევ ერთმანეთისგან  
ჩემო ლევანა?“

„უფალი მშველის. მეფევე ბატონო  
აქაი.“

„რამდენი წელია, რაც ცხვარს ემსა-  
ხურები ლევანა, ჰა?“

„სრული სამოცდაათი დედისმზემან“.  
დავითს იამა: დედისმზეს რომ იფი-  
ცავდა მოხუცი მწყემსი.

უთენია ძელსა ჰკრეს ბაკურის ციხე  
ში. ციხე-სასახლეთა ბინადარი გამო-  
აღვიდა ცხენების ქიხინმა და მგლ-  
ძალებების ყეფამ.

მოხუცები და ქალები ბალღებივით  
ქვითინებდნენ დავით მეფისა და ბაკურ  
ერისთავის შეხვედრის მაკეკრალნი.

დიდი ცაცხვისქვეშ, ფერხით დაუ-  
ვარდა უსინათლო ერისთავი პატრონს  
და მუხლის თავებზე დაუბირა ამბორის  
ყოფა, მაგრამ მეფემ არ დაანება, წა-  
მოაყენა და შუბლზე ემთხვია მოხუცს.

„მაღლი უფალს, შენი ამბორის ღირ-  
სი რომ გამხადა მეფევე ბატონო, მე ყვე-  
ლაფერი შევსწირე ჩვენს სათაყვანებელ  
სამშობლოს, მთელი ჩვენი გვარი ამოწყ-  
და საქართველოს მტრებთან ბრძოლაში,  
მაგრამ ერთადერთი შვილიშვილი კიდევ  
შემრჩა და ისევე როგორც აბრამმა ჰენა,  
მასაც მსხვერპლად შევწირავ მეფესა და  
მამულს, თუ საჭირო გახდა.“

„მართებულად ბრძანებ, ერისთავთ-  
ერისთავო, დღესდღეობით ჩვენს ქვეყა-  
ნას ისე უჭირს, დედისერთებმაც უნდა  
გასწირონ თავი.“

მეც დედისერთა გახლავარ, მაგრამ  
ერთის ნაცვლად სამი სიცოცხლე რომ  
მომიზლო არსთაგანმრიგემ, სამივეს  
შევწირავდი მამულს, რადგან თავგან-  
წირვის გარეშე ჯერ არავის გაუმარჯუ-  
ნია.

მიწა და ღმერთი უსასტიკესად განმ-  
კითხავნი არიან, ისინი სისხლს მოითხო-  
ვენ ჩვენგან, არა მარტო სისხლს, უკა-  
ნასკენელ ამოსუნთქვასაც“.

ვიწროსარკმლებიან ვარაზისეულ სა-  
სახლეში ჯერაც ბნელოდა, ამიტომაც  
მემამუხალეთუხუცესი და სამი მემამუხა-  
ლე შეუძღვნენ მეფესა და ტაძრულს  
ღარბაზონში.

დავითი ფრიად დაქანცული იყო, მა-  
ინც გულდასმით ათვალერებდა კლარ-  
ჯეთელი ხუროთმოძღვრის მიერ აგე-



ბულ სასახლეს, რომლის გამო მრავალი საკვირველებანი ჰქონდა განაგონი.

სასტუმრო დარბაზის კედლებზე ხმალშემართულნი მოსჩანდნენ მოოქროვილ თორში ჩამსხდარი, გაჯგიმული ერისთავები, ეანგისფერი მუზარადები და დაფანჩვული, შავი თმა-წვერი ომახიან გამომეტყველებას მატებდა ნახევრად ბნელში მათ.

მეფემ თვალი დაადგა კლარჯეთელი ხუროთმოძღვრის ფრესკას, მახარას მკლავში ხელი წაავლო, ყვრიმალთან მიუტანა ტუჩ-პირი და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

„ქარგად დააკვირდი მახო ამ ხუროთმოძღვრის ხუჭუქა თმას, დახე, ორი, ოდნავ, სულ ოდნავ შესამჩნევი რქაა მოუჩანს კუპრისფერ კულულებს შორის, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვილ ფოთრს ჯიხვისას ამოსდის ხოლმე“.

მახარამ მემამულეს უბრძანა კედლისთვის მიენათებინა ქალი, მცირე ხანს გაოგნებული შესცქეროდა ფრესკას და მერმე წაიღუდუნა:

„მართალსა ბრძანებ, ჩვენო პატრონო, ორი, ოდნავ შესამჩნევი რქაა მოუჩანს ხუჭუქა თმებიდან“...

მწუხრის ლოცვა მოათავა თუ არა იყალთოელმა, მეფემ დაითხოვა მესაწოლე ბერი იოაკიმი და ეუბნებდა თავის მოძღვარს:

„თუმცა მრავალი რამ განაგონი მაქვს ვარაზის ციხეში მომხდარი უბედური ამბების გამო, მაგრამ დღემდის არ ვიცი რა მოხდა? თავის დროზე მთელი სამეფო შესძრა ამ საშინელებამ.“

საქმე ისაა, რომ დღესაც არავინ არაფერი იცის არც კლარჯეთელი ხუროთმოძღვრის გაუჩინარებისა და არც ვარაზ ერისთავისა და მისი ვაჟების მუხანათურად დახოცვის გამო.

თავის დროზე ერთნი აგრე ამბობდნენ: ვარაზ ერისთავს ნახევარი ძმა ჰყავდა ვაჩე, ბიზანტიონში გახიზნული, სწორედ ის ვაჩე ეღავებოდა ვარაზს მამისე-

ულ ციხეს, იგიცა სთქვეს, ვაჩე ჩამობრუნებულაო სამშობლოში იღუპულაო და ხმლით აუკეპიაო ვარაზი და მისი შვილები. სხვანი სხვას ამტკიცებდნენ, საესეებით უცნაურს“.....

„ამ ამბების გამო მეც მსმენია ზოგი რამ მეფეე ბატონო, მაგრამ ამ სოფელიურ იღუმალებათ ვინ გაართმევს თავს. საიღუმლო იმდენია ამ ქვეყნად, რამდენიც ხის ფოთოლი, ან მნათობნი ვარსკვლავეთისა“.

„ეს მიბრძანე მამაო არსენ, შენ როგორა ფიქრობ, თუ დადგება ოდესმე ეამი, როცა ამ სამყაროს იღუმალებათ შეიცნობს კაცი?“

„ეჰ, ბუნება წიგნსა ჰგავს მძიმედ ამოსაკითხავს ჩვენო პატრონო, ისე როგორც ნება-ნება გახსნას კაცმა ვინმემ საკითხავი თვისი, სტრიქონ-სტრიქონ ამოიკითხოს, თანდათანობით შეიცნოს იგი, აგრევე ხდება იღუმალებათა ამოცნობა ამ ქვეყნად.“

იღუმალებას რომ ერთბაშად საფარველი აეხადოს ადამის ძე შეკრთება, და შესაძლოა გაოცებისაგან გული გაუსქედეს კიდევაც. მოგეხსენება, მთვარეული აღგება ხოლმე თავის საწროლიდან ცნობამიხდილი და სახლის სახურავზე გაეკიღუმალ ალღოს აყოლილი.

აგრე ამბობენ: იმ წუთებში მთვარეული რომ გამოაღვიძოს ვინმემ, წონასწორობას დაჰკარგავს და გადაიჩიხებიაო უფსკრულში.

მე აგრე მგონია მეფეე ბატონო: ადამის მოდგმა საბოლოოდ თუ გამოფხიზლდა, შემკრთალ მთვარეულსავით დაიღუპება უცილოდ“.

დავითმა სთქვა:

„სამყარო ბუნებისა თვალშეუღვამთ ბნელის საუფლოა, ხოლო სამყარო ღმრთისა — მარადეამული სინათლის ხელმწიფება. საბრძანისი ღმერთისა — ცათა უფსკრულია და მისი მეუფება გარდაუვალი დარჩება განკითხვის დღემდის, სავანე ბელიარისი-ქვეყსენელთა სიმრუმეა, ეშმა მღუმარე უღაბნოთა დაციცაბო ქარაფთა ბინადარია, ღამეული გრიგალია მისი მუღმივი ეტლი, ბელიარს ხელთუბყრია გულარძნილობისა და



სიძვის სადავენი, მის ნატერფალს თან  
შოსდევს ცეცხლი და სიკვდილი...

ეს სამყარო მარჩბივ კავშირთა შეწყ-  
ლებისაგანაა შექმნილი.

ღმერთი და სატანა  
მიწა და ეთერი...  
ჩრდილი და შუქი...  
ცეცხლი და წყალი...  
სიმაღლე და სიმდაბლე...

ბოროტი და კეთილი...  
მამრი და მდედრი- ესენი მუდმივ  
ბრძოლას ეწევიან ურთიერთის მიმართ.  
ათორმეტ კავშირთა შორის ექვსი ცისი-  
ერია, ექვსიც უკუნეთისა. ათორმეტ მნა-  
თობთა შორის ექვსი მიწისმიერია, ექვ-  
სიც ცეცხლისმიერია“...

„უკვე მამლები ჰყვივიან, მეფევე ბატო-  
ნო, და მოკლედ მოგახსენებ: ამქვეყნიურ  
საიდუმლოთა უფალია, ანგელოზი უფს-  
კრულისა აბადონ.“ დასძინა არსენმა.

ამ საუბრის შემდეგ დიდხანს არ ეძინა  
მეფეს, საერთოდ იგი მთელი ღღე უგუ-  
ნებოდ იყო, ზაგიდან არ შორდებოდა ის  
უსიამო გემო, რომელსაც ცხვრის ხორ-  
ცი სტოვებს ხოლმე განსაკუთრებით  
ზაფხულობით, ცხვრის სუნი ჰქონდა  
აკვირებული და გული ერეოდა ოდნავ.

მესაწოლე ბერს, იოაკიმეს უბრძანა:  
ჩემს სახელდახელო საწიგნედან იბნ-  
სინას ფოლიანტი ამოიღეო.

როცა „სააქიშობა სულისა“ მოუტანეს,  
მან თავთ მოსტებნა და ამოიკითხა:

„აპალუჯი-ალოე-პინდური მცენა-  
რე. პირში გამოივლუ, კეთილსურნელე-  
ბასა და საამურ გემოს შეგიქმნის“.

მხარამ ექიმი ქაჩიბაისძე ახმობინა  
მესაწოლე ბერს, აქიმმა მთართვა მეფეს,  
აპალუჯი-ალოე.

გულის რევა შეუნელა ამ წამალმა  
დავითს, მაგრამ მაინც გათენებამდის  
ფურცლავდა და კითხულობდა იბნ-სი-  
ნას...

უსინათლო ბაკურ ერისთავიც გრძნობ-  
და დავითი უგუნებოდ რომ უჯდა სა-  
ქორწილო სუფრას ამოდ მიართმევდ-  
ნენ მას ირმის მწვადებს, ორაგულსა და

თართს, არც თუ რქიანად შემწვარი  
ჯიხვებისთვის უხლია ხელი...  
ბაკური წარამარა გამოჰკითხავდა მეს-  
ტერიეთუხუცესს, თუ რაიმეს მიირთ-  
მევსო მეფე?

„მცირეოდენი ორაგული ინება, ეგ  
არის და ეგ.“

ღვინოს თუ სვამსო?  
საუკეთესო ღვინოები მივართვით, პი-  
რიც არ დააკარაო თავის ფილას.

მხარამ ანუგეშა შემწვარი მას-  
პინძელი. გუშინ ძლიერ დაქანცულნი  
და დამშეულნი ვეწვიეთ მწყემსებს,  
ცხიმოვან მწვადებს დავხარბდით და  
ორივეს გვაწყინაო ცხვრის ხორცმა. წუ-  
ხელ აპალუჯი ალოე ვასვითო მე და  
ექიმმა ქაჩიბაისძემ გამომჯობინდაო  
ოდნავ.

ახლა ეს უბრძანა ბაკურმა მესტუმ-  
რეთუხუცესს: ვალანგის სახელობის  
ქვევრიდან ამოღებული ღვინო გაასინ-  
ჯეთო პატრონს.

თავთ ბაკური მიეძალა მეფეს. უქებ-  
და თვრამეტწლიან ღვინოს, უამბობდა,  
ვალანგის დაბადების ღღეს ჩავასხმევი-  
ნეთო ეს ღვინო.

დავითმა თავაზიანად მიუგო:  
„მე თეთრი ღვინოები ვავსინჯე ცოტ-  
ცოტა, წითელს ზაფხულობით არა ვსვამ  
ერისთავთ-ერისთავო“.

ამის თქმა მოასწრო მეფემ და უცნაუ-  
რი ჩოჩქოლი მოისმა სუფრის მეორე  
თავიდან, სადაც ნეფე-დედოფალი და  
მაყრები ისხდნენ. დავითმა შენიშნა თუ  
როგორ შეჰქანდა უზარმაზარი ღვე-კა-  
ცი, ჰაშნაგირი.

ვიდრე ჰაშნაგირს საკაციოთ გაიტან-  
დნენ, სიღონია ქვეთინით მიეჭრა მე-  
ფესა და იყალთოელს და შესტირა:

ნეფე-დედოფალიც ავად გახდნენო.  
მღელვარება და ჩოჩქოლი მთელ სუფ-  
რას მოედო, ახლა მაყრები გადავარდ-  
ნენ საკარცხლულებიდან. ბაკურ ერის-  
თავმა წამოდგომა სცადა, მაგრამ წელი  
ველარ აიტანა.

მეფე და ტაძრეული თავზე წაადგ-  
ნენ ცნობამისდილებს. კარის ექიმი ქა-

ჩიბაისძე სასოწარკვეთილი თავს დასტრიალებდა ავადმყოფებს.

დავითმა იოაკიმე ახმობინა მესაწოლე ბერი და უბრძანა:

„სააქიმოა სულისა“. მომიტანეო ახლავე.

მეფე ჯერ თავათ ფურცლავდა ფოლიანტს, მერმე მახარას მიუბრუნდა:

„შხამებთან ნახეო.“

მახარამ დიდხანს ეძია და ბოლოს გადათარგმნა:

„თრიაქი-ბაძახრ, ჰკლავს ქვეწარმავალს, ჰკურნავს გველის გესლით მოშხამულთა, გველცემულთა და მორიელი-საგან ღაქბენილთა, გაცოფებული კაცი-საგან, ცოფიანი ძაღლისაგან და მძვინვარე ბაბრისაგან დაკბილულთ, ზღვის დრაკონისაგან დაშავებულთ, სომხური ისრისაგან დაშხამულთა“.

მთელი ღამე თრიაქ-ბაძახრს ასმევდნენ ავადმყოფებს.

იმ ღამეს მეფე და ტაძრული გვიან წაიღინენ ვარაზისეულ სასახლეში დასასვენებლად. დავითმა დიდხანს იკითხა სააქიმოა სულისა, ბოლოს მესაწოლე ბერს, იოაკიმეს უბრძანა ერთადერთი სასანთლე დაეტოვებინა კედლის ნიშში და წიგნი დახურა.

ფოცხვერები ღნაოდნენ სადღაც ისევ დადუმდებოდა ბუნება, ვარაზისეული ირმების ფრუტუნე ისმოდა, ბოლოს ამას ყოველივეს სცვლიდა ამობოქრებული ხორხოცი რომელიღაც ტყუურისა, როგორც ცაში აჭრილი მუდარა აღტყინებული სულიერისა მეფე საწოლიდან წამოდგა, ერთადერთი სანთელიც ჩაქრა — და პირვეე დაწვა. ძილი უკვე აბამდა მის ქუთუთოებზე თავის პოტივს, ერთბაშად უეცარმა კლრიალმა შეაკრთო მთელემარე. აგრე იფიქრა: ციხის ეზოში ფარი გაუვარდაო. ღამეულ გუშავს ხელიდან.

ისევ მილულა დავითმა თვალი და კვლავ მოისმა ჯღრიალი, იდაყვებზე წამოიწია და ხედავს ბერძნული ცეცხლის

მინაგვარმა ელვარებამ გაანათა ის კედელი, რომელზედაც კლარჯეთელი-ხეროთომოდერის ხატება ეგულეზობოდა.

დავითმა თვალები მოიფშვინტა, ახლა უკვე თვალნათლივ ხედავს: თმახუჭუჭკარაინდი გადმოვიდა კედლიდან, გველისპირული ხმალი იწიშვლა და მწოლარე მეფისაკენ გამოეშურა...

დავითი ზეწამოიჭრა და სასთაულთან დადებულ ვადაჯვარიან ხმალს მისწვდა.

მეორე დღეს გაიმართა ნამდვილი ნალიმი. მეფეც ჩინებულ გუნებაზე იყო, თეაზიანად ემასლათებოდა გახარებულ ბაკურ ერისთავს, ჰპირდებოდა კიდევ ერთ დღეს დაეყოფო შენას.

მესტუმრეთუხუცესი ეახლა ერისთავთ-ერისთავს და მოახსენა: ვალანგის სახელობის ქვევრი დაცვალეთ, ფსკერზე ვიპოვნეთ მაისის გველის გახრწნილი ჩონჩხი.

ცხადი გახდა: როცა თვრამეტი წლის წინად ტბილი ჩაუსხამთ, ქვეწარმავალი ჩაპარულიყო შიგ. როგორც ნეფე-დედოფალი, ისე მაყრები უვნებლად გადაჩნენ, ერთადერთი გინგილა დაიღუპა მახარას მისარტული, რომელსაც უზომოდ უსვავს მოშხამული ღვინო.

მეფე მეორე დღემდის აპირებდა ბაკურ ერისთავთან დარჩენას, მაგრამ ნაკარმაგვეიდან მალე მსარბოლი მოვარდა გიორგი ჰყონდიდელი სასწრაფოდ მობრძანებასა სთხოვდა პატრონს.

მეფე და ტაძრული დაუყოვნებლივ აიყარნენ. მცხეთამდის ოთხახმით მიჰყავდათ ცხენები.

თითქმის მთელი გზა სდუმდა დავითი, მხოლოდ როცა ბებრის ციხეს გასცდნენ და სვეტი ცხოველის სილუეტი გამოჩნდა თვალსაწიერზე, დავითი ეუბნებოდა მის გვერდით ცხენდაცხენ მომავალთ: არსი იყალითოელსა და ნიანი ბაკურიანს:

„ნოა რაი უწყი თუ რა არს კონცხა მას შინა, ან რასა თაყვანასა ვცემთ?“

**ავტორისეული მინაწერი**

თითქმის რვა ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, წრეულს ვიმზავრე კავკასიონზე. სამ დღეს დაჯებტილობდი უკაცრიელ მთებში, ძლივს მივაკვლიე იმ ადგილს, სადაც ვარაზისა და ბაკურის ციხეები მეგულეობდა.

ვარაზისეული დღესაც შეუშუსვრელი სდგას ვეფხისფერ ქარაფებს შორის, ბაკურისეული ჟამთა სიავესა და მიწისძვრებს დაუქცევიათ.

მათ ქვემოთ ერთი პატარა, მთიულულე სოფელია კლდეებს შორის შეყუ-

ეული, იმ სოფლის ნახუცარმა, ასე წლის მოხუცმა მიაგმო ასეთი ლეგენდა...

დავით მეფემ უაქიმას მტკვარწინებებს, რომელთაც ქვევარში გახრწნილი გველის გესლისაგან სიკვდილი მოელოდათ, მაშინ განრისხდა ეშმა, ვარაზის ციხის ამგები.

საკუთარი ხატებისაგან გადმოიქრა და ხმლით შეებრძოლა დავით მეფეს, მაგრამ სირცხვილეული გაიქცა ციხის სარკმლიდან.

ვარაზის ციხეს, ეშმაკის ციხეს უწოდებდნენ ამჟამად ხალხი, დასძინა მოხუცმა.

**V. ბროწეულის კვეთ გამართული დიალოგები**

გიორგი მეფე აგრე ვარაუდობდა: ვალანგ ერისთავის ქორწილი რამდენსამე დღეს გასტანდა, ასე რომ დავითი მხოლოდ ერთი მზგეფსის შემდეგ თუ უწევსო ნაქარმაგებს.

ქყონდიდელი ლელავდა, წარამარა აგზავნიდა მსტოვარებს განძაში... მას საეკოდ მიაჩნდა უკანასკნელად მიღებული ცნობა: სელჯუკიანთა ლაშქრის ამირა, შიხ-ალდინ ახმეტ განძის ათაბაგის, ამირ გოზგოლის მეშვიდე ქორწილზე დასასწრებლად უნდა იყოსო ჩამოსული ისპაჰიდან.

გიორგის სასაცილოდ არა ჰყოფნიდა ჰონდიდელის ასეთი იკვი: „შენ რა გგონია ვეკო, განა სელჯუკიანთა სულტნები და ამირები არ ქეიფობენ? ქეიფობენ და მერმე როგორ? ეგეც არ იყოს, მათ ამჟამად ჩვენთან შეებრძოლების თავი სადღა აქვთ?“

სტრატეგმა ნოტარმაც კვერი დაუკრა მეფეს:

„ამას წინად კონსტანტინეპოლიდან მაცნობეს: ბოჰემუნდსა და ბალდვინს კიდე ერთხელ დაუმარცხებიათო სელჯუკილები შაიზართან, ასე რომ ჯერ-ხნობით მთელი გულისყურით სირიისა და პალესტინისკენა მიქცეული. ეგეც იცოდეთ, ვინძლო მათ კახეთ-ჰერეთში შემოქრა გაბედეს, აქ არა ვარ? თუ მომენდობით მე უსსარდლებ ქართული

ლაშქრის გულს და თავებდს ვაწყევლინებ შიხ-ალდინ ახმეტს.“

სოქვა სტრატეგმა და გიორგი მეფეს გაუმართა მზერა. მრავალნაცადი ბიზანტიელი დიპლომატის თვალმაც ვერ ამოიკითხა გიორგის სახეზე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ სიტყვებმა მასზე.

ყველაზე უფრო მეტად მარიამ დედოფალი შეაძრწუნა განძიდან მოსულმა ახმეტმა. დავითი და მისი სპასალარები აღარსად სჩანდნენ, ეს ორი მოხუცი: გიორგი მეფე და გიორგი ქყონდიდელი როგორღა გაუმკლავდებიანო მტერს?

ნოტარის ნათქვამი ხელზედ დაიხვია მარიამმა და დაბეჯითებით ურჩევდა გიორგი მეფესა და ქყონდიდელს: დავითის ჩამოსვლამდის ნუ გაუმგებთო ნოტარსა და ბიზანტიელ სტუმრებს.

ქყონდიდელმა დუმლით მოუსმინა მარიამს, ხოლო გიორგი მეფემ გაიღიმა:

„მე როგორც ვატყობ ეს ბებერი სტრატეგი ისე გაგიმიჯნურებია, ვგონებ გაის ამ დროსაც აქ იქნება, მაიკო.“

კონსტანტინეპოლელი მანდილოსნების მიერ უზომოდ განებივრებულ აბჯროსან აპოლონს ჩინებულად ჰქონდა შეთვისებული არა მარტო საომარი, არა-

მედ სადიაციო სტრატეგია. ნოტარი აგრე იქნაღოდა:

ჯერ არც ერთი ციხე აგებულა, არც ქალი დაბადებულა ისეთი, ჩემს იერიშებს რომ გაუძლოსო.

ეგვე მართალია, მას ლანჩები ჰქონდა გაცვეთილი მარიამ დედოფლის სასახლეში ამაოდ სიარულისაგან, მაგრამ მარიამი თავისი უკარებლობითაც იყო ცნობილი კონსტანტინეპოლის პატრიციულ წრეებში, შეუფარველად ეუბნებოდნენ კიდევაც ნოტარს:

მარიამი ქართველი ქალია და მიტომაც არისო ასეთი რიგორისტი.

აბჯროსანი აბოლონი სულ სხვა რიგად მსჯელობდა ამ შემთხვევაში:

ეკ, ქალი, ქალია, ქართველი იქნება იგი თუ ბერძენი, ქალთაგანს ყველას განა მართო კჳუა, მუხლიც სუსტი აქვსო. ბოლოს მან ამით ინუგეშა თავი: მარიამი ბაგრატიონთა ქალია და ბუნებრივად გაურბისო არამეფური სისხლის რაინდთან მიჯნურობას.

ამურულ საქმეებში მარადის გამარჯვებულს არ უნდოდა ნაქარმაგვეიდან ხელმოცარულად წასვლა. ამჯერად რა დარწმუნდა, იმპერატორისას „შაკის“ დასასრული არ უჩანდა, მტკიცედ გადასწყვიტა: შამან ერისთავის ასულს გამიჯნურებოდა...

დილაობით ნოტარი სასახლის ბაღში ზედებოდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ გვანცას, თავაზიანად მიესალმებოდა, შეაყენებდა, ნიკაპზე მოუცაცუნებდა, ისე როგორც უმანკო ბაღს მოეფერებოდა ხოლმე, ხან თმებზე ხელს გადაუსვამდა.

ერთხელ ათქმევინა კიდევაც მარიამ დედოფალს: ჩემი უფროსი ქალი სწორედ შენი თანაკბილააო.

ერისთავის ასულს თავდაპირველად მამობრივი გრძნობის გამოვლინება ეგონა ეს ყოველივე.

ერთხელ ნასამხრალზე ნადირთა საჩიხეს მახლობლად შემოხვდა გვანცა სტრატეგს. ნოტარი მოეშვა დავით მეფის ქორ-მიმინოთა ჰერეტას, გულდა-

გულ მიეხალა ქალწულს და ლოყაზე უჩქმიტა ნაზად.

გვანცა გაწითლდა და მარა მიტეგნა.

სტრატეგმა ეს დუმილი სხვარიგად ახსნა, ახლა მკლავი გადახვია მხარისთაზე და მკერდზე მიხუტება მოუნდომა, გვანცა მკლავის ქვეშ გაუტერა მას და ბალღივით გაიქცა.

ამ უმნიშვნელო შემთხვევის შემდეგ გვანცა საგანგებოდ ერიდებოდა მასთან შეხვედრას, ეშინოდა: რაიმე წყენა არ მივაყენოვო თავაშვებულ სტუმარს.

ბოლოს ქალს ისე მობეზრდა ეს დაქინებული აშოკობა, შეუძლოდ ყოფნას მოიმიზუნებდა და სასადილო დარბაზშიაც არ მოდიოდა ხოლმე.

მარიამის მახვილმა თვალმა ეს შენიშნა. დაჰკითხა კიდევაც გვანცა, ხომ არ გაწუხებხარ ეს თავაშვებული სტრატეგი? გვანცა გაწითლდა, მანაც გულდასმით იუარა.

ახლა გვანცას არც თუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების ისტორიის გამო დაუწყო გამოკითხვა კუროპალატისსა მელიტას სტრატეგმა.

მელიტამ რომანტიულად გაუშუქა მას ის ამბავი თუ როგორ გამოექცა გვანცა თავის საქმროყოფილს, არგვეთის ერისთავის ვაჟს და ქარაფზე აღმართულ ციხილამ როგორ გადმოეშვა თოკის კიბითა.

ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ ნოტარმა შერაცხა გვანცა ისეთ დიდგვაროვან ქალწულად, რომლის მინაგვარი ენახა მას ბიზანტიის იმპერატორების და სხვა ქრისტიან მბრძანებელთა სასახლეებში, მეფეთა და კარისკაცთა სალალობოდ და სათრეველად, ყმაღნაფიც ფეოდალების ოჯახიდან ჩამოყვანილი.

ებიფანე არამსელი დაკვირვებული კაცი იყო, ამიტომაც მან შეამჩნია დღითიდღე თუ როგორ ჰკარგავდა წონასწორობას მსცითმოსილი სტრატეგი. ერთხელ ნასმურევზე ამგვარი გაბუმრებაც შეჰხვდა მას:

როგორც გატყობ შემოდგომას გაე-

ცალე და გაზაფხულისაკენ გადაიხარე სტრატეგო ბატონო!“

ნოტარი მიხვდა ამ იგავის შინაარსს, ომახიანად ჩაახველა და დაიბუხუნა:

„ეჰ, რა გაეწყობა იმპერტიმ, ეს ორი უმშვენიერესი დრო მიყვარს ეამთა ამ უწყალო სრბოლაში. ეგ თეძოსრული კოლხი გოგონა მე ძლიერ მაგონებს ჩემს მწითურ თაშატს რატომღაც.“

აბა რითი გაერთოს ჩემებრ სევგამ-წარებული კაცი ამ წუთისოფელში? სულეურთხეულმა მამა ჩემმა ამაოდ ამიგო მონასტერი ჩემს სასახლეში, ჯერ გული არ მიწევს ბერულ ჩოხისაკენ.

ჩემნა დაგვარგე ხვალინდელი დღისა, ჩემი სამშობლო. უფსკრულის კიდუნეა მისული, ახლა თუნდაც ოცი წლის ებუკიც რომ ვიყვე, ვეღარას ვუშველი მას.

მე წინასწარ ვგრძნობ: როცა შლეგები გამარჯვების ზეიმს იწყებენ, იქ უცილოდ კიდევ ერთი ნაბიჯი აქვთ გადადგმული უფსკრულისაკენ.

ამიტომაც განზე გავუდგე ამ წუთისოფელს, რათა ჩემივე სამშობლოს დაღუპვაში წილი არ დამიდოს მომავლის შემატანემ. მოგესხენება იმპერტიმ, ამ ქვეყნის ძლიერთა წესია აგეთი: ისინი არავის აპატიებენ ჰკუას, რადგან კარგად იციან მისი პატრონი მლიქვნელებად არ გამოადგებათ. ეგეც ცნობილია: ყოველ მეფეს, ყოველ ხელისუფალს უთუოდ ესაჭიროება მლიქვნელი, რათ მან ქებით გაიმზნოს თავი.

ამ ქვეყნად ორი რამ არის საფრთხილოდ მოსახმარი, იმპერტიმ: ჰკუა და ოქრო, რადგან ამ ორი საგნის პატრონებს მოელით უდიდესი საფრთხე. მე ორდენი მომცა უფალმან, მაგრამ ჯეროვნად ვერ მოვიხმარე როგორც სჩანს.

ჰკუა ოქროზედ ძნელად მოსახმარია იცოდე, ადამიანი სწორედ მაშინაა უდიდესი განსაცდელის წინაშე, როცა იგი თავის თავს დაირწმუნებს: ყველაზე მეტად ჰკვიანი მე ვარო.

ასეთ დროს მას თავბრუ ესხმის, წო-

ნასწორობას ჰკარგავს და მთელ ქვეყანას მოუნდომებს გადათქვრუნას რადგან ქვეყანა ყოველ კაცზე უფრო ძლიერია, ბოლოს მას უთუოდ მოაშთობენ.

ასეთი თავბრუდახვევის დროს მიხრიკა ჩემმა ნაცვალმა კურკუასმა.

ახლა ამას ყოველივეს მძიმედ განვიციდი, იმპერტიმ, იმიტომაც ვცდილობ გავერთო.

ეგეც არის, ვამ მას, ვისაც გართობის უნარი წაერთმევა, ასეთ კაცს მოწყენის დემონი მოაშთობს უცილოდ.

ახლა გართობის მეტი რაღა დამრჩენია. კარგად ვხედავ: განა მართო ჩემი სამშობლო, მთელი საქრისტიანო ბნელეთის ხაზაშია მოქცეული.

მე ათასი დემონი მიღადრავს გულს, ამიტომაც თავს ვიქცევ ღვინის სმითა და დიაცებთან ლაციცობითა.“

ეპითანემ გაიღიმა და წაილულულდა:

„როგორც ვატყობ ამ ჯერათაც არა გლალატობს გემოვნება სტრატეგო ბატონო.“

ოჰ, რა ჯიშიანი დიაცია! ასეთი ძუძუები მე ჯერ ქალის მკერდზე არ დამინახავს. რა თვალეები აქვს, რა თეძოები!!

მაგრამ თუ რაიმე განზრახვა ვიძევს გულში, დავით მეფის ჩამოსვლამდის უნდა სცადო ბედი...

იმასაცა ამბობენ ავი ენები: მისი სიძვის დიაციაო ეს კოლხი ქალი. ფრთხილად, სტრატეგო ბატონო, მედეა მოიგონე კოლხთა მეფის აეტესის ასული, კოლხი ქალები შურისმგებელნი არიან, იცოდე.“

„ეჰ, მაგ ბედშავ დავით მეფეს დიაცებისათვის არა სცხელა, ამჟამად იგი იმავე სენითაა შეპყრობილი რაც ალექსი კომნენს სჭირდა სიჭაბუკეში, დავითსაც მიამიტურად სჯერა: სელჯუკიდებს გაეგადებო კავკასიიდან. ნეტარ არიან მალემრწმენნი.“

რაიცა შეეხება კოლხის ქალის შურისგებას, მე ჯერ სელჯუკიანთა საომარი აქლებებისა და სპილოებისაც აროდეს შემშინებია.“



ნოტარი მიხედა ამ ბოლო ხანს გვანცა რომ გაურბოდა მასთან შეხედრას. ამან უარესად გაახელა იგი.

ნოტარი ისე განებვირებული იყო ბიზანტიელი ლამაზმანებისაგან, მას ვერც კი წარმოედგინა ხელისმოცარვა.

ამ შემთხვევაში უპირატესად ერთი რამ იყო საგულისხმო: ერთხელ მოპოვებული სახელის ინერცია ძლიერ შორს უწევს ხოლმე, ამიტომაც მრავალგზის გამარჯვებულთ ურყევით სჯერათ ყველგან და ყოველთვის გავიმარჯვებთო.

ეპიფანე არამსმელის თათბირი ქკუაში დაუჯდა ნოტარს, წარამარა ეკითხებოდა კუროპალატისსა მელიტას:

რადისთვის მოელიანო დავით მეფეს?

თვით საკმაოდ შევლალებული სტრატეგის გამო აგრე იტყოდნენ ხოლმე კონსტანტინეპოლში: აბჯროსანი აპოლონის შუბი ყოველი მანდილოსნის გულს განგმირავსო.

ამჯერად უცნაურად გახელდა სტრატეგი ნოტარი:

როგორ? ეს ცეროდენა კოლხი გოგონა მიხედავსო ცხვირის აბზუებას?

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მეფე, ეპიფანე არამსმელი და ნოტარი ნაშუალამევაშდის გააგრძელებდნენ ხოლმე სერობას, ეს უკანასკნელი უთენია დგებოდა, საჯინიბოების მახლობლად სეირნობდა, რათა თვალი მოეკრა თუ როგორ მოახტებოდა ხოლმე საჯირითოდ მიმავალ ვეკაცებთან ერთად ნასუქალ ულაყს ეს „უშიშო ამორძალი“.

როგორც არა ერთი იმგამინდელი ბიზანტიელი დიდებული, არც სტრატეგი ნოტარი იყო ბრმადმორწმუნე ქრისტიანი, მუსლიმურ სამყაროსთან ხანგრძლივი ურთიერთობის შეოხებით,

მას შენელებული ჰქონდა რელიგიური გრძნობა.

მიუხედავად ამისა, ნოტარმა ნაქარმაგვის კარის ეკლესიაში მწუხრზე სიარულს, რათა თვალი მოეკრა შავი ლეთისმშობლის წინაშე დაჩოქილ გვანცასათვის.

ხანაც სასახლის ბაღში დაბორილებდა იმ იმედით, ეგებ სადმე გადაეყაროვო ერისთავის ასულს, რომელიც ამ ბოლო ხანს ნოშოთი შენიღბული, საბიასთან ერთად ოფოფებზე ნადირობდა ხოლმე.

გარეგნული გალანტობის მიუხედავად, ნოტარს არ აკლდა ის თავხედობა, რომელიც თანა სდევს ხოლმე დიდმპყრობელურ სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებში აღზრდილთ (როცა ისინი არც თუ ეგზომ ძლიერი სახელმწიფოს რეზიდენციაში მოხვდებიან), ამიტომაც ისე აამჩატა ეროსმა ეს მსციტმოსილი სტრატეგი სასახლის სადედოში<sup>1</sup>) გადადიოდა და განგებისად სეირნობდა იმ დერეფანში, რომლის ბოლოს ეგულებოდა გვანცას საძილო ოთახი.

გამიჯნურებული მოხუცი ხარობდა, როცა შილიფად ჩაცმული ქალწულის ნოშიშვლებულ ძუძუებს შემთხვევით თვალს წაატანდა ხოლმე.

ერთხელ სამი დღის მანძილზე ზედიზედ ეძება ნოტარმა გვანცა. დილით საჯინიბოების სიახლოეს ჩალიჩობდა, მწუხრზე მიდიოდა, გვიანამდის ყოვნიდებოდა კარის ეკლესიაში, სასახლეში გვიან მიბრუნებულს საბია შემოეყარა კიბეზე.

ნოტარს განაგონი ჰქონდა დედის-იმედის გადაქარგვის ამბავი, ამიტომაც გულუბრყვილოდ შეეკითხა მემამხალეთუხუცესს:

შამან ერისთავის ასულიც ხომ არ მოიტაცესო თურქებმა?

საბიამ თავისი ელალი წარბები ზეაწყია. როყოიოდ წამოტორტლა:

<sup>1</sup> სადედო — მეფეთა სასახლის ის ნაწილი, სადაც მანდილოსნები ცხოვრობდნენ.



„რომელი თურქები? გვანცა აბანოში წაყვავო მარიამ დედოფალს“.

ნოტარი დიდხანს დასვირთობდა იმ ბაღჩის გადაღმა, სადაც სასახლის აბანო ეგულვებოდა. ახლა მოაგონდა თავისი სიკვამლე, როცა იგი საგანგებოდ გაისვირთებდა ხოლმე კონსტანტინეპოლის აბანოებისკენ, რათა ნაბანავებ დიაკებისათვის თვალი წაეტანა.

ბოლოს მოსწყინდა და სასახლეში შებრუნდა. შეღამდა თუ არა, მოუსვენრობა წამოეძალა, ადგა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა სადღღოს უკანასკნელ დერეფნისაკენ.

აქ დიდხანს სცემდა ნოტარი ბოლოს, ბოლოს უკან გაბრუნებას აპირებდა, ისე მოესმა აჩქარებული ნაბიჯების ჩქამი.

ნოტარი პირისპირ შეეჩეხა საბანაო საღუზანში შეფუთვნილ, ლოყებშეფაკლულ ქალწულს.

ქალმა მუნჯური მისალმება აკმარა სტუმარს და თავის ოთახისაკენ გააპირა წასვლა, მაგრამ საკმაოდ ვიწრო დერეფანში წინ გადაეღობა ომახიანი დეკაკი მას.

გვანცა შესდგა და საკმაოდ ამრეზილი ტონით, ქართულად ჰკითხა:

რაი ნებაგხო სტრატეგს?

ნოტარი სულ ახლოს მიეჭრა მას.

„შენი სიყვარული ულამაზესო“, ეს უთხრა. და ცალი ხელი მოუცაცუნა ლოყაზე, ქალი ვაწითლდა და უპუღბა, ახლა ნოტარმა ქედზე წაავლო გვანცის ხელი, და ცალითაც მაგრად ჩაბღუჯა მისი მარჯვენა ძუძუ...  
 ხელი გამიშვიო ხმადაბლა დაიგმინა გვანცამ, ნოტარმა საყოცნელად მიიწია, მისკენ. მაშინ ქალმა ისეთი ხელუკუღმართი სილა გააწნა სტრატეგს, იგი შეჰქანდა და კედელმა ძლივს დაიკავა გვეშული.

ნოტარმა თავის საძილო დარბაზს მიაშურა დამდღურულსავეით, ამის შემდეგ გვანცასთან გამიჯნურების ხალისი წაერთვა...

ახლა სტრატეგი შეეცადა ყვითელ კალნახზე ნადირობით მსხვერპლებისა გული.

გიორგი მეფეს არა სწყინდა სახელგანთქმული სტრატეგის დამოწაფება თევზაობის საქმეში. დიდი საქმეების მიმართ გულაყრილთ ასეთ შემთხვევაში წვრილმანებში გადააქვთ ხოლმე თავიანთი შემონახული ენერგია.

უთენია დგებოდნენ მეფე და სტრატეგი, ძველმანებს გადაიკვამდნენ, თავათაც გულმოდგინეთ შევლოდნენ მეთევზეებს ბაღეების შეკეთებასა და მათ მოხმარაში.

უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მესათხველეთუხუცესს შიშმატას, რომელიც მუდამ რიტუალური სიზუსტით მისდევდა ხოლმე ოდითგანვე შეთვისებულ საქმიანობას და თვით გიორგი მეფის ქირვეულობასაც არ უწყევდა ანგარიშს სათხველების დაგებისა და ამოღებისას.

ფშანებში ნადირობით გულს რა მოიხებდნენ, ალმა აყვებოდნენ ლიახეს...

ომებში სისხლისღერის არდამრიდე გიორგი, მუდამ გაუბრბოდა ნადირთა და თევზთა უწყალო შემუსვრას, ამიტომაც მორჩილივით ემუდარებოდა შიშმატას:

დღეს ვაკმართო მაგ ბედშვე კალმახებს.

სალამო ეამს კარავს დადგამდნენ რომელიმე ჩქერალის მახლობლად, კოცონებს გააჩაღებდნენ, სახელდახელოდ მოხარშულ კალმახს შეეჭკოდნენ და აუმღვრევლად განანგრძობდნენ ბახუსის სამსახურს.

ნავახშმევს კარვის კართან წამოწყებოდნენ მდელიზე და გულმოდგინედ უსმენდნენ ლიახვის ხეობის ბუღბულების სტვენას.

საოცარი ის იყო, რომ ჯერ მდინარის გადაღმელი ბუღბულები დაიწყებდნენ გალობას, უმორესს ჩირგვებიდან გაეხმინებოდნენ ურთიერთს, ბო-

ლოს თითქოს წინასწარ ჰქონდათ დათქმული, გადამღებები დადუმდებოდნენ, ახლა ლიანხეს გამომღებლები იწყებდნენ სტევენას.

შიშველ მიწაზე განრთხმული სტრატეგი ორივე იდაყვზე დაყრდნობილი უსმენდა ხრლმე ამ ლეთაებრივ სირთა საოცნებო გააეჭვებდას.

შიშმატა ძლივს იკავებდა სიცილს ჩვევისამებრ მოოქროვილ თორში გამოჯგომულ სტრატეგს მონადირული ძველმანებით მორთულს როცა უძკრეტდა. წასჩურჩულა კიდევაც ერთხელ ბაზიერთუხუცესს უღარუნას:

ოჩონიტეს, ნადირთა უფალს და ემზგავსაო ეგ ოჯახქორი.

ერთხელ სალამო ხანს დიდის ნადავლით მიბრუნდნენ ნაპარმაგვეის სასახლეში მეფე და სტრატეგი, მეორე დილას გადასწყვიტეს: მანდილოსნებისათვის მიერთმით ნანადირევი.

დილა ადრიან სუფრა გააწყობინეს ბროწეულის ქვეშ. ეს იყო ულამაზესი ხეთაგანი ნაპარმაგვეის სასახლის ბაღისა. იგი ზაფხულობით თავისი საოცნებო ყვავილით ზიბლავდა მჭკრეტელს, ხოლო შემოდგომაზე უტკბილესი ნაყოფითა.

ძელქვის უზარმაზარი მორი იდგა ამ ბროწეულის ქვეშ, თორმეტი მასზე მომკრონი გარსედგნენ. ამჯერად მთლად საოცნებო სანახაობა იხილა სტრატეგმა.

ფოთლებს შორის რიალებდა აურაცხელი, რუბინის თავქვედაკიდული პაწია ზარები სისხლზე უწითლესი ფარფლებით მოსილნი.

გიორგისა და მარიაშს საგანგებოდ უყვარდათ ეგ ხე, რადგან ბაგრატ მეფეს სჩვეოდა ამ ბროწეულის ქვეშ საუზნობა და ჯდომა. ნოტარი დაბეჯითებით ამტკიცებდა:

ეგზომ ლამაზი ხის მნახველი არა ვარო.

ამის გამო გაეხუმრა კიდევაც გიორგი თავის დას:

„მე მგონია მაიკო, სტრატეგს ეგრე

ეჩვენება, რადგან შენ ზინარ ამ ბროწეულის ქვეშ ამკამად.“  
ნოტარი დაინტერესდა ქართულად ნათქვამით, ყმაწვილივით ჩამოეკადა მეფეს:

„რა თქვი, რა თქვიო?“

როცა გიორგიმ იგივე უთარგმნა ბერძნულად, ნოტარი ახორხოცდა:

„მართალსა ბრძანებ მეფევ ბატონო, განა მართო ბროწეულის ხეს, კონსტანტინეპოლსაც ამშვეენებს ბასილისა.“

სტრატეგმა ზეახედა ბროწეულს.

„ამ ხეს პუნიცას უწოდებენ რომაელები. ოდესლაც ფინიკიელებსა და სირიელებს ლეთაებრივ ხედ ჰქონდათ იგი შერაცხილი. თქვენ ალბათ გახსოვთ პომეროსის ოდისევეში ბროწეულის ხე იდგა ფეაკების სამეფო ბაღში.“

იმასაც ამბობენ: ქალმერთს, აფროდიტეს საკუთარი ხელით დაურგავს თურმე ბროწეული კვიპროსის კუნძულზე. ბროწეულის ნაყოფით მისნობდნენ ძველბერძენნი იდუმალის მიმთხრობნი.“

„ბროწეული ეს ხომ კეთილშობილი ნაყოფით ორსული ღვთისმშობლის სვიმბოლოდ გვაქვს მიჩნეული ჩვენ, ქრისტიანებს, ხომ აგრეა იმპერტიმ.“  
ეუბნება ევხაიტის ეპისკოპოსი ეპიფანე არამსმელს.

ეპიფანემ კვერი დაუკრა ამის მოქმელს.

სტრატეგს უკვე ლაწეები ჰქონდა შეფაკული წითელი მუხრანულისაგან, ამიტომაც უმატა ენამზეობას.

„მე მრავალ მბრძანებელთა შინაურ ცხოვრებას დაგვიკრებებივარ, მაგრამ შენისთანა სეგბედნიერი და მოლხენილი მეფე ჯერ არ მინახავს, სევასტოს ბატონო.“

მან ზეახედა ბროწეულის ხეს და მის ზეთაზე განრთხმულ ატლასის ცას და სთქვა:

„ან როგორ იქნება სხვარიგად. ამ ეღემის უფალი სვიანი უნდა იყოს, არა? ასეთ ქვეყანაში მეფე კი არა, მათხოვარიც ზედნიერია ალბათ.“

მე გამოვდგებოდი ბიზანტიის სამი იმპერატორის ცხოვრებათა შემატია-ნედ. სერგეთისა და უნგრეთის მეფეთა ტრაპეზუნე პური გამიტეხია, დიდი სულტნებისა და ამირების სასახლეთა სტუმარიც ვყოფილვარ, მაგრამ შე-ნებრ მოკრძმული მბრძანებელი ჯერ არ მინახავს.

განა თუ საბრძანისთა სივრცეა საქმე, ყველა უფრო განვრცობილ სახელმწი-ფოთა მპყრობელნი ყველაზე მეტად უბედურნი არიან.

აბა თავით განსაჯე სევასტოს ბატონო, რაღა დარჩა ალექსანდრე მაკედონელისა და კონსტანტინე დიდის, ალფ არსლანისა და ბასილი ბულგართამმუსვრელის დიდებისაგან?

მტვერი და ოტა.

ტრთა დღიქვა, დაემხო რომი, არც კართაგოსა და ბაბილონს დასდგომია უკეთესი დღე.

თვით ისეთ იმპერატორებსა და სულტნებს, რომელნიც შვიდი კლიმატის იმპერიებში ველარ ეტეოდნენ, შვიდი ლაჯი მიწა და შვიდი წყრთა სულარა მიუზომი არსთაგანმრჩევი.

ან მათგან რაღა დარჩა?

მტვერი და ოტა...

მე აგრე მგონია სევასტოს ბატონო, ბრძენთა შორის უბრძენესი ეს იყო ეპიკური. მან იქადაგა ევდემონია თავდაპირველად.

„ეგ მბრძანე, სტრატეგო ბატონო, როგორ უნდა გავიგოთ ევდემონია?“ შეეკითხა ეპიტანე არამსმელი მოუბარს.

„მე აგრე მგონია, იმპერტიმ, ევდაი-მონოს, ან ევდემონია ეს გახლავთ სვი-ანობა, კეთილი ტკბობა.“

მიუგო ნოტარმა და გიორგი მეფისა-კენ გადაიხარა:

„განა კაცთაგანს ყოველს მოსდგამს ევდემონიის ნიჭი? ევდემონიას შიად-წევს მხოლოდ და მხოლოდ შენებრ აუმღვრეველი ბუნების პატრონი, სე-ვასტოს ბატონო.“

მე იგიც კარგად მესმის თუ რად დაბ-რძანდები ხოლმე ყოველ დილას ბრო-

წეულის ხის ქვეშ. განა მარტოოდენ ძველ ფინიკელებსა და კართაგანე-ლებს, მუსულმანებსაც მინიშნებული აქვთ ბროწეულის ხე სიკეთის მაცნედ, ევდემონიის მიმნიჭებლად.

„ხალიფები და სულტნები, ამირები და ხოჯები განგებისად წვებოდნენ ხოლ-მე ამ ხის ქვეშ, წინასწარ დარწმუნე-ბულნი რომ ბროწეულის ჩერო დემო-ნებისაგან, ავი სულებისაგან დაიფა-რავდა მათ.“

ეგეც ცნობილია, გული მისი, ვინც ევდემონიას დაუფლება, ისე აღვსი-ლია ათასგვარი სიხარულითა, როგორც ბროწეულის ნაყოფი აურაცხელი, რუ-ბინისფერი მარცვლებითა.“

ნოტარმა ზეასწია თავისი გრძელი მკლავი, ერთი ყვავილი მოსწყვიტა, ზედ მის თავზე დაშვებულ შტოდან, მარიამ დედოფალს გაუწოდა და სწო-რედ ამ დროს ძელსა ჰკრეს ნაპარმა-გევის ციხეში, რკინის ჰიშკართა ზარე-ბის რაზრაზი, ნასუქალი ულაყების ჰიხვინი და ფლოქვების თქარუნი მო-ისმა...

ნოტარი წამოდგა, მარიამ დედო-ფალსა და გიორგის თან გაჰყვა დავით მეფისა და ტაძრეულის შესაგებებლად.

როცა ახლადმოსულნი უკვე მოახ-ლოვდნენ, ნოტარი განგებისად ჩამორ-ჩა, ბოლოს იგი შესდგა და მომწუსხვე-ლი მხერით უპკრეტდა ძერასფერ მუ-ზარადიან, მზვარეში გარუჯულ ვაყ-კაცს, რომელმაც პირველად მიუგდო თავისი შავი ულაყის სადავე მეჯინი-ბეთუხუცესს და ამოწვდილი ხმალივით წელში გამართული გამოემართა მარიამ დედოფლის საამბოროდ.

როცა დარბაზონში წარუდგინეს მას ბიზანტიელი სტუმრები პირველად, ჯერაც ორიოდ სიტყვაც არა ჰქონდა მოსმენილი დავით მეფის პირიდან სტრატეგს, ისე უჩურჩულა ეპიტანე არამსმელს:

„ამ პირქუმ მეფეს არამც და არამც არ უნდა გააჩნდეს ევდემონიის აღქმის ნიჭი, იმპერტიმ.“

### VI. რეჰმანის ლექსი

ბრძენს უთქვამს თურმე: ეს ცხოვრება ქარია, ქარია,

საქაროვნეში მონაყარდე ქარიფანტია, ჩემს სულში ჯერაც მოვიზივზე ცეცხლი ანთია, ვერ დაიჭირავს ვაყრის ისარს ჯაქვა და ფარი. ბრალი ჩემია, მვევ დავრჩი ვასაყიცხარი

შენ ცისიერო ვარსკვლავეთში კარგად მოსჩანდი გამცილდი ისე, ვით მარტოხეს განშორდეს ჩრდილი

სამარადეამოდ დარჩი ჩემთვის დახვეული მტილი, ისალა ეშმაქ და დამიგო ეშურაი ფანდი. ვარ უშპანისი და უსავნო ვით ლანდიქ ლანდი.

გმებნეს ყოველგან ვერსად კხოვეს შენი ორანი, ლამემ მოვიხმო, ან ქვესქნელმა თუ გიყო პირი, ვგების ლეტეს დავანახეს შორი ნაბირი ვგებ წინ გედოს საიქიოს გზანი შორანი და გატარებდეს ან ხარონის შავი ბორანი

ლამეს ჩემს ირავლივ წამოუდგამს ნაბდის კარავი,

რა დამაძინებს თუ თეთროვნებს შეერჭო ნარი, წახვედი ჩემგან პირი ვარდი და ტანკენარი, ღამე აღმოჩნდა საუნჯეთა ჩემთა მპარავი, ღამე წუნარიი და ჩემს გულში შფოთავს არავი...

რეჰმანის მონოლოგებიდან.

სიტყვის დაძვრამდის შეატყვევს დედოფლებმა უგუნებობა დავითს.

თვით თავაზიანმა ლიმილმაც ვერ მიჩქმალა მის დიდრონ თვალებში დავანებული დარდი.

მარიამს აგრე მოეჩვენა: სულ სხვა აღამიანი დაგვიბრუნდაო დარიალიდან. ელენე დედოფალი მომნუხველი მზევრით შესცქეროდა იმ ორად ორ ჭალარას, რომელიც ქვემო ტუჩიდან ნიკაპამდის გრძლივ აჩნდა მის წვევრს.

დავითი სცილიობდა უმნიშვნელო ამბების თხრობით შეეჭვია დედა და მამიდა. ნაჯიხვარზე გადასვლის ამბებს უთხრობდა იგი დედოფლებს, როცა მახარა შემოვიდა.

მახარამ ბევრი აცინა მანდილოსნებში იმის გამო, თუ როგორ აბურთავა ნალვარევმა ქარიმან სეტრელი, მერმე როგორ აჯანჯლალეს ჩუხჩებმა მისი რუმბივით გაბერილი, გოლიათური სხეუ-

ლი. ერთ წისკვილს დააბრუნებდაო ქარიმანის სტომაქიდან გაქვთდენილი წყალი. დასძინა საჭურისმც ლიქოთქანა ელენე საერთოდ სიტყვა ძვირი იყო, ქირსა და ლხინში, მაგრამ ამჯერად იგი წვრილად გამოჰკითხავდა თავის სათაყვანებელ ვაყს, როგორ იმგზავრეო იმ დაქეთულ გზებზე? რასა სქამდი, ან სად გემინაო იმ ველურ პირობებში?

დავითმა გაიღიმა:

ხან ახალ ციხეში ვცხოვრობდი, ხან ნასასახლევეში, ჯიხვისა და ფსიტის ტყავები მქონდაო საფენ-საგებად, ჯიხვის ხორცს ვჭამდიო, ხინკალს, ჩობნის ყაურმასა და ყალს.<sup>1</sup>

მარიამი ახლა ვალანგ ერისთავის ქორწილის ამბებს გადასწვდა, მერმე ეს უთხრა დავითს:

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვოცნებობდი დარიალის ნახვას გეთაყვანე, რა იქნება მე და მელიტა თან წაგვიყვანო ერთი?\*

„თუ მშვილობა იქნა, მარიამობას ოვსეთს ვაპირებთ მე და გიორგი ჭყონდიდელი. უთუოდ წაგვიყვანთ შენ და მელიტას“.

„ეს თუ მშვილობა იქნა“, სამქვალივით შეერჭო დედისა და მამიდის გულებს.

ახლა მხნეობა მოიკრიფა მარიამმა, ლულუ ბენ ჰაიდარის უსტარის გამო აპირებდა გამოსაუბრებას დავითთან და სწორედ ამ დროს შემოვიდა განმგეთუბუცესი და მოახსენა მეფეს:

კახჭთ-ჰერეთიდან გეახლენ ერისთავები არიშანი და ბარამისძე, სასწრაფოდ მიბრძანებასა გთხოვსო გიორგი ჭყონდიდელი.

დავითი უხმოდ გაემართა კარისკენ. ელენე და მარიამი ურთიერთს შეაჩერდნენ ამ ამბისაგან გაოგნებულნი.

მარიამმა ეს უთხრა მახარას:

„როგორ დაგიჯერო მასო, ნუ თუ

<sup>1</sup> ყალი — ჭერხოში გამომშრალი ხორცია სამჯავრიოდ განშხადილი, კავკასიონის თიანეთში აკეთებენ ყალს.

აღარც შენ გაგინდო მეფემ თუ რა სწერია ლულუ ბენ ჰაიდარის ეპისტოლეში?"

ნება შენია მერწმუნები თუ არა მაიკო, მთელი გზის მანძილზე მე არ დამცალდა განმარტოება მასთან. ნასასახლეში ჩასვლამდის გამაფრთხილა კიდევაც შტორა მორკნეველმა ლულუს უსტარის გამო ნურას ჰკითხავო მეფეს.

ნინია ბაკურაის ასეთი იქვი დაეზადა: დედისიმედის სიკვდილი ხომ არ ამცნოვო ლულუმ? ყოველ შემთხვევაში ეგზომ დაზაფრული ჯერ არ მიწნახავს იგი.

დარბაზის ერთა საბჭომ დიდხანს გასტანა. კახეთ-ჰერეთის ერისთავები არიშინი და ბარამისძე შეშფოთებულნი იყვნენ სელჯუკიანთა ლაშქრის ამირას განძაში სპიანად ჩამოსვლის გამო.

არც ის დაუფარავთ მათ რომ ლიპარიტელები: წითლოსან დუქისძე და ზაზაი ჯუბიელი, ფარცხისის ციხისთავთყოფილი, კახეთ-ჰერეთში დაძრწიან და ამბოხებენო ხალხს.

იმეფე დღეს გადაწყდა: ჯონდი ერისთავს კლარჯეთელ მოისართა ორი ათასეული თან წაეყვანა ხორნაბუჯს, ხოლო შერგილ ლიპარტიანი ლიხს გადალმა მიევილინათ ეგრესელ და აფხაზთა ათასეულების სასწრაფოდ ჩამოსაყვანად წვევის წიგნი გაუგზავნეს ბეშქენ ჯაყელს, ახალ ქალაქიდან პირდაპირ წასულიყო სპიანად ხორნაბუჯს.

იმ დღეს მეფემ არ ისურვა ბიზანტიელ სტუმრებთან პურობა, ნასადილევს დავითმა, ჭყონდიდელმა და იოანე ქართლის კათალიკოსმა განიხილეს გელათის აგების გეგმა, გულდასმით მოუსმინეს კარის ხუროთმოძღვარს, ჯამლეთ არჯევანიძესა და კარის მხატვარს, თევდორეს, რომელთაც უკვე მოეთავეზინა იფარისა და კვირიკეს ეკლესიების მოხატვა სვანეთში.

კათალიკოსმა დაბეჯითებით ერთგვატენის, წრომისა და ზარზმის კედლის მხატვრობის განახლება.

როცა ეს თათბირიც მოთავდა, დავითი ფრიად დაქანცული იყო, ჭყონდიდელი და კათალიკოსი დასტოვა მღუმარედ მსხდარნი და საგამგეოს დარბაზიდან გავიდა.

კათალიკოსს აგრე ეგონა: თავის საძილო დარბაზში მიდისო მეფე, ამიტომაც თან გაჰყვა მას, მაგრამ დავითმა დერეფანი გაიარა და ხილნარში მიმავალ კიბისაკენ გადაუხვია.

როცა კიბის ხარისხები მოათავა მეფემ; მხოლოდ მაშინ შემოესმა მას კათალიკოსის ნაბიჯების ჩქამი. გაუკვირდა, მაგრამ ეს არ შეიმჩნია და ორივენი პირდაპირ მიადგნენ ალუჩის ქვეშ დადგმულ მორებს მუხისას.

დიდხანს ილაპარაკა იოვანემ იგავეური ენით და როგორც იქნა მიადგა იერუსალიმის ქართული მონასტრებისათვის განკუთვნილი თანხების გადაგზავნის საკითხს.

დავითს არ მოეწონა ჭყონდიდელის დაუსწრებლად რომ შეეხო ამჯერად კათალიკოსი ამ საქმეს, მაინც მოთმინებით მოუსმინა პატრიარხს. ბოლოს საკმაოდ მშრალად მიუგო მას:

„თუ არა ვცდები ამის გამო შენ კი უკვე მოსმენილი გაქვს, უნეტარესო, ჩემი და ჭყონდიდელის აზრი. ისიც ცნობილია, რომ იერუსალიმს მიმავალი გზები კარგა ხანია დაპყრობილი აქვთ სელჯუკიანებს. ცხადია, ამიტომაც ჩვენ მაინც და მაინც დიდი ხალისი არა გვაქვს ეს ფულადი სახსრები ხელში ჩაუვადლოთ ჩვენს მტრებს.“

კათალიკოსი აქამდის თავჩაქინდრული ისმენდა ამას ყოველივეს, ახლა მან თავი ზეასწია, მზერა გაუმართა მეფეს:

„ალბათ მოგესხენება მეფეე ბატონო, ნაქარმაგვეში სტუმრობს ამქამდ ფრიად და ფრიად წარჩინებული და მსოფლიო მოვლილი ბიზანტიელი სტრატეგი ნოტარი.“

მან გვამცნო: ბოჰემუნდსა და ბალდვენს შაიზართან შეუმუსრავთ სელ-



ჯუქიანები. გარდა ამისა, შენი აქ არ ყოფნის დროს იერუსალიმიდან ჩამოვიდა იოანე უხამური, რომელიც დაბეჯითებით გვარწმუნებს: მომეცით სამი მეჯორე და ორი მეკარვე, იერუსალიმს გადასაგზავნად თანხას ძველმანებში ჩაეკრავ და ისე ჩავიტანო იერუსალიმს.

იგიც მოგვასხენა იოანე ბერმა, ქართული მონასტრების წინააღმდეგომნი და ეკლესიათა მამანი ისეთ დღეში არიან, მათი ცოდვისაგან ქვანიც კი აღუღლებიანო.“

„მე არ ვიცი შენო უწმინდესობაე თუ რას ამბობენ ბიზანტიელი სტრატეგი და იოანე უხამური, მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება იქვემდებარელები ამ საქმის გამო, ასე რომ მათი ნაუბარი უმაქნისთა ნაოცნებარს უფრო წაავას..“

როგორც სჩანს იმ ბიზანტიელ სტრატეგს კარგად არა სცოდნია, რომ შაიზართან თუნდაც ერთხელ გამარჯვება გვაროსნებისა როდი მოასწავებს იმას, თითქოს ყველა გზა ნაჭარმაგვევიდან იერუსალიმამდის თავისუფალი იყოს.

როცა დრო მოახლოვდა, შობრძანდით ჩემთან და მე ვაჩვენებთ ჩვენს მიერ წარგზავნილ სარწმუნო კაცის, ლულუბენ შაიდარის პატაკს, იერუსალიმიდან მონაწერს და თავათ დარწმუნდები თუ როგორი გაუგონარი ამბები ტრიალებს ამ გზებზე.“

კათალიკოსი შეაკრთო მეფის საკმაროდ ჯიქურმა პასუხმა, ახლა იგი უკუქცევას დაადგა, მღელვარების გამო ენას უკიდებდა:

„მერწმუნე მეფეე ბატონო, ამ საქმეში მე უპირატესად ერთი გარემოება მაწუხებს: დიდი ხანია ამის გამო მეწადა პირუთენელად მომხსენებინა შენთვის ჩვენი პატრონო, მაგრამ დღემდის საშუალება არ მომეცა შენთან პირისპირ შეხვედრისა..“

დავითი მცირე ხანს უსმენდა ენაარეულ მის მეტყველებას და ბოლოს ჰკითხა:

„მინც რა უნდა მოგესხენებინა უნეტარესო?“

„იერუსალიმის ქართულ მონასტრთათვის განკუთვნილ სახსრებს, გამომრავალგვარი მითქმა-მთფქმა: წარმტყმვა, ალბათ ტახტისა შენისა მიმართ ქვეგამხედვართა მეშვეობით მეფეე ბატონო.“

ისინი ათასგვარ კორებს ავრცელებენ მართლმორწმუნე ქრისტიანეთა შორის, ზოგნი იმასაც ამბობენ: ესაო და დავით მეფეს ამ ბოლო ხანს გულგრილობა დასჩემდაო უფლისა ჩვენის იესო მაცხოვრის ეკლესიის მიმართ, ამიტომაც არ იმეტებსო ოდითგანვე იერუსალიმელ ქართველ მამათათვის განკუთვნილ თანხებს.“

დავითს უკვე ბრაზი წაეკიდა გულზე, მაგრამ მინც შეიკავა თავი და მშვიდად მიუგო პატრიარხს:

„ალბათ მოგესხენება უნეტარესო, არამც თუ მეფემ, თვით უბირმა ვინმე მეჯადაგემ ყოველთვის არ უნდა ათხოვოს სმენა ყოველივეს თუ ვინ რას იტყვის. მე პირადად ერთი ანდაზა მაქვს მინიშნებული: ვისაც თავისი ცხენის ძუის დაგრძელება, ან დამოკლება განუზრახავს, მან მოედანზე არ გამოიყვანოს იგი, თორემ ერთნი აგრე ურჩევენ: დაუმოკლეო, ხოლო სხვანი ეტყვიან: დაუგრძელეო, ამასობაში პატრონი დაიბნევა და შესაძლოა დაამახინჯოს კიდევაც იგი.“

ასე და ამგვარად, როცა მე ჩემი ქვეყნისათვის საჭირო საქმეებს ვაკეთებ, ყოველთვის როდი ვუწევ იმას ანგარიშს, თუ ვინ როგორ შეათასებს ჩემს ნამოქმედარს.“

კათალიკოსი შეცდუნდა, იგი მცირე ხანს დადუმებული იჯდა, ბოლოს ადგა და პირველად გადასახა მეფეს...

დავითი მიჰყვა ბაბილოვან გენახისკენ მიმავალ ბილიცს. შესდგა, შეყოყმანდა: ვერ გადაეწყვიტა შავი ღვთისმშობლისკენ წასულიყო, — თუ ნადირთა საჩიხსაკენ. ბოლოს მხარმარჯვით გაუხვია, ჩელტის კარი გააღო და ველებისაკენ მიმავალ შარას დაადგა, ამ მიდამოში ყოველივე უცვლელად იყო, ისევე როგორც იმ საღამოს, როცა დე-

დისიმედის საქმებრად გაემართა იგი კარის ეკლესიაში.

ნერგების მახლობლად ცხენები სძოვდნენ, ტურების კვილი მოისმოდა შორიდან. ბაზილიკას რა მიეახლა, ეკედერას ტალანში დაჩოქილი შავოსანი დიაკები და დაბეკილ ქველმანებში მორთული მათხოვრები შენიშნა.

განერჩა მათ და ჩრდილოს კარიდან შევიდა ნახევრად ბნელ საყდარში, კანკელის წინ ხმადაბლა პეტუნებდა ხუცეს-მონაზონი, ხანაც ძირს დამხოზბილ მლოცველთა ოხვრა და ქვეთინი მოისმოდა.

დავითმა თვალი შეავლო შავი ღვთისმშობლის მოღუშულ, უსიამო სახეს, კუთხედებთან მზრისთავეებს შორის წამოკოტილ წოწოლა თავს, ზღმარტლისებრ მოგრძო თვალებს, ნარივით წამახულ ცხვირს.

უგემოვნო ეჩვენა ბიზანტიელი მეხატის მიერ შესრულებული სიფრაფანა, მოლურჯო ტუჩები, განზე გაშვერილი, ფიჩხივით გაფშეკილი თითები...

დავითმა თვალი აარიდა ამ ხატს. ახლა უკან დაიხია, და ჩრდილოვან კუთხეს თავი შეაფარა, რათა კანკელის წინ დაჩოქილ მლოცველებს არ ეცნო იგი. დახედა იმ ადგილს სადაც დედისიმედი დაჩოქილი სტიროდა.

საშინელი სიცარიელე შეიქცნო, ახლა იქ ვიღაც სახედამქნარი ბერიქალი დაფორთხაედა, აგურის იატაკს ახლიდა შუბლს, უსიამოდ სლოკინებდა ცრემლად დანთხეული.

დავითს უკვე აღარ შეეძლო ამ შავი ღვთისმშობლის ვაგლახად დაღრეჯილი სახის მზერა. არც ამ დაზაფრულ მლოცველთა ქვეთინის ატანა, ისევე ჩრდილოს კარს მიაშურა და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა შავი ბაზილიკის მიდამოს.

სამეფო ხილნარში შემავალი ჩელტის კარი ვიღაცას გადაეკეტა, დავითს არ უნდოდა ვინმესთვის დაეძახნა, ეწვალა, ძლივს ძლივობით გააღო რაზა. ხეებს ჩრდილები დაგრძელებოდნენ

უკვე, ეს ჩრდილები იფარა, მიდიოდა ყურძნით დატვირთულ ვაზებს შორის.

ბაბილოვან ვენახში სრული მყურდროება სუფევდა, მხოლოდ ზღარბი ფაჩუნობდა მხმარ ფოთლებში სადღაც, კრიჭინების ერთობლივი კრიახი ისმოდა.

დიდხანს მიდიოდა თავჩაქინდრული დავითი, სიამოვნებდა მარტოობა და გარს დავანებული ღუმილი.

არ იძვროდნენ ვაზის ფოთლები, მტევნები ქვისაგან გამოკვეთილსა ჰგავდნენ.

გზაჯვარედინამდის მიადწია, ერთი სასახლისაკენ მიდიოდა, მეორე ნადირთა და ფრინველთა საჩიხესაკენ.

სწორედ იქითკენ გაუხვია დავითმა. ფეხისხმა მოესმა... ბაბილოვან ვენახს გადაღმა ეღარუნა მიჩინდრივობდა, კრელ-პრულა ჩაჩი ეხურა თავზე.

დავითი შესდგა, რადგან კარგად იცოდა ეღარუნა მყისვე მოექრებოდა და წვრილად მოახსენებდა რომელ ქორს, რომელ შევარდნეს, ან მიმინოს გაუკეთეს ამ დილით რეევანდის ოყნა.

ბოლოს რა დარწმუნდა სასახლისაკენ მიდისო ეღარუნა, თამამად გავიდა ნადირთა საჩიხესაკენ მიმავალ ბილიკზე.

სავსებით უცნაურ დამოკიდებულებას იჩენდნენ დავით მეფის მიმართ ნაკარმაგვეის სასახლის მსცოვანნი კარისკაცი და ხელშინაურნი. დავითს ეს ბუნებრივად მიაჩნდა, მათ თვალწინ გაიარა დავითის ყრმობამ და სიჭაბუკემ, ზოგ მათგანს, ასე თუ ისე, წილი დაედო მის აღზრდაში, ამიტომაც მითამამებულნი იყვნენ მასთან.

ზოგი მათგანი ჯერ კიდევ „უფლისწულს“ უწოდებდნენ მას. ამ გარემოებას სხვა მიზეზებიცა ჰქონდა. ბაგრატ მეფე იშვიათად ცხოვრობდა ნაჭარმაგევში. უფრო ხშირად ყოვანდებოდა აქ გიორგი მეფე, მაგრამ იგი, როგორც ყოველი მოლხენილი და უღარდელი ადამიანი, ზომამზე მეტად თავაზიანად ექცეოდა თავის კარისკაცებს.

გიორგი არც მაშინ იჩენდა სისასტიკეს, როცა სასახლის ცხოვრებაში მიუცილებელი წესრიგი ირღვეოდა. განსაკუთრებულ თავნებანი იყვნენ ბაგრატი მეფისეული, მიხრწნილებაში გადამდგარი კარისკაცები, რომელთაც ვერც გახუნებული სკარამანგები ვახადა ახალმა დრომ და ვერც თუ ახალ წესრიგს გაართვეს მათ თავი.

სწორედ ესენი იყვნენ ზომიერ მეტად მითამამებულნი დავითთა. მეფეს მაინც და მაინც არ მოსწონდა ეს ყოველივე, მაგრამ მამა მისის სიცოცხლეში ერიდებოდა სასახლის ცხოვრების განრიგის დანდობილად შეცვლას. ეგვიც არ იყოს იგი მუდამ ღმობიერად ექცეოდა ზოლმე ღრმად მოხუცებულებს.

სულ ოციოდე ნაბიჯიც არა ჰქონდა წადგმული ნადირთა საჩიხესაკენ მიმავალ ბილიჯზე, დავითმა შეამჩნია ნოშოსაგან შეკოკლებული უცნაური ჩვენება გამოვიდა ხშირ შინდნარიდან და მისკენ წამოვიდა გულდაგულ.

დავითს აროდეს ენახა ოფოფზე მონადირე, ნოშოთი შენიღბული საბია, ამიტომაც გაოცდა.

როცა ეს გოგრის ფოთლებითა და გველისხის შტოებით შეფუთვნილი არსება ახლოს მოვიდა. საბიამ გადაადგო ჭამორგებული გრძელი ჯოხი, გოგრის ფოთლებისაგან შეკონკალი ჩაჩი მოიხადა, დავითს გაეციხა კიდევაც ამ ოჩონბინტეს დანახვაზე, ნაბიჯს მოუჩქარა თანაც.

მოხუცი სულ ახლოს მიეჭრა მეფეს, მარჯვენა გამოსტაცა და სამგზის ეამბორა ზედ, ბოლოს საპატიო მანძილზე უკუდგა, გვერდით მისდევდა, გამოჰკითხაუდა გუნებისა და ჯანმრთელობის გამო.

რამდენიმე თავიზიანი პასუხი მისცა დავითმა და ისევ აუჩქარა ნაბიჯს, იმ იმედით, ეგებ ჩამომეცალოსო მოხუცი.

ახლა ახალი ციხის აგების ამბები იკითხა საბიამ და იგიცა სთქვა, პაპა მისი სტეფან წმინდელი რომ ყოფილა. ბაგრატ მეფის მეხმლე იყოვეო პაპა ჩემი დასძინა.

მცირე ხანს მღუმარედ აცოლებდა იგი მეფეს და მერმე წაიღოტლტლდა.

„სასახლეში ხმა დაირხა შეფევ ბატონო, კაი ამბები მოუწერიაო ლულუ ბენ ჰაიდარს. მე ისეთი კეთილი სიზმრები მქონდა დედის ცხონებამან, არც შეიძლებოდა სხვა რიგად რომ მომხდარიყო.“

ეგვიც არ იყოს, ლულუ ქრისტეს ფეხისმკვენტელია, მეფემ თუ უბრძანა მთვარეს ჩამოიღებს ზეცის თავიდან... დავითი დაინტერესდა:

მაინც რა თქვესო საბიავ?

„აგრე თქვეს დედისცხონებამან, ლულუსა და იმ სომეხ დიდუკარს დამასკის მონათა ბაზარში უპოვნიათო დედისიმედი. დავით მეფეს ოქროს დიპრემები გადაუგზავნია და გამოუსყიდიათო კიდევაც ერისთავის ასული.“

იმასაც ამბობენ დედისცხონებამან, ამ მოკლე ხანში ჯოჯიკი ჩამოიყვანსო დედისიმედს ნაჭარმაგვეში. აბა ღმერთი როგორ გასწირავდა მაგ ღვთისშვილს.“

დავითს უსიამოვნოდ ეძგერა გულზე მოსმენილი, ხელახლა აუჩქარა ნაბიჯს და არა მიუგო რა, ხოლო საბიამ განაგრძო:

„მაღლი უფალს ჩვენო პატრონო, ჩვენ ყველას გულზე გეჭონდა შემოგზნებული შენი გულისწუხილი, იმდენი შეგემატოს მზეგრძელობა შენ და ჩემს საწყალ შვილიშვილს მზისავარს, რამდენი ცრემლი შე ვღვარე ღამლაშობით ამ ამბის გამო.“

აბა როგორ გასწირავდა მაგ ღვთისშვილს უფალი, იგი ჭარაფიდანაც რომ გადავარდნილიყო ანგელოზები ფიანდაზას დაახვედრებდნენ მიწაზე.

ჩვენ ბებრები, ჩუმ-ჩუმად ვსტიროდით დედისცხონებამან, ამის თქმას ვერ გიბედავდით, თორემ აბა რაღად გინდოდა ჩვენო პატრონო ცხენიკაშია ყოფჩალთა უმთავრესის ქალი, ბაგრატოვანებს მუდამ ქრისტიან მბრძანებელთა ასულნი მოყავთ საღედლოფლოდ,



საქართველოს  
წიგნითმწიფის  
კავშირის

დიდდება შენი სულ კურთხეული ელენე, ბერძენთა მეფის ასული იყო, ბაგრატის დედა მარიამი სომეხთა მეფისა...

შენს სასახლეებსა და შენს სვიანობას მხოლოდ დედისიმედის დარი დედოფალი და აკლდა. ელენე დედოფალი და გვიბერდა, შიმუნვართა წინამდგომმა ვარდიამ გააოხრა სასახლე, თავი წაგვკამა ყველას.

მე აღრეც ვიცოდი დედისცხოვნებამან, ეს ყოველივე სვიანად რომ აღსრულდებოდა... ლულუ მარტის ოცს გაემგზავრა დამასკს.

მე ჩემს სამთავარიოში ჩავიხედე იმ დღეს.

უკვე იწყებოდა ზოდიაქო ვერძისა. ეგაა უბედნიერესი წუთი, როცა ვერძის თანავარსკვლავეთი გაანათებს ცის თავანს.

ამ დღეს, როგორც იდუმალის მიმოთხრობანი ამბობენ, ყოველი კეთილი ჩანაფიქრი უსრულდება ადამიანს, ყოველივეს უკვალოდ დაკარგულსა და გადაგდებულს უცილოდ მიაკვლევინ.

იმ დღეს გამოდის მარგალიტი ზღვიდან... სომხეთის უდიდესი მთის არარატის მწვერვალზე გამოჩნდება ხოლმე თეთრი, თოვლივით თეთრი ვერძი და აბლაღვდება, მისი ბლავილი მიწის ნაყოფიერების მომტანია თურმე.

ეგეც ჩემს სამთავარიოში მიწერია დედისცხოვნებამან.

დავითი მცირეხანს თავჩაქინდრული მისდევდა ნადირთა საჩიხესაკენ შიშვალ ბილიკს, ყურს მიუგდებდა საბიას ბეუტურს, ბოლოს შესდგა და უთხრა მოხუცს:

„იცი საბიავ, ახლა შენ წადი და მემამულეებს უბრძანე სასანთლენი კარგად დაასუფთაონ, ალყა და ქონი მოიმარაგონ, ამალამ მე ბევრი საკითხავი მაქვს, საბიავ.“

საბიამ თავყანისცა პატრონს და უხალისოდ გაემართა სასახლისაკენ.

ნადირთა საჩიხეშიაც მყუდროება სუფევდა. ოვსთა მეფის მიერ ნაძღვენი ირმების ხვნიშა მოისმოდა, მიწაზე პირქვე დამხოზილიყვენ ფხოვეური დათვები.

დავითი აპუს გალიასთან შესდგა, ხუთი მათგანი მიწაზე დაჩოქილნი სთვლემდნენ, მხოლოდ ერთი ზეზე იყო.

გალიას მიეახლა. თფუნი, თფუნიო უთხრა ლანდივით მორიალე აპუს. სულ ახლოს მოვიდა გალიის კართან აპუ და თავისი მშვენიერი, გაოცებული თვალებით შემოხედა მეფეს.

უცნაური თვინიერება, ბედისაღმი თავმოდრეკილება ამოიკითხა მჭკრეტელმა ამ საოცნებო პირუტყვის გამოხედვაში.

ავაზებისა და ბაბრების გალიებს ჩაუთარა, მათ გასწვრივ, დიდ გალიაში სთვლემდა გულისტანური ბოკვერი ლომისა, ნაბიჯის ჩქარაზე იგი მარდად ზეწამოიქრა, მძვინვარე თვალები დაუბრიალა გალიის კარებთან მომდგარ ლანდს, მერმე დაიწყო მოუსვენრად აქეთ-იქით წრიალი, თემოს თავზე იბრაგუნებდა თავის ფოჩიან კუდს.

არც ფრინველთა საჩიხის მახლობლად მოსჩანდა ვინმე. ქორები, მიძინოები და შავარდნები გაფუყულნი ისხდნენ თავ-თავიანთ ვარებზე. ზოგს ილიას ქვეშ შეერგო თავი, ზოგიც ცალექზე დაყუნცული იდგა, სხვანი ისეთ ხმებს გაიღებდნენ ხოლმე, როგორც თხიპაშეყრილ ქათამებს სჩვევიათ ხოლმე ძილის დროს.

ყოველი მათგანი ახალსა და ახალ მოგონებებს იწვევდა დავითის ცნობიერებაში.

ზოგი ტაოს-კარს მოაგონებდა, ზოგი ყველის ციხის სანახებს, კოლხეთის, არაგვეთისა და აფხაზეთის წაღებსა და ქაობებს და მის თვალწინ დგებოდა მი-

სი უდარდელი სიყრმე და წაშხამებულ-  
ლი სიკბაუყე...

დამდურებულსავეთ ჩაუარა მან თავის  
საყვარელ ქორებს, შავარდნებს და მი-  
მინოებს და საჯინიბოსაკენ მიმავალ  
ბილიკს დაადგა.

საჯინიბოს კარის ალაგთან გრძელსა  
და დაბალ ტაბაკს მოსხდომოდნენ მე-  
ჯინიბენი. ვახშობდნენ, თანაც ხმამა-  
ღლა მასლათობდნენ. თეთრწვერო-  
სანი შოშიტაი სუფრის თავში იჯდა  
პატრიარქივით, ხელში ჯამი ეჭირა და  
ენამწეობდა.

ახლგაზრდები გატვრინულნი ყურს  
მოუგდებდნენ, ქამიდან ქამზე მათი  
ხორხოცი მოესმოდა შინიღის ბუჩქნარ-  
ში მიმავალ მეფეს. ეს ჰომერისეული  
ხარხარი გულში ჩასწვდა დაღონებულს  
და მან უმატა ნაბიჯს.

მიდიოდა, თანაც ფიქრობდა:

„როგორი შეუშესრელი სიყვარუ-  
ლი აქვს უბრალო ხალხს სიცოცხლი-  
სადმი. უამისოდ იგი ვერც გაუღლებდა  
ამდენ ომებასა და სიღუბსიერეს!“

ახლა რომელიღაც ჰაკის ჰიხვინი შე-  
მოესმა მეფეს, ამას მოჰყვა ისეთი  
ბრაზიანი ხეხვინი, როგორიც ულაცს  
სჩვევია ხოლმე მდედრის ხმის გამგო-  
ნეს.

„თქვი, თქვი პაპა შოშიტაი“, აყვირ-  
დნენ ახლგაზრდები, ისევ გაიხუმრა  
რაღაც მოხუცმა, ისევ ატყდა ხარხარი.

დავითი ჯერაც გამოსული არ იყო  
შინდნარიდან, ჩოჩქოლი შემოესმა:

მეფე მოდისო.

მეჯინიბენი წამოცვიდნენ.

„დასხედით ბიჭებო. მეფეს აქ რა უნ-  
და ამ დროს?“

ამოშინებდა შოშიტაი მენინახეებს.

როცა ახლადმოსული მიუახლოვდა  
საჯინიბოს, მეჯინიბენი გაიბარნენ.

სახელადღაჟა მოხუცი ტაბაკს დაეზ-  
ჯინა ბანჯგვლიანი ხელით, წამოიწია  
და სთქვა:

„მე ერთადერთი კაცი ვარ შენს სამე-  
ფოში ჩვენო პატრონო, რომელსაც მე-  
ფეთა მობრძანებისას ჯდომის უფლება  
მოუბოვებია.“

დავითი კარგად იცნობდა ბუმბარა  
შოშიტაის, იგიც იცოდა ერთმანეთ-  
ძოს ძვალი დამსხვრეული ჰარმონიკონ-  
და, რომელიღაც მოუსვენარ ულაცისა-  
გან.

„იჯექი შოშიტაი, იჯექი...“

უთხრა დავითმა, კოჭლი მოხუცი მა-  
ინც წამოდგა, მეფესთან მივიდა სულ  
ახლოს და მუხლზე სამთხვევად წაეპო-  
ტინა. დავითმა არდაანება მუხლზე  
მთხვევა მოხუცს, წამოაყენა და მხარ-  
ზე წაუცაცუნა ხელი.

შოშიტაი ისევ ტაბაკთან მიფათურ-  
და ერთად ერთ ჯამს წამოუსვა ხელი-  
და მეფეს ეუბნება ჯიქურად:

„მობრძანდი ჩვენო პატრონო, სუფ-  
რა დაგვილოცე“, თანაც ბოდიშობდა:  
ეს ერთადერთი ჯამილა გვაქვს და ეგ  
ტრიილებსო ტარაბუქსავით სუფრის  
გარშემო.

„რად გაიქცნენ მეჯინიბენი, მე ძლი-  
ერ მიყვარს ნაჯათართა პურის ჰამის  
ცქერა.“

შოშიტაი სულ ახლოს მივიდა დავით-  
თან და სთქვა:

„ვგონებ მე მეპატიება ასეთი მოთა-  
მამება მეფეე ბატონო, ვინ იცის რამ-  
დენჯერ გამოყვანიხარ ქედზე შემჯდა-  
რი ლიხავს გადაღმა. ალბათ გესსომება  
ცხენზე მე შეგსვი პირველად.“

დიდება უფალს, რა მალე გარბის-  
დროს გამოექცეოდი ხოლმე ჰყონდი-  
დელს, ან მზრდელს და მევედრებოდი-  
ცხენზე შემსვით.

ჯერ ჰყონდიდელის ჯორზე აგიყვან-  
დი ხელით, ერთხელ გიორგი მეფის  
იბოზე შეგსვი, ჰყონდიდელმა გაიგო  
და შემრისხა.

არ გაბედო ცხენზე შესმა ყრმისა.

ისევ ჯორზე დაგაიბირე შესმა.

ბუცესი ხომ არა ვარო, იწყინე.“

„რამდენი პერანგი გაგიცვეთია სამეფო  
საჯინიბოში შოშიტაი?“ შეეკითხა და-  
ვითი.

„ოთხმოცი პერანგი გავცვიით სამი  
მეფის სამსახურში მეფეე ბატონო, სავ-  
სებით უწვერული ყრმა ბასიანის ომში  
ვახლდი გიორგი მეფეს, ბაგრატ მეფეს“

თან ვახლი ახალქალაქში, როცა სულ-კურთხეული პაპაშენი ებრძოდა იმ ლეთისგანწყვეულ ალფ-ასლანასა, სამშვილდეში გიორგი მეფესა და ქყონდიდელს.“

„ეს მითხარი შოშიტაი, თითო პერანგის გაცვეთას რამდენ ხანს მოუნდი?“

„თითო წელს მეფის მზემან. რა გაგკვირვებია მეფე ბატონო, ბედზე მაჩემს ოთხმოც წელს ერთხელაც არ გამოუცვლია ვგონებ პერანგი.“

იმავე პერანგით დამარხეს, რაც ქორწილში ეცვა. მთელი ჩემი სიცოცხლე ვემსახურე მეფეებსა და ცხენებს.“

მეფემ ირგვლივ მიმოიხედა. „შოშიტაის უბრძანა დამჯდარიყო, თავათ ჯირკვზე დაიმუხლა და სთქვა:

„გულახდილად მითხარი შოშიტაი, მეფეები გირჩევენია თუ ცხენები?“

„შოშიტამ საჯინიბოს ღია კარებისკენ ვაიხედა და სთქვა:

„ეჰ, რა გითხრა ჩვენო ბატონო, შენს საჯინიბოში არც ერთი შეკაზმული ცხენი არაა ამჟამად თორემ სიმართლეს გეტყვოდი პირუთვნელად.“

მეფემ გაუღიმა:

„არა, მაინც რად ახსენე ერთად მეფეები და ცხენები შოშიტაი?“

„ისინი ერთ რამეში ჰგვანან ერთმანეთს ჩვენო პატრონო, თუ გააჯავრე, წიხლებს გითავაზებენ ლამაზ ლამაზებს.“ დავითს გაეცინა, ხოლო შოშიტაიმ განაგრძო:

„შენი ულაყები ისეთი ავებია, უფაღმა დაგიცვას, თუ ცოტა გააჯავრე, მორჩა.“

ცხენმა დახსომებაც იცის. ეს თემოს ძვალი შენმა ქუჯაიმ ჩამიღწა მე შარშან წინ. მეფეთა ცხენებისაგან მთელ ტანში დაბეგვილი ვარ, იმ შენმა ფეხკავშა ალერსამ ერთხელ ისეთი წიხლი მკრა, ლამის იყო სვეტზე არ ამაკრა ლავაშვით.

მე მაინც ძლიერ მიყვარს ცხენი მეფე ბატონო, ქყონდიდელის ნაცვალად რომ დამნიშნო, საჯინიბოდან არსად წავალ. ცხენის ჩონჩორის სუნი მირ-

ჩეენია ვარდისას. ამ საჯინიბოდან პერდაპირ უნდა წამიღონ სასაფლავზე.

როცა ადამიანმა ზღვრდან ამოყვანა პირველად ცხენი, შეეკითხა თურმე, რა გირჩევენიაო ყველაფერს?

მოყვარული პატრონო, მიუგო ცხენმა.

წინებზე გიორგი მეფე ბრძანდებოდა აქ, ნამი ოჭრო მიბოძა, მითხრა ახლა გეყოფათ შოშიტაი, შინ წადი შევილიშვილებს მოეფარეო, მე არ დავაყოვნე და მიუგო: ამ ცხენებს ვინლა მოეფარება მეთქი? ესენი ჩემი ხელით დამრდილებია, მოგვხსენება სიყვარულის საფანელი ამავია ჩვენო პატრონო.“

დავითმა ჯერ თავისი ულაყების ნახვა მოისურვა. სათითაოდ მიდიოდა მათთან, ხან თხემის რქაზე, ხან გავაზე ხელს უსვამდა, თვალის უპეებზე ეფერებოდა.

ხარობდა დიდრონი, ქლიავისფერი, თვალების შემოხედვისაგან. ალერსად კეკლუცად თავს უქნედა, თითქოს საყვედურობდა: სადა ხარ, რად მიმეტოვეო ჩემო პატრონო?

„რამდენი წლისაა ახლა ალერსად?“

ეკითხება დავითი შოშიტას.

„შვიდისა, მეფე ბატონო.“

„აჰა, ეს კარგი ასაკია ცხენისათვის, ამიტომაც იტყვიან არაბნი: შვიდი წელი ჩემი ძმისათვის, შვიდი ჩემი ცხენისათვის, შვიდი ჩემთვის, და შვიდი ჩემი მტრებისათვის.“

დავითმა ლაშები გაუხსნა ალერსას, კბილებში ჩახედა...

„შენ ხომ იცი შოშიტაი, ეს პირწმინდა არაბულია, კობლანისას ეტყვიან ამ ჯიშს.“

„არ ვიცი კარგად მეფე ბატონო, გიორგი ქყონდიდელი ბრძანებდა ქეილანის ჯილაგისაო.“

„არა, კობლანი და ქეილანი, ორივე ბედუნიური ცხენის ერთი და იმავე ჯიშის სახელია.“

სთქვა მეფემ, საოლაზე ხელი წაუსვა თავის საყვარელ ულაყს.

ახლა ქუჯაისთან მივიდა დავითი.

„იცი შოშიტაი, არაბები ეგრე ამბო-



ბენ: ჯიშინი ცხენი როგორც „სისწრაფით, ისე აღნაგობით მწვევარს, მტრედსა და აქლემს“ უნდა ჰგავდესო.

უნდა გითხრა, ისინი მართებულად ამყობენ თავიანთი ცხენებითა.

არაბნი აგრე იტყვიან: ის ხუთი ჯილაგის ცხენის „ყამსად“ წოდებული, სოლომონ მეფის ხუთი ქაკიდან არიანო წარმომობილნი.“

დავითმა გავაზე ზელი გადაუსვა ქუჯაის და ეუბნება მეჯინბეს:

„აი დახედე შოშიტა, ქუჯაი პირწმინდა ქეილანურია, ნახე როგორი ვიწრო გავა აქვს! ფაფარი მოკლე — ძუა გრძელი და ფოფინა.“

შოშიტამ ახლა „პარუნასთან“ მიიყვანა დავითი. ოქროსფერი აჯილდა მრისხანედ აბრიალებდა თვალებს.

„ორი წლის არ იყო პარუნაა როცა უნაგირი დავადგი.

მე ვიცი მეფეც ბატონო შენ ყორნისფერი ულაყები უფრო გიყვარს, სულკურთხეული მაგრატ მეფეც შავ ცხენს ირჩევდა მუდამ. მაგრამ პარუნაა ძალუმად ლამაზია ჩემმა მზემ. „სთქვა შოშიტამ და მეოთხე ულაყს „მუცას“ დაადგა თვალი.

„მუცაი, რამდენად ვიცი არაბული როდია, შიხნის ჯილაგისაა, არა?“ სთქვა შოშიტაიმ.

მეფე დაკვირვებით უქვრტდა მუცას, თავი დაუქნია მეჯინბეს, დაუდასტურა:

შიხნისააო.

„ხომ ზედავ როგორ ვუყვარვარ ამ პირუტყვებს მეფეც ბატონო, მათთვის მხოლოდ ენა არ მიუცია უფალს, მაგრამ ბევრ ადამიანს სჯობიან.

ზოგ კაცს ის ოხერი ენა სულ რომ არა ჰქონდეს, აჯობებდა, როგორც მისთვის. ისე სხვისთვისაც. რადგან ზოგს ენა როდი აბია, თავათაა ენაზე მიბმული, ამიტომაც იღუპება მყრალი ენის მერხებითა.

ეს ცხენი რამდენ ენაგალაქსარებულ დიაკონს არა სჯობია?“

„განა მარტო დიაკონს?“

„მთუ გნებავთ ჩვენს მეჯინბეთუხუ-

ცესაც. ეს კაცი ცალიერი ენაა, ცხენის მცნობად მოაქვს თავი და სხვა არაფერი ესმის ცხენისა. შენს აქ არ ყოფნაში ერთმა ოვსმა ასი ცხენი მოჰგვარა გიორგი ჭყონდიდელს შესასყიდად.

ავებდ-დავებდე, ამ ცხენებს. შენი აჯილდებისთვის თვალგაჩვეულს ვირთხების ხროვა მეგონა. ეს იყენენ მეტწილად ყიფჩალური ჯიგითის ჯილაგისანი. მუცელგაბერილნი, მუხლდაბალნი, ვირთხასავით წერილთვალუბიანი.

ფეხზე ბანჯგვლები ჰქონდათ გამოსული.“

მეფემ სთქვა:

„არაბულს მუცელი არ უნდა აჩნდეს, სხვილთვალუბა უნდა იყოს და მუხლმაღალი, საოლავი შიშველი უნდა ჰქონდეს.“

„იმ ცხენებს ფაფარიც ბანჯგვლიანი ჰქონდათ, თავი ხორცქარბი.“

„არაბულს ფაფარი მოკლე აქვს, თავისიერი ხორცნაკლები.“

„დრუნჩი ღორის დინგვიით სწორი და წამაზული ჰქონდათ, ვირისებრ ყურები.“

„არაბულს ოდნავ, სულ ოდნავ მოდრეკილი ცხვირი უნდა ჰქონდეს, ყურები თელის ფოთლებივით წაწვეტებულნი, აი ასეთი, როგორიც ჩემს მუცასა აქვს“, სთქვა მეფემ და ყურებზე მოუალურსა მუცას.

„მერმე ის იყო, განაგრძო შოშიტამ, ჭყონდიდელმა დაითხოვა მეჯინბეთუხუცესი და მითხრა:

„მე ცხენის საქმეში უცები ვარ, შენ რას იტყვი შოშიტაი, შეგვისყიდოთ ეს ცხენები? ქვა ვისროლე და თავი შევეუწვირე, მაგ ცხენებიანად გაგყვრის მეთქი ამ საჯინბოდან დავით მეფე...“

დავითმა გაუღიმა შოშიტას.

„შენ ყოველივე შეუფარველად უნდა მითხრა შოშიტაი. ყოველ კაცს უჭირს ამ ქვეყნად ჩემო შოშიტაი. ნურავის ჰგონია ზოგიერთი მეფე რომელიმე მეჯინბეზე უფრო სვებედნიერი იყოს.

წელან შემშურდა თქვენი სიცილი.

მე ალბათ ასე გულიანად ვერასოდეს გავიცინებ.“

„შოშიტაი უკუდგა და გაოგნებული მიაშტერდა მეფეს.

მას ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა უბედური რომ ყოფილიყო რომელიმე მეფე, ისიც დავითი, რომელიც ეგზომ განებევრებული იყო თავისი ხალხის სიყვარულისაგან, მაგრამ გონიერი მოხუცი მაინც მიხვდა ქვეშეცნულად: რაღაც უჩინარი დარდი აწუხებდა მეფეს.

„შოშიტამ თავის გარშემო მიმოიხედა ფრთხილად და სთქვა:

„ერთს რამეს კიდევ მოგახსენებდი მეფეე ბატონო, ჩემის გლეხური ქეთითა. ყოველი კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ყოველი კაცი, ვინც სულ აღზევებას მიესწრაფვის, უთუოდ საეკვოა.

რადგან იგი, ვინც ქეშმარიტად აღზევებულია, მას აღზევება არ ესაქიროება. სულმდაბალნი და სულითგლახანი მიესწრაფვიან აღზევებას მუდამ.

შენ უბადლო მონადირე ბრძანდები მეფეე ბატონო, ალბათ თავათ დაკვირებისხარ ქაობის ერთ ფრინველს, ქარს რომ მოახტება ქედზე და... მაპატიე და...“ (შოშიტამ შესცინა მეფეს და როცა იგი დარწმუნდა, რომ დავითი თავათაც მიუხვდა თუ რომელ ფრინველს გულისხმობდა შოშიტაი).

„რას უძახით თქვენ იმ ფრინველს?“ შეეკითხა მეფე. ისევ შეყოყმანდა და ღიმილით მიუგო:

„ცრუქაქუნას ვეტყვით ჩვენ მონადირენი ამ ფრინველს. ეს ყოვლად უმაქნისი ფრთოსანი, რომელსაც არც ხმა და არც ხორცი გააჩნია საამური, ხობბებს, დურაჯებს გნოლებს აასწრებს ჰაერში, ქარს მოაჯდება ქედზე და ამიკობას დაუწყებს...“

განა მარტო ჩვენი მეგინიბეთუხუცესი გიგოი, ზოგზოგი სხვა უხუცესიც ნაპარმაგვეის სასახლისა იმ ფრინველს ჰგვანან, თუ არ მიწყენ, მეფეე ბატონო.

გვიანი ღამით, როცა გუთანი უკვე გამქრალია ცაზე, მე გამივლია ჩრდი-

ლის კოშკთან და შეუქი მომწვდენია იქიდან. ყველამ იცის, შენ, ასეთ დროსაც ჩვენი სივალახის დარდით ვიღარ გძინავს, ჩვენი პატრონო.

ყველა რომ თავის საქმეს რიგინად უძღოდეს, არც ამდენი თავის ტეხა დაკვირდებოდა. ცრუქაქუნა უხუცესები რომ არა გყამდეს, დროზე დაძინებას შესძლებდი როგორმე.“

როცა საჯინიბოდან გადიოდა დავითი, მან ხუთი ოქრო აჩუქქა მოხუცს. ეს ამბავი გახუმრებისათვის გამოიყენა შოშიტამ:

„რას მოვესწარი მეფეე ბატონო. აქამდის მართლისთქმისათვის მხოლოდ პანლურებს არიგებდნენ მეფეები...“



მახარა ნასადილევს გამალეზული დავებდა დავითს. ვერც პალატებში იპოვნა იგი, ხილნარსა, ნადირთა საჩინეშიაც შეიარა ერთ ორჯერ. ჩრდილის კოშკის კიბეზე საბია შეეყარა და უთხრა საბიამ ასეთი რამ:

მეფემ სასანთლეები ჩამაქრობინა და მარტო დარჩენა მოისურვავო. „ქარის ალაგთან მისული არ ვიყავი, მახარა მომგვარეო მიბრძანა.“

მახარა ფეხაკრეფით შევიდა საძილო დარბაზში. ერთადერთი უქრობელი სანთელი ბეუტავდა მაცხოვრის ხატის წინ.

დავითი პირქვედამზობილი იწვა, მახარას ფეხის ჩქამზე გადმობრუნდა და უთხრა:

„მიდი საწიგნესთან მახო, რეკმანის ლექსი მომიძებნე და წამიკითხე, წელან ამოდ ვეძიე და ველარ ვიპოვნე.“

მახარამ დიდხანს ეძია სქელ ფოლიანტებს შორის ერთი, გახუნებული, ჩალისფერი არაბული ზელნაწერი. სასანთლენი აანთო, სასთაულთან მიუჯდა მწოლარეს და ტაატით ამოიკითხა:

„ყარყუმის ბეწვი გქონდა საგებად, ახლა მიწაზე ვანრობულხარ რეკმან, რა იქნა შენი ქორმიშინი, შინის ჯილაგის ცხენების რემა? დამეს ერთე იცოდე რეკმან.“

იდმალებით ორსულსა ღამეს,  
 ნურვის შესხველებ როგორ გამოუტლეს,  
 საწუთროება ვით მოგიშხამეს.  
 ნურვის შესხველებ შენი საფრევე,  
 რა უმოწყალოდ გაანიავეს,  
 ნუ დარღობ რეჰმან, ფრთამალი ანკა,<sup>1)</sup>  
 თან წაროტავენს ჟამთასიავეს.  
 ცრემლს განერიდო იცოდე რეჰმან,  
 ცრემლი დიაეთა ლოდსატორცინია,  
 არვის შეპყრა ჯერ მწუხარება,  
 რომელიც დროს არ წარუხონდია.  
 ყარუყმის ბეწვი გქონდა საგებად,  
 ალა მიწაზე გათხმულხარ რეჰმან,  
 აღსდგინ ქეა, ლომგულოვანო.  
 სულით ნათელო, საბათა გვრეჰმან...“

კიდევ დიდხანს უკითხავდა მახარა  
 რეჰმანის სტრიქონებს მწოლარეს. ბო-  
 ლოს დავითი ცალ იდაყვზე დაეყრდნო  
 და უთხრა საქურისის:

„იმავე საწიგნეში ლულუ ბენ ჰაიდა-  
 რის უსტარია მახო. გასაგები მიზეზის  
 გამო მე აქამდის ვყოყმანობდი თქვენ-  
 თვის მეჩვენებინა იგი. წაიკითხე და  
 მამიდაჩემს გადაეცე, ნახე რა მუხთა-  
 ლია ბელი!“

მერმე სასანთლენი ჩააქვრე, მახო.“

მახარა ადგა, გრავნილი გამოიღო, სა-  
 სანთლენი ჩააქრო და ძილი ნებისა  
 უსურვა პატრონს.

ალარსად სჩანდა ძილი...

უსიამო ქარი შემოდოდა საძილო  
 ოთახში, აზანზარებდა სარკმელს. ჯერ  
 გუშაგების სტვენა ისმოდა, ქარი არაჯ-  
 გუნებდა რომელიღაც კიშკარს, ხან  
 ცხენების ჰიხვინი მოისმოდა საჯინი-  
 ბოდან, ხანაც ტურების შორეული ჩხა-  
 ვილი, როცა ყოველივე მიწყნარდა, და-  
 ვითი კვლავ შეეცადა დაძინებას, ბალი-  
 შებში თავი ჩარგო და ასე გაოგნებუ-  
 ლი ყურს მიუგდებდა გულისტანური  
 ლომის ბოკვერის ღვრინვას...

მეორე დღით ადრე ადგა მაინც,  
 გიორგი ჭყონდიდელის მოხსენება მოი-  
 სმინა საგამგეოში, მერმე ისევ თავის  
 კოშკში ჩაიკეტა.

საბიას უბრძანა ელარუნა ეხმო, ბა-  
 ზიერთუხუცესი.

ელარუნა გახარებული ამოჩინდრიკ-  
 და კოშკის კიბეებზე, აგრე ეგონა: ტყის  
 ქათმებზე სანადიროდ შიგყავარო შე-  
 ფეს. დავითმა უბრძანა: მისი ქორები,  
 მიმინოები და შავარდნები გამოეყვანა,  
 სახამლაეები ახესნა მათთვის.

როცა განთავისუფლებული ფრინვე-  
 ლები ცაში აიჭრნენ და ირაო შექმნეს  
 ნაჭარმაგვეის სასახლის ზეთავზე,  
 წვერს იგლეჯდა ბრანძორეული ქლა-  
 რუნა. მახარას კრინტი არ დაუძრავს,  
 რადგან იგი უსიტყვოდ მიხვდა: დავით  
 მეფე, იმ დღეს სამუდამოდ რომ გამო-  
 ეთხოვა სიამის დღეებს.

მესამე დღე ორშაბათი იყო, უთენია  
 მალემსრბოლი მოვარდა ხორნაბუჯის  
 ციხიდან და ამცნო გიორგი ჭყონდი-  
 დელს:

თურქომანთა აკინჯის ბრბოებმა სამ  
 ადგილას გადმოლაბეს კახეთ-პერეთის  
 სამზღვარი და ალაზნისკენ მოისწრაფ-  
 ვიანო. ისიც აუწყეს ჭყონდიდელს რომ  
 აკინჯის ბრბოებს უკან მოჰყვებოდნენ  
 სელჯუკიანთა ლაშქრის ამირა შიხ ალ-  
 დინ ახმეტი და ათაბაგი განძისა ამირ  
 გოზგოლი სპიანად.

დავითი გააღვიძეს.

იგი აუჩქარებლივ წამოდგა. მაცხოვ-  
 რის ხატის წინ ილოცა. მერე ნებანება  
 ისაუზნა. აუჩქარებლად ჩაიცვა თავისი  
 სანიადავო, პერანგი ჯაჭვისა, ბაგრა-  
 ტეული ხმალი წელზე შეირტყა, ძე-  
 რასფერი მუხარადი დაიხურა.

როცა იგი თავისი კოშკის კიბეებზე  
 ჩამოდიოდა, მას უკვე მოესმოდა ცხე-  
 ნების ჰიხვინი, აბჯრის ელარუნი და  
 დაფლადის ცემა.

სტრატეგი ნოტარიც გამოაღვიძა  
 ცხენების ჰიხვინმა. ეზომძღვრის ცინ-  
 ცილოკისაგან რა გაიგო ლაშქრის ამირა  
 შიხ ალდინ ახმეტი და განძის ათაბაგი  
 სპიანად შემოჭრილანო კახეთში, სასწ-

<sup>1)</sup> ანკა — პუშტუს ენაზე მითითრ ფრინველ-  
 სა ჰქვია.

რაფოდ ახმობინა მეკარვეთა და მეჯორეთუხუცესნი და უბრძანა: დაუყოვნებლივ უნდა გავბრუნდეთ ბიზანტიონს.

გიორგი მეფე ძლივს იკავებდა ღიმილს როცა ომებში მრავალნაციადი სტრატეგი ათუხუცებული მოვარდა გამოსათხოვრად მასთან.

ბოლოს გიორგიმ გაიღიმა და უთხრა სტუმარს:

„ნუ ღელავთ სტრატეგო ბატონო, ვიდრე თურქები აქ მოაღწევდნენ, ჩვენ კიდევ მოვასწრებთ ყვითელ კალმახზე სანადიროდ წასვლას.“

„არა, არა, სევასტოს ბატონო, მე ცუდი სიზმრები დამჩემდა ბოლო ხანს. ეგეც არ იყოს თავი მოგაბეზრეთ ეგზომ ხანგრძლივი სტუმრობითა. ერთადერთი ეგ ლა მაწუხებს: დღეს ორშაბათია და როგორ ლა დავადგეთ გზას?“

მარიამ დედოფლის ნახეა მაინც მოიწადინა წასვლის წინ სტუმარმა. მაგრამ მარიამის ეზოსმოძღვარმა ცინცილუკმა ცივად მიუგო:

„შეუძლოდ არისო ბასილისსა.

მთელი კვირის მანძილზე ელენე დედოფალი ავად იყო, სარკმელთან მაინც მიხობდა, ეგ უნდოდა: როგორმე თვალი

მოეკრა ომში მიმავალ თვალის სინათლისათვის, მაგრამ გულწრფელი იატაკზე დაეცა. „მაცხოვარი მწედ გყავდეს შეილო,“ ჩურჩულით სთქვა დედამ.

მარიამი ვარდის შარბს აპკურებდა მას, ბოლოს თავათაც შეუწუხდა გული და გვერდით მიუწვა ავადმყოფ რძალს.

გვანცა ხან ერთთან მიირბენდა, ხან მეორესთან, ხანაც აივანზე გადმოდიოდა და გასცქეროდა მცხეთის გზას.

გვანცამ მხოლოდ ერთხელ წაატანა თვალი დაეთის, რომელიც თავის ყორნისფერ ულაცს მიაგულვებდა მტერიან თემშარაზე.

შერმე ამოვარდა უხიაგი ქარი.

გზებზე დამდგარმა ბულმა შთანთქა შეუბისტარების ტყე, მიიმედ შეჭურვილთა მუზარადებზე დანთებული ლაბლაბი შეუქისა, მტერის ფარდა დაეშვა უხიაგოდ მოღუშულ თვალსაწიერზე.

ქარბორბალა დაგელავდა ნაირმალის ველზე, მედგრად უტევდა ნაქარმაგვის ძველთაძველი სასახლის ქონგურებს, არაჯგუნებდა მეკრეთა მიერ ღიად დატოვებულ კარებს.

„ქარი მოხურე გვანცა“, კვნესოდა მარიამ დედოფალი.

(გაგრძელება იქნება)



ნიკო ალბაზშვილი

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე, —  
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,  
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,  
მსურდა წამელო ყველა სიამე,  
ყველა სიმწიფის მენახა გემო...  
სიგრძე და განი... ზემო და ქვემო...

ვერ შეველიე აპრილის დიღებს,  
ლურჯ კონდარზე ტყემლების  
ფთილებს, —

მეძახდა ჩემი ლიხთიმერეთი,  
ჩემი პირველი ზღვა და ხმელეთი,  
ჩემი ბავშვობის გამშრალი ნამი, —  
მეც ბალდადისკენ მივჭროდი ღამით.

მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან,  
ყველა ვაჟკაცი მეგობრად მსურდა,  
სამ ადღზე მქონდა გამლილი მკლავი,  
მე ვიყავ ძმობის გული და თავი. —  
ხან წინაველი, ხან ბაღი დიდმის...  
ვერ შეველიე ტოლებთან ღიღინს.

ვერ შეველიე ალაზნის ნაპირს,  
საინგილოში ავარდნილ ნადირს, —  
ჯახ! გუგუნებდა გაღმიდან გაღმით

და რომ მეგონა გათავდა ეხო,  
ერთს კიდევ სადღაც დაჰკენესდა  
ნალვლით,  
ალბათ სიცოცხლე არც იმ ხმას ეყო.

ვერ შეველიე ლამაზის ალერსს,  
წადილით აესილ ნამიან თვალებს  
ვეძებდი, როგორც ფრინველი ბაღნარს,  
მივდევი, როგორც მდინარე დაღმართს  
და მხოლოდ ცისკრის იგებდა ქამი  
სად, რომელ ჰერქვეშ მეძინა ღამით.

ვერ შეველიე თბილისის კარებს,  
თბილ შემოდგომის ქარვისფერ დარებს,  
კრწანისში ძველთა ტკბილ გახსენებას,  
ვერაზე ახალ ბაღთა შენებას  
და, როგორც ზეცას მზე ჰკრავდა ისრებს  
მივდევი ქუჩებს ისევ და ისევ.

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე —  
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,  
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანებს,  
მსურდა წამელო ყველა სიამე...  
წაგყვება რამე?!

## იაკინთა ღისაშვილი



### ერთგულება\*

რ. მ. ა. ნ. ი.

გადაზრდილი მზე აცხუნებდა ლომციხის მიწას. შრიალეზდნენ ნახევრად ფოთოლგაცვენილი თელეები, ქადრები, ალვის ხეები. შეყვითლებულ ფოთლებს მაინც კარგავდნენ, ტიტვლდებოდნენ, სამაგიეროდ, ახალ ქუჩებში თუ ბაღებში გაშენებული ნაძვები, კედრები, ფიჭვები და კვიპაროსები, უფრო ჩნდებოდნენ.

მიწაზედაც არ აჩერებდა ფოთლებს ქარი. პეპლებივით მიაფრიალებდა, შორს ერეკებოდა.

ცოტათი მოშორებით, იქ, სადაც ექსკავატორები ვეებერთელა ხორთუმებს აქეთ-იქით იქნევდნენ და მიწას მუქამუქა იღებდნენ, ჩოჩქოლი იდგა.

ორი ერთად მომუშავე ექსკავატორი უეცრად შეჩერდა.

გერონტის ხმა გაისმა:

— დამარხული საუჯუნე გამოჩნდა, დაუძახეთ უფროსებს!

ახლა მეორე ექსკავატორზე მომუშავე ვალოდიაც წინ გამოვიდა. როცა მიწის სიღრმეში უძველესი სამარხის დამსხვრეული ქვები და ადამიანის ჩონჩხი დაინახა, უეცრად შედგა; ამ ერთმა წუთმა ასეული წლების იქით გადაახედა და ჩააფიქრა.

ვიღაც მივიდა, ქვები ხელით გადასწია და მთელი სამარხი გამოაჩინა.

მეომრის ჩონჩხს ხელში შიშველი ხმალი ეჭირა, მეორე მხარეზე ფარი, რკინის პერანგი, ტარმოქროვილი ხანჯალი და შვილდისაბი შემოეწყო.

თამაზი და ტაჩენკო მოვიდნენ. პირგაზსნილ სამარხს დააჩერდნენ.

— ლომციხის ძველმა მებრძოლმა ამქვეყნიური სინათლე მეორედ ნახა ჩვენს დროში, — წარმოთქვა თამაზმა.

— ასეთ საფუძველზე მარტენის ღუმელებიც მტკიცედ დადგება, — დაუშაბა ტაჩენკომ.

— მე და ვალოდია სიკვდილს ვთესავდით ფრონტზე, აქ კი მკედრებს ვაციცხლებთ, — წარმოთქვა გერონტიმ.

— აიღეთ, ბიჭებო, ამ სამარხის მთელი სამკაული და ერთად დააწყვეთ. აქ ასეთი სამარხები კიდევ შეგხვდებათ და ფრთხილად იყავით, — უთხრა თამაზმა ექსკავატორზე მომუშავე გერონტისა და ვალოდიას.

— აი, რა ვიპოვე! — ცოტა ხნის შემდეგ დაიძახა გერონტიმ და სამარხიდან მოქროვილი სათუთუნე აიღო, გაწმინდა, დააჩერდა; სათუთუნეზე ულამაზესი ქალის სახე იყო ამოკვეთილი. მას თავზე ქართული მანდილი ეხურა და ზევით თითქოს ცას მისჩერებოდა; იქვე ძვირფასი თვლებით შემკული ბაჯალლო ოქროს ბეჭდებიც იპოვნეს და ერთად დააწყვეს...

მალე გურამი, ვაიოზი და ჯამლეთიც მოვიდნენ.

— გათხრების მთელი ექსპონატები ლომციხის დროებით მუზეუმს გადავცეთ. ძველი და ახალი ლომციხის სახე დაამშვენებს ერთმანეთს, — თქვა ვაიოზმა. მერე გერონტისა და ვალოდიას გასძახა: — თქვენ კი, ტანკისტებო, ამ დღესასწაულზე ცოლები. რომ შეირ-



თეთ, განა ამათზე ნაკლები გმირების წარმოშობა მოგეთხოვებათ?!

— წარმოშობაზე უარს არ ვიტყვით თუ... — და გერონტიმ არ დაასრულა.

— თუ ბინას მოგვცემთ, არა? — მიუხედავად გაიოზი, — აგერ, ჯამლეტი სიტყვას გაძღვეთ, რომ თვენახევარში ბინაც გექნებათ.

— ახალი წლისათვის, — დაუდასტურა ჯამლეტი და სქელი ნახშირით. შავი უღვაშები დიდმნიშვნელოვნად გადაიფარა.

— ნამდვილი ქორწილიც მაშინ გვექნება! — გასძახა ვალოდიამ.

გურამი და გაიოზი მარტენის მშენებლობის მოედანზე კარგა ხანს დარჩნენ. მერე სარემონტო და დამხმარე საამქროს მშენებლობის მოედანზე წავიდნენ.

გაიოზმა გზაზე ნათელა დაინახა, მიესალმა და მიადახა:

— საქმე როგორაა, ნათელა, თქვენი ყმაწვილი ხომ კარგად მოწყობ?

— გმადლობთ, აგრე სასწრაფოდ რომ შეგვისრულებთ დანაპირები! — პირზე ღიმილით გასძახა ნათელამ.

ცოტაოდენი მანძილი რომ გაიარეს, გურამმა თქვა:

— ლომსაძეს ვერაფერი მოვუხებრხეთ. წალმა ეტყვი — უკუღმა ესმის. ხშირად იქა ვარ, მაგრამ როცა ვშორდები, ყველაფერს სხვანაირად აკეთებს. აგრე გაგრძელება არ შეიძლება.

— კოლა ლომსაძეს კარგად ვიცნობ; მას მეტი მოეთხოვება, — მშვიდად, აჩქარებლად უთხრა გაიოზმა.

— აი, მივიდეთ და თვითონაც დარწმუნდებით, — უბასუხა გურამმა და სანახევროდ დამწვარი პაპიროსი შორს გადაადგო.

სარემონტო სახელოსნოების მშენებლობის მოედანზე მივიდნენ.

— როგორაა საქმე, კოლა, ძალიან ჩამორჩით? — ჰკითხა გაიოზმა.

კოლამ ჯერ გურამს გადახედა, მერე რალაც დარცხვენით თქვა:

— გურამმა ჩემზე უკეთ იცის... ნახევარჯერ აქაა, ხშირად აქ ლამეებს

ათენებს და ჩვენს საქმეებსაც თვითონ უძღვება.

— მერე-და, თქვენ რაღას აკეთებთ? თქვენ მშენებელი ხართ და არა მეთვალყურე, — უთხრა გაიოზმა.

— ეს ვიცი, მაგრამ...

— მით უფრო, თუ იცი... არა, აგრე როდი ივარგებს, თუ საქმეს თავი ვერ გაართვით, სჯობს პირდაპირ თქვათ... წავიდეთ, გურამ.

ისინი უკვე რაიკომში იყვნენ და ბაასს განაგრძობდნენ.

— რალაც მიზეზია და ვერ გამიგია, რაშია საქმე, — ამბობდა გაიოზი, რომელსაც სიდრემში ჩასული თვალები თითქოს ჩაპჭრობოდა, — კოლას ვიცნობ, როგორც კარგ ინჟინერს. ახლა კი...

— მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს, მაგრამ აღამიანს საქმით გამოაჩენს, კარგი ბიოგრაფია კი ვერაფერს უშველის, — ცხარობდა გურამი.

— მაგრამ აღამიანის გავებისათვის მისი ბიოგრაფიაც უნდა ვიცოდეთ. აღამიანის წარსულის ცოდნა მის მომავალზედაც ბევრ რამეს ამბობს. ამიტომ საჭიროა დრო მოგვეცეთ, სულ ბევრი, ათი დღე, — მშვიდად უთხრა გაიოზმა და, გაცხარებული გურამი რომ დაემშვიდებინა, გაუღიმა.

გურამმა წარბები ასწია, გაწითლდა.

— გამოდის, რომ ამ ათ დღეში ლომსაძის გასაკეთებელი საქმე ისევე ჩვენ უნდა ვაკეთოთ!

— გურამ, შეარჩიეთ თუ არა ბლუმინგის მშენებლობის უფროსი? — ერთბაშად შეცვალა საუბრის საგანი გაიოზმა.

— ბლუმინგის მშენებლობის უფროსად შეიძლებოდა მარტენის მშენებლობის უფროსი გადაგვეყვანა. დინჯი და ფხიზელი გონების კაცია. ეს მან უკვე დაამტკიცა, — თქვა გურამმა.

— ვიცი, სასურველი იქნებოდა, მაგრამ ვაშაყმაძეც, ისე, როგორც იანსოვი, არ დაგვეთანხმება; თამაზი ისეთ თემას ამუშავებს, ახალ საქმეს ხელს არ მოკიდებს.



— რა თემას ამუშავებს?

— ახალი ცეცხლგამძლე მასალის შექმნაზე მუშაობს. ამაზე თვითონ კი არა, შვინდიაშვილმა მიაპბო გუშინ.

— ეს კარგია, მაგრამ... — თქვა გურამმა და არ დაასრულა, მერე განაგრძო: — ჩემს მოადგილეზე და ტექნიკური მომარაგების უფროსზე რაღას იტყოდით... ბარველიძე ცუდი ინჟინერი როდია, მაგრამ რაღაც აბრკოლებს, წვრილმანს ახვიადებს, მნიშვნელოვანს საკმაო ყურადღებით არ ეკიდება, ყველაფერს ავადმყოფური თავმოყვარეობით განიცდის. მუშაობაში თუ რაიმე შეცდომა დაუშვა, მოკვდება და არ აღიარებს, იცავს, ცდილობს დაამტკიცოს, რომ შავი თეთრია. ამას კი მისი მუშაობის ნახევარზე მეტი დრო მიაქვს და ჩვენც დროს გვიკარგავს...

— ჯერაც ვერ დავრწმუნდი, შეიძლება თუ არა მოადგილის პოსტზე ბარველიძის დატოვება. მაინც იძულებული ვარ დაგეთანხმოთ; შესაძლოა სხვა სამუშაოზე გადავიყვანოთ.

— მოადგილის თანამდებობა სმირნოვს უნდა შევეუთავსოთ, ხოლო ბარველიძე ტექნიკური მომარაგების უფროსად დავნიშნოთ. ხელაძე იქნებ პურის ქარხნის მშენებლობის უფროსად გამოდგეს.

დიდხანს ისაუბრეს გურამმა და გაიოზმა, ბოლოს გურამი გამოეთხოვა მდივანს, ქუდი დაიხურა და წავიდა.

გაიოზთან ერთი ბრგე ვაჟაკი შემოვიდა.

— მოდი, ალექსი, ალბათ, ისევ განთავისუფლებაზე, არა? ხომ მართალს ვამბობ? — შეაგება მოსულს გაიოზმა.

— მართალია, მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა და მინდა მოგახსენოთ — დარცხვენით უპასუხა ალექსიმ.

— მაინც?!

— რა ექნა, არ მოდის ის ქალი და...

— ვინ ქალი კაცი?

— ისა, ჩემი ცოლი.

— რა ჰქვია შენს ცოლს?

— დალი ჰქვია.

— რაო, მაინც?

— არ ჩამოვალო. თუ ჩემთვის ცხოვრება გინდა, აქ ამობრძანდები! შენც მანდ ფეხის ჩამომდგმელი არა ვარო.

— მაშ, კარგი, დღესვე მივწერ ყაზბეგის პარტიულ ორგანიზაციას, რომ დალის შოელაპარაკოს და ამ საკითხზე მისი საბოლოო აზრი გვაცნობოს.

ალექსი გაწითლდა.

— არა, მაგას ნუ მიზამთ! პირობას გაძლევთ, დავრჩები ლომციხეში და განთავისუფლებაზე არ შეგაწუხებთ. მოხდეს, რაც მოხდება, ჩემზე ყველაფერი ახია!

— მიგიხვდი, ალექსი, — გაელიმა გაიოზს, — მატყუებდი. ვიცი, დალი რომ ყაზბეგში დაბრუნებას არ მოგწერდა; შესაძლოა პირიქით, იქნებ თვითონაც ლომციხეში გადმოსვლას გთხოვს? ა, ხომ მართალი ვარ?

— ჩანს, ყველაფერი იცის გაიოზმა — გაიფიქრა ალექსიმ და მერე, თვით ჰკითხა:

— ვინ გითხრათ? თვითონ დალი ხომ არ მოგწერათ?

გაიოზმა გაიციხა:

— არა, მაგრამ ხომ მართალი ვთქვი?

— მართალია, გამოტყდა ალექსი.

— აგრეა, ალექსი, მე მესმის შენი; მთას შეჩვეული კაცი ბარს ადვილად ვერ შეეგუება, მაგრამ გარწმუნებ, ერთი წლის შემდეგ მადლობას გვეტყვი და თავზე ხელსაც შემოირტყამ, რომ აქაურობის დატოვებას ფიქრობდი. ახლა კი წადი, მისწერე დალის, რომ იანვარში აქ ჩამოვიდეს, ბინას მიიღებთ და გაამრავლებთ ლომციხის მშენებლებს, — და გაიოზმა ხელი გაუწოდა ვაჟაკს.

ალექსიმ ხელი ისე შეაგება, რომ გაიოზისათვის სახეშიაც არ შეუხედავს.

— გმადლობთ, ამხანაგო გაიოზ!

მერე ვილაც წვერმოშვებული, საშუალო ხნის კაცი შემოვიდა.

— აჰა, ისევ სპირიდონი — წამოიძახა გაიოზმა და სახე მოელრუბლა, —

სიღრმეში წასული შავი თვალები სპირიდონს მიაპყრო.

სპირიდონი მიუახლოვდა.

— ვიღუბები, პატივცემულო გაიოზ, — დაიწყო, როგორც კი გაჩერდა მაგიდასთან, — ამ ლომციხეში ციებ-ციხელება და ათასი ავადმყოფობა აღარ მესვენება. ახლა ლოკინიდან ძლივს წამოვდექი და ისევ თქვენთან მოვედი. ჩემი სული ხელში გიჭირავთ; პაერი მწყენს აქაური, პატივცემულო გაიოზ. რაც აქ ჩამოვედი, აღარავარ კაცი. თუ პატარა ხანს კიდევ დავრჩი. ვატყობ, ფეხებს გავეჭიმავ. დღეგამოშვებით მაციებს. რა არ დავლივ, არაფერმა მიშველა. ბაიასავით გამაყვითლა აბების ყლაპვამ...

გაიოზი მოუსვენრად უსმენდა მას, სპირიდონი კი აღარ ათავებდა თავის უკურნებელი ავადმყოფობის ამბავს. დაწვრილებით მოჰყვა, პირველად როგორ გააძაგდაგებს ტანში, მერე როგორ დააწყებინებს ცხელებას...

— რა გაეწყობა, — თქვა ბოლოს გაიოზმა, — თუ ასე უკულმა მიდის თქვენი საქმე და ეჭიმებმა ვერაფერი გიშველეს, წადით... თუმცა ის არ იფიქროთ, თითქოს მე არ ვიცოდე, რის ციებ-ციხელებაა ეს... მეთუჯერ მოდიხართ... წაბრძანდით, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

აშკარად გაახარა გაიოზის პასუხმა სპირიდონი, უკან-უკან წავიდა, მერე თავი დაუტრა მდივანს მადლობის ნიშნად და კარი ფრთხილად გაიხურა.

აღელვებული გაიოზი მაშინ გამოფხინლდა, როცა კარი ისეუ გაიღო. ვიღაც ახალგაზრდა ქალი შემოვიდა.

— მობრძანდით, ნათელა, — მიეგება ქალს გაიოზი, — ახალ ბინაში ხომ კარგად მოეწყვეთ?

— მოეწყვეთ, მშვენიერი ბინაა, მაგრამ თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— დაბრძანდით, ბრძანეთ.

— თქვენ იცით, რომ მე და ჩემი ქმარი ორივე ვმუშაობთ. რვა წლის ბიჭი სკოლაში დაგვიდის. შინ ჩვენზე

აღრე ბრუნდება. მარტო ველარ ჩერდება და ქუჩაში ვადის.

გაიოზი ჩაფიქრდა. მერე მისწავლა გუენათლა და დაიძახა:

— თქვენ მართალი ხართ! ბავშვებს ქუჩაში არ დაგიტოვებთ! იქნებ მაგათთვის შენობა გამოვყოთ. გაკვეთილების შემდეგ მივლენ, დაისვენებენ და გაერთობიან.

— ოჰ, ნეტავი მაგას იზამდეთ, პატივცემულო გაიოზ, — ნატვრით წარმოთქვა ნათელამ.

გაიოზმა კარამდე მიაცილა იგი, მერე ისევ ლომსაძეს გამოუძახა და სარკმელთან შედგა: ჩამობნელებულიყო ლომციხის მთებზე. რაიკომის წინ კი გაძლიერებულ ელექტრომუქს სიბნელე შორს გადაეწია და ვრცელი მოედანი ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე.

გაიოზი ისევ ლომსაძის ბედზე ფიქრობდა. დღემდე ეგონა, რომ ინცინერ ლომსაძეს კარგად იცნობდა, თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში ერთად მუშაობდნენ სამი წლის მანძილზე. ახლა კი...

— ამხანაგო გაიოზ, — შემოესმა უცებ.

ლომსაძე კაბინეტში შემოსულიყო და ახლა მის წინ იდგა.

— ოჰ, მოხვედით? — გამოერკვა გაიოზი, — გაიხედე ერთი, რა ლამეა!

ლომსაძე ფანჯარას მიუახლოვდა, თავდაც ვახედა დაჩაგრულ სიბნელეს.

— მართლაც კარგი ლამეა, — თქვა მან ყრულ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ გაიოზს სწორედ ამისი გავონება უნდოდა.

— გახსოვს, მექანიკურ ქარხანაში რომ ვმუშაობდით ერთად? — განაგრძო გაიოზმა.

ლომსაძემ წუთით გაუსწორა თვალი მის თვალებს და თავი ჩაღუნა:

— მახსოვს, როგორ არა...

— შენ სხვანაირი ბიჭი იყავი მაშინ...

ხომ მართალია?

— მე? შეიძლება!

— თვითონ კი არა გრძნობ ამას?

— თვითონ? რა ვიცი, შეიძლება ვგრძნობდე...

— მერე?

ლომსაძემ თავი ასწია.

— ამ ამბის ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, კოლა. ძმობას გეფიცები. ყველას მაგივრად რომ გურამმა იმუშაოს, არ გამოდგება. ხომ მართალია? მაშინ ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ. ვერა ვართ შენი მუშაობით კმაყოფილი, პირდაპირ უნდა გითხრა. მე სხვა გამოსავალი არ მქონდა, უნდა დამებარებინე და გულახდილად უნდა შეთქვა შენთვის ეს. ან ძველებურად უნდა მოჰქიდო საქმეს ხელი, ანდა... გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო გაიოზ, — კვლავ ყრუდ ჩაილაპარაკა ლომსაძემ და ისევ თვალბში შეხედა მდივანს.

— აბა, წადი, — გაუღიმა გაიოზმა, — ვნახავთ, ეამხანაგებთან თუ არა ერთმანეთს შენი სიტყვა და საქმე.

ნახევარი საათიც არ იყო გასული ლომსაძის წასვლის შემდეგ, რომ კარი მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შემოაღო.

— პარმენ, თქვენთან პარტიუროს გადარჩევას ვაპირებთ და რადგან თქვენ სხვაგან უნდა გადაგიყვანოთ, მიხდოდა მეკითხა, ვის შეუძლია შეგცვალოთ? — როგორც კი შემოსული დაინახა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა გაიოზი.

— შემცვალოს? — გაიკვირვა პარმენმა, — რა მოგახსენოთ... ჩვენთან თხუთმეტი პარტიულია, მაგრამ ზოგი მოუშნადებელია, ზოგსაც მოქნილობა აკლია...

გაიოზმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო:

— გამოდის, რომ მარტო თქვენ ხართ უნაკლო, დანარჩენები მახინჯები არიან! ამიტომაც, რომ წარმოების ჩამორჩენას ურიგდებით და ეგუებით... არა, ამას ვერ დაგიჯერებთ!

— რას ამბობთ, ისე მოგახსენეთ, თორემ...

— არა, ნახვამდის! — ისე გადაწყვეტილად უთხრა გაიოზმა, რომ შემცდარმა პარმენმა ენაც ველარ მოიბრუნა.

იმ ღამეს ძილი გაუტყდა გაიოზს. ყოველთვის აგრე მოსდევდა ერთეა რაიმე ჰქონდა გადასაწყვეტის საკითხი გადაწყვეტა. ახლა ყველაფერი ერთად უტრიალებდა თავში. ლომსაძის მდგომარეობა აფიქრებდა. ვერა და ვერ აეხსნა მისი უცნაური შეცვლის მიზეზი. „თუ ახლა არ მივეშველეთ, მერე გვიან იქნება, უფრო დაეშვება — ფიქრობდა გაიოზი, — მაგრამ რომელი ექიმი შეძლებს განკურნოს ავადმყოფი, თუ მისი სატიკვიარის მიზეზი არ იცის? გურამი მეტიმეტად ერევა მის საქმეში. გურამს კეთილი განზრახვა აქვს, მაგრამ იქნებ სწორედ ეს აზნევს ლომსაძეს?“

ლოგინში ველარ მოისვენა. წამოდგა, შუქი აანთო.

ახლავე დაერეკა და დალაპარაკებოდა გურამს? საათს მისწვდა მაგიდაზე, დახედა. ოთხი იყო დაწყებული... არა, ახლა გვიანია. ხვალაც მოესწრება, — გაიფიქრა გაიოზმა და ტელეფონის ყურმილი, რომელიც ის იყო, ხელში აიღო, ისევ თავის ადგილზე დასდო. ყურმილმა წკაპანი მოიღო. ამ ხმაურზე ფრთხილად მოაბრუნა სახე გაიოზმა და ცოლის საწოლს გახედა.

ნელის ხელები შემოეწყო თავქვეშ და ქმარს შემოჰყურებდა.

— გაგაღვიძე? — უმაღლესად წამოსცდა გაიოზს.

— არა.

— როგორ თუ არა?

— რომ მძინებოდა, გამაღვიძებდი. ვგრძნობდი, ძილი გაგიტყდა და ვერც მე დავიძინე...

გაიოზმა გარკვევით დაინახა: ცოლის შავ თვალბში თანაგრძნობის შუქი მოჩანდა.

II

იმ დღეს თამაზს ლომციხის მიწაში აღმოჩენილი სამარხის სურათი ედგა თვალწინ. შეჯავშნული, ხმაღმეორეული ქართველი ვაკეაცი თითქოს გაცოცხლდა, მტერთან ცხარე ბრძოლების ყიფინაც შემოესმა და შეაჩრცოლა...

ახლა შინ მიდიოდა თამაზი და ფიქრი აქეთ მომავალმა ქალ-ვაჟმა დაურღვიო ისინი სწრაფად ახლოვდებოდნენ.

ქაბუჯი რალაც ამბავს უყვებოდა ახალგაზრდა ქალს.

— ვიქტორ! — გასძახა თამაზმა.

— აი, ვინ მოდის! თამაზ, სადა ხარ, სად დამეკარგე! რამდენი გეძებე ამ დღესასწაულზე, გავებდნიერდი და ვერასაც გაპოვე აი, გაიცანი, ჩემი მეუღლე. საქართველოს მზემ მეც მომანათა! — უთხრა ვიქტორმა და მალალი, შავთვალწარბა ახალგაზრდა ქალი თამაზს წარუდგინა.

გაოგნებულმა თამაზმა სიტყვა ვერ დასძრა.

— თინა! — გასწრო ქალმა და ხელი გაუწოდა.

— გილოცავთ! — ძლივს ჩაგარდა გულისხმაში თამაზი და ვიქტორს მიუბრუნდა:

— გამოდის, რომ მეგობრის მიმართ უყურადღებობა გამოვიჩინე. ან თვითონ შენ დამივიწყე, ვიქტორ.

— არა! რომ მოვინდომოთ, ერთმანეთის დაფიქრებას მაინც ვერ შევძლებთ, ქორწილს კი მოვესწრებით; მალე შენი ქორწილიც იქნება, ხომ, თამაზ!

— რა ვიცი, ვნახოთ...

— როგორ თუ ვნახოთ!

— აბა რა გითხრა... — გაელიმა თამაზს, — რომ დაგებირდე და ტყუილი გამომივიდეს? იცი რა, ვიქტორ? — კილო შეცვალა უცებ მან, — ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ჩემი არჩევანი შენზე შეჩერდა...

— ჩემზე? — თვალები დააცვია ვიქტორმა და მეუღლეს გადახედა, — ჩემზე რანაირად შეჩერდებოდა შენი არჩევანი!..

— კარგი, გეყოფა, ხუმრობას თავი გაანებე. მე საქმეზე გელაბარაკები.

— რა საქმეზე?

— გამოცდილი ინტენერი ხარ, დახელოვნებული მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაში. მშენებლობის უფროსი კი ასეთ კაცს ეძებს და ამ საგან-

ზე მისთვის ჩემი აზრი დღეს უნდა მეტყვა.

— აა, ვიცი, ვიცი! მთავრობის მხარეს ბლუმინგის მშენებლობის უფროსის ეძებენ. ამაზე მეც მკითხეს, მაგრამ უარი ვთქვი; ბლუმინგი დამოუკიდებლად არასოდეს მიშენებია. ამ საქმეს კარგად არ ვიცნობ, ასეც რომ არა, სანამ ერთ სამუშაოს არ დავამთავრებ, მეორეზე გადასვლა მიმიძმის.

— მე შენი დიდი იმედი მქონდა. სილამოს მშენებლობის უფროსისათვის ჩემი აზრი უნდა მეცნობებინა, ახლა კი...

— არა, თამაზ, ამაზე რაიკამის მდივანი და მშენებლობის უფროსიც დამთანხმდნენ.

— თუ ასეა, რაღა გაეწყობა.

— შინ არ გვეწვევი? — ისევ თინას გადახედა ვიქტორმა.

— წამობრძანდით, ძალიან გთხოვთ... ჩაერია ქალიც.

— არა, არა, მამატიეთ — იუარა თამაზმა, — ახალ ოჯახში ხელცარიელი ვერ შემოვალ. აბა, წავედი. ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ! — ხელი დაუქნია მან ახალგაზრდა ცოლ-ქმარს და ნაბიჯს აუჩქარა. შინ რომ მივიდა, მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე რალაც ქვის ნამსხვრევეები ეყარა. იმ ნამსხვრევეებს მალიმალ აცქერდებოდა თამაზი, ფიქრობდა, წერდა, წიგნებსაც შლიდა, ადგილებს ფანქრით ხაზავდა.

კარი ისე გაიღო, არ გაუგია.

— გამარჯობა, თამაზ! — შემოესმა.

— აა, შაქრო, მობრძანდი!

შაქრომ თან მოტანილი ქალაღებში დააწყო მაგიდაზე. ხმას არ იღებდა, მაგრამ თვალეში რალაც მოუსვენარი ცაცხლი უბრწყინავდა.

თამაზმა მისი მოტანილი წერილობითი ახსნა-განმარტება გადაიკითხა.

— ახლა ამას გამოცდა აკლია, გურომთან წავიღეთ! — უთხრა მან შაქროს.

— ახლავე? — წამოიძახა შაქრომ,



მაგრამ, პასუხს აღარ დაელოდა, თამაზს მიეჭრა: — თუ რამე გავაკეთე, შენით გავაკეთე, თამაზ!

— მარტა, ჩემო მეგობარო, ჩაი! — გაისმა ამ დროს აივანზე ამოსული სმირნოვის ხმა.

— აი, სმირნოვიც მოვიდა! — თქვა თამაზმა და აივანზე გაეგება სტუმარს, — სერგეი ივანეს-ძევ, თქვენთან საქმე მაქვს, სწორედ დროზე მოხვედლით.

— საქმე? — ხალისიანად მიუგო სმირნოვმა, — შენი ხმალი და ჩემი კისერი!

ოთახში მარტო დარჩენილი შაქრო მღელვარებით უსმენდა სმირნოვისა და თამაზის ბაასს.

მალე ორივე ოთახში შემოვიდა.

თამაზმა შეინდიაშვილის წერილობითი განმარტება გააცნო სტუმარს.

— ეს, მეგობრებო, ხუმრობა საქმე როდია! — თქვა სმირნოვმა, როცა თვალი გადაავლო განმარტებას, — წავიდეთ, მეც თქვენთან მოვდივარ!

— სერგეი ივანეს-ძევ, თქვენ დაღლილი ხართ. მშენებლობის უფროსს ჩვენ მოვახსენებთ, — უთხრა თამაზმა.

— არა, დაღლილი და შეწუხებული მხოლოდ მაშინ ვარ, როცა საქმე კარგად ვერ მიდის.

დრო აღარ ითმენდა. თამაზი სასწრაფოდ მოეშალა და სტუმრებთან ერთად აივანზე გამოვიდა.

— ჩაი არ გნებათ? — მოესმათ კიბის თავში მარტას ხმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მამაკაცები ქუჩაში გადიოდნენ.

— მოდი მარტა, მაგათ ვერ დაეწვივი, — გამოვიდა აივანზე ნადეჟდა ივანეს ასული.

— ჩაი გაცივდება და მერე აცხელე, — რამდენიც გინდა! — საყვედურობდა მარტა.

— კარგი, გეყოფა, თავი ნუ მოაბეზრე ხალხს — ხმას აუწია მოხუცმა და ოთახში შებრუნდა.

... გურამი შეინდიაშვილის გეგმას რომ გაეცნო, ბეჯითად თქვა:

— ამ საქმეს მალე უნდა შევედგეთ. გამოცდას დაესწრებიან: სმირნოვი, ბარველიძე, ხანთაძე და ვაშაყმაძე, — შერე შეინდიაშვილს თვალი მიაპყრო, — ალბათ ბარველიძის დასწრება ვერ გაგახარებს, მაგრამ აგრე სჯობს; ჩვენც იქ ვიქნებით, შეეცადეთ ბარველიძეც კი დაარწმუნოთ.

კაბინეტში გურამი და თამაზი დარჩნენ.

— მე თქვენ დაგპირდით, მაგრამ ვინაშე ვიქნებოდი, ის არ დამთანხმდა. მაინც ვეცდები, ჩემი აზრი მალე მოგახსენოთ. ბლუმინგის მშენებლობას გამოცდილი ინჟინერი სჭირდება. — დაიწყო თამაზმა.

— თქვენ ვისზე ფიქრობდით მაინც! — ჩაერია გურამი.

— ვიქტორ იასნოვზე.

— კარგი იქნებოდა, თუმცა... ჩვენ აი, თქვენზედაც ვფიქრობდით, მაგრამ... — აღარ დაასრულა გურამმა.

„აი, რა აზრით დამავალეს შერჩევა“ — გაითქრა თამაზმა.

— ალბათ ჩემი აზრიც გაიგეთ და იმედი მაქვს, რომ...

— ვიცი, ვიცი, ხელს არ შეგიშლით. — გაიღიმა გურამმა.

ტრესტის შენობიდან გასულმა თამაზმა საათს დახედა, გაუჭვირდა, რა დრო გასულაო. უკვე ღამის პირველი საათი იყო.

შინ რომ მივიდა, შაქრო დაუხვდა აივანზე.

— შაქრო, შენ ისევ აქა ხარ??

— გელოდებოდი. ამაღამ რომ არ მენახებ, ვეღარ მოვისვენებდი.

შაქრო რატომღაც თეხაკრფით შევიდა თამაზის ოთახში. ეტყობოდა, რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა.

— თქვი, შაქრო, ჩვენ არც ისე შორე-



ბლები ქართ, რომ ერთმანეთს ვერ გავუვ-  
ვით, — გაამხნევა სტუმარი.

— მოკლედ გეტყვი: თუ გამოცდამ  
გაგვიმართლა, ჩვენ ორივე ავტორები  
ვიქნებით, ჯერ — შენ, მერე — მე, —  
ერთბაშად ვაამხილა შაქრომ ის, რაც  
გულში ედო და შეება იგრძნო.

— ვერ გამოვიცა, რას მეუბნები? —  
წარბი შეიქრა თამაზმა, — განა სულით  
ისე გავღარიბდი, რომ მეგობრის ნამუ-  
შეგარი მიეითვისო?

— მე ამ საქმეში მხოლოდ თანაშემწე  
ვარ. გთხოვ, უარს ნუ მეტყვი. თუ არ  
დამთანხმდები, ამით შეურაცხყოფას მო-  
მაყენებ. იცოდე, თამაზ, მე მხოლოდ ჩე-  
მი შექმნილით შემიძლია ვიამაყო. ყვე-  
ლაზე დიდი ბედნიერება ისაა, თუ ადამი-  
ანი თავისთავის წინაშე მართალი იქნე-  
ბი. — რალაც დარცხვენით ამბობდა შა-  
ქრო და ისევე ნიკაპზე ისეამდა ხელს.

თამაზი ახლა უფრო გაკვირვებული  
მიაჩერდა:

— თუ ჩვენ მეგობრები ვართ, მსგავ-  
სი რამ გონებაშიაც კი არ გაივლო. შენ  
მართალი ხარ; ადამიანი თავისი სინდი-  
სის წინაშე არ უნდა შესცოდოს და ამი-  
ტომ, რასაც მოხოვ, ეს არასოდეს მოხ-  
დება. წარმოიდგინე: მეც რომ მსგავსი  
იღვია მქონოდა, უბრალო რჩევა-დარიგე-  
ბისათვის ავტორობას მომთხოვდი?

— ო, არა, თამაზ! — იწყინა შაქრომ.

— მაშ ჩვენ შეეთანხმდით. — დასკე-  
ნა თამაზმა, — მოწინავე ინკინერი ხარ  
და ჩემზე უკეთ შენ თვითონ იცი, რომ  
მე მართალს ვამბობ... ახლა კი დროა,  
მოვისვენოთ. იქნებ ჩემთან დარჩე, შა-  
ქრო?

— კარგი იქნებოდა, მაგრამ უნდა წა-  
ვიდეთ! ვიცო, ვერ მოვისვენებ, ამაღამ  
შენც ძილს გაგიტეხ, — ყრუდ ჩაილაპა-  
რაკა შაქრომ და აივანზე გავიდა.

თამაზი გაჰყვა.

ბნელი ღამე იყო. ვარსკვლავები ციმ-  
ციმებდნენ, თითქოს ერთმანეთს უხსო-  
ვარი დროიდან დაწყებულ, დაუსრულე-  
ბელ ზღაპარს უყვებიანო.

შაქრო აჩქარებული ნაბიჯით მიდიო-  
და ქუჩაში. მთელი მკერდით სუნთქე-

და. ახლა ის გრძნობდა, რომ უნებლიეთ  
შეურაცყო თამაზი და უკვანასკნელ-  
მა რომ საკადრისი პასუხის მოკვამისტემ-  
რა, ეს სიამოვნებდა. შაქროს სიამოვნებ-  
და ის შეცდომა, რომელიც რამდენიმე  
წუთის წინ დაუშვა. თითქოს არც კი შე-  
იძლებოდა სხვანაირად. მაგრამ ნუთუ  
ვერ მიუხედა თამაზი?

ამ ფიქრებით გადაუხვია თავის სახლი-  
სკენ, კიბე აიარა, კარი გააღო, თავის  
ოთახში შევიდა, შუქი არ აუნთია, ისე,  
ნახევრად გაუხდელი ჩაწვა ლოგინში. სა-  
წოლის მოპირდაპირე მხარეს ფანჯარა  
იყო გაღებული. შაქრო თვალს ვერ აცი-  
ლებდა ვარსკვლავებით მოქედელ ცას  
და თავისთვის ჩურჩულებდა: „რა კარ-  
გია ქვეყანა, სიცოცხლე, სინათლე...“  
ზოგჯერ მის თვალწინ ბარველიძე წა-  
მოისახებოდა, ყველაფერს ზევიდან რომ  
გადმოჰყურებდა. მერე ისიც წარმოიდ-  
გინა, მისი წამოწყების გამოცდაზე ბარ-  
ველიძე თავს როგორ დაიჭერდა, ისიც,  
თუ როგორ გაივლიდა, ვის როგორ შე-  
ხედავდა, გაკილავდა...

ცდილობდა შაქრო, როგორმე დაშვი-  
დებულიყო, მაგრამ ამაოდ. ღამე კი ჩუ-  
მად, უხმოდ ილეოდა, მიდიოდა. ყველა-  
ფერს, თვით ამ ოთახის კედლებსაც თი-  
თქოს ეძინა, თვითონ კი თვალი ვერ მო-  
ეხუჭა. მერე იმ ამხანაგების სახეც წარ-  
მოიდგინა, რომლებიც თითქოს მის და-  
საცავად გამოდიოდნენ და მოწინააღმ-  
დეგეს მარჯვედ ურტყამდნენ. ბორჯაე-  
და შაქრო, ხან უხაროდა რალაც, უზო-  
მოდ უხაროდა, ხან წუხდა... ეს ორი  
გრძნობა განუწყვეტლივ ცვლიდა ერთ-  
მანეთს მის გულში და ერთი უკიდურე-  
სობიდან მეორისაკენ მიაქროლებდა.

თითქოს შორს მიიწვედნენ, პატარაე-  
დებოდნენ, ქრებოდნენ ვარსკვლავები.  
შაქროს გული კი უფრო ბორჯავდა.

ბოლო დროს ინკინერი ბარველიძე  
გრძნობდა, რომ მშენებლობის უფროსი  
მისი მუშაობით კმაყოფილი არ იყო, თი-  
თქოს მისი ნდობაც დაკარგა. მათ ურთი-  
ერთობაში რალაც გაიბზარა და გამოთე-  
ლება აღარ ხერხდებოდა. თუმცა ბევრს  
ფიქრობდა, როგორ, რა მიზეზით უნდა

მომხდარიყო ეს და რა საშუალებით შეიძლებოდა ძველი ურთიერთობის აღდგენა, მისთვის მაინც გამოუცნობი რჩებოდა ყველაფერი. „უხასიაოობას მამბრალეებენ, მაგრამ ჩემს მოქმედებაში მე გულწრფელი ვარ“ — ეწერა. მისი სულის სიღრმეში მაშინაც კი, როცა თავის-თავს სწორედ ხასიათის უცნაურობის გამო კიცხავდა.

იმ დღესაც მოუსვენრობდა ბარველიძე. ხელეები პიჯაკის ჯიბეში ჩაეწყო, ოთახის შუაგულში დადგმულ მაგიდას გარშემო უვლიდა და თავის თავთან კამათს არ ათავებდა: „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გურამი უფროსია, მე — უმცროსი. მისი სიტყვა გადამწყვეტია, მე სათათბირო ხმის უფლება მქონდა, ახლა ისიც მერთმევა, ან მე თვითონ ვართმევე ჩემს თავს და მერე რითი, მედიდურობით? გადაჯარბებული თავმოყვარეობით? მაგრამ თუ ის უფროსია, მე რა უპირატესი თვისება მაქვს, რომ ჩემს თავს მაღლა ვაყენებდე? რა მეშარათება, რა ამბავია ჩემს თავს? მე ხომ შეგნებულ მაქვს, რომ ის, რასაც ვაკეთებ, საჭიროა, აუცილებელია და სამართლიანია?.. მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ჩემი ჩქაროსნული მეთოდით მშენებლობის წესი ცუდია შეინდიაშვილისაზე? მაგრამ თუ მართლა შეინდიაშვილის ვეგმა, ჩემს ჯინაზე, რამეს დაამსგავსეს და დაამტკიცეს, მე ხომ საქვეყნოდ თავი მომპერება? მაშ, უნდა ვიმოქმედო, ამხანაგიც გავიჩინო და, პიჯაკის ჯიბეებში ხელეებჩაწყობილმა, მარტო არ ვიარო. დიახ, ეს საჭიროა, აუცილებელია. მე კი ხელაქეს ხელი ვყარი, ვავაგდე. განა ასეთი მიუკარებლობა სასარგებლოა? არა, ცხადია, მე ვცდები და აუცილებელია, ეს შეცდომა გამოვასწორო, თუნდაც ახლა, ამ წუთში!“ — გადაწყვიტა ბარველიძემ, თხელი, საწაფხულო პალტო ჩაიცვა, ჯიბეები ისე მოსინჯა, თითქოს ხელაქესთან სათქმელ სიტყვებს დაეძებნო. სიტყვა არა, მაგრამ პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა. მერე კარი გამოიხურა და ქუჩაში გამოვიდა. „მივდივარ და თავს არ ვუჯერე, რატომ და რითვის?“ — ფიქრობდა გზადაგზა რე, — რა შეუძლია გამიკეთოს ხელაქემ? — გამგამხნეებს და შენთვის ქვეც კარგის! — ენურჩულეობდა მეორე, შინაგანი ხმა და ხელაქესთან უდროო დროს მისვლას ამით ამართლებდა.

როცა ნახევარი გზა გაიარა, ისევ დაეკვდა: „ხელაქე ყბედია, სიტყვა ენაზე არ დაადგება, ჩემი მისვლის ამბავს ქვეყანას მოსდებს“ მერე უფრო დაეკვდა: „შესაძლოა, ჩემს ნათქვამს რაიმე მიუმატოს, გაბეროს და მთლად შემარცხვიწოს. არა, მისვლა არ ღირს“.

შეჩერდა. კარგა ხანს იდგა, ყოყმანობდა, განევტო გზა თუ არა. შეცივდა. თავზე ხელი მოისვა და ახლა მიხვდა, რომ ქუდი შინ დარჩენოდა.

იმ ქუჩის თავში რკინის ბოძზე შემოდგმულ საათს თვალი მიაკყო. თერთმეტი სრულდებოდა. მაგრამ ასე რამ მოუკვეთა მუხლი, რატომ ველარ მიდის წინ.

როცა საათმა თერთმეტჯერ დარეკა, თითქოს ახლა გაიღვიძო, მხრები აჩეჩა, შეიშმუნა: „არა, თავისი სულელური აზრების მიმატებას ხელაქე ვერ გაბედავს, მე ვერ გამიბედავს, ვინ ის, ვინ მე“.

ამ ახალმა აღმოჩენამ მხნეობა შემატა. გზა განაგრძო. „ხელაქეს ჩემი მისვლა აღადერთოვანებს; წყალში გადავარდნაც რომ ვუბრძანო, უკან ვერ დაიხევის!“ — დაიბედა მან თავი და ფეხს აუჩქარა, თანაც ისე იცქირებოდა აქეთ-იქით, თითქოს რასაც ირგვლივ ხედავდა, ყველაფერი მისი ხელით ყოფილიყო შექმნილი: ქარხნის კორპუსები, სახლები, ქუჩები თუ ბალები. და რადგან ყველაფერი თვითონ შეექმნა, თითქოს ყველაფრის უფროსიც თვით გამხდარიყო, თუ სამუდამოდ არა, აი, ახლა, ამ წუთში მაინც. მაგრამ ადამიანის გონება მოუსვენარია. მისი ფიქრები ხშირად მისდა დაუკითხავად, ვინ იცის, საით არ გარბოდნენ, რომელ ღობე-ყორეს არ ედებოდნენ...

ბარველიძემ კვლავ შეანელა ნაბიჯი. „აქედან რაიმე უფრო ცუდი ხომ არ გა-

მოვა? ამაღამ სამმართველოში რომ არ გამოვჩნდები, რას იფიქრებენ? იქნებ ძებნა დაიწყონ და გაუჩინარებისათვის პასუხიც მომთხოვენ? არა, პასუხს ამაზე ვერ მომთხოვენ“ — გაიფიქრა ბოლოს.

ნაბიჯს კვლავ აუჩქარა და აი, მივიდა კიდეც იქ, სადაც ასე მიეჩქარებოდა. მაგრამ აქაც ექვემდებარებოდა შეიპყრო: „გურამს ხელაძის მუშაობაც არ მოსწონს, აკრტიკებს, ყველაფერს უწუნებს და ამ სპილოს ავტორიტეტი მე რას მიწველის? ჰო, ვერაფერს მომეხმარება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ცაცი ზოგჯერ უფრო გამოგადგება...“

კარს მიეახლა, მაგრამ დააკაჯუნა.

კარი გაიღო.

ზღურბლზე ივანე გამოჩნდა.

— აა, თქვენ ბრძანდებით, ბატონო ილარიონ? მობრძანდით, მობრძანდით! მოხარული ვარ! — მიეგება სტუმარს ივანე.

„ეს ვირთხაც აქა ყოფილა“ — გაიფიქრა ილარიონმა და ოთახში შევიდა.

— ივანეს ვახლავარ! — ახლა თვითონაც ამოიღო ხმა ილარიონმა, მაგრამ ამ დროს ხელაძის ხმაც შემოესმა.

— ამას ვის ვებდაე! ილარიონი მობრძანებულა, კერძის ნახშირი! — ქაქანებდა ხელაძე და დიდი ამბით ემზადებოდა სტუმართან შესახვედრად — ვინაა დამნაშავე, ასე რომ მოვიძულეთ ერთმანეთი, ჰა? ასე უნდა ქნან ძველმა მეგობრებმა? გემდური, გემდური, მაგრამ რა გაეწყობა!

— რას ამბობ, კოწია, სიკვდილსაც მოუძულეხიხარ! — როხროხობდა თავის მხრივ ილარიონი და მასპინძელს ხელს ართმევდა, — ვინ ვითხრა, ერთმანეთი მოვიძულეთ ძველმა მეგობრებმა!

— დაბრძანდით. ჩვენ აქ მყუდროდ ვისხედით და ღვინოს ვწრუპავდით, — კვლავ მხიარულად განაგრძობ ივანემ და მაგიდასთან სკამი დაუდგა ილარიონს.

ილარიონმა გაწყობილი მაგიდა რომ დაინახა, შეეყოყმანდა. დაჯდომამ აღარ უნდოდა, მაგრამ მასპინძელმა შორს და-

იქირა, ხელი მოხვია და თითქმის ძალისძალაზე დასვა.

— ამისთანა სტუმარი არ გყოფილა ლომიხეში! როგორც თქვენ შეგფერით, ისე ვერ დაგიხვდით, მაგრამ რა გაეწყობა, პური და ღვინო ყველგან ტყბილია, დაუსხი, ივანე! — და ხელაძემ ჩაის ქიქა ივანეს გადასცა. მერე თვითონაც მიუჯდა მაგიდას.

— ანაპაპა, რა ამბავია, ჩაის ქიქით როგორ იქნება, — წამოიძახა ბარველიძემ და ხელები გაასავსავა.

ივანე არ მოეშვა, ქიქა აუვსო და ხელში მიანჩენა.

— რაც სადღეგრძელოები დავლიეთ, თქვენთვის ყველა ამ ქიქაშია მოქცეული და იმედი ვვაქვს, მიირთმევთ, — დაიღრიჯა ივანე.

ბარველიძემ ღვინით საესე ქიქა ისე ასწი-დასწია, თითქოს სურს გაიგოს, რომელი დასძლევს, მე თუ ეს ღვინო, მერე ალბათ, გადაწყვიტა, მე ვაჯობებო, აბნეულ-დაბნეულად წაილულულა ორიოდ სიტყვა და ქიქა ერთი მოყუდებით დასცალა.

— გაამოს, გაამოს! — ერთხმად შესძახეს შეინახეებმა.

ივანემ ქიქები ისევ გაავსო. ერთი კვლავ ილარიონს დაუდგა წინ.

— მეტს არა, წვეთსაც ვერ შევსვამ! — იუარა ილარიონმა და ქიქა მოშორებით გადადგა.

— წვეთ-წვეთობით არა, მაგრამ ქიქა-ქიქობით შევსვამთ და შევქიქიდეთ! — თვალი ჩაუკრა ხელაძემ და იმის ნიშნად, რაც ვთქვი, შევასრულებო, უღვაშებზე ხელი გადაისვა.

„აი, სად მოგხვდით. აქ შემოსვლას მგლის ბუნაგში შესვლა არ მერჩია?“ — გაიფიქრა ბარველიძემ და ხელაძეს მიანჩერდა.

— თქვენ შეეჩეცით, მე გავიქცევი, საქმეს მივხედავ, — ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა ივანემ და შეუმჩნევლად გაძვრა დერეფანში.

ახლა ილარიონმა რაღაც სხვანაირად ჩაახველა და ხელაძეს ირიბულად გადახედა.

— კოწია, მე აქ ღვინოს სასმელად კი არ მოვსულვარ. საქმე მქონდა. შენ ხომ იცი, მე უსაქმოდ არსად არ დაედივარ.

— საქმე? — გაიკვირვა ხელაძემ. — ბრძანეთ. საქმეს და ღვინოს ზღვარი ვინ დაუდო: ღვინოში შეიძლება საქმე ვაკეთოთ, საქმეში კი ღვინო დავლიოთ.

ბარველიძემ ისევ ახედ-დახედა ხელაძეს. თავზე ხელი გადაისვა და მისთვის ჩვეული მედიდური კილოთი ჰკითხა:

— მოგწონს თუ არა გურამის მოქცევა? მოგწონს თუ არა მისი ჩვენდამი დამოკიდებულება? უფრო სწორად, მისი უხეში, უღირსი მოპყრობა?

— როგორ? — ახლა კი ასწია თავი ხელაძემ, — გურამი როცა მე მაკრიტიკებს, ცუდია, როცა შენ გაკრიტიკებს კარგია... ისე ჰო, კაცმა რომ თქვას და გულზე ხელი დაიდოს, ვერ ვუსაყვედურებთ; ჩვენი ბრალია და რა გავწყობა.

ბარველიძეს სიწითლე მოეძალა სახეზე.

— მაშ, ისიც მოგწონს, როცა თათბირებზე საჯაროდ გარცხვენს, წვენს გადენს, ისიც ჩემს სათქმელს სმირნოვს ათქმევინებს, ჩემს გეგმებს იწუნებს, ზოლო შეინდიაშვილს ფანტაზიას უწონებს?.. დიახ, ჩვენ ძველი მეგობრები ვართ; ზრამპესის მშენებლობიდან ერთად მოვდივართ და განა ვალდებული არა ხარ, გამიგო და თანაგრძნობა გამომიცხადო?

ხელაძემ თავი და ხელები ძირს ჩამოუშვა, რაღაც მიზეზით თვალები მინაბა. ცოტა ხნით იყუჩა, მერე ღვინით სავსე ჭიქა აიღო.

— დიახ, ვალდებული ვარ, მაგრამ ეს გურამს გაუმარჯოს! ალალი კაცია. იწვის. ვინც საქმის ერთგულია, მისთვის მოკვდება. ზოგჯერ მოგვარტყამს, მაგრამ ჩვენზე ახია.

— რაო, ეს რას თქვი?! — აფეთქდა ილარიონი და გველნაკბენივით წამოიქრა ზეზე.

— სიმართლე ვთქვი, რა, ტყუილია? — ხმას აუწია კოწიამ. — საქმეს რომ ვუყვები და ღვინოს ვუმატებ, სასჯელის ღირსი ვარ, — დაასრულა ხელაძემ და ჭიქა ერთი მოთქმით დაცალა.

ბარველიძე ამბობდა. ხელაძეს რომ შეხებდა, ზიზლით მთელ ტანში შეაჯვრებოდა. მაინც თავის შეკავებას მაჯობობდა ღვინით სავსე ჭიქას ხელი დაავლო.

— გაუმარჯოს! — წამოიძახა და თვითონაც ერთი მოთქმით დაცალა ჭიქა, — ახლა კი მშვიდობით, კოწია! — ყვედრებით გადახედა მასპინძელს, კართან მივიდა, შეჩერდა, — შენ მართალი სთქვი და არ დაგავიწყდეს, — მოუგდო, კარი გააღო და სიბნელეში გაუჩინარდა.

— მართალი ვთქვი და რა გავწყობა! — მიადევნა კოწიამ.

გარეთ გამოსული ბარველიძე ველარაფერს ხედავდა. ყურები უწიოდა. რა იყო ეს, ღვინო? სანამ სიბნელეს თვალს შეაჩვევდა, ბრმასავით მიდიოდა, კედელ-კედელ. „მაჯობა, ჩამქრა, ჩამსვა, იარაღი ამყარა და ისე გამოიშვა. ახია ჩემზე ყველაფერი, ახია! ვინ იცის, რას იტყვის, რას არ წამოროშავს და მართალიც იქნება“, — დრტვინავდა გზადაგზა იგი.

შორს, ბრძმედმშენის გაჩირაღდნებულ მოედანს გახედა. „იქაც ერთი ახლადმოვლენილი ბრძენია და რაღა გვიჭირს, დიდ იმედს გვაძლევს“ — ახლა თამაზის გამო გაიფიქრა და სახე დაედრიჯა. უცბად წაბარბაცდა, კედელს დაეჯახა, მუხლებზე დაემხო. თითქოს მთელი თავი შეერყა, შუბლზე მოისვა ხელი. წამოდგა ნაბიჯი ძლივს გადადგა. სინათლეზე გავიდა, ხელზე დაიხედა. „ეს ხომ სისხლია, ილარიონ! — ჩასძახა თავისთავს, — ბარაქალა! ღვინომ კი არა, კოწიამ ამწია და ძირს დამახალა. და ახლა საით, ილარიონ, ასე ნაომარი სად გამოჩნდება?“ —

მიმოიხედა, მაგრამ გარკვევით ვერაფერს ხედავდა. რომ არავის ეცნო, პალტოს საყელო აიწია, სახე შიგ ჩამალა. მაგრამ, თითქოს ბედზე, გზად მხოლოდ საბარგო მანქანები ხედებოდნენ. შოფრებს თავის საზრუნავი ჰქონდათ, ყურადღებას არ აქცევდნენ მას, ძარბებზე კი არავინ იყო.

„გურამს გაუმარჯოსო, ა? ჩინებულობა! — დრტვინავდა მაინც ბოლომით ყელამდე ავისებული, — ხელაძემ მაჯობა.

პოდა, უნდა მიხედვ, ილარიონ, რომ შე-  
ნი უპირატესობა შენი სისულელეა...”

ვერ გაიგო, შინ როდის მივიდა. არც  
ის ახსოვდა, წამოეწია ვინმე, თუ საკუ-  
თარმა ფეხებმა მიიყვანეს შინ.

დილით მზე არც კი იყო ამოსული,  
თვალი რომ გაახილა. ვერ მოეგონებინა,  
სად იყო, საიდან მოვიდა, ასე გაუხდელი  
რატომ იწვია... წამოჯდა. მუხლის სიში-  
შვლე ეცა თვალში. შარვალი გადასკდო-  
მოდა. მუხლი დასისხლიანებული ჰქონ-  
და. როგორ დაემართა ეს? სად? როდის?

ახლა ყველაფერი ერთბაშად მოაგონ-  
და და თავის თავზე გაბრაზებულმა კბი-  
ლები გააკრაქუნა. ფეხები გადმოყარა  
ლოგინიდან, შარვალი გამოიცივლა, პალ-  
ტო ჩაიცივა და კართან შეჩერდა. „კო-  
წია ხელაქმე ყველაფერი მართალი მი-  
თხრა, გურამს რას ვერჩი? მე დამნაშა-  
ვე ვარ და მის მოადგილედ ვერ გამო-  
ვდგები. ახალგაზრდობას ბევრიც რომ  
ეცადო, ათასი ბედაური რომ მოაბა, ვერ  
შეაჩერებ. ახლა, პო, სანამ არ გადაუყე-  
ნებხარ, უმჯობესია თვითონ გადადგე.  
ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, ამას  
ვერავინ შეცვლის, ვერაფერი შეცე-  
ლის...”

სამმართველოსკენ გაუდგა გზას. ახ-  
ლადგაღებულ სასაუზმეში ამ დილით  
თითქმის პირველი შევიდა. ოფიციალ-  
ტებს თავდაბლად მიესალმა. ამას ბარ-  
ველიძესაგან არავინ მოელოდა და ისე  
უცქეროდნენ, თითქოს ველარ უცვნია-  
თო.

საუზმე რომ მოათავა, ოფიციალტებს  
მადლობა გადაუხადა, მოწიწებით თა-  
ვიც დაუტრა და წასასვლელად მოემზა-  
და.

დილის ცხრა საათი სრულდებოდა,  
როცა სამმართველოს შენობაში შევი-  
და. ჯერ თავისი კაბინეტი მოინახულა,  
ახედდახედა, შეათვალიერა. „ამაზე უკე-  
თესი მქონია, მაგრამ თან არ გამოიმყო-  
ლია“ — გაიფიქრა, დაჯდა. უფროსის  
სახელზე განცხადება დაწერა, გადაწე-  
რა, მერე მოკეცა და პიჯაკის ჯიბეში  
ფრთხილად ჩაიდო. ფანჯარა გააღო, მა-  
გიდაზე დაწყობილი, დამკვნარი ყვავი-

ლები შეაგროვა და გადაყარა. ახლა სა-  
ვარძლის უკან, კედელზე მიკრულ პა-  
ტარა ნოხი ჩამოიღო, მოკეცა, შეგატანს  
ქვეშ შეაგდო, „ამით მოწონებულ თავს,  
უთავობა სჯობს“ — გაიფიქრა, ისევ  
გამოვიდა დერეფანში, მშენებლობის  
უფროსის მისაღებ ოთახში შეაღო კა-  
რი და უმაღ ირინეს ხმა შემოესმა:

— სწორედ თქვენ გეძებდით, სად არ  
გირეკეთ, ათი საათისათვის უფროსი გი-  
ბარებთ.

— გამარჯობა, ირინე, — თავდაბლად  
მიესალმა და პირველად, რაც აქ მუშა-  
ობდა, ხელიც ჩამოართვა ქალს ილარი-  
ონმა, — ათი ჯერ არაა, მხოლოდ ცხრა  
საათია და თუმცა არაფერი ვიცოდი, უკ-  
ვე აქა ვარ.

ირინე გააოცა ბარველიძის უჩვეულო  
თავმდაბლობამ და თვალით გააცილა.

კაბინეტში ბარველიძის რალაც გადა-  
სხვაფერებულად, სხვანაირად შემოსე-  
ლამ ახლა გურამიც კი გააკვირვა. ბარ-  
ველიძის ასეთი ძალდაუტანებელი, თა-  
ვისუფალი ქცევა გურამს ჯერ არ ენახა.

— გურამს გაუმარჯოს! — მიესალმა  
შემოსული, მომღიმარე სახით მიუახ-  
ლოვდა და ხელი ჩამოართვა, უკაცრა-  
ვად, გურამ, თქვენ ათი საათისათვის  
მიბარებდით, მაგრამ მე ერთი საათით  
აღრე მოვედი... ეს იმიტომ, რომ რალაც  
სათქმელი მქონდა...

— ბრძანეთ, — რალაც გაოგნებით  
უთხრა გურამმა.

ბარველიძე დაჯდა, პიჯაკის ჯიბიდან  
განცხადება ამოიღო და გურამს მაგიდა-  
ზე დაუდო.

გურამმა განცხადება გადაიკითხა და  
ახლა მიხვდა, რას გამოეწვია ბარვე-  
ლიძის ამგვარი ცვლილება. განცხადება  
კვლავ მაგიდაზე დადო, მის დამწერს მა-  
ლულად ახედდახედა, მაგრამ ხმის ამო-  
ლებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა.  
გამომეტყველება კი ისეთი მიიღო, თი-  
თქოს ამ განცხადებას ბარველიძისაგან  
ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მოელოდა.

ამ გარემოებამ ჩააფიქრა ილარიონი.  
ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დაუმატა  
თავის განცხადებას:

— დამერწმუნეთ, აგრე სჯობს, საქმისათვის აუცილებელია.

გურამი აღარ ჩაეძია, თუ რატომ იყო აუცილებელი, ხოლო ჰკითხა:

— ამ საგანზე ხომ არავესთან გისაუბრიათ?

— არა, მხოლოდ თქვენთან მოვედი და სხვასთან მისვლას არც კი ვაპირებ, — უპასუხა ილარიონმა და გურამი ამითაც მიხვდა, რომ ბარველიძემ მის შესახებ უკვე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე არაფერი იცოდა.

„ქარგია, რომ თვითონ დაგვესწრო“ — გაიფიქრა მან. მეორე მხრივ, ბარველიძის ასეთმა მოქცევამ გურამის თვალში თითქოს შეცვალა თვით ბარველიძე. ამიტომ ახლა უფრო რბილად, თითქოს დაყვავებითაც კი შეეკითხა:

— ისევ ჩვენთან, სხვა სამუშაოზე გადასვლას ხომ არ ისურვებდით?

— ვიმუშავებ, — მოკლედ უპასუხა ილარიონმა და ამ პასუხმა კიდევ უფრო გააკვირვა გურამი.

„ჩანს, რალაც შეუჯდა თავში და ისიც ასე უეცრად“ — გაიფიქრა მან და კვლავ შეეკითხა ილარიონს.

— ტექნიკური მომარაგების უფროსობაზე უარს ხომ არ გვეტვით?

— უარს? იქ ხომ მუშაობს კაცი.

— ამას მოვაგვარებთ. თუ თქვენ დავთანხმდებით, იმედი გვექნება, რომ ტექნიკური მომარაგების საქმეს უკეთ მოვაწყობთ. თქვენ გამოცდილი ინჟინერი ხართ და შედარებით ადვილად, მეტი წარმატებით წარუძღვებით ამ საქმეს... მერე ისევ ცოცხლები ვიქნებით და ვნახოთ... — და გურამი წამოდგა, დიდრონი თვალები ბარველიძეს პირდაპირ სახეში მიანათა.

— თუ აგრეა, მე თანახმა ვარ, — უპასუხა ილარიონმა და ისიც წამოდგა, — ათ საათზე კვლავ გეახლებით!

— არა, რალა საჭიროა... თუმცა, მობრძანდით...

— დიახ, მე მოვალ — უპასუხა ბარველიძემ და კაბინეტი დატოვა, მაგრამ გურამის სიტყვები: „არა, რალა საჭიროა“, ჩარჩა მას გულში. როცა დერე-

ფანში გავიდა, დაასკვნა: „ყოჩაღად მოვიქციე, რომ დავსწარი, თორემ საქმე უფრო ცუდად წავიდოდა, ალბათ თოფის ჩახმახი ფეხზე იყო შემდგარი და ავით გამოვწიე“ და ის, ჩაფიქრებული, მისთვის უკვე გაუქმებულ კაბინეტში შევიდა.

სრულ ათ საათზე ხელაქემ გურამის კაბინეტში რალაც განსაკუთრებული მოკრძალებით შეაღო კარი. ეს ვეებერთელა კაცი ფეხს ისე ფრთხილად, მსუბუქად მიადგამდა, რომ, გეგონებოდათ, კიანქველასაც კი არ გასრესო.

— დაბრძანდით, — უთხრა გურამმა და თვითონაც დაჯდა.

ხელაქემ ვეებერთელა ხელები მაგრად დააწყო, თანაც ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს თავისსავე ხელებზე კითხულობდა, რასაც ახლა გურამი ეტყოდა.

— თქვენც ხედავთ, ლომციხე როგორ იზრდება, — დაიწყო გურამმა, — მალე ორმოცდაათი ათასი მცხოვრები იქნება ამ ახალ ქალაქში და მას გამოკვება უნდა, პური სჭირდება. ამიტომ პურის დიდი ქარხანა უნდა ავაშენოთ და მისი მშენებლობის უფროსად თქვენ გადაგიყვანოთ. ჩვენი აზრით, ამ საქმისთვის თქვენ შესაფერი ხართ.

ხელაქმის სახეს აღმური მოედო, მერე წაიშალა, გაქრა, მერე ისევ მოედო.

— რამ გამოიწვია? — ხმადაბლა, თითქოს უნებლიეთ, აღმოხდა ხელაქმს.

— ჩვენ თავიდანვე მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ თქვენ მშენებელი ხართ და არა მომმარაგებელი. ამიტომ, იმედი გვაქვს, ამ ახალ საქმეში მეტი წარმატება გექნებათ.

— დამცინით, არა?! — დაიქუხა ხელაქემ.

— ფრთხილად, გრადინი არ გადმოაგდოთ, საუბრის კილოც არ შეუცვლია, ისე უთხრა მას გურამმა.

— მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! — წელანდებური რიხით განაგრძო მაინც ხელაქემ. გატრიალდა და კაბინეტის კარი ყურისწამლებად გაიჯახუნა. გონს მალე მოეგო. ქუჩაშიც არ იყო გასული,



რომ გამწარებულმა ჰკითხა თავს: „რა ჰქენი ეს, რა ჩაიღინე! ვაი, შე უბედურო!“ დაბრუნებულიყო? ბოდიში მოეხადა? მიიღებდა კი გურამი? მან ხომ შეურაცხყოფა მიაყენა გურამს! ახლარაღა ეშველება გადაბრუნებულ ურემს. ეპ, კოწია, კოწია! ის პურის ქარხანაც უკან დაგრჩება ახლა. ნახე, თუ ასე არ მოხდეს? პურის ქარხანაც უკან დატოვე და ახლა საქათმის მშენებლობასაც აღარავენ შემოგთავაზებს! იკადრე და იჩქარე, კოწია, იქნებ გვიან არ იყოს! ამ აზრმა ერთბაშად დაიმორჩილა, შეაჩერა, შემოაბრუნა. ისევ მისაღებ ოთახში რომ შევიდა, ნაძალადევად გაიღიმა და ირინეს ჰკითხა:

— გურამთან მიინდა შევიდე. ხომ მიმიღებს?

— მოითმინეთ, — უკმაყოფილოდ უთხრა ირინემ და გურამის კაბინეტში კარი შეაღო.

ერთი წუთიც არ გასულიყო, რომ ხელაძეს გურამის ხმა შემოესმა:

— მობრძანდეს!

კოწიამ შორიდანვე დაიწყო:

— ბოდიშს ვიხდი, რომ ისევ ვაწუხებთ, მაგრამ დაფიქრებისათვის დრო მჭირდებოდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და რა გაეწყობა, თქვენ ჩემთვის ცუდს არასოდეს ისურვებთ... მე თანახმა ვარ.

— თუ თანახმა ხართ და უკეთესად მუშაობის პირობასაც გვაძლევთ, ჩვენც მოხარული ვიქნებით. ტექნიკური მომარაგების განყოფილებას ინჟინერ ბარველიძეს გადააბარებთ.

— ბარველიძეს? — გაიკვირვა ხელაძემ, — მაშ, თქვენს მოადგილედ აღარ იქნება?

— არა. თავისუფლდება. თვითონ ითხოვა.

— თუ აგრეა, რა გაეწყობა. დაეიძახებურეთ... მე წავალ, გურამ.

— წაბრძანდით და თქვენ იცით. მე-საქონლეობისა და მებოსტნეობა-მებაღეობის მეურნეობა უკვე მოვაწყვეთ, ახლა საქმით პურსაც გამოვაცხოვრებთ და ლომიციხის მცხოვრებლებს მოვამარაგებთ. აქ ცხოვრებას აღარაფერი ემჯობინება.

— ეს შესანიშნავი საქმეა, მაგრამ/ვენახიც არ დაგვიწყდეთ! **ეროვნული გურამს** გაეცინა: **გინჯლირთხა**

— ეს იმიტომ, რომ ვენახი ყურძენს მოგვცემს, ყურძნიდან კი ღვინო დავგება, არა?

— მიმიხედით, გურამ, — გაიღრიჭა ხელაძე, — მაგრამ პირობას ვაძლევთ, რომ ღვინის სმასაც მოვუკლებ!

— ეს მთავარია. თქვენი მარცხი ღვინის ბრალია. მერე და, რა ვაჭკაცობაა, ეგ, ღვინომ კაცი როგორ უნდა დაძლიოს.

— ცხადია, ქეშმარიტებაა და რა გაეწყობა. — ჩაილაპარაკა ხელაძემ და უკვე ამძიმებული ნაბიჯით დაიძრა კარი-საკენ. კარი მის ცხვირწინ გაიღო. ბარველიძე შემოვიდა, ხელაძეს ერთი ახედ-დახედა და, როცა ეს უკანასკნელი გავიდა, კარი ზურგსუკან მიუხურა და წინ წამოდგა.

— აი, რა უნდა მეთქვა: — დაიწყო გურამმა, — შეინდიაშვილის ახალი გეგმის გამოცდა მალე მოხდება და თქვენ საგამოცდო კომისიის წევრად გამოგყავით. იმედია, მიუღგომლად შეათასებთ მის ნამუშევარს.

— რასაკვირველია, — აჩქარდა ბარველიძე, — ის კი უნდა გითხრათ, რომ ამ ახალ გეგმაზე მე დღემდე არაფერი ვიცოდი.

— ჩვენ უკვე გავეცანით და გამარჯვების იმედი გვაქვს, — უთხრა გურამმა და წინ გადმოყრილი თმა თითებზე გადაიფაცხა.

„ჩანს, მენდობიან და ეს კარგია, მაგრამ შეინდიაშვილი და მისი ახალი მეგობარი რომ მაინც არ ისვენებენ?“ — გაფიქრა ბარველიძემ, როცა გარეთ გამოვიდა და თავისუფლად ამოიხუნტა.

\*  
\*  
\*

ხელაძე რომ ტექნიკური მომარაგების განყოფილებაში შევიდა, თავის კაბინეტში ივანეს გამოუძახა და კარი გასაღებით ჩაკეტა.

ივანე შეცბა, შეფურცხუნდა, მიხედა, რაღაც უჩვეულო ამბავი მოხდაო და ხე-



ლადეს წვრილი, კრელი თვალები მიასპრო.

— რაიმე ამბავია? — გაუბედავად შეეკითხა ხელადეს, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ როცა უფროსი ამნაირ გუნებაზე იყო, კარგს ვერაფერს ეტყობდა.

ხელადემ შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, თავი ასწია და წინ წამოსულ ლიპს დააჩერდა:

— ამბობენ, კაცს მუცელი თუ გაეზარდა, უმწიკლოც რომ იყოს, არ დაუჯერებენ, ასე ჰგონიათ, შეკვამა, შესვა და გახრა მთელი ქვეყანაო... ჰო, ჩემო ივანე, აქაურობას უნდა დავემშვიდობოთ.

— რაო? — წამოიძახა ელდანაცემმა ივანემ და უკან გაშვერილი ხელები ისე გაწეართა, თითქოს გაფრენას ლამობსო.

— რაო და ის, რომ პურის საცხობი ქარხნის მშენებლობაზე გადაიწყვიანეს, ბარველიძე კი აქ მობრძანდება.

— ბარველიძე? — დაიძახა ივანემ და მხრები ჩამოუშვა, — მაშ, ილარიონი... აი ილარიონ! კარგი დღე არც იმას დასდგომია, მაგრამ შენი უფრო ცუდია!

— ახლა მაგის შეფასების დრო აღარ არის, ივანე. ვის უფრო ცხელი დღე დაადგა. პურის ქარხანაში შენც ჩემთან წამოხვალ. იქ ცოტათი მაინც დამეშვიდდებით და ყოველ წუთს გულის ხეთქვა აღარ გვექნება!

ივანემ უცერად ასწია თავი, ცხვირი აიწვირა და წამოიძახა:

— ასეთ მოსვენებას მთლად ვასვენებას ვამჯობინებდი! მე ვერა, კოწია, აქ მირჩევნია! შე კაცო, საფლავშიაც ხომ არ ჩაგყვები! მალე საპირფარეოსო მშენებლობაზე გადაგიყვანენ და იქაც მოადგილედ ხომ არ გეყოლები! შენს თავს დააბრალებ, რაც მოგივიდა. ზედმეტი ღვინო შესვი და მაგის გულისათვის სხვაგან გადაგვებს. როგორ, მართალი არა ვარ თუ?

— სულელო, შენ რა სპეციალისტი ბრძანდები, აქ უჩემოდ ვინ გაგაჩერებს. პანდურს ამოგკრავენ და ლუკმას დაეკარგავ, — ხმას აუწია ხელადემ.

— ჰოდა, როცა ამომკრავენ, მაშინ მოგნახავ, მანამდე კი აქაურობას უკერ მოვეშვები და შევეცდები შარველიძემ აქედან არ ამბარგოს.

— მომნახავ, ივანე, და გვიან იქნება. ასეა, გემი რომ იძირება, ვირთხები გარბიან, მაგრამ ისევ მოიგონებ გულკეთილ ხელადეს.

— როგორ, მე ვირთხა ვარ თუ? რას ამბობ, კაძახო! — განგებ აყვირდა ივანე, რომ ხელადესთან მისი წახსუბების ამბავი შორს გავარდნილიყო და ბარველიძის ყურსაც მისწვდომოდა, — თუ საჭირო იქნება, თავად შემეხევეები, რადგან უჩემოდ ფონს ევლარ გახვალ. ახლა კი მშვიდობით! — ბოლოს ხმას დაუდაბლა ივანემ, უცბად გაბრუნდა და გარეთ გაეარდა.

— წახვედი ხომ? კარგი! რა გაეწყობა! — მიადევნა ხელადემ და ერთი ლაზათიანად გადააპურტყა, — ვიცი, ვანა არ ვიცი! შენ ის ცხოველი ხარ, ფეხზე რომ დავისვი და თავზე ამადლოდი. ახია ჩემზე, ახი! — დრტყინავდა მარტოდმარტო დარჩენილი, მაგრამ მისი გამწარებული ღმუილი ახლა ამ მოშინვლებული კედლების მეტს აღარავის ესმოდა.



...სალამოს საერემონტო და დამხმარე სახელოსნოების მშენებლობიდან წასულ გაიოზს პარტიული ორგანიზაციის ყოფილი მდივანი პარმენი გამოჰყვა.

— ეს როგორ, პარტიული ორგანიზაციის ამირჩიეს, მაშ მე ახლა ვინა ვარ?

— ვინა ხარ? ვინ უნდა იყო, კაცი ხარ, არა ხარ კაცი? — თვალები მოწკუწრა გაიოზმა, — პარტიიდან ხომ არავინ გერეკებათ ჯერ, თუ აგრე-განაგრძე მუშაობა, იქნებ აღარც ეგ გადაგიღონ შორს. ხომ დაინახე, როგორ გირტყამდნენ, ვანა იმითმ დაგაწინაურეთ, რომ ვინც ავირჩია, უვიცებად და სულელებად წარმოგედგინა?

— როცა მირჩევდნენ, თუ ყველა მამება, ახლა ყველა რატომ მაგინებს,

ისეთი რა დავაშავე, რომ აგრე გამკიცხონ?

— როცა გირჩევდნენ, მაშინ სხვა იყავ, როცა აგირჩიეს, მერე სხვად იქვე. მუშებს შენი სიმართლით და გულწრფელობით მოსწონდი. როცა ეს თვისებები დაჰკარგე, როგორც ხელმძღვანელი შედმეტი გახდი...

პარმენმა თავი ჩაჰკიდა, მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რაკი აგრეა, მართლა შედმეტი ვყოფილვარ, ვის რა დავაბრალო...

და ისე გაშორდა რაიკომის მდივანს, კაცი ვერ გაიგებდა, გულითა თქვა ეს ყველაფერი თუ ამით ვისმე ემუქრებოდა. სწორედ ამ დროს სტეფანეს ხმა შემოესმა გაიოზს და შეჩერდა. სტეფანე მოუახლოვდა გაუცინა.

— ხედავ, რა დღე აყარეს? — შეჰღიმა მას გაიოზმა და თვალი იქით უყო, საითაც პარმენი წავიდა, — მე რომ მაგის ადგილას ვყოფილიყავი, მიწის გასკდომას ვირჩევდი. კუთის სასწავლი ამბავი კი იყო... აბა, შენ იცი, შენც პარმენით არ მოგივიდეს, იმასაც შეუწყვე ხელი, რაც შეიძლება, იქნებ გონს მოვიდეს...

როცა პარმენი სულ მარტო დარჩა, თავის თავს ჰკითხა:

„რა მოხდა? ვანა დღემდე სიზმარში ვიყავი?“ — საყელო გაიხსნა გრილოდა, მაგრამ პარმენს მაინც აწუხებდა სიცხე.

## 4

კვირა დღე იყო. ლომციხეში თბილი დღე იდგა. ბაღებში ბავშვების ჟრიაშული ისმოდა. ახლად გახარებული მცენარეები და ბავშვები სინორჩითაც ჰკვანდნენ ერთმანეთს.

თბილისიდან ჩამოსული ექსკურსანტები წეროებივით გამწყრივებულებოდნენ გზებზე. ბაღებში, ქარხნისა თუ ქალაქის მიდამოებში და განუწყვეტლივ ისმოდა მათი შექახილები, ხმამაღალი ბაასი და ზოგჯერ — სიმღერაც. ზოგნი მტკვრის პირას, ვერხვების ტყეში შესულიყვნენ და, თუმცა არ ჩანდნენ, იქაც მათი ხმაური ისმოდა.

და აი, აქ, ამ ტყის მახლობლად, ხუთი ავტო ერთად შეჩერდნენ. მუწინავე მანქანიდან ჭაიოზი, გურამი, ჯამლეოთი და იასონი ჩამოვიდნენ, დანარჩენ ოთხ მანქანაში კი თბილისიდან ჩამოსული მებაღე აგრონომები, არქიტექტორები, მოქანდაკეები, მხატვრები და ხელოვნების სხვა მუშაკები ამოჩნდნენ.

მათ უკვე მოეთავებინათ ახალი ლომციხის შემოვლა და ახლა ტყის დასათვალიერებლად წამოსულიყვნენ.

მოხუც მოქანდაკეს აქეთ-იქით პავლე და თენგიზი ამოსდგომოდნენ.

მოქანდაკემ ტყეს მიაპყრო თვალი და გაიღიმა.

— მე და ეს ტყე ერთმანეთისათვის უცხოები ვართ, მაგრამ ხნით ყველა თქვენთაგანთან შედარებით ახლოსა ვდავართ; თითქმის ერთი საუკუნე ერთად მოვიდვართ. — თქვა მოხუცმა და დაწვრილებულ თვლებში შუქი ჩაუდგა. მასზე რალაც წარუშლელი შთაბეჭდილებას ახდენდა ვეებერთელა, რტოებშემხმარ-შელეწილი ვერხვები.

— შესაძლოა ეს ვერხვები რუსთაველსაც უნახავს! — თქვა თენგიზმა.

ტყეში ვიწრო ბილივით შევიდნენ და უცხად, თითქოს, სხვა ქვეყანაში აღმოჩნდნენ: მხოლოდ ჩიტები წივწივებდნენ, უცხო სტუმრების მოსვლით გაკვირვებულნი.

ბილიკები ახლად დაცვენილ ფოთლებს აევისო და, რომ მიდიოდნენ, თითქოს ყვითელი აბრეშუმის პატარა ნაკრებებით მოფენილ ტყეს განუწყვეტელი შრიალი გაჰქონდა; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, იფიქრებდი, ტყეში ნიაღვარი შემოიჭრაო. ცაზე აზიდულიყვნენ ვეება ხეები. ტყეში ჩაქარგული ადამიანები ამ გიგანტებს რომ აცქერდებოდნენ, რა პატარად გრძნობდნენ თავს!

...ტყის დათვალიერება რომ მოათავეს, მებაღე-აგრონომებმა უკვე შედგენილი ნახაზები მიწაზე გაშალეს.

— ჩვენი დავალებაა ეს ტყე დასველებისა და გართობის კეთილმოწყობილ

ბაღად ვაქციოთ, ახლა თქვენი რჩევა-დარიგება გვესაჭიროება. — თქვა გაიოზმა და მომღიმარე თვალები სტუმრებს მიაპყრო.

მოსუცი მოქანდაკე კუნძუ იჯდა, ყურადღებით ისმენდა გაიოზის ლაპარაკს და გულკეთილად იღიმებოდა.



ღამდებოდა...

ლომციხეში შუქი კიაფობდა აქა-იქ.

პავლე ქვეითად მიდიოდა. ქუდი მოეხადა. ზოგჯერ წინ გადმოყრილ თმებს თავის აქნევით უკან გადაიყრიდა, ლომციხის ახალ მშენებლობებს აცვირდებოდა. მან ძველ ციხე-სიმაგრეებს შეადარა ცაში ატყორცნილი საქარხნო კორპუსების ჩონჩხები, ხოლო ახლად აგებული თბოელექტროცენტრალის ვეებერთელა შენობა — ციტადელს, საიდანაც წამოსული ელექტროენერგია ლომციხის მშენებლობისა და თვითონ მშენებელთა ცხოვრების ჩარხს ატრიალებდა.

პავლემ საქალაღდიდან ქალაღდი და ფანქარი ამოიღო, ჩაიშუხლა, რაღაც ჩაიწერა. მერე გზა განაგრძო. იმ ფარდულისაკენ წავიდა, საღაც თამაზი ეგულეზობოდა, მაგრამ უეცრად ძახილი შემოეცმა:

— პავლე, პავლე! საით?

პავლემ ელექტრობურლებით დაყენებულ რკინის მტვერში ძლივს იცნო თამაზი. მაშინვე აქეთ გადმოუხვია. ფარდულში შევიდა. მაგიღაზე მკერდით დაყრდნობილი ტყაჩენკო რაღაცას ხაზავდა.

პავლე რომ დაინახა, ტყაჩენკომ სათვალე მოიხსნა და წამოიძახა:

— პავლეს ვახლავართ! დაბრძანდით, გეტყობათ, დაიღალეთ, მაგრამ ჩვენთან ხშირად თუ მობრძანდებდით, მოღლილობის წამალსაც გასწავლით.

— როგორ?

— სრულიად უბრალოდ: როცა ტვინი მოველდებით, ხელ-ფეხი უნდა ამოძრავოთ, მუშები მოინახულოთ და მიეშველოთ; თუ ამითაც დაიღლებით და

ძილი დაგძლევთ, სახეზე ცივი წყალი უნდა. ისხუროთ, გამოტოცხლდეთ და უკვე დასვენებული ტვინი საქმეს შეუდგეთ.

— კარგი გამოგონებაა! — გაიცინა პავლემ.

— განა სასაცილოა? ამ საქმეში მე და თამაზს მიმდევრებიც გვყავს. სახუმრო საქმე როდია — სერიოზული გამომეტყველების მიღებას შეეცაღა ტყაჩენკო.

მშენებლობაზე რომ საქმეს მორჩა, თამაზმა შინ წაიყვანა სტუმარი. კიბე აათავებს თუ არა, აიენის კუთხეში ატუზული ახალგაზრღა კაცი შენიშნა თამაზმა.

— გუჯა აქ რას აკეთებ? — წამოიძახა მან მიახლოების უმალვე.

აღბათ გუჯა არ მოელოღა თამაზის ასე აღრიანად გამოჩენას. ყურებამდე გაწითლღა და თავი ჩალუნა.

— მიგიხვდი, გუჯა, — ახლა უკვე ღიმილით განაგრძო თამაზმა და პავლეს თვალღი ჩაუკრა, — გეტყობა, ეშმაკობ... გაიცანი, პავლე, ყოჩაღი ბიჭიღა.

პავლემ და დარცხენიღმა გუჯამ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— მაშ, დიღი ხანიღა, აქა ღვახარ და მტრეღი მაინც არ გამოფრინღა ბუღიღან? — კვლავ ღიმილით განაგრძო თამაზმა, — წამო, აბა, ჩვენსღა შევიღდეთ.

გუჯამ თავპატეღი გაიღო, მეჩქარეზბაო, მაგრამ აშკარად ეტყობოღა, რომ წასვღა სრულიღადაც არ უნღოღა და აქ დარჩენღა მთელ სიცოცხლეს ერჩიღა. ბოლოს გაპყვა თამაზს.

თამაზმა აივანზე გამოსული მარღა დაინახა.

— ამას იცნობ? — გაღახეღა გუჯას.

— შორიღან...

— მარღა! — გასძახა თამაზმა.

— რას გვიბრძანებღით?

— ხეღდა? სტუმრეღი მყავს. შენ იცი ახღა და შენმა ქაღობამ!

მარღამ თაღი დაუქნღა თანხმობის ნიშნად, უმალვე გატრიალღა და კი არ შევიღა, შეფრინღა თითქოს თაღის ოთახში.

გუჯას თრთოლვა მოერია, ყოველი კუნთი, ყოველი ძარღვი უტოკავდა, თვალები უციმციმებდა.

ოთახში რომ შევიდნენ, პავლემ ფანჯარასთან დაუდგა სკამი გუჯას, მისი პორტრეტის ხატვა დაიწყო, თან გაიძახოდა:

— არ გაინძრე, პირდაპირ მიცქირე, ბოლომდე ერთნაირად ბუნებრივი გამომეტყველება შეინარჩუნე!

„ამას ვის გადაეყვარე!“ — ფიქრობდა გუჯა და სიცილს ძლივს იკავებდა.

— ჩაეარდი, გუჯა, პავლეს ველარ გაექცევი, — შანს უვებდა თამაზი.

კარი გაიღო, ლანგარით ხელში მარტა შემოვიდა და მასპინძელს მიმართა:

— შეიძლება სუფრა გავშალო!

— შეიძლება, მარტა, მაგრამ ჯერ ჩვენი სტუმრები უნდა გაიცინო, — მიეგება ქალიშვილს თამაზი და ლანგარი ჩამოართვა.

გუჯა წამოდგა.

მარტა წუთით დააბნია მისმა შემოხედვამ, გაწითლდა...

ბოდიშს ეიხდი, მეგობარო, მაგრამ მარტას მეც უნდა მივესალმო, — თითქოს საყვედურით უთხრა პავლემ აღგზნებულ გუჯას და ამით მოაგონა, რომ დრო იყო გაეთავისუფლებინა გოგონას ხელი.

გუჯა გამოერყვა მარტას ხელს ხელი გაუშვა.

ერთი წამით აირ-ღაირია ყველაფერი. მერე დალაგდნენ. წამოწითლებული მარტა სუფრის გაშლას შეუდგა, გუჯამ თავისი ადგილი დაიკავა ფანჯარასთან, მაგრამ თვალი ქალიშვილისთვის ვერ მოეცილებინა.

მარტა ვადიოდა, შემოდოდა, ცალი თვალთ სახელგზნებულ გუჯასკენაც იცქირებოდა.

თამაზს ეღიმებოდა გულში. გრძნობდა, რომ ქალ-ვაეს შორის უკვე იბმებოდა რალაც უხილავი ძაფი მომავალი მეგობრობისა.

— გუჯა, შენ ახლა ის აღარა ხარ, რაც ამ რამდენიმე წუთის წინ იყავი, გადასხვაფერდი... დახატვა მიმძიმს. აი,

ხომ ხედავ, მეც ვშლი, ვასხვაფერებ, ვასწორებ, — გაუღიმა თავისი „ახალ-ნაცნობის პავლემ, როცა ქალაღმზემსახარო ხაზი გაატარა და გუჯას ნიკასს აღმაცურად გახედა.

გუჯა დაიბნა, აღარ იცოდა რა უნდა ეთქვა.

— ბოდიში! — წამოისროლა უანგარიშოდ.

— პო, ახლა დაწყნარდი, თორემ ისევ გადასხვაფერდები და მერე ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყო.

გუჯა გაიტრუნა. შეეცადა მღელვარება არ დასტყობოდა.

— გუჯა, სად იცქირები, მე შემომხედე! — წამოიძახებდა ზოლმე პავლე, როცა ოთახში კვლავ გამოჩნდებოდა მარტა.

გუჯა, თითქოს თავში ჩაართყვსო, შეკრთებოდა ამის გავგონებაზე, მაგრამ მარტასათვის მაინც ვერ მოეწყვიტა თვალი.

თამაზი იციწოდა, თანაც სუფრის გაწყობაში ეხმარებოდა მარტას.

პავლემ გუჯას პორტრეტის დახატვაც თითქმის მოათავა და თამაზს გადასცა, აბა, ნახეო.

— ნამდვილი გუჯაა! — თქვა თამაზმა.

იმ პორტრეტის ნახვა მარტამაც მოისურვა. დააჩერდა, გუჯა პორტრეტს შეაღარა და გაიღიმა!

— საოცარია! ამოდენა ვაყვაცი როგორ უეცრად გადმოფრინდა პატარა ქალაღმზე... ისე გამოიყურება, თითქოს ვინმეს ელოდებო, — გულუბრყვილოდ თქვა და გუჯაზე შეაჩერა ცისფერი თვალები.

— ალბათ მარტას გამოჩენას თუ ელოდებოდა, — ჩაუკრა პავლემ.

მარტა შეეცა, გაწითლდა, პავლეს გაკვირვებით შეხედა. მერე თავი დახარა და გარეთ გავარდა.

— მარტა! — გასძახა თამაზმა, აიენზე გასულ მარტას უკან არ მოუხედავს, ისე უპასუხა, — მესმისო.

— შენ პავლეს ხუმრობას ყურადღებას ნუ აქცევ, მოაყოლე შემდეგი.

— ახლავე! — ისევ იმავე ხმით გამო-  
ეხმაურა მარტა.

გუჯამ მოიწვინა. მერე ყრუდ თქვა:

— ეს გოგონა კი შევეაშინეთ და...

— ნუ დარღობ, გუჯა, თუ გული გუ-  
ლობს, შენი იადონი კვლავ მოფრინდე-  
ბა. ისე კი გავეყიღს გატეხილი  
სჯობს, — გაამხნევა პავლემ, მხრებში  
ხელი მოხვია, მაგიდასთან მიიყვანა და  
გვერდით მოისევა.

მალე მარტა ისევ გამოჩნდა. თეფშით  
თხლად დაჭრილი ხორცი შემოიტანა,  
მაგრამ თავისებური სითამამე მას აღარ  
ახლდა, მორცხვობდა, სახეში აღარავის  
უცქეროდა. არა, მისი სახე საყვედურს  
როდი გამოხატავდა, მაგრამ არც რაიმე  
განსაკუთრებულ სიხარულს ამხელდა;  
მის ცისფერ თვალებში თითქოს ეწერა:  
„პირველად გავიგე, რომ დაქვალბულ-  
ვარ და უფრო თვდაქვრილი მოქცევა  
მმართებსო“.

პავლემ ჭიქა აიღო.

— მარტას გაუმარჯოს, ვუსურვებ, სა-  
წყენიც სიხარულად გადაქცეოდეს.

მარტამ თავის დაქნევით მადლობა გა-  
დაუხადა, მერე დაუმატა:

— საწყენი? არა, რა იყო აქ საწყე-  
ნი?..

გუჯა მარტას ხელახლა გამოჩენამ ისე  
ააჩქოლა, როგორც ახლად დაწურული  
ღვინო, დუღილს რომ იწყებს და ნაპერ-  
წყლებს პურის. მან რაღაც თავისთავად,  
აღვზნებით, ღვინით სავსე ჭიქა ჩაბღუ-  
ჯა, გულთან მიიტანა, მალლა ასწია და  
წამოიძახა:

— მარტას გაუმარჯოს! — და ღვი-  
ნოს დაეწაფა.

თამაზმა მარტასაც შეუვსო ჭიქა.

— შე? — გაიკვირვა მარტამ და შე-  
მოჩინებულ სავსე ჭიქას დააჩერდა, —  
ღვინო ჩემს სიცოცხლეში არ დამიღე-  
ვია, ამას რა დამალევენებს!

— დალიე მარტა, — არ მოეშეა თა-  
მაზი.

— მადლობელი ვარ, — თქვა მარ-  
ტამ, ჭიქა ტუჩთან მიიტანა და ნელ-ნე-  
ლა დასცალა, — აი, შე რა... — ჩაილი-  
პარავა, გატრიალდა და ოთახი დატოვა.

გარბოდა, ბეზიასთან ქოშინით შევიდა,  
ხელგაშლილი მიეჭრა:

— ბებია, რა ვქენი, იცი, რა ვქენი?

— რა ჭქენი, გოგო?!

— ღვინო დავლიე!

— როგორ? ბევრი დალიე?

— არა, — ერთი ჭიქა, მაგრამ უკვე  
მომერია, ბებია.

— კარგი, ნუ გაბავშვდები, ერთმა  
ჭიქა ღვინომ რა უნდა გიქნას!

მარტა მინც ვერ ისვენებდა, ბეზიას  
ეხვევოდა, იცინოდა. ზოლოს ისევ ჩაე-  
კრა.

\*  
\*  
\*

ლომციხის ახლადგახსნილ კლუბში  
აუარებელი ხალხი შეკრებილიყო. თბი-  
ლისიდან ჩამოსულ მეცნიერებისა და  
ხელოვნების წარმომადგენლებს ხალხი  
სიხარულით ხვდებოდა.

სანამ საღამო დაიწყებოდა, ფოიეში  
თამაზიც გამოჩნდა. ის მოხუც მოქანდა-  
კესთან, პავლესთან, გაიოზთან და აპო-  
ლონთან ერთად დადიოდა. იგონებდა  
თბილისში უქანასკნელ შეხვედრებს, იქ  
თეთრად გათენებულ ღამეებს...

უცხად თამაზმა ხალხში ქალის ნაც-  
ნობი სახე შენიშნა. ეს ქალი ვიღაც  
ახალგაზრდა ვაჟს მიჰყვებოდა. ვაჟს  
მკლავში ხელი გამოედო, სულ ახლოს  
მიჰკეროდა, თვალებში ჩასცქეროდა და  
უღიმიოდა. ქალიც უღიმიოდა ვაჟს, მაგ-  
რამ ეს ღიმილი თითქოს ჭრილობას ჰკა-  
ვდა.

„თამარი? რა უნდა აქ, საიდან გაჩნ-  
და; განა აგრე საქვეყნო გახდა?“ — გა-  
იფიქრა თავზარდაცემულმა თამაზმა.

თვალი მოაჩინა, რაღაც უნებლიეთ  
პავლეს მკლავში ხელი მოუჭირა.

— რა მოხდა, თამაზ?

— არაფერი... რაღაც მომავონდა და...

— აგრე უეცრად?

— თუ ძმა ხარ, წაივდიეთ აქედან...

— ბიჭო! რა მოგივიდა!

მაგრამ თამაზის გადაწყვეტილება  
მტკიცე იყო.



ამხანაგებს გამოემშვიდობნენ და კლუბი დატოვეს.

გარეთ გრილი სიო შემოეფებათ.

განათებული, მაგრამ ყოველი მხრიდან სიბნელით გარემოცული გზა გვირაბით მოჩანდა. ამ გვირაბში ღრმად შედიოდნენ ისინი.

— ალბათ, კონცერტი დაიწყო, გესმის რადიოს ხმა? — თქვა პავლემ.

— მესმის, — გულჩათხრობილად მიუგო თამაზმა.

— მე მართო იმ.ს შიში მაქვს, ჩვენს მოხუცს გული არ გაუხდეს ცუდად. ამ ბოლო დროს გულის ფრიალი დაჩემდა.

— თენგიზი წაიყვანს, — გაეპასუხა თამაზი მეგობარს და ისევ წედანდელ ფიქრს დაუბრუნდა: „აგრე ეს ქალი დაილუპება“.

— თამაზ, — უცებ წამოიწყო პავლემ, — ვინ იყო ის ახალგაზრდა ქალი, კლუბში რომ შემოგვეფეთა, წინათ მგონი შენთან მინახავს... თამარი ჰქვია, არა? შენს მერეც ხშირად მხვდებოდა თბილისში. ხან ვისთან იყო და ხან ვისთან.

— თამარი?... ჰო, მეც ვიცნობდი წინათ ამ ქალს. ახლა კი არაფერი ვიცი, გათხოვდა, თუ ისევ ქალიშვილია, — უპასუხა მეგობარს თამაზმა და მღელვარება რომ დაეფარა, გვერდზე გაიხედა: „ალბათ რამე შემატყო პავლემ, თუმცა არ ამბობს. განა ამ ქალის დანახვა ისევ მალეღვებს?...“

ცოტაოდენი მანძილი რომ გაიარეს, პავლე შეჩერდა:

— ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ ცოლს როდის ირთავ?

— ცოლს? — ნაღვლიანად გაიღიმა თამაზმა, — ცოლზე აღარ ვფიქრობ. არც მინდა ვიფიქრო. საფიქრალი ისედაც ბევრია. ლომციხეში ცოლის შერთვისათვის არა მცალია. მართლა, პავლე, მავიწყდებოდა, ნაღია როგორ არის? — სიტყვა ბანზე ააგდო თამაზმა.

— ნაღია კარგადაა, მაგრამ ცოლის შერთვაზე შენი აზრები უცნაურია, — მაინც არ მოეშვა პავლე — კაცი რომ საქმეებსა და სიცოცხლეს მოათავებს, მერე ცოლის შერთვაც აღარაა საჭირო.

ცხოვრების მეგობარი სწორედ საქმეებში და, თუ ვნებას, გაკრებებში უფრო ვეპირდება.

„ეტყობა, პავლე აგრე ადვილად არ მომეშება“, — გაიფიქრა თამაზმა და უპასუხა:

— რა ვიცი, შეიძლება მართალიც იყოს, რასაც შენ ამბობ.

ამ დროს ტაჩენკოს ხმა შემოესმათ.

— ამხანაგს მოხმარება სჭირდება, რაღას ელოდებით, — გაიძახოდა ტაჩენკო, — აგრე, მიუშვით!

მისი ხმა მოახლოვდა, მერე თვითონაც გამოჩნდა.

ტაჩენკომ შორიდანვე იცნო ისინი და მოაძახა:

— როგორ, კლუბი დაკეტილი დაგხვდათ?

— თქვენთან ყოფნა ვამჯობინეთ, დიმიტრი სიდორის-ძევე, და წამოვედი, — უპასუხა პავლემ.

— თუ აგრე გენატრებით, ბრიგადებში ხალხი გვაკლია და... — გაიღიმა ტაჩენკომ, — ჰა, ვერ იმუშავებთ თუ?

— რატომაც, არა, — მხარი აუბა ხალისიან უკრაინელს პავლემ, — წავიდეთ! მაჩვენეთ ერთი, რას აკეთებთ!

— წავიდეთ, მეც მინდა ვნახო, — სთხოვა პავლემ.

რკინისა და აგურის განათებული ბული იღვა ირგვლივ.

ისინი ღრმად შედიოდნენ მარტენის მშენებლობის მოედანზე. ირგვლივ განუწყვეტელი ხმაური ისმოდა. ხმაურობდა ელექტრობურლი, აგურის, რკინისა თუ ცემენტის მზიდავი ვაგონება; ხანგამოშვებით დაიგუჟუნებდნენ ელექტროძრავები ან გაიხრიალებდა ვაგონიდან გადმოყრილი საშენი მასალა. მარტენის ლუმელებზე ასული კალატოზები აგურს აწყობდნენ, ცოტათი მოშორებით კი ხორთუმებმომარჯვებული ექსკავატორები ტორავდნენ მიწას, იღებდნენ და საღდაც შორს ყრიდნენ. ისინი აქ ახალი მარტენის დასადგმელ ნიდაგს ამზადებდნენ.

— ამ მოძრაობისა და ხმების დახატვა რომ შემეძლოს, აი, ეს მესმის! —

თქვა პავლემ, მაგრამ მერე მოაგონდა, რომ ამ ხმაურში მისი ხმის გაგონება არავის შეეძლო.

— ჯერ მარტენის ეს ერთი ღუმელი უნდა დასრულდეს, მერე კი ამავე მწკრივში განვაგრძობთ, სანამ თორმეტ ღუმელს ავაშენებდეთ, — ყურში ჩასძახა პავლეს თამაზმა.

ცოტა წინ რომ წავიდნენ, ფროსიას ხმა გაისმა. ირგვლივ გამეფებულ ხმაურსა და ორომტრიალში არავის ესმოდა, ვის და რისთვის უძახდა იგი.

— ვინაა ეს ქალი? — იკითხა პავლემ.

— ერთი იმათგანი, ვინც დაგისახელე. მარჯვე ქალია, ბრიგადირი...

გვიან ღამით თამაზმა მოლლილ-მოქანცული პავლე დასაძინებლად შინ წაიყვანა. თითქმის მარტოდმარტო მიდიოდნენ ქუჩაში. ირგვლივ იშვიათად თუ ვახიზაურებდა საბარგო ავტომობილი, ხოლო ადამიანიშვილის ხმა თითქმის არსაიდან ისმოდა.

— აი, როგორ სძინავს ქვეყანას, მიწასაც კი... აქ არსად დავიკარგოთ, — თქვა პავლემ.

— ღამეს ისე შევეჩვიე ფრონტზე, რომ გზა არ დამებნევა, — გაამხნევა მეგობარი თამაზმა.

— ეჰ, ფრონტი, ფრონტი, — ჩაილაპარაკა პავლემ, — რა საშინელება იყო, თამაზ, არა? რამდენი გადავიტანეთ, როგორ გვენატრებოდა, თუნდაც, წამიერი სიმშვიდე!

— ზოგჯერ სიმშვიდე უფრო გვაღელვებდა, როცა მტრის თავდასხმას ველოდებოდით. ცეცხლში კი ყველაფერი გავიწყდება... მაგრამ სიმშვიდე გინა მარტო ომში გვაღელვებდა? ზოგჯერ ახლაც გვაღელვებს; მხოლოდ საქმე გვაიწყებს ყოველგვარ სატკივარს, — თქვა თამაზმა.

— სატკივარს? — რაღაც დაეჭვებით შეეკითხა პავლე — გამარჯვებამ დაგვაიწყა ყველა სატკივარი.

— სამაგიეროდ, მშვიდობის ჩამოვარ-

დნასაც საკუთარი ტკივილი მოჰყვია, ყველასათვის კი არა, მაგრამ მარტო მარტო.

— განაგრძე, თამაზ, რაღაც უნდა გეტყუდეს და არ დაასრულე; იქნებ ეს სატკივარი შენც შეგებება, — გადაპკრა მეგობარს პავლემ.

— არა, მე რატომ... მაგრამ ახლობელი ადამიანების სატკივარიც ზომ გვაწუხებს ჩვენ...

— რასაკვირველია, გვაწუხებს, ეს მართალია, მაგრამ... — ახლა პავლემაც აღარ დაასრულა; იმიტომ კი არა, თითქოს დაკმაყოფილდა თამაზის პასუხით, უფრო იმიტომ, რომ აღარ უნდოდა ძალა დაეტანებინა მისთვის და იძულებული გაეხადა ეთქვა ის, რისი თქმაც არ უნდოდა მას.

ის იყო, აივანზე შედგეს ფეხი, რომ შექმაც იელვა.

მართამ თავისი ოთახის კარი გააღო, გამოვიდა და დაიძახა:

— ჩაი მზადა, ახლავე მოვიტან!

მარტო პავლე კი არა, ახლა თამაზიც კი გააკვირვა მართას განსაკუთრებულმა სიფხიზლემ: ღამის ორი საათი იყო და მართას არ ეძინა. „ალბათ, საამისო მიზეზიც აქვს!“ — გაიფიქრა თამაზმა და კარის წინ გავლისას მართას გასძახა:

— დაიძინე, მართა, არ გვინდა ჩაი!

მართას თამაზის ძახილი შემოესმა, მაგრამ მისი გაგონება აღარც კი უნდოდა.

— მე უფრო ის მიკვირს, მართა ფხიზლობს და არა მღერის, — უთხრა თამაზმა.

— საოცარია... — თქვა პავლემ.

— იქნებ გულში მღერის, ჩვენ კი არ გვესმის... ყრუები ვართ...

ოთახში შევიდნენ. მართაც მალე შემოტრიალდა. თამაზის უარის მიუხედავად, ჩაის ჭურჭელი შემოიტანა. როცა ჭიქებს მაგიდაზე აწყობდა, თითქოს ვინმეს დაეტებო, აქეთ-იქით იხედებოდა.

— მართა, განა ჩვენ გველოდებოდი? — შეეკითხა ქალიშვილს პავლე, — ამდენი უძილობა როგორ შეიძლება!

— ძილი მეყოფა, ღამე დიდია, მოვე-

სწრები! — გაიღობა გოგონამ. მაგიდაზე დაწყოხილი ქაღალდები რომ ააღაგა, უცრად ნაპერწკლებმა იფეთქეს მის თვალებში. „აი, სად ყოფილა!“ — გაიფიქრა. ხარბად დააქქერდა გუჯას პორტრეტს. გამოცოცხლდა.

— ძეხვსაც მოგართმევთ! — წამოიძახა და ისევ გაეარდა ოთახიდან.

თამაზმა და პავლემ ღიმილით გააყოლეს მას თვალი. მერე უხმოდ შეექცნენ ჩაის.

— გესმის? — წამოიძახა უცებ პავლემ.

— რა იყო? — გამოერკვა თამაზი.

— მარტა მღერის!

— სად არის ახლა გუჯა!.

— მაშ, მაშ!

— იმას უმღერის!

— ასეა ახალგაზრდობა!

ჩაი რომ მოათავეს, თამაზმა თავის საწოლზე პავლეს დაუგო, თვითონ კი მაგიდაზე დაწვა.

პავლეს არ ეძინებოდა, რალაც გაუთავებელს უყვებოდა თამაზს. ამ უკანასკნელს მისი თავი არ ჰქონდა, მაგრამ, ზრდილობის გულისათვის, მაინც გაებასუხებოდა ხოლმე მეგობარს თითოთროლა სიტყვით.

— გახსოვს, თამაზ? — იგონებდა პავლე, — ზამთარი იყო, თოვდა. ქვეყანა თეთრ სამოსელში გახვეულიყო. სკოლიდან დაებრუნდი, მთაწმინდაზე ავედი და ციგაობა დაეწყო. უცრად ციგა გადაგვიბრუნდა, მერე სხვებსაც დაეჯახა და ათამდე მოსწავლე თოვლში დაგორდა. როგორ ვყვიროდით, ვიციანოდით... სუფთა იყო გული, სატივიარის ნატამალიც არ აჩნდა მას და მთელი ჩვენი ცხოვრების გზა ვარდ-ყვავილებით მოფენილი გვეგონა.

— მახსოვს, — უპასუხა თამაზმა.

— ერთხელ ჩანთა მოვიქნიე, ვეღარ მოვზომე და მტკვარში გადავაგდე. მე ყვირილი და ტირილი ავტეხე, შენ კი — არ დააყოვნე, მტკვარში გადაეშვი და ჩემი საწიგნე ჩანთა გადაარჩინე. გავხსენი, დასველებული წიგნები მზეში გა-

ვლინე და, სანამ არ გავაწრე, შინ ვერ წავედი.

— მახსოვს, — ისევ მძვლვლდ უბახუხა თამაზმა.

— პატარაობისას მოცებდა, შავი ტანსაცმელი მოხუცებს რატომ აცვიათ-მეთქი, და ის რა ვიცოდი, რომ სანამ ხანში შევალთ, ვინმე უახლოეს ადამიანს ვკარგავთ და ამ მძიმე კრილობას გულში ვერასოდეს ამოვიშლით. ვრძნობ, შენში რალაც იჩრდილება, ბნელდება და ტანზედაც შავი გირჩევნია ჩაიცვა.

— შენ მართალი ხარ, მაგრამ მძიმე კრილობას განა მართო უახლოესი ადამიანის დაკარგვა გვაყენებს? — შეეკითხა თამაზი.

— მართო ეს არა, მაგრამ სხვა ყველაფერი გაივლის, სიკვდილს კი ვერასოდეს ვერაფერს ვუშველით.

— განა მართო სიკვდილს... — კი არ შეეკითხა, ისე ჩაილაპარაკა თამაზმა:

— დიახ. განა შენ გექსებება?

თამაზმა კითხვა უპასუხოდ დატოვა. პავლე მეორე მხარზე გადაბრუნდა:

— ახლა კი დავიძინათ, თორემ ხვალ აღარ ვივარგებთ... პირველად ფროსია უნდა დავხატო, მერე კი სხვებსაც მივაყოლებ. შენ, თამაზ, ყველას დრო უნდა შეურჩიო და შეხვედრა მომიწყო.

— მოგიწყობ, — შეპირდა თამაზი. ერთი წუთიც და — პავლეს ჩაეძინა.

პირაღმა გაშოტილი თამაზი თვალს ვერ ხუჭავდა, ქერს მისჩერებოდა. ისევ კლუბში დატოვებულ თამარს ხედავდა. თამაზი ლოგინში ვერ ჩერდებოდა, რალაც თავისთავად იწვედა, წამოდგომას ითხოვდა, მაგრამ რალაც აჩერებდა, ძალით აკავებდა.

საკუთარ თავზე ასეთი ძალდატანება კარგა ხანს გაგრძელდა.

„ასეთ წოლას ადგომა სჯობს“ — გაიფიქრა თამაზმა ბოლოს და წამოდგა. ტანთ ჩაიცვა, ქაღალდზე დიდი ასოებით გამოიყვანა, „მალე დაებრუნდებიო“, ეს ქაღალდი პავლეს სასთუმალთან დაუდო, კარი ფრთხილად გაიხურა და ივანზე გავიდა.

ბნელოდა. თამაზმა ის სვეტი იპოვნა, რომლის მახლობლადაც კიბე ეგულებოდა, ჩაეჭიდა, კიბეზე დაეშვა, მშენებლობის მოედნისკენ წავიდა.

„რას იტყვის, დიმიტრი? რა უნდა ვუთხრა?“ — გაიფიქრა მან და შეეცადა მშენებლობის მოედანზე დაბრუნების მიზნით გამოენახა როგორმე. კლუბისაკენ მაინც იხედებოდა, თუმცა დაეინებოთ ცდილობდა ცოუნების გამკლავებას.

კლუბის წინ გაჩირაღდებული ელნათურები თითქოს ამცნობდნენ: „აქაა, შენ კი სხვაგან მიდიხარ!“

მოედანს მიაღწია. გაკვირვებულ ტაჩენკოს დაასწრო:

— დაისვენე, დიმიტრი, მე აქ საქმე მაქვს.

— ერთ საათში ცვლა მუშაობას ათავებს. რა საქმე გქონდა?

— ბრიგადირები უნდა ვნახო, რაღაც დამავიწყდა.

ტაჩენკო შედგა, წამწამები დაახამხამა. რაც თამაზმა უთხრა, თითქოს არ სჯეროდა. მაინც აღარ ჩაეძა, ქუდი დაიხურა და მთელი ღამის უძინარი შინისაკენ გაუდგა გზას.

თამაზმა სამუშაოთა შემოვლა დაიწყო. ბრიგადირები მოინახულა. მერე უეცრად ხმაური შემოესმა და სმენა დაძაბა.

„შენი ბრალია, სწორად არ მიგყავს!“ — გაიძახოდა ვიღაცა.

თამაზმა იქვე წაქცეული მუშა შენიშნა, ხელი ჩასქიდა და წამოაყენა:

— რა მოგივიდა, ფეხი იტყინე?

— აგური დამეცა, მაგრამ ჩექმამ გადამარჩინა — უპასუხა მუშამ.

— ფრთხილად, დინჯად, ბიჭებო! — გააფრთხილა მუშები თამაზმა.

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, ცვლამ რომ მუშაობა დაამთავრა. ღამენათევი, დალილ-დაქანცული მუშები წავიდ-წამოვიდნენ. სიცოცხლე და შუქი უეცრად ჩაქრა. ახლა მხოლოდ აქა-იქ თვლებდნენ ღამის ელნათურები.

თამაზი აქ სულ მარტო დარჩა და ნახევრად ჩამობნელებულ მოედანზე — დამძიმებული ნაბიჯით მიმოდინდა. შუაშებთან მოსვლამ და საქმეებმა თითქოს დაავიწყეს თამართან შეხვედრით გამოწვეული ძველი ტკივილები. ახლა კი ისევ ის სატკივარი ეუფლებოდა. გამობრუნდა, ისევ ქალაქისკენ წავიდა, მაგრამ, რატომღაც, რაღაც თავისთავად, კლუბისაკენ აიღო გეზი. როცა კლუბს მიუახლოვდა, გამოერკვა, უეცრად შედგა.

„არა, იქ მოსვლა აღარ ივარგებს!“ — გადაწყვიტა. სიბნელეში, მტკვრის ახლო, კენტად მდგარი ბებერი ვერხვი დაინახა და იქით გაემართა. მივიდა. ქალაქის ელნათურების მკრთალ შუქზე მერბი შენიშნა და ზედ ჩამოჯდა. ახლა აქ სიჩუმე იყო. მხოლოდ მტკვრის გაბმული შხუილი ისმოდა.

თამაზი ისევ კლუბისაკენ იხედებოდა.

„ჯერ კიდევ არ ჩაუქრიათ შუქი, მაშ ისევ იქაა!“ — გაიფიქრა და მიმოიხედა. ახლა მთელი ქალაქი, მტკვრის პირას გატრუნული ძველისძველი ტყე რაღაც სხვანაირად ეჩვენებოდა. თითქოს პაერიც კი შეცვლილიყო ლომციხეში.

თამართან ხომ ყველაფერი დასრულებულია, აქ რაღას ველი?“ — ცდილობდა თავის დარწმუნებას, მაგრამ ადგილიდან დაძვრა მაინც ვერ მოეხერხებინა.

აგერ, კლუბიდან გამოსული ხალხის ჩოჩქოლი, მანქანების პიპინი და ქშენაც გაიგონა, მაგრამ მაინც ვერ მოიცვალა ფეხი. მერე თანდათან მიწყდა ხმაური, კლუბის წინ, ეზოში და თვითონ კლუბში შუქიც ჩააქრეს. ირგვლივ სიჩუმე და სიბნელე გაეფიქრა.

„წავიდა! ალბათ სულ წავიდა!“ — გაიფიქრა თამაზმა. ამით ტკივილიც იგრძნო, შეებაც... ახლა ყველაფერმა ისევ, ის მისთვის უკვე ნაცნობი სახე მიიღო. მტკვრის შეუწყვეტელ შხუილს გულს აყოლებდა. იჯდა და ცდილობდა აღარაფერზე ეფიქრა.

## გაღვა აუხანიძე

★

# ციკლიდან გაგაფხულის მელოდიები

## მზე ყველას ყოფნის

დღე გაიზარდა... მზემ გრილ ოთახში  
დიდი ნაბიჯით შემოალაჯა.  
აპრილის სუნთქვამ, აპრილის შუქმა  
ჯანით, ხალისით ამივსო მჯავა.

გაზაფხულია... მზე ყველას ყოფნის...  
ჩემი ალვის ხის წვერზე მოექცა.  
და მისმა ცხელმა დაღვრილმა ტალღამ  
ზამთრის ნაღველი ცას ჩამორიცხა.

ამოებერა მიწას გულმკერდი.  
ძილით გამაძლარს გამოელვინა  
და რბილ გატენილ ჯიქნებით კვებავს  
ჯეჯილებს როგორც კეთილი ძიძა.

დაღბა, დარბილდა და ამოხეტქა  
ის პატარა უმანკო ლეროში...

რა დიდი მზეა... რამდენა დღეა...  
ხმის ჩახლჩამდე მინდა ვიმღერო.

ცა დაიწმინდა. მხოლოდ შორს სადღაც  
დნება პატარა ღრუბელი ობლად,  
მწვანით შემოსილ აპრილის ბაღში  
ბუღბუღი აწყობს ხმას საგალობლად.

ვეალებს ამ დროს ოცნებით  
ჩიტებს, ყვავილებს, მიწის ოხშივარს.  
მზით ავსებელი, განათებული  
ქექა-ქუხილის მოლოდინში ვარ.

გაზაფხულია... მისი ფერებით  
ჩემი ქვეყანა, ვარდის თვე ხარობს.  
ამოსუნთქვისაღ კი მეშინია  
ამ დღის სიმღერა რომ არ დაეფარო.

## ახლა როდესაც

ახლა როდესაც მღერის აპრილი  
და მტკვრის ნაპირი მწვანეში წვება.  
როცა ღრუბლები ფაფარაყრილი  
ცურავენ ცაში თეთრ იალქნებად.

ახლა როდესაც ბუღბუღლთა სტვენა  
და მზის მოღბენა გულს აცხოველებს,  
როცა ქუხილის გუგუნი, ქშენა  
შორს, შორს მიჰყვება მშობლიურ  
მელებს;

ახლა როდესაც ვაზი იშლებს,  
ღამე გიშერა, თანდათან აკლებს  
და მარად სუნთქვის ფერად ნიშნებად  
რთავს ია-ვარდი ბაღში ბილიკებს —

არ დავიჯერო, რომ გაზაფხულის  
ჯერ არ ნახული სიო ჰქრის თბილი?  
რომ ზამთრის მიერ მოღლილი გული  
ისევ ანათებს როგორც ყვავილი?

რომ მზის სხივებში ყინული გალღვა,  
ცაში კი მაღლა გაჰკვივის წერო,  
მკერდავსებელი ბუნების ტალღა,  
რომ კვლავ ბობოქრობს არ დავიჯერო?

რომ იას თრთოლვით ამოაქვს ლერო?  
არ დავიჯერო, არ დავიჯერო?

## დილის მზე



დაიშხვრა ღამე. მტრედისფერ დილას  
წინ შეეგება ზალისით თვალი.  
ღია ფანჯრიდან მზე შემოგორდა  
ნაწვიმარ მიწის სურნელით მთვრალი.

შემოგუგუნდა და თეთრ ბალიშზე  
აპრილის სითბო გადმოაწვინა.  
მოითარეშა მთელი ოთახი,  
შემდეგ ჩემს გულში მონახა ბინა.

აღმაფრთოვანა... ამავსო მალით  
ამაყვავილა თითქოს მეც ბაღად.  
მან თავის შუქის კოცონზე დამწვა,  
გამიღო სივრცე და გამალაღა.

ახლა დავყევი მის ცხელ ნაფეხურს,  
მისი სინათლის დაუშრეტ მორევს...  
ჩემს სიჭაბუკეს და ჩემს ოცნებას  
ნუთუ ლექსი არ გაიმეორებს?

•  
•

ერთად ვცურავდით ფთონარე ზღვაში,  
ზღვის სილამაზით მოხიბლულები.  
წინ ვისწრაფოდით აფრების გაშლით,  
ნიჩბებს მინდობილ წრფელი გულებით.

ერთ ბედს მორჩილი ერთ გზას ეტრფოდა  
ჩვენი მღელვარე ძმური კრებული.  
ძირს ზღვა ბრწყინავდა. მალა კი კრთოდა  
ცა თონესავით გახურებული.

მაგრამ გაშალა ფრთები გრიგალმა  
და ზღვამ უეცრად ამოიგმინა.  
ცით მოვარდნილმა ღრუბელთა აღმა  
განგმირა ნავი და ძმამ მრავალმა  
ზღვის ბნელ მორევში მონახა ბინა.

ჩვენ სასწაულით დარჩენილებმა  
ძლივს მივადწიეთ სანატრელ ნაპირს  
და აწ შევხარით მზიურ ქვეყანას,  
ეუყუნა აპრილს.





**შენ ფუტკარი ხარ**

აპრილის დილის ტკბილი ბადაგი  
ფანჯრებს წვეთებად მოაწყდებიან.  
თითქოს ბაღია — თბილის ქალაქი  
და ეს სახლები თითქოს სკეზია,

გამოდის ხალხი როგორც ფუტკარი,  
ეშურებიან დღის შესასმელად,  
შენც სწოვ შხის სურნელს ასე  
მუდამდღით  
და მერე სკისკენ იცი გაფრენა.

ნეტავ აგებნეს გზა და მოხვიდე  
მაგემო თაფლი შენი ბაგისა,  
მინდა ჩემს სკაში რომ შემოფრინდე —  
შუქო-ვარდისფერ განთიადისა.

თუმც გულს მაჩნია შენი ნესტარი,  
მაინც ვარ გიშრის თვალთა დარაჯი,  
მოდი, შენი სკა- მოდი ეს არი,  
შენ ფუტკარი ხარ და მე სარაქი.

**მემოგარო გავივლია ქართლში?**

მონღოლები... ჩინგისხანის ხმალი...  
გოგონები — თავდაბრილი ტყვენი.  
ქართლის მთები... აჩეხილი ტყვენი,  
ლერწმის ლერში მოზუზუნე ქარი,  
წარღვნასავით მოვარდნილი მტერი,  
დაკრილივით მოღრიალე მტკვარი...

დედას ჰქონდა მხოლოდ ერთი ჯავრი  
მკერდზე როცა აახლიჩეს ჩვილი,  
ცეცხლზე კრთოდა ერთადერთი შვილი,

მკერდზე ჰქონდა პაწაწინა ჯვარი,  
ამით მოჰკლა ჩინგისხანმა უინი  
და დალია სისხლიანი ჯამი.

აქ დაეცა წინაპარი ჩვენი  
მონღოლებთან რომ იბრძოდა მაშინ,  
შენ თუ ერთხელ გაგივლია ქართლში,  
გაგახსენდა საქართველოს მტერი?  
გაგახსენდა ის პატარა ბავშვი?  
და თვალები მისი თაფლისფერი?!



# სამი სურათი ძველი თბილისის ცხოვრებიდან

## მუშის-ქრისი

ისანს ვეწვივ ძველი თბილისის არემარეს თვალი გადავავლე. მიწურენ ნარცყალა კომუნისანი გაღვინით, ვულღაბურული უცხო მიწებით ტრულ მინარეთით დაგვირგვინებული. მრგვალოდაინი გოვირდოვანი აბანოები, სურნელოვანი ამა სხანები ფთო-ყურმა, ლულა-ქაბაბით, ყაყანა შერთან პაზარი მიხაკ-დარინინით, ნუშით, ზაფრანით, ყაყახანები თავბრუდამხვევი ყალიონებით, პაზახანა, სურფ-გვეორქიდან საიათონოვა შეაშულუბა, ამოდის მტკერიდან წამებული ამო თბილელი. მართალი შეშანიკი სამარეში იზმორუბა. სიონში მწუხრისას გალოზენ. განაბული რსუნენ მას საკმეველიანი ანისხატე, ფეოხანი და სწორუთოვარი, სვედიანი მეტეხი.

ფიქრი დაძუფლა... ფიქრი — მშობული ახალი აზრის.

— ფიქრი და სვედა კაცს გულს უწერილებს. უნდა გავერთოთ. — მირჩია შეზობელმა.

— მაჲ, ძველებური რამ მიახმე. ის, რაც აღარ არის, დაღვიწყებული. დამტყვრალი, თანც, მხნეობის მომგვრელი.

— გვარცია?

— კრივი გამოიგონია, მაგრამ როდი მოვსწრებოვარ!

— მაჲ, ყური მიგდე...

მოამემ ნახად ჩახველა და დინჯად დაიწყო.

მუშის-ქრისი ძველი თბილისის მოქალაქეთა საყვარელი გასართობი იყო. ყმაწვილკაცობა სიყრმიდანვე იწყებოდა, რომ მომავალში საკრფოდ გამომდგარყო.

მოკრივე ისეთი ღონიერი დამრტყმელი უნდა ყოფილიყო, რომ მოწინააღმდეგე მოკრივის დარტყმა და წაქცევა ერთი უნდა ექნა. მის მიერ მოქმედი მუშტი ჰერს ელგახავით სურავდა. თავზარდამცემი მოკრივე ყარაჩოლად ვაყვაცო იყო. მისი მნახველი უფოოდ იტყოდ: ერთი შემოკრით კამეჩს წაქცევსო. სმა და მოღენაც უწვეულო იყოდა — სამ თუნჯ ღვინოს ისე შესვამდა, თითქოს ერთი კულა ჩაარაკაკაო. მოკრივის განსაკუთრებით მაგარი მუხლი და შეუპოვარი თვლი სჭირდებოდა, რომ დარტყმის დროს არ წაბარბაკებულყო. ფეხზე მტკიცედ მდგარიყო და თვლიც არ შეშანებოდა. მარტოოდენ ხერხით კრივში ვერას გაბდებოდი, თუ ძლიერი მკლავი, ლაზა-

თიანი მუშტი, მაგარი მუხლი და უშიშარი თვლი არ გექნებოდა.

კრივი მებრად მძიმე და გამანადგურებელი შეჯიბრება იყო. თუ არა ნაცადი ვაყვაცო, სხვა მას ვერ გაუძლებდა — უწყალოდ დაბეგვლი ან დასახინრებული დარტეზოდა ეს ნახინახიხია კომიტომაც განთქმული მოკრივეები ქალაქის ბიჭებში თითებზე ჩამოთვლებოდნენ.

მახსოვს რამდენიმე განთქმული მოკრივე: ემტრია, ლოხაშა, სირქია კოლა, პატია, შიბაია, ვანო წაყველი, პანტაკუშაია, ცხრაფუხანთ სტეტეუა, ცაცანაშელი. — სხვათა სახელი ახლა აღარ მაგონდება.

კრფში, ქალაქის ბიჭების გარდა, გულითად მონაწილეობას იღებდნენ სახელგანთქმული სამხედრო პირებიც. კრივი სათაკლო გასართობი არ იყო.

მოკრივეები დაჯგუფებული იყვნენ ქალაქის უბნებში ასე: სიონის ტაძარი ქალაქს ორ დიდ უბნად ყოფდა — ჩრდილოეთით მისგან ზემოთ უბანი იყო, სამხრეთით კი — ქვემოთ უბანი. ზემოთ უბანს კუთვნიდა ავლაბრის ჩრდილოეთი ნაწილი, ჩუღურეთი, კუკია, გარეთუბანი, შთაწმინდა და მიდამო სიონიდან ფეოხანიამდე. ქვემოთ უბანს კუთვნიდა სიონ-ფეოხანის ხაზის სამხრეთით მდებარე უბნები: შიბაია, სეიდაბაი, ხარფუბი, ავლაბრის სამხრეთი ნაწილი და შაი სოფელი. ძველად ამ ორ უბანს შორის ძალთა განწყობილება თანაწირობი ყოფილა, მაგრამ შემდეგ, რაკი ქალაქი ჩრდილოეთის მხარეზე გაზრდილა, გამარჯვებული მებრადილად ზემოთ უბანი რჩებოდა. ერთ დროს ზემოთ უბანში სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი კუკიელ და შთაწმინდელ მოკრივეებს, შემდეგ კი ვერელებმა გაითქვეს სახელი. ქვემოთ უბანში კარგი მოკრივეები იყვნენ ავლაბრელები და სოფაბადლები.

მოკრივეები სხვადასხვა ეროვნებისა იყვნენ: ქართველები, სომხები, სეიდაბაის მუსულმანები და სხვ.

მოკრივეებით მდიდარი იყო ორი უბანი — ვერა და ავლაბარი. კუკიას და ანჩისხატის უბანსაც არა უშავდა რა, მაგრამ შთაწმინდა კი ამათ მხარს ვერ უმშვენებდა. ერთიმეორეს უბირმა უდგნენ ავლაბრელები და ვერელები. ამათგან ხან ერთი რჩებოდა გამარჯვებული, ხან მეორე, დანარჩენი

უბნის მოკრივეები ანათ შეელოდნენ თანაგრძნობის კვალობაზე.

აჲ, რა შაირი დარჩენილა მოკრივეების შესახებ სომხურად:

აჲღაბრეუცი — ტრაპაზეცი.

უნიორხფეცი, დიფვრეჰსეცი:

ვერელეცი — ყონადეცი.

კუკოეცი — მუშტინხფეცი!

ეს შაირი ქართულად ასეა: ავღაბრელები (მოკრივეები) ტრაპაზა არიან, ვისაც კი დეგრატცი, ყველა წვაიქციყი; ვერელები ყონადი არიან, კუკოელებს კი მუშტი შემოეკარ და ძირს დეციო.

მოკრივე ემტრია ვერელი იყო — ავგორა ღერგალი, ლობოშა — ავღაბრელი, სირქია კოლა — ავღაბრელი, ზატა — ავღაბრელი, ცაცანაშვილი — ავღაბრელი, შიზაია — ვერელი, პანტაკეუშაია — კუკოელი, ცხრაფეხანთ სტაკეუა — შთაწმიდელი შერქმე, ვანო წაგეკლა — სოფ. წაგეკლის მენახშირე. ემტრია ბოლო ზანებში დასწეულდა — მუხლების ბოში (ქარები) დაეწართა. ამის გამო კრივში ფეხზე დიდხანს დგომა აღარ შეეძლო, მაგრამ ამის როლი იმწვედა, დაიჩოქებდა და ისე იწვედა მამაკურ მუშტებს. ემტრია ამ ორმოცდაათი წლის წინათ გარდაიცვალა და ქალაქის ბიჭებმა იგი დიდი ამბით მიიპარეს მიწას.

კრივში მონაწილეებს რაიმე საჭურველი არ სჭირდებოდათ. მხოლოდ წინასწარი თანხმობით შეეძლოთ გაეცეთენინათ ცერზე ზრტყელი, ფართო ბეჭედი — საცერელი. ტანისამოსიც ჩვეულებრივი ეცათ. ოღონდ კრივის მეთაურს კრივის დროს განსაუთრებელი ჩოხა ეცვა აქლემის ყელის ფერი, გამძლე, სქელი შალის ჩოხა. საყრივოდ მონსული მეთაური გვიხდდა თავის ზედა ტანისამოსს — ვანზე ვადახდებდა აბრეშუმის სარტყელს, წმინდად მოქსოვილ შავი ფერის მუხანის შალის ჩოხას, ნაოჭიან მოკლე ახალუნს, გადამცემდა კრივში გამოსადეგ გამძლე ჩოხას პრიალა ჩექმეში ჩაბანებულ ფარფაშა ვანიერ შარვალზე, აიყუდდა ჩოხის კალთებს და დადგებოდა.

იმ მოკრივეს, რომელიც საბოლოოდ გამიმარჯვებდა და მოწინააღმდეგეთა რკალს ისე გაარღვევდა, თითქმის ბალახი გასთიბო, სახულად ღეწოდა მტანის ერქვა. მტანაწილად ღელოს გამტანი კრივის მეთაური, ბეღადი იყო.

უბნის მოკრივეებს თავ-თავისი ფალავანი ჰქავდათ. ფალავანი ვადამწვევტი ბროლიანი თუ ჩაერეოდა, ჩვეულებრივ ბეჭებს კი შორიდან თავდაბლურად უტყეოდა. ფალავნად უბნის მოკრივეები, რა თქმა უნდა, თავიანთ შორის ძღვემისძღვლებში გამოირჩეულს, დაუმარცხებელ, განთქმულ მოკრივეებს დაასახლებდნენ. განთქმულ მოკრივეს მტანაწილად ყოჩა კაცო ერქვა.

მოქმედი მუშტი არაოღეს მოწინააღმდეგეებს. ამ მხრივ დარტყამში ბრავითარი წეხი არ არსებობდა. დაუზოჯავად დაუმუნდნენ მოკრივე-

ები ერთმანეთს მუშტებს. მაგარი მუშტი ვის საღხედებოდა და ვის საღი თავმისი? ტულ-მუშტირმა, ფერდში, მუცელში თუ სხვაგან? კრულმ-მუშტირე ცდალობდა მოწინააღმდეგისათვის ისეთ ადგილას შემოეკრა, რომ დარტყმისთანავე ძირს დაეგდო იგი. ასეთი ადგილი იყო, მაგალითად, გულისფერის ბოლო, მუცლის ზემოთ, გულის კოჭს რომ გეძახიო. დაბეჭვდნენ ერთმანეთს უწყალოდ, შეუბრალებლად. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ გამწვევებულ კრივში 10 — 15 მაინც არ დასახიჩრებულყო. სიკვდილის შემთხვევაც ყოფილა. მაგრამ ერთი წესი კი ჰქონდათ: წაქცეულს არ სცემდნენ, ჯერ ფეხზე წამოაყენებდნენ და მერე დაბეჭავდნენ.

კრივში ერთ-ერთი მხარე დამარცხდებოდა. მაგრამ ვთი დამარცხებულთი გამარჯვებულთა მხარე დაიბირივებდა და მწარედ დასცინოდა მათ.

დამარცხების თფიდან ასაცილებლად ორივე მოკრივე მხარე წინასწარ ხვეის შალისაზე მაყურებელ საზოგადოებაში სხვეისათვის შეუმწინველად იგვლებდა ცალ-ცალკე დაჯგუფებულ თავთავის თანამგრძნობ ბიჭებს, რომელთაც დეფალეზული ჰქონდათ შემდეგ: როგორც კი ეს ბიჭები შეამწინვედნენ, რომ მათი მხარე მარცხდებოდა, მაშინვე უნდა დაეშინათ ქვეში ხელთ თუ შურდულით მოწინააღმდეგე გამარჯვებულებსათვის. ამით კრივი უნდა ჩაეშალათ და მისი უშედეგოდ დამთავრებისადვის ხელი შეეწყოთ. ამ შემთხვევაში მუშტისკრივი ტვისკრივით იცვლებოდა. მებრძოლი მხარეები მნიშვნელოვან მანძილზე დამორბეობდნენ ერთმანეთს და ქვეს მიიპარჯებდნენ. თუ ქვეს შურდულით იპროდნენ, ასეთ ტვისკრივს შურდულის კრივი ერქვა. შურდული ქალაქის ბიჭებს ყველას ჰქონდა ჯიბეში მონარაგებული. განთქმული მემურდული ყოფილა ძველად: მიტრო მახანაშვილი. მუშტისკრივი ამტყდარი შურდულისკრივი გაგრძელებოდა მანამ, სანამ მოკრივეები აქეთ-იქით არ გაითანტებოდნენ. ზოჯერ კი ძლევა ისე დასრულებულა, რომ ტვის სროლა არავის დასჭირებია.

დამარცხებულები ყოველთვის შეეცდებოდნენ შემდეგისათვის ისევ შებოლოდ კრივში გამარჯვებულებს და თავისი გაეტანათ. დამარცხებულთი თავის მარცხს ვასამართლებულ საბუთს გამოუტყენდნენ. მაგრამ ანგარიშგანაწილ საბუთად ის ჩაითვლებოდა, თუ დამარცხებულ მოკრივეებს ამ კრივში რომელიმე განთქმული მოკრივე არ მეთაურობდა. ამ შემთხვევაში დამარცხებული მხარე განახლებდა: დღეს კარგი მოკრივე არ გვაყავდა, თორემ ვერ დაგვძლედათ. მეორე კვირას მაგრად დააქეთო, თქვენს ჯავრს მამინ ამოვიყრითო!

გამარჯვებულები ზოჯერ დაყინვით აღიზიანებდნენ მოწინააღმდეგეს. მახსოვს, ერთხელ გამარჯვებულმა ემტრიაშ, შიზაიამ და ცხრაფეხანთ სტაკეუამ მხარს მხარს გადასდეს ერთმანეთს და დამარცხებულების წინ გამომწვევი ვალიზიანებით-სამჯერ გაიარ-გამოიარეს: თუ ბიჭები ხართ, გამოდითო!



და, თუ მოხდებოდა, რომ აუცილებელ დამარცხების მომლოდინე მხარე უცხად თვალს მოკრავდა და საშედეგად მომავალ თავისი უბნის ზელად მოკრევეს, მხნეობა კვლავ უბრუნდებოდათ. მახსოვს, ერთხელ ავღაბრელები ჩავარდნენ ამ დღეში და უცხად მათ ამ უბნის ერთ-ერთი ზელადი სირქია კოლა მოეწვია. გამხმრებულმა ავღაბრელებმა ამხედრებულ დაძახეს: აა, ვეწველა! სირქია კოლა მოდიოს!

კრივის მიზანი არ იყო შერისძიება. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ახალგაზრდა მოკრივე რომელიმე ზუმბერაზ მოკრივეს სძლედა და თავ-პირდამტკრეული ზუმბერაზი, ასპარეზზე ახლად გამოსულ ახალგაზრდა მოკრივის წამყობით ვახარებელი, დავიწყებდა თავის პირად მარცხს, წრფელი გულით შეიყვარებდა იმ ახალგაზრდას და ყარაოდულად ერთს კარგად აქვიფებდა.

მაგრამ მინახავს შერისძიებისათვის გამართული კრივიც. ის უფრო ავი და გაუტანელი იყო. იმის სიავე რომ წარმოიდგინოთ, უნდა გქონდეს ნახუ-ლი ის ადგილი, სადაც კრივი იმართებოდა.

კრივი იმართებოდა ქალაქ გარეთ, მოხერხებულ და მოფარებულ ადგილას. მე ვესწრებოდი კრივის კრიკანთხევეში.

ჭირანთხევი მდებარეობს მახათას ქედის კალთაზე, არსენალის ახლოს, კვირაცხოვლის ეკლესიის გვერდით. ეს ხევი ვერცხლისბურთი ღრმა ადგილია, რომელსაც აქეთ-იქით დამტრეცი კალთები ასდევს. ამ კალთების მნახველს ამფითეატრი მოაგონდება. ხევის ბირას ოდნავ გაშლილი მოედანია, რომლის ზემო ნაწილი მთას აწყვდება და სოლიდით მოგაა შეჭრილი. ხოლო ქვემო ნაწილი ციფხად ეშვება ხრამში. კრივი ყოველთვის ხევის მოედანის ზემო ნაწილში იმართებოდა. ათასობით თავმოყრული მყურებელი კი ხევის კალთებზე, ამ თავისებურ ამფითეატრზე, გამწკრივებულიყვნენ და საკრივო მოედანს მაღლიდან ცხადად დასცქეროდნენ.

შერისძიებისათვის გამართული კრივის დროს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს შერისძიებულები მხარე მოედანის ზემო ნაწილიდან ქვემო ნაწილსაკენ დაირეკავდა. ხრამში ციფხად დაშვებულ ნაპირს მიაყენებდა და დასცხებდა გამორბეულად.

— შერადით, ხრამს მივადექით! — შესძახებდა ძელური მხარე, მაგრამ შერისძიებულები დაგიდევდნენ. დარტყმა კიდევ უფრო ხელდაეხობდა. ვაჟა ვადაჭრილი დამარცხებულები ცვიოდნენ ხრამში: ზოგი მკლავს მოიტყებდა, ზოგი ფეხს, ზოგიც სასიკვდილოდ დამავდებოდა.

ამგვარი ფათერაკიანი კრივი ათასში ერთხელ თუ გაიმართებოდა. დიდი კრივი ყოველთვის ქალაქგარეთ იმართებოდა საგანგებოდ ამისათვის ამორჩეულ მოკრამ და ფართო ხევი. ჩვეულებრივი კრივი კი თითქმის ყოველ საღამოს, განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეს იმართებოდა შიგ ქალაქში მოედნებზე, მაგალითად: საღაპროზე (ახლა ამ

მოედანს ზებულის მოედანი ჰქვია) და სხვაგან. კრივი ყველა მსურველს შეეძლო წინაწინააღმდეგობის მიღება.

**სეზონური**

დიდი კრივი იმართებოდა აღდგომის სწორზე, კვირაცხოვლობას, ანუ ახალ კვირას. ამ დღიდან მოკიდებული თითქმის ყოველ კვირათბით იმართებოდა იგი შემომდგომამდე. ნაშუადღევად დაღამებამდე გრძელდებოდა კრივი. მაგრამ ზოგჯერ მის დამთავრებას ვერ მოასწრებდნენ. ბინდი ვაპყრიდა მოკრივეებს. ამ შემთხვევაში კრივი ისევ გაგრძელდებოდა სხვა დროს და შედეგს ყველა გულის ტანცქალით მოლოდინად.

ცხოვლად ჩამრჩა ხსოვნაში უკანასკნელი კრივი. ის უკანასკნელი იყო ჩემთვის, რადგან მერტრუს-ხელმწიფემ უარში განიწვია და საკრივო ღრავი დაიშალა. მგონი საერთოდვე უკანასკნელი ან ერთი უკანასკნელიაგამი უნდა ყოფილიყო იგი, რადგან ეს სამოცდაათი წელიწადია, ქალაქში კრივი აღარ მსმენია. მოფრობამ მესამოცე წლებში აკრძალა კრივი და ქალაქის ბიჭები კანტორუნებადა თუ გამართავდნენ მაღულად ძველებურ კრივს. ბოლოს ესეც შეწყდა. კრივი სრულიად გადავარდა.

ჰოდა, აი, ის უკანასკნელი კრივი.

ჭირანთხევიში მოკრივეები მოკრავდნენ. ხევის კალთები მაყურებლებით დაიფარა. აქა-იქ თვალისერიის მოყვარული ქალაქიც გამოჩნდნენ. მიწელი ქალაქის ყმაწვილკაცობა აქა.

მეთაურები აქლემის ყვლისფერ ჩოხებში გამოეწყვნენ. ერთს მხარეზე დგანან ვერელები, მეორე მხარეზე — ავღაბრელები. ანწინახატელები ქუციელები და მოაწმიდელები ამათ შველიან ვინჯის, თანაგრძობის მიხედვით. ქვის მსროლელი დამხმარე ბიჭებიც მაღულად შერეულან მაყურებელთა ზღვაში.

იწყება კრივი.

მეთაურებს გამოჰყავთ ყმაწვილები, ასე 10-15 წლისანი, და უერ ამათ აჯობებენ ერთმანეთთან. აგერ 15-20 წლის გაბუციეც გამოვიდნენ ნარბიულზე. ამათ 20-30 წლიანებიც მოჰყვენ. მაყურებელი ყოინა დასცეს, ორსავე მხარეც აქეზებენ. გაჩაღდა კრივი.

— ქოშაგი! ქოშაგი! — მოისმა ორივე მებრძოლი მხრიდან.

და ზვიადი, ქედმაღალი მოკრივეები გულის ძეგროთ გადაეშენენ კრივში. ვახელდა კრივი, გულო, მხნედ იფაე თვალს, არ შეკრაბ! მზღლო, ამ შედრე!

— დადექ! დადექ! — მოისმის ორივე მხრიდან.

მოკრივეები დაუზოგავად, გამალებული იქნევენ მუშტებს. აგერ ერთმა თავდავიწყებით მოუწია მუშტი მეორეს, ჩაქრა გულის ფიცრის ბოლოში და წამხელ უგრძობლად მიწაზე ვაგაგრა. აგერ ამაყ მოკრივის მტოქე ძაბუნად უყენია, ჩაუგდა. ერთი მხრიდან რომ მუშტს შემოკრავს და წაბარბაყებს, მეორე მხრიდან ხელს მიაშველებს, რომ შეაკაგოს, და ასე აგუნდავებს. აი, ნაზრახი

სიციცხლე, ვისაც გაეგონიით, მოდიო და ნახეთ, რა ყოფილა. აგერ ქანცხილველი ახალგაზრდა მოკრივე ბრძოლის ველს ტოვებს თავჩაღუნული. კრივადან გასული აკრძალული როდღა, ვინც ვერ გაუძლებს, დაე, თავს უშველოს, ერთი წყა და სხვა მოვა, მხოლოდ კუდამოძებუელი მოკრივე სახულს და ღიღებს გამოთხოვოს! აგერ თავებირამტერული, დაბეგვილი მოკრივე ძალღონეს ეკრებს, ტოლამანაგებში შერცხვენას მას სიციცილი ურჩევია.

აგერ, მოკრივეები ერთმეორებს ასილაქებენ, რომ თვლი გაუტერონ მოწინააღმდეგებს და ამით თავის მუშტს გზა გაუკაფონ. თვლები დაფეთება, გამტერება მართლაც დიდად უწყობს ხელს მოკრივის გამარჯვებაში. აგერ კრიველი მოკრივე, შემთხვევით ქალაქის ბიჭებს სწევდა, ამ კრივში მოხვედრილა, ეტი გორულ ყაიდაზე მუშტსაც იქნებს და თან ტაშსაც უკრავს, ქალაქის კრივში ტაში არ იციან, ეს გორული ადამია.

უფრო და უფრო მწვედვება კრივი ვერელები, ეტყობა, სუსტდება. ავლაბრელები თანდათან იმარჯვებენ, ვერელების მომხრე ბიჭები ხევის მალღობზე შეუწინეველად შეეკუთვნდნენ. მზად არიან, შერდულები აგერ-აგერ ამოქმედდები.

— მიდი, დაჰკა, ვერელი! — აქუზებენ ერთმანეთს გათამამებული ავლაბრელები.

— მაგრად დადექ, თუ ბიჭი ხარ! — აჯავრებენ კიდევ დასუსტებულებს.

— არ შეტრბუბათ! — მოისმა მყისვე მალღობიდან მჭექარე ხმა და თვალის დახამხამებაში წარმოსადგო ვაჟკაცო ჭირიანთხევი შებავით ზავარდა.

— ემტრია ვერელი! ჩვენი ფაღავანი! — იგროალა ვერელების შიარემ.

ავლაბრელები შეკრთნენ. ვერელები გადადგულდნენ. მაყურებელი უფრო მკიდროდ შემოეკუთვნდნენ.

— დაჰკათ, ვერელებო! — იჭებო ფაღავანმა ემტრია. სიღები წავაო მუშტი მუშტზე! — ბრძანა. მუშტების ზავაუფი მაყურებელი გულების ზავაუფში აირია. გაყაზრდა კრივი, ვერელების ნაცვლად ახლა ავლაბრელების მომხრე ქვევის მსრაული ბიჭები არიან საშხადისში. გაუცყოებით ელაფებან, ჩაერიან ჯერ თუ ცოტა აყალიონ. არა-და ავლაბრელების გამარჯვება უკვე საეუბოა. გამარჯვების სასწორი ანკაბად ვერელებისაკენ

გადაახარა. ემტრიას მადლიანი მუშტი ავლაბრელებს მოკრივეებს ზალახსავით ცალკვდა. მაყურებლები მოკრივეებს თვალს ვეღარ უსწორებენ.

— უა, შენი ჭირიში! დახე, დელოც გაიტანა! — დასცეს ვერელებმა ყიყინა...

მაგრამ ამ დროს ავლაბრელების მომხრე ბიჭებმა მადლობიდან ვერელებს ქვეში სეტყვასავით დაუშინეს. ვერელები მიაწყ არ შედგნენ. ავლაბრელები ქვეშით ხრამისაკენ დაიორცეს.

— შეიკრდითი ეივართო! — შესძახა გამარჯვებით დამთვრალ ვერელებს ემტრია ვერელმა.

და დაპარცხებული ავლაბრელები შეირიგა. ბიჭი ჩამოწვა ჭირიანთხევიში. მოკრივეები დაიშალნენ. მაყურებელთაც თავ-თავის ზინებს მიასტერეს, ახლაც იგივე ბინდა ჩაწოლილი ჭირიანთხევიში. ყრუდ დარჩა იგი შიტოვებული. მხოლოდღა ნიაღვრებისაკენ ჩამონარეციხ ქვა და ღორღი შეაკედლებოდა მას.

— ვერელებმა სძლიეს, ვაჰა, ჩემმა მზეში! დახეთ, რა ყოფილა ემტრია ვერელი! — თქვა ვერელების თანამგარძნობმა დამსწრემ, როცა შინაიკენ გაემართა.

— ღმერთმა ვაჟკაცოს და გიპარემუმოს ი შენი ემტრია! ვერელებს ეს გამარჯვება დიდხანს არ შერჩებოთ. დღევანდელ კრივში სირტა კოლა არ იყო, არც კიდევ ღობომა. დღეისწორ კვირას დადეთი შენ და შენი ვერელები და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! — ელაფდა გზა-გზა ავლაბრელების თანამგარძნობი.

— ხან ავლაბრელები ემარცხებოთ, ხანაც ვერელები დავივარცხებოთ, მაგრამ ვერელ ემტრიას ავად ხსენება მიაწყ არ ვემართებს, ბიჭებო! სძლევ, თუ გძლევს — იგი მიინც ყობა-ცყო! — გამოუსარჩოდა ვერელს ავლაბრელი მჭედელი გოი.

— ჰო, ჰო, გატეხილ კოვზივით შენც ჩაუვარდი! უსაყვედურა გიოს ანისხატელმა დაბაღმა კუნთამ.

— ერთი შენა ხარ ტორტის ნაპერი! — მიუვო დაბაღს უყმახად გოი.

— ხმა გაყმანდე, შე სიყმემქრალი, თორემ ანისხატური მუშტი შექვეება! — დაემეტრა მჭედელს ვაწუა.

მაგრამ ამ გამანადგურებელი კრივის შემდეგ კიდევ აყლაშაყლის თავი ვისდა ექნებოდა. და დამომშინებული ქალაქის ბიჭები თავთავის ბინებში დაირგდნენ.

**ყენილა**

ძველად თბილისში და, საერთოდ, საქართველოს თითქმის ყოველ სოფელ-ქალაქში ერთი ისტორიული მნიშვნელობის სერი იყოღნენ — ყუენობა. ყუენობა ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ამოხრებულ ყუენთა ავად მოსაგონებლად იმართებოდა. თუ ერთ დროს ყუენის ძალადობით წყლნი მოხრილი ქართველობა მორჩილებით იხდებო ხარკს, შემდეგ გამარჯვებული ხალხის თვალში ყუენობის

ხანა ხასაცლიო, ვაჰართოთ თვალის სერიად გამოიხასხა. თითქმის უკანასკნელ წლებამდე, მსოფლიო ომის დაწყებამდე მართავდნენ თბილისის ქალაქის ბიჭები ყუენობის სერას.

ყუენობა იმართებოდა ყოველწლიურად დიდი მარტვის პირველ დღეს შავ ორშაბათს. წარმოდგენილი იყო ყუენის თვინებობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო სურათი — ხარკის აკრეფა.



შეე ორშაბათს ქალაქის ყველა უბანში გამოცხადდა საპამხულოდ ყვენი. ყველაზე უფრო მხიარულად ყვენობას უკანასკნელ წლებში ვერესა და შეე სოფელში აწყობდნენ. ამ ორ უბანში დარჩენილი ბებები მართავდნენ სვირს, დანარჩენ უბნებში კი მეტწილად წერილობითა გამოდიოდა.

გაფიცული ყვენობის მოქმედი პირნი, მათი უფლებანი-მოვალეობანი, მორთულ-მოკანშიშროება, სვირის მიმდინარეობა და მისი პოლო. ნიშნულად ავიღოთ ცოტად თუ ბევრად მდიდრულად მოწყობილი. მაგალითად, შავსოფლური ყვენობა.

ყვენობის მოქმედი პირნი იყვნენ: თავი და თავი ყვენი ა. შამიღვა — მუფთად დიდოფალი. მასი ამალი, ხაზინა დარი. იასაფლები. შიკრაქები. მეჯინიბე. მედროშემეხე. შუქა და მეზურნე-მედიდუქები. მთელ ამ სვირს კი ხათავეში უფლები და მის მოწყობას ხელმძღვანელობდნენ სვირის მოვარული ყარახოდლები — რამდენიმე მოთავე.

ყვენის წარმომდგენი პირი უნდა ყოფილიყო: ურცხვი, კადნიერი, მოსწრებელი ხატყვა-პასუხის. პირმაგარი მასხარა. მას თავისი ლაზდანიდრობით და პამხულობით სვირის სანახავედ მოსული საზოგადოება უნდა მოეხმობა. დიდიდან ხალაშიმდე გრძელდებოდა ყვენის დაუცხრომელი ყვედობა და ოინები, ამასობაში იგი ისე იქნაშობდა, რომ საღამო ხანს ხმა ჩაუწყებოდა და დაპარაკის ილაგასე კარგავდა. სვირის წარმატება და შემოსავლიანობა ყვენის მართვათსა და უნარია-ნიშნე იყო დამოკიდებული. უბნის ბებებში ასეთი თავზებდალბებული მასხარა ერთი მანც როგორ არ გამოურეოდა. და აი, ყვენადაც მას წინაგდნენ.

ყვენს გარდა, სვირში ორი წარჩინებული პირი მონაწილეობდა — მეფე-დედოფალი. ამით თითქმის არაერთარი მოვალეობა არ ეკისრებოდათ. გარტუნულად ვითომ ყვენი მუფის ნება-სურვილისა და ბრძანების ამსრულებლად ითვლებოდა, მაგრამ სინამდვილეში სვირის სული და გული, მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. მეფერბულთა თვადი მასკენ იყო მიპყრობილი. მეფე-დედოფალს სიწყინარე მართებდათ. მხოლოდ მეფე ბრძანებდა ხარკის შეწყობას, ერთიელ ნათქვამს შეორედ აღარ გამეორებდა, ჭავდაპერალი იყო, როგორც ვეგორვეთისასს შეპურეოდა. ყვენი გამოცხადებულა მას ბრძანებას და თავისებური ოხუნეობით სისრულეში მოიყვანდა. დედოფალი კი სულ ჩუმად იყო. დედოფლად ვინმე ბები იქნებოდა ვადამხული. ქალი ასეთ საპამხულო სვირში მონაწილეობას არ კადრულობდა.

როგორც ყვენი, ისე მეფე-დედოფალი ფეხით როდ დადიოდნენ. მათთვის ჰყავდათ ვირი ან აქლემი. მეტწილად კი — ვირი. აქლემი ხარფუხელებს უფრო გამოჰყავდათ, სადაც იგი ადვილად იმოყვებოდა. თუმცა ზოგჯერ სხვა უბნებსაც გამოეყვანათ.

ყვენი ან სწორად, ან კიდევ ზოგჯერ პირმეტყვე-

ლები იყდა ვირზე ისე, რომ პირი ყვენისავე პირი-და. მეფე-დედოფალი კი ჩვეულებრივად უსმენდნენ თავთავის ვირზე. ამგვარად, ყვენი ჩვეულებრივ ფაღს უმეტროდა.

ზოგჯერ ვირზე თუ აქლემზე ტახტრევანს დაუგამდნენ. ყვენსა და მეფე-დედოფალს წედ შეწყამდნენ და ასე ატარებდნენ. მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ყვენი ამაღლებულ ადგილას ტახტზე იყდა და ქურა-ქურა არ დადებოდა. ასედაც შეიმღებოდა და ისედაც.

ხარკის აკრფლავი საჭირო იყვნენ: იასაფლები და ხარკისადარი. იასაფლები ყვენის მიერ ამა თუ იმ კაცზე გაწერილ ხარკს პრეიდნენ. გადადიოდნენ ხალხში, აწერებდნენ გამედილ-გამომედილს და ყვენის განკარგულების თანახმად, ართვედნენ მათ ფულს. აკრფულ ხარკს მამინეე ხაზინადარს ჩააპარებდნენ. ხაზინადარი სვირის დასრულებამდე ინახავდა აკრფულ ფულს.

ყვენისა და მეფე-დედოფლის განკარგულებასი რამდენიმე შიკრაქი იყო. შიკრაქს ყვენის ან მეფის დანახარები კუთვნილებისამებრ უნდა გადაეცა და ცნობებისა და ამბების წამიღებ-წამომიღებად იმსახურებდნენ. შიკრაქებად მკვირცხელი და მარდი პაჭები ინიშნებოდნენ.

ყვენს თან ახლდა თავისი მეჯინიბე, რომელსაც ყვენის ვირის სადავე ეჭირა ხელთ. ეტყოდნენ. წადიო. მეჯინიბეს ვირი უნდა წაყვანა ლაგამით, ეტყოდნენ — დადექო. მეჯინიბეს ვირი უნდა დაყენებინა. სხვა არა ჰქონდა რა მას გასაკეთებელი და საზრუნავი.

მეფე-დედოფალს მხარს უმშვენიებდა ამალი. ამალი ქალაქის ბებებებისაგან იყო შემდგარი.

სვირს ერთი კაცი ბუკით ან საყვირით მისდევდა. მეზუე დროდადრო დაუკრავდა თავის საყრავს და ამით ხალხის ყურადღებას იქცევდა.

სვირს ახლდა აგრეთვე ზურნა და დედუკი. პაქნი ზოგჯერ დრომაც ფრიალებდა.

სვირის მონაწილეობა ასე იყვნენ ვაწყარებებულნი: წინ მიდიოდა ვირზე პირმეტყვეთ მედროშარე ყვენი, მისი ვირი მეჯინიბეს მანყავდა, ყვენს გვერდით მისდევდა ხაზინადარი, ყვენის პირისპირ ვირზეზე ისმდნენ მეფე-დედოფალი, მათ ფეხდაფეხ მისდევდა ამალი. იასაფლები და შიკრაქები ხან აქეთ მოდიოდნენ, ხან იქით, უსაქმოდ ვირებულთ მათ იშვიათად ნახავდით.

ყვენობის მოქმედი პირთა მოკანშიშროება მეტისმეტად სასაყლო იყო.

ყვენს ვირზე უყვლმა უდომა არ აკმარეს, პირისავე მურით ჰქონდა მოიხებუნელი. ტანთ ემოსა იქველი პრელებელი ძონძები, ქუდად ქურა თავი შექრის შესახვევი წოწოდა ქაღალდი. ფეხთ ეცვა მაღალი ქუხლებიანი თათრული ქოშები. ყველს უმშვენიებდა ძაღლის დანახველი უაჭეო. საათის ნაცვლად, ვაქსის გახერტილი კოლოფი ეკოდა, მანცხენა ხელში, ვითომ დავთარაიო, რამე შეე მოგროძო ყდა ეჭირა. მარჯვენა ხელში კი, ვითომდა კალმისტარაიო, თვემოწონებდ ეპყრა ინდოურის





ან ზეტის გამზნარი ფეხი, ზოგჯერ — ფრთა. მე-  
 ლანი ხომ უცნაურ ადგილას იყო, ვითომ, შენახუ-  
 ლი... უცაყრავად პასუხია... ვირის კედის ძირას.  
 როცა კეივი აკრეფილი ხარკის დავთარში ჩაწე-  
 რას მოიწადინებდა, ასწევდა ვირის კედს, კედლის  
 ძირას „საწერელში“ ჩააწებდა უცნაურ „კალმის-  
 ტარს“ და დავთარში ამხფად გაუსვ-გამოიწებდა.  
 თუ ყვენი ტანტრეფანზე იჯდა და კედის ძირს  
 ხელით ვერ დასწვდებოდა, მაშინ ხაზინადარი ჩა-  
 წებდა „კალმისტარს“ „საწერელში“ და ისე მიარ-  
 თმვდა ყვესს.

მეფე-დედოფალსაც სამხსახრო ტანისამოსი ეც-  
 ვა. მეფის წიწყა კედზე (ძველებური ყაადის  
 ქედია, წიწყოლა, მაღალი ბოხონის ქედი, ქალა-  
 კის ზიქვას ოხუნჯობით წიწყა-ქედს ეძახოდნენ.  
 ახლა აღარ იხმარება) ჩამოცმული ჰქონდა გვირ-  
 გვინი. დედოფალსაც გვირგვინი ედგა თავს. ფეხთ  
 ამხათც ქოშინი ეცვავა.

ხაზინადარს შავი სასაცილო ტანისამოსი ეცვა.  
 ზემოდან ხალათი ჰქონდა გადაცმული, ქედათაც  
 თავიშაქრის შესახვევი წიწყოლა ქაღალდი ჰქონდა  
 ჩამოფხატული. ხაზინადარს წელზე ჩამოკიდებული  
 ჰქონდა ხელსახოცი ორი წვერით, ხელსახოცის  
 ორი თაყისფალი წვერი კი ხელში ეჭირა და ია-  
 სადულების მიერ აკრეფილ ხარკს ამ ხელსახოცში  
 ყრიდა.

იასადლებიც სასაცილოდ იყვნენ მიორთული. ვა-  
 ნიერი შარვლის ცალი ტოტი ჩამწვეული ჰქონდათ.  
 ჰურანგის ამარა დადიოდნენ.

ზოგჯერ მედროშე, ნებეყე და მეზურნეებიც სა-  
 საცილოდ იყვნენ გამოწყობილი.

ამაღა მოკაზმული იყო დაეანგული თოფ-იარა-  
 ლი, დამტვრეული ხმლებით, ცარიელი ქარქაშე-  
 შით. ეს ნაყარნუყარი იარაღები სამჭედლოებიდან  
 ან მებანჯღლების სახელოსნოებიდან გამოჰქონდათ.  
 სასაცილო ძველი ძონძები, ტრეღებური ტანისა-  
 მისიხეც ყვენობის მოთავეებს ქირით გამოჰქონ-  
 დათ ძველი ტანისამოსის მოფარებების დუქნები-  
 დან.

ვირი იქნებოდა თუ აქლემი, ისიც სასაცილოდ  
 იყო მიორთული. ზურგზე დაგდებული ფარდავი  
 ჰქონდა გადაფარებული, ყელზე, ზარის ნაცვლად,  
 მარგამოფარდნილი ქვაბი ეკიდა, ზარის ენის მა-  
 ვიკრობას ეწყოლა ქვაბში ჩამოკიდებული აგური  
 ან ქვა. ამგევი ზარს უცნაური ტყაპ-ტყუბი გაუ-  
 დიოდა. საღავეები და მოსართავი დაკვანძული  
 თოკებისა ან ერთიმეორეზე გადახმულ ფალასის  
 ნაგლეჯებისაგან ჰქონდა ვაწყობილი.

მიორთულ-მოკაზმულობის მრავალფეროვნება,  
 ცხადია, იმაზე იყო დამოკიდებული — გაიღებდნენ  
 თუ არა ამისათვის საჭირო თანხას ყვენობის მო-  
 თავეები. კიდევ ამიტომ ყველაზე უფრო სასაცი-  
 ლოდ ყვენობას იმ უბნებში მართავდნენ, სადაც  
 შეძლებული ფარაოილელები ცხოვრობდნენ.

ყვენობის მოქმედ პირთ ყოყინთა და ქრიაშუ-  
 ლით მისდევდა ქალაქის წყარალეხობა. მასურბე-  
 ბელი საზოგადოება მეტწილად გამწვლელ-გამომ-

ვლელთაგან შედგებოდა. თუმცა ზოგნი განსაკუ-  
 თრებით ყვენობის სანახავად გამოდიოდნენ თუ-  
 ხებიდან. ყველაზე უფრო ზღონდა, ჩაღწევი  
 ედებებზე იყრიდა თავს.

ქალაქის ერთი ბოლოდან — ვერედან გამოსული  
 ყვენი ქალაქის მეორე ბოლოდან — შავ-სოფლიდან  
 გამოსულ ყვესს შეხედებოდა აელაბრის მოედანზე.  
 შეხედდრის დროს მათ შორის ჩამოფარდებოდა მო-  
 წვენებითი ჩხუბი და დავა. მაგრამ ეს განზრახ  
 იყო ასე მოწყობილი. შომაველი მოდავეებს მო-  
 არიგებდა, ყვენი მიილაპარაკებდნენ და მეფე-  
 დედოფლის თანხმობით დაზავდებოდნენ. ამის შე-  
 დევი ის იყო, რომ ორივე მხარე გაერთიანდებო-  
 და, აკრეფილ ფულს ერთად დააგროვებდნენ, ამო-  
 ირჩევდნენ ქალაქგარეთ საქიეფო ადგილს და და-  
 ნიშნულ დროს იქ მოიყრიდნენ თავს.

დანარჩენი უბნებიდან გამოსული ყვენები კი  
 შეხედვდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მათთან ვერ მო-  
 რჩებოდნენ და მძლეური ყვენები სუსტებს და-  
 მორჩილებდნენ. აკრეფულ ფულს წაართმევდნენ  
 და მიითვისებდნენ.

ყვენობის მსვლელობა საზოგადოებას, მეტადრე  
 ქალაქის ზიქვებს, ძალიან ართობდა. საყვირი, ზურ-  
 ნა, ყვენობის ოხუნჯობა, სხვა მონაწილეების დაზ-  
 ლანდარობა, ადვენებული ბიჭუტუების ქრიაშული,  
 მასურბელობა ყვირია — ყოველივე ეს აღემატე-  
 და დღიური შრომით მოღალელ უბნებს, ქერებს,  
 მოედნებს.

— ყვენი მოზრძანდება! ყვენი მოზრძანდება! —  
 გაიხმოდა აქეთ-იქიდან.

საყვირის ხმაზე და ზურნის ჰიქვიანზე ხალხი  
 ქუჩაში გამოიფინებოდა.

— ხალხში! სუნა იყოს გაგონება! — იტყოდა  
 მასხარა ყვენი.

ხალხიც სულს განაპავდა.

— მეფემ ბრძანა, — განაცხადებდა ყვენი, —  
 გიორგას ხელი წლის ხარკი აქვს ვადუხდელი.  
 თუმცა უნდა გადაიხადოს.

ამ სიტუაზე იასადლები გადაელობოდნენ გი-  
 ორგას და მოსთხოვდნენ შეწერილ ხარკს — ათას  
 თუმანს. გიორგა ამოიღებდა, ეთქვათ, ერთ აბაზს  
 და ზანტად მისცემდა იასადლს. იასადელი აბაზიანს  
 ხაზინადარს გადასცემდა.

— რამდენ შემოგვარია? — ჰკითხავდა ყვენი  
 ხაზინადარს.

— აბაზი! — იყო პასუხი.

— მა, რა ხეირს უნდა გამოელოდე კაცი მა-  
 გისაგან, ვერა ხედავ. ზუთი ჩამოსდის სახეზე! —  
 იტყოდა ყვენი, აწვევდა ვირის კედს, ჩააწებდა  
 „საწერელში“ „კალმისტარს“ და შემოსულ  
 ხარკს ვითომ ჩაინიშნავდა „დაეთარში“. კედის  
 აწვევაზე ქალები თვალზე ხელს მიიფარებდნენ,  
 ბიჭები კი გემრიელად გადაიხარხარებდნენ.

ახლა ყვენი სხვას შეაწყრდა ხარკს, თანახმად  
 მეფის ბრძანებისა. უფრო მეტად ნაცნობებზე  
 იფარში მიჰქონდა, თუმცა ყველა გამწვლელ-გამომ-  
 ვლელს მორჩიდებლად მიმართავდნენ. ძუნწი მო-



ქალაქე ყვენის დანახვაზე ბუღუნით გამოირდებოდა იქაურობის და თუნდაც ვხა გამორუდებოდა, სადმე მახლობელ ქუჩაში გადაუხვევდა.

ყვენი იშვით შემობხვევაში თუ შედიოდა ეზოებში. საერთოდ კი, კარდაქარ არ დადიოდა, ქუჩებსა და მოედნებზე კარბოდა, მგზავრებსაც აწერებდა და ბეგრავდა ასი და ათასი თუმნობით. დამტვრელები კი იხდებდნენ ათასების მავიერ თითოთოროლა კაბაც ან აბაზს, ზოგჯერ მანეთიანებიც ცვიოდა ხაზინადარის ზღუსახოცში.

გარკეოდ ველსაც ვააჩერებდა ყვენი და, ვინც უნდა მგდარიყო შიგ, მინც დაბეგრავდა, ისიც უნდოდა თუ არა, თავი რომ არ შეერცხვინა, იძულებული იყო, გაიბეზე ხელი გაესვს.

— ააშენოს! გაუშვიო, საგანოდ შეტს მოგვეცეს! — დაძახებდა ყვენი და თავმოწონინედ „დაუთრისაკენ“ წაიღებდა „კალმისტარს“.

— უპ, შენი ჯიბის ბარაკა... რამდენს ველოდი და რა მოგვეცა! — გააჯერდებოდა ყვენი, თუ ძენწი ვინმე შეხვდებოდა და ფულს ვერ გაიმეტებდა. სირაჯები კი ცდილობდნენ ყვენის გულის მოგებას და ათ შატრს, ან მანეთს მისცემდნენ, ვინცლო გახარებულ ყვენს მის სირაჯხანაში დაუხარჯა ყვენობაში აკრეფილი ფული.

ზოგჯერ მოედანზე თავმოყრილ ხალხს ამაღლის ბიჭუტები თავისებური დაზღანდარობით ართობდნენ: სანაგავეებიდან ამოთრეული მკედარი ქათმები საგანგებოდ ქქონდათ დაგროვილი, ამ მკედარ ქათმებს ვაბუტებდნენ და ზუსტულს ხალხს შეაყრიდნენ. უნდა გენახათ სუფთად გამოწყობილი მავურებულების წიოკობა, ზუნხული რომ ტანზე აცვიდებოდათ. სიცილ-ხარხარი და ყუინა ამ დროს ერთი ორად იმატებდა, მოედანზე იოდდნენ აგრეთვე ცეკვა-თამაში, მღერა, ანეგდოტების თქმა და სხვა ამისთანა გართობა, მაგრამ ეს ყოველთვის კი არა. მოედანზე თავმოყრილ ხალხს იასაულები შეეყიოდნენ ყოველი მხრიდან და ყვენის გონებაშახვილობა, მოსწრებული სიტ-

ყვა-პასუხი და ოხუნჯობაც გაორკვედებოდა, ასე რომ აქ რაც შეიძლება მეტ ფულს დასცავდადნენ მავურებულებს.

### გეზულისეობა

კარგად, ურცხვად და მოურიდებლად მოწყობილ ყვენობაში ყვენი მო-ოყდათ თუმნამდე შევატოვებდა, ყვენობის მოთავეები ამ თანხიდან გაისტუმრებდნენ დაქირავებულ ბიჭებს. — ამაღლის ბიჭ-ბუტები, შიკრიკები და იასაულები, მეტეკე მედროშე, მეზურნე-მედლეუკები, მეჯინიბე მთელი დღით ჰყავდათ დაქირავებული, — რას შემდეგაც ყვენები, მეფუ-დედოფალი, ხაზინადარი და ყვენობის მოთავეები თავის მშაბუტებთან ერთად პავნას დასდებდნენ, რომ ქალაქკრები სადმე მყუდრო ადგილას, მაგალითად, ორთაქალაში ან ყურის ბაღებში არხვინად დრო გაეტარებინათ.

ყვენობის დასასრულს მონაწილეები გაიხდიდნენ ძინებებს, მიიწმინდნენ მურს პირისახეზე და საკუთვოდ გაუმგზავრებოდნენ.

— ეს ღმერთმა, იცით, ბიჭებო, ვის გაუნარჯოს? — დაიწყებდა ღიბიანი თამადა, რომელსაც ცხვირზე ეტყობოდა, რომ ჭიბი ტრეკებში ჰქონდა მოჭრალი, — იმას, ვინცა რომა ორშაბათ დღეს დილადრიან ადგეს, ზელ-პირი ღამზად დაიბანოს, წაღმა დატრიალდეს, წავიდეს სამშაოდ, შაბათ-საღამომდე მწყაითად იმუშაოს, შაბათ საღამოს კი აღებული ფული სულ მშა ბიჭებში შასტამოს, ისე რომ შეორე ორშაბათს პირნათლად შეხვდეს, და ეგ დარდიმანლობა არც ინანოს და არც არავინ დააყვედროს!

— ამ სადღეგრძელოს სხეაც ზეერი მოსყვებოდა. ცოცხლებიდან მვედრებზე გადაიანაცლებდნენ და, ვინ მოთელის, რამდენი ხელადა ღვინო შეისმებოდა, რამდენი ჭათამი წაიყრონქუბოდა, რამდენი ქორფა მწუნალი შეისანსლეობოდა, ყარაო-ღული ქეიფი, ყველას თუ არა, ზოგს მინც გაგვეგონებოთ, აქაც ასეთი ქეიფი იმართებოდა.

### ყობარი

შემოდგომის საამერი დღეა, საღაპობს მიდამოში ყობარბაზები სათათბიროდ შეკრებილან და ბჭობის საგანს პირიდან პირში აბურთავებენ.

— დაშავა, ქორფა, რა მოვისაზრე: მამუკანთ ოჯახში დღეს ქორწილია, იქ გული საველეს გვექნება, — გაარღვია რკალი ვრთმა, რომელსაც შეტსახებლად ზორბას ეძახოდნენ.

— ზორბა აზრი თქვა ზორბამ! — მოუწონა ჩოფურა ვანობ. — მზიარული ოჯახის ეზო-გარემოში პოლიციელი, კიდევ რომ შეგენიწნოს, ფეხს ვერ დაადგამს.

— პო, თორემ გვედენიან ეგ არამზადები. გუშინაც თავს წამოგვადნენ, გაფურთხობთ და ისე მოექტსლეთ. ფულის აკრეფაც ვერ მოვასწარიოთ, იმთა საქბილოდ დატტვეთ თავინც და მოგებაც. — დაადისტურა მუშტამ.

ყობარბაზებმა მზიარულ ოჯახს ნიაშურეს.

— ყრუ კედლის უკან მყდროა ადგილია, სუფთა და მშრალი. — თქვა ზორბამ და მოთამაშებებიც მას აუღვევენ კვალში.

— აფსუბ, რა ადგილია და მე კი დღემდე ვერ მოხვინობი. — ტამი შენოპკრა მუშტამ, ქუდი ქუფისაკენ გადააგდო და იქვე მარდად ყობარბაზელად დაყუდა: მარჯვენა მუხლით მიწას დახეჯინა, მარცხენა ფეხი მუხლში მოიკცა, წვივამაროული დაადგა ამ ფეხის ტურფი მიწაზე და სათამაშოდ გაეპურა. დანარჩენებიც — ზორბა, ქორფა და ჩოფურა მას მოსყვნენ, წრიულად დალაგდნენ და ყობარბაზელად დაყუდდნენ.

— ეინც უფულოა და არ თამაშობს, შორიანული მშვერავად დადგეს, ადგილი მუედროა, მაგრამ, მინც ვინ იცის — რას ჭამს ეშმაკი, არავინ მოგვანოს! — თქვა ჩოფურამ.

— მე ვიღარაგებთ, ბიჭებო! — თავს იღო ეს მოვალეობა ცალფედალი მიხომ.

— ოღონდ ერთგულად გვიდარაგე და შენი ამუხანა ჩვენს სინდისზე იყოს. — შეპირდნენ აქეთ იქიდან.

— კოშკები ვინაი სადაა კოშკები! — მოკითხეს კოშკები.

— აგურ კოშკები! — გაისევა ხელი ცაცია მიტრომ და გულუკიბიდან ოთხი ღაზათიანი კოჭი მოუდნის შუა წრეში დაყარა.

— გაუმარჯოს ცაცია მიტრო მაროშათიანი ბიჭია! ნახე, რა კოშკებია, ქარგავა, ქარგავი ღამის გადაყვლაზე. უპ, შენ საღეთოს ვენაცვალე! — ცეცხლად მოითმინა მუშტამ და ჯინმორეულმა კოშკები სათითაოდ ჩაკოცნა.

— ხელი უშვი! — დაკრა მაჯაზე ზორბამ და კოშკები გააშეშინა.

— უკრ ყოშარი არ დაფანებულა, არც წილა გვიყარია, დაედოთ პირობა — ჯანი რა ფანაინი იყოს.

— აბაზიანი!  
— ათშაურბანი!  
— მანეთიანი!

აბაზურდნენ ყოშარბაზები.  
შეთანხმდნენ, რომ ჯანი პირველად აბაზიანი იყოს, და რაცა ვახურდებიან შერე უმჯობრ.

— ყავანი გვყავს ცაცია მიტრო, კოშკების პატრონი. ის უფულაა და უინტერესო. ახლა კი დავიწყეთ, მხოლოდ გაფრთხილებთ — ნუცენა არ იყოს, ოინებს ვფრთხილოთ, მამ, ეგრე!

გამოვარცხით — პირველად ამყრელი ვინ არის. ჩამორიგებს კოშკები, თითო მათგანმა თითო კოჭი აიღო, წილი წარეს კოჭი ააგდეს. კოჭი მუშტამ დაუყდა.

— ჭირამში! პირველი აყრა ჩემია! — გაიხარა მუშტამ. — მამ, ზორბა დამიქო! შენზე მოვდივარ!

— პო, პო ვაივო! მურეულა პყარე, კარგად მოხანულ კოშკები! — არ უსვენებდა ზორბა მუშტამ. — შენებურად არ ჩანეყო, თორემ ვახსოვდეს, ნება მაქვს, ათჯერ გაგიტეხო, აგრეთ კოშკები.

— აბა, შეშეკარ! — უთხრა გაუბედავად მუშტამ ზორბას და რაც უბიბიდან ერთ ამოღებულზე ფული ამოვდა, სულ წინ დაიდო. — სამ-სამი მანეთი შევკარი თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ! მიუგო ზორბამ და თავის მხრივაც ფული წინ დაიდო — მიდი, პყარე!

მუშტამ სათამაშო არეზე კოშკებს თავი მოუყარა, ხუთივე თითი სახსრებში მოღუნა, კოშკებს ხელი გადააფარა, მიწაზე გაუსე-გამოუსევა, თითქოს ფრჩხილებით მიწას ქექდა, არიგ-დარია, მოხიბლა კოშკები, შემდეგ მორეული კოშკები მუშტამ მოივლო, ააწია ხელი მაღლა ისე, რომ ხელის ზურგი წინასაკენ წიაჭყია, მოხრილი თითები კი მისკენ და სასოებით მიმართა კოშკებს: — აბა, კოჭო-ჯანი, დამთავრე შენი საღეთოს კირიმი! — და ამ სიტყვებით უცებ კოშკებს ხელი გაუშვა — აყარა კოშკები და ელვის სისწრაფით ამყრელი მარჯვენა

გამოვლად მარცხენა ფეხის წვივზე შეიანად შემოიკრა, თანაც დასტყვალა: ჩემი კოშკები კოშკებს მოვება ჩაუთქვა.

ყველამ გულისტანცქალით დაამტვრა თვალა აყრილ კოშკებს.

— უპ, შენი მამგონი ღვლი-მეყუნენი იმიხი სულ! — გაუჯარდა მუშტამ კოშკებს, რა დაინახა, რომ კოშკები წაგებთ მოიფანა.

— ჯერი ჩემია! — გააწყვეტინა ზორბამ და კოშკებს ხახულა დაუწყო.

თბილისში ძველად ქალაქის ბიჭების მთავარი აზარტული თამაში იყო კოშკების თამაშობის ერთი ერთი სახე — ყოშარბა.

ყოშარბის მოთამაშეს ხახულად ყოშარბაზი ერქვა. თამაშის მეთაურს კი ყავანი, კოშკები ყავანისა იყო და იგი ნომრებს კოშკების ჭირას ახდევინებდა. კოშკები ჯიბეში ყველას ეწყო, მაგრამ მოთამაშეს თავისი საკუთარი კოშკებით ვერ გამოუშვებდნენ, რადგან მას თავისი კოშკების ავანა-ეანი კარგად ესმოდა და შეეძლო ისე მოეყვანა აყრის დროს კოშკები, რთველდნენ მისთვის სასარგებლო ღრესებოდა, ყავანად ირრედდნენ უფულოს და, მამსადაძვე, ისეთს, რომელიც კოჭის ფრამი არ მონაწილეობდა, ამიტომაც მისი კოშკები ყველასათვის მისაღები იყო. ყავანს აჯილდოებდა მომგები ყოშარბაზე ყოველ მოგებულ ხელზე დაჯილდოებულს გამოხატავდნენ სიტყვით — აშენეპ, ორი ხელი რომ მოიგო ყოშარბაზმა, მესამე ხელზე უკვე ამინება უნდა უბოძოს ყავანს, ჯილდოს რაოდენობა განისაზღვრება მესამე ხელზე მოგებულ თანხის ერთი მესამედით. ამ მესამე ხელის შემდეგ რამდენჯერაც ვინდა მოიგოს ყოშარბაზმა, იმდენჯერვე უნდა ააშენოს ყავანი, ყოველ მოგებულზე მოგებულ თანხის ერთი მესამედით. ამგვარად, ყავანისათვის მოთამაშეთა არც ერთი ხელი გამყდარი არ არის, ცხადია, ყოველ ხელზე ერთი მოიგებს, მეორე წააგებს, ეთხოხოს წამგებმა, თორემ ყავანს რას კარგავს — მომგებისაგან იგი თავისას მაინც აიღებს, სწორად მოგებულები მონაგებ თანხას რომ დაითვლიდნენ და ფული ცოტა აღმოჩნდებოდა, წაგებულები გაოცდებოდნენ: ვა, ე ფული კი წაგავო და მა ვის ხელში დაკარგვდაო, ყავანი რჩებოდა ზოგჯერ ყველაზე უფრო მოგებულად, რადგან მას თამაშის ერთ ერთი ხელი არ უფლებოდა. იყო შემთხვევა — მომგები ყავანს დაეიწყებოდა გახელებული თამაშის დროს, ან იქნებ განზრახვაც მოიყრებოდა ყურს, მოგებულ თანხაში მოზარდ ვის რად ეპიტნაგება, ნამეტურ, ცოტა არ იყოს, თუ მოიძუნწებ კიდევ და გული ხარბი გაქვს, გაუმადლარო, მამანი ყავანი ფხიზლობდა და თავის დროზე მოაკონუნებდა მომგებს მას მოვალეობას თავაზიანი მიმართვით:

— აშენება ყავანს!  
მომგებოც უბოძებდა ყავანს თავის ხვედრს და ეტყოდა:  
— აგამენოს!  
— თუ ყოშარბაზმა ორი ხელი მოიგო, მესამე კი



წავა, იგი ყავარისათვის ჯილდოს ვეღარ გაიმეტებდა, მაგრამ ყავარს შევუძლებოდა სირცხვილ-ნამუსზე მივგდო ასეთი მოთამაშე:

— რაო, მე მოთამაშე არა ვყოფილარ? მე ფული არ წამიგია? მესამე ხელი მართალია წააგე, მაგრამ ორი ხელისა მინც წამოდი!

ამ შემთხვევაშია ყომარბაში ყავარს აუშენებლად ვერ დატოვებდა, მხოლოდ ახლა უფრო ცოტას უზოქებდა მას. თუ ყომარბაში მარტო ერთ ხელს მოვებდა, მეტს არა, ყავარს არადერი ერგებოდა.

თუ მომხდები ყავარს სრულიად მივიწყებდა და აშენებს არ უზოქებდა, ყავარი გაჯერდებოდა. აურედა კოჭებს და ვანზე გადაუყრდა, მაგრამ ასეთი შემთხვევა არც ისე ხშირი მოვლენა იყო. ძუნწ მოთამაშეს ყომარბაზე ბილისაც არ გააკარებდნენ და, თუ მინც გამორეოდა მათ შორის ასეთი და თამაშში უსამოვნებს დათესდა, მას ცემით ვახეთქავდნენ.

ყავარი რომ თანხას დააგროვებდა, მას ნება ჰქონდა ყავარობიდან ვადამდგარიყო და თავი მოთამაშედ გამოეცხადებინა ამ სიტყვებით:

— შევ უნდა ვყარო!

მაშინ ყავარად სხვას აირჩევდნენ, ისევ უფულოს. ამ დროს ყავარობას მოითხოვდა ის ყომარბაში, რომელსაც თამაშში ხეირი არ უნახავს, იგი წამოდგებოდა და იტყოდა:

— სულ დამავადიერეს, აბა ახლა ჩემი რიგია ყავარობა!

თუ ყველასათვის ამჟამა იქნებოდა ამ ყომარბაზის განცხადების სასწორე, თუ მის სიმართლემ იქვე არავის ეპარებოდა, ყავარობაზე უარს არ ეტყოდნენ. საერთოდ კი, ყომარბაზის განცხადებებს — დამაკარგილესო, ყველა სიფრთხილით ეცილებოდა — თვალს არ გვხვებდეს, დიდი მოგება არ ჰქონდეს დაგროვილი და გაპარავს არ უნდოდესო. მართლაც ყოფილა ასეთი შემთხვევა: მოგებული ყომარბაში, აქაო-და, რაც მომიგია, ისევ არ წავეგოო, თამაშიდან გასვლას მოინდომებდა. ზოგჯერ იგი ამ მიზნით ონსაც მიმართავდა — კაცი ეყოლებოდა დარიგებული, რომელსაც მოგებულ ფულს სხვებისათვის შეუმჩველად აძლევდა, გადაბარებდა, როცა სამ-ოთხ ან მეტშია თამაში, რას გაიგებ, ვის ხელშია ფული, ისიც ადგებოდა, სახელობას და ვიზე-უბეს დაბერტყავდა და განცხადებდა:

— აღარაა ფული, დამაკარგილეს!

თუ დავთანხმებოდნენ, თამაშიდან შვილობით გავიდოდა, და, თუ ონს შეატყობდნენ, არ გაუშვებდნენ. ხშირად ამ დროს ყომარბაზე იკმულეობოდნენ ერთმანეთს, ჩაგარდებოდა მათ შორის ჩხუბი, ცემის არ სჯერდებოდნენ და დატრიალდებოდა დანა, ბეჭუთი, რაოდენ ამიტომ დევნიდა ყომარბის თამაშს აღმინისტრაცია.

ორ მოთამაშეს შორის ერთ-ერთის განცხადებებს — აღარ მინდა თამაშიო, ძალა არ ჰქონდა, თამაშიდან გასვლა ასე ადვილი როდია, ან დუ-

ბე-დუბე უნდა მოვუო მოპირდაპირეს, ე. ი. ისე რომ არადერი შეარჩინო, სულ დასტყობდეს მამინ ხომ თვითონ გავეტყუეა კიდე, მანც წაგო და დაკარგილდე, თამაშიდან ისე ვერ გახვალ, ერთადერთ ყავარას აქვს ნება, როცა სურს ადგეს და წაივდეს, თუნდაც ერთი ხელის მოგებით აშენდეს, ვინდა ასე ხელით, ეს მისი ნებაა. ამგვარად, ყავარი თამაშის დროს შეიძლება შევკვლიყო მისი სურვილის მიხედვით.

ფულის მოგების ინტერესით ყომარბაში ზოგჯერ ყველაფერზე ხელს აიღებდა, ზოგი პერანგის ამპარს რჩებოდა; თამაშში წააგებდა ქამარს, საათს, მჭერს და ტანისამოსსაც კი.

— ყომარბი ქარებივით ძვალში ჩამჯდარი ავადმყოფობაა, ერთხელ შეჩვეულმა ყომარბაზმა არ შეიძლება ყომარი არ ითამაშოს! — დამაჯერებელი კილოთი ვეტყვის ყომარბის მსახველი და მოდი, ყომარბაზს ვაუბტყუნე — ანთებული თვალე-ბით რომ დასტრიალებს კოჭებს, დედაც და შვილაც და წაგების შემთხვევაში ორ-სამ და თითქმის ექვს სართულიან განებასაც კადრულობს: უკ, შენი სადელი! უკ, შენი დამკვლელის მარჯვენა! უკ, შენი გამამხერვლი კბილები! და სხვა ათასი.

ყომარბის ოთხი კოჭით თამაშობდნენ, კოჭები ცხვარსაა, ოთხზე ორი აუცილებლად მარჯვენა ფეხისაა, ორიც მარცხენა ფეხის, სხვანაირად არ შეიძლება.

აყრილი კოჭები ზოგი ჯდება, ზოგაც წვება. ჯდება ან ჩუ და თოხანი, წვებოდა კოჭი და თაფი. აღწუ დამჯდარი კოჭის ოდრო-ჩოლორ მხარეა, თოხანი კი შრტყელი; კოჭი დაწოლილი კოჭის ამორჩეული მხარეა, თაფი კი ამორჩეული.

მოგება ან თუ აყრილი კოჭები ასეთ სურათს გვაძლევს: ოთხზე აღწუ, ოთხზე თოხანი, ოთხში სამი აღწუ, ოთხში ორი აღწუ, ოთხში სამი თოხანი, ოთხში ორი თოხანი, ოთხზე კოჭი, ოთხზე თაფი, ოთხში ერთი აღწუ და სამი კოჭი, ოთხში ერთი თოხანი და სამი თაფი.

ამათი შეტსახებუბია:

ოთხზე აღწუ	ჩუ ქ შ ი,	ანუ	ოთხი	ჯანი			
ოთხზე თოხანი				ივრე			
ოთხში სამი აღწუ			სამი	ჯანი			
ოთხში სამი თოხანი				ივრე			
ოთხში ორი აღწუ			ორი	ჯანი			
ოთხში ორი თოხანი				ივრე			
ოთხზე კოჭი		ლუხი	ანუ	ერთი	ჯანი		
ოთხზე თაფი				ივრე			
ოთხში ერთი აღწუ და სამი კოჭი				კოჭა-აღწუ	ანუ	ერთი	ჯანი

ოთხში ერთი თოხანი და სამი თაფი... თაფი-ოთხანი ანუ ერთი ჯანი.

წაგება ანუ აყრილი კოჭები ასეთ სურათს გვაძლევს: ოთხში ერთი თოხანი და ერთი აღწუ, ოთხში ორი თოხანი და ერთი აღწუ, ოთხში ორი აღწუ და ერთი თოხანი, ოთხში ერთი აღწუ და სამი თაფი, ოთხში ერთი თოხანი და სამი კოჭი.

ოთხში სამი ალბუ და ერთი თოხანი, ოთხში, სამი თოხანი და ერთი ალბუ.

არც მოგვებაა და არც წაგება: ოთხში ორი თაფი და ორი ქიკი, ოთხში სამი თაფი და ერთი ქიკი, ოთხში სამი ქიკი და ერთი თაფი. ამ შემთხვევაში ამყრელი ხელს არ კარგავს, იგი გამორჩებით ასყრის კოტებს, რომ ან მოივოს, ან წაავოს.

თამაში იმით იწყება, რომ შეთანხმდებიან, რა ფასიანი იქნება ყომარის ერთი ჯანი. მოთამაშეებს წინ უდევთ თავ-თავისი თანხა, ვისაც რამდენი სურს, ამ თანხიდან ფარავენ წაგებას. თუ ეს თანხა გაუთავდათ, ისევ დაიდებენ წინ სხვა ფულს. ვიქვიათ, ჯანი მანეთად დაფასდა. ჯანის ამ ღირებულებას — ერთ მანეთს მიიღებს ის, ვისაც კოტებს ასყრის დროს მოუვა ერთი ჯანი, ე. ი. ქიკი-ალბუ ან თაფ-თოხანი; ერთ ჯანს უდრის აგრეთვე ღუბი, სულ ერთია, ქიკის იქნება ეს ღუბი თუ თაფის; თუ ამყრელმა ორი ჯანი მოიყვანა (ოთხში ორი ალბუ ან ორი თოხანი), მიიღებს ორი ჯანის ღირებულებას, ამ შემთხვევაში ორ მანეთს; თუ ამყრელმა სამი ჯანი მოიყვანა (ოთხში სამი ალბუ ან სამი თოხანი), მიიღებს სამი ჯანის ღირებულებას, ამ შემთხვევაში სამ მანეთს; თუ ამყრელმა ოთხი ჯანი ანუ ჩექმი მოიყვანა, მიიღებს ოთხი ჯანის ღირებულებას, ამ შემთხვევაში ოთხ მანეთს. ამგვარად, უდობლი მოგებაა ჩექმი, შემდეგ სამი ჯანი, ორი ჯანი, ხოლო ერთ ჯანიანი მოგება ჩვეულებრივი მოგებაა. ჩექმი ანუ ოთხი ალბუ იშვიათად უდება, არც სამი ჯანი მოდის ხშირად ვისგან მიიღებს ამყრელი მოგებულ ფულს? რა თქმა უნდა, იმისაგან, ვისზედაც იყო მისული აყრის დროს.

აყრის დროს უკრა ანუ მორჩევობით ყრის წესი მტიკიდაა დაცული. თამაშის დასაწყისშივე გამორჩევა პირველი ამყრელი ვინ არის. ამის გამოსარკვევად წილის ყრას საქმით. წილის ყრა ასე უნდა: მოთამაშეები აიღებენ კოტებს, თითოეული მათგანი თითო კოტს, და ააგებენ — პირველი აყრის უფლება მას მიეცემა, ვისაც კოტი დაუჯდება, ე. ი. ვინც ალბუს ან თოხანს მოიყვანს, ოთხში ვისაც კოტი პირველად დაუჯდება, მორჩა ამყრელი უკვა გამორჩეულია, დანარჩენები კოტს ალბა აყრიან. თუ პირველ აყრაზე არავის დაუჯდება, ხელმოირედ ასყრიან.

პირველი ამყრელი ეთამაშება მის მარჯვნივ მჯდომ ყომარბაზს, ამას ჰქვია მისე ღა, მანსადაშე, პირველი ამყრელი მიდის, ე. ი. კოტს პყრის მის მარჯვნივ მჯდომი ყომარბაზების მისამართით, ეს წინასწარ იცის ყველამ, მაგრამ სიტყვის სიზარაქისა და ხალხიანი ურთიერთობისათვის ეს მარჯვნივ მჯდომი მაინც თავის მხრივ შეაგებებს ამყრელს სიტყვას:

ჩემზე აყარე!

ამყრელიც ამ სიტყვით მიმართავს თავის მოპირდაპირეს:

— დამიკი! — ე. ი. დამიკირე, შენზე მოვიდვიარო.

აყრის კოტებს და თუ მოუვოს, მიიღებს მისგან, ვისზედაც იყო მისული, მოგებულ ფულს. აქდა მინდის მარჯვნივ მომდევნო მეორეზე და ასე ჩამოყვების წრეში მჯდომ ყველა ყომარბაზს თითოჯერ მანამ. სანამ ამყრელი კოტებს წაგებით არ მოიყვანს. წაგების შემთხვევაში ამყრელი წაგებულ ფულს აძლევს მას, ვისზედაც იყო მისული და ახლა კოტების აყრის ჯერი გადადის ამ პირველი ამყრელის მარჯვნივ მჯდომ ყომარბაზზე. ეს მეორე ამყრელი მიდის თავის გვერდით მარჯვნივ მჯდომ ყომარბაზზე, აქედან გადადის მის მომდევნოზე და ჩამოყვების ყველას თითოჯერ მანამ სანამ კოტებს წაგებით არ მოიყვანს. წაგების შემთხვევაში იგი გადაიხდის წაგებულ ფულს და კოტებს კი გადასცემს თავის გვერდით მარჯვნივ მჯდომ ყომარბაზს, რადგან ჯერი ახლა მესამისაა. ეს შესაძრე თამაშს იმავე წესით აგრძელებს, როგორც პირველი ორი თამაშობდა, ე. ი. მიდის სათითაოდ წრეში მჯდომ ყველა ყომარბაზზე მარჯვნივ მიმართულებით, ვიდრე წააგებდეს წაგების შემთხვევაში ჯერი გადადის მის მარჯვნივ მჯდომზე. ეს მეოთხეც იმავე წესით თამაშობს და, რაღა მეოთხეც წაგებით მოიყვანს კოტებს, თუ მოთამაშე ოთხი იყო, ჯერი დაუბრუნდება ისევ პირველ ამყრელს. ასე ბრუნავს კოტების აყრის ჯერი მარცხნიდან მარჯვნივსაცნე წრიულად. ყომარბაზს ნება აქვს, თავისი ჯერით არ ისარგებლოს და კოტები მომდევნო მოთამაშეს დაუთმოს. აგრეთვე მას ნება აქვს, არ გააწყოს თამაშში მასზე მიმდებლეს, უარი უთხრას მას — არ მინდაო. მაშინ ამყრელი მის გვერდით მომდევნო ყომარბაზზე მიდის.

ყომარბაზებისათვის სასურველია, რომ მოთამაშეთა რიცხვი ოთხს არ აღემატებოდეს, რადგან თუ მოთამაშეთა რიცხვი მეტია, ჯერი იგვიანებს და მხოლოდნამე მყოფი ყომარბაზები თავს ცუდად გრძობენ. საჭიროა სწრაფი ბრუნვა, ინტერესი მაშინ უფრო მეტია: ეს აუცილებელია ყოველ ამგვარი თამაშის დროს, რომელსაც თან ახლავს დღევა, გულისწყრომა, გინიანობა. ყომარბაზი შეიძლება, რა თქმა უნდა, მიმდინარეობდეს ორ ან სამ ყომარბაზს შორისაც, უფრო გავრცელებული კი იყო ოთხში თამაში. იშვიათად ხდებოდა თამაში ხუთ და ექვს ყომარბაზს შორის, ამაზე მეტი რიცხვი კი მოუღებელი იყო გულისდანცხალით ჯერის მომლოდინე მოთამაშეთათვის. ის კი არა, ოთხში თამაშის დროსაც იგვიანებდა ჯერი, თუ ამყრელი კოტებს სულ მოგებით მოიყვანდა. ჯერის მომლოდინე ყომარბაზის საყვიდურზე რომ ჯერი დაგვიანდა ამყრელი იტყოდა:

— რა გქნა, კოტი ხელიდან არ წამსვლია! — ე. ი. სულ ვიგებ და ლოდინე ამიტომ ვიხდებო. ვიქვიათ, მოთამაშეს ფული გამოვლია, ცოტადა დარჩა, მაგალითად, მანეთი აქვს, მეტი არა. ჯანი კი სწორედ მანეთიანია. ამ შემთხვევაში მოპირდაპირემ ორი ან მეტი ჯანი რომ მოიყვანოს, რა საშუალება გაქვს გაისტუმრო? ამიტომ წინასწარ უნდა გააფრთხილო იგი, რაც მოვიდეს, მაინც მანეთიანი ეღიროს.



ჯანების მიხედვით ფულის ბრუნვა-ტრიალი ყო-  
მარის საფუძველია. მაგრამ თამაშში გახლებულ  
ყომარბაზებს ჩვეულებად აქვთ ფულის მოგების  
სხვა წყაროც გაიჩინონ — ეს სხვა წყაროა ე. წ.  
შეკრება. ამყრელი შეეკრება მას ფსუნდაცა  
მისული, რომ ჯანების გარდა სხვა ზედმეტი თან-  
ხაც ბრუნადეს. ამ ზედმეტი თანხას — შეკრულ  
თანხას ურთიერთ შეთანხმებით განსაზღვრავენ,  
სამსმართლიანი ჩქნება იგი ხუთმანეთიანი, თუნწმანი,  
თუ მეტი ან ნაკლები. ამყრელი ამ შეკრულ თან-  
ხას მიიღებს მისგან, ვისთანაც იყო შეკრული, თუ-  
სა თქმა უნდა, კოტებს მოგებით მოიყვანს, მაგრამ  
თუ წაგებით მოყვანა კოტები, ეს შეკრული თანხა  
უნდა მისცეს მას, ვისთანაც იყო შეკრული. ჯა-  
ნი თავისი წესით მოიგება ან წაიგება. შეკრა  
კი ამის გარეშე ხდება. ამგვარად, შეკრას ჯანთან  
საქმე არა აქვს, შესაძლებელია, რომ ამყრელი ერ-  
ოსა და იმადე დროს რამდენიმე ყომარბაზს შეეკ-  
რას. ამ შემთხვევაში, თუ მოიგო, შეკრულ თანხას  
ყველსაგან, ვისთანაც იყო შეკრული, ცალ-ცალკე  
მიიღებს, ხოლო თუ წაიგო, ეს თანხა ყველას, ვის-  
თანაც იყო შეკრული, ცალ-ცალკე უნდა მისცეს.  
შეკრით ყომარბაზი ზოგჯერ ისე ბლომად მოიგებ-  
და ფულს, რომ თვითონაც გაოცდებოდა:

— ეა, ერთი მანეთი შეეკარი და ათი თუმანი  
არ გაეხადე...

კიდევ უფრო მეტი გახლებლის მომასწავებელია  
ის, რომ ზოგჯერ ამყრელი დაუფლელი თანხით  
შეეკრება მოპირდაპირეს, ამ შემთხვევაში თანხ-  
მოხას მისაღებად მიმართავს მას:

— დაუფლელად მოდის? — და მიუთითებს და-  
უფლელად გადადებულ თანხაზე.

თუ მოპირდაპირე დათანხმდება, მიუტებს:  
— მოდი!

ამ დროს ამყრელი თუ მოგებით მოიყვანს კო-  
ტებს, დათვლის დაუფლელ თანხას და მოპირდა-  
პირისაგან, ე. ი. ამ მხარისაგან, ვისთანაც იყო  
შეკრული, მიიღებს ამავე რაოდენობის თანხას,  
ხოლო, თუ წაგებით მოიყვანს კოტებს, დათვლას  
რალა აზრი აქვს, მოპირდაპირეს დაუფლელადვე  
რამბარებს ამ თანხას.

აი, ეს არის ყომარბაზი გახლებლის უმაღლესი  
შეწვევალი, მით უმეტეს, თუ ამ დაუფლელი თან-  
ხით რამდენსამე მოპირდაპირეს შეეკრები. ასე-  
თი თამაშის დროს, ცხადია, არა ხარ დაზღვეული,  
რომ პერანგის ამბარ არ დარჩები. მხავები გაბე-  
დული ნაბიჯის გადადგმა მას შეუძლია, ვინც სა-  
მაგილითო ყომარბაზი, ზედმეტივით კარგად  
ვაწვრთნილი. ამგვარ ყომარბაზზეა ნათქვამი:

— მოჩულები კოტი ბანზე რომ შეკყაროს, იქაც  
იყის, რას მოიყვანს.

მაგრამ ზოგჯერ ყომარბაზი ყალბაბანდობაშიაც  
არის გაწერთნილი. იგი კოტებს ისე მოიხერხებუ-  
ლად მოხაზავს და ხელშიაც ისე მოიხარუვებს,  
რომ წინასწარ გრწობას, აყრის დროს რას მო-  
იყვანს. ამას ეძახიან ნეკენას. ეს თუ გაუგო

ამყრელს მოპირდაპირემ, მაშინვე კოტებზე აუბან-  
დე ხელს შეუწყურს და მიამახუტებს. **კენესული**  
— ჩანცნა! ჩანცნა! ჯერიკარბაზი! უფა კე-  
თულებს ზელახლა კარგად მოურჩოს, მოხახლოს  
და ისე აყაროს კოტები.

ამაზე იტყვიან მოპირდაპირემ ამყრელს კოტი  
გაუტეხათ. ე. ი. ხელახლა მორეული აყრე-  
ვინაო, მოპირდაპირეს ნება აქვს ბევრჯერ, თუნ-  
დაც ათჯერ გაუტეხოს ამყრელს კოტები. ესეც  
იწვევს ზედმეტ დღევას და შფოთს.

ყომარის თამაშის დროს ხშირად მწყრივი ჩან-  
ჯდას ყომარბაზებს ან, როგორც იტყვიან, დაჯდო-  
მილებს გარდა არა ნაკლები დღევით და ინტერე-  
სით არაღებენ თამაშს უკოტო მოთამაშეე-  
ბიც. უკოტო მოთამაშეები გარეშე ხალხია. რო-  
ნელააც თავი მოუყრია ყომარბაზების ირველიე  
ისინი ზემოდან დასცქერებიან ყომარბაზებს და ერთ-  
მანეთს შეეკრებიან ამა თუ იმ ყომარბაზის ხელ-  
ზე. ისინი უკოტოდ, სხვისი ხელის შემყურე, კერ-  
ძოდ თამაშობენ. ამით სახელად ზემოდან შეე-  
კრელები ეწოდებათ.

ამგვარად, ყომარა ორსართულიანი გამოდის:  
ძირის თამაშით და ზემოდან შეკ-  
ვრა.

ზემოდან შემყრელები შეთანხმდებიან ურთი-  
ერთობის რამე თანხებზე, ე. ი. შეეკრიან ერთ-  
მანეთს და შემდეგ ზემოდან შემყრელს ეუბნება  
მოპირდაპირე, ე. ი. ის, ვისაც შეეკრნენ:

— ვისი ხელი ხარ?

ზემოდან შემყრელმაც უნდა დაასახლოს ძი-  
რის თამაშში მონაწილე რომელიმე ყომარბაზი.  
ცხადია, იგი იმ ყომარბაზს დაასახლებს, რომ-  
ლის იმედუც აქვს, რომ კოტებს მოგებით მოიყვანს.  
ახლა ადგენებენ თვალფერს: თუ ყომარბაზმა მარ-  
თლა მოგებით მოიყვანა კოტები, ზემოდან შემყრე-  
ლი მიიღებს თავის მოპირდაპირისაგან შეკრულ  
თანხას, თუ არა და იგი მისცემს მოპირდაპირეს  
ამ თანხას. ზემოდან შემყრელთათვის მომგებიანი  
არაა, სამი, ოთხი ჯანი, ღუბი და ერთი ჯანი  
მათთვის მომგებიანი არ არის.

ყვარს ზემოდან შემყრელე მოთამაშეებისაგან  
არაფერი სარგებლობა არა აქვს. იგი ძირის მოთა-  
მაშეებს უოვალთვალებს.

ყომარის დამოყრების შემდეგ ყომარბაზებს  
ჩვეულებად ქონდათ საქეიფოდ წასვლა. თან წა-  
იფანდნენ თავიანთ მზეურაგ-მოდარაჯეებსაც და  
მზარულად გაატარებდნენ დროს.

დასრულდა დამტკვრალი ამბები.

ჭველი თბილისის გულმკერდზე ტროლებიუსმა  
გაიხრიალა და ლაფვარდისფრად მომაშეკა.

ჭველმა თავი დაგვირა. ახალი ცხოვრების სიომ  
დაბურა. ჭველი თბილისის არტაბები დაწყვეტი-  
ლია იმ გულმბთან ერთად, ვინც ჭველს სიამით  
წმოსავს და სიახლეს კა ვერ ზიარებულა!

მოდი, ახალი!  
შენს ამაღას მეც ნსურს ვეახლო!



ბაბუა რაიხი



ბელურა

რამდენი დღეა, თვალყურს გადევნებ.  
მიკვირს, რომ ასე დარდით თავდები,  
მე ვიცი, შენი გული გათელეს,  
მე ვიცი შენი გულის ნადები.

მე კარგად ვამჩნევ, ბაბუა რაიხ ხდება,  
რუხო ბელურავ, პაწაწიაო,  
როს განთიადი მოვა შრიალით,  
ქვაშიც, მიწაშიც ვხედავ არსებას,  
და ვგრძნობ ყველაფერს, რაც ბაბუა  
არი,  
ნუ მეტყევა, რომ ვარ უყურადღებო.

ეს იყო მაშინ, ერთი თვის წინათ,  
შემოიარე როცა ველები,  
ქაში ექმბდი თავსაფარს, ბინას,  
ვერ მისწვდებოთ კაცის ხელები.

და ქის კიდზე ძუისგან ჯაფით  
ამოიკეთე ბუღე პაწია,  
მერე გაშალე ის ფრთები სწრაფი  
და ქალებისკენ გულმა გასწია.

ყოველთვის რაღაც სახლში მოგჭონდა,  
ცვივოდა ბაბუა ტყემლის ფიფქები...  
შენი გონება საღაღაც მიჭროდა,  
ფიქრობდი, ალბათ დედა იქნები.  
აბა, ამდენი რა გჭონდა საქმე?  
და, ბოლოს, ერთ დღეს ისინიც გაჩნდნენ  
პაწაწინები, ცუგრუმელები,  
და უფრო სწრაფად და უფრო მარჯვედ  
შემოიბრძინე ისევ ველები.  
ისევ ქის თავზე და ისევ ველზე  
დღეში ათასჯერ გამოჩნდებოდი,  
და შეუქმნევლად, ვით წყალში თევზი,

პაწაწინები იჩიტებოდნენ.  
სხვა სიხარული შენ რად გინდოდა?

როცა მოგბამეს შენ ფრთების გაშლით  
და მზეზე უნდა გამოგვეყვანა,  
ველარ აფრინდნენ, ჩაცვივდნენ ქაში,  
ველარ იხილეს მზე და ქვეყანა.  
ვაგლახ, მზემ მათ რომ ველარ დახედა,

ამიტომ დარდობ, შენ ასე მწარედ  
ფიქრობ, ამოვლენ ქიდან ბავშვები...  
უკვე ღამდება, ჩიტუნავ, გარეთ  
ნულარ დარჩები.  
ნულარ იღარდებ, ხდება ეს ასე,  
მღუმარე ქის თავს ტყვილად ველები...  
ეს ქვეყანაა პირთამდე სავსე  
უბედურებით, ბედნიერებით.

ზოგჯერ ასეა: აღამიანიც  
ბედნიერია ჯერ მომლიძარი  
და საოცნებოდ მისთვის ფართე ცა  
თითქოს პატარა ოთახი არი.  
შემდეგ შეისხამს ოცნება ფრთებს და  
აყვავილდება ველი სავარდე...  
იგი ოცნება უეცრად, ერთ წამს,  
შესაძლო არის, ქაში ჩავარდეს...  
ასედაც ხდება, ჩემო ბელურავ,

რუხო ბელურავ, უკვე ღამდება.  
ნულარ დაიწყებ ისევ თავიდან...  
ნულარ იღარდებ, ეს ასე ხდება,  
ეს ასე ხდება დასაბამიდან...  
ღამდება, სახლში წადი, ბელურავ.

თარგმანი აზერბაიჯანულიდან  
ნოდარ ფულინსკირისა

ნოვარ ჩხიძე



## მურმან ლებანიძის ღმკსები

მურმან ლებანიძის გარდა, ჩვენ არ გვეგულებოდა მერღვე, ასე თუ ისე ღირსშესანიშნავი პოეტი, რომელიც მისავით იქნებოდა ლაღო ასათინისაგან დავალებული და მისი პოეზიით გატაცებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ დამოკიდებულებამო არ ვგულისხმობთ რაიმე მიმბაძველობას, თემებისა და სათქმელის შესაგვსებას, არამედ ჩვენ ვლახავთ პოეტური ზეგნებისა და ფორმების ნათესაობაზე.

მურმან ლებანიძის ღმკსებში დიდი ხანია რელიეფურად მოიხაზა საკეთარი, თავისთავადი ინტონაციის გამოუმუშავებისათვის შინაგანი, ქვეცნობიერი სწრაფვა. ეს ყველა ჭეშმარიტი პოეტის ბიოგრაფიაში ბუნებრივი მომენტია.

უკანასკნელ ღმკსებში, სადაც პოეტი არის თავისთავადი და ბევრის მხრივ საინტერესო, ისევე ხაზგასმულია მისი პოეზიის ყველაზე არსებითი თავისებურება, ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც საგნების მკვეთრად განსაზღვრული რაგი მისი პოეტური ფიქრის ობიექტად იქცევა.

ასეთია, მაგალითად, მოგონებები, რომლებიც შესულან მის ბიოგრაფიაში, ან, როგორც ამბობენ, რომლებითაც მას უტყობოვია, როგორც ჩანს, ის არ გაუტაცია ამსტრაქტული სილამაზის ძებნას, არ გაუტაცია პოეტურზე ფიქრს, თავისთავად განწყობის, ემოციის, ნაცნობ საგნებში უჩვეულო პოეტური გაზარების მოძებნის სურვილს. მისთვის ორგანული არაა პრინციპი: „раскрыть красоту и скрыть художника“, განსხვავებით, მაგალითად, ანა კალანდამისაგან, რომელიც თავისი შეტად დახვეწილი, მეტად მთლიანი და ფაქტობრივ განწყობილებებს პოეზიით საგნებით აქმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

თავისი პოეზიის საგანი მ. ლებანიძემ სწორად გამოხატა ცნობილ სტრიქონში, სადაც ის თავის თავს მიმართავს: „შენი სიციცხლე არის პოემა, დაჯემ, გაღმესე, როცა ღრო გექნეს“. იქნებ სწორედ ამიტომ მისი პოეზია შემოთავაზებულია და ვიწრო, შემოთავაზებულია მისი თემატიკა, პოეტური ფიქრის სფერო, განსაზღვრულია ცხოვრებისათვის მისი დამოკიდებულების ხასიათი. განსაზღვრულია, რადგან ყველაფერს ის ხედავს და აფიქსებს პირადი ცხოვრების, ხასიათის თვალსაზრისით, ყველაზე ზნობრად, როგორც კაც და ყველაზე იშვიათად, როგორც პოეტი. მისთვის

მთავარია ეს შეფასება, პირდაპირი შეფასება, სიმბოლური და შესატყვისი პოეტური სახის გარეშე. მას არა აქვს არც ერთი ყალბი სტრიქონი განცდის მხრივ, საერთოდ არა აქვს ყალბი განცდა, არა აქვს უსისხლო ღმკსები, როგორც-საე ჩვენ გვხვდებით საკმაოდ ცნობილ პოეტებთანაც, რადგან მას არ უხდება ფიქრი იმაზე, თუ რა აწუხებს, ან, უფრო ზუსტად, რა უნდა აწუხებდეს. ამიტომ ჩვენ გვინდა ვთქვათ მასზე ის, რაც შეიძლება მთელი უფლებით და საგნებით ლოგიკურად ითქვას სხვაზეც, — ის თავისთავადი რჩება ყოველთვის. ის თავისთავადი რჩება მისთვის გადაწყვეტილ უმნიშვნელოვანეს რამეში. ის თავისთავადი რჩება, რადგან, ეტყობა, მისთვის მთავარია ჰქონდეს სათქმელი, ვიდრე დაუფლებული იყოს პოეტურობას, ან ღმკსის ტექნიკას. და აქ ის არ არის მთლად მართალი, ქართული პოეზიის მცოდნეს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ პოეტური სრულყოფილების გამო ჩვენ ყოველდღე გვიხდება მიემართოთ ღმკსებს, რომლებსაც ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი უმართებულად დეკადენტურს, სიმბოლისტურს, ფეტურისტულს უწოდებს. ეს არ შეიძლება არ აფიქრებდეს დღეს ლიტერატურის მოყვარულსაც კი, თუ ის თანამედროვე ქართული ღმკსის პედზე დაფიქრებულა.

თორმეტი წლის წინათა დაწერილი სტრიქონები: „ჩემო ხელო, მა ჩანგური, ჩემი ხელით გაჯორჭილი“. დღეისათვის ეს დეკლარაცია იმდენად მოძველებული და სწორხაზოვანია პოეტური აზროვნების მხრივ, რომ ის ჩვენს პოეზიაში ყალბად გავგებული ტრადიციისა და ხალხურობის მაგალითად გამოდგება. ვაუცებარია, რატომ შეიტანა ავტორმა ეს ღმკსი თავის უკანასკნელ წიგნში, რომელსაც პრეტენზია აქვს, არცთუ უსაფუძვლოდ, პოეტის რჩეულ ღმკსთა კრებული იყოს. ამ ცნობილი თემის გადაწყვეტისას ჩვენ მთელი უფლებით მივიხმოვდით არა მარტო სიბზლეს და ჩვენთვის ხელმისაწვდომ, უკანასკნელი დროის პოეტურ ნიმუშთა გათვალისწინებას, არამედ ორიგინალობასაც, რომელსაც ავტორის ინდივიდუალური პოეტური სახე განაპირობებდა და ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო პოეტურ კულტურასაც.

როცა „შამა, ბავშვობა, გოგონის ქრეა“ და „გახსოვს, გიგაი!“ გამოქვეყნდა, ჩვენთვის, მერმან ლებანიძის შეთხვეულებისა და, განსაკუთრებით, მისი შეგონებისათვის, კვლავ „გაცოხლდა“ პოეტი, ის, რომ იტყვიან, ერთ დღემდე გამოვეყო თავის ტოლ პოეტებს და იმედია იფიქრის საგნად იქცა. თუ ჩვენ ასე გულბანდო გვინდა ვფიქროთ მისა ლექსების მიმართ, ამიტომ, რომ, საქმობა მართალი თვალთ ვდავებდეთ თანამედროვე ქართული ლექსის მდგომარეობას უკანასკნელ წლებში და ვალიაოთ, რომ მას რამდენადმე დაუფულა ერთფეროვნება. აუცილებელია გახედული სიტყვა ითქვას მისი ვადახალსების შესახებ. შეიძლება ეს ბევრისათვის მტკავნელი იყოს, მაგრამ ჩვენი პოეტური კულტურის ინტერესებისათვის ასე ურჯობესი იქნება.

ქართული ლექსის ერთფეროვნებაში ჩვენ ამას ვგულისხმობთ, რომ კარგა ხნის წინათ მიღწეული წარმატებები მან ვერ შეინარჩუნა და ვერ გააღრმავა. ახალგაზრდა, ყველაზე გამოჩენული პოეტები სწორედ იმით გამოიარჩევიან უგრჯეობით, რომ ძველს იმეორებენ ნიჭიერად და უკვე გამოვლიან ამ მდგომარეობიდან, თუცა არა ითამაშად, მაგრამ მინიმუმ ეძებენ ახალს. მაგრამ დღეს, ახალი, თვისებრივად ახალი ქართული ლექსის ნიმუშებზე ლაპარაკი ნაადრევი იქნებოდა. სამწუხაროა, რომ ეს ეხება არა მხოლოდ ლექსის ტექნიკურ, „ფორმალურ“ მხარეს, მაგალითად, ძიებებს რიტმისა და პოეტური ფერწერის სფეროში, მიხედვით კომპოზიციას, მეტრასა და რითმის, არამედ პოეტურ აზროვნებას, პოეტის სინამდვილესთან და თემისთან დამოკიდებულებას, ამ დამოკიდებულების ხასიათის, პრინციპის შებლწურებას. თუ ქართულ ლექსს ამჟამად მინიმუმ დიდი მიღწევები აქვს „გარძნობადი უშუალობის“ მხრივ, — ეს მიღწეულია ხშირად საკმაოდ ძველი ზურხებით, იგი ასევე მდიდარი არაა პოეტური აზრით, აზროვნებით. ხედვა და აზრი დღევანდელ ქართულ ლექსში დღევანდელი არაა, ის არაა, რაც დღეს უნდა იყოს, და ამ მხრივ საუბროა, ხელი შეუწყვიტოთ მნიშვნელოვან ძიებებს, რომ არასასურველი წონასწორობიდან გამოვიდეთ და გზა მივცეთ თავისუფლებას.

მერმან ლებანიძეზე, როგორც პოეტზე, ჩვენ ვერ ვნახეთ რაიმე წერილი, სადაც იქნებოდა მისი პოეზიის სრულყოფილად შეფასების ცდა, გარდა ერთი, არანეიტრალურივად უკულტურო სტატიისა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა და სადაც, პოდიმი შეთხვეულის, პოეზიასთან კრიტიკული დამოკიდებულება დამოკიდითა შეცვლილი. თუმცა რა, ვინა ლიტერატურულმა საზოგადოებამ მსგავსა წერილები ცოტა ბატავა უპასუხოვ?

პოეტური ვარგისიანობის ერთ-ერთ პირველ ნიშნად ხშირად აცხადებენ უნარის შედუნასა, უნარს ფერწერისას, იმ უნარს, რომელმაც ქაშქმა ლებას იძლევა წარმოდგენაში გაიმეორო საგანი და შექმნა მისი „ფიზიკურად ხელმეხასებე“ სურათი, ჩართო მხედველობა, როგორც შეგრძნება, პოეტური ნაწარმოების აღქმასა და განცდაში. სხვადასხვა დროს მხედველობითი შეგრძნების ინტენსიობას აცხადებდნენ პოეტური ნაწარმოების აღქმის საფუძვლად ისევე, როგორც მუსიკალურ კომპოზიციას, რიტმს ან ემოციურობას. რომ ეს პირველი მოთხოვნა მნიშვნელოვანია, იცოდნენ ყოველ დროში. ყოველ დროში იცულებოდა ამ მოთხოვნის ძალაც და ხასიათიც. თანამედროვე ქართულ პოეზიაში, წარმატებების გვერდით, ამ მხრივ ჩვენ ვხედავთ ლექსებს, რომლებშიც, მათი თემის მიუხედავად (ე. ი. პეიზაჟური, ყოფაცხოვრებითი ლექსები), ვერ ვხედავთ საგნის კონკრეტულ სახეს, ვერ აღვიქვამთ სივრცეს, ფიგურას, განსაკუთრებით, სინათლესა და ფერს.

უკვს ვარეშეა, რომ თანამედროვე პოეზიაში (როგორც საერთოდ მხატვრობაში) ფერწერა თანდათანობით კარგავს ობიექტისადმი ხელოვანის დაქვემდებარების პრინციპს. განსხვავებით კლასიკური პოეზიისაგან, ამ საკითხში დღევანდელი პოეტი იწყებს არა ობიექტით და ამოფარებს თავისი მე-თი, არამედ, პირიქით, მისი განწყობა, ემოცია, აზრი არის საფუძველი ობიექტის შექმნისათვის, ამ ობიექტის ფერწერული სურათის ხასიათისათვის. სტროფში:

„მარტი, ტყემლების ღრუბელი  
და მისი გამოცილება,  
ჩამონასლული ქედები  
ცრემლი და გამოტრეხება“.

პირველი — შესაშვ ტაბი, მეორე — მეოთხესთან დაკავშირებულია ალბათ გამოცილებისა და განწორების ცრემლის ასოციაციით მოღრუბლულობასა (რა ვეუოთ, რომ ეს ტყემლის ღრუბელი) და ნისლიან. მაგრამ ეს სურათები და ეს განცდები ნამდვილად არ იქმნიან ლექსის კონპონენტებით გამოწვეულ ერთ პოდიან ემოციას. ამის გარდა, ტყემლების ღრუბელი და ჩამონასლული ქედები უკვე აღარ არის ფერწერა ის დიდი ხანია შებლწობდა იქცა.

მ. ლებანიძეს უთუოდ შეუძლია თავი დადწიოს ამ ნაკლს, ვერცკეს ამ ნაკლის მიზნებში. ამისთვის იქნებ კარგი იყოს, თავის მიერ დახატულ სურათს ნეიტრალური თვლით შეხედოს და მოითხოვოს იქ განცდის გვერდით ფერწერული სიზუსტე და სრულმნიშვნელობა:



„კაცის ხე შევას გადაშაყურებს  
შიშველ ტრეველი,  
წვერზე შერჩენილ  
მხატვ ნოგონ ნიავი არხვეს,  
ვღია ჭოლოცი —  
ჩაუღვიათ სკოლისკენ ბაღებს“.

ან იქვე:

„პრელი გოგები  
ჭურის თავზე ქეჭავენ ფოთოლს  
და ხემბურნი  
გაჩრჭვილი  
ვღია ტალახში“.

აქ არის ფერწერა, სურათი და ის განწყობაც, რომელსაც ფერწერის გვერდით ბგერწერის ქმნის.

თუ თანამედროვე ქართულ ლექსში სულ ცუდად არაა პეიზაჟის ხატვის საქმე, სამაგიეროდ, საკმაოდ ცუდადაა ნახატის განწყობებისადაც და მორჩალებს და შემდეგ მათგან ერთი მთლიანი ემოციის წარმოშობის საქმე (ამ მხრივ მაგალითად გამოდგება იაპონური პოეზია, რომლის ეს მხარე უკვე შენიშნეს ზვენიცი).



პოეზიაში, როგორც კარგადაა ცნობილი, და განსაკუთრებით ქართულ პოეზიაში, გრძნობის, განცდის არსებობის აუცილებლობა თითქოს პირობაა თვით პოეზიის არსებობისათვის.

გაერმოს მარტვიე, უშუალო შეგრძნების გადმოცემიდან დაწყებული და ამ შეგრძნებებში ღრმა, რთული აზრობრივი მომენტის შეტანით დამთავრებული პოეზია უთუოდ მიდის „განცდის განზოგადების“ ტენდენციით. ემოციის გველეხა, უოველ შემთხვევაში მისგან მოითხოვენ, ზედმეტად გახალს უშვებენ შემთხვევაში სიგნებისა და მოვლენების პირდაპირი შეფასება, მსჯელობა.

თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი რთული საკითხი უთუოდ არის ემოციისა და ინტელექტის ურთიერთობის საკითხი, როგორც შექმნის პროცესში, ასევე შემოქმედების რეზულტატში. ერთი შეხედვით ბევრფერად, მაგრამ არა უსაფუძვლოდ მსჯელობენ ე. წ. ინტელექტუალიზმისა და ინტუიტივიტიზმზე, ლმობიარბართული მუშაობის გონებრივისა და ნაწარმოების ემოციურ მხარეზე, მათ ურთიერთობაზე.

2. ლებანიძე არაინტელექტუალური პოეტია. აზრობრივი მხარე მისი ლექსებისა მხოლოდ შედგეია ცხოვრებაზე დაკვირვებისა, მისი მსჯავრდებისა და აქ ამოწურავს თავის თავს. ამ მხრივ მისი ავტობიოგრაფიული დეტალებია სტრაქონებში „შვითა — შავზე კიდევ ბევრჯერ ავირდები, დაბოჯებ გზაზე, წუთისოფელს ავირდები“. ამ წუთისოფელზე დაკვირვების შედეგად მოგვბა უაღრესად ზუსტი და თამამი სახე-თქმე-

ბი, „გელამდგრული ათასი ძაღლით, ოგი უსიტუვოდ მხედებოდა ხშირად“, „ტყვ ცხენშაშაშაში რი და ტბილი, შიში არ იყვ მტოთქს“ და „ტბა ხის“, ან, „ზოგს დაუტოვეს ოქრო და ვერცხლი, ზოგს — ბორკილივით პატისუნება“, ან კიდევ: „და თუ კაცნი ვართ და არა ვართ დათენი, ვის რა ზელი აქვს ამ შენს სტრაქონებთან“ ამ უკანასკნელ სტრაფში თითქოს „დათვი“ ვერ გამოხატავს სრულიად ავტორის პროტესტს, და ლექსი ითხოვს უფრო მეკეთარ შედარებას. სადღაც, ბოლოს, ჩნდება პროტესტი ვიდაციისა და რილიციის მიმართ. აქ მე ვგულისხმობ ბრძოლას ცხოვბილი გაღმონაშთების და, საერთოდ, უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ცხოვრებაში, პროტესტს დოგმატიკის წინააღმდეგ ბრძოლას პოეზიისათვის — ლექსებში. ასეთი ბრძოლა ადვილს პოულაბს პირად საუბრებში და, მშვიათი გამოხაყლისის გარდა, გაუზმებრებელ თვართულ მსჯელობებში. მხოლოდ, ისევე ვიმოყრებ, არა პოეზიაში.

3. ლებანიძისათვის, როგორც ადვილად შესამჩნევია, მთავარია ემოციის, განწყობის შექმნა ლექსში. ამიტომ, ნაწილობრივ გასაგებია და ხშირად თითქოს პუნებრივდია ფერწერული ელემენტით დაუინტერესებლობის ფაქტი. ის უამისოდაც აღწევს სტრაქონის მაქსიმალურ ემოციურობას, მკითხველთან მიაქვს თავისი განცდა, განწყობა, აქცევს მით მკითხველისად უოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ეს თქმის არა უვოლა ლექსისა და უოველ სტრაქონზე, მაგრამ უმეტესზე და განსაკუთრებით უკანასკნელ ლექსებზე:

„გავტოპადით და  
გამოტოპავდით ხეორს,  
მურდული ზელში  
ეეჭარებოლით დღოს,  
ვულისტრიალით  
ვეპარებოლით ოლეს,  
გადავირბენდით  
სათიბებსა და გორებს,  
გადავლახავდით  
კორტონებსა და სერებს,  
გვიან, ბანდუნდში,  
შინ ვებრუნდებოლით შერე  
და ზვენს წისქვილთან  
იღვა ძეწუნების რიგი...  
ეს თუი მოუბის,  
ეს იყო წლების იქით.  
გახსოვს, გვიღი!“

ან თუნდაც ძველი ლექსებიდან: „ქორწილში ღილი ამაწვდა, ღილი კისერთან ამაწვდა, იმ გასაქარბმა მიშველა, შერე ძაღს კბილით დააცხრა, რა ცივი იყო სათითი!“

მეზღზე დავერ, ვადიდე.  
 ივისისა და მკლავი მკრა,  
 და დერფანში გამიქრა...  
 წამოველ, ისე წამოველ,  
 რომ ვერც კი დაეიახლოვე.  
 წამოველ, მაგრამ ეს გული  
 იმ სათითვენი ჩაეტოვე".

ან „გოგოლის ქუჩის“ დასაწყისი:  
 „წვიმს და ჩხრიალებს ჩქერები ურჩი,  
 აწვიმს საფლავებს ქუჩის ბაღში“...

აქ ალიტერაციაც, ბგერწერაც და, რა თქმა  
 უნდა, საგანიც ხელს უწყობს განწყობის ერთბა-  
 შად შექმნას.

ან კიდევ ცნობილი სტრიქონები:

„დიდი თბილისი არ მიშვებს, თორემ  
 მოშვებდა ბალახი,  
 ე, ნეტავ მომხველინა ზვარეთის თემის  
 ტალახი“, —

სადაც სიყვარული სოფლის, ბუნების, ფიზიკური  
 შეხების სურვილით, ბიოლოგიური ნდომის სიუ-  
 ხეშითა და სილამაზითაა გამოთქმული და პოე-  
 ტურად ამაღლებული.



„მამა, ბავშვობა, გოგოლიც ქუჩა“ არის ნაღ-  
 ლიანი პოემა, დარდის გაძლება, როცა შე-  
 მოდის ღამე, ცივი და ღამაზი, იღვიძებს სიყ-  
 ვარული იმისა, რაც იყო და აღარ დაბრუნდება,  
 ვისაც სული ვაატან და ვინც სულში დაგრჩა...

ეს არის სიმღერა მამაზე, ვაჟაკობაზე, პატრო-  
 ნებაზე, ეს სისხლის ჩურჩული, მოწიწებასა და  
 გღებზე, შეღისა და მამის ვალზე...

მ. ლებანიძემ თითქოს ნახა იმის მიზეზი, რომ  
 თავისი თავიც დაეხატა, მისთვის ყველაზე შე-  
 საფერი განწყობები გადმოეტყა.

ის, რაც ავტორმა იპოვა, როგორც პოეტმა, ეს  
 არის ამ ლექსების რიტმი, მათი მუსიკალური  
 აზრი.

დასაწყისში რიტმი უმთავრესად ღუნვა და  
 მოცუქულია ნიშნები მომავალი ლექვის. შემდეგ  
 მღელვარება სტროფიდან სტროფში ენაცვლება  
 იშვიათი სიწყინარეს, მოდის მოგონებასთან შერი-  
 ვება და შემდეგ შეფიქრება ამ მოგონების გამო,  
 უფრო შემდეგ არის მხოლოდ თავდაფიქრება და  
 ბოლოს უკან დარჩენილი მღელვარების შორე-  
 ული ხმები:

... არც წვიმა,  
 არც ქარი — მოხუცს აღარ სჭირდება.  
 სასაფლაოზე მზემ გაგლიძა  
 და აედარის შემდეგ დარი ბრწყინდება...

მამაც — საფლავთან ჩერდება ბავშვი  
 მამაც, ვადარი შრიალებს წყნარად:

თითო ფოთლიდან წასულხარ ცაში  
 და თვით ქვეულხარ  
 ყველაფრად,  
 არად,  
 მზედ,  
 წვიმად,  
 ქარად.

ეკვს გარეშეა, რომ მერმან ლებანიძე კარგად  
 გრძნობს რიტმს, რადგან ლექსის საგანი მასთან  
 უმეტრად შეესაბამება ლექსის რიტმს. ყოვე-  
 ლი მოვლენა თავისებურ საგნად იქცევა ამა  
 თუ იმ პოეტთან. მოვლენის რიტმი დღეს იმის  
 ნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ამ პოეტისათვის ჰქონ-  
 და ამ მოვლენას განკუთვნილი. ამიტომ, შეიქ-  
 ლება არაფერი არ მიუთითებდეს ასე მკვეთრად  
 ავტორის ორიგინალობაზე როგორც რიტმის  
 გრძნობა.

მ. ლებანიძეს ჯერ კიდევ არ დამოთავრებია  
 ძიებები რიტმის სფეროში. მის ლექსებში არა  
 გვაქვს რომელიმე გაბატონებული რიტმი, რაც  
 დამახასიათებელია თითქმის ყველა ცნობილი პო-  
 ეტისათვის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პოეტმა  
 ჯერ კიდევ ვერ იპოვნა, ან თუ იპოვნა, სტაბი-  
 ლური ვერ ვახადა იგი. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორ-  
 სა ვართ იმ აზრისგან, რომ ყოველ პოეტთან ერთი  
 რიტმი იყოს გაბატონებული. უეჭველად სწორია  
 მოსაზრება, რომ მეტრის ცვლილებებზე ბევრა-  
 და დამოკიდებული ახალი რიტმების მიღება, ასე-  
 თი რამ გვხვდება თითქმის ყველა ქართულ პოე-  
 ტთან. მნიშვნელოვანია არა ეს, არამედ რიტმის  
 აზრობრივი მოთხოვნის საფუძველზე შესატყვისი  
 და ბუნებრივი ცვლილებების შეტანა მეტრში,  
 მერმან ლებანიძესთან ამის მრავალი საინტერე-  
 სო მაგალითი გვაქვს (მაგალითად, 6 და 8 მარც-  
 ვლიანი სტრიქონების შორავგობით და შემდეგ  
 8 და 7 და ისევ 6 და 8 მარცველიანი სტრიქონე-  
 ბით მიღწეულია რიტმის უაღრესად თავისებური  
 დინამიკურობა). ჩვენ ვეინდა საყვედური გამოუ-  
 ქვათ ლიტერატურული კრიტიკოსების მიმართ,  
 რომლებიც უაღრესად საქირო წერილების გვერ-  
 დით, სადაც ისინი ემაქვს იღვებმა და მოთხოვ-  
 ნებს უხსნიდნენ მწერლობას და ასწავლიდნენ,  
 თუ რაზე უნდა ეწერათ, არაფერს წერდნენ რიტ-  
 მის საკითხებზე თანამედროვე ქართულ ლექსში,  
 ჩვენ არა გვაქვს ავრეთვე არც ერთი შეცნეარული  
 წერილი ქართული რითმის გვენახისზე ახალ პოე-  
 ზაში.

ახალგაზრდა მწერლებიდან ძალზე ცოტანი  
 გრძნობენ რიტმს, ძალზე ცოტას აქვს შეგნებუ-  
 ლი თავიანთი პოეტური საგნის მუსიკალური აზ-  
 რი. ამიტომ ხშირად გვაქვს უხერხულობის გან-  
 ცდა იმ ლექსებისა და იმ ავტორების მიმართ,  
 რომლებიც უსულგულოდ აწვადებენ მეტრს, ვი-  
 თომდა ახალი, „საქიროებით გაპართლებული“  
 რიტმის შესაქმნელად.

უაღრესად სუბიექტური აზრი უნდა გამოეთქვა: დღეს არ არის მოსალოდნელი რაიმე დიდი გარდატეხა რიტმის სფეროში, თითქოს საჭიროა დაბრუნება თავისთავთან, ჩვეულებრიობის რიტმთან, სიხემის ხმაურთან. დღეს თითქოს ახლებური შინაგანი მონოლოგები შემოდის პოეზიაში.

სუსტი ტექნიკური ადგილების ასწნას მურმან ლებანიძესთან მე ვეძებ წმინდა პოეტური აზროვნების თავისებურებით, მისი სწორხაზოვნებით, და იმით, რასაც ჩვენ უნდა ტრადიციას ვუწოდებთ.

მურმან ლებანიძესთან ვხვდებით, შედარებით მეტივე რაოდენობით, ახალ რითმებს, „ქარგ“ რითმებსაც. მაგრამ პოეტს აქვს ისეთი რითმებიც, როგორცაა „ცრემლი-ჩემი“, „ხელები-გველები“, „ბალახში-ქალაქში“, „ბუღლები-ქვეყნები“, „ამობრწყინება-ალორძინება“, „სახლსავით-ძალღსავით“, „შრომით-ჯდომით“, „დაღბინებულ-გაღიმებულ“.

გარდა ამისა, მე მინდა არ ავხსნა უგემოვნებით ზოგიერთი სახისა თუ ფრაზის არსებობა მის ლექსებში. მაგალითად, „შქუხარე ჩინგი შქუხარს ხმაურობს“, „გული მანდ დამჩნა, თათრის ძალღსავით ჩამქვრალ საკეპურს უვარაუდოს“, „ერთგულ ძალღსავით ვხვდებოდი მამას“, „ვინაიდან ზინაიდა შრომის გმირი ვახლავს, ვინაიდან ზინაიდა „პრაედის“ ფურცლებს გაჰყვა“, „მიველ ხეავლება ფერების ხეავი“, „ჩემთვის გადითერთებულ შავი გოგოს რვეულები“, „დიდ ქადრებზე ჯდება მთვარე“. ხედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ლექსები, სადაც ეს ფრაზები გვხვდება, შეიძლება მართლაც საინტერესო იყოს განცდითა და აზ-

რითა, მაგრამ ეს ამ შენიშვნას არათუ მოხსნიდა, პირიქით, უფრო გააძლიერებდა.

ჯერ კიდევ ადრეა, ან იქნებ უკვე გვეთქვა მ. ლებანიძის ადგილზე დღეებამდე ქართულ პოეზიაში, იმაზე, რომ მისი ლექსები უაღრესად ქართულია, ეროვნულია, რომ მისი ლექსებიდან მოსული ყოველი ემოცია გამოხატავს ქართულ ხასიათს, ქართველი კაცის ბუნებას. შეიძლება გვეთქვა იმაზეც, რომ ტოლებში პოეტა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საიმედო შემოქმედად.

პოეტს აქვს ჩვეულებრივი ადამიანური გრძობების აზღვების, მათი ნამდვილ ხელოვნებად გადაქცევის უნარი და ამ უნარის საქმედ, საგნად, ლექსებად ქცევის ექვიუტანელი შესაძლებლობა. დღეს ისეთი დღეა, როცა „ამაზიან“ ხმებს, „გულწრფელ“, „სულელთა“ განცდებს ძალა იღობა აქედ მათი მაორგანიზებული გონების გარეშე, ახალი პოეტური იდეების, ღრმა და ზუსტი პოეტური აზროვნების გარეშე. მ. ლებანიძეს აქვს ამისი უნარიც. მაგრამ ის ამ მიმართულებით მუშაობს არა საკმარისად, მუშაობს ძალზე ცოტას. მე ვლაპარაკობ არა გონებით შექმნილ პოეტურ სახეებზე, არამედ პოეტური სახეების აზრზე.

სიხარული მთაქვს ლებანიძის ლექსებიდან მოწინავე კულტურისა და ზნეობის ადამიანს, მის ფიჭვსა და განცდებს, მაგრამ არა ნაკლებ სიხარულს მოიტანდა ეს კაცი თავის თავში და ადამიანებში ახალი, ჯერ კიდევ უცნობი, ხშირად ბუნდოვანი, ხშირად მხოლოდ მიზნიშნებული განცდებისა და ფიქრის აღმოჩენით.

მ. ლებანიძეს შეუძლია დაწეროს ლექსები, რომლებიც მკითხველისათვის იტყვიან არა მარტო საკუთარ გამოცდილებად, არამედ ახლის ხილვად.





# მარკო შოჰროკი

„თქვენ გახსოვთ, ოდესღაც რომანებსა და მოთხრობებს წერდა მარკო შოჰროკი. მე დიდად ვაფასებ მის ტალანტს, ჩემი აზრით იგი გოგოლის შემდეგში ეპოქის ყველა ჩვენ ბელეტრისთა შორის უნიკოურესი იყო“.  
(ნ. გ. ჩერნიშევსკი ო. ა. ბარნიშევი 1889 წ. 16 აპრილი).

1957 წლის 10 აგვისტოს შესრულდა 50 წელი უკრაინელი რევოლუციონერი დემოკრატი შერტლის მარკო ვოჟნოკის გარდაცვალებიდან.

მარკო ვოჟნოკმა დიდი და თავისებური შემოქმედებითი გზა გაიარა. ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა 1861 წლის რეფორმადგელი და რეფორმისშემდგომი პერიოდის უკრაინელი და რუსი ხალხის ცხოვრების ამსახველი მოთხრობებით, რომანებითა და სატირული ზღაპრებით, რომლებშიაც იგი ამხელდა მეფის რუსეთის აბაბურებული კლასის წარმომადგენლების პორცუაზიულ ლაბერალზმს, პანების თვალთმაქცურ „სიყვარულს“ ხალხისადმი, მათ პარაზიტზმს, დესპოტიზმსა და ამორალობას.

მარკო ვოჟნოკის შემოქმედება გამსჭვალულია ხალხისადმი ღრმა და ჭეშმარიტი სიყვარულით, შრომელი ხალხის უკეთესი მომადლის, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ბრძოლით მოპოვების სულისკვეთებით. შერალი ქალი, ახელს და აკრიტიკებს რა ფეოდალურსა და კაპიტალისტურ სისტემას, ქმნის ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ გმირთა სახეებს, გვიჩვენებს ხალხის უშრეტ ძალას, უმღერის უბრალო მშრომელი ადამიანების შორალურ სისაქეტაცესა და კეთილშობილებას.

მარკო ვოჟნოკი „ხალხთა ზაგრული მასების თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლთა“ (ო. ფრანკი) ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. მისმა ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციონერი დემოკრატებისა და რუსეთის მოწინავე ძალების ბრძოლის საქმეში, უკრაინელი ლიტერატურისა და უკრაინელი სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში.

მარკო ვოჟნოკმა კრიტიკულ რეალიზმზე და ჭეშმარიტ ხალხურობაზე დაყრდნობით შექმნა უკრაინელი ლიტერატურის ისტორიაში მამხილებლური ანტიბატონყმური პრაზის პირველი ნიმუშები.



მარია ალექსანდრეს ასული ვილინსკაია, რომლის ლიტერატურული უსვედონიში იყო მარკო ვოჟნოკი, დაიბადა 1834 წ. 22 დეკემბერს სოფელ გვარდინოვკაში, ორლოვის გუბერნიისაში,

ხელმოყვე რუსი მემამულის ოჯახში. მისი მამინაცვალი (მამა გარდაეცვალა 1840 წ.) მკაცრი მებატონე იყო. ვარემომ, რომელშიც პატარა მარიას უხდებოდა ცხოვრება, მას ბატონყმობისადმი ზიზღი ჩაუნერგავ; ეს გრძნობა, რომელიც შემდგომ შერალ ქალს დემოკრატიულ შრომულმდეველობად ჩამოუყალიბდა, განსაზღვრავს მარკო ვოჟნოკის შემოქმედების ძირითად პათოსს. ბავშვობაში მარია ვილინსკაია ხშირი სტუმარი იყო თავისი ნათესავის, გამოჩენილი კრიტიკოსის დ. ა. პისარევის დედისა. მის ოჯახში მარია ლიტერატურისადმი სიყვარულის გრძნობებს უღვივებდნენ.

12 წლის მარია ხარკოვის პანსიონაში მიამბარეს. 1848 წლისათვის მარია ვილინსკაიამ დაამთავრა პანსიონი, მაგრამ სახლში ვერ მობრუნდა, რადგან მის მამინაცვალს მამული ბანკოში წაეგო და თვითონ კი მიმალდა წელოუ. მარია ვილინსკაია ორიოლში გაემგზავრა თავის დეიდასთან ეკატერინე პეტრეს ასულ მორდოვიანსთან.

მორდოვიანს მდიდარი მემამულე და განათლებული ქალი იყო. ლიბერალური მემამულის საღონში ხშირი სტუმარები იყვნენ არა მხოლოდ ადგილობრივი ჩინოვნიკობა და მემამულეები, არამედ ორიოლის განათლებული საზოგადოებრიობა და პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ჩამოსული მხატვრები, შერელები და მსახიობები.

მორდოვიანს საღონში მარია ვილინსკაია ხედებოდა ცნობილ შერელებსა და ფოლკლორისტებს პ. იაკუშკინს, მ. ლესკოვს, პ. კირევესკისა და სხვ. მარამ თავისი ვარეგნობითა და გაჰქრიახი ვანებით მიბაყო ორიოლის საზოგადოების ყუარადლება და მალე ამ საღონის შესაშინევი წვერი ვახდა. აქ გაეცნო და დავისლოდა იგი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ოპონანს მარკოვისს, რომელიც ორიოლში გადასახლებული იყო არალეგალური საზოგადოების „კირილე-მეთოდის ძმობის“ წევრობის გამო.

ასეთი სოციალური და კულტურული აქტივრების გაველის ქვეშ ყალიბდებოდა მარია ვილინსკაიის შრომულმდეველობა, მისი ესთეტიკურა შეხედულებანი; ასე გაიღვიძა მასში ინტერესმა ლიტერატურისადმი, უკრაინელი და რუსული ფოლკლორისადმი.

1851 წლის იანვარში მარია ვილინსკაია ცოლად გაჰყვა მარკოვიის და მასთან ერთად ვაგე-

გზავრა უკრაინაში. ჩერნიგოვში, კიევში, ნემი-  
როვში. იგი გულმოდგინედ სწავლობს უკრაინულ  
ლიტერატურას, ექსტრას, აყვირდება შრომით-  
ელ ხალხის მძიმე ცხოვრებას, აგროვებს ხალ-  
ხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მის მიერ  
წაწერილი ორი უკრაინული ხალხური სიმღერა  
1854 წ. გამოქვეყნდა ა. შეტლისკის კრებულში  
„სამხრეთ-რუსეთის ხალხური სიმღერები“.

ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებებმა, ხალხის  
ყოფისა და ფოლკლორის შესანიშნავმა ცოდნამ  
განსაზღვრა მარკო ვოვჩოკის, როგორც მწერ-  
ლის, შემოქმედებითი პროფილი. მწერალი ქა-  
ლის დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩა-  
მოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს  
პროგრესულმა უკრაინულმა და რუსულმა ლიტე-  
რატორამ, განსაკუთრებით კი — ტარას შევ-  
ჩენკის მგზნებარე რევიოციურიმა პოეზიამ.

მარკო ვოვჩოკმა 1856 — 57 წწ. ნემიროვში  
შექმნა თავისი პირველი მოთხრობები. 1857 წ.  
დასასრულს პეტერბურგში გამოქვეყნდა მისი  
წიგნი „ნაროდეი ოპოვიდანიჩა“ (ხალხური მოთხ-  
რობები). მომდევნო წელს ეტრნალეებმა დაიწყეს  
ბეჭდვა „მოთხრობებისა რუსული ხალხური ყო-  
ფა-ცხოვრებიდან“.

მარკო ვოვჩოკი სალიტერატურო ასპარეზზე  
გამოდის 1861 წლის რეფორმის წინა პერიოდში,  
ამ დროს, როდესაც განსაკუთრებით შევავდება  
ქვეყნის პროგრესული ძალების ბრძოლა ფეო-  
დალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ.  
რუსეთის სახელმწიფო ამ პერიოდში დაძაბულ  
მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„ხალხური მოთხრობები“ პირველ ტომში 11  
მოთხრობა შევიდა: „მამა ანდრეი“, „ოღარკა“,  
„მამსიმ გრიშინი“, „გოროზინა“, „კახაიკს ქალი“  
და სხვ. თავისი იდეური შინაარსის მიხედვით ეს  
ნაწარმოებები ფეოდალურ-ბატონყმური სისტე-  
მის წინააღმდეგ იყენენ მიმართული, ავტორი  
რეალისტური კალმით ასახავდა თანამედროვე  
უკრაინელი გლეხობის მდგომარეობას და ცხოვ-  
რებიდან აღებულ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრ-  
დნობით ასურათებდა შემამულეთა თავგასულო-  
ბას, სიმხეცეს, ამორალობას, ყმა-გლეხების მძი-  
მე, იუტანელ ცხოვრებას, მათ უფლებობ, არა-  
ადამიანური მდგომარეობას, მათ ღრტოლვას სი-  
მართლისა და თავისუფლებისაკენ.

ნაწარმოებებში — „ოღარკა“, „გოროზინა“, „კა-  
ხაიკს ქალი“ და სხვ. მწერალი ქალი გვისურა-  
თებს უკრაინელი გლეხი ქალების მძიმე ზვედრს.  
მკითხველის თვალწინ გაივლიან ბატონყმური  
სისტემის „წყალობით“ გათავებებული მებატონ-  
ისების მებრ მორალურად და ფიზიკურად შეუ-  
რაცხოვრილი, გატანჯული ადამიანები — ნაქუ-  
საბილი პატარა გოგონები, ყმობის ქანაში გაბ-  
მული ზღვრებდასისხლიანებული მშრომელი ქა-  
ლები, არაადამიანური შრომისა და მხეცური  
მოქცევისაგან პირუტყვის მდგომარეობამდე დაყ-  
ვანილი დევნები.

მარკო ვოვჩოკის ნაწარმოებთა პირველ კრე-

ბულში შესულია აგრეთვე ისეთი მოთხრობებიც,  
რომლებიც, ძირითადად, გლეხ-ქალების ცხოვ-  
რებას ასახავენ. ასეთებია: „მამა ანდრეი“, „მამა-  
სიმ გრიშინი“ და სხვ. მწერალი ქალი გვისურავს  
ხალხის წრიად გამოსვლით სლოგიურ, მტკიცე ნე-  
ბისყოფიანი ადამიანების ბედს, მათ მძიმე  
ზვედრს, რაც გამოწვეული იყო თანამედროვე  
სოციალური ურთიერთობით. ასეთია, მაგალი-  
თად „მამსიმ გრიშინის“ ერთ-ერთი გმირის კატ-  
რის ისტორია. კატრია თავდაიწყებოდა უფროს  
სემიონად, მაგრამ მამამისი ვათხოვებზე უარს  
ეუბნება, სოციალური უთანასწორობა წინ ვაღი-  
ელობა კატრიას ბედნიერებას, როდესაც გოგო-  
ნა შეიტყობს თავისი გულისსწორის დაღუპვას,  
თვითკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ნა-  
წარმოებში „მამა ანდრეი“ ავტორი გვისჩვენებს  
მამაც და გაბედულ ახალგაზრდა გლეხებს, რომ-  
ლებიც ბატონის რისხვას არ უშინდებიან და მე-  
მამულის მიერ თავისი მხეცური ჟინის მოსაკლ-  
ვად გლეხის გოგონას ვაბატყებენ, სამშვიდობოს  
გაიყვანენ. მტკიცე ნებისყოფიანი და გაბედული  
ქალიშვილის პორტრეტი არის დახატული მოთხ-  
რობაში „დანილო გურნი“. ნატალკა ან ემორ-  
ჩილება შობილების ნება-სურვილს — გააყვეს  
მდიდარ კახაკს, რომელიც მას არ უყვარს. იმე-  
ვარ კაცთან ცხოვრებას იგი სიკვდილს არჩევს.  
მარკო ვოვჩოკი ამავე ნაწარმოებში ილაშქრებს  
ოჯახური დესპოტიზმის წინააღმდეგ, ადამიანის  
მიერ ადამიანის ზავრის, ყოფითი ამორალობის  
წინააღმდეგ.

რევიოლუციონერმა-დემოკრატმა, რეალისტმა  
მწერალმა მარკო ვოვჩოკმა უკვე თავის პირველ  
მხატვრულ ნაწარმოებებში მხატვრული სიტყვის  
ღღობსატების ნერსათვის, ტურვეწვის, სალ-  
ტიკოე-შინდინის და სხვათა მსგავსად მართლად  
ავისახა თავისი თანამედროვე ცხოვრება. გლეხ-  
თა ცხოვრების მძიმე სურათების გვერდით, მარ-  
კო ვოვჩოკმა ასახა აგრეთვე უბრალო ადამი-  
ანის სულიერი ძალა, მდიდარი მორალური თვი-  
სებანი. მისი ნაწარმოებების გმირებს უყვარო  
სიკოცლე და გულითა და სულით მიიღტიან  
თავისუფლებასაკენ, უკეთესი მომავლისაკენ.  
მართალია, მარკო ვოვჩოკის „ხალხური მოთხრო-  
ბების“ პირველი ტომი ტ. შევჩენკოს „ჰიდიამკე-  
ბის“ მსგავსად აჯანყებისაკენ არ მოუწოდებ-  
და, მაგრამ მათში უკვე ნათლად იყო დაპირის-  
პირებული ორი მკვეთრად მოწინააღმდეგე ბანა-  
კი — ყმა გლეხები და შემამულეები.

1859 წელს მარკო ვოვჩოკმა რუსულ ენაზე  
გამოსცა მოთხრობათა კრებულ „მოთხრობები  
რუსული ხალხური ყოფა-ცხოვრებიდან“. ამ კრე-  
ბულში შევიდა მოთხრობები: „ნადეჟდა“, „მა-  
შა“, „კატრინა“, „სამა“ და სხვ. ეს ნაწარ-  
მოებებიც არსებული ბატონყმური სინამდვილის  
წინააღმდეგ იყო მიმართული და გამსკვედილი  
იყო „ხალხისადმი გულთბილი თანაგრძნობით“  
(დობროლიუბოვი).

ნაწარმოებში „მამა“ ავტორი გვისჩვენებს ბა-

ტონემურ სინამდვილეს და რაც მოეპოვა ხალხის ლტოლვას თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ. ნ. დობროლიუბოვი აღნიშნავდა, რომ „მაშას პირობებში დაკვირვებულ და განსაზღვრებულად მაღალი მისწრაფება, რომელიც რუს ხალხის მთელი მისიონარის საერთოა...“ მაშა იმავი, თავისუფლებისმოყვარე გოგონაა. იგი ვერ ეგუება მონურ მდგომარეობას და თავისი ნებისუფროსი დაძაბვისა და სხვისი დახმარებით ახერხებს ყოვლის უღლიდან თავის დაღწევას. ნაწარმოების ფინალში ავტორი ხაზს უსვამს ხმ გარემოებას, რომ მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია გამოავლინოს მთელი თავისი სულიერი სიმდიდრე და ადამიანური შესაძლებლობანი.

„იგი შეთბევილებას ტოვებს შთახველზე მარკო ვოვნიკის მოთხრობა „იგრუშენკა“. ბავშვობიდანვე შიშზე იყო გრემის ცხოვრება, მეშველემ მოსწევია იგი შიშობილურ კერას და თავისი ქალიშვილის გასართობ საგანად — „იგრუშენკად“ ვახადი. მაგრამ გრემმა ამ მდგომარეობაშიც არ კარგავს ადამიანურ ღირსებას და ცხოვრებაში გზის გაკვლევას ახერხებს, რაც მოეპოვა, იგი მორალურად სწებტავ ადამიანად რჩება. სულ სხვა გზით წარიმართა ბატონის განუხერხებელი ქალიშვილის ზინორკას ცხოვრება. ბუნებით ნიჭიერი, მაგრამ აღზრდილია და გარემოთი დამახინჯებული გოგონა ვერ ახერხებს ცხოვრებაში თავისი ადგილის მოწახვას და ჰკუთვნებ იშლება.

„იგრუშენკაში“ რეალისტურად არის ასახული შემამულეთა შეჭობორული ცხოვრება, გამათრახებულია მათი ამორალური ყოფა. ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალურ გმირს მებატონეს შეეძლო მთელი დღე პალატების ბანკის შეკვრაში გაეტარებინა. უსაქმურად შყოფს ბატონი, რითივე რომ შეიქციოს თავი, ლერსმების ფიქარში ჩაქედვით ერთობა. მოთხრობაში ირონიულად არის ნათქვამი, რომ ბატონს ყოველგვარ მდგომარეობაში შყოფს შეველო ჩაქვინის ერთი დარტყვით ლერსმის შექედება.

რეაქციული კრიტიკა მკვედაა მარკო ვოვნიკის ქვინილებების როგორც დამალი ღირსების ნაწარმოებების დაგმობას. მაგრამ ანტიბატონურია ხასიათის მოთხრობების ნიჭიერ ავტორს მთელი მოწინავე რუსეთი მიესალმა, მათ შორის ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ვერცხოვი, პისარევი, სალტიკოვ-შჩენდრინი, ნეკრასოვი და სხვ. ი. ტურგენევიცა რედაქცია გაუკეთა ვოვნიკის მოთხრობების რუსულ თარგმანს. ტ. შევჩენკომ მარკო ვოვნიკს უძღვნა ლექსი, ხოლო შემდეგ ერთ თავისი „კობზარი“ აჩუქა წარწერით: „ჩემს ვოვნიკის ქალიშვილს — მარუსია მარკოვნიკისას. ღვიძლი და ნათლიამა ტარას შევჩენკო“.

მარკო ვოვნიკის ნაწარმოებებში აღტაცებაში მოთყვანეს ვერცხენი. „მინდა ენახო მარკო ვოვნიკი, — წერდა იგი, — მისი წიგნი იმდენად შეუდარებელი რამ არის, რომ მხოლოდ ზემოთის კი არ ეკითხებოდნენ, ტატასაც წერცენის ქ-

ლიშვილი — თ. ბ.) ეკითხებენ მამაშვილ და თანაც ვერცხენ თარგმნის იგი ინგლისურ ენაზე“. ასეთივე მაღალ შეფასებას უძღვნიან ვოვნიკს ვერცხენი მწერალი ქალის მოთხრობას „იგრუშენკა“. 1860 წ. 23 თებერვალს მარკო ვოვნიკისადმი მიწერილ ბარათში იგი აღნიშნავს: „გადავიცილეთ თქვენი „იგრუშენკა“. შესანიშნავი ნაწარმოებია...“.

ნ. დობროლიუბოვიც საგანგებო მწერილი მიუძღვნა მარკო ვოვნიკის შემოქმედებას, რომელშიც მან შეწერალი ქალის მოთხრობების გამოსვლა დიდ ლიტერატურულ მოვლენად აღიარა. „ხალხური მოთხრობების“ ახალი წიგნი, — წერდა იგი, — იმევე ხასიათებითა და ტენდენციებითაა გამსჭვალული, როგორათაც წინა „ნაროდნი ოპიედანისა“ (ხალხური მოთხრობები-თ. ბ.). დიდი ძალეში, რომლებიც ხალხშია დიდებული, და ბატონყმური უფლებების გავლენით მათი გამოვლინების სხვადასხვა ხერხები — აი, რას ეხვედათ ამ მოთხრობებში“.

1859 წელს მარკო ვოვნიკი საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქ 8 წელი დაყო. უცხოეთში ყოფნისას იგი ვაგზის არ ჩვევებდა უკრაინულ და რუსულ ეურნალებთან, ვანაგრძობდა თანამშრომლობას. უცხოეთში მწერალი გაეცნო გაიონენილ რუს რევოლუციონერ მოღვაწეებს — ვერცხენს და ოგარიოვს. ვერცხენს მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 1859 წ. ავოსტოს ვერცხენი წერს: „მარკო ვოვნიკი იმდენში იყო ჩვენთან, მე დიდად კმაყოფილი ვარ მისი, იგი სახელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენს ლიტერატურაში“.

1861 წ. მარკო ვოვნიკი ნეაპოლში ხვდება დობროლიუბოვს. უფრო მოგვიანებით იგი სიაშოვნიბით იფრნებს „ამ შეხვედრას, რომელმაც მის მსოფლმხედველობაზე და შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია და წერს, „...დობროლიუბოვი ამბობდა მე თვალეში მრავალზე და მრავლის მიმართ“.

მარკო ვოვნიკს უცხოეთში ახლო ურთიერთობა და ნაცნობობა ჰქონდა აგრეთვე ეორე ზანდთან, გუსტავ ფლობერთან.

მარკო ვოვნიკი წერს რიგ მოთხრობებს რუსულ და უკრაინულ ენებზე: „ინსტიტუტული ქალი“, „სამი ბედი“, „კარმელითე“, რომანს „იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა სამი და“ და სხვ. 1862 წელს რუსეთში გამოდის „ხალხური მოთხრობების“ მეორე ტომი.

მოთხრობას „ინსტიტუტული ქალი“, რომელიც მწერალმა ტარას შევჩენკოს მიუძღვნა, ანტიბატონყმური ხასიათის უკრაინულ პროზაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. არსებითად იგი უკრაინულ ლიტერატურაში თანამედროვე თემაზე დაწერილი პირველი რეალისტური სოციალური დიდებანიანი მოთხრობაა.

ნაწარმოებში (დაბატულია ფართო რეალისტურა სურათი ბატონყმური სოფლისა. კირვეული ქალბატონი — ინსტიტუტული ქალი ბრუნდება



თავის სოფელში, ყველგან სიმაკრეს იწენს და ცდილობს აუცილებლად დასაჯოს ვინმე, თუნდაც არაეინ იყოს დამნაშავე. იგი სცემს ყმა გლეხის ქალს უსტიანს, ჭკებეტს, სჯიჯგინს, კაწრახს...“ მას მან ისე მოაწყო ცხოვრება, რომ სოფელად „ხალხი იღვებოდა და დასაძინებლად წევბოდა ცრემლებითა და წვევლა-კრულთა“. მწერალი ინსტიტუტელი ქალის პორტრეტის დიხატვით დესპოტი შემატონის ტიპიურ სურათს იძლევა.

მარკო ვოეჩოკა ამავე ნაწარმოებში შექმნა ნებისყოფიანი, ბრძოლის უნარიანი გლეხების სახეები. ასეთია, მაგალითად პროკოტი, რომელიც აცხადებს, რომ „...ან განთავისუფლდი, ან დაიღუპე“, იგი გაბედულად გადაუდგება წინ გამხეცებულ პანის და ვუბნება: „კმარა, პანი კმარა — ეს აღარ განმეორდება, კმარა!“. გლეხი-უტრატის თვისებებით დააჯილდოვა ავტორმა აგრეთვე ნაზარიც.

1867 წ. მარკო ვოეჩოკი რუსეთში დაბრუნდა და პეტერბურგში დასახლდა. მალე მან ეურნალ „ოტენესტენიეე ზაპისკიში“ გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოებები „ცოცხალი სული“, „თბილი ბუდე“, „მთავარდნილ ადგილას“ და სხვ.

რომანი „ცოცხალი სული“ ჩერნიშევსკის ტრადიციისა და განსაკუთრებით კი მისი რომანის „რა ვაკეთოთ?“ თავისებურ განგრძობას წარმოადგენს. ორივე მწერალს აინტერესებს „ახალი აღმავლება“. მარკო ვოეჩოკის ერთ-ერთ გმირს მამას არ აყმაყოფილებს ლიბერალთა ზანტე მოქმედება და ცხოვრების საკითხების გადაწყვეტისას მებტ გაბედულებას, მებტ სითამაშეს მოითხოვს. იგი აქტიური მოქმედებისაყენ, ბრძოლისაყენ მისწრაფის და კავშირს წვევტს ლიბერალურ-თავადაზნაურულ წრესთან. მამა ერთი იდელი არის აღფრთოვანებული — იგი უტიკობს თავისი ცხოვრება აღმავლთა ბედნიერების მოპოვების საქმეს შესწიროს.

მარკო ვოეჩოკი თავის ნაწარმოებში ლიბერალურ სამყაროს კუშმარტიად საქმის კაცს, რევოლუციონერ ზავაინს უბირისიბრებს. მისი სახის შექმნისას ავტორი ცდილობდა რეალისტური თხრობის გზით მმართველი კლასის აქტიური მოწინააღმდეგე მებტბოლი აღმავლის დაბატვის. ამ შემთხვევაში ავტორი უყვე ზღაპარსა და ფოლკლორულ ელემენტებს კი აღარ იშველიებს, არამედ ამყარად, დაუფარავად, აღტაცებით ხატავს მებტბოლი რევოლუციონერის სახეს.

მამა და ზავაინი ადგებიან ბრძოლის ბზას. ეს ის ბზაა, რომელსაც მათზე ადრე ვაკვეა სონია მოთხრობიდან „იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა სამი და“ და რომელიც უფრო მოგვიანებით ჯირჩია მინიამ ნაწარმოებიდან „მთავარდნილ ადგილას“.

მარკო ვოეჩოკმა რევოლუციონერ დემოკრატთა მსგავსად შენიშნა ახალი ცხოვრების ახალი აღმავანი და შეძლებისდაგვარად სრულად ასახა

იგი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ამშნია მწერალი ქალის ძალა.

**მარკო ვოეჩოკი**

ერათგან ჩერნიშევსკი ამოუტყდა ცხოვრება რად უფრო მეტი იცის რახმეტოვზე, ვიდრე შეუძლია თქვას. ეს მით უფრო ითქმის მარკო ვოეჩოკის მიმართ. მაშინდელი საცენზორო პირობების გამო მწერალ ქალს არ შეეძლო მხატვრული ტილოს შექმნისას მკითხველისათვის თავისუფლად გაეხდო თავისი ზრახვები, თავისი რევოლუციური აზრები. უნდა აღინიშნოს, რომ რომანი იწერებოდა „ოტენესტენიეე ზაპისკისათვის“. ეს თურნალი უყვე ნეტრასოვის რედაქციით გაშლილია. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ცენზურამ „სოვრემენიკის“ დახურვის შემდეგ, არ დათო ნეტრასოვს ნება ახალი თურნალის გამოცემისა და მანაც კრავესკისთგან იჯარით იიღო თურნალი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, იდელი სიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო. მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც კი მარკო ვოეჩოკი აზრების თავის ნაწარმოებში რევოლუციური აზრებისა და იდეების ნაქსოვას.

მარკო ვოეჩოკი თავისი ესთეტიკური შეხედულებებით ახლოს იდგა ჩერნიშევსკის ესთეტიკთან. ვოეჩოკი შესანიშნავი მწერალი რეალისტი, იგი რეალისტურ ფერებში გვიხატავს თავისი თანამედროვე ეპოქის წინააღმდეგობებს, წინააღმდეგობებს უმიწაწულ გლეხთა მსახესა და მდიდარ მემამულეებს შორის. მარკო ვოეჩოკს უყვარდა ხალხი, სწამდა მისი და კემპაროტილ სეკეროდა, რომ დადგება დრო როდესაც მრავალტარჯული ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს.

მებტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა მარკო ვოეჩოკი აგრეთვე თარგმანის დარგშიც. მან დ. პისარეოთან ერთად თარგმნა დარვინის „სახეობა წარმოქმნა“, ბრემის „ცხოველთა სამყარო“. მარკო ვოეჩოკსაცვე ეკუთვნის რუსულ ენაზე პირველი თარგმანები ეიულ ვერნის რომანებისა: „კაპიტან გრანტის შეილები“, „80.000 კილომეტრი წყალქვეშ“, „კაპიტან გატერასის თავდაჯასავალი“, „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისაყენ“, „საიდუმლო კენჭელი“ და სხვ. მწერალი თარგმნიდა აგრეთვე პიუგოს, ანდერსენისა და სხვათა ნაწარმოებებს.

გარდაიცვალა მარკო ვოეჩოკი 1907 წლის 10 აგვისტოს ქალაქ ნალოჟში.

მარკო ვოეჩოკის ნაწარმოებები ამჟამადც განაგრძობენ ცხოვრებას. ისინი თარგმნილი არიან საბჭოთა კავშირის მოძმე ერების ენებზე, აგრეთვე ფრანგულ, ინგლისურ, ბულგარულ, ჩეხურ ენებზე. უკრაინაში ვოეჩოკის ნაწარმოებებზე მილიონობით ახალგაზრდა იზრდება.

ცხოვრება და შემოქმედება მარკო ვოეჩოკისა, რომელიც იზრდებოდა და ყალიბდებოდა ორი ეროვნული კულტურის — უკრაინული და რუსული პროგრესული კულტურის ნიადაგზე, ყოველთვის დარჩება ცოცხალ და ამადლეველ მაგალითად ორი ხალხის ურღვევი მეგობრისისა.



# საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ღამახინჯების წინააღმდეგ

ამ ბოლო დროს იურისტების მიერ გამოკვეყნებულია რამდენიმე შრომა, სადაც აღძრულია საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ესენია: ვ. სოსელიას წერილი — „არსებობდა თუ არა საქართველოში მონათმფლობელური ფორმაცია?“ („Вопросы истории“, 1956, № 10), მისივე, „საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ეფესისტვალისნის მიხედვით“ და ბ. ფურცხვაინიძის — „ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ამ შრომებში წამოყენებული დებულებანი. სარეცენზიო შრომების ავტორები ზოგიერთსა და იმავე საკითხს ეხებიან. ამასთანავე, ამ საკითხებზე ერთსა და იმავე შეხედულებასაც აცხადებენ, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ შეხედულებათა განხილვა ერთ წერიაში მოგვეცა.

ვ. სოსელიას კონცეპციით, საქართველოს მონათმფლობელობა არ გავლდა; საქართველოში პირველყოფილ-თემური წყობილება ფეოდალიზმში შეცვალა.

ვ. სოსელია ფიქრობს, რომ ამ ფეოდალურ კვეყნებს, რომლებშიც მონათმფლობელობა გაიარეს (ბიზანტია, აღმოსავლეთის კვეყნები) აჯერ კიდევ ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში ჰქონდათ განვითარებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ორგანიზაცია.<sup>1</sup> საქართველოში, ვ. სოსელიას აზრით, სხვა მდგომარეობაა: „საქართველოში ვითომდა არსებული მონათმფლობელური ეპოქის არავითარი საკანონმდებლო მუშაობის კვალი არ დარჩენილა; არც ადრინდელი ფეოდალიზმის დროინდელი იურიდიული ძეგლები XI საუკუნემდე არ შენახულა“<sup>2</sup> ვ. სოსელიას სიტყვით, ყურადღებას იმერობს XI—XVIII საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლები: „გარეგნულად ისინი სრულად დატუშდებულა, რომ არაფერი ვთქვათ ნორმების კანონიკური ხასიათზე, ცალკეული მუხლები გაბნეულია სამართლის წიგნში ყოველგვარი სისტემის გარეშე, ქართული ფეოდა-

ლური სამართლისათვის XVIII საუკუნემდე დამახასიათებელია კომპოზიციების სისტემა და მასთან ერთად კერძო საწყისის ბატონობა. საჯარო ელემენტებს მკვლევარები<sup>3</sup> ძლიერ „ნახტულავენ“ ორ-სამ მუხლში. ამ მხრივ XI—XVIII საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლები „რუსკაია პრაქტის“ სიმამლევზედაც არ დგანან. მრავალ შემთხვევაში დაკანონებულია სისხლის აღება, მაშინ როდესაც „ნეტელ რუსკაია პრაქტისში“ ფაქსაციაქმნილია სისხლის აღების აკრძალვა... იმის ნაკვალევით არ არის, რამ ფეოდალურ საქართველოს წარსულისაგან შემდგომობით მივლით სახელმწიფოს რომელმე ინსტიტუტზე. მან მიიღო და გამოიყენა ფეოდალური საზოგადოების პირობებში მხოლოდ რამოდენიმე ინსტიტუტი გვაროვნული წყობილება... სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მრავალი ინსტიტუტი ნახტუბებია მუხობულებისაგან, უმთავრესად ირანის ხალხებისაგან“<sup>4</sup>.

მართლა ისე ჩამორჩენილი იყო ქართული „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი“ სისტემა, როგორც ეს ვ. სოსელიამ წარმოგვიდგინა?

პირველი, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს, ის გარემოებაა, რომ ყველა ფეოდალური სამართლის წიგნი კანონიკურ საფუძველზე შედგენილი, რადგანაც ფეოდალური სამართალი, რომლის სისტემა წოდებრივ პრინციპზეა აგებული. არ შეიძლება იტყვოდეს დარგობრივ დაყოფას. ამ მხრივ ვ. სოსელიას შენიშვნა ქართული სამართლის შესახებ მოკლებულია საფუძველს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფეოდალური სამართლის წიგნებში თავმოყრილი ნორმები წარმოიშობიან დროდადრო, თანდათანობით, რომელიმე ცალკეული კანონის გადაწყვეტის მიხედვით. ამ მხრივ ქართული ფეოდალური სამართლის წიგნებზე არ წარმოადგენს გამოთავის-ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნის შესწავლა გვარწმუნებს, რომ კანონმდებელი მუ-

<sup>1</sup> „Вопросы истории“ 1956, № 10, გვ. 82.

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> ვ. სოსელია წერს „მკვლევარებზე“, მაგრამ იმომეებს მხოლოდ ა. ვაჩიშვილს (ა. ვაჩიშვილის შრომების შესახებ იხ. ჩვენი რეცენზიები: იურ. „მნათობი“, 1951, № 4; საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, 1952 წ., გვ. 23—24).

<sup>4</sup> „Вопросы истории“, 1956, № 10, გვ. 82.

შობდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით: თვითნებური ნორმა ვალდებულია ამ გეგმის მიხედვით თავის ადგილზე და ურთიერთკავშირშიც. ვახტანგის საყოფიერაციო მოღვაწეობას თავისი გაქანებით, თავისი პერსპექტივებით, ეკეციანიონითა და შინაგანი მიზანდასახულობის ერთიანობით სამართლის ისტორიაში სამართალი ადგილი უკავია.

ქართული ხალხის მრავალმხრივია და მღელღარ წარსულში ეროვნულ იურიდიულ შეიქმნელებს სამართალი ადგილი უკავია. მართალია XI საუკუნის წინანდელ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებს ჩვენამდის არ მოუღწევია, მაგრამ საკანონმდებლო ძეგლებს ვაძლავ, არის სხვა წყაროები, რომლებიც უშუალოდ ხდის ქართული იურიდიული აზროვნების განვითარების მაღალ დონეს.

სამართლის დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის სამართალს. სისხლის სამართალში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრალის პრობლემას. ბრალის საკითხის დამუშავების სიღრმის ხარისხის მიხედვით იზომება სისხლის სამართლის განვითარება<sup>1</sup>, ბრალის პრობლემა, მისი დამუშავების „მეტი თუ ნაკლები სიღრმე, არის ერთგვარი ბარომეტრი სისხლის სამართლის, — საუკეთესო მითვლემელი“<sup>2</sup> ანუ თუ იმ ხალხის კულტურული დონისა. „თბილისური შერაცხვის უაზროფას, სრულიად სამართლიანად უკავშირებენ, საერთოდ, გონებრივ პროგრესს“<sup>3</sup>.

ამ მიმართულებით საინტერესოა გვადგენოთ თვლი ქართული ფეოდალური სისხლის სამართლის აზროვნების განვითარებას. ზარკულ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ექვთიმე მთაწმიდელის (955 — 1028) მოღვაწეობა. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ექვთიმეს თავისი ორიგინალური შეხედულებანი გამოთქმული აქვს ბერძნული კანონების ქართულად თარგმნისას კომენტარების სახით.

მკვლელობასთან დაკავშირებით ექვთიმე დაწერილებით ჩერდება ბრალის ფორმებზე. ექვთიმე მთაწმიდელი განასხვავებს მკვლელობას განზრახვით, გაუფრთხილებლობით და შემთხვევით. მეტად საყურადღებოა ექვთიმეს განმარტებანი დანაშაულის სხვადასხვა სახის ბრალის ფორმებთან დაკავშირებით. ექვთიმეს აზრით, თუ ვინმემ ესროლა ქვა ან ჯოხი ძალს, ან კიდევ შესტყორცნა ხეს ნაყოფის ჩამოსაყრელად და ქვა ან ჯოხი მოხვდა კაცს და მოკლა, ასეთი მოქმედება ჩადენილია როგორც

„უნებელი და გარეშე გონებისა და განზრახვისა“, რადგანაც „განზრახვა და ნება“ არ იყო. კაცის სიყვლილი, აგრეთვე, როცა ვინმეს თავისი მოწოდება ან „მონა“ წყრთნის ღრან შემოაკვლავს, ე. ი. სკეპს და ვერ გამოზომავს, მეტი მოუვა და დაზარალებული მოკვდება, რადგანაც მას უნდა მოჰქონდეს ან „მონის“ გამოსწორება („მოკვდავად მისა უწესობისაგან“) და არა მოკვლა, ამიტომ ასეთი მკვლელობა მას დაუდევრობად უნდა ჩაეთვალოს<sup>4</sup>.

ექვთიმე მთაწმიდელი არ ჩერდება გაუფრთხილებლობისა და შემთხვევის განსხვავებაზე; მართალია, მას არა აქვს გაუფრთხილებლობის ცნების გამოხატველი ტერმინი (გაუფრთხილებლობისა და შემთხვევისათვის ის ხმარობს ტერმინს „შემთხვევა“). მიუხედავად ამისა, მის მიერ აღწერილი მავალითებიდან, მის მიერ ბრალის ხარისხის დანაწევრებიდან, ბრალის ფორმების სხვადასხვა სახეების კონკრეტული მავალითების დახასიათებიდან ჩანს, რომ ექვთიმე მთაწმიდელი გაუფრთხილებლობასაც გულისხმობს, როგორც ბრალის ფორმას.

ექვთიმე შემოაღწერილთან შედარებით უფრო მძიმე დანაშაულად თვლის, თუ ვინმე „შფოთის“ დროს, ე. ი. ჩხუბის დროს მოწინააღმდეგეს ზღლით, ქვით ან ჯოხით სკეპს ამ მიზნით. რომ „ატიკონს“ რაიმე მას, ან დაჯანს ის, მაგრამ მოწინააღმდეგე მოკვდება, მართალია, ექვთიმე მთაწმიდელის სიტყვით, მას მოკვლა არ უნდა, მაგრამ „ესრეთ რისხვით და გულისწყრომით ურიდალ“ არ უნდა დაერტყა. ამიტომ ასეთი დანაშაული „მალბოზელ არს ნებსითისა კაცის კელასა“<sup>5</sup>. მაშასადამე, ასეთი მკვლელობა განზრახვით მკვლელობას არ მიეკუთვნება, მაგრამ მასთან ახლოს არის.

ექვთიმეს აზრით, მკვლელობა „ნებსითისა მიუხედავად“, როცა ვინმე მოპირდაპირეს ქვას ან ჯოხს ესერის, რომ „ავნოს ოდენ“, ე. ი. სიყვლილი მისი არ უნდა („არა არს გონება მისი, რათამცა მოკლა“), მაგრამ „ფიცებულად“ სტყორცნა, არ გათვალისწინა ქვის ან ხის სიმძიმე, ან ის ვარემოება, რომ ასეთი სიმძიმე, განსაკუთრებით, თუ ის მოხვდება ალამინის სიოცხლისათვის სახელგანთი ადგილას („ფიცებულად სტყორცნათა ანუ სიმძიმითა ქვისა მის გინა შეშისათა, ან საყრძოლვესა ადგილსა“), გამოიწვევს სიკვდილს<sup>6</sup>.

ექვთიმეს აზრით, „ნებსით“ ანუ განზრახვით დანაშაული მამინ არის, როცა ვინმე მოკლავს

<sup>1</sup> Франц фон Лист, Учебник уголовного права. 1903, стр. 169.

<sup>2</sup> Г. С. Фальдштейн, Учение о формах виновности в уголовном праве, 1902, стр. 53.

<sup>4</sup> Правила VI Вселенского собора, („Древности Восточные“, т. II, вып. III, 1903, стр. 129—130, § 87).

<sup>5</sup> იქვე, გვ. 130, § 87.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 130, 87.



კაცს „შურისგებით“; „შურისგებით“ მკვლელობა ჰაშინ გვაქვს, ექვთიმეს განმარტებით, როცა შურის მაძიებელი შაჰინააღმდეგეს „ქელ-ყოფს“ მახვილთა, ცულით ან ისრით, ე. ი. ისეთი იარაღით, რომელთა ხმარებით დამნაშავეს გათავალისწინებული ჰქონდა და კიდევ სურდა მოწინააღმდეგის მოკლა<sup>1</sup>.

მეტად საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ჩამოთვლილი დანაშაულის სახეებისაგან ექვთიმე ასხევეებს ისეთ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია „სრულიად ნებსით“; ასეთია „კაცის ეჭლანი ნებსითნი და განზრახვითნი“, როცა მკვლელობა ჩადენილია „ავაზაკთა“ მიერ „ბრძოლაში“ ანგარეობისათვის და მიხევევისა უცხოთა საფასეთასა“, მასსადამდე, ავაზაკის თავდასხმა გაძარცვის მიზნით, ან თავდასხმა დასატყვევებლად და ამოსაწყვეტად „სრულიად ნებსითნი კაცი ეჭლანი“ არის<sup>2</sup>, აქ აღარაფერია საეჭვო (რომელთა შინა იქვე არცა ერთი არის)<sup>3</sup>.

ექვთიმე მოაწმიდელი იხილავს აგრეთვე მკვლელობის შემდეგს სახეებს: ა) ქალისათვის წამლის მიცემა იმ მიზნით, რომ მეცელი მოეშალოს მას, ასეთი დანაშაული ითვლება განზრახ მკვლელობად; ამ შემთხვევაში დანაშავე არის როგორც წამლის მიმცემი, ისე წამლის მიღებელი — დედა; „კაცის მკვლეონი არიან — მიმცემელი იგი წამლისანი და მიმღებელი მისნი“, რადგანაც „განზრახვა და ნება“ მათი იყო „საშოსა შინა“ ბავშვის მოკლა წამლის მიმცემთ, განმარტავს ექვთიმე მოაწმიდელი, „მრავალ-გზის“ გამოცდილების შედეგად, უნდა სკოდირდეთ, რომ ასეთი წამალი არათუ ბავშვისათვის, არამედ დედის სიცოცხლისათვისაც სახიფათო იყო<sup>4</sup>.

ბ) „ნებსით და ბოროტ“ მკვლელობად თვლის ექვთიმე მოაწმიდელი, როცა ქალი, — იმ მიზნით რომ მამაკაცმა შეიყვაროს. — წამალს მიავლებინებს მას, რის შედეგად წამლის მიღებამ მოკლდება. ჩასაკვირველია, ვანაგრძობს ექვთიმე, ქალს ამ შემთხვევაში კაცის სიყვდილი არ უნდოდა, პირიქით, მას ამ კაცის სიყვარული ჰქონდა, მაგრამ ასეთი საშუალებით შეეყვარება: „უჯერო... და საეშკიოა“ არის, ამიტომ კაცის სიყვდილის შემთხვევაში, ასეთი დანაშაული „ნებსითისა კაცის-ეჭლათა თანა არს“<sup>5</sup>.

ამგვარად, ექვთიმეს მოძღვრების მიხედვით, სასჯელის მყენების საფუძველი ბრალია, რომელსაც აქვს შემდეგი ფორმები: 1) „განზრახ-

ვა“ — ტერმინი, რომელსაც დღესაც იგივე შინაარსი აქვს. 2) ვაუფროხილუმან<sup>6</sup> (სწუთმ მანს, რომელიც ახლა არის განზრახვითანი) მუკამა უფროხილუმბომა და 4) შემთხვევა, რომელიც ზოგჯერ ბრალს გამოარჩევს.

გარდა ამისა, არსებობს ბრალის სრულიად მომხსნელი ან შემამსუბუქებელი და დამამჩივებელი გარემოებანი. ბრალს სრულიად ხსნის ან ამსუბუქებს: 1) ასაკი, 2) შერაცხვის უნარიანობა, 3) იძულება.

ბრალს ამძიმებს: 1) როცა დანაშავე არ იმყოფება იღვწების ქვეშ, საერთოდ, დანაშავე ისეთი პიროვნება, რომელიც აუქტების ვაუფენსში იმყოფათად ექვეყნა, არის „ბუნებით გრილი“ და დანაშაულის ჩადენის დროს „არა ბუნება მჰლაკრობდა, არამედ ნება იგი ცოდვის მოყვარე“<sup>7</sup>.

2) თუ დანაშავე უბრალო ადამიანი კი არ არის, არამედ „სწავლული და მეცნიერი“ 3) თუ დანაშაული ჩადენილია საზოგადოებრივად საშიშარ ადგილზე.

ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა იცის თანამორჩილება, (სახბიო, თანამეწყე, „თანამედგამი“, „მეშეული“ და განზრახა)<sup>8</sup>.

სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს საშუალება, უფრო აღწერილებით შევჩერდეთ ექვთიმე მოაწმიდელის მოძღვრებაზე, ან, საერთოდ, X—XII საუკუნის სხვა ავტორებზე და წყაროებზე, მაგრამ თქმულიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ განვითარების როგორ მალად საფეხურზე იყო ასული X—XII საუკუნეების ქართული ფეოდალური იურიდიული აზროვნება.

სისხლის სამართლის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევჩერდეთ გიორგი V-ის სამართლის წიგნზე. ეს წიგნი შედგენილია XIV საუკუნეში სპეციალურად აღმოჩენილ საქართველოს მთელთათვის (ამის შესახებ სამართლის შესავალშია ნათქვამი), სიღვი XX საუკუნეშიც კი ძლიერი იყო გვიარცხული წყობილების ინსტიტუტები. ჩასაკვირველია, სამართლის წიგნი, რომელსაც პარტიკულარული ხასიათი აქვს და საქართველოს ჩამორჩენილი კუთხისათვის დაიწერა, არ შეიძლება უოფილიყო ქართული სამართლის განვითარების დონის მაჩვენებელი. პირიქით, მასში ასახული უნდა ყოფილიყო ეს ჩამორჩენილობა. სამწუხაროდ, გ. სოსელია, საკუროდ არ ცნობს მოუთითოს ამ თავისებურებაზე და ქართული სამართლის განვითარების დანეს გიორგი V-ის სამართლის წიგნს მიხედვით განსაზღვრავს.

კონონმდებელი ამ სამართლის წიგნში იძულებულია ანგარიში გაუწიოს მოსახლეობის გან-

<sup>1</sup> Правила VI Вселенского собора („Древоности Восточные“, т. II, вып. III, 1903, стр. 130, § 87).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 130—131, § 38.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 130, § 38.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 131, § 38.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1929, გვ. 251—289.

ეთარების დონეს, მთებში არსებულ სისხლის აღების წესს და სხვა. მიუხედავად ამისა, ის გარემოება, რომ ქართული სამართლის განვითარების დონე მაღალი იყო ეს თავს იჩენს თვითონ ამ სამართლის წყნებაში, რომელიც ერთგვარი შეხვედრა მოხდა განვითარებული სამართლის საწყისებისა მთელთა წეს-ჩვეულებასთან. და ეს იმით, რომ სამართლის წიგნი შედგენილი იყო ქართული მალაგანიითარებული „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი“ სისტემის მიერ.

ამ შრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს სამართლის წიგნის მე-15 მუხლი, ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, თანამონაწილე ისევე აგებდა პასუხს, როგორც შემსრულებელი. გიორგი V-ის სამართლის წიგნის მიხედვით, შამის ან შინის სიკვდილი კვალიფიციურად დანაშაულისა კანონმდებელს სხენებულ მუხლში განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში, ე. ი. შობების მოკვლის შემთხვევაში, თანამონაწილე გამონაკლისს უნდა წარმოადგინდეს იმ შრივ, რომ მან არ უნდა აგოს პასუხი კვალიფიციური დანაშაულისათვის. შობლის მოკვლა კვალიფიციურ დანაშაულად იმით ითვლებოდა, რომ შვილის შობისას შობით განსაკუთრებული ვადლებულება ეკისრებოდა, მაგრამ გარეშე პიროვნებისათვის, თანამონაწილისათვის კი მოკლული შამი არ იყო, ეს მისთვის უნდა ყოფილიყო არაკვალიფიციურული მკვლელობა.

ქართული სამართლის განვითარების დონის დასახასიათებლად დიდა მნიშვნელობა აქვს ცდის დასჯის ინსტიტუტის შესწავლას. ურბანელის დონისა ის გარემოება, რომ „რომელ სამართალს არ გამოუშვებებია ცდის შესახებ ზოგადი ცნება და რომ მისთვის უცნობი იყო განსაკუთრებული ტერმინი ამ მოვლენის აღსანიშნავად“<sup>1</sup>. ფეოდალურ ეპოქაში დასრულდა მარყუებლად წინასწარმოქმედების დასჯადობის საწყისებისა იყვნენ XII—XIII საუკუნეების ატალიელი იურისტები, რომლებიც სამართლის ისტორიაში ცნობილი არიან გლოსატორების სხელწოდებით<sup>2</sup>, გერმანულ სამართალში ცდის დასჯადობის ინსტიტუტი წარმოიშვა გვიანდროდლურ პერიოდში XIV—XV საუკუნეებში<sup>3</sup>. საფრანგეთის სამართალშიც დაახლოებით ამ პერიოდში წარმოიშვა ეს ინსტიტუტი<sup>4</sup>.

რუსეთში, „ცდის დასჯადობის ინსტიტუტი არ წარმოიშობილა ერთბაშად. სათანადო დიდგენილებათა გამოცდის პერიოდი იყოფა ორად: პირველი პერიოდი ეკუთვნის პეტრეს ეპოქას და ხასიათდება ცდის ცნების წარმოშო-

ბით ჩვენს სამართალში ზოგიერთი ცალკეული დანაშაულის შემთხვევაში (მკვლელობა, სექსობრივი ძალადობა, ქურდობა და სხვა). მაგრამ ეს დიდგენილებანი ჩვენს სამართალში პირველად გაღრმავების და დიდას რჩებიან სინგულარულ დიდგენილებებად, რომლებიც არ არიან კავშირში სამართლის საერთო სისტემასთან. მეორე პერიოდი ეკუთვნის XIX საუკუნის დასაწყისს და აღინიშნება ჩვენში ცდის, როგორც დანაშაულის ზოგადი ფორმის მიყვებულება ჩვენი სამართლის მიერ წინასწარი მოქმედების დასჯადობის ინსტიტუტის საბოლოო რეცეფცია“<sup>1</sup>.

როგორც რუსეთის, ისე ფეოდალური ქვეყნების ძველი სამართალი იცნობდა დანაშაულებრივი მკვლელობის დასჯადობას, თუ ასეთი მკვლელობა თავისთავში შეიცავდა დამთავრებულ დანაშაულის ნიშნებს<sup>2</sup>. რუსეთში „ყოველ შემთხვევაში აღექვა მიხედვის ძის 1689 წლის დებულებამდე კანონი დებდა ცდის შესახებ“<sup>3</sup>.

ამავე დროს, ქართული სამართლის ერთერთი, XIV საუკუნის, ძველი, გ. სოსელიას მიერ აგრე დაკონსტრუირებული წარმოდგენილი, ბეჭადლას სამართლის წიგნი (მუხ. 134) იცნობს „ცდის“ ცნებას და ამ ცნებას აქ ისეთივე შინაარსი აქვს, როგორც მის დღეს აქვს. 134-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმე ვისმეს თავს დაესხმის სიკვდილის მიზნით, „და თავი კაცი ღმერთთან შთარჩინოს“, ე. ი. ვისაც თავს დაესხნენ, ის გადარჩება, თაღამსმელი პასუხს აგებს „სიკვდილის ცდისათვის“. ბეჭადლას სამართლის წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომლის სხვადასხვა ნაწილი შედგენილია სხვადასხვა დროს — დაწყებული მე-8 საუკუნიდან და გათავებული მე-14 საუკუნით. 134-ე მუხლი, რომელიც ცდის ცნება, კრებულში, სხვა მუხლებთან ერთად (მუხ. 99—100), მე-11 საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი<sup>4</sup>.

ყველა ამის შემდეგ გ. სოსელიას დებულება ფეოდალური ქართული სამართლის კატასტროფულად დაბალი დონის შესახებ გუგუბრობის ნაყოფია.

გ. სოსელიას აზრით, „ქართული ფეოდალური სამართლისათვის XVIII საუკუნემდე დამახასიათებელია კომპრომიზების სისტემა და, ამასთან ერთად, კერძო საწყისი ბატონობა“, ზოლო საჯარო ელემენტები ქართულ სამართალში

<sup>1</sup> იქვე, გვ. 365.

<sup>2</sup> Владимирский-Буданов, Обзор истории русского права. 1907, стр. 350.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 133, 354.

<sup>4</sup> ი. დლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 43, 60.

<sup>1</sup> А. И. Круглянский. Учение о покушении на преступление, т. I, 1917, стр. 172.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 238.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 335.

თითქმის არ მოიპოვებიათ: გ. სოსელიას ამ მოსაზრებასაც არავითარი საფუძველი არა აქვს.

უპირველეს ყოვლისა, თვით კომპოზიციების სისტემა ქართულ სამართალში არ გამოირჩევა სამართლის საჯარო ელემენტების არსებობას (დისტრუქციული, ვახტანგის სამართლის წიგნი, მეხ. 154 და სხვა).

გარდა ამისა, ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა შემოქმედება საჯარო ხასიათის სასჯელთა სისტემა, საჯარო საწყისზე აგებულ სასჯელის სახეებს ვხვდებით როგორც სამართლის წიგნებში, ისე სხვადასხვა წყაროში. ვახტანგის სამართლის წიგნი საჯარო ხასიათის სასჯელს ითვალისწინებს სამშობლოს მოლაღობისათვის, სახელმწიფო საღაროს ვატეხისათვის, მეფესა და ქათალიკოსის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის და სხვა. ვახტანგ VI-მ მოლაღობა ფეოდალი სიკვდილით დასაჯა, ერეკლე მეორემ ამილხარი სხეულის დამაზინებელი სასჯელი დასაჯა; ერეკლეს დროს სასამართლომ პაატა ბატონიშვილს სიკვდილით დასაჯის განაჩენი გამოუცხა; ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა იცოდა სასჯელის სხვადასხვა სახე — ნაშობჩრობა, დაბრკვევა, ენის ამოჭრა, სამშობლოდან გაძევება, ქონების კონფისკაცია და სხვა. რასაკვირველია, სრულებით არიფერს ნიშნავს ის გარემოება, რომ სასჯელის ყველა სახეს არ ვხვდებით სამართლის წიგნებში (სამართლის ყველა წიგნს ჩვეულებრივად არც მოუღწევია). ზემოთხაზოთილი სახეები ცხადყოფს იმ ვარაუდებს რომ ქართულ ფეოდალურ სამართალს შემოქმედებელი მქონდა საჯარო საწყისზე აგებული სასჯელთა სისტემა.

ქართული ფეოდალური სისხლის სამართლის განვითარების მაღალი დონე განცალკევებულად არა დგას. განვითარების ასევე მაღალ დონეზეა სამართლის სხვა დარგებიც.

X საუკუნის ქართულ ძეგლში გვხვდება საკუთრების უფლებების გამოხატული ტერმინი „საკუთრება“ იმავე შინაარსით, რაც დღეს მას აქვს. სერაპიონ ზარბუჯის „ცხოვრებაში“ ვითახულობთ: გ. ჩორხანელმა თავის ქონება თავის დასა და მის შვილებს „საკუთრებით განუთხოვსა“<sup>1</sup>. გერმანის ფეოდალურ სახელმწიფოებში რომელი dominium-ის შესატყვის ამ ტერმინს მხოლოდ XIV საუკუნიდან ვხვდებით. გერმანიაში Eigentum-ის ხმაკების ცალკეული შემთხვევა XIII საუკუნეში გვხვდება<sup>2</sup>, ხოლო საკუთრების აბსტრაქტული ცნება გერმანიაში საბოლოოდ იკიდებს ფეხს მხოლოდ XVI საუკუნეში. რუსეთში საკუთრების აღმნიშვნელი

ტერმინი „Собственность“ პირველად გვხვდება 1767 წლის გენერალ-პროკურატორისადმი მიტოვებულ განაწესში<sup>1</sup>. ის ფაქტი, რომ X საუკუნის საქართველოში საკუთრების უფლების ინსტიტუტი სრულიად ჩამოყალიბებული ჩანს რომის dominium-ის შესატყვისად, მოწმობს ქართული იურიდიული აზროვნების მაღალ დონეს.

ამასთანავე, ბაგრატი IV-ის ცნობილი სიგელი მიჯნაძორელთა და ოპიზართა დავის შესახებ ცხადყოფს ქართული ფეოდალური პროცესუალური სამართლის განვითარებას: სიგელში ნაშვრები სასამართლო პროცესი, მხარეების პროცესუალური უფლებები, მტკიცების სახეები, პროცესის სტადიები, წარმომადგენლობა სასამართლოში, და სხვა. ამ ძველს მიხედვით, პროცესუალური სამართალი იმდენად მაღალ დონეზე ჩანს, რომ საკითხი ისმის — ზომ არ იყო ერთმანეთისაგან გაყოფილი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესები?

პროცესუალური სამართლის შესწავლისათვის ფრიალ მნიშვნელოვანია, აგრეთვე უფრო გვიანდელი — XIII საუკუნის — სასამართლოს დღეგნილება ჯავახიშვილისა და დიდი შოურავის დავის გამო.

სახელმწიფო სამართლის ხაზით აღსანიშნავია „ხელმწიფოს კარის გარეგება“. ძველი ისახავს განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ წყობილებას, მასში ვატარებულა ძლიერი მეფის ხელისუფლების იდეა, დახასიათებულა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები. ძველი კერძო ხასიათის ნაწარმოებია, მისი ავტორი ეკამთება ასეთივე ნაწარმოების სხვა ავტორებს. თვითონ ის ფაქტი რომ, მაშინდელ საზოგადოებაში ყოფილა მოთხოვნა ასეთი ნაწარმოები შექმნათ, მიუწყებულა იურიდიული აზროვნების გაცხოველებული შემოქმედებით პროცესისა. ძველი XIV საუკუნეში დაწერილი<sup>2</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიანფეოდალური პერიოდის სამართლის წიგნის პროექტი დ. ბაგრატიონისა, მისივე ქართული სამართლის ისტორიის მიმოხილვა, იოანე ბაგრატიონის პროექტი სახელმწიფოს რეფორმების შესახებ, სადაც მაშინდელი ეპოქის მოწინავე იდეებია გატარებული.

ამგვირად, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის წყაროები ადასტურებენ იმ ვარაუდებს, რომ ქართული ფეოდალური სამართალი განვითარების მაღალ დონეზე იდგა.

გ. სოსელიას აღსანიშნავი რჩება: თუ ქართული

<sup>1</sup> Владимирский-Буданов. Обзор истории русского права, стр. 26; проф. Гамбаров. Русское гражданское право., 1897, стр. 216—217; С. В. Юшков. История государства и права СССР, ч. I, 1950, стр. 350.

<sup>2</sup> ხელმწიფოს კარის გარეგება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1920 წ.

<sup>1</sup> „Вопросы истории“, 1956 г., № 10, გვ. 82.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე. იურიდიული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1939, გვ. 173.

<sup>3</sup> C. von Schwerin. Deutsche Rechtsgeschichte, გვ. 76.

იურიდიული აზროვნება განვითარების ისეთ პრიმიტიულ საფეხურზე იდგა. (იურიდიული აზროვნება საერთოდ აზროვნებისაგან, საერთო კულტურისაგან გამოკალკევებული ხომ არ იქნებოდა), მაშ, როგორ მისცა ქართულმა ხალხმა მსოფლიოს მხატვრული შემოქმედების ისეთი გენიალური ნაწარმოები, როგორც არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“?

გ. სოსელია აღნიშნავს, რომ მასზე ადრე ეს საკითხი ბ. ფურცხვანიძემ დასვალა. ჩვენც იძულებული ვართ ბ. ფურცხვანიძის შრომას მივმართოთ. გ. სოსელიას კონცეფციის მიხედვით, ბ. ფურცხვანიძე შეეცადა დამსულ კითხვაზე პასუხის გაცემას — თავის შრომაში „ადამიანის პეტროვისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ თბილისი, 1949 წელი, არქ. ა. ტალახაძე.

ესება რა „ვეფხისტყაოსანს“ ბ. ფურცხვანიძე წერს:

„ღმრთედ ჩვენი მკვლევართა საქმიან ყურადღება არ დათმობია საკითხს — თუ რუსთაველმა ესოდენ კეთილშობილური იდეებისა და გრძნობების პროპაგანდა როგორ შეძლო ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის პირობებში? სახელდობრ რა ედგა საფუძვლად ამ იდეებისა და გრძნობების გამოვლინებას რუსთაველის შრომაში? მართალია, ეს საკითხი არ შეადგენს ჩვენი შრომის საგანს, მაგრამ საქირად ვთვლით მოკლედ გამოთქვით ჩვენი აზრი მის შესახებ. ყველა ის კეთილშობილური, კემშარტიად ადამიანური თვისებანი, რომელთაც ქადაგებს რუსთაველი, ახასიათებდა მხოლოდ და მხოლოდ გვაროვნულ წყობილებას, პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების თავისუფალ წევრებს. ხოლო გვაროვნული საზოგადოების წესები, ზნე-ჩვეულება, როგორც გადმონათში წარსულისა, კიდევ ცხოველყოფილი იყო რუსთაველის დროინდელ საქართველოში“ (გვ. 137).

ამის შემდეგ ბ. ფურცხვანიძეს მოყვასტრ. ენგელსის შრომიდან: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ ციტატა, რომელიც იროკეზების გვაროვნულ წყობილებას ეხება: „საუცხოო ორგანიზაციაა ეს გვაროვნული წესწყობილება — თავისი უშუალოდობისა და სიმარტივის მიხედვით... თუ როგორ მშაყავებს და დედაკავებს ქმნის ეს საზოგადოება, ის გარკვეული ამტკიცებს“, რომ თეთრკანიანები, რომელნიც ინდიელებს შეხვედრიან, იტაცებულნი არიან ამ ბარბაროსების დარბაისლობით, პირდაპირობით, ხასიათის სიმტკიცით და სიმამიკით... ასეთი ყვენი აღნიშნავს და აღნიშნის საზოგადოება, სწამდევ სხვადასხვა კლასად გათიშვა დაიწყებოდა“ (გვ. 137). ბ. ფურცხვანიძე იმორჩება ფრ. ენგელსის იმავე შრომიდან ციტატებს, სადაც ლაპარაკია გერმანიული ტემების ბარბაროსულ პერიოდზე: „მეგამ რა იყო ის საიდუმლო ჯადოქრული წამალი,

რომლითაც გერმანელმა მოამკედევ იეროპას ახალი ცხოველყოფილი მალა ჩაბურეს? განა ეს მართლაც გერმანელთა ტომის თანდაყოლილი სასწილშობილური ნიჭი იყო, როგორც ამას ჩვენი შიგინისტური ისტორიოგრაფია გვარწმუნებს? სრულიადე არა... ევროპის ვახალგაზრდაგება გამოწეია არა მათმა ეროვნულმა თვისებებმა, არამედ მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წესწყობილებამ“. შემდეგ ბ. ფურცხვანიძე აგრძელებს ფრ. ენგელსის შრომის ციტატებს ამის შესახებ, რომ ბარბაროსობის საფეხურზე მყოფ გერმანელთა შეხვედრამ მონათმფლობელურ რომთან სასაცდლოდ განწირულ მონათმფლობელურ ცივილიზაციას სასიცოცხლო სული ჩაბერა და ამ შეხვედრის ნიადაგზე წარმოაშვა ფეოდალური საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაცია (გვ. 137 — 138). ბ. ფურცხვანიძე ასტყვის: „ფ. ენგელსის ამ შესანიშნავ დებულებებზე დაყრდნობით უნდა დავსკვნათ, რომ რუსთაველის შემოქმედებას, მის უცვლად თხზულებაში გამოთქმულ აზრებსა და იდეებს გვაროვნულ წესწყობილებაში აქვს შესება, რუსთაველი შთაგონებულია პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების საუცხოო წესებით“ (გვ. 138).

პირველ ყოვლისა, რა კავშირია იროკეზებისა და გერმანელების გვაროვნულ წყობილებას შოთა რუსთაველის დეკლარაცია ან დამოკიდებულება ან რა საერთო ნიშნები შეიძლება იყოს ამ პერიოდის იროკეზებსა, გერმანელებსა და XII საუკუნის ქართველებს შორის? მეგამ საქმე სწორედ ისაა, რომ, ბ. ფურცხვანიძის აზრით, გვაროვნული საზოგადოების წესები თუკმე კიდევ ცხოველყოფილი იყო რუსთაველის დროინდელ საქართველოში“ (გვ. 137). რა არის „ვეფხისტყაოსანში“ გვაროვნული წყობილებიდან? პოემაში საუბარია ფეოდალურ სახელმწიფოებზე, სახელმწიფო ორგანიზაციაზე, ვეზირებზე, სენიორებზე, ვისალებზე და სხვა. „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი არამთხისა და ინდიეთის სამეფოები წარმოადგენენ განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოებს. შოთა რუსთაველი ფეოდალური ეპოქის მწერალი, თავისი ეპოქის შვილია. მისი შემოქმედება სწორედ ამ საზოგადოების დასაატარებს რუსთაველი ფეოდალურა მონარქიის, ძლიერი ცენტრალური ზელსუფლების, რაციონალურ საფუძვალზე აგებული ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაციის მომხრეა. იგი ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების ნიადაგზე დგას, მის პოემაში ასახულია თავისი განვითარებით მალა საუბერზე მდომი ფეოდალურ-საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.

მაგრამ შოთა რუსთაველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის წარმომადგენელია. ის უმტერის კემშარტი ადამიანურ თვისებებს, ღმინიანის სიყვარულს, მეგობრობას, მამაკობას, მას სწამს სიკეთის გამარჯებ,

ბორტების დამარცხება. ყველაფერი ეს ფეოდალური ეპოქით არი განსაზღვრული და არსაიდან ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გვაროვნული წყობილების ინსტიტუტებით, „გვაროვნული წყობილების იდეებით იყო დამარბებული“. პირქით: „ვეფხისტყაოსანს“ ეპოქისათვის ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირველი ეტაპი, მისი დაბალი საფეხური—გვაროვნული წყობილება— ექვე დიდი ხნით განვილი ეტაპია. შოთა რუსთაველის გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მოპიჯისაყენ იყურება და არა წარსულისაყენ.

შოთა რუსთაველის შემოქმედების თავისებურების ახსნა უნდა ვეძიოთ არა გვაროვნული წყობილების ინსტიტუტებში, არამედ იმ ეპოქაში, რომელშიაც მგოსანი ცხოვრობდა.

ბ. ფურცხვანიძეს ფრ. ენგელსის შრომა არა აქვს გაგებული, მის მიერ ფრ. ენგელსის ციკატა ისე არის დამოწმებული, თითქმის ფრ. ენგელსისათვის გვაროვნული წყობილება იდეალა სინამდვილეში კი, ფრ. ენგელსის აზრით, საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციებიდან გვაროვნული წყობილება ყველაზე დაბალი საფეხურია. მონათმფლობელობა პირველყოფილ რეჟიმ წყობილებაზე მაღალ დგას. მონათმფლობელობაზე უმაღლესი საფეხური არის ფეოდალიზმი, შემდეგ — კაპიტალიზმი, ხილო სოციალიზმისათვის ყველა წარსული ფორმაცია მოსაშადებელი საფეხურია, რადგანაც ნამდვილად თავისუფალი ადამიანის ეპოქა მხოლოდ სოციალიზმით იწყება. სოციალიზმი გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

ფ. ენგელსი გვაროვნული წყობილების იდეალიზაციას კი არ ეწევა, როგორც ეს ბ. ფურცხვანიძეს ჰგონია, არამედ აქვებს და აღიღებს თავისუფლებას. ბერძენაზიული მეცნიერებები ამტკიცებენ, რომ ექსპლოატატორული საზოგადოება იდამიანთა საზოგადოების ისტორიის დასაწყისიდანვე არსებობდა და მუდამ არსებობებს. ამის სიწინააღმდეგოდ მარქსიზმ-ლენინიზმმა დაამტკიცა, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში იყო პერიოდი—პირველყოფილ-ფეოდალი წყობილება, როცა ადამიანი თავისუფალი იყო, როცა არ იყო ექსპლოატაცია, — ახ ამის აღნიშნავს ფრ. ენგელსი ანტავონისტური საზოგადოების ყველა საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციის დროს შრომელთა მასებში ექსპლოატირებულთა, ანტავონისტურ საზოგადოებას დაამხოზს სოციალისტური საზოგადოება, სადაც ადამიანი კვლავ განთავისუფლება, მაგრამ ეს განთავისუფლება მოხდება საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, ეს არის თავისუფლება გამდიდრებული შინაარსით, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების ადამიანის თავისუფლება ემყარება უმაღლეს კულტურას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის: ადამიანი თი-

ვისუფალი იყო, მაგრამ ვეღუტი ან პარპარო-სი, კაცობრიობის-მთელი ისტორიის კულტურულ მიღწევათა საფუძველზე ადამიანი კვლავ განთავისუფლდა — ეს არის სოციალიზმი.

პირველყოფილ-ფეოდალი წყობილების დროს ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფლება იყო შედეგი განვითარების დაბალი დონისა. ამ დროის ადამიანი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ის ბუნების მონა იყო.

ბ. ფურცხვანიძის შეხედულებით, შოთა რუსთაველის შემოქმედება „ქეშმარიტ ადამიანურ თვისებებს“ ეძიებო ამჟღავნებდა, რომ მას გვაროვნული წყობილებაში ჰქონდა „ფესვები“ გამდგარი, გვაროვნული წყობილებით იყენ „შთაგონებული“. კიდევ მეტიც: ბ. ფურცხვანიძის აზრით, რუსთაველისეული „ქეშმარიტად ადამიანური თვისებანი“ თხასიათებდა „მხოლოდ დამხოლოდ“ გვაროვნული „საზოგადოების თავისუფალ წევრს“ (გვ. 137).

ბ. ფურცხვანიძე მოგვითხრობს, თუ რა მანნია, მას იმ „კეთილშობილურ, ქეშმარიტ ადამიანურ თვისებებში“, რომელთაც რუსთაველი ქადაგებს. ეს არის ადამიანის სოციალური, მეგობრობა, უმწიკლო ზნეობა და, საერთოდ, „უმანანზის იდეები“. ავტორის სიტყვით „რუსთაველი ზოგად საკაცობრიო პრობლემების სიმალღზე დგას“ (გვ. 134). ამრიგად ბ. ფურცხვანიძე შოთა რუსთაველის შემოქმედებაში ზოგად-საკაცობრიო იდეებს ხედავს.

ზოგად-საკაცობრიო იდელების თვალსაზრო-სით სხვადასხვა საშელებით და სხვადასხვა მე-თოდით, „ქეშმარიტად ადამიანურ თვისებებს“ ამჟღავნებდა შოთა რუსთაველის, ფირდოუსის, დანტეს, შექსპირის, ვოტეს, ბაირონის, პუშკინის, ბალზაის, ტოლსტოისა და გოკის. შე-მოქმედება. თუ ბ. ფურცხვანიძის მოსაზრებას გავიხიარებთ, ეს მოლენაწი ან არ ამჟღავნებენ „ქეშმარიტად ადამიანურ თვისებებს“, ან კიდევ „გვაროვნულ წესწყობილებაში ჰქონდათ ფესვე-ბი“ გამდგარი, გვაროვნული წყობილებით იყენენ „შთაგონებულნი“.

განა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები კაპიტალიზმის პერიოდში არ მოღეწებოდნენ?

ასეთ აზბრუნამდე მიყავს ბ. ფურცხვანიძე ეტიკატომიანიც.

ბ. ფურცხვანიძის წარმოდგენით, გვარო-ვნული წყობილება ყველაფერს იტევს! ბ. ფურცხვანიძე იმ აზრისაა, რომ ყოვლისშემყველ გვაროვნული წყობილებაში კლასობრივი საზო-გადოებაც კი არის და, საერთოდ, შესაძლე-ბულია არსებობდეს კლასობრივი საზოგადოება საბედმწიფოს გაერეში! ე. ი. შეიძლება ექს-პლოატატორი და ექსპლოატირებული იძლე-ბის ვარეში მშვიდობიანად, შეთანხმებულად

ცხოვრობდნენ<sup>1</sup>; ჩვენი წერბარში ბ. ფურცვა-ნიძის ყველა „თეორიას“ ვერ განვიხილავთ, მაგრამ საჭიროა მისი შრომის კიდევ ერთ ადგილსაც გავხეინოთ. ბ. ფურცვანიძე, წერს: „შოთა რუსთაველის პოემა, რომელიც პირველყოფლისა დიდ მხატვრულ ნაწარმოებს (Dichtung) წარმოადგენს, ამავე დროს, არის უპირატესად ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი (Wahrheit), რომელშიც მოცემულია ავტორის თანამედროვე სინამდვილის უტყუარი აღწერა, მთელი ფეოდალური აღმოსავლეთის ცხოვრების შესანიშნავი მკვლევ, გენიალური მხატვარი — რეალისტი შოთა რუსთაველი არაბეჭდულებრივად მკვეთრი ფერებით გვიხატავს იმდროინდელი საზოგადოების ცალკეული კლასების ყოფილებრივებას და ზნეჩვეულებას; ისტორიკოს—მემბტიანის კეთილსინდისიერებით მოგვიხატავს იგი სახელმწიფოებრივი წყობილების, მრავალრიცხოვან თანამდებობრივ პირთა ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, სამხედრო ლაშქრობათა, საბრძოლო ტაქტიკის, ვაჭრობების, ნადირობის, ქორწილისა და სხვა შესახებ“ (გვ. 136).

პირველყოფლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია მოყვანილი ციტატის დასაწყისში „თავის Dichtung-ითა და Wahrheit-ით...“

ბ. ფურცვანიძე არ უთითებს თუ საიდან მოაქვს მას ეს. მოყვანილი ციტატის პირველი ნაწილი ცნობილი მეცნიერის ბ. ინგოროყვის შრომის მიხედვით არის გაკეთებული, ოღონდ ამ შრომის დამახინჯებულად გავგების საფუძველზე. ბ. ინგოროყვა წერს: „ვეფხისტყაოსანი“, რასაკვირველია, არის Dichtung, პოეზია, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ირკვევა პოემაში მოცემულია Wahrheit, სინამდვილის ანარქელი!“<sup>2</sup>. მეორე ადგილას ბ. ინგოროყვა წერს: „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეს ზევითა გვქონდა აღნიშნული, პირველ რიგში, რასაკვირველია, არის Dichtung, პოეზია მაგრამ ამასთან ერთად აქ, როგორც ირკვევა, არის Wahrheit, სინამდვილის გამოხატვალი“<sup>3</sup>.

კიდევ უბრუნდება ამ საკითხს ბ. ინგოროყვა: „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეს ზევითა გვქონდა ნათქვამი, პირველ ყოვლისა, არის რასაკვირველია, Dichtung — პოეზია და მხოლოდ შემდეგ Wahrheit — სინამდვილე“, მაგრამ, — განაგრძობს ბ. ინგოროყვა — „ისტორიული სინამდვილე აქ პოეტურ ასპექტშია მოცემული, და ბევრ შემთხვევაში ძნელია აქ ზუსტად ხაზის გაღება, თუ სად თავდება Dichtung და სად იწყება

Wahrheit“; ის ვარაუდება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ვიარჩევთ ისტორიულ<sup>4</sup> სინამდვილის ანარქელი, ეს, რასაკვირველია, სრულყოფილი არ ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვქონდეს ისტორიული ამბების უბრალო ქრონიკა“<sup>1</sup>.

ბ. ფურცვანიძეს მკვლევარის შრომის ეს ადგილი ვერ გავგია და „ვეფხისტყაოსანი“ ისეთ „ისტორიულ დოკუმენტად“ გამოუცხადებია, რომელშიაც მოცემულია „უტყუარი აღწერა“, ამ „ისტორიული დოკუმენტის“ ავტორის, „კეთილსინდისიერი მემბტიანის“ — შოთა რუსთაველის მიერ.

ამგვარად, ბ. ფურცვანიძის აზრით, შოთა რუსთაველმა „მემბტიანის კეთილსინდისიერებით“ უტყუარად „აღწერა“ ფაქტები, ამ აღწერილი ფაქტებით შედგა ის „დოკუმენტი“, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ეწოდება! არ შევედგებით აქ იმის ახსნა-განმარტებას, თუ რა განსხვავება არის მემბტიანისა და მხატვარს შორის, ან რას ნიშნავს მხატვრული ნაწარმოები და ისეთი დოკუმენტი, რომელიც ფაქტების აღწერას წარმოადგენს.

ბ. ფურცვანიძის შეხედულება და ამ შეხედულებიდან გამომდინარე დისკუსიები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1) გვაროვნული წყობილება არის ის იდეალი, რომლისკენაც კაცობრიობა უნდა მიიღტიოდეს, რადგონაც „ქვეყნობრივად აღმზინური თვისებანი, რომელთაც ქადაგებს რუსთაველი, ახასიათებდა მხოლოდ და მხოლოდ გვაროვნულ წყობილებას, პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების თვისებულ წევრებს“, 2) რუსთაველისდროინდელ საქართველოში გვაროვნული წყობილების წესები „ცხოველყოფილი იყო“; აქედან დასკვნა: რუსთაველის დროის საქართველოს კულტურა განვითარების დაბალ დონეზე იდგა; მას არა თუ მონათესაველური საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაცია არ გავლდა, არამედ „გვაროვნული საზოგადოების წესები“ ამ დროს „ცხოველყოფილი იყო“ იყო აღბათ, მიიტანი ამ დროის საქართველო დიდად არც იყო დამორბეული გვაროვნულ წყობილებას, ისეთ პირობებში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“; „მამასადაც, ვეფხისტაოსანის“ შესაქმნელად არც იყო საჭირო ხალხის დიდი კულტურული წარსული, ამისთვის „საქმარის იყო მამინდელ საქართველოში არსებული გვაროვნული წყობილების წესები, მისი ცხოველყოფილი გავლენა და შოთა რუსთაველი სწორედ „შოთაგონებულა“ გვაროვნული წყობილებით; 3) შოთა რუსთაველი, რომელიც იყო „მთელი ფეოდალური აღმოსავლეთის შესანიშნავი მკვლევ“ ისტორიული დოკუმენტების შემდგენა, და ამ დოკუმენტში მემბტიანის კეთილსინდისიერებით ირის მოცემული მამინდელი

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ საქ. სსრ მეც. აკად. „შრომები“, I, 1955 წ., გვ. 414, 417 — 419.

<sup>2</sup> პავლე ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, 1938, გვ. 17—18.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>4</sup> „მნათობი“, № 9.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 59.



საქართველოს „სინამდვილის უტყუარი აღწერა“ და სწორედ ამ სინამდვილეში მრავლად მოიპოვებიან გეაროვნული წყობილების წესები ან მათი გადმონათბობი; 4) ბ. ფურცხვანიძის „ზრბობი, ფ. ენველსმა მოგვცა გეაროვნული წყობილების იდეალიზაცია.

ამგვარიცაა, ბ. ფურცხვანიძემ შემოგვცაპარი მე-თოდოლოგიურად მკდარი, ციტატობანასა და მედაგიონობაზე აგებული, ისტორიული სინამდვილის დამახინჯების საფუძველზე დამყარებული შეხედულება. „შემოგვცაპარია“, ვთქვით იმიტომ, რომ ეს შეხედულება ავტორს გამოთქმული აქვს ისეთ შრომაში, რომელშიაც ჩვეულებრივად არ ვგულებათ „ვეფხისტყაოსნის“ ვარჩხვა. მართლაც, არც ერთი ჩვენი ისტორიკოსი თუ ლიტერატორი და, საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე მომუშავე, რომლებთანაც გვეპოვია საუბარი ამის თაობაზე, ბ. ფურცხვანიძის ამ შრომას არ იცნობს.

„ვეფხისტყაოსნის“ სპეციური შრომა უძღვნა გ. სოსელიამ. — ესაა „საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სოხეში, 1956 წ., რედაქტორი რ. ახალია.

გ. სოსელია ბ. ფურცხვანიძის „თეორიის“ იზარბებს და იღობს მის „გამაგრებას“. აღსანიშნავია, რომ სოსელიას მსჯელობა დიდიხობის ნეგაციის მიმართულებით არაა მოყვებული მონადასახლობის მხრივ ერთგვარ თანამიმდევრობასაც კი. თავისი წიგნის არც ერთ თავში მის არ აფიქვდება ერთი რამ: რუსთაველის საქართველო გეაროვნული წყობილებას დერალოვოს, საქართველოს უძველეს პერიოდში მონათმფლობელურ“ საზოგადოებრივ ეკონომიური ფორმაცია უარყოს, ფეოდალურ საქართველოში გეაროვნული წყობილების გავლენით ახსნას ჰუმანიზმის მაღალი იდეები, და სხვა.

გ. სოსელია წერს: „ვეფხისტყაოსანში“ მოკემლა „სოყარელისა და მეგობრობის მაღალი დეკლარაციონული სახე“, ხალხთა მეგობრობა, უმაგალითო მხნობა, ოპტიმიზმი, ადამიანის პიროვნების პატივისცემა, შეუდარებელი ჰუმანიზმი, (გვ. 215-216, 222) იმავე დროს; განაგრძობს გ. სოსელია, „ვეფხისტყაოსანში“ ასახავს საქართველოს სინამდვილეს, ქარაგვარ ხალხს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ იდეებს, რაც დიდად განასხვავებს შუა საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებისაგან, საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეებისაგან. (გვ. 216) რით იტყვენება საქართველოს სინამდვილის ასეთი თვისებები?“ (გვ. 216), სეამს კითხვას გ. სოსელია და უმაგალიტებს: „პირველყოფილ-თემური საზოგადოების დარჩენილ ტრადიციებში უნდა ვეებოთ ვეელომ თავისებურებათა ძირი, რომელიც ადგილი აქვთ შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოს

სინამდვილეში და მის ამსახველ ქართულ ლიტერატურაში და რომელიც ასე შექმნილხდა. — ან დღეს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხისათვის“ (გვ. 222). ამის შემდეგ გ. სოსელიას მოყავს ფრ. ენველსის შრომიდან ცნობები ადგილად გეაროვნული წყობილების შესახებ, რაზედაც ბ. ფურცხვანიძის შრომასთან დაკავშირებით ვეპოვია საუბარი.

„XI-XIII საუკუნეების საქართველოში ვერ აღმოვაჩინეთ, — განაგრძობს გ. სოსელია, — პირველყოფილ-თემური საზოგადოების დარჩენილი ტრადიციების გარდა სხვა ისეთ ფაქტორს, რომელიც შეიძლება საუფქვლად დაედგოს ამ თავისებურებათ, რასაც საქართველოს სინამდვილეში და „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით“ (გვ. 223 — 224).

მაგრამ „ამისი ახსნა კი, რომ შუა საუკუნეების პირველყოფილ-თემური საზოგადოების ტრადიციები ქართველ ხალხში ასე ცხოველს აღმოჩნდნენ, ამ უკანასკნელის ისტორიული განვითარების თავისებურებაში უნდა ვეებოთ“ (გვ. 224); მიზანტიისაგან განსხვავებით, საქართველოს მონათმფლობელური წყობილება არ გავლდა; „ვერობის ფეოდალური სახელმწიფოები“, საქართველოსაგან განსხვავებით, „როის მონათმფლობელურ სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდნენ“ (გვ. 225), სხვა მდგომარებაში ვეაქვს საქართველოში: „ქართველ ხალხში პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონათმობის და ამ წყობილებასთან დაკავშირებული ჰუმანური ტრადიციების კონსერვირება მოხდა, ამ ტრადიციების ცხოველყოფელი ძალა შენარჩუნებული იქნა“ (გვ. 226). მამსადავ, ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების თავისებური გზა იმაში მდგომარობს, რომ, ვერობის ხალხებისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხის განვითარება ჩამორჩა, ვაიყინა, მამინ როდესაც თეთ ფეოდალური საზოგადოებაც სუსტი ტემპით ეთარდებოდა საქართველოში, რის გამო წარსული, გეაროვნული წყობილების გადმონათმობის კონსერვირება მოხდა. გეაროვნული წყობილების ამ გადმონათმობის საქართველოს საერთო ჩამორჩენილობის პირობებში „ცხოველყოფელი ძალა“ აღმოჩნდა, „ფეოდალური საზოგადოების სუსტი ტემპით განვითარება საქართველოში და მასთან დაკავშირებული პირველყოფილ-თემური საზოგადოების ტრადიციების კონსერვირება, ამ ტრადიციების ცხოველი ძალა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს“ XI — XIII საუკუნეების საქართველოს განვითარებას, „ით რით ახსნება ქართველი ხალხის, მის ისტორიული სინამდვილისა და ამ სინამდვილის ამსახველი მხატვრული ლიტერატურის მთელი თავისებურებანი“ (გვ. 227). სინტერესოა, ვეათხობ გ. სოსელიას: თუ გეაროვნული საზოგადოების „ტრადიციების კონსერვირება, ამ ტრადიციების

ებოდა ძალა წარმოადგენს ამ ფაქტორს", რომელიც განაპირობებს "ვეფხისტყაოსანს", მაშინ არა კონსერვირებული, არამედ სრულ მოქმედებაში მყოფი გვიანდელი წყობილება "ვეფხისტყაოსანზე" უფრო მაღალ შედეგებს მოგვცემდა!

გ. სოსელიას აზრით, XI — XIII საუკუნეების საქართველოს მხოლოდ სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების პირველ საფეხურზე შეიმუშავდა ყოფილიყო, ისე როგორც X — XIII საუკუნეების რუსეთი (გვ. 174); პირველყოვლისა, რუსეთის სახელმწიფოს პირველი საფეხური, უკანასკნელი ხანების ლიტერატურის მიხედვით, VII — VIII საუკუნეებშია გადატანილი. მაგრამ ამჟამად ჩვენ სხვა გვიანტერესებს: თავის სტატიაში, რომლის შესახებ ზემოთ ვეკონდა საუბარი, გ. სოსელია საქართველოში კლასობრივი საზოგადოების და ფეოდალური სახელმწიფოების წარმოქმნას II — IV საუკუნეებით ათარიღებს. როგორც ვიცით, სახელმწიფოს წარმოშობა იმავე დროს არის სახელმწიფოს არსებობის პირველი საფეხურის დასაწყისი. თუცა XI — XIII საუკუნეების საქართველოში ისევ სახელმწიფოს განვითარების პირველი საფეხურია, მაშასადამე, დაახლოებით 1.000 წლის განმავლობაში საქართველოში ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო აღვივლებულა გაცილებით. მაგრამ საქმე ამათ არ თავდება. ზემოთ ჩვენ მოვყვანეთ გ. სოსელიას სტატიის ის ადგილი, სადაც ავტორი წერს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ-საპარტიოებრივი სისტემა, მისი საპარტიო XI საუკუნიდან დაწყებული — XVIII საუკუნემდე თავისი განვითარებით „რუსეთის პრავდას“ დონემდეც ვერ აღიდაო. მაგრამ თავის წიგნში გ. სოსელია წერს, რომ სახელმწიფოს განვითარების მხრივ XI — XIII საუკუნეებში ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც X — XIII საუკუნეებს რუსეთშია. რომ არაფერი ვთქვათ იმ წინააღმდეგობაზე, რომელსაც აქ ადგილი აქვს, გ. სოსელიას ამ მსჯელობიდან შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანათ: II — IV საუკუნეებიდან XI — XIII საუკუნეებამდე საქართველო სახელმწიფოს პირველ საფეხურზე იმყოფება, ე. ი. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება უძრავად იყო ერთ ადგილზე გაჩერებული, ხოლო XI — XIII საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე, თუცა, საერთოდ, ამ მხრივ მოძრაობა მაინც იყო, ის მიმართული იყო რეგრესიასკენ, უკეთეს შემთხვევაში — განვითარებას არ მქონია ადგილი, მაშასადამე, II — IV საუკუნეებიდან დაწყებული XVIII საუკუნემდე საქართველოში სახელმწიფო განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფებოდა.

ეს კიდევ ერთაა. გ. სოსელიას ასეთი შეხედულება ქართველი ხალხის ჩამორჩენილობის შესახებ ამ ხალხის უძველეს პერი-

ოდზეც ე. ი. II — IV საუკუნეების წინააღმდეგობაზეა, ვრცელდება. სინტერესნაა ვთქვათ. გ. სოსელიას შეხედულებას წარმოადგენს ამ უძველეს პერიოდის შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია II საუკუნის წინააღმდეგობის შესანიშნავი ძეგლები, რომლებსაც გვიანდელი წყობილებას ვერ შეეცდებოდნენ. მატერიალური კულტურის ეს ნაშთები ამჟღავნებენ მაღალ კულტურას. მრავალი ამ ნივთიანე მხატვრობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს. თრიალეთის კულტურა, რომელიც გვიანდელი წყობილების რღვევის პერიოდს ასახავს, შეცნობების მიერ დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შეახამებით. შემდგომი პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები (ხალაგორი, ყაზბეგი, ბაგინთი, მცხეთა, არმაზი და სხვა) კლასობრივ საზოგადოებას მიეკუთვნება. გ. სოსელია "არ ედევნა ისტორიკოსებს არც მატერიალური კულტურის ძეგლების დათარიღებაში, არც ამ ძეგლების შეფასებაში; მხოლოდ, მისი აზრით, მრავალი ძეგლი, რომლებიც ისტორიკოსებმა კლასობრივ საზოგადოებას მიეკუთვნა, შეიძლება გვიანდელი წყობილებას ეკუთვნოდეს („Вопросы истории“, № 10, გვ. 76). მაგრამ ამ ძეგლებიდან რომ მრავალი კლასობრივი საზოგადოების დასაბრუნებს, ამის გ. სოსელია არ უარყოფს.

გ. სოსელიას კონცეფციით კი, II საუკუნემდე საქართველოში კლასობრივი საზოგადოება არ იყო („Вопросы истории“, 10, გვ. 77, 84). ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი: როგორ უნდა ავსონათ მატერიალური კულტურის იმ ძეგლების არსებობა, რომლებიც, ისტორიკოსებისა და გ. სოსელიას აზრითაც, კლასობრივ საზოგადოებას მიეკუთვნება? ამ კითხვაც გ. სოსელიას აქვს პასუხი.

გ. სოსელიას აზრით, მატერიალური კულტურის ეს ძეგლები ნაშთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, არ ეკუთვნის ქართველ ხალხს; პირველყოვლისა, გ. სოსელიას აზრით, უნდა გვახსოვდეს, რომ VII — VI საუკუნეებში (ძვ. წ.) შავი ზღვის სანაპიროებზე მერქონა კოლონიები იყვნენ, რომელთა მატერიალური კულტურის ძეგლებს არ შეეძლოთ არ დაეკავათ განსაზღვრულ ადგილი ამ ნივთებს შორის, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი საქართველოშია; ვარდა იმისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ „მრავალი იმისგან, რაც გაეკუთვნება საქართველოში, შეიძლება იყოს საზოგადოებრივი უცხოების (საქართველოში ისინი მრავალ იყვნენ) ნახტავი, ან კიდევ ამ უცხოებთა უშუალო ბელმძღვანელობის ქვეშ მათი ქართველი შეგირდების მიერ გაეკუთვნული“<sup>1</sup>. მაშასადამე, საქართ-

<sup>1</sup> Вопросы истории, 1956 г., № 10, გვ. 76.

ველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს უმდიდრესი კულტურა ჭარბველ ხალხს არ ეკუთვნის! ის საზღვარგარეთელი წარმოშობისა! იმის შეზახებე აღარას ამბობს გ. სოსელია, თუ რატომ მოხილეს საქართველოში საზღვარგარეთელურმა ასეთი ნივთები და ჩაველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში! რისთვის დასკვირდათ ეს? იქნებ საქართველოში მიწები იყო ადვილად ამოსახრელი? მაინცდამაინც რატომ აღმოჩნდა ეს კულტურა საქართველოში? ველურების ან ბარბაროსების სხვა რომელ ქვეყანაში აღმოჩნდა ასეთი სავანძურები?

ერთი წუთითაც რომ დავუშვათ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კულტურის საზღვარგარეთელი წარმოშობა, ამ კულტურის საქართველოში აღმოჩენის ფაქტი იმას მოწმობს, რომ ასეთ ნივთებზე ქართველებს მოათხოვნილება ჰქონდათ ეს გარემოება კი იმის მომასწავებელია, რომ ქართველი ხალხი კულტურის მძალდაცვებზე მდგარა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ უკანასკნელი 20—25 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს არქეოლოგების უდიდესი მიღწევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათი აღმოჩენებისა და ამ აღმოჩენების შესახებ წეროების საფუძველზე შესაძლებელი შეიქნა საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის შესწავლისათვის მტკიცე საყრდენის ამოშენება; მათი შრომების მიხედვით გამოირკვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები განვითარების მხარე უკავშირდებიან ერთმანეთს; დაწყებული უძველესი პერიოდიდან და გათავებული ფეოდალური კულტურით ეს ძეგლები ქართული, ნაციონალური შემოქმედების ხასიათს აქვდაცვენენ, რაც უაქველს ხდის იმ გარემოებას, რომ ეს ძეგლები ქართველი ხალხის ნაბეჭავია. მაგრამ დაემატათ თავი იმას. ქართველ ხალხს, გარდა გ. სოსელიასი, არავინ ედავება, რომ ეს კულტურა მისი საკუთარი ქმნილებაა. ამჟამად კი ჩვენ გვიანტერესებს გ. სოსელიას მიერ დასმული საკითხის მეტოჯოლოგიური მხარე. გ. სოსელია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან პირველად იხსენიებს თრიალეთში მოპოვებულ ნივთებს<sup>1</sup>, ხოლო საქართველოში ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა მას შესაძლებლად მიაჩნია II—IV საუკუნეებში ახალი ერთი<sup>2</sup>.

მამასადავამ, გ. სოსელიას საქართველოში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნივთებიდან უცხოურად მიაჩნია — დაწყებული თრიალეთის კულტურიდან (რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუახანებით) ახალი ერთი II—IV საუკუნეებამდე. საკითხი ეხება

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძვირფასს ნივთებს ფრანკოსო წლის განმავლობაში. ეს ნივთები, რომლებიც ლაპს აზრით, როგორც ზემოთ ვთქვით, ან ბერძნული კოლონიების ნაბეჭავია ანდა საქართველოშია გაკეთებული, მაგრამ უცხოელების მიერ ან ქართველი შეგირდების მიერ უცხოელი ისტატების უშუალო ხელმძღვანელობით („Много из того, что сделано в Грузии, может быть делом рук иноземных мастеров (их в Грузии было немало) или же их учеников — грузин под непосредственным руководством первых“ (გვ. 76). ისმება საკითხი: როგორ მოხდა რომ 2.000 წლის განმავლობაში ქართველი „შეგირდი“ „ისტატობამდე“ ვერ ამაღლდა?

ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველს შეეძლო მხოლოდ შეგირდად ყოფნა და ისიც უცხოელს „под непосредственным руководством“. რით შეიძლება იმის ასნა? შეიძლება განსაკუთრებული მიზეზები იყო საამისო? ისტორიაში ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა გარეშე მიზეზების შედეგად ესა თუ ის ხალხი გადაშენებულა ან ფიზიკურად განადგურებულა. კიდევ ან დაღუპვის წინაშე მდგარა და სხვა. შესაძლებელია ამა თუ იმ ხალხის განვითარებაში მოხდეს შეფერხება, შეწყობა, მაგრამ გ. სოსელია არ მითითებს განსაკუთრებულ მიზეზებს, რომლებსაც შეიძლება ქართველი ხალხის განვითარების შეწყობა. პირიქით, გ. სოსელიას აზრით, მაშინ ქართველების მოსაზღვრედ იყვნენ ბერძნები, შავი ზღვის სანაპიროების ბერძნული კოლონიები, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები შექმნაში მონაწილობა მიუღიათ, მამასადავამ, ბერძნები ურთიერთობაში ყოფილან ქართველებთან, ამასთანავე, სოსელიასაც თქმით, თვით საქართველოში მრავალ იყვნენ უცხოელი „ისტატები“, რომელთა „უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ“ მუშაობდნენ ქართველი „შეგირდები“. ასეთ პირობებში რატომ უნდა გაყანალოყო ქართველი ხალხის გონება?

მამასადავამ, გ. სოსელიას შეხედულება ქართველი ხალხის წარსულზე ასეთია: ძველი წელთაღრიცხული მეორე ათასწლეულიდან ახალი წელთაღრიცხვის II—IV საუკუნეებამდე ქართველ ხალხს, უკეთეს შემთხვევაში, შეეძლო მხოლოდ შეგირდი ყოფილიყო უცხოელებისა. II—IV საუკუნეებში საქართველოში კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო გაჩნდა, მაგრამ ეს სახელმწიფო XI—XIII საუკუნეებამდე განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფებოდა. ხოლო XI—XVIII საუკუნეების ქართული სამართლის განვითარება XI—XII საუკუნეებში შედგენილ „რუსკაია პრავდას“ დანებდნენ ვერა ივიდა. მამასადავამ, ქართველი ხალხი უძველეს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 77.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 84.

ბერიოდიდანვე დაწყებული და XVIII საუკუნით დამთავრებული — ერთ ადგილზე იყო განერგებული. რა იყო ასეთი საოცარი, ჯერ ისტორიაში უნახავო მოვლენის მიზეზი? გ. სოსელია ამ კითხვებზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა. მაგრამ გ. სოსელიას ასეთი შეხედულებიდან ძალაუფლებრად ის გამოდინარეობს, თითქოს ხალხები არ არიან თანასწორნი: თითქოს არიან ხალხები, რომლებიც ისტორიის დემიურგებად გვევლინებიან და არიან ხალხები, რომლებიც ისტორიის ბალასტს წარმოადგენენ, უკანასკნელი პირველი ამ მუდმივი შეგირადი. გ. სოსელიას ამ „თეორიის“ მიხედვით, ქართველი ხალხი, ალბათ, ხალხთა ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება. ამის კი არაფერი აქვს საერთო მარქსიზმ-ლენინიზმთან.

გ. სოსელია წერს: „შოთა რუსთაველი იმით კი არ ამაღლებულა რეალურ სინამდვილეზე, რომ იგი ამ სინამდვილეს მოწყდა და თვითნებაობი, იდეალიზირებული სამყარო შექმნა. გენიალურმა პოეტმა იდეალად დასახა ის მოვლენა, რაც საქართველოს სინამდვილეში იყო. მაგრამ რასაც საზოგადოება, ეპოქა ემბროდა“; რა იყო საქართველოს სინამდვილეში რეალური? გ. სოსელიას პასუხი: გვაროვნული წყობილების „კონსერვირებული“ ინსტიტუტები: ვინ ემბროდა ამ „კონსერვირებულ“ ტრადიციებს? გ. სოსელიას პასუხი: განვითარების პირველ საფეხურზე მყოფი ფეოდალური საზოგადოება. შოთა რუსთაველი, გ. სოსელიას აზრით, იმით იყო გენიოსი, რომ მან იდეალად დასახა გვაროვნული წყობილების „კონსერვირებული“ ინსტიტუტები!

ყველა საკითხს, რომლებიც აღძრულია გ. სოსელიას ხეივანულ წიგნში, ვერ შევვებით, — ვი შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ერთ საკითხზე მინდა მკითხველს უკრძალავა შევიჩირო.

გ. სოსელია, მოგვითხრობს რა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მრავალი უცხოელების ნახვლია, განაგრძობს: „არ არის არავითარი საფუძველი ვეფარადობით, რომ ქართველების მიერ შესრულებულია მალაი ზღოვნების ნიმუშები, ხოლო უცხოელი ოსტატების ნახვლია ნივთები, რომლებიც ნაკლები ზელოვნებით არის შესრულებული“<sup>2</sup>.

ჩანს გ. სოსელია ვიღაცას გვაპითხება. ავტორი უარყოფს, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულს, ამ შეხედულებას, რომლის მიხედვით, თითქოს მალაი ზელოვნებით შესრულებული ნივთები ქართველებს ეკუთვნის, ხოლო უფრო დაბალი ზელოვნებით შესრულებული — უცხოელებს.

<sup>1</sup> გ. სოსელია, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, გვ. 96.

<sup>2</sup> Вопросы истории, გვ. 76.

გ. სოსელიას წერილი, როგორც ეცნობა, რუსულად არის დაწერილი. მკითხველს რომელიც არ იცნობს ქართულ ენაზე შესრულებულ ნიმუშებს, ბუნებრივია, იფიქრებს, რომ ალბათ ქართველმა ისტორიკოსებმა წამოაყენეს ასეთი მოსაზრება. მაგრამ საჭმე ისაა, რომ არც ერთ ქართველ ისტორიკოსს, არც სხვა ვინმეს არისოდეს ასეთი საკითხი არ დაუსვამს, ე. ი. არავის არ წამოუყენებია ის მოსაზრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ემბროდას გ. სოსელია.

მოკლედ გაეიმეორება ფურცლებანიძე-სოსელიას „შეხედულება“ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: „შოთა რუსთაველი რეალისტა მწერალია, ის „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს სინამდვილეს ასახავს, სწორედ ამ სინამდვილეში, ე. ი. რუსთაველის ეპოქის საქართველოში“, ფეოდალური საზოგადოების სუსტი ტემპით განვითარების გამო მისი პირველყოფილ-აქტიური წყობილების „ვადმონაშთების“ და ამ წყობილებისთან დაკავშირებული ტრადიციების „კონსერვირება“, რუსთაველის დროინდელი ფეოდალური საზოგადოება, მისი გაბატონებული კლასი სასტატოდ ემბროდა გვაროვნული წყობილების ამ „კონსერვირებულ“ გადმონაშთებს, ხოლო შოთა რუსთაველისათვის გვაროვნული წყობილების ეს „კონსერვირებული“ გადმონაშთი იყო იდეალი, ის ხარბად დაიწაფა მას, შთაგონებელი იქნა ამ „კონსერვირებული“ ვადმონაშთებისაგან და ამის შედეგად დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.

ისტორიამ არ იცის, რომ წარსულის გადმონაშთებით გენიალური მხატვრული ნაწარმოები შექმნილიყო: გენიოსი მომავლის საუკეთესო იდეალებით არის შთაგონებული და იმიტომ არის ის გენიოსი.

XII საუკუნეში ფეოდალური საქართველო ჩამორჩენილი კი არ იყო, არამედ განვითარების მიღწეულ საფეხურზე იყო ასული. რუსთაველის ეპოქის საქართველო ქართველ ხალხს უძველეს და მდიდარ კულტურის ემყარებოდა და სწორედ იმიტომაც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“.

ჩვენი დასკვნები ასეთია:

1. გ. სოსელიას და ბ. ფურცლებანიძის შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მეთოდოლოგიურად უაღბლო და ემყარება საქართველოს ისტორიული მოვლენების დამახინჯებულად გაგებას; ამ „თეორიას“ მარქსიზმ-ლენინიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს.

2. გ. სოსელიას შეხედულება ხალხების მასშველებლად და შეგირადლად დაყოფის შესახებ თავისი შინაარსით ხალხთა უთანასწორობის ბურჟუაზიულ თეორიებს ენათესავება.

3. გ. სოსელიას მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები ქართველებს არ ეკუთვნის, ისტორიული ფაქტებს დამახინჯებას წარმოადგენს.

### კ. გიგოლი



## ონეჲ ქართლის ცხოვრების შესახებ

ქართულ „მხათობში“ (№ 4, 1957 წ.) დაიბე-  
და აბელ კიკვიძის წერილი სათაურით „ქართლის  
ცხოვრება“ თუ „ახალი ქართლის ცხოვრება?“  
შართალია, ეს წერილი წარმოადგენს რეცენზიას  
ჩემს წიგნზე, („ნარკვევები საქართველოს ისტო-  
რიის წყაროთმცოდნეობიდან. 1. ახალი ქართლის  
ცხოვრება“) მაგრამ არსებითად იგი მაინც ქართ-  
ლის ცხოვრებას ეხება და მის ძირითად პრობ-  
ლემებს განიხილავს.

1. აბელ კიკვიძის სადავოდ მიანინია ამ ძველის  
სათაურის საკითხი. მისი აზრით, ვახტანგამდე  
(მე-18 ს. დამდეგი) მას არ ეწოდებოდა ქარ-  
თლის ცხოვრება. ა. კიკვიძე ამბობს: „რაც  
შეეხება ამას, რომ ნუსხეებში ვახტანგამდე არ-  
სად ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება“, ჯერ  
საუბროა ამაზე გვიმასტოს ავტორმა, (ე. ი. ჩუგნი)  
რომელ ვარიანტში ეწოდება ძველ ქართლის  
ცხოვრებას ზოგადი სახელი „ქართლის ცხოვრე-  
ბა“? (გვ. 153). თავისი აზრის საბილესტრაციოდ  
ის ასახელებს მარიაშის და ანა დედოფლის-  
სველ ქართლის ცხოვრებას, რომელთაც, თითქმის  
არ გაანწიათ ასეთი სახელწოდება და თავის  
მხრივ დასძენს: „სხვა ვარიანტად, რომ აღმოაჩინ-  
დეს (რაც მეტად სათუთა) ვახტანგის დრომდე ამ  
ძველს არც ერთ ვარიანტში არ ექნება ასეთი ზო-  
გადი სახელწოდება „ქართლის ცხოვრება“ (იქვე).  
მისი სიტყვით, სახელწოდება „ქართლის  
ცხოვრება“ ამ ერებულისათვის, „რომელსაც არ  
ჰქონდა ერთიანი სახელწოდება ისე, როგორც არა  
აქვს ეს სახელწოდება მარამ დედოფლისსველ  
ნუსხას“, ფეოდალურ-ეკლერტიკულ წრეს შეუბ-  
რძევია (გვ. 154). აბელ კიკვიძის მოსაზრება არ  
არის მართალი. დოკუმენტალურად იჩვენება,  
რომ ისტორიულ თხზულებათა ამ ერებულს ზო-  
გადი სახელწოდება „ქართველთა ცხოვრება“  
ანუ „ქართლის ცხოვრება“ აქვს თავისი არსებო-  
ბის პირველივე დღიდან და ის ვახტანგის დროს  
შერქმეული სახელი არ არის. ხო რას ამბობს ამის  
შესახებ ქართლის ცხოვრების ის ძირითადი ან-  
დერძ-მინაშერი, რომელიც არჩილ მეფის წამების  
ტექსტს მისდევს და იკითხება ასე: „ხოლო წიგ-  
ნი ესე ქართველთა ცხოვრებისა  
ვიდრე ვახტანგისამდე აღწერებოდა ეამითი —  
ეამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქ-  
მომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანამან... მიე-  
რითგან შემდგომთა მოაპყალთა ნათესავთა აღ-  
წერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარეჲმან

ეამამან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთი-  
განბრძობილსა“.

რას ნიშნავს ამ ანდერძში გამოანთქავაში: „წიგ-  
ნი ესე ქართველთა ცხოვრებისა...?“ უცეკელია,  
ეს ნიშნავს მთელ ერებულს, რომელიც  
ვახტანგამდე იწერებოდა, „ეამითი-ეამად“, ხოლო  
შემდეგ ცალცალკე შეუტანიათ მასში ჯუანშერა-  
სა და ლუარტი პროცელის თხზულებანი. მართა-  
ლი იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელიც  
ამ ანდერძს ამ დროს დაწერილად მიიჩნედა,  
როდესაც ქართლის ცხოვრება არჩილის წამებთ.  
მთავრდებოდა და სხვა თხზულებანი მასში ჯერ  
კიდევ შეტანილი არ ჰქონიათ<sup>1</sup>.

რომელი ნუსხა გვაქვს ჩვენ ქართლის ცხო-  
ვრებას ასეთი, რომელსაც ეს ანდერძი არ მოე-  
პოვებოდეს? არც ერთი. მაშასადამე, ამ ძველის  
ასეთი სახელწოდება: — „ქართველთა ცხოვრება“  
წარმოადგენილი ყოფილა ყველგან, ყველა ვარი-  
ანტში.

მართალი არ არის აბელ კიკვიძე, როდესაც  
ფიქრობს, რომ სახელწოდება ქართველთა  
ცხოვრება მხოლოდ ჯუანშერამდე (XI ს.)  
იხმარებოდა და მერე კი არა: „არა ქართველთა  
ცხოვრება“, არამედ მეფეთა ცხოვრებას წერდნენ  
შემდგომი მემატიანენი“ — განმარტავს ის ამის  
შესახებ. უნდა განვაცხადოთ, რომ არსად და  
არასოდეს „მეფეთა ცხოვრება“ „ქართველთა  
ცხოვრების“ შემცვლელი სახელი არ ყოფილა.  
ქართველთა ცხოვრება ყოველთვის  
ნიშნავდა საქართველოს ისტორიის მთელ ერე-  
ბულს, ხოლო მეფეთა ცხოვრება ყო-  
ველთვის იყო ამ ერებულში შემაჯავლი ერთ-ერთი  
თხზულება, რომლითაც ქართლის ცხოვრება  
წვედლებრივ იწყება ხოლმე.

რომ ქართველთა ცხოვრება ძველ  
ქართულ მწერლობაში ჯუანშერის შემდეგაც იხ-  
მარებოდა, ეს ჩანს არჩილ მეფის წამების მეტა-  
ფრასიდანაც, რომელიც XIII საუკუნეს განეკუთ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი  
ყველა ძირითადი ზღაპრის მიხედვით ს. ყა-  
უხიშვილის მიერ. ტომი I, თბილისი, 1955,  
გვ. 148.

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის  
მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლ.  
წიგნი 1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა.  
თბილისი, 1916, გვ. 262.

ვნება. მეშვიდესეული იქ არჩილ მეფის წამების ავტორად ლონტა პოევეს აცხადებს, ის იმპერატორს სწორედ ქართველთა ცხოვრებას და აზრობს. „...ეითარცა მოგვითხრობს მატანე ქართველთა ცხოვრებისა...“<sup>1</sup> ასევე აღრიდებენ (XI-XII საუკუნეები) ქართველთა ცხოვრების პარალელურად ამ კრებულის ზოგად სახელად, როგორც ცნობილია, იხმირებოდა ქართლის ცხოვრებაც. მაშასადამე, ამ კრებულს ზოგადი სახელწოდება — ქართლის ცხოვრება და მკვლევარების მიერ დანიშნულია, ისე ვახტანგის შემდეგაც, რადგანაც აბელ კიციძეს მარიაშვილი ქართლის ცხოვრება განსაკუთრებულ სახელად მიანდა იხმირა, რომ ვახტანგამდე ამ კრებულს თითქმის არ ეწოდებოდა ქართლის ცხოვრება, გვიანდა შეენიშნათ, რომ სწორედ მარიაშვილი ცხოვრებას ქართლის ცხოვრებას ამ კრებულის ორივე სახელწოდება შემოინახული: ქართველთა ცხოვრება და ქართლის ცხოვრება. გარდა ცნობილი ანდერძისა, რომელშიაც ქართველთა ცხოვრებაზეა საუბარი, იქ 250-ე გვერდზე მოიპოვება ამ წესის გადამწერის ანდერძ-შინაწერიც, რომელიც ამ კრებულს ქართლის ცხოვრებას ეწოდებს და იკითხება ასე „ღმერთო და წმინდაო ღთის შობილო... ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა დიაცე ქართლის დედოფალი მარიაშვილი, რომლისა ბრძანებითა იწერა ცხოვრება ქართლისა, ღმერთმან ავტორთის“<sup>2</sup>.

თუ ჩვენ ვაიხსენებთ ექვთიმე მთავრის მითითებას, იმის შესახებ, რომ მარიაშვილი დედოფლისეული ქართლის ცხოვრება „გადამწერილია მამინ, როდესაც ვახტანგი ჯერ კიდევ დამადებულ იქნა იყო“, ამჟამად იქნება, რომ აბელ კიციძის მსჯელობას არა იქნება არავითარი საფუძველი. ყოველ შემთხვევაში, მარიაშვილი დედოფლისეული ქართლის ცხოვრება მას ანეთ სახელად ვერ გამოადგება.

2. ბუნდოვანი და მკვრივი აბელ კიციძის დებულება ქართლის ცხოვრების შესახებ არის შესახებაც. ასე, მაგალითად, ძველ ქართლის ცხოვრებაზე მსჯელობისას ჩვენ გამოყენებულნი ვიქნებით რუმინაწილისეული ქართლის ცხოვრების გვიანდელი შესახების წინასიტყვაობის ერთი ადგილი. აბელ კიციძე განახავს ამ წინასიტყვაობის სიყალბეს, გვიასვედრებს მის გამოყენებას და აცხადებს: „ამ ამჟამად ყალბი შესახების წინამდებე ჩვენ მიუღიითებთ ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების ცნობილი შესახების ორ რედაქციას: 1. პატიოსანნი და დიდებულნი ქართლელნი. ეამთა ვითარებისაგან ქართლსა

შინა ქართლის ცხოვრება შემცირებულ იყო, ხოლო მე მეფემან ვახტანგ ძემან ლონისამან და მისწულმან მეფის გიორგისამან...“<sup>3</sup> მკვლევარები სწავთავენ კაცნი და სხუთთა წერითნი და გუჯართაგან და რომელნივე (სხვათა) ენათაგანცა გამოვიღეთ და ესრეთ შევჯხენით და აღწერეთ.

2. პატიოსანნი და დიდებულნი ქართველნი. ეამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გინრეცხილ იყო, რომელიცე მწერალთა მიერ და რომელიცე ეამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო...“ (გვ. 154).

ჩვენ, ვიცოდით, რომ ეს წინასიტყვაობა ყალბია, რაც სათანადოდ აღნიშნული გვაქვს ნაშრომში<sup>4</sup>. მაგრამ მას ჩვენ გარკვეული მიზნით მივმართეთ, გვიანდელი შეგვემოწმებინა თუ როგორ ესმოდა ყალბისმქნელი ცნება ძველი ქართლის ცხოვრება.

რაც შეეხება ქართლის ცხოვრების ამ „ცნობელ“ შესახებს, რომელიც იქ აბელ კიციძეს მთლიანად მოეცნა (პირველი) და რომლის გამოყენებას ის თავგამოდებით მოითხოვს, ჩვენი დაიკრებივით, შეუწყნარებელი ჩინს, სიმამის არის, რომ სწორედ ეს არის, ის გვიანდელი შესახები რუმინაწილისეული ქართლის ცხოვრებისა, რომლის წინასიტყვაობის სიყალბეს თვითონ აბელ კიციძე იქ გვიკითხებდა. დღეს უკვე დამტკიცებულად ითვლება, რომ ის შესახები თავისი წინასიტყვაობითურ რუმინაწილისეულ ქართლის ცხოვრებაში ნაგვიანევი მოვლენა და, ამდენად, მას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან და თავიდან ბოლომდე ყალბია.

3. კამათის მთავარი საგანი, რომლის გარშემოდაც აბელ კიციძე დიდ დროსა და ენერჯიას ანდობებს, ეს არის პრამბლება ძველი და ახალი ქართლის ცხოვრების შესახებ.

XVIII საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ავტორები ორგვარ ქართლის ცხოვრებას იცნობენ და ასხეავენენ ერთმეორისაგან: ძველსა და ახალს. მაგრამ რომელი იყო ძველი და რას ეწოდებოდა ახალი ქართლის ცხოვრება, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში დამატრებულად დადგინდა არ იყო. ფიქრობდნენ, რომ ქართლის ცხოვრების პირველი, ძირითადი ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს ქართველი ხალხის ისტორიის უძველეს დროიდან გიორგი ბრწყინვალემდე (XIV ს.), არის ძველი ქართლის ცხოვრება, ხოლო ქართლის ცხოვრების გავრცელება, რომელიც მოგვითხრობს XIV — XVIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიას — ახალი ქართლის ცხოვრებაა. ამგვარად, მკვლევარნი ძველსა და ახალ

<sup>1</sup> კონსტანტინე გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან 1. ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი. 1954, გვ. 204—205.

<sup>1</sup> მ. ჯანაშვილი. ქართული მწერლობა, წიგნი 1, თბილისი, 1900, გვ. 258.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 248.



ქართლის ცხოვრებას შორის შინაარსულ განსხვავებას ვულისხმობენ: ძველი ქართლის ცხოვრება ერთი რივის თხზულებებისაგან შედგება, ლინტონი მროველის „მეფეთა ცხოვრებდან“ მოკიდებული, ეპოპოლიმწერელის უსათაურო თხზულებამდე. (XIV საუკუნე); ახალი კი შედის სულ სხვა შრომები, რომლებიც ქართლის ცხოვრების ვასაგრძელებლად ვახტანგის მეცნიერ კაცებს დაუწერიათ. — ფიქრობდნენ მკვლევარნი, ჩვენ მიერ წარმოებულმა დაკვირვებამ დაგვიჩვენა, რომ მკვლევართა შემოადინებულ მოსაზრება ძველი და ახალი ქართლის ცხოვრების რაობის შესახებ საკმარისად დასაბუთებული არ არის და ვიდრისიყვას მოითხოვს. ვამბობთ, რომ XVIII საუკუნის ავტორები ძველი და ახალი ქართლის ცხოვრებას შორის შინაარსობრივ განსხვავებას არ ვულისხმობენ, ხოლო განსხვავება, რომელიც მათ მხედველობაში აქვთ, მხოლოდ რედაქციული ხასიათისაა. მართლაც, ვახტანგის დროს ქართლის ცხოვრებას ვაგრძელებდნენ მათ რედაქციული ნიშნებისა, რომლებიც მას უფრო ადრე არ ჰქონდა, ხედავს ნაშრომში დამტკიცებულია, რომ XVIII საუკუნის ავტორები ახალს სწორედ იმ ქართლის ცხოვრებას უწოდებდნენ, რომელიც ვახტანგის დროს ასეთი რედაქციული გადამამუშავების შედეგად ჩამოყალიბდა. განსხვავებულად იმ ქართლის ცხოვრებისაგან, რომელიც ვახტანგამდე არსებობდა და რომელსაც ისინი ძველს ეძახდნენ.

რაც შეეხება მეცნიერ კაცთა მიერ ვახტანგის თაოსნობით შედგენულ XIV—XVIII საუკუნეთა ამბების შემცველ გაგრძელებას, ის მხოლოდ ნაწილია ახალი ქართლის ცხოვრებისა და არა თვითონ ახალი ქართლის ცხოვრება, როგორც ამას დღემდე ვარაუდობდნენ.

ახელ კაცებზე არ იწუნებენ ძველი და ახალი ქართლის ცხოვრების ჩვენებთ განმარტებას და ამბობენ: „მაგრამ შრომის მთავარი საკითხი სადავად მივაჩინია. „ახალი ქართლის ცხოვრება“, ჩვენი დსკვნიტ, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა“ (გვ. 153). ამგვარად, ახელ კაცებზე ისევ რედაქციული თვალსაზრისი უბრუნდება.

პირველ რიგში მას იყრისი მიაქვს ჩვენი დებულების წინააღმდეგ ნუსხაში ქართლის ცხოვრების გაგრძელებების უსათაუროდ წარმოადგენის შესახებ და თავის მხრივ წერს: „რაკი სწავლულ კაცთა მიერ შესრულებული ეს შრომა მიმინებელი იყო ქართლის ცხოვრების გაგრძელებად, მას ცალკე ზოგადი სათაური, ბუნებრივია, არ ექნებოდა, მაგრამ გაგრძელება ვამბულ ტექსტის როლი წარმოადგენს, რომ მასში ავთი ავტორებისაგან არ იყოს განსაზღვრული ცალკე ნაწილები. გაგრძელების შესავალი ამკარად მოქმობს სწავლულ კაცთა იმ შრომის ცალკე დასათაურებულ ნაწილებს“ (გვ. 153). ამის შემდეგ ახელ კაცებებს მოაქვს ქართლის ცხოვრების გაგრძელების შესავალი, და დასკვნის: „მასსა-

დამე, იქ გაგრძელებად არის მოცემული გაგრძელების ცალკე სათაურები და ამაზე უფრო კიდევ ექ. თაკი იმ ვილი ში, ხოლო შედგენილი იქნება ახალი ვილი ში მითითებულად“.

საიწუხაროდ, ახელ კაცების მსჯელობა ქართლის ცხოვრების გაგრძელებების დასათაურებასთან დაკავშირებით თავიდან ბოლომდე ვუგებბრობაზე აღმოცენებული ჩანს. უფრო ერთი. თუ ქართლის ცხოვრების გაგრძელებას არ შეიძლება ჰქონდეს ერთი ზოგადი სათაური და ეს ახელ კაცებებს „ბუნებრივად“ ეჩვენება, მაშინ საკითხავია, როგორღა ამტკიცებს იგივე ახელ კაცებზე დებულებას იმის შესახებ, რომ სწორედ ეს გაგრძელებაა ახალი ქართლის ცხოვრება და ასე უწოდებოდა მას. ვარდა ამისა, კამათი და საუბარი აქ, როგორც ცნობილია, იმ გაგრძელების ზოგად სათაურს შეეხება. ა. კაცებზე კი განიბილავს იმ გაგრძელების შესავალს და ვარაუდობს იმას, რომ „... აქ გაგრძელებად არის მოცემული გაგრძელების ცალკე სათაურები“-ო. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ნუთუ ცხადი არ არის, რომ გაგრძელების შესავალში „ცალკე სათაურები“ არათუ „გაგრძელებად“, არამედ ვაკერითაც არ არის მოცემული. საერთოდ, იმ შესავალში არავითარი დასათაურება წარმოადგენილი არ არის. იქ მხოლოდ XIV—XVIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური მონაკვეთებია (ხედივდები) მოხაზული და მითითებულია ის წყაროები, რომელთა მიხედვით მეცნიერ კაცთა კომისიის თითოეული მათგანი ვაუშუქებია. კიდევ უფრო განსაიდგინებელი ის ვარაუდებია, რომ ა. კაცებზე აქ—ექ. თაკი იმ ვილისა და ივანე ჯავახიშვილისა კი ასახელებს. თითქოს მათ ჰქონდეთ იმ შესავალში ცალკე სათაურების არსებობა დადასტურებული. სინამდვილეში კი, ექ. თაკი იმ ვილით და ივანე ჯავახიშვილითან არც ა. კაცების მიერ მითითებულ ადგილებში და არც სხვაგან სადმე ასეთ რამეს აღვიდა არა იქვს. მითითებულ ადგილებში საუბარია მხოლოდ შესავალის ავტორთა მიზნების, წყაროების მეთოდოლოგიური ხერხების და სხვათა შესახებ. ექ. თაკი იმ ვილის იმ შესავალის რუსული თარგმანიც კი აქვს შესრულებული. მაგრამ მისი დასათაურების ცდა არსად მოცემული არ არის. მაგრამ ა. კაცებზე გაგრძელების სათაურზე მსჯელობას იმაზე როდი ამთავრებს. მას ვიწუქდება მისივე დებულება, რომ „გაგრძელებას შეუძლებელია სათაური ჰქონდეს“ და ახლა თავგამოდებით ცდლობს დაამტკიცოს, რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელება სათაურითა ძველია და რომ ის ნუსხაში სწორედ ასეა წარმოდგენილი. ავტორი ამბობს: „... ზომ არსებობს კიდევ სხვა ვარიანტები (ივლისისებურად გაგრძელები), რომლებიც სათაურთან ძველებს წარმოადგენენ. ასეთია ქართლის ცხოვრების გაგრძელება, რომელიც იწვევა 1452 წლიდან და თავდება 1605 წლი. მას იწოდება: „სახელ-

ათა ღმრთისათა, აჲ ეჲყო ცხოვრება ბაგრატიონიანთა მეფობისა". ასეთი აგრეთვე ცნობილი „პარიზის ქრონიკა“, გაიკლებით უფრო დიდი პერიოდის მომცელი გავრძელება (1373 — 1700 წწ.). მის ეწოდება „ცხოვრება საქართველოსა“ (გვ. 153).

ასეთი სათაურიანი ძეგლები ქართულ ისტორიოგრაფიაში მართლაც მოიპოვება, მაგრამ ვასაკერი ვი, თუ როგორ გამოიყენება ეს გარემოება ჩვენ საწინააღმდეგოდ. საქმე ის არის, რომ წინააღმდეგ ჩვენ საუბარი გვაქვს ქართლის ცხოვრების გავრძელების იმ თავდაპირველი რედაქციის შესახებ, რომელიც ვახტანგის მეცნიერ კაცთა ხელიდან არის ვამოსული. მხოლოდ მას აქვს ავტორთა კოლექტივის ნაკვალევი თვალსაჩინოდ შემორჩენილი. რაც შეეხება ა. კიკვიძის მიერ აქ მითითებულ ძეგლებს, ისინი უფროსი, როგორც ეს კარგა ხანია გარკვეულია ივანე ჯავახიშვილის მიერ, წარმოადგენენ პარკელის ვადაკეთებას და ვანეკუთვნიან ვუანდელ ხანას.

ასე რომ, ჩვენი დებულება, რომ ქართლის ცხოვრების გავრძელება უსათაურო ძეგლია, ა. კიკვიძის შენიშვნების შედეგადაც ძალაში რჩება. არც ერთ იმ სამ წესსაში, სადაც კი აღნიშნული გავრძელება თავდაპირველ სახით შემორჩენილია (ჯანაშვილისეული, ჭალაშვილისეული და მიახალისეული) მას სათაური არა აქვს.

სადაც საკითხის ვასაქვევად მნიშვნელოვანია იმის დასაბუთებელი დადგენაც, თუ როგორ ესმოდათ ტერმინები — „ძველი“ და „ახალი“ ქართლის ცხოვრება თვითონ XVIII საუკუნის ავტორებს. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მოექცია ქართლის ცხოვრების გავრძელებაზე მომწიფე მეცნიერ კაცთა ერთმა მითითებამ, რომელიც საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის ისტორიის შეუხება. ისინი აცხადებენ: „და თუ რაჲა იქმნა ეჲშა მას, ანუ რა ქმნა მეფემ ბაგრატ, ანუ რაჲა იქმნა, უფელაჲე ძველის ქართლის ცხოვრებადამ აღგვიწერია“.

თუ მართლაც, ავტორებმა ბაგრატ V ცხოვრება ახალ ქართლის ცხოვრებაში შეიტანეს და შეიტანეს სწორედ ძველი ქართლის ცხოვრების მიხედვით, ამერაბა, რომ ეს ძველი (ბაგრატის ცხოვრება) ორივე ქართლის ცხოვრებაში ყოფილა შეტანილი და მით შორის, არავითარ შენაჩსეულ სხვაობას არ ჰქონია აღვლილი.

ისევე, თვითურაზ ბატონიშვილთან ჩვენ ვიპოვეთ მითითება, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ლეონტი მროველის „მეფეთა წაწინა“ როგორც ყველში, ისე ახალ ქართლის ცხოვრებაშიაც უფელა შეტანილი. ა. კიკვიძის მოაქვს ეს აფვილი და თავის მხრივ დასტუნს: „მამასადამე-

ყოფილა ძველი და ახალი — როგორც ვეცელი. ისე შემოკლებული თუ ნაკლებოვანი მატიაწენი. მაგრამ ასეთი მრავალი ქართლის ცხოვრება-შეიღო ხელნაწერბადაა წარმოსადგენს მის მსახურბა ნიშეილიც უეპველად ამ ძველ და გვიანდელ ვრცელ ხელნაწერებს გულისხმობს და მეტს არაფერს“ (გვ. 154).

სამწუხაროდ, აქაც პირველ ა. კიკვიძის მსჯელობა უსაფუძვლოდ და, რაც მოთავსია, უადვილოდ გამოიყურება. თვითურაზ ბატონიშვილს ნათქვამი აქვს „ვრცელთა მატიაწენთა შინა ძველთა და ახალთა...“ ასე სწერიათ. ა. კიკვიძე კი ასკენის: „მამასადამე, ყოფილა ძველი და ახალი, როგორც ვრცელი, ისე შემოკლებული თუ ნაკლები ლეონტი მატიაწენი“. ვლიერობთ, თვითურაზის ზემოაღნიშნული სიტყვებიდან ასეოი დასკენა არავითარ შემთხვევაში არ გამოამდინარობს. მაგრამ, თუ ჩვენ დაეუშვებთ ასეთ რამეს და თვითურაზის სიტყვებს ისე ვავიგებთ, როგორც ეს ა. კიკვიძის უნდა, მაინც ვაუგებარია იქნება: როგორ გამოიყენება ეს ვარაუბობა ჩვენი დებულების საწინააღმდეგოდ? ვასაკვიფრებელია ა. კიკვიძის ეს სიტყვები: „მაგრამ ასეთი მრავალი ქართლის ცხოვრება მხოლოდ ხელნაწერბადაა წარმოსადგენი“. რასაკვირველია, ხელნაწერბადაა წარმოსადგენი! განი ეს ვარემობა შესაძლებელია სადაღო ვახდეს?

ა. კიკვიძე თვითურაზის შესახებ საბოლოოდ აცხადებს: „თუნდაც რომ თვითურაზ ბატონიშვილს ეთქვას — ძველი და ახალი ქართლის ცხოვრება, როგორც ეს ავტორის წარმოდგენია, მაინც ამით ვერ დამტკიცდება, რომ ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება ახალ ქართლის ცხოვრებას წარმოადგენდეს, რადგან თ. ბატონიშვილი, XVIII ს. ისტორიკოსი არ არის“. პროფ. ა. კიკვიძის უნდა მოესხენებოდეს, რომ ძველი და ახალ ქართლის ცხოვრების სწორედ თვითურაზისეული ვგებმა დადასტურებულა ივრთვე ვახუშტი ბატონიშვილთანაც, და ეს ვარემობა კარგი ხანია სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია კიდევ! ასე რომ თვითურაზის უარყოფითი ამპროვარი შეიცვალა. მას ეახუშტი ბატონიშვილი ა. კიკვიძის მტკაცელ უწერს მხარს. ხოლო ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ჩვენი მოთავარი დებულება ძველი და ახალი ქართლის ცხოვრების შესახებ ურყევილ ძალაში რჩება.

4. აბელ კიკვიძე თითქმის იწყნარებს ჩვენს დებულებას რემიანციისეული ქართლის ცხოვრების სხვათ უფრო აღნიშნულობის შესახებ (ამ ტიპის ხელნაწერბათა შორის, მაგრამ ის იქვე დასტუნს: „აგრე კიდევ ეპ. თაყაიშვილი გამოთქვამდა ასეთ მოსაზრებას“. (გვ. 152), ამითკარ-

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ობი. 1916, გვ. 310 — 320.

<sup>2</sup> შოთა მესხია. ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა: (ანალები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები I. თბილისი. 1947, გვ. 15).

ცნუნტი აბათილებს მის მიერ ნათქვამს და ასეთ მოსაზრებას რუმინანცივისული წესის შესახებ ექ. თაყაიშვილს მიაწერს.

თუ ეს ასეა, აშკარაა, რომ წვენი სხვისა აზრი შეგვითვისინია ან, უკეთეს შემთხვევაში, გაგვიშვარება ის. სინამდვილეში კი, ჩვენთან არც ერთს აქვს ადგილი და არც შვრორეს.

რამდენადაც საუბარბ ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების ყველაზე ადრინდელ ნუსხას შეეხება, ასეთი რამ ექ. თაყაიშვილს რუმინანცივისული ხელნაწერის შესახებ არსად ნათქვამი არა აქვს. პირქით, ქართლის ცხოვრების დიდი მკვლევარი ასეთ ადრინდელ ხელნაწერად მხოლოდ თეიმურაზისეულ ნუსხას მიიჩნევდა. ამ რას ამბობს ის თვითონ ამ საკითხის შესახებ:

...так как Румянцевский список, как мы видели, не мог появиться позднее 1709 года, то Теймуразовский следует отнести еще более раннему периоду, скорее всего 1700—1705 годам. Поэтому мы и считаем Теймуразовский список самым ранним списком Вахтанговской редакции, в котором редактирование текста не доведено до конца и редакция не получила еще определенной физиономии<sup>1</sup>.

ჩვენს ნაშრომში კი ამ ხელნაწერზე სათანადო მსჯელობის შემდეგ სიტყვასიტყვით ნათქვამია: „თუ ეს ყველაფერი ასეა, შესაძლებელია დავსკვნათ: ქართლის ცხოვრების რუმინანცივისული ხელნაწერი შეესებოდა ქართლის ცხოვრების მხოლოდ ერთ-ერთი ადრინდელი ნუსხასთან კი არ არის, როგორც ამას დღემდე ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავდა, არამედ ის უკერძობით ცნობილ, ამ ტიპის ხელნაწერთა შორის ყველაზე უფრო ადრინდელი ძეგლია“<sup>2</sup>.

5. მტკვარა აბელ კიკვიძის მსჯელობის ის ნაწილიც, სადაც საუბარბა ქართლის სამეფოში XVIII საუკუნის დამდევისათვის საქართველოს გაერთიანების განსაკუთრებული ტრადიციების შესახებ. (გვ. 155).

მართალია, საქართველოს ერთიანობის იდეა ქართლის სამეფო სახლში უფრო მეტხანს შემინაშა, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ეს თვალსაჩინო XVI საუკუნეში, და ისიც ვარკვეულ დრომდე, რაც შეეხება მომდევნო ხანას, როდესაც ქართლის სამეფომ თვითონ დაკარგა დამოუკიდებლობა, ერთიანობის იდეის სასარგებლოდ, მას

ართუ მოქმედება, ფიქრიც კი არ შეეძლო. მით უფრო, XVIII საუკუნის დამდევისათვის ასეთი მოქმედების არავითარი შესაძლებლობა მას არ გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი ისტორიაში ცნობილი არ არის. ხოლო ა. კიკვიძის განცხადება, თითქოს ამას ადასტურებდეს ის ფაქტი, რომ „კახეთის სამეფოს მესვეური იწოდებოდა არა მეფედ, არამედ კახთ ბატონად“, ან კიდევ „ამიტომ იყო, რომ ქართლის ცხოვრების გამგარკელებული მხოლოდ ქართლის სამეფოზე წერდა, იმერეთისა და კახეთის შესახებ ბოლიშოვენი, ნამდვილად კი მათ არ ცნობენ სამეფოებად“ — წარმოადგენს არა მარტო გაუგებრობას, არამედ სინამდვილის ტენდენციურ დამახინჯებასაც. საისტორიო წყაროებში არც ამას დამადასტურებელი ფაქტები მოიხსენიება სადმე. საკითხის გასარკვევად უმჯობესია ჩავიხედოთ ვახტანგის ავტოგრაფულ ანდერაჟ-მინაწერში, რომელიც მისდევ „ბაგრატიონთ ნათესაობის წიგნშია“ მოთავსებული. ვახტანგი იქ სხვათაშორის ამბობს: „ხოლო იმერეთის მეფისა და კახის ბატონის ნათესაობა მრავალს ვუცადე შემეტყო, რომლის ტომისაგან იყო და ვერვისაგან შევიტყვე, თუ ასე გასინჯეთ და თუ მდამალი ვინგინდა ბაგრატიონთ ნათესაობა დავსწერეთ; მაოცა უფრო დავსწერდი. და თუ თვითონ იბოვნიან და რომლისაც ტომისაგან არიან და დავწერებინა მე დიდად მოამება“<sup>3</sup>. როგორც ცნობილია, ვახტანგი ქართლის ცხოვრების რედაქციის საქმეს ნა, კერძოდ, „ბაგრატიონთ ნათესაობის წიგნს მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით უდგებოდა და არავითარი სხვა გარდამავალი მოტივები მას არ ამოქმედებდა. „ბაგრატიონთ ნათესაობის“ ძიებნისას მას ვერ დაუდგენია ამის შესწავლა ანუ გენეალოგია კახეთისა და იმერეთის ბრძანებულთა, რაც მას, როგორც ნამდვილ მეცნიერს, გააზრული აქვს კიდევ თავის ანდერაჟში.

რომ აქ ვახტანგი სხვა აზრებით არ ხელმძღვანელობდა, ეს მშვენივრად ჩანს მისივე სიტყვებიდან: „თუ ასე გასინჯეთ და თუ მდამალი ვინგინდა ბაგრატიონთ ნათესაობა დავსწერეთ, მაოცა უფრო დავსწერდი. და თუ თვითონ იბოვნიან და რომლისაც ტომისაგან არიან და დავწერებინა მე დიდად მოამება“.

რომ ვახტანგი აქ ცამდის მართალია, მტკვიდებმა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრებითაც“. ამ ნაშრომში ვახუშტიმ, როგორც ცნობილია, XVI—XVIII საუკუნეთა საქართველოს ისტორია გააშუქა ცალკე-ცალკე პოლიტიკური ერთეულებს: — ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს მიხედვით. თუ ჩვენ ამ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ვახუშტის ეს ნაშრომი თავის დროზე და

<sup>1</sup> Е. Такайшвили. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, том II, вып I. Тифлис, 1906, стр. 74.

<sup>2</sup> კონსტანტინე გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყარო-პოქოდ ნებობიდან. გვ. 136.

წერილია ქართლის ცხოვრების დაწინებულ გაგრძელების შესაცვლელად, ჩვენთვის ვასაგებში იქნება ვახუშტის სიტყვები: „რათა არავინ მსოფლიან მისამან შეურაცხება რაჟმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ ეითარსა აღწერეთ“.

სავულისხმია ის გარემოება, რომ ვახუშტი თავის ნაშრომში კახეთისა და იმერეთის მხარეებელთ „მეფეს“ უწოდებს, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო მიღებული. ამ მხრივაც არავითარი განსხვავება, როგორც ეს ა. კიკვიძეს წარმოუდგენია, ქართლსა და კახეთ-იმერეთს შორის არ შეინიშნება. რაც შეეხება „ბატონს“ ის ჩვეულებრივ აღნიშნავდა, როგორც საზოგადოებაში ვაზა-ტონებულ სოციალურ ელემენტს, შემამულე-ფეოდალს. ისევე ქვეყნის უმაღლეს გამგებელს — მეფესაც ასევე ორმაგი მნიშვნელობით იხმარებოდა საბატონოც. იგი აღნიშნავდა როგორც ცალკე ფეოდალი-თავადის სამფლობელოს, ისე მთლიანად — სამეფოსაც. რაც, მითაგირია, აღნიშნულ სახელებს (ბატონი და საბატონო) არსად დამამკირებელი მნიშვნელობა არ ჰქონია და სრულიად ერთნაირად იხმარებოდა როგორც ქართლში ისე კახეთსა და იმერეთშიაც. ვინა ქართლის მეფეს სვიმონ I-ს არ შეუთვალეს ირანელებმა: „გწადდეს ლეჩაქი, ესე აიღო და გწადდეს ხმალ, ზვენი მოგვეხმარე და შენს საბატონოსაცა, — ო, 1, ასე რომ, არაფრო, არ მართლებდა ა. კიკვიძის მოსაზრება, თითქოს ვახუშტი და მისი სამეცნიერო სკოლა ებრძოდა კახეთისა და იმერეთის სახელმწიფოებრიობას და ისინი განზრახვას წერდნენ მათ ისტორიას.

6. ტენდენციური და უსაფუძვლოა ის შენიშვნებიც, რომლებსაც ა. კიკვიძე ჩვენი ნაშრომის პირველ, შესავალ ნაწილში, შესახებ იძლევა. ამ ნაწილში ჩვენი საუბარი ქართლის ცხოვრების მხოლოდ მეთაფოლოგიურ საფუძვლებსა და მის სამეცნიერო მნიშვნელობას შეეხება.

ა. კიკვიძე აქ ღია კარბში იჭრება და სრულიად უსაფუძვლოდ „ამსჭერვს“ ყველაფერს. მაგალითად, იგი განიბილავს ნაკვეთს, რომლის სათაურია — „კლასობრივი ბრძოლის ანარქული ქართლის ცხოვრებაში“ და კითხულობს: „ვინა ამა თუ იმ ხალხის ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიას არ წარმოადგენს? მაშ, რა ფასი აქვს იმის გამოჩვენებას და დადგენას, რომ საქართველოში იყო განაღებული კლასობრივი ბრძოლა?“ (გვ. 157).

ბოკამთუ იქ ჩქარობს — თვითონვე უპასუხოს: „მთლოდ ავტორს, როგორც ჩანს, უნდა „აიძო-ჩინა“, რომ ძველ საქართველოში კლასობრივ ბრძოლას ჰქონდა ადგილი“ (გვ. 152). ჯერ ერთი, ა. კიკვიძეს უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენი მიზანს ამ ნაშრომში არ შეადგენდა კლასობრივი ბრძოლისა და საქართველოს ისტორიის სხვა ცალკე-

ული საკითხების დამოუკიდებელი და საკურო სისრულით გაშუქება. ეს გარემოება „გარკვევით“ აღნიშნული გვაქვს ჩვენი წიგნის პარალელურკვა-ობაში. ჩვენ აქ გვინდოდა მხოლოდ ვაგვეჩინა ის უცილობელი ფაქტი, რომ ქართლის ცხოვრება-ში, მიუხედავად მის ავტორთა ტენდენციური განწყობილებისა, მოპოვება მასალები ასეთი საკითხების გასაშუქებლად. ხოლო ასეთ საკითხებზე ურადლებების გამახვილება საქართველოს ისტორიაში, მით უფრო ქართლის ცხოვრების შეფასებისას, ზედმეტად არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება.

მართალი არ არის ა. კიკვიძე, როდესაც მე ქართლის ცხოვრების ავტორთა ვადაშუქებულ შეფასებას მახრავებს. ისინი თითქოს მე ისეთ ისტორიკოსებად მყავს წარმოდგენილი, „რამელთაო შეძლებთათ თორმე დაეჩხათ ანტაგონისტური საზოგადოება და აფხნათ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით ესა თუ ის მოვლენა“. ამის შესავსი ჩვენთან სრულიად არაფერია ნათქვამი. ჩემი ნაშრომის 29-ე გვერდზე, რომელიც აბელ კიკვიძეს მიითხოვებული აქვს, ამის შესახებ ვითხ-კვლობთ: „აღნიშვნის ღირსია ის გარემოება; რომ ხსენებულ ავტორთა (იგულისხმება ქართლის ცხოვრების) ნაწერებში საზოგადოების დაბალი ფენებისა და კლასთა შორის ანტაგონისტური განწყობილების (ანუ კლასთა ბრძოლის) შესახებ ცნობები ანტიკურებად. მაგრამ მინც მოიძებნება. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მხარის გაშუქება, როგორც ცნობილია, მათ მიზანდასახულებაში, ჩვეულებრივ, არ შედიოდა. მაგრამ ქვეყნის თუ მეფის ისტორიული თავგადასავლის ვადმოცემისას ისინი ზოგჯერ ათივტურთა აუცილებლობით იძულებულნი არიან მწარმოებელი, დაიხრული კლასიც მოიხსენიონ“<sup>1</sup>.

7. მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს ა. კიკვიძის მსჯელობის ის ნაწილიც, რომელიც ქართულ ტომებში ჯგუფობრივ ქორწინებას შეეხება. ჩვენი დებულება, რომელიც — ლეონტი მროველის მიხედვით, ნათქვამია XI საუკუნის მოწინავე ქართველი საზოგადოების შესახებ; ა. კიკვიძის მიერ ასეა ვადსახაფურებული: „ეს გარკვეული წარმოდგენა იგივეა რაც ენგელსის კონცეფცია „პუნალა“ ოჯახის შესახებ და გამოიხს, რომ ქართველი მეცნიერნი მროველი ენგელსზე მ საუკუნით ადრე მივიდა ამ დასკვნამდე“. მაგრამ ა. კიკვიძე ლეონტი მროველსა და ენგელსის დაპირისპირებით, როდი ემაყოფილებს, იგი აღნიშნავს: „შვიდლ-ბოდა ავტორს მოეხსენებინა მორგანოც, რომელსაც თვით ენგელსი ეწყობდა, მაგრამ ვინა მარ-სიზმის კლასიკოსი საქმარისი არ არის? უ-არყოლიაც ასე მოიქცა. მან მიუთითა ენგელსზე და შემდეგ ენგელსისებურად მროველი ალაპარაკა“ (გვ. 157).

<sup>1</sup> ენგელსის ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი, 1940, გვ. 91.

ლენტი მროველთან ჩვენ მართლაც მივაქციეთ ყურადღება ზოგიერთ ცნობას, რომელიც შესაძლებელია ქართველ ტომებში ოჯახის აღრანდელი ფორმების გასარკვევად იქნეს გამოყენებული. ასე, მაგალითად, ლენტი მროველი კავკასიის ხალხთა და მათ შორის ქართველთა მამამთავარ თარგამოსზე მსჯელობისას იუწყება: „და იყო ნათესავი მისი დიდი და ურაცხუი, რამეთუ ესნენს ცოლმზავალ ძენი და ასულნი“... და სხვა. მისივე სიტყვით, აღვქმანდრე მკედლონელს თავისი ლეგენდარული ლაშქრობის დროს, რასაც თითქოს IV საუკუნის მეორე ნახევარში (მე.წ.) უნდა ჰქონოდა ადგილი, უნახავს „ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულთა, რამეთუ ცოლ-ქმობისა და სიძვისათვის არა უნდა ნათესაბა, ყოველს სულიერსა ჳამდეს მკედლარსა შესწამდეს, ვითარცა მხეცინი და პირუტყვი...“ და სხვა.

ამგვარად, ლენტი მროველს მიხედვით, ქართველებს უძველეს ხანაში მრავალყოლიანობა და არტული სქესობრივი ურთიერთობა ჰქონიათ. რუისის უბისკობის, ბუნებრივი, ასეთი მოვლენების ასნა საზოგადოების „უბოროტესი სჯულითა“ და მხეცურ-პირუტყვეული მდგომარეობით შევძლო მხოლოდ. მაგრამ საკითხავი, რა საფუძველი შეიძლება მოენახოს აქ ლენტი მროველის დამსგავსება-დამირისებრების ფ. ენგელსთან, როგორც ამის ახელ კაცობე აკეთებს? სად არის აქ ლენტი მროველის „ენგელსისებური“ საუბარი, ან ის დასკვნა, რომელიც თითქოს ლენტი მროველმა ფ. ენგელსზე 8 საუკუნით უფრო ადრე გააკეთა? ლენტი მროველს არაფერი აღმოუჩენია და არც არავითარი დასკვნა ვაუქმებია. „ის მხოლოდ ფაქტს აღნიშნავდა ქართველ ტომებში ოდესღაც მრავალყოლიანობისა და უწყსრივო სქესობრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ, ხოლო ლენტი მროველის აღნიშნული ცნობების მართებულად გაბეჭდვის მიზნით ჩვენ მივმართეთ ფ. ენგელსს, რომელიც ამის შესახებ ამბობს: „უწყსრივო სქესობრივი ურთიერთობის კვალს... მივყავართ, როგორც ამასი დღეს უკვე მკვთა აღარ შეიძლება — ჯგუფობრივ ცოლქმობამდე“<sup>1</sup>. ხოლო ჯგუფობრივი ცოლქმობის ესა თუ ის ფორმა „ადვილიდ გვიჩნის... ჰერაოდოტესა და სხვა ძველი მწერლების ცნობებს ეყრდნობა და ბარბაროს ხალხებში ცოლთა ერთობის შესახებ“<sup>2</sup>.

რამდენადაც ენგელსის ასეთი განმარტება ლენტი მროველს ცნობებსაც მთლიანდ შეეხება, ეს უკანასკნელი ჩვენ მივინიშნეთ ქართველ ტომებში ჯგუფობრივი ცოლქმობის ოდესღაც არსებობის დამადასტურებელ საბუთად და, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც.

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, ოჯახის, ვერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბილისი. 1953, გვ. 52 (სქოლიო).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 52.

ა. კიკვიძე მართალი არ არის, როდესაც ის ფიქრობს: „ლ. მროველს არ შეიძლებოდა ასეთი წარმოდგენა ჰქონოდა მართლ იმის გამოც, რომ არც მროველს და არც თანამედროვე მეცნიერებს შეუძლია დამტკიცება, თუ რომელი ხალხი წარმოიშობა „პუნალუა“ ოჯახიდან“. (გვ. 157) მარქსისტი ისტორიკოსის ასეთი განცხადება შეტი რომ არცფერი ითქვას, საოცარია. არსად არ თქმულა თითქოს ყველა ხალხს უთუოდ ჰქონს კენძოლების „პუნალუა“ ოჯახიდან იყოს გამოსული. მაგრამ მსოფლიოს ყველა ხალხმა რომ იმავე ტიპის — პუნალულური ანუ ჯგუფობრივ ცოლქმობაზე დამყარებული ოჯახი გამოიბარა, ეს დღეს მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში მაინც, საქამათოდ არ ითვლება. ასე, რომ ბუნებრივი, ქართველთავე თავისი ისტორიის გარეგანზე (რაც ძალიან შორეული წარსულის ამბავია) ოჯახის ასეთი ფორმა უთუოდ გამოვილიო აქვთ.

ამასთან ერთად, ჩვენი ყურადღება მიიქცია ფ. ენგელსისა და მისი შვირე დებულებამაც, რომლის თანახმადაც, ოჯახი ცოცხლობს, იცვლის ფორმას და წინ მიდის, ნათესაობის სისტემა კი ჩამოყალიბებისთანავე იყინება და ოჯახში მომხდარ ცვლილებათა გაუთავალსწინებლად დიდხანს განაგრძობს არსებობას. ასე რომ, ჩვენ დრომდე მოღწეული ნათესაობის სისტემის მიხედვით, ფ. ენგელსი შესაძლებლად მიიჩნევს ოჯახის შევადარი ფორმების აღდგენის საკმაოდ დიდი სიზუსტითაც.

სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით ლენტი მროველთან ჩვენ საგულსხმოდ მივიჩნიეთ ერთი გამონათქვამი, რომლითაც დედა მიმართავდა ფარნავაზს და ურჩევდა მამათა საყოფელის დატოვების და დღელუთში გადახვეწის. ამ გამონათქვამს (მამათა) მე ვაჩვენებ, როგორც ვაკილებით უფრო ადრინდელი ვითარების გადმონაშთის და იმ ხანისად მივიჩნევთ, როდესაც ყოველ ცალკე პირს მართლაც მრავალი დედ-მამა ჰყავდა. მაგრამ ამის მიხედვით, რასაც ვფრველი, არავინ ფიქრობს ფარნავაზს მრავალი მამა ჰყოლოდა. მე აღინიშნავ, რომ აქაბუც ფარნავაზს თითქოს ერთი კი არა, მრავალი მამა (მამანი) ჰყოლია...“ და სხვ. იგულისხმება, რომ ჩვენ სიმე ვაჟებს ნათესაობის გარკვეულ სისტემასთან, რომელიც ოდესღაც აღმოცენებულია ჯგუფობრივი ოჯახის ნადავზე და თავის საფუძვლის მოსამბის შემდეგაც დიდხანს განაგრძობდა არსებობას.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ა. კიკვიძის სარეცენზიო წერილის გამო. ამ შენიშვნებიდანაც ირკვევა, რომ „ქართლის ცხოვრება“ და „ახალი ქართლის ცხოვრება“ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ეპონომიური მოვლენებია და რომელში მთავანის სინამდვილეში დაეძვება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.



ბ. პი-პატიონიანი



ქართველი ვაჭარები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღგენისათვის ბრძოლაში

„...სულთან სელიმის შემოიჭურნა თვისსა მონებასა შინა ეგვიპტელნი და დაიპყრა ძლევა რაოდენჯერმე მამელიყთა მზედრობათა ზედა და მოსწყვილნა მრავალნი და მუნდგან განყვეს ეგვიპტე სხვადასხვა საბეგებოდ და დასდევს ხარკი ვითარცა ზემორე მოვითხარ და სხვებ ზმარობდენ და იმსახურებდენ ზეგები, რომელთა შორის უპირველესი ბეგი იყო უკანასკნელთა დროებთა შინა მარტყოფელი კახელი შინჯიკაშვილი აბრამა, იბრემ ბეგად წოდებული და ერჩინდ მისრელნი და სხვანი აღგილნი. და აგრეთვე ისტდნენ კუალად კახეთიდან და იმერეთიდან დაკარგულნი ტყვეები ბეგებად და ქვემბებად, რომელსა შინა ვაჭრებსა მსჯელად, თუ არა ტყვე ქართველთაგანი სხვა ვერა მღიღებდა ბეგობას...“ იოანე ბატონიშვილი — კალმასობა“ 1.

„...il est certain que les dits Beys ne sont point natifs du pays, ils ne sont dans leur origine que des esclaves tjrés de la Géorgie...“  
Le Sultan Sélim à S. M. le Roi d'Angleterre [Constantinople, le 23 novembre 1801—Traduction].“

მას, ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებულა მუსულმანური აღმოსავლეთის წარსულით, განვლომა თვეებში, რომელთაც საბიჭოთოდ ჩამოაწვა სუეის კრიზისის აირდილი, არ შეიძლება არ მოაჯანოს ეგვიპტის მიერ თავისა სახელმწიფო სუვერენიტეტის აღსადგენად გაწეული ხანგრძლივი, თავგანწირული ბრძოლა, სულთან სელიმის ჯარების მიერ ქაიროს აღების (1517 წ. იანვარი) შორეუ დღიდან მოყოლებული, ეს ბრძოლა, არსებითად, არასდროს არ შეწყვეტილა. დროებით შენელებოდა თუ არა, იგი კვლავ იფეთქებდა უოველგვარი საბაბით, ხან აინიხარათა მისტლიანი ამბობსა, ხან კი ქაიროს ციხე-სიმაგრეში მჯდომი თურქეთის ფაშისა და ქვეყნის ფეოდალური ბატონ-პატრონების-შამელუკების — ურთიერთობის შორევი გამოწვევების სახით. მაგრამ მხარეთა ძალები დიდხანს რჩებოდა უთანასწორო. ორნახევარა საუკუნე დასჭირდა ქვეყანას, რომელმაც ოდესღაც უკუარსებებს სძლია და

მონღოლების შეტევა მოიგვრია, რომ სულ სამიოდე წლით (1769 წლის დასაწყისიდან 1772 წლის დასაწყისამდე) კვლავ ეგვიპტეში გამარჯვების სიხარული და აღგენილი დამოუკიდებლობის სიტკბოება.

ვარემოებანი ზელს უწეობდნენ ეგვიპტეს: 1763 წელს დამთავრებულმა შეიღწლიანმა ომმა ლახარი ჩასვა ოტომანთა იმპერიის ტრადიციულ მოკავშირეს — საფრანგეთს და, ძალზე მოქანცა რა ავსტრია და განსაკუთრებით პრუსია, დაანახვა ყველას, ვისაც დანახვა შეეძლო, ინგლისისა და რუსეთის გაზრდილი ძალა — პირველისა ზღვაზე, ხოლო მეორისა მხველეთზე. ამგვარი საგარეო-პოლიტიკური კონფიგურაცია კარგს არაფერს უქადდა ბრწყინვალე პორტის რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისსა და რუსეთს შორის ურთიერთთავდაზღვევად, ოტომანური იმპერიის შიგნით კი თავი იჩინა სამომავალად ცენტრიდანულმა ძალებმა — ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინაში, ბალკანეთში, არქაბელაგში და თვით მცირე აზიაშიც კი. მაგრამ იმდროინდელ სტამბოლში სინამდვილეს თვალს ვერ უჩქორებდნენ; 1768 წლის დასასრულს მუსტაფა III და მისი დივანი საფრანგეთის მიერ ოსტატურად წაქეზებული წინაუხედავად ჩაება რუსეთთან ომში, რომელიც თითქმის ექვს წელშიაღს ვაგრძელდა და თურქეთის სრული სამხედრო კატასტროფით დამთავრდა.

ამ განუსჯელი ვაჭარების ბედითი შედეგები უცხად არ გამოაშქარავებულა, პირიქით,

1. საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი H 2170, გვ. 65 რ — მოვანილი ნაწიკეტის აზრის წესტიად ვარჯვევაში დახმარებისათვის ავტორი გულთაოდ მადლობას უხდის ცილა ვაბაშვილს.

2. „...საწმუნოდ ცნობილია, რომ სხენებული ბებია სრულეთიც არ არიან იმ ქვეყნის (ე. ი. ეგვიპტის) — გ. ბ. — შ) მჭიდრნი; ისინი სხვა არიან არიან, თუ არ მონები, წყავნილილი საქართველოდან...“ მის უდიდებულესობას ინგლისის მეფეს, სულთან სელიმისაგან.  
(კონსტანტინეპოლი, 23 ნოემბერი 1801 წ.)



1769 წელს ზოტინის დაკავებამდე ჩატარებულ ოპერაციებში რუსეთის საბრძოლო მიერ გამოჩენილ არასაკმარის გამბედაობას ადვილად შეეძლო თურქეთის არმიის შედარებით მაღალი საბრძოლო თვისებებისა და, რუსული არმიის არასაკმარისი ოპერატიულობის ილუზიის შექმნა. მაგრამ 1769 წელს მოყოლა 1770 წელი—წელი ორი გამანადგურებელი დარტყმისა, რომელთაც წინასწარ გადაწყვიტეს ომის ბედი. ერთი მთავარი მიყენებული იყო იმავე მოღვაწეთის თეატრზე რუმინელების მიერ, რომელმაც ბრწყინვალედ დაამარცხა თურქეთის მთავარი ძალები მდ. ლარგასთან და კავკასიანთ. მეორე დარტყმა კი ოთხი კვირით ადრე დაატყდა სმელთაშვი ზღვის თეატრს: 6 ივლისს დამით ვრავ ალექსეი ორლოვის ესკადრამ ჩესმენის ყურეში გაანადგურა თურქეთის თითქმის მთელი სამხედრო ფლოტი; რითაც მოუხდა პორტას შესაძლებლობა ზღვიდან დახმარებოდა თავის სირიის არმიას, რომელიც გამაზღვრდა გადაწყვეტი შეტაკებისათვის ძლიერ და გამბედავ მოწინააღმდეგესთან. სტამბოლში ამ შეტაკებას დიდი ხანა ელოდნენ— ფაქტორად ამ დღიდან, როდესაც ომის დასაწყისშივე შორეულ ქაიროში, თამაშა რეუტორმატრამა ალაზეი ელქებინმა<sup>1</sup>, ბელადმა ქვეყნის იმ მმართველი ფეოდალური მამულეების ზედაფრება, რომელიც თუ მთლიანად არა, ძირითადად მინც ქართული იყო, ეგვიპტის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1768—1774 წწ. ომისადმი სპეციალურად მიძღვნილ საკმაოდ დიდი ლიტერატურაში ეს საყურადღებო ეპიზოდი, როგორც წესი, ვაკერითაა ნახსენები. რაც შეეხება მთავარი მოქმედი პირების — 1762—1770 წწ. მამულეება ბეების — ქართულ წარმოშობას, ამას ჩვეულებრივ ავტორები გვერდს უხვევდნენ, თუმცა ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც ომის დროს, ისევე მთელა რიგი მამულეურ წლების მანძილზე.

ამის მიზეზი უნდა იქნებოთ, როგორც ჩანს, იმაში რომ, თუმცა ვერაპულ მოგზაურთა აღწერილობანი, კონსტანტინისა და დიბლომატების წერილები და მოხსენებები ავტორებულა ცნობებით აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებიდან ეგვიპტეში მონების რეგულარული მოღვის შესახებ, წყაროებში შედარებით იშვიათად ვხვდებამა ამა თუ იმ მამულეის ზუსტი ნაკონონური წარმოშობის უტყუარი ჩვენებები. ამიტომ ვასაუვირთ არაა, რომ მე-19 და მე-20 საუკუნის ევროპული ისტორიკოსები, როგორც წესი, არჩევენენ გვერდი ავებოთ ამ საკითხისათვის, რომელსაც არაბი ქრონისტების მსავასად არც ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას.

<sup>1</sup> ასეთია ჩვეულებრივი დასავლეთ ევროპული ტრანსკრიპცია არაბული გამოთქმის ეგვიპტური ფორმისა, რაც ნიშნავს დიდს.

ამრიგად, მოხდა ის, რაც არცთუ გვირავდ ემართებოდათ ისტორიკოსებს: დიდიმენტადური მონაცემების არასაკმარისი გამოვლენება აკეთო მონაცემების არარსებობად მიიჩნიეს, ხოლო ეს მოჩვენებითი არარსებობა — თვით ისტორიული ფაქტის უარყოფად. საინტერესოა ისიც, რომ ამ შემთხვევაში ეს ტენდენცია შეღავნებოდა და ამაჟამად შეღავნდება, შით უფრო მეტად, რაც უფრო სერიოზულია ავტორი და რაც უფრო საფუძვლიანია მისი წიგნი. ზემოთქმულის მქარზეტყველურ და, ამავე დროს, კუროზულ დღასტერებად გამოდგება გ. ვეილის<sup>1</sup> კაპიტალური შრომა, რომელსაც ვერავ არ დაუკარავს თავი იმ მნიშვნელობა. მის საგნობრივ და სახელთა, საბრძოლესი რომელსაც სამოქალაქთაამდე გვერდი უჭირავს, საქართველო ნაწილენება როგორც ერთი მიჯნა თემურლენგის სისხლიან გზაზე, ხოლო რაც შეეხება სიტყვას ქართველი, იგი სრულებით არ ვახვდება. ცოტა მეტი აქვს ნათქვამი ქართველზე ვეილის წინამორბედს, მ. დელაპორტს<sup>2</sup>: ცხრამეტ გვერდზე, რომლებიც მე-18 საუკუნის მამულეებისადმი მიძღვნილი, იგი ერთგან მოყვად შენიშნავს, რომ ნაოლონის მოწინააღმდეგის, დაუთარგუნავი შერად-ბეის ცოლი მშვენიერი სიტყ ნედისაჰა წარმოშობით ქართველი იყო ს. ლეინ-პულმა, რომელიც ასეთი ავტორიტეტით სარგებლობს მამულიანური აღმოსავლეთის ისტორიკოსებს შორის, თავის შუესაუკუნეების ეგვიპტის იშვიათად შინაარსიან ისტორიაში<sup>3</sup> დარსტულად შეეფასა 1769—1772 წლების მოვლენათა მნიშვნელობა; მისი წიგნის ბოლო აბზაცში ტყუილად როდია მოთავსებული ალა-ბეის ფიგურის დიდი გამოსახულება, რომელიც 1769 წელსაა მოჭრილი და თურქეთის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ პირველი მონეტა-სუვერენული ეგვიპტისა. მაგრამ საქართველოსა და ქართველების შესახებ აქვს ერთ სიტყვას-ვერ ეპიკოთი. ამ მიმართულეთი ვეილთან და ლეინ-პულთან შედარებით დიდად წინ არ წასულან გ. კომბი<sup>4</sup> და დეერენი<sup>5</sup>.

<sup>1</sup> G. Weil. Geschichte des Abbasidenehchil-fats in Egypten, Bd. 2. [—Bd. 5. იმის Geschichte der Chalifen]. Stuttgart, 1862, S. 441—509.

<sup>2</sup> M. Delaporte. Abrégé chronologique de l'histoire des mamlouks d'Egypte, Paris, 1816, p. 60.

<sup>3</sup> S. Lane-Poole. History of Egypt in the Middle Ages, London 1901 [4th ed. 1925].

<sup>4</sup> E. Combe. L'Egypte Ottomane, 1517—1798, [Précis de l'histoire d'Egypte, III, 1-re partie, pp. 1—128], Le Caire, 1933.

<sup>5</sup> H. Dehérain. L'Egypte Turque [Histoire de la Nation Egyptienne, sous la dir. de G. Hanotaux, VI], Paris, 1934.

მგრამ სხენებელი საკითხისადმი მიძღვნილი ყველა წყაროდან რომღებიც მოყვანილია ამ ავტორებთან და ისლამის ენციკლოპედიაში<sup>1</sup>. ხვეამდე რომ მხოლოდ ლუიზიანის „მოგონებათა“ ერთ პატარა ტომს მოეღწია, იგიც საყვებით საყარისი იქნებოდა; რათა გვეჩვენებინა აბსოლუტური გაუმართლებლობა უცნაური, თუმცა ისტორიკოსების მიერ მტკიცედ შეთვისებული, მწერისა — დიდი და თავისებური ისტორიული მოვლენის ამ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მხარის უგულვებელყოფისა.

ლუიზიანის მოგონებები გამოვიდა 1783 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე<sup>2</sup>. ავტორი იმდროინდელი ლეიპციური ეპიტების განათლებული ნაილის ტიპიური წარმომადგენელია; ალთა ხნობით ცხოვრობდა ვეროპოში, ახლო იენობდა ილიბიუს ჯერ კიდევ იმ სამი წლის განმავლობაში (1746 წ-დან 1749 წ.) რომლებიც ლუიზიანის თავისი შეგნებულ ცხოვრების დასაწყისში ქაიროს ციხე-სიმაგრეში, ბიძის სახლში გაატარა.

<sup>1</sup> Encyclopaedia of Islam, isted., I (1908), pp. 291—293. მეორე გამოცემაში [Vol. I, fasc 7 (1936), pp. 391—392] მოყვანილი ლიტერატურა ნაკლებ სრულად.

<sup>2</sup> S. Luisian [sic & ბ.მ.] A History of the Revolt of Aly Bey, London, 1783 ვინაიდან მოსკოვისა და ლენინგრადის წიგნთსაცავებში ინგლისური ორიგინალი არ აღმოჩნდა, ავტორი იბეღებული იყო 1784 წლის გერმანული თარგმანით ესარგებლა: Saviour Luisian [sic & ბ.მ.] Geschichte der Empörung des Aly Bey u.-s. W. Leipzig.

ალი-ბეის ადრინდელ ბიოგრაფიებს შორის ლუიზიანის ცნობებით ყველაზე სრულად ისარგებლეს C. E. Savary-მ (1780-იანი წლებში; ხვენ ესარგებლობთ მისი „წერილები“ 1798 წლის გამოცემით) და J. J. Marcel-ს (1830-იან წლებში), ბოლო უფრო გვიანდელ ავტორთა შორის N. A. König „ისლამის ენციკლოპედიაში“ I გამოცემაში (იხ. წინა სტოლით). რაც შეეხება ყველაზე პოპულარულ შერჩულს ვოლნესის (მისი წიგნის „მოგონებებთა საბიასა და პალესტინაში“ I ტომის მეორე თავი მთლიანად ალი-ბეისადმია მიძღვნილი), მან აირჩია ლუიზიანისაგან თავი დაეღწია ვრცელი „გამანადგურებელი“ შენიშვნით. ეს ტერიოზული პატარა კომენტარი გვაიკებს მოთრედებული თვითდასიჯერებლობით და ავტორის მიერ ფაქტების სუსტ-ოღწით ვოლნესის წიგნის ამ მხარეების შესახებ (იხ. პარსელთან). გაზივიდებელი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ განთქმულ ფრანგ სკეპტიკოსთან და რაციონალისტთან შედარებით ძველი სკოლის ტიპიური არაბი შემპტიანეც კი, როგორც იყო მისი ეგვიპტელი თანამედროვე ჯაბარტი, შეიძლება სიზუსტისა და ობიექტურობის ნიმუშად მოგვიჩვენოს.

1750-იანი წლების პირველ ნახევარში ლუიზიანის დამოუკიდებელი კომერსანტი (ქსენოქსენი), კარგი ნაცნობობის, გაყენებში (კარქაქსი) მისებლ ფარისს, (ფერპას) შემწეობით ვაბა გაცხოველებული საქმიანი ურთიერთობა აღექანდრისა და ქაიროსთან. როდესაც ალი-ბეი გამოეფდა თავისუფალ ეგვიპტეში და მას ქანდო ზალხი დასჭირდა საზღვარგარეთ მისი დავალებების შესასრულებლად, მას მოაგონდა მამის უკვე ვეროპოში მყოფი ლუიზიანის და პირადად მისწერა მას. წერილი, დავალებების ვარდა, შეიცავდა ქაიროში მოწყვესს. საქმეებით დაკავებული ლუიზიანანი მხოლოდ 1771 წლის დასაწყისისათვის ჩავიდა ალი-ბეის კარზე. ამ დროიდან მოყოლებული, სალიპიასთან ალი-ბეისათვის საზედისწერო ბრძოლის დასასრულამდე; ლუიზიანანი განწმირებულად იმყოფებოდა მასთან. ამ ორ წელწინდში იგი დამუგობრდა დიდი მამულუის მეტად დაახლოვებულ ზოგიერთ პირს. მან ბეერო რამ შეიტყო თავის მფარველის შესახებ, ამასთან პირველწარაობიდან — ფარპასაგან, ჩისკისაგან, (რეზისაგან) ზულფიკარ-ბეისაგან<sup>2</sup>, ალი-ბეი ტანტაისაგან<sup>3</sup> და ზოგიც — თეთი ალი-ბეის პირადად.

ლუიზიანის მოგონებების წიგნი მოკლეობით პატარაა, მგრამ მდიდარია საყურადღებო ცნობებით. მისი თხრობა არ გამოირჩევა არც ლიტერატურული ღირსებებით და არც განსწავლულობით. ხოლო ალგ-ალაგ საეპიკო შეთანხმებებს ან სასაქონლო აღწერილობას ტექსტსაც კი მოგვბვინებს, მგრამ ეს ვარგებობა ოდნავადც არ ამცირებს წიგნის, როგორც ისტორიული წყაროს ღირებულებას. ამ მხრივ ძნელია გვაგვიხილოთ, მაგალითად, წიგნში მოკებული შემდეგი ნუსხის მნიშვნელობა:

„ალი-ბეის ამ აღზევებულ ტყვეებში უმთავრესნი იყენენ: მოპყმედ-ბეი, თავისი ყველასათვის ცნობილი სიხარბისათვის ამუ-ზაპაად (ოქროს მამად) წოდებული<sup>4</sup>, ალი-ბეი ტანტაი<sup>5</sup>“<sup>6</sup> ქართვე-

<sup>1</sup> მამულუკთა ბეიების ტრადიციის თანახმად, ალი-ბეის საფინანსო საქმეებს განაავებდნენ კობტები — ჯერი ფარპა, ხოლო შემდეგ ჩისკი.

<sup>2</sup> — სანჯაყ-ბეი, ეროვნებით ქართველი, ალი-ბეის ტანტოეს თანამებრძოლი.

<sup>3</sup> Luisian, pp. 73 — 74.

<sup>4</sup> ლუიზიანის ცნობა ზუსტი არაა. ეს სახელი მოპყმედ-ბეის ეწოდა მას შემდეგ, რაც ბეის წოდების მინიჭებისას იგი ქუჩაში ბრბოს პეშვით ოქროებს ესროდა ამუ-ზაპაის მიღებული რუსული ტრანსკრიპცია არის Мухаммед-бей Абу аз-Закан.

<sup>5</sup> ეს ნისბა (მეტსახელი, ადგილის მიხედვით), ცხადია, სრულბით არ ნიშნავს, რომ ეს სანჯაყ-ბეი წარმოშობით ტანტიდან იყო (ქალაქი ნილოსის დელტაში).

ლი, ისმაილები—ქართველი, ჰალილები — ქართველი, აბდურაჰმან-ბეი — ქართველი, ზორატ-ბეი — ჩერქეზი, როსევან-ბეი (ალი-ბეის დისწული) — აფხაზეთიდან, ჰასან-ბეი და მუსტაფა-ბეი — ორივე ქართველი, იბრაჰიმ-ბეი, — ჩერქეზი, აშერტ-ბეი — აფხაზეთიდან, ლატიფ-ბეი — და ოსმან-ბეი — ორივე ჩერქეზი, აჯიფ-ბეი, უსტუფ-ბეი, ზულფიყარ-ბეი — ყველანი ქართველები; გარდა ამისა იანიჩარ-ალა სელიმი და იანიჩარ-კაია სულიმანი — ორივენი მოღვმიათ ერთი ქვეყნიდან არიან<sup>1</sup> (ე. ი. საქართველოდან, როგორც ამას ალბათორმეტი გვერდის შემდეგ აზუსტებს თვითონ ლუიზიანი).

ამ ნუსხას, რომელიც 1760 წლის დამლევს ეკუთვნის, ლუიზიანი აცემს მეორით, რომელიც ზუსტად 1772 წლის აპრილით თარიღდება<sup>2</sup>.

„ბეები, რომლებმაც ებედურებაში ალი-ბეისადმი ერთგულება შეინარჩუნეს, იყვნენ: ალი-ბეი ტანტავი<sup>3</sup>, როსევან-ბეი (ალი-ბეის დისწული), ზორატ-ბეი<sup>4</sup> აბდურაჰმან-ბეი, ლატიფ-ბეი, მუსტაფა-ბეი, იბრაჰიმ-ბეი (იგი, რომელიც ჩერქეზია)<sup>5</sup>, ზულფიყარ-ბეი, ახიმ-ბეი, ოსმან-ბეი, იანიჩარ-ალა სელიმი და იანიჩარ-კაია სულიმანი.

ალი-ბეის კარზე შემდგენარი წოდებები: იყო: იუსული, ხანზადარი-ალა (ანუ მცვერტლუთუტუცისი), ქართველი, რუსვანი (ჯიც, ჩუხადარი-ალა (ანუ სამოსელთმცველი), ქართველი, ოთმანი (ჯიც, სელიქთარი-ალა (ანუ შახვალმტეირთველი) აფხაზი და აბუ-ზაჰაბის ძმისწული. ოსმან-ალა, სარაქჩი-ბაში (ანუ დოლანდმტეირთველი), ქართველი, იუსული, ჩუბუქჩი-ბაში (ანუ ყალიონისა და თამბაქოს დმტარებელი), ქართველი, ჰუსეინ-ალა, თმბრიქი-ბაში (ანუ წყლის ჰერტლების, დასახანი ტაშტის და პირსახოცების მცველი), ჩერ-

ქიზი. აბდურაჰმან-ალა, სალაჰერი (ანუ მეჯინი-ბეთეხტუცისი), სინოპელი“<sup>1</sup>. **ერკენესული**

არ არის საჭირო დიდი სპეციალისტმა ჩქარა მათა ვასაგები ვახდეს ამ ორი ნაწყვეტის ღირებულება ისტორიკოსისათვის — ისე შევეთრად და დაწერილობით აკონკრეტებენ და ადისტურგებინონი ქართველი ბატონიშვილისა და თურქეთის სულთანის ჩვეს მიერ ემიგრაციად აღებულ სიტყვებს.

ეს სიტყვები ამაჰად ასე უცხოდ რომ ეღერს, ერთ დროს საუხუბით ზუნებრივი და ვასაგები იყვნენ. ამის მოწმობად გამოდგება თუნდაც 1776 წლის ეგვატის ექსპედიციის დროის ნაბირაგონ ბონობარტის ბრძანებები, სადაც მირდაზი არან ლაპარაკი მამულეთა ქართული და კავასიური მამოშავლობის შესახებ<sup>2</sup>.

მერამ საქმარისი იყო, დასავლეთ-ვერობის ისტორიულ მეცნიერებს სერიოზულად მიემართა ადგილობრივი არაბული წყაროებისათვის, რომ ეგრობულ ისტორიოგრაფიაში, (მირველად დელაპორტის შრომაში) ვადასულოყო არაბული ქრო-

ნიდი ფიგურად ეგვიპტეში მამულეების ბატონობის უკანასკნელი ათეული წლების ისტორიაში? ამისწორად მსულხს ამის შესახებ ჩვენ ვაბოლოთი იმავე ლუიზიანიანთან: მისი სიტყვებით „ჩერქეზი“ იბრაჰიმ-ბეი რომელიც ჩვეს მიერ მოყვანილ ორ ნუსხაშია მოხსენებული, დაიბრა სასაყვილიოდ 1772 წ. ალი-ბეის ჯარის მიერ იაფის ილვის დროს და, მამასადაც, ვერ შეძლებდა მფეე ვიორგი 12-ისათვის (1796 — 1800) ძველის ვაგზანს, როგორც ეს დამოწმებულია ითანე ბატონიშვილიანს;

„იბრეიმ-ბეგ დიდი ერთგული და მოსიყვარულე იყო თვის საქართველოს მეფეთა ირაკლისა და გიორგისა რომელიცა ძღენიდა მუნებურთა ირმალანთა და ეგრეთვე ამიღირებდა მუნ მიმსველელთა ქართველთა. ეგრეთვე სხვებმა შეგებნი ეწრობნენ ყოველთა მუნ სისრულთა ქართველთა“ (ითანე ბატონიშვილი „საქმისობა“, საქმეზ. ხელნაწერი, № H 2170, გვ. 65 რ).

<sup>1</sup> შედ. Lusignan, p. 116 — Abdourahman Aga. aus Trapezunt gebürtig...“.

<sup>2</sup> ნაოლონის პირდადი იუნობდა ეოლნისე, არაერთხელ შეხვედრიდა და იუსებრნია მასთან (ეგრძოდ კორსიკაში 1792 წ.) „მოგზაურობა“ წარმოადგენდა მის განურტელ თანამგზავრს ეგვიპტის ექსპედიციაში და განსაკუთრებით კი მისი სამზადისის დროს. ამ წიგნის 68-ე გვერდი საკმაოდ ბევრის მოქმელია: „სეთითა საქმის ეთარება ეგვიპტეში: ოუდასამი საუკუნის განმავლობაში თავისი ბუნებრივი პატრონების ზელიდან გამოვლუჯილმა მან იხილა, თუ როგორ ბატონობდნენ მის წიაღში ზელიზედ სპარსელები, მამკედონელები, რომელები, ბერძენები, არაბები, ქართველები და ბოლის ის თათრული რასა, რომელსაც ოტომანური თურქეთი ეწოდებოდა“.

<sup>1</sup> ლუიზიანიანის ტრანსკრიპცია; ჩვეულებრივი ევროპული ტრანსკრიპცია არის შურად.

<sup>2</sup> Lusignan, გვ. 107 — 108.

<sup>3</sup> აქა და შემდეგ ბოლომდე ციტატებში ლუიზიანიანის პუნქტუაციაა.

<sup>4</sup> ლუიზიანიანის ტრანსკრიპცია. სიის მეორე ნახევარში თანამდებობების დასახელებაც ასევე ლუიზიანიანის ტრანსკრიპციაა.

<sup>5</sup> სანჯა-ბეის ეროვნების ამ საგანგებო ხაზგასმის მიზანი ცხადია: არ უნდა აეროოს მკობველმა ეს იბრაჰიმ-ბეი ალი-ბეის მომხრე მეორე იბრაჰიმ-ბეისთან, წარმოშობით არა „ჩერქეზთან“ (ენება „ჩერქეზს“ ნაველი შენაარსზე ლუიზიანიანის გაყებით იხ. ქვევით), რომელიც მძოფრულა და მოწინააღმდეგე ხანასკ. ბუნებრივად იხადება კითხვა: ამ ორ იბრაჰიმბიდან რომელი იყო ის „პარტყოფელი კახელი“, რომელზეც მოგვიითბრობს ითანე ბატონიშვილი — პირველი, — ე. ი. „ჩერქეზი“ ლუიზიანიანის ნუსხიდან, თუ ის მეორე, აგრეთვე ყოველთვის ყველას მიერ (გარდა ლუიზიანიანისა) აღიარებული ჩერქეზად, რომელსაც წილად ზედა შესულიყო

ნიკეისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიური ტრადიცია, რომელიც სრულებით არ შესაბამება სინამდვილეს — კერძოდ, ის, რომ ამ ქრონიკების დიდი ნაწილი ყველა კავკასიულს, და მათ შორის ქართველებსაც, ჩერქეზთა სახელით იხსენიებს. საერთო ხვედრს ვერ აღწენ ვერაიკუნისათვის სხვებზე უკეთ ნაცნობი მე-18 საუკუნის დამდებმა მე-19 საუკუნის დასასყობის ბევრები, მათ რიცხვში მამულშაპა უკანასკნელი ბეი-მარტყოფელი კახელი იბრაჰიმ-ბეი შინჯიყაშვილი. არც ისე დიდი ხანია, რაც ფრანგებთან ბრძოლის მეთაურების, მამულშაპა „დღუშ-ჯარების“ — იბრაჰიმისა და შერადის მოკლე ბიოგრაფიები სავალდებულოდ ითვლებოდა ვეროშელ ენციკლოპედიებისათვის. ფრანგულ ენციკლოპედიებში ეს ბიოგრაფიები ახლაც სახელდებულა და ისევე, როგორც წინათ, აქცილებულად ნახსენებია როგორც ერთის, ისევე მეორე ბეის ჩერქეზული წარმოშობა. მაგრამ პირველი მათგანი შემოწმების შედეგად კახელი აღმოჩნდა. ამიტომ იხადება სრულად საფუძვლიანი ტექსტი: მეთაურ ქართველი ხომ არ იყო? ანდა, თუ პირველი არა, ჩერქეზის ისეთივე საინტერესო ნაირსახეობა, როგორც იყო ჩერქეზული დინასტიის სულთან კანსუტ ეზ-ზაჰირი (1498 — 1500) რომლის შესახებაც იგივე დელაპორტი ველდამ-შეიდებით მოგვიგებობს, რომ შინ „ქართულის გარდა სხვა ენა არ იყოდა“<sup>1</sup>.

ბურჯიელთა სულთნების (1382 — 1517)<sup>2</sup> ეროვნების დაუსტებების რთული და საინტერესო პრობლემის გეროვნად შესწავლა მივანდოთ ისტორიკოსებისა და არაბისტების ახალგაზრდა თაობას, ხოლო ჩვენ ყურადღება გავამახვილოთ ახლანდელ მოყვანილ ფრანგზე. პირველ ყოვლისა აღენიშნათ, რომ დელაპორტს ფაქტობრივად იგი, ისევე როგორც მთელა თავისი წიგნი, ნათარქმენი უნდა ქონდეს. დედნად შინ, აღმათ, იმის მსგავსი ისტორიული ფაქტების მოკლე კრებული გამოიყენა, რომელიც ოტომანური პერიოდისათვის, მისივე სიტყვით, მისმა მასწავლებელმა, ქაიროს დივანის მდივანმა შეიხ ისმაილ ხაშმაზმა შეუდგინა.

მარქსისა და ენგელსის ცნობილი გამოთქმები მამულშაპა შესახებ უშეველად გყრდნობა ვოლნეისა და ნაპოლეონს და აგრეთვე იმ ლიტერატურას, რომელმაც აღმოცენება იწყო 1798 — 1801 წლების ექსპედიციის გარშემო მისი დამთავრების უმაღლესი.

<sup>1</sup> Delaporte, op. cit. p. 39.

<sup>2</sup> ხოლო გზადგაზა აგრეთვე ერთი ბაქრიელი სულთანის, სახელდობრ ბეიბარს II-ისა, (1309 — 1319). ძლიერ საინტერესო იქნებოდა აგრეთვე გარკვეულიყო ბაქრის „დინასტიის“ პირველი სულთანის (1250 წ. მისი-ივლისი), ეროვნული წარმოშობა, რომელიც იყო ესსალბ ვიუბის ქერაგი, განუშორებელი ასმათ-ედ-დინ შეჯერ-ედდური.

ნა<sup>1</sup> მართალია, თვით დელაპორტი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ძნელს წარმოვიძვინო, რომ აღმაიანს, რომელიც იმდროულად ჩაყვებრთ შემოსევებში დახმარებისათვის მასწავლებლისათვის მიემართა, შესძლებოდა დამოუკიდებელი ემოქმედა, მეორე — წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით უფრო რთულ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივ შემდგენელ ან შემდგენლები თავის მხრივ არ იყენებ ჩვენთვის საინტერესო ამბის ავტორები ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მათ მხოლოდ გადმოიღეს იგი რომელიმე წყაროდან, ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ იბრაჰიმისაგან.

ამგვარად, ჩვენ წინ, თუ პრავარობისგან გამაშვრებლსაც მივმართავთ, დგას მთელი რიგი განათლებული აღმაიანებისა, რომლებმაც განმთავრულ ტექსტში ვერ აღმოაჩინეს რაიმე შეუსაბამობა. ამის ბუნებრივი განმარტება, თუ ერთადერთი არა, მდგომარეობის იმაში, რომ სიტყვა „ჩერქეზი“ იხმარებოდა ეგვიპტის ისტორიის სხვადასხვა ეპოქის ამ წარმომადგენლების მიერ (რბივით მნიშვნელობით, ისე როგორც რუსები (და არა მარტო რუსები), დაწყებული მე-19 საუკუნის მეორე მეოთხედთან ჰმარობენ სიტყვა „კავკასიელს“. Mutatis mutandis. „ჩერქეზი“ მამულშაპა ხანის ეგვიპტისათვის ნიშნავდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ყოველ ეროვნებას. ამასთან დაკავშირებით, მეტად საგულისხმოა, რომ ის ადგილები, საიდანაც ეგვიპტეში უზსოვარი დროიდან მოჰყავდათ მომავალი მამულშაპები, არა მარტო აღნიშნული ნიშნისათვისაც კი წარმოადგენდნენ რაღაც ეთნიურ-ტერიტორიულ მთლიანობას. უკვე წიგნის დასაწყისში ლეიზინიანი აცხადებს სრული გარკვეულობით (მამულშაპების შესახებ): „ეს მონება წარმოშობით ყველანი ივერიიდან არიან, რომელსაც ჩვეულებრივ საქართველოს, ჩერქეზთს ან აფხაზეთს და სამეგრელოს უწოდებენ“<sup>2</sup>.

ეს ნაწყვეტი თავისთავად მკაფიოდ მეტყველებს იმის შესახებ. თუ რას ნიშნავს ლეიზინიანისათვის სიტყვა „ჩერქეზი“, რომლითაც ის ზოგი მამულშაპის ეროვნულ კუთვნილებას აღნიშნავს.

დამახასიათებელია ისიც, რომ როდესაც ის იხსენიებს, თუნდაც გაკერით, იმ ადგილებს, საიდანაც ეგვიპტეში მამულშაპები მოჰყავდათ, დასახლებულა შორის ყოველთვის არის სა-

<sup>1</sup> Delaporte, op. cit., p. 46.

<sup>2</sup> ლეიზინიანის გერმანულ ტექსტში: „Diese Slaven sind alle aus Iberien, welches gemeinlich Georgien, Circassien, oder Amasia und Mingrelien genannt wird.“ ქართულ თარგმანში სიტყვა „Amasia“-ს აფხაზეთი-თ შეცვლის უფლებას ის გვაძლავს, რომ 63 გვ. ლეიზინიანი წერს „Abazea, oder Amasien მთელი თავისი შეესაბამების მხუბდავად ეს ფრაზა არ ტოვებს ეჭვს იმაში, თუ რა ქვეყანას გულისხმობს ლეიზინიანი.

მეგრელოც, ამავე დროს, კონკრეტულად დასახელებულ თითქმის ნახევარ ასეულ მამულეთა შორის არც ერთი არაა მოხსენებული როგორც, კეძოდ მეგრელი. არიან მამულეები „აფხაზეთიდან“, ესელებით ტრაპეზუნდის შვეიცარიისა, სინოპელისა (აღბათ, ლაზები) და მთელი ოცი თუ ოცდასთუი პრაიენტი — ჩერქეზები. ეს გარემოება იმასთან ერთად, რაც ზემოთ ითქვა მამულეთა ზედაფენის სტრუქტურის შესახებ, საფუძველს აძლის იმათ პოზიციას, ვისაც, წინააღმდეგ მოყვანილი ფაქტებისა და საბუთებისა, ლუბინიანის „ჩერქეზებში“ სურს ვლინება დინასტია ჩერქეზი — ადიღი, ე. ი. ჩერქეზები ამ სიტყვის ჩვეულებრივი რუსული და გეროპული გაგებით. ვინაიდან ძნელი დასაშვებია ამ შედარებით მეთრეობისთვის ზედაფენში, რომელიც აშკარად ტომობრივი კარნაქტილის ბრინციოა, აგებული ასე მრავლად ყოფილიყო უცხო ტომობრივი აკრფის წარმომადგენლები და ამავე დროს, არცერთი არ ყოფილიყო სამეგრელოდან, ე. ი. საქართველოს იმ მხრიდან, რომელიც ვეღაზე მეტად იტანებოდა ტყვეებით ვაჭრობის საწინააღმდეგობა.

თავისთავად იველისმზება, რომ ნათქვამი არ უნდა გაეყოფა ვაჭრობიდან, და მამულეთა სასმელო-ფეოდალური სისტემის ზედა სართულად.

1 საინტერესო იქნებოდა აღგვედგინა თვით მამულეთა (და საერთოდ ინდოინიული გამამადიანებული ქართულების) სიტყვა — ხმარება. აღბათ იგი შეესაბამებოდა არაბული წყაროების სიტყვებმარებას, თუ ვიშაგვლებთ ვიორგი ავალიშვილის „მოგზაურობის“ შემდეგი ნაწყვეტით, რომელიც თავაზიანად გვაცნობა ცალკე გამამადიანებული გამოსაყენებელი ვ. მეტრეველის მიერ. „არს აქა ცუღაზში. გ. ბ. მ.) ფაბრიკა, რომელსაც შინა მქსოვენ ბაშისა საქარანგეთა და სხვებუა საქარად. ზედაშედეგულად ქალაქისა და ფაბრიკისა მის არს თუქუა ნაქართველარი ვინმე მასან-ქეშიბი, ვარნა იტყვის ესე თავისა თვისისა მამით ჩერქეზად და დედით რასიიელად. ესე მოვიდა ხილვად ჩემდა, რომელიცა ხილვისამებრ ჩნდა კეთილთა ნიშალთა მქონედ და სათნოაუბარს მოქცეულ“.

2 ამ ბრინჯისა იცავდნენ ერთვის მამულეებიც, მაგრამ შესაძლოა, არა ისე მკაცრად. ვიმედოვნებთ, რომ უახლოესი შრომები ერთვის მამულეთა ისტორიიდან, განსაკუთრებით სპეციალურად მათდამი მიძღვნილი აღზაზვის „ერთვის ისტორიის“ VI ტომი (ბადადუ, 1954 წ., არაბულ ენაზე), შესაძლებლობას მოგვცემს დავუბატოთ რაიმე არსებითი იმას, რაც ერთკო 12 წლის უფან (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, V № 7, 1944 წ., გვ. 733 — 742).

3 უახლესი ცნობები იმის შესახებ, რასაც გვეუწყებენ ამაზე ვეროპული წყაროები, იხ. ი. გ. ანთოლოვის წიგნი „ნარკვევები XVII — XVIII ს. ს. აფხაზეთის ისტორიიდან“, სოხუმი, 1951 წ.

ლიდან არ უნდა გადავიტანოთ მებრძოლ-მამულეთა მთელ მსახზე, იმ, მიუთქვამს, წყნაზღვის, აფრიკისა და ბალკანეთის ტერიტორიებზე, რამდენადაც მე-18 საუკუნეში, ისევე როგორც მანამდე, ყალიბდებოდა ევროპის მამულეთა ქვეითი ჯარი და მსუბუქი კავალერია.

ევგვიტის შეიარაღებული ძალების წინადა მამულეური ნაწილის შემადგენლობაშია ცოტანი რაოდი იყვნენ არაქართველნი. ცნობილია, მაგალითად, რომ ევგვიტიდან წამოყვანილი ნაპოლენის პირადი მამულევი რუსთაში სომეხი იყო. აუსტერლიცის მონაწილე კავალერისტებში ბევრი სომეხი იყვნენ ნაპოლენის გვარდიის შემადგენელი ესკადრონიდან მათ რიცხვში, აუსტერლიცის იერიშის გვირიც-ლეიტენანტი შაინი. სომეხებთან ერთად მამულეთა დაკრითი ცხენოსანი ჯარის რიგით და საშუალო შემადგენლობაში იყოფებოდნენ აგრეთვე ბალკანეთის ერეხის წარმომადგენლები და დასავლეთ ვეროპის მკვლარნიც კი. მაგრამ სანჯაყ ბუების ლიდან შემადგენლობაში, რამდენადაც ვიცით, სომეხების პოვნა ვერაგინ შეძლო. ხოლო თუ ისინი, შესაძლოა, მოიძებნებინან, ეს იქნება ისეთი უჩვეულო მოვლენა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში იყო ბუბუნაშვილის, ბუბუნაშვილის და არღეთაშვილის გვარები. ამათთან, ასეთი პირობები ბიოსომეხის, შესაძლებლად სათანადო შეკითხვაზე უყოყმანოდ უპასუხებდა ისევე როგორც რუსთაში უპასუხა ნაპოლენს, რომ იგი საქართველოდანაა.

თუ რამდენად კრიტიკულად უნდა მოვედოთ ერთგვანად და ქვეყნების სახელთა ხმარებას ლეონინთან და არამ ქრონიკებთან, ეს ჩინი, სხვათა შორის, იმ ადიღის წყობიებისა, სადაც ლეონინი 1773 წლის აშებების მთავარი ვებრის — ალი-ბეის ვინაობაზე ლაბარავობს. ალი-ბეის შესახებ ნათქვამია, რომ ის „ადიბიდა აფხაზეთში“. ალი-ბეის საყვარელი მამულევი, შინა შეიღობილი აბუ-ზაბაბი იხსენიება როგორც „ჩერქეზეთის“ მკვიდრი. აბუ-ზაბაბის დისწული, სულადარ-ალა ოთმანი აფხაზად იწოდება. და ამავე დროს ნათქვამია, რომ ალი-ბეი აბუ-ზაბაბის თანამემამულე (Landsmann) იყო!

საბედნიეროდ, ამ რთული ხლართის გახსნისას გვეშეძლოს სხვა ცნობები, რომლებიც ალი-ბეის წარმოშობას ეხება. სახელდობრ, ლეონინთან წერს, რომ ალი-ბეის მამა იყო ბერძნული (resp. მართლმადიდებელი) ეკლესიის მღვდელი, სახელად დავითი, ხოლო ვარსტენ ნიბური პირდაპირ გვაძენობს, რომ ალი-ბეის მამა იყო მღვდელი სა-

1. საინტერესოა ადინიშოს, რომ თითქმის ოცი წლის შემდეგ რუსთაში მოგონებთა გამოქვეყნებიდან ლარუსის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის ის დარჩა, როგორც იყო, ქართველად: *Le fameux Roustan était géorgien* (Larousse du Xxe siècle, vol. IV, Paris, 1931, p. 633).

ქართველოდან (un Prêtre de Géorgie)<sup>1</sup>. თუ ვაგიტალისწინებთ იმას, რომ იმ ეპოქაში, რომელსაც საუბარო ეხება, მოსახლეობის ქრისტიანული ელემენტი და, მით უმეტეს, სამღვდლოება აფხაზეთის სამთავროში ქართული იყო, ალიბეის ნაციონალური კუთვნილება ზუსტდება როგორც შავი ზღვისპირეთის იმ ქართული, კერძოდ, მეგრული რაიონების მკვიდრისა, რომლებიც ალიბეის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შევიდა. ყოველ შემთხვევაში, ლეონინიანის სიტყვაშიაჩვენებთან ერთი რამ ცხადი ხდება — რომ იმ მამულუქთა შორის, რომელნიც ძველი აღმოსავლური, ტრადიციის თანახმად „ჩერქეზეზად“ და „აფხაზეზად“ იხსენიებდნენ, ამ ხალხთა ნამდვილი წარმომადგენლები იყო ამდენივე — და შეიძლება ბევრად ნაკლებიც — ეძღვრე დასავლეთ ქართულები, პირველ რიგში, მეგრელები.



ალიბეის ნამდვილი სახელი იოსები იყო. იგი 1728 წელს დაიბადა მღვდლის დავითის ოჯახში. დავითს ჰყავდა ორი ასულიც, რომელთაგან უმცროსს ერქვა არაბული გამოთქმით „იაპეთი“ (იაგენდი). იოსები შემყრობილბ ცამეტ წლის ასაკში ტყვეობის მყოფელი ავაზაკების მიერ, და მისთან ერთად მოტაცებულ სხვა ბიჭები მიჰყიდეს მსხვილ მონათმოვაჯრეს, ჭრბთ ამპეტს. შალე იოსები ჩაყვანილი იქნა ეგვიპტეში. ყოველივე მშობლიურს მოწყვეტილ ბიჭს „ბედმა გაუღიმა“ და ეგვიპტეში ჩასვლისთანავე იგი გახდა მონა იბრაჰიმ-კაიასზე, რომელიც ეგვიპტეში მცხოვრებ ქართველთა შორის ყველაზე გამოჩენილი მდიდარი და ძლიერი იყო. იოსები მოაქციეს ისლამის რჯულზე, მისცეს სახელად ალი და დაწვებინეს ყველა ახალგაზრდა მამულუქისათვის სავალდებულო სწავლა. იოსებლის არაჩვეულებრივმა ნიჭიერებამ შალე მოიქცა იბრაჰიმ-კაიას ყურადღება და წინახვევრის შემდეგ ახალგაზრდა მონა ბატონის სახლში იქნა გადმოყვანილი. მისი შემდგომი კარიერა თავბრუსმამხვევი იყო: დაიწყო რა იბრაჰიმბაშის თანამდებობიდან, ოცდაოთხ წლის უკვე ჰქონდა გახდა, ვ. ი. მეორე კაცი თავისი პატრონის შემდეგ ამ „სახლში“... (ეს კი ნიშნავდა, რომ „სახლის“ პატრონის სიკვდილის შემდეგ იგი მისი მემკვიდრე ხდებოდა).

მაგრამ აღის არ დაჰიერებია თავისი ბატონის სიკვდილისთვის ეცადა. იბრაჰიმბი, ჭარბი იანიჩრების კაია და, ამავე დროს, ეგვიპტის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, გაცილებით უფრო

მეტად იყო „ბეიების მკეთებელი“, ვინც უფრო-კი „მეფეთა მკეთებელი“. 1750-იან წლებში დასაწყისში მან შეძლო დიემში წინააღმდეგე პარტიის მომხრეთა შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა (რომლებმაც, როგორც ეტყობა არც თუ უსაფუძვლოდ, ამ თავისუფლ აღვიღს თავისად თვლიდნენ) და თავისი საყვარელი აღის ბეიად დანიშნა. მისი ამოცანა, როგორც ჩანს, გაადვილებული იყო იმ დიდი სახელის წყალობით, რომელიც ვაჟაკმა ჰქონდა მოიხვეჭა 1750(?) წელს, როცა ბედრაგად ახლდა მექაში სალოცავად წასულ ქაიროს ქარაიანს და ერთი მეჭა მხედრობით უკუაქცია ბედრინთა თავდასხმეულ რაზმში, რომელთა რიცხვი რამდენჯერმე მეტი იყო. ამით მეტსახელი „ჯან-ალი“ დაიმსახურა.

შემდეგ წყაროებში განსხვავებაა: ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ალისთვის ბეიობის მინიჭება იმდენად გაამჭინავარა მოწინააღმდეგე პარტიის წევრები, რომ იბრაჰიმ-კაია მოწამლეს. ამ ძალმოსილი ადამიანის სიკვდილის თარიღად ლეონინიანის 1758 წელს ასახელებს, ვოლნეი — 1757 წელს, სხვები — 1755 წელს. რაც შეეხება იბრაჰიმს, მის უწერია, რომ იბრაჰიმ-კაია გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით 1754 წელს და რომ აღნიშნავდა ბეის წოდება მშობლად ამ ამბიდან ცოტა ხნის გავლის შემდეგ მიიღო.

ასე იყო თუ ისე, წლები, რომელიც იბრაჰიმ-კაიას სიკვდილს მოჰყვა, ალისათვის აღვილი გადასატანი არ იყო. მაგრამ ახალგაზრდა ბეიმ მარჯვედ ისარგებლა იმ ვარემოებით, რომ იმ დროს ქაიროს პოლიტიკურ სარბიფლზე ბრუნო არც ერთი ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი ფიგურა. მისში გამბედაობა შეხვედრული იყო მოქნილობასთან, უფრო ზნობად კი ვერაგობასთან და სისასტიკესთან, რითაც ჩქარა შეძლო იმ ხანის ოთხი თუ ხუთ უძლიერესი მამულუქი ბეიადის რიცხვში მოხვედრა. ახლა მის წინაშე დროსახა ყოველი მამულუქი ბეის ზრახვებისა და მისწრაფებების სანუკვარი მიზანი — ხელში ჩაიგდო შეიხ ელ-ბეიუდის<sup>1</sup> თანამდებობა. თუ ლეონინიანის ქრონოლოგიას გაეყვებოდა, რომელიც თითქმის ემოხვევა დელაპორტისას, ამ მიზანს ალი-ბეიმ 1763 წელს მიიღწია. მისი ერთ-ერთი პირველი მოქმედება იბრაჰიმ-კაიას მკვლელებთან ანგარიშის გასწორება იყო. მაგრამ ამგვარმა შურისძიებამ ეგვიპტის დიდ ფეოდალებში ისეთი ძლიერი აღშფოთება გამოიწვია ახალ შეიხ-ელ-ბეიუდის წინააღმდეგ, რომ მას სასწრაფოდ მოუხდა ეგვიპტის დატოვება და იძულებული გახდა სტამბოლიდან მოსალოდნელი ქარიშხლისაგან თავშესაფარი მეზობელ პალესტინაში

<sup>1</sup> C. Niebuhr: Voyage en Arabie. etc., I, Amsterdam et Utrecht, 1776, p. 111.

<sup>2</sup> ეს თანამდებობა იბრაჰიმს ეჭირა თავის დროზე ქაიროს იანიჩართა ჯგუფში. მისი ეროვნული წარმოშობის შესახებ იხ. Lusignan op. cit., pp. 64, 69.

<sup>1</sup> Shalkh al-balad ქვეყნის, ქალქის შეიხი; აქ — ქაიროს მმართველი ბეი, გვიანდელ-მამულუქური ფეოდალიტეტის მეთაური და ფაქტიურად ბატონ-პატრონი თურქეთის შიმატ ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ეგვიპტისა.



ექმენა. თავისი დღეწილობის პირველი ორი თვე მან იერუსალიმში გაატარა, მაგრამ იგრძნო რა, რომ აქ მას საფრთხე მოელოდა, დასტოვა ეს ქალაქი და მიენდო თავისი მომავალი მეგობრისა და მოკავშირის, მსკოვანი მელხოზელის, შვიხ თმარ ეზ-ზაიარის სტუმართმოყვარეობას. შვიხის სახელგანთქმული იყო როგორც ღიბანისა და პალესტინის დამოუკიდებლობისათვის მამაცი მებრძოლი. სტამბოლის ცაზე ღრუბლები მალე გადამწინდა (რამაც კვლავ შვიხ ზაიარის ხელი იყო გარეული) და ცოტა ხნის შემდეგ შვიხ ელბელდის წოდებაში აღდგენილი ალი-ბეი მშვიდობიანად დაბრუნდა ქაიროში. მისი პირველი შვიხ ელ-ბელდებამაც, არსებითად, სწორედ მაშინ დაიწყო.

ეს იყო ღირსშესანიშნავი მომენტი ეგვიპტის ახალ ისტორიაში, რადგან, როგორც ეტყობა, ალი-ბეი სწორედ მაშინ შეუდგა სერიოზულად გვიან — მამულეების დროისათვის იმ საკვებით უჩვეულ შინაგანი რეფორმების გატარებას, რომელთაც ეგვიპტის მცირეხნოვანი დამოუკიდებლობის აღდგენაზე არანაკლებად მოუპოვეს მას „დიდის“ სახელი. მაგრამ ამავე რეფორმებში, რომელთაც ვასალები სიამოვნებით იგონებენ დღევანდელი ეგვიპტელები, თავის დროზე დიდებული მამულეების სახელი აქციეს საქმულედ აღყველა მათთვის, ვისი მშვენივარე თვითნებობის და მტაცებლური ჩვევების აღაგმევი დაისახა მან მიზნად — უჩაღურად და თვითნებურად გამგებელი ფეოდალებისათვის, ფულის კომინატორებისათვის, ევაბრთა, ხელისანთა და სისულერო არისტოკრატებისათვის.

გაუთავებელი შეიარაღებული შინაგანი კონფლიქტების ქვეყანაში, როგორც იმ დროის ეგვიპტე იყო, ზედღებების ამკვარი განწყობილებებს არ შეეძლო არ გამოეწვია ამკვარი კრიზისი. 1768 წლის დასაწყისში ახალი რეჟიმისადმი ოპოზიცია გამოჰქანდა სამხედრო გამოსვლაში, რამაც ალი-ბეი აიძულა ეგვიპტე დაეტოვებინა და შეპყრებოდა ჰექასს, როგორც ამას წყაროები იძაბსტურებენ.

სადაც არ უნდა გაეტარებინა დღეწილ შვიხ ელ-ბელდის პირველი ზოტი თუ ექვსი თვე ქართლზეან განშორების შემდეგ, 1768 წლის სექტემბერში ჩვენ გხვდებით მას ზემო ეგვიპტეში. აქ დიდი შრომის შედეგად მან გადმოიხირა სიღბ-ბეი და ზემო-ეგვიპტის ძლიერი ტომის, პაეგარაის<sup>1</sup> მხარდაჭერის იმედით, რომელთანაც

წინდაწინ შეთანხმებული იყო, დაიწყო ქვედით-მზადება რეჟანშისათვის. სრულად რეჟანში მან აილა შემდგომი წლის ოქტომბერში, როდესაც გაანადგურა ნილოსის ზედა წელისაკენ დაძრული ჰუსეინ-ბეი და დაიკავა ქაირო, რომელიც მას აღტაცებით შეხვდა.

ქაიროს აღებას შვიხ-ელ-ბელდის წოდებაში აღდგენა მოჰყვა, ხოლო შემდეგ — ყველაზე საშიშეყოფილ თუ პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორება.

ეგვიპტელი ავტორები ხშირად საგანგებოდ გამოხნილი დეტალებით აცვიწყებენ ამ მათთვის არასასურველ სწრაფად ვაძლიერებელ ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალ მეამბოხეთა შორის წარმოებულას სისტემა ბრძოლის სისხლიან ეპიზოდებს. საჩვენებლობენ რა დრამატული დეტალების მოტანით, ისინი ცდილობენ ალი-ბეი წარმოედგინონ სისტემა, ეთიკურ ნორმებისაგან შორს მყოფ აღმოსავლელ ხელისუფლებად, მაგრამ ახრადეი არ მისწონი ილამარაჟინ მასზე, როგორც ადამიანზე. ამავე დროს, დაახლოებით ამავე ხნიდან, ე. ა. 1760-იანი წლების შეპყნიდან, ჩვენს განყარებულებაში შედარებით გრძელი მონაცემები მისი პირადი ცხოვრების შესახებ. ლეიზინთანაა ეს ცნობები ელვრე ნაკვეთებშია შეყრბილა, რომელსაც, ჩვეულებრივ, უგულვებელყოფენ შემდგომი ბიოგრაფები. თუმცა, რაც არ უნდა თქვას გაჯაგრებულმა გოლნიემ, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. თვით ფაქტებიც, რომლებსაც ლეიზინიანი გვაქონებებს ალი-ბეის ბიოგრაფიისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენენ. ბევრ ძვირფას ცნობას შეიცავს, მაგალითად, ნაკვეთი ალი-ბეის საყვარელი შვილობილის მტანმუდ-ბეი აბუ-ზაჰაბის შესახებ, რომელიც ლეიზინიანისთვის საქმულელია, როგორც მისი გმირის — ალი-ბეის დაღუპვის მიზეზი. მისთვისადეაღ ლიტერატურული უსუსტრობისა, ცხოველი ინტერესით იყობება მეტად გულთბილად დაწერილი გვერდები ალი-ბეის უკრანელ მონა ქალ მარიაზე დაჭარჩუნებისა და ალი-ბეის მამის, მღვდელ დავითის ქაიროში შეიდოვების სტუმრობის შესახებ. დავითთან ერთად მასული გაუთხოვარი ასული და შვილიშვილი როსვანი დარჩენილან ეგვიპტეში — პირველი მამის სამშობლოში დაბრუნების წინ გაათხოვეს აბუ-ზაჰაბზე, ხოლო მეორე თავისი ბიძის დაახლოებული მამულევი გახდა და 1768 წელს მის ქმნიბობა მიენიჭა.

კიდევ ცოტა ხნის შემდეგ — აბაღაზრდა როსვანი უკვე სანჯაყ-ბეი გახდა და მასთან ერთად ბებებს რაცხვამა, რომელნიც ალი-ბეის „სახლს“ ეკუთვნოდნენ, თქვესმეტს მიაღწია. წინა წლებში მკვეთრად ვაზრდილმა მიწების მფლობელმა ერთ-საშად უჩვეულოდ ვაზარდა მამულეკთა იმ შენაერთების ძლიერება, რომლებიც პირადად შვიხ-

და ინდაზაქციეული არაბული სტუმართმოყვარეობის ძველ აღთქმებს.

<sup>1</sup> Banu Hawwārah. პეარას მომთაბარე ბედუნები ზემო ეგვიპტეში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მოვიდნენ ტუნისიდან. ისინი თანდათან მრავლებოდნენ, მიდიდრდებოდნენ, ძლიერდებოდნენ და ბოლოს გახდნენ სრული პატრნ-პატრონები მთელი ტერიტორიისას ასიურტიდან ვიდრე ასუანამდე. აღწერილ დროს მათი შვიხი იყო ღრმად მოხუცებული პემაში — ჭკვიანი და მხრუნველი ზღადა, რომელიც წმინდად ინახავ-

ელ-ბელდს ეკუთვნოდნენ. მისი პირადი მამულეებისაგან შემდგარი დამკერველი ცხენოსანი ჯარის მეომართა რიცხვი საუკუნოა რომ ოდესმე ზუსტად დადგინდეს, მაგრამ დევრენი ე.ი. მისი ცილად შენიღბული დამპყრობელი ტენდენციის მიუხედავად ასახელებს აფგლისა და დროის პირობებისათვის მეტად საგულისმით ციფრს — 3000<sup>1</sup>. ჩრდილო-აფრიკელთა და სუდანელია 6000-იანი დაქირავებული რაზმით ზურგშემაგრებული, ეს სწორებუაჰი ცხენოსანი გავარდა, ბრძანებელი ეგვიპტის პირობებში გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ეგვიპტელი იანიზარები თავის დროზე ქაიროს ფაშის დასაყრდენი — ალი-ბეის მარჯვე ხელში მის ყურძიქარულ ყმებად გადაიქცნენ. რაც შეეხება ოტომანური წყობილების სხვა ჯარებს ეგვიპტეში, ალი-ბეის დროს მათ თითქმის შესწყვეტეს არსებობა. როგორც ჩანს, არც ქაიროს ქვეყნების პარკი ყოფილა უურთადადებოდ მიტოვებული, თუმცა, ისევე როგორც ჯვლად, მისი ზარბაზნები დადავ ჩამორჩებოდნენ სტამბოლისას, რუმელიისა და დასავლეთ-ანატოლიისა<sup>2</sup>.

თუ მეტი არა, ნაკლები არ გაეყოფებოდა ალი-ბეის დროს სამოქალაქო მმართველობის დარღვევა მანამდე არნახებულ სასტიკსა ზომებმა ჩქარა ამოსლო ლავამი გადასახადის ამკრეფი და სიბაჟო მოხვედრა სიხარბეს და გაუმაძღრობას. მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა განაჩენებმა წესიერებას დანატრებული უბრალო ადამიანების გულში წილობა დაბადა მმართველ-რეფორმატორის მართლმსაჯულებისადმი. ასევე ბევრი გავეთ-და როგორც შინაგანი, ისე განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის ვასაქობებლად. მაგრამ თანამედროვეებს ყველაზე მეტად აკვირებდა ის სიმტკიცე, რომლითაც ალი-ბეიმ მოკლე ხანში დაიკვა თავისი ხელქვეითი მოსახლეობა როგორც მამულელო თვითნებობისაგან, რომელთაც ძალ-მომხრობის ასეთი სამწყხარო სახელი ჰქონდათ მოპოვებული, ასევე უდაბნოს ბედენითა თავზე-დღრა თარეშისაგან, რომელი მანამდე ნილოსის დელტის თითქმის განუყოფელი ბატონ-პატრონები იყვნენ<sup>3</sup>.

ამ ვერაულებს შორის, რომელთაც საქუთარ თავზე განიცადეს მამინდელი აღმოსავლეთისათვის უჩვეულო წესრიგის კეთილისყოფილობა, შოტლანდიელი ჯეიმს ბრიუსი, განთქმული ცისფერი ნილოსის სათავეების აღმოჩენით, შეიძლება ითქვას, ყველაზე ობიექტური და მნიშვნელო-

ვანია. ამავე დროს იგი ქრონოლოგიურადც უფრო ლაზე საინტერესოა: ქაიროში მისი მარჯველი ყოფნა იმ თვეებზე მოდის, რომლებიც უმეტესად უძლიან ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამო მოკლადებს, ხოლო მეორე ჩასვლა თითქმის დამოთხვა სალიმოსთან ბრძოლას.

მისი მოთხრობა ალი-ბეისთან შეხვედრის შესახებ 1768 წლის მეორე ნახევარში დაწერილია საქმიოდ ცოცხლად და საინტერესოა:

„იქლისის დასაწყისი იყო, როდესაც ქაიროში ჩავდილი... ჩემ მიერ მიღებული გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება იშვიითად გამოვირედიოყავ ხალხში და ისიც გადაემეღა. ცოტა ხნის შემდეგ მე უკვე დარწმუნდ ან ფაიქად მთვლიდნენ, მაგიაში მეტად ვანსაწყველელ ადამიანად, რომელსაც არაფერი არ ინტერესებდა თავისი საქმიანობისა და წიგნების ვარდა...“

... ქვეყანაზე არ არსებობს ჯოჯობეთურ ბორტოქმედთა უფრო სასტიკი, უსამართლო, ტირანული, დამორბუნველი და ხარბი ხროყ, ვიდრე ქაიროს მმართველები არიან...

ქაიროში არის, დაახლოებით ოთხასი მეტოვრები, რომლებიც სარგებლობენ აბსოლუტური ძალა-უფლებით და ყოველი თავის ყაიდაზე და თავის იშტაზე სწიდიან იმას, რასაც მათთან მართლმსაჯულება ეწოდება...

სამედნიეროა, ჩემ დროს ეს მრავალთავიანი უჩხულო აღარ არსებობდა — იყო მხოლოდ ალი-ბეი და არც დაბალი და არც მაღალი მართლმსაჯულება არ შესრულებულა თანამდებობის პირების ვარუშე. ეს ბედნიერი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა...

მოშენებელი, როდესაც მე ქაიროში ჩავდილი, შესაძლებელია, ერთადერთი მომენტი იყო, რომელსაც ოდესმე შეეძლო მოეცა ჩემთვის, — მარტოხელა და უშუქო ადამიანისთვის, როგორც მე ვიყავი, — შესაძლებლობა განზრახული მოგზაურობის განხორციელებისა...

ალი-ბეიმ, რომელიც ბოლო დროს ცნობილი გახდა ევროპაში მისი ცხოვრების უკანასკნელი იმბების სხვადასხვაგვარი აღწერილობის გამო, თუმცა იწინაა ბედის მრავალი უკუღმართობანი და განდევნილი იქნა დედაქალაქიდან თავისი მოქმედების მიერ, მაგრამ საბოლოოდ მაინც იქნა დაბრუნების სიხარული და ჩავადო აბსოლუტური ძალაუფლება ქაიროში.

პორტა მედამ ილმაცერად უყურებდა მას და თავის გულში ალი-ბეიე დიდ სიძულვლას გრძობდა მის მიმართ: იგი არაფერზე ისე არ ოცნებობდა, როგორც იმაზე, რომ პორტა ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილიყო და თვითონ მას იმაში თავისი წელი იშეიტანა...

ხელსაყრელ შემთხვევად იქცა რუსეთთან ომი და ამ სახელმწიფოსთვის დახმარების აღმოსაჩენად ალი-ბეი ყველაფრისთვის მზად იყო...

<sup>1</sup> Dehéran, op. cit., pp. 75, 128.  
<sup>2</sup> მამულელო დამოკიდებულების შესახებ არტიკლიათან XV — XVI — საუკუნეში იხ. D. Ayalon-ის ნაშრომი, Gunpowder and Firearms in the Mamluk Kingdom, London, 1956.  
<sup>3</sup> მათი სისხლიანი მოთვინიერების იმბავი ბოსნიელ ასმედ ჯეზარის სახელთანაა დაკავშირებული

ვენეციელი ეპარო კარლო როზეტი<sup>1</sup>, მოხერხებული და დიდი ნიჭის მქონე ახალგაზრდა კაცი, რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდა ბეიზე (— ალი-ბეიზე — გ. ბ. — მ.) უდიდესი გავლენით. ასეთი იდამიანი რომ ოფიცრად ყოფილიყო ესაღვარაზე ცრად თორღვის ესაღვარაზე — გ. ბ. — მ.) და პეტერბურგიდან ინსტრუქციები ჰქონდა, ოტომანთა ბატონობის ევიატეში ბოლო მოვლემოდა<sup>2</sup>.

მაგრამ ქაიროში ბრიუსის ყოფნისას ახალგაზრდა ვენეციელი შესეკალა ყოფლისშემსლე პირველმა მრჩეველმა კობტმა რისკმა — გაიძვერა, ცხიერმა და ანგარების მოყვარე ადამიანმა, თანაც ასტროლოგმა. იმ ეპოქის ცრუმორწმუნე შეილს, ალი-ბეის, სწამდა ვარსკვლავთა წინასწარმეტყველებისა და ეს აორკეცებდა რისკის გავლენას მასზე. იყო თუ არა რისკი, ყოველივესთან ერთად, სტამბოლის მოსუიდელო ავეტრიც, როგორც ეს დასაშვებად მიიჩნდა ბრიუსს, ძნელი სათქმელია; მაგრამ თავისი ვერაგული ასტროლოგიური რჩევებით რომ დიდი ზიანი მიიყენა ალი-ბეის, ამასი სახელგანთქმული მოგზაური არ შემდარა. თუმცა, მის ყველაზე ნაკლებად შეფერვებოდა ასტროლოგების წინააღმდეგ გალაშქრება, რადგან იგი რომ ჰქიქის, მათის და თვით ასტროლოგის ნიღაბს არ ამოჰყარებოდა, ასე ადვილად ვერ მოიგებდა რისკის გულს, ხოლო რისკის შემწეობით — ალი-ბეის ნღობასაც, რომელთანაც თავის პირველ შეხვედრას ის ამგვარად გადმოგვეცეს:

„სწორედ ამ დროს რისკმა საღამოს ცხრა საათისათვის შემოიბოთავა, რომ წიგნსლიყავი ბეთსთან. მაშინ იგი პირველად ენახე. გაცილებით ახალგაზრდა იყო, ვიდრე წარმოდგენილი მყავდა. იგი იჯდა დიდ ტახტზე, რომელსაც გადაფარებული ჰქონდა შინისდერი ფარხა მისი დობანდი, მისი ქმარი და ხანჯლის ტარი უხვად იყო მოქედილი შესანიშნავი ბრილიანტებით. დობანდზე დამაგრებული ბრილიანტი, რომელსაც

ვერდნობოდა ბრილიანტისავე ეგრეტ, ერთი უდიდესთაგანი იყო, ზემ მებერ ყოველსეუ ქახულთა შორის“<sup>3</sup>.

აქ ნება მივეთ ლეიზინიანს დროებით ჩაერთოს ბრიუსის თხრობაში:  
„იგი (ალი-ბეი, გ. ბ. — მ.) 5 ფურტისა და 10 გოჯის სიმაღლისა იყო, ლამაზი აგებულების, ღია წაბლისდერი თმებით, დიდთვალეიანი მოგრობო-მარგალი სახით და შედიდური შესახედავად“<sup>4</sup>.

პირველივე კითხვა, მიცემული ბრიუსისადმი, ეხებოდა რუსეთის ომს თურქეთთან: ალი-ბეის უნდოდა სეოდნოდა, როგორი იქნებოდა მისი სტუმრის გაანგარიშებით, სახედარო მოქმედებათა შედეგები.

„მე ვუთხარი, რომ თურქები დამარცხდებიან ხელოთზეც და ზღვაზეც, საცა კი გამოჩნდებიან. მეორე კითხვა—კონსტანტინებოლს დასწვავენ თუ აიღებენ? მე ვუპასუხე, რომ არც ერთი და არც მეორე არ მოხდება, რომ დიდი სისხლისდრის შემდეგ დაიდება ზავი, რომელიც არც ერთი მხარისთვის და არც მეორისთვის სახიერო არ იქნება.“

მან გულმოსულმა ხელები აიქნია და თურქულად შეიგინა, შემდეგ მიმართა მის წინ მდგომ რისკს: „აი, რა იქნება ნამდვილად სამწუხარო! მაგრამ სიძარბულე სიძარბულე, და დმერთი მოწყალე...“<sup>5</sup>

და მომდევნო სამწუხარებერის განმავლობაში დმერთი მართლაც მეტად მოწყალე იყო ალი-ბეისა და მისთვის უხვთერფასესი ნატვრის, დიდი ხნადან გულში ჩამახებული გვემის — თურქეთის უღლის გადაადგების მიმართ, რომლის განხორციელების შემთხვევაც მას შეიძლება უფრო ადრე მოეცა, ვიდრე ამას ფარხა მოელოდა.



1768 წლის ნოემბერში სტამბოლიდან ქაიროში მოვიდა ბრძანება, იღებურვით და გავგზავნათ თურქების მთავარი ძალების დასახმარებლად 12000-იანი არმია. ალი-ბეის ეგვიპტელმა მტრებმა, რომელთაც ქაიროს ფემა მოქამული ეღვით სათავეში, გადასწვიტეს ესარგებლათ ხელსაყრელი შემთხვევითი და სტამბოლში დი-აბესდეს მათთვის საძულველი შეიხ ელ-ბეულდი. მას ბრალი დასდეს, რომ შეერებილი ჯარები სეზურენის დასახმარებლად კი არ უნდოდა, არამედ მისგან განსაღვრომად. ამას ის მოჰყვა, რომ ქაიროში დაუყოვნებლოვ გათავანა კაიხი-ბაში, რომელსაც უნდა წაეცალა თავი ორგულთ ვასალსათვის. მაგრამ მომავალი სუეცის არხის

<sup>1</sup> სწორი ფორმა — Rossetti. როგორც გტყობა, სწორედ იგი უნდა ჩათვალის ინდოეთ-ჯიდა-სუეც — ნილოსის გადასასეღული ხატრანიტო გზის გამოკოცლების იდგის ნამდვილ აეტორად. ჰქონდა რა მხედველობაში ეს გვემა და მოხერხებულად ისარგებლა რა მომენტით, ბრიუსმა, 1773 წელს აბისინიიდან უკან გამობრუნებისას, აბუ-ზამბისაგან მიიღო ინფორმაცია და ჯიდას შორის მოცურავე ინგლისის საეაქრო გემებისათვის ძალზე სისარგებლო პრივილეგიები. ლეიზინიანის დამოწმებით (92 გვ.) როზეტი ალი-ბეიზე გავლენას უშუალოდ კი არ იხედნდა, არამედ რისკის მეშვეობით.

<sup>2</sup> James Bruce of Kinnaird. Travels to Discover the Source of the Nile in the Years 1768, 1769, 1770, 1771, 1772, and 1773, 2nd ed., cor. and enl., Edinburgh, 1804, 6 vols. 1, pp. 100 — 105.

<sup>3</sup> Bruce, op. cit., p. 110.

<sup>4</sup> Lusignan, op. cit., p. 141.

<sup>5</sup> Bruce, op. cit., pp. 110 — 111.

<sup>6</sup> მდელი წოდებაა „კარის გარბეებაში“. დაახლოვებით შეესატყვისება ცერეონმენისტერის წოდების დასავლეთ ევროპაში.

ტრასის მახლობლად სულთანის შიკრიცი და მისი მსგებლები „ლაკვიდირებულ“ იქნენ ალი-ბეი ტანტავის მიერ, ხოლო სულთანის ბრძანება, რომელიც მას სიცივილს უქადა, ალი-ბეის მიუტანეს. ამ უყანასკნელმა მამინე მოიწვია დივანის საგანგებო თათბირი და მიმართა ბეგებს მხურვალე მოწოდებით — აქვე გამოეცხადებინათ 1517 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა და აშკარად განსდგომოდნენ თურქეთს. ალი-ბეის მომხრეებმა აღფრთოვანებით შეიღეს ეს წინადადება, მკერდრიცხოვანი მოწინააღმდეგენი კი ძალაუფლებრივ დამპყრობლენ მას. სვედურელი ზელსთელეების პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ეგვიპტიდან სულთანის ნაცვლის, ფაშას განდევნა, ხოლო მეორე — პალესტინის უძლიერესი ფეოდალის, ალი-ბეის ზემოთ ეხვეწასხელები მეგობრის, აქის შეიხის ომარ-ხა-ზაინისათვის მოციქულის გაგზავნა მასთან მკიდრო კავშირის დასამყარებლად. შეიხი დაუყოვნებლოდ დათანხმდა და სულ მალე გადაქარბებით გაამართლა კიდევ მასზე დამყარებული იმედები. თავისი 9.000-იანი ჯარით მან უნა დაბევირა დამასკოს ფაშა ოსმანის 25.000-იანი არმიას, რომელიც განდგომილ ეგვიპტის წინააღმდეგ იყო გამოგზავნილი სტამბოლის მიერ. ამ დიდმა წარმატებამ, რომელიც მოპოვებულ იქნა ტიბერიის ტბის ნაპირებთან, ხელები გაუხსნა ალი-ბეის უფრო ფართო ოპერაციების განსახორციელებლად, რომლებიც მან შემდგომ წელიწადნახევარში ჩაატარა სამხრეთში, აღმოსავლეთში, ეგვიპტის სამხრეთ-აღმოსავლეთში და აგრეთვე არაბეთში.

ყველაზე ადრე დამთავრდა იმავე 1769 წ. ჩატარებული ზემო ეგვიპტის კომპანია, რომელსაც აბუ-ზაჰაბი მეთაურობდა და რომელშიც მთავრად იყო სრულ მორჩილებაში ჰაეირის ბედუინები, მათ მოხეც შეიხს, ჰუმამს სიციცხლე მოუსწრაფა.

1770 წელს ეგვიპტის იარაღს გაცილებით უფრო საკულისხმო გამარჯვებები მოუტანა: ისმაილ-ბეიმ 8.000-იანი ჯარით ქაიროს დაუმორჩილა წითელი ზღვის დასავლეთი სანაპირო, მასან-ბეიმ ზღვიდან აიღო ჯდა, ხოლო აბუ-ზაჰაბის 20.000-იანმა არმიამ ჰეჯაზე ხმელეთით გალაშქრებულმა ამ წლის დიდი სამხედრო წარმატებათა სერია მეტის აღებით დაავეიჯვინა (1770 წლის ივლისი). წმინდა ქალაქის შერიფის ადილზე, რომელიც ამ დროისთვის ვაკანტური იყო, დაინიშნა ალი-ბეის ვაჟი, აბდალაზი, რომლის პირველივე აქტი იყო თავისი მფარველის ეგვიპტის სულთანად და ორივე ზღვის ხაყანად გამოცხადება და ამით თავისი რელიგიური ავტორიტეტი ალი-ბეის უფლების დადასტურება — მოგზარა საკეთილი ფული და მოხსენებულიყო პარასკვის ღვთისმსახურებისას<sup>1</sup>.

1770 წლის ბოლო და 1771 წლის დასაწყისი მოუნდა კიდევ უფრო შორს შეეჭვიანო ეგვიპტის განხორციელებისთვის — სირიის, დაქვეყნების დაპყრობისათვის მზადებას. ამასთან ერთად დამყარებულ იქნა ერთგურობა ეგვიპტის რეს-პუბლიკასთან და რუსეთის სმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდლობასთან.

ამასობაში სირიაში გალაშქრებისათვის მზადება დამთავრდა. 1771 წლის დასაწყისში აბუ-ზაჰაბის 30.000-იანი არმია დაიძრა სალაშქროდ და გამოსვლიდან მუხტოე დღეს იერუსალიმში აიღო ლაზხ. თვესებების შემდეგ ამას მოჰყვა ჩამისი და ნან-დუსის, ხოლო უფრო გვიან, ორთვიანი ალყის შემდეგ — იაფის ალება. გადაღება რა ამის შემდეგ ლიბანის ტავროსის მთავრების სამხრეთ-დასავლეთი განშტოებანი და დაიკავა რა საიდა, სადაც მას წინააღმდეგობა არ შეხვედრიდა, აბუ-ზაჰაბი დამასკოს მიაღწა და შემოეყრა მას. მას შემდეგ, რაც თურქების სარდალმა ოსმან-ფაშამ გაშლილ ველზე ბრძოლაში სრული განადგურება განიცადა და ალემში გაიქცა, ქალაქის მცხოვრებლებმა კარი გაუღეს გამარჯვებულს. ერთი კვირის შემდეგ სიხის ვარწოზმა თავისი მე-ათური მოკლა და აბუ-ზაჰაბს დაწებდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ კი მოხდა ის, რაც იმეკამდ ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, და რის დამამყარებელიც აღსნას ვერც წყაროები და ვერც შემდეგი დროის ისტორიკოსები ვერ გააძლევენ — 1771 წლის შემოდგომის დამდეგს აბუ-ზაჰაბის არმიამ, ყოველგვარ მიზეზის გარეშე, სირიიდან და პალესტინიდან გასვლა იწყო. ერთი ამ გასვლას თვლიან იმ საიდუმლო საუბნის შედეგად, რომელიც დამით შესდგა აბუ-ზაჰაბის კარივში მისა და მასთან მალეულად შემოპარულ თურქების მოციქელს შორის. თითქმის ამ უყანასკნელმა დაარწმუნა აბუ-ზაჰაბი ოტომანური იმპერიის სიმძლიერესა და სიმტკიცეში, უჩვენა ალი-ბეის წარმატებათა სრული ეფემერულბობა და ამასთან ერთად შეპირდა მას ეგვიპტის სამემკვიდრეო ფაშის, თუ ფაშისა და შეიხ ელ-ბელუდის თანამდებობას ერთდროულად.

ამისგან განსხვავებით, სხვა ავტორებს გადი-

დობლობათის ძველ პოლიტიკანურ ტრადიციათა გავლენის ქვეშ, ფრანგი ავტორები, როგორც წესა, ან დუბილით გვერდს უვლიან ამ მომენტს, ან ცდლობენ გვაჩვენონ, რომ ალი-ბეის ნამდვილად არასდროს არ გაუწევებია კავშირი თურქეთთან. ასეთ თვალსაზრისზე დგანან, კერძოდ გ. კოე და ა. დეერენი.

<sup>1</sup> ლეიზინიანის მიხედვით — 40.000-იანი (გვ. 93). უფროვე დამოუკიდებელი „რეალისტური“ შეფასება მისი თვისებების და რაოდენობისა იხ. ნ. ვოლნისთან (op. cit. 114 — 116). რაც შეეხება თარიღებს, რომლებიც ლეიზინიანს მოჰყავს 1771 წლის ამბებისათვის, ისინი აშკარად „გვიანებენ“ და გამოსწორება ხდება მხოლოდ შემდგომი წლის დამდეგისათვის.

<sup>1</sup> ერთგულნი ფრანგი კონსულების ცნობათა ხასიათისა და განწყობილებებისა და, შესაძლებელია, უნებლიეთ მოხვედრილი ფრანგული

წვერვ ფაქტორად მანანიათ ის ყოველად დაუსაზღვრებელი ფაქტი, რომ ეგვიპტის არმიის მეთაურებსა და მებრძოლებს მოპებრდათ ომი. რაც შეეხება ლუიზიანას, იგი დიდად და უფროდ არა-დამაჯერებელ გულმხრევილობით ყველაფერს აბუ-ზაჰაის შავს უმაღლრობასა და სატანერ მზაყრობას მიაწერს.

დაბოლოს, გამოითქვა აზრი, რომ უეცარი უკანდახვევა გამოწვეული იყო წაღბი ცნობით ალი-ბეის სიყვდილის შესახებ. ფაქტებით მცირედად დასაბუთებულ ამ უკანასკნელ აზრსა წინააღმდეგარესთან ის უპირატესობა აქვს, რომ ეგვიპტის მთავარსარდლის უეცარი გადაწყვეტილების მიზეზად წამოყენებული ყველაზე უფრო მართებული აზრი — ქაიროდან მიღებული დიდ-მნიშვნელოვანი ცნობა; რადგან აბუ-ზაჰაისათვის სწორედ ქაიროდან იყო მოსალოდნელი ყველაზე უფრო საყურადღებო, თუმცა არა სასიამოვნო ცნობის მიღება. არ შეიძლება მისთვის ცნობილი არ უყოფილიყო ალი-ბეის სიფიცხე, ისევე როგორც ის, რომ ყოველის შემდეგ არქივანტრიგანი რისკი, რომელიც მას ვერ იტანდა, არაიფი-თარ სასურველსა არ აღეარებდნენ. ალი-ბეი ტანტაგი, სახიფათო თავისი ზრმა ერთგულებით მათი საერთო ბატონისადმი და თავისი მძინვარე ეპიკაობით, აგრეთვე ვერ ჩათვლებოდა სირიის არმიის მთავარსარდლის მფობრად და ამასთან საუფველად ჰქონდა შემერბობა მისი მდგო-მარობა. დესპოტიზმის უღმრთელ ლაგვიას იდე-ალად შექმლო ამგვარ პირობებში გამოწვევა უეცარი გადაწყვეტილებები, რომლებიც მტრად არასასიამოვნო და, შესაძლოა, ძალზე სახიფათო იქნებოდა გამარჯვებული მხედართმთავრისათვის.

აიწყდებათ ისიც, რომ შიხ ზაჰირის სახით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ალი-ბეიზე, აბუ-ზაჰაისა კვერ კიდვე სირიაში ლაშქრობის დროს საშიში მტერი შეიძინა. მტრობა მათ შორის პირველივე შეხვედრისას დაიწყო — ხაიფის შორიალყო გამწილი ბანაკში; საიდან დაპერო-ბითვე ცტა ხნით ადრე. დამასკოს დაქვემას და ამასთან დაკავშირებით ნადავლის გაყოფის უკო-დურესად გამწავებულ საკითხს ადეილად შექმ-ლო მომუდლები მოისისლე მტრებად გაეხადა, რაც ისე წვევედ გამომცლენდა 1775 წელს აბუ-ზაჰაის მეორე ლაშქრობისას სირიაში.

თუმცა მოსამედ-ბეი აბუ-ზაჰაის რეფორმატო-რად არ იყო დაბადებულა, ხოლო მის სწრაფვა-თა დაბაზონი დიდად ჩამორჩებოდა ალი-ბეისას, იგი როგორც მხედართმთავარი უფრო მარჯვე იყო თავის შიამზე, სიამარსა და ბატონზე, ხო-ლო როგორც პოლიტიკოსი — გაცილებით უფრო ფხიზელი. ამ თვისებებს არ შეიძლება არ ეთა-მასთან თავისი როლი როგორც საომარ თეატრზე ორი მთავარი ანტაგონისტის — რუსეთისა და თურქეთის ომის დროინდელ და ომისშემდგომ შესაძლებლობათა შეფასებაში, ისე მამედეთო პაუსტინგალიბანელი მოკავშირის შიხ ეზ-ზაჰირის ტერატორიული გაფართოებისადმი ზა-

დების გაღვივებაში. თუმცა ამ უკანასკნელ შემ-თხვევაში დიდი პოლიტიკური ძალით არც ეყო საჭირო — ისე აშკარა იყო, რომ მტრული შიხის გაღვივებული შავა არ დაქვეითდებოდა ხორშელთან: ლიბანის დიდი ნაწილი + ჩრდი-ლოეთი პალესტინის ნაჭერი + სამხრეთ დასავლეთ სირიის ნაჭერი. ალი-ბეისა და შიხ ზაჰირის შო-რის მიღწეული შეთანხმების ზუსტ პირობებს, ჩვენ ალბათ ვერასოდეს ვერ გავიგებთ. აბუ-ზა-ჰაისაც, შესაძლოა, არ სცოდნოდა ეს პირობები ბოლომდე, მაგრამ ერთი კი ყარავდ ესმოდა თავისი ნათელი გონებით და წვევედ გრძნობდა თავისი იმედი გულოთ; რომ მას, ეგვიპტის მომავალ მბრძანებელს, ძლევათისილი მამელებების არმი-ის მთავარსარდალს, არ შეეძეროდა ეთაშაში იმ მამის როლი, რომლითაც მოხეტი ბედდინი, ოდ-ესლად თითქმის წვევესი და აწ შიხის, თურქეთ-თან, ომის გაღვივებულ დადარბიდან დიდი და ტკბილი წაბლების გამოღებას ამარბებდა.

ეგვიპტის სარღობაში ამგვარ განწყობილება-თა არსებობის პირობებში (ასეთი განწყობილება კი ნაშფვილად იქნებოდა) ქაიროდან მოსულე ბრძანება, რომლის ძალითაც ყველაზე უნდა დაქ-ვემდებარებოდნენ კავშირის უმაღლეს მინსებს, როგორც ეს ალი-ბეის ესმოდა, უფროდ მოთმი-ნებდად გამოიყვანდა აბუ-ზაჰაისა და მის მე-თაურებს და ნაადენინებდა იმას, რაც მათ ჩაო-დინეს.

არმიის უკანდახვევის მარშრუტის შესახებაც ეგ-ტისთვის შორის უთანხმოება არსებობს. უმრავ-ლესობას ეს მარშრუტი ქაიროზე გაყავის, უმ-ცირესობა კი, ლუიზიანასთან ერთად, ქაიროს გვერდს უხევეს. გაურკვეველია ამ გადაწყვეტი-ებისზოლის სხვა მნიშვნელოვანი მხარე — ურთო-ვრობა ალი-ბეისა და მის შვილობილ შორის. სირიისა და პალესტინის ეგვიპეციიდან აშკარა განმეტქლებამდე. ზოგი რეკომანდა, რომელითაც ჩვენ გვაცნობებენ ამის შესახებ, უფროდ კრი-ტიკული დამოკიდებულებას იმსახურებს, თუმცა ამაზე იქ შეტერება უადვილი იქნებოდა. ამავე დროს ეს არც იმდენად არსებითია იმასთან შე-დარებით, რომ 1772 წელს თებერლის დასას-რულს აბუ-ზაჰაის ზემო ეგვიპტეში იმყოფება, ხოლო ამბროის დამლევს მისი წინამძღობობით დიდი და ძლიერი არმია ქაიროსკენ მიემართება. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ საეკეთა ეს ძა-ლები მას ამ დროს მზადყოფნის მდგომარეობაში მყოლიდა, თუ სირიის ეგვიპეციისას უკანდახ-ვის საბოლოო პუნქტი ქაიროს მავიერ ზემო ეგ-ვიპტე არ იქნებოდა, როგორც ამას ლუიზიანის იმტიკეებს.

მას შემდეგ, რაც აბუ-ზაჰაის წინააღმდეგ გიგ-ზანელი ისმაილ-ბეი მის მხარეზე გადავიდა, ხო-ლო როსიან-ბეის ცტა — მცირე ძალებით შეეკა-ვებინა მტერი დედაქალაქის მისადგომებთან მკო-ცხით დამთავრდა, ალი-ბეიმ გადაწყვიტა დაეტო-ვებინა ქაიროს ციხე-სიმაკრე და თავისი პირადი

ჯერით პალესტინისკენ დაეხია. მისი „სახლის“ ზეგებს მიეცათ თავისუფალი არჩევანის უფლება: ან ეგვიპტეში დაჩინილიყვნენ და თავი დგენილის მიმართ ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისუფლად ეცნოთ, ან გაჰყოლოდნენ მას. მათ უყოყმანოდ ამჯობინეს უციანსელო<sup>1</sup>, რამაც დამარა და დეერენიკ ვი რომელიც მას იმოწმებს აიძულა ჯეროვად დაფასებინათ ალიზების თითქმის ჯადოსნური ნიჭი ადამიანთა გულების დაპყრობისა. დამირამ ვერ აღარა გვერდი ვერც მეორე, მამულესათვის მეტად უცხო თვისებას, რომელიც ალიზები გამოამყვანენ 1772 წლის მისთვის მძიმე პირველ თვეებში — ამ ვაუნებარ სიტხილეს და მოსიყვარულე მზრუნველობას, რომელიც მან შეამზობე და ურჩი შეიღის მიმართ გამოიჩინა. ფრანგი კონსული კარგად იცნობდა ეგვიპტის ფეოდალურ ბატონ-პატრონთა სოსასტიკეს და ამიტომ, რომ ასეთა გაციება გერც მისი 1772 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ სტიქიონებში, სადაც ის თავის მინისტრს აცნობებს, რომ ალიზები გააქვეა რა რამდენიმე დღით იდრე აბუ-ზაჰაში დედაქალაქიდან, მხოლოდ ამითა დაჰყოფილდა, თუცა სრული შესაძლებლობა ჰქონდა სხვანაირად დაესაჯა იგი და სიცილებსათვისაც კი გამოესალმებინა.

ალიზების სულ 7.000 ცხენისანი და ქვეითი მეომარი გაქვეა. 26 აქლემს მიჰქონდა ყველაფერი უჭირფასესი, რისა წაღებაც თან მოხერხდა ამ უადრესად სწრაფი „გამოსვლის“ პირობებში. მხოლოდ ძვირფასი ქვევის საერთო ღირებულება, ასეთ საკითხებში მეტრამეტად უხესმა ლეიზინიანმა შეიფასა 6.000.000 დეკატად რაც იმ დროისათვის მეტად სოლიდურ თანხას შეადგენდა. გამოსვლის წინ მოიკითხეს ფინანსთა განმგებელი რისი, მაგრამ მისი ევალე კი გამჭირვალე.

1772 წ. 24 აპრილს საღამო ეამს ამ ბატარა არმიამ დატოვა ქაირო და, გაიარა არა 27-ში ღიზის ახლო, 4 მაისს მიადწია ჰაიფას და მის შემოზობლად ბანაქი გამოლა. აქ ფიზიკურად და ზნეობრივად თავზარდაცემულ ალიზების სასტიკი ცემატებლება დაემატა, მაგრამ ბანაქში მამინვე ჩასულა შეიბ ზაჰირის მზრუნველობამ და მისი საუკეთესო ექიმების ოსტატობამ ავადმყოფი სამეკირაში ფეხზე დააყენა. ავადმყოფობის დასასრულს იგი მოინახულეს სტუმრებმა რუსული სამხედრო გემების ბატარა შენაერთიდან — ორმა მეთაურმა და მათთან ერთად რუსული სარდლობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა — ქართველიმ ოსებმა, რომელსაც ლეიზინიანი რუსეთის შტაბში დიდად დაფასებულ და საყვარელ კაცს უწოდებს. რუსეთის ამ პირველ წარმომადგენლებს, რომელნიც ეგვიპტის სახელმწიფოს მეთაურის მიერ იქნენ მიღებული, საყვარელი შეგებდნენ. საწყენია მხოლოდ ის, რომ ზენსიის, ალბათ სამუდამოდ უცნობი დარჩება, რა ენაზე ელაპარაკებოდა რუსული შტაბის ქართველი წარმომად-

გენელი თავის გვირგვინისან თანამემამულეს, რამდენიმე დღის შემდეგ დაქვემდებარებული და უხვად დასაჩუქმებელი მხრებზე გაბრუნდნენ თავიანთ გემებზე, მეზღაურებმა აუშვეს იალქნები და ჩრდილოეთისკენ გაემართნენ.

ზომალთა შემადგენლობა გაიზარდა ერთი შეხებით — რამელსაც მიჰყავდა რუს მთავარსარდალთან მოლაპარაკების საწარმოებლად მიმავალი ზულფიკარბეი და იგრეთვე სანქტაად ვავზავნილი ალიზების საყვარელი აქლემი მისივე საეგინობიდან და სამი საუკეთესო არაბული სადღლე ცხენი. კარგად რომ დაითვისნოს ლეინიკვადისა და მოსკოვის არქივებში, იქნებ გამოჩვენდეს, რომ რომელიმე მათგანი იყო ის შესანიშნავი თეთრი ულაყი „სუნეტანკა“, რომლის ნაშინსაც წარმოადგენს ცხენის ორი განთქმული რუსული ჯიში — ორლოვის რისაყი და ორლოვის საჯღომი ცხენი.

ალიზების უსტარი, რომელიც ზულფიკარბეიმ წაიღო, საუკუნისხმო თხოვნას შეიძლება — გამოეზავნათ რამდენიმე მძიმე ქვემეხი უუმარების მარაგითურთ და დახმარებოდნენ ორი — სამი თასი დაქირავებული ქვეითი ჯარისკაცით.

ჩვენ ოდნავ გავუსწრებთ თხრობას და აღვნიშნავთ, რომ ეს თხოვნა შესრულებულ იქნა სამმა ქვემეხმა, რომელსაც რუსი ოფიცერი-ინსტრუქტორები ჩამოსყვენენ დღიო სარგებლობა მოუტანა ალიზების ჯარს იაფის ალვის დროს გემს, რომელმაც ქვემეხები ჩამოიტანა, გამოჰყვა როგორც ეტყობა, დაქირავებული ქვეითი ჯარის კონტინგენტი — ალბანელი და ბერძენი.

მაგრამ იაფის ალვა ჯერ კიდევ შორეული ოცნება იყო. ჯერ, რადე არ უნდა დასჯღომოდათ უნდა განადგურებინათ საიდაში ალიზებისა და შეიბ ზაჰირისთვის მეტად საშიფთაოდ განლაგებული ჰასან-ფაშას 13.000-იანი არმია, რომელიც თურქეთის ძირათადა და ყველაფე სამიში ძალბის ბირთვის წარმოადგენდა სირიაში.

ამ არმიის ლიკვიაციის ძველი და საპასუხისმგებლო ამოცანა დაკისრებული ჰქონდა ალიზები ტანტაისა და რუსული რაზმის გემების ნაწილს. ეს იყო პირველი ცდა რუსეთ-ლიბან-პალესტინა-ეგვიპტის საბრძოლო თანამშრომლობისა, რომელიც ბრწყინვალე შედეგს მოიტანა. 1772 წლის 8 ივლისს საიფას ეკვლებთან ტანტაის რაზმმა, რომელიც მხოლოდ 6.000 კაცს ითვლიდა, დაამარცხა და უცუქეცია ჰასან-ფაშას ჯარი. დაამარცხებული არმიის დანაკარგი 5.000 კაცს აღწევდა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტა რამდენიმე ასეული მამულესის გრიგალისებრმა დაარტყმამ, რომლებიც ტანტაის საბრძოლო ყოვანში ცენტრალურ ძალას წარმოადგენდნენ. ეს ქემშარიტად ეპიკური შეტევა სიცილების ფასად დაუჯდა ერთ სანჯაყ-ბეის და ორ ქენობს. რუსული გემები საარტილერიო ცეხლით მთელი ბრძოლის განმავლობაში ძალზე შედეგიანად

<sup>1</sup> იხ. მეორე ნუსხა.



ესმარტობდნენ მოკავშირეთა ჯარების სანაპირო ფლანგის მოქმედებას.

ორი კვირის შემდეგ ტანტავიმ დატოვა გარნიზონი საიდაში და რაზმიერთ დაბრუნდა ჰაფის ახლო გაშლილ ხანჯში.

განაგრძობდა რა იმ თურქული გარნიზონების განადგურების წარმატებით დაწყებულ ოპერაციებს, როლებიც აბუ-ზაჰაბის უკანდახევის შემდეგ კვლავ გამაგრდნენ ღებან-პალესტინის სანაპიროს უმნიშვნელოგანეს პუნქტებში, ალი-ბეიმ სექტემბერში ზნელოიდან ალყა შემოარტყა იაფას. ეს ალყა, რომელიც 1773 წლის თებერვლის შემდეგ გაქაფურდა, ცენტრალურ გეზიზოლს წარმოადგენს ალი-ბეის პალესტინის კამპანიაში. თავდაცვის წარმატებას ისიც უწყობდა ხელს, რომ შეადევებს არც ფლოტი პეჯადით, რომ ციხე-სიმაგრის ზღვიდან გარემოცვა მოეხდინათ, და არც წესიერი არტილერია.

ბოლოსადმოლოს, 1773 წ. 11 თებერვალს<sup>1</sup>, როდესაც სერსათის მარაგი გამოილია, კომენდანტი დათანხმდა ციხე-სიმაგრის დატოვებაზე, თუკი გარნიზონს და მის სამხედრო და პირად ქონებას ხელს არ ახლდნენ როგორც ქალაქიდან გასვლისას, ისე მისგან უკან დახვევის დროს. პირადა მისცეს და შეუნარულეს კოდეცი, ისე რომ 12 თებერვალს ალი-ბეი და შეიხი ზაიირი ქალაქში შევიდნენ შემდეგ, მარტის პირველი დეკადის მიწურულისათვის<sup>2</sup>, ჰაფის ახლო გაშლილ ხანჯში დადებული პოლიტიკურ-ფინანსური შეთანხმების თანახმად, ქალაქი ევალიტელთა ხელიდან შეეს ზაიირის მფლობელთაში გადავიდა. ხოლო კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ალი-ბეიმ შეკრიბა ყველა მისი ხელკვეთითი ჯარები და დიდძალ სამხრეთისკენ — ეგვიპტის მიმართულებით, საჭმე მით უფრო იოლდებოდა, რომ მის სავალ გზაზე მდებარე ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, მათ რიცხვში დასჯა, რამდენიმე თვის წინ კვლავ მის ძალაუფლებას დაუმორჩილა ალი-ბეი ტანტავის შეთაქრობით სპეციალურად წარგზავნილმა რაზმმა.

ისტორიკოსებისთვის დიდხანს თავსატეხად დარჩება, თუ რა მიზეზები ამორბადებდა ამ დიდ მიმედებს, რომ მოუღენათა მსვლელობის ასე მკვეთრად აჩქარებას ცდილობდა. თუმცა, უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით იმეორებს ძველ ვერსიას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილი როლი ითამაშა მოხერხებულად შემოგზავნილმა ყალბმა ცნობამ ეგვიპტელ იანიჩარების და ქაიროს მოსახლეობაში<sup>3</sup>. მზადყოფნის შესახებ — გადავკვლია.

<sup>1</sup> ლუიზინიანის თარიღის გრეგორიანული შესატყვისი, ისევე როგორც ამ პერიოდისათვის ყველა მის მიერ მოყვანილი თარიღი შესაძლებელია, 2 — 3 კვირით განსხვავდებოდეს ნამდვილი თარიღისაგან.

<sup>2</sup> ლუიზინიანის თარიღის გრეგორიანული შესატყვისი.

აბუ-ზაჰაბის ხელისუფლება, როგორც კი ალი-ბეი გამოჩნდებოდა. მართლაც, ასე იყო იუ არა, მწელი სათქმელია ველიურით, რომ საკითხის მხოლოდ ამგვარ სინარტყეში გახილია მისი შეტისმეტად გაუნბარლობა იქნებოდა.

როგორც არ უნდა იყოს სწორი მასზე, მისი დასაბუთება ჯერჯერობით ვერ მოხერხდება. სადღესოდ უნდა დაეკმაყოფილდეთ შემდეგი ზუსტად დადგენილი ფაქტის დიფისტრეიცი: ეგვიპტის საზღვრებთან ალი-ბეის გამოჩენის მომენტის შეიხებისა და სასულელო პირების მიერ აბუ-ზაჰაბის მხარეზე გადაბარებული ქაიროს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ხელოსანთა და ვაქართა გაღვივებულმა სარწმუნოებრივმა ფანტაზიამა მწვერვალს მიაღწია. ვის მხარეზე არ უნდა ყოფილიყვნენ იანიჩარები, ხალხი ამ დღეებში დაბრუნებულ ალი-ბეიში ხედავდა ურწამლოთა, ისლამის საიდუმლო მტრის მებრძოლსა და მოკავშირეს მასში ხედავდნენ ყოველივე იმის მტერს, ჩასაც დღევანდელი სიტუაციაშირებით „მუსულმანური ცხოვრების წესი“ დაეპრქვევლით. თუმცა ბრიუსის სიმხდალს ვერ დაეწამებო, მაგრამ, როდესაც იგი აბისინიიდან ქაიროში მიბრუნდა და აბუ-ზაჰაბის გულის მოგება შესძლო, მან აღარ დააყოვნა და გვეცოლა ხალხის მოსაზღვევებლად მრისხანებას არანუსლიმანთა მიმართ. მან მიაღწია ზღვის ნაპირს, მაგრამ სამშედლობოს თავი ვერ იგულა მანამდე, სანამ რეიდზე მდგარ გემში არ ჩაჯდა. ამგვარი აჩქარებას მიზეზი იყო ანტი — „ფრანგული“ განწყობილებათა ახალი მკვეთრი ვაძლიერება, რომელიც გამოიწვია ალი-ბეის ჯარების მიერ საზღვრის გადმოლახვის შესახებ ახლად მიღებულმა ცნობამ<sup>1</sup>. ხალხის რისხვას საცაა უნდა ეფეთა.

1773 წ. 15 აპრილს<sup>2</sup> ალი-ბეი გამოვიდა დაზი-

<sup>1</sup> ბრიუსის მონათხრობი მისი მოგზაურობის იმ უკანასკნელი ეტაპის შესახებ იმითაცაა საყურადღებო, რომ იძლევა ზოგიერთ სანდო ცნობას აბუ-ზაჰაბის — უწყალო ტირანისა და მამის-მკვლელის შესახებ. ახლაც კი, როდესაც მას შემდეგ ორი საუკუნეა გასული, ცოცხალი ინტერესით იკითხება გვერდები მისი შეხვედრის შესახებ ბრიუსთან. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პირველი „აუდიენციის“ დასასრული, როდესაც გატანჯულმა, ჰამოძინილმა მოგზაურმა, სასწრაფოთ დაბრუნებულმა აბისინიის უღრან ტყეებდან, ასე მტკიცედ და მასთან მომსყიდველი თავმდალობით უპირა თქვა მთელი უხვი ნაბოძები მისი თითქმის მფევე ბატონისაგან. დამახასიათებელი მტრისხი: როდესაც ბრიუსმა საზღვრის გადმოსალახად გამზადებული ალი-ბეი იხსენა, აბუ-ზაჰაბმა მას მამა უწოდა.

<sup>2</sup> როგორც ეს თარიღი, ისე სამი მომდევნო, ლუიზინიანის მიხედვითაა მოცემული მისი გრეგორიანული შესატყვისით, რაც 7 დღით უსწრებს ჯამბარის თარიღებს.

დან და აბრილს 20-ს მიადგა სალიპის<sup>1</sup>, რომელიც დაკავებული იყო აბუ-ზაჰაბის 11000-იანი ჯარის ძირითადი ბირთვის მიერ. 22 აპრილს იმ 11.000-მა ლაშქარმა იერიში მიიტანა მოქინაღმდეგეზე ისე, რომ არ დაელოდა მამულ ძალებს. აღიბეის სულ 6.500 ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი შეყავდა<sup>2</sup>. განაღდა ომი, რომელიც შედარებით სუსტი მხარის გამარჯვებით დამთავრდა: თავდაშსმელებმა დაიხიეს და დასტოვეს ადგილზე 360 მოკლული და სასიცუდილოდ დაქრილი, მაშინ როცა გამარჯვებულთა დანაკლისი 160 მოკლულსა და დაქრილს არ აღემატებოდა. ამავე დღეს ტანტაემ დაიკავა სალიპია, სადაც აღიბემამ პირველად შეიტყო ქვეყნის მოსახლეობის და, განსაკუთრებით, დედაქალაქის მუსლიმანური ვრცობების შესახებ მის მიმართ. თუმცა ის ახლა იმდენად უეცარი იყო, რომ გამოიწვია მწვავე შინაგანი კრიზისი, რომელსაც ზედ დაერთო განახლებული ციებ-ციხელება. შეტევა იშვიათი იყო, რომელიც ჩქარა და იოლად არ ქრებოდა: იმდენად რეზილი მამა, ბელადი და ხელმწიფე ლოგინად ჩავარდა და პირადად ვერ მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტ ბრძოლაში, რომელიც 24 აპრილს მოხდა და ვეკობტის ისტორიაში სალიპის ბრძოლის სახელწოდებით შევიდა.

წინააღმდეგეთაგან მოვიდა აბუ-ზაჰაბის მომხრე 24.000 ფანატურიზებული მოხალისე და ახლა აღიბეის არმიის მოწინააღმდეგეთა რიგებში ითვლებოდა 34.000 ჯარისკაცი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მტრის ძალები ექვსჯერ აღემატებოდა აღიბეისას, თუმცა კი საკმაო მაინც არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ აღიბეის ევტერანები შეეკრთო. ბერკის 1772 წლის Annual Register-ის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „იმის შავიერ, რომ შეეუძმელიყო... მათი გულები, პირაქითი, სიხარულით ფეთქდა ბრძოლის მოლოდინში...“<sup>3</sup>

დღის 11 საათისთვის მამულეების ცხენოსანი ჯარის მარჯვენა ფრთა, რომელსაც სათავეში აღიბეი ტანტაეი ედგა, იერიშზე გადავიდა და

გადათელა აბუ-ზაჰაბის მარცხენა ფლანგი. ტანტაისთან ერთად იმში ჩაება პაქისტანელი მამულე-შირეთა ცხენოსანი ჯარი, რომელიც მამულეების ფლანგს შეადგენდა. მაგრამ აღიბელების, პალესტინელ ცხენოსანთა მეთაურის, შეის ზაჰირის უფროსი ვაჟის, საბრძოლო მოქმედება წარმეტყველებული აღმოჩნდა. ამისდა მიუხედავად, გამარჯვება მაინც მომხდურთა მხარეს იყო, სანამ უეცრად არ მოხდა ის, რის წინააღმდეგ გამჭვინავებული ტანტაეი კი უძღვრია აღმოჩნდა — მისი ცენტრის მოლაღაცე დაპირავებული ჯარი (3.000 ჯარისკაცამდე) მტრის მხარეზე გადავიდა. დასაბრუნო მოახლოვდა თითქმის 12-ჯერ უფრო ძლიერი მტრის მიერ გარშემორტყმული აღიბეის პატარა არმიის ორივე ფლანგის ნარჩენები განადგურდა. კვლავ „შეშინებულად ვასთაყარი შეუბოჯრობით. იბრძოდნენ ისინი, ვიდრე ნაქუწ-ნაქუწ არ იქნენ აკაფულნი“<sup>4</sup>. მათთან ერთად დაეცა დღემსახურებლად მივიწყებული ორი ვაკაცი, ორი მებრძოლი ევგვიტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის — ქართველი აღიბეი ტანტაეი და პალესტინელი აზაბა აღიბელები.

გადარჩენილმა მცირე ნაწილმა, რომელმაც ბედისგან დაეწყებული ბრძანების, აღიბეის კარავს მიადგა, აწვია მას დამარცხების სამწუხარო აშავი. ყველა ვინც კი იმ დროს მის გარშემო იყო, ვედრებოდა, რომ ცხენზე შემჯდარი და დაზისკენ წასულიყო 300 მხედრის თანხლებით, რომლებიც თან ჰყავდა და რომლებსაც მეთაურობდნენ როსვან-ბეი, აბდურაჰმან-ბეი, მურად-ბეი<sup>5</sup> და სულეიმან-კაია. და სწორედ მაშინ მოიმოქმედა აღიბეიმ თავისი ყველაზე ღამაზი და ყველაზე გმირული საქმე, რომელმაც ამავე დასრულა მის მიერ ამავე განვლილი ცხოვრების გზა<sup>6</sup>: — მან განაცხადა, რომ არ დაბრუნდა ადგილიდან და უბრძანა გარშემოყრით უკან დაეხიათ; გამოთხოვებისას ყველანი ხელზე ეამბორნენ და იგი დარჩა თავის კარავში. მასთან ერთად დარჩა ათი უმარევილი — ათი პაეი-მამულევი, ერთგული ერთგვარი ყველაზე უნაური და სასტიკი კანონისა მამულეების ღირსებათა კლდექსში.

მათ აღბრუნეს თავიანთი ველი და აბუ-ზა-

<sup>1</sup> 1798 წლის 11 ივლისის პორტსააიდიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, იმავე სალიპისთან, ლეკურეის ცხენოსან ბრძოლას, მასთან მყოფ ნაპოლეონთან ერთად მოუხდა მეტად მძიმე ბრძოლის გადატანა იბრაჰიმ-ბეისთან (ა. შინგეჯავილი). რომელიც პალესტინისა და სირიისკენ იხევდა. მამულეთა გააფორებული კონტრ-შეტევა კარგად დაამასოვრდათ ფრანგ დამპყრობელებს, განსაკუთრებით მათ მთავარ ქირურგს დარეს.

<sup>2</sup> ლუიზინიანი, როგორც ყოველთვის, მეტად ზედმწიფენით ასახელებს ზუსტ რიცხვს — 6.310, რომელსაც ეყრდნობა მთელი რიგი ავტორებისა, მათ რიცხვში კენიგიც.

<sup>3</sup> 2 The Annual Register, 1773 [London, 1774], p. 26.

<sup>4</sup> The Annual Register, 1773 [London, 1774], p. 26.

<sup>5</sup> შირ. ლუიზინიანის ეს დამოწმება დღემდე შეგრინილ „რომანტიკულ“ ვერსიას მოლაღაცე მურადის — აღიბეის დამარცხების, დატყვევებისა და დაღუპების მთავარი მიზეზის შესახებ.

<sup>6</sup> აქ აღიბეის მიმართ ცუდად განწყობილმა დეერენმაც ვერ შესძლო დაწყებული დამაღბლებელ-კრიტიკული ხასიათის მორიგი ციტატა და ქებადღების სიტყვებით არ დაემთავრებინა: „Sa défaite fut totale, il acquit seulement quelques trophées par la plus fameuse et la plus opiniâtre résistance qu'on ait jamais vue“. [Dehéraïn 'op. cit., p. 135].

პაპის მიერ გამოგზავნილმა კაიამ მხოლოდ მისინ შესწავლა კარავში შესვლა, როდესაც მისმა ოცდაათმა<sup>1</sup> მებაღრავემ გმირი — ბაქშუვის შუუ-პოვარი წინააღმდეგობა გასტეხა და მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე კაცე დაკარგა. დასუსტებული, ავადმყოფი ალი-ბეი იარაღით ხელში შეეგება თავისი შეილაბილის მიერ წარ-მოგზავნილებს. პირველი, რომელმაც მასთან მიხედვა ერთი დაკერით იქნა მოკლული, კიდევ ორმა დარტყმამ ორა კანდიერი დასცა. თავდამს-მელები იძულებულნი გახდნენ შორიდან გასწო-რებოდნენ თავიანთ საშინელ მოწინააღმდეგებს და ორი გასროლით დასტრეს იგი მარჯვენი ხელსა და ხარბაყში. ალი-ბეი ახლა მარცხენა ხელს ხმარობდა და საპასუხოდ გასროლით მოასწო-რო კაიას დაქრა, სანამ მოქნეულმა ხმალმა არ უეწებელყო ეს ხელიც, ცნობა არ წაართვა ალი-ბეის და მიწაზე არ დასცა. როდესაც იგი ამ მდგომარეობაში კარავში მიავგარეს აბუ-ზაპას, ამ უკანასკნელმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა<sup>2</sup>.

ალი-ბეი ჭიბრთში გადაიფანჯეს, სადაც ერთ ცვირამდე იყოცხლა და ვარდიაცვალა თავის სა-სახლში 1773 წლის 2 მაისს<sup>3</sup> ლეიზინიანის აზ-რით, იგი მიღებული კრილოზებისა და ვაძლიე-რებული ციხეებულებისაგან ვარდიაცვალა, მგე-რამ არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით ალი-ბეი საწამლავმა იმსხვერპლა.

თუმცა კი ერთგულების მხრით შორს იდგა ათი ყმაწვილი-მამულეკის გმირობისაგან, მაგრამ აბუ-ზაპასზე ბოლოზე დაიცვა თავისი კასტის დაუწერელი კანონები: მამულეკთა ეგვიპტის უკანასკნელი ხელმწიფე დიდის პატივით დაასაფ-ლავეს მის წინამორბედთა გვერდით, ისლამის ხუროთმოძღვრების უშესანიშნავეს ძეგლთა შო-

რის, ელ-კარავეს მეჩეთებისა და მავზოლეუმე-ბის<sup>4</sup> წარდღილა.

მეჩეთებისა

ეგვიპტის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში უდრეკი და მედამ ხმალმართუ-ლი ალი-ბეი თუმცა დამარცხდა, მაგრამ მისი სსოენა დარჩა ეგვიპტელთა გულში<sup>5</sup> და ამ უძ-ბელესი ქვეყნის მატარებელი. თვით ჯაბარტიც კი, თუმცა მან ვერ ვაყო 1769 — 1773 წ. წ. მოქ-მელებათა გმირის ისტორიული როლი, მედამ ხედავდა მასში დიდებულ პიროვნებას<sup>6</sup>.

ქველი მემკვიდრეები კი — თაბლოე-სი დროის ეგვიპტელი ისტორიკოსები, რომლებიც ხაზგასმით უნარჩუნებენ მას „დიდის“<sup>7</sup> სახელს. დროთა განმავლობაში სულ უფრო ნათ-ლად დიანახავენ მასში რეფორმითა ებოქის წინა-მორბედს და ეგვიპტის დამოუკიდებლობის აღ-გენისათვის გაწეული ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპის გაბედულ წამომწყებს.

ალი-ბეის მთლიანი, ისტორიულად დამაჯერე-ბელი პორტრეტი არ არსებობს მაგრამ, როდესაც იგი ბოლოსდაბოლოს დაიწერება, ჩვენს წინ წარმოვლდება დიდი, არაწვეულგებობის აღმანის სახე მით უფრო ნათელი, რამდენადაც მის ფო-ნად ეწეება მჭინვარება, სოციალური სისასტიკე და სოციალურა თვითნებობა, რაც ყოველთვის უდრიდა ცნება „მამულეკ“ და რომელსაც ეგ-ვიპტის პირველმა პრეზიდენტმა ასეთი მკაცრი შეფასება მისცა თავის გატაცებითა და მხურვა-ლად დაწერილ წიგნში<sup>8</sup>.

<sup>1</sup> ბურჯითელ... სულთანთა ამ მავზოლეუმებს შეეკლამით ახლაც ხშირად ეწოდება „ხალიფთა სამარკები“.

<sup>2</sup> ზოგი ავტორები, შესაძლოა ეოლნიის გავ-ლენითაც (op. cit pp. 125 — 130), ჯაბარტის ჭებას გადაჭარბებულად თვლიან (ნ., მაგალითად E. Combe, op. cit., p. 46).

<sup>3</sup> საბჭოთა მკითხველი თავად დარწმუნდება ამაში, თუ გადაფურცლავს მე-15 გვერდზე პირველ საცხებით თანამედროვე ისტორიულ ნაშ-რომს ეგვიპტის შესახებ, რომელიც რუსულ ენა-ზეა თარგმნილი — P. аль-Барзани и М. X. Уле-йш. „Экономическое развитие Египта в но-вое время“, [Москва, 1954, перев. с арабско-го].

<sup>4</sup> ვამალ აბდელ ნასირი „რევოლუციის ფი-ლოსოფია“ (ცნობილია ავტორისათვის ამ წიგნის შემოკლებული ტექსტიდან, რომელიც 1956 წ. შიორე ნაზევარში დაბეჭდილია ბომბეის გაზეთ „ბლიც“-ის ფურცლებზე.)

<sup>1</sup> მარსელის ცნობით ორმოცდაათი.

<sup>2</sup> ალი-ბეის უკანასკნელი ბრძოლისა და დატყ-ვევების ეს აღწერა თითქმის სიტყვა-სიტყვით მიხ-ვევება ლეიზინიანის ვერსიას. ლეიზინიანი კი ვერ-დნობოდა იმ მკითრარცხოვან ბედნიერთა მონა-ყოლს, რომელმაც მოახერხეს ბრძოლის დამთავ-რების შემდეგ ლამით თავი დაეღწიათ აბუ-ზაპა-სის ბანაეისათვის და 26 აპრილს საღამოს ჩა-სულაფენენ ლაზში. ეგვიპტის დამოუკიდებლო-ბისა და ალი-ბეის მტრები მისი სიკვდილის მე-ორე დღესვე ავრცელებდნენ ყალბ, მათ მიერვე შეთხზულ მონაქორს, სიკვდილის წინ მისი სულმოკლე საცოდავი ქვეყის შესახებ (იხ., მა-გალითად, იგივე 1773 წ. Annual Register. p. 26).

<sup>3</sup> ჯაბარტი — 8 მაისს



## ჰაინეს პროზის პირველი ქართული თარგმანი

ჰაინრიხ ჰაინე, გერმანელი ლიტერატურის ეს უაღრესად ორიგინალური და კოლორიტული ფიგურა, იმთავითვე ჩქედა ქართველი საზოგადოების ყურადღებას. მისი პოეზიის მიწოდებლობამ, უგულითადესი ლირიზმისა და მუსხაგვი სექსისის, ზათისისა და სარკაზმის, ერთუზიანებისა და ირონიის, ინტიმური ტონისა და გამანადგურებელი ნიმილიზმის თავისებურება, განუმეორებელმა შეზავებამ ადრიატიკურ ვითუბა ამ პოეტს სახელი საქართველოში.

მაგრამ ჩვენში ჰაინეს უპირატესად იცნობდნენ როგორც პოეტს, როგორც ლირიკოსს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითოთიროლი ფრაგმენტს, მისი პროზა დღემდე ქართულად არ ყოფილა თარგმნილი.

უაღრესად ინდივიდუალური და სპეციფიკური ჰაინეს პროზის სტილი. მას თავის პროზაულ ნაწარმოებებშიც ახასიათებს უნატიფესი განცდების, გაწყობილებათა ფიქში ნიუანსებისა და ნახვებრუნების ექსპრესული ვადმოცემა. აქაც იყენებს ჰაინე კონტრასტებსა და დისონანსებს, ურთიერთსაწინააღმდეგო გაწყობილებათა მოულოდნელი მონაცვლეობის ხერხს. მის პროზაშიც გვხვებით ვ. წ. პატრიკულ გროტესკს — საყინისა ან მოვლენის უარყოფითი მხარის შეგნებულ გზვადება-გადაპირბეზას, რაც ოდნავდაც არ ვნებს რეალიზმს, პირიქით — რელიეფურად წარმოგვისახავს აღსაწერი ობიექტის სპეციფიკურ ნაწინათვისებას.

ჰაინრიხ ჰაინეს განთქმული ჰუმანიზმი სწორედ მის პროზას ეფუძნება. და სწორედ მის პროზაში ვმოვლობთ ჰაინეს ცნობილ კლამბურებასა და სიტყვათთამაშს, რომელიც არა იშვიათად მიაგლიათებად მოაქვთ ხოლმე ესთეტის კურსებსა და კომიკურის შესახებ არსებულ ლიტერატურაში.

ჰაინეს „მოგზაურობის სურათები“, რომელიც ქართულად ჯორჯანელუმბე თარგმნეს, ერთობ ორიგინალურ ენარს მიეკუთვნება. იგი წარმოადგენს პუბლიცისტიკისა და ფელეტონის, პაშლეტისა და სატარის, მოგზაურობის მხატვრული ილერისა და ენარული სურათების, ლირიკული იდგარსიებისა და ჰუმანიზმული პარადოქსების უცნაურ ნახავს. მასში ჰაინე გესლიანად დესკონის ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ გერმანიას, დევნებრიტიველ იუნკრობასა და

დონდლო ბერტუაზის, რომელსაც ყოველგვარი სიახლისა და გარდაქმნის ეწინაა.

„მოგზაურობის სურათები“ პროზის ვალოზზე მეტისმეტად ძნელი სთარგმნელია. რთული ვადმოსატანია ქართულ ენაზე ის ნეოლოგიზმები, პუნორისტული სიტყვათწარმოებანი და, განსაკუთრებით, სიტყვათთამაში, რაც ასე ზნირად გვხვდება ჰაინეს ტექსტში.

მთარგმნელების — ჯორჯანელუმბის სასახელად უნდა ითქვას: მათი მთარგმანი იციბებე როგორც ორიგინალური ქართული ნაწარმოები და ამავე დროს მას შენარჩუნებული იქვს დედნოს სული და სპეციფიკა. შე მგონია, ეს მთარგმანის დიდი ღირსებაა.

შე მგონია, ჯორჯანელუმბის სახით თანამედროვე ქართველი მთარგმნელების საუკეთესო ნაწილს ორი პერსპექტივეული თანამობაჯერ შევმატა.

„მოგზაურობის სურათების“ მთარგმანის ენა ბუნებრივი, სავა და ძალდატანებელია, სინტაქსი მთლიანად ქართულია, ოდნავდაც არ იგრნობა გერმანული სინტაქსის, სიტყვათა წყობისა და ენობრივი კონსტრუქციების გავლენა. „კუნაპეტივით ბნელი დამე იყო, როდესაც კონსტრუქციის მივალწიე. ჰაინის თავი არა მქონდა და მაინვე ლოგინში ჩაწეწე. ძალღივით დავილაღე და ღმერთივით შეძინა“ (გვ. 15) ანდა: „კათოლიკე ხუცესი ისე დაბოჯებს ქვეყნად, თითქოს ზეცა მისი საყუთრება იყოს, პროტესტანტული ხუცესი, კი, პირიქით, ისე დადის, თითქოს ზეცა იჯარით მქონდეს აბუბული“ (გვ. 362).

ქართულ მთარგმანში გერმანული ინდაზები და თქმები ჩანაცვლებულია წმინდად ქართული ინდაზებით, გერმანული ილიომები ვადმოტანილია ადკვატური ქართული ვამოთქმებით, უფრო მეტიც: მთარგმნელები სპეციფიკურ, გერმანულ სინაშიდლისათვის დამახასიათებელ შედარებებს, მეტაფორებსა და ფთხე ეპითეტებსაც კი სპეციფიკური ქართული შედარებებითა და ეპითეტებით მთარგმნიან.

უდენში ვკითხვლობთ: „...der so klein ist wie ein Hühnerhof“, რაც ნიშნავს „რომელიც ისე პატარაა, როგორც საქათმე“. ჯორჯანელუმბის სიტყვა-სიტყვის მთარგმანი ვრადებია: „... რომელიც ისე პატარაა, რომ თავი ექვს ვერ მოაქნეს“ (გვ. 230). შესანიშნავად ვაქართულბული

„Dummerian“ — „სულელიანე“-დ (გვ. 12). „Das Schlaraffenleben“ — „წინიას ბაღად“ (გვ. 167). „Hier ruht in Gott“ წინებულადაა თარგმნილი „აქ განისვენებს მონა ღვთისა“ (გვ. 270). „Misere der Zeit“-ს კარგადაა აქვს მოძებნილი შესატყვისად „ჟამთა სიავე“ (გვ. 145) და ა. შ.

თარგმანში მეტწილად ზედმიწევნითაა შენახული ჰაინეს ინტონაცია, მისი ირონიული ტონი და ნატიფი ჰუმორი (მაზგასმით მიწნდა აღენიშნო: განსაკუთრებით ეს ითქმის „ჰარტსე მოგზაურობის“ მიმართ. ჩემის აზრით, ყველაზე უკეთ „მოგზაურობის სურათების“ სწორედ ეს ნაწილია თარგმნილი) მოვიტან ერთ მაგალითს, მაგრამ ამ შემთხვევაში არა „ჰარტსე მოგზაურობიდან“, არამედ „ლუქას წყლებიდან“: „მე ის-ის იყო მიწნდოდა შემენიშნა, გრჯესი ძროხას დარაჯობდა— მეთქი, რომ ფართოდ გაიღო კარი და ჩემდა გასაოცრად ჩემი ძველი შეგობარი ბანკირი ქრისტოან გემუელი შემოგორდა თავისი მსუვეე ღიწნ-ღითა და კურთხეულად ღიპით. მას შემდეგ, რაც მან თავისი მოლაშკრე სჭელო ტრუხები მიღედის ზელს შეაწმინდა და, როგორც წესი და რიგია, ჯანმრთელობის შესახებ შეკითხვები ჩიფტრეტუნა, მეც შემოიწონო და გულში ჩავეყარით შეგობრები ერთმანეთს“ (გვ. 271).

„მოგზაურობის სურათების“ ქართულ თარგმანში ჩინებულადაა გადმოტანილი ჰაინესეული სიტყვათა თამაში. მაგალითად, ქართულად უკლებლივ და ზედმიწევნიადაა შენარჩუნებული ის ცნობილი სიტყვის თამაში, რაც ზიგმუნდ ფროიდს სიტყვათათამაშის კლასიკურ ნიმუშად მოაქვს თავის წიგნში — „კუკუამხვილება და მისი მიმართება ქვეცნობიერისადმი“. „ოგი (როტ-შოლი ნ. კ.) ისე მეტყეოდა, როგორც თანასწორის, სრულიად ფამილიარულად“ (გვ. 270) პიაცანტის (ერთ-ერთი მოქმედი პირია ნ. კ.) ნალაპარაკვიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს მილიონერი როტშოლი მას უბრალოდ, როგორც ტოლი ტოლს, ისე ემტეოდა, მაგრამ ჩინადადების ბოლო ნაწილი მოლოდინეაღ აქარწყლებს წინა ნაწილში გამოთქმულ აზრს: როტშოლი მას თითქოს ფამილიარულად, უკეთ — მილიონერის ფამილიარობით. ე. ი. ფამილიონერულად ეპყრობოდა, რაც ნამდვილ ფამილიარობასა და თანასწორობაზე დაფუძნებულ აბლობობას გამოირიყვას. დიდებული ირონიია!

ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობილებათა მოულოდნელი წანაცვლების უგულოდადესი ლორწშიდან ველგარულ „პროზაულობაზე“ გადასვლის, პათეტურ ტონში „ცინიერი“ ტონის შეკრის საუფეთესო მაგალითად გამოდგება შემდეგი ადგილი. „მიუწმინდან გენუამდე მოგზაურობის“ XXVII თავს ჰაინე იწყებს რაგიტის უღირიყულის ღეჭით — „მინიონ“ —

„გაგიტონია შენ ის ქვეყანა, სადაც ლორწი  
 ყველგანსა მარად,  
 სადაც დაქუფრულ მწვანე ფოთლებში ცელგის  
 ნარინჯი ბაჯალის დარად,  
 სინდაც გაშლილი ცის კაბადონი ლავეარდოვანი  
 და უსასრულო,  
 სადაც ცისაქენ მიილტვის დაფნა და  
 მოკრძალებით კანკალებს სურათი?  
 განა არ იცნობ შენ იმ ქვეყანას,  
 სადაც ეს გული გაფრენას ლამობს?  
 გემუღარბები, ო, იმ მზარეში, ჩემო ძვირფესო,  
 წიაღღეთ, წიაღი!“

და უცებ ამის შემდეგ იწყება ჰაინეს ტექსტი. — მაგრამ ნუ გაემგზაურები იქ აგვისტოს დასაწყისში, როცა დღისით სიცხე გწვევს და ღამით კიდევ რწყილები გქამენ“ (გვ. 243).

ჩემის აზრით, „მოგზაურობის სურათების“ ქართული თარგმანის სტილი ძირითადად თანადროული საქართველოს ორი უდიდესი სტილისტის გერონტი ქვიციანისა და კონსტანტინე გამსახურდიას სტილის ზეგავლენითაა აღბეჭდილი. ჯორჯჯანულები, მე გგონია, უმთავრესად ამ ორი ენობრივი საშუაროს ფარგლებში რჩებიან. ისინი მეტწილად ახერხებენ ასეთ განსხვავებულ, სხვადასხვა ელერადობისა და ფეროვანების სტილთა პარამონიულ შეზავებას, ისე რომ არ იქმნება სტილური ეკლექტიზმის შთაბეჭდილება. როგორც ცნობილია, გერონტი ქვიციანს ენა სადა ემოციური, მაქსიმალურად ექსპრესიული, ყოველგვარ დელაბრინლობასა და მანერტობის მოკლებული და სალაპარაკო მეტყველებასთან მიახლოვებულია.

კონსტანტინე გამსახურდიას ენაც უაღრესად გამომხატველი, ემოციური, მაგრამ ცოტა მწიგნობრული, არქაულად შეფერილი და ამაღლებულია. მიუხედავად ამისა, „მოგზაურობის სურათების“ ქართული თარგმანის სტილი ძირითადად მილიონი და ერთიანი, უმეტესად არ ირღვევა სტილის ერთგვაროვნების განცდა და არ ფარგება მისი ემოციური აღქმის უწყვეტლობა, თუმც ალაგ-ალაგ მეტისმეტად თვალში საცემია კონსტანტინე გამსახურდიას ტონი, სტილური ინტონაცია და დეტატი. კონსტანტინე გამსახურდიას სტილი სუბესტიური ძალა უაღრესად დღილი, ამიტომაა, რომ თანადროულ საქართველოში მშვიდად თუ აცდენია მის ზეგავლენას რომელიმე ახალბედა მწერალი და ლიტერატორი. აქ მე პრინციპულად მიწნდა ვიღავო ჯორჯჯანულებთან მართალია, ისინი მეტწილად შემოქმედებითად ითვისებენ და აყენებენ კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივ და სტილურ მონაბოვრებს, მაგრამ აქა-იქ კ. გამსახურდიას სტილის ზეგავლენა ბრმა კობირებასა და უკრტიკო იმიტაციაში ვგადადის.

მართებულად იქცევიან მთარგმნელები, როდესაც „ქართულ მოგზაურობის“ ერთ ადგილს „ვერთერის“ ქართული თარგმანის სტილს იყენებენ (გვ. 55, 56, 57). აქ პაანე სანტიმენტალისტურად „ოსიანისებური“ პოეზიის პაროდირებას ახდენს და შეგნებულად იშველიებს გოეთეს „ვერთერის“ იმ ადგილებს, სადაც ვერთერი „ოსიანის“ საკუთარ თარგმანს უკეთხავს ლოტის. მაგრამ, შე ვფიქრობ, არაფრით არაა გამართლებული პაინეს უაღრესად სპეციფიკური ელერგოლიზისა და კოლორის ტექსტში კონსტანტინე გამსახურდიასეული, არაპაინესებური ინტონაციებისა და ტონის შეტანა. მოვიტან ზოგიერთ მაგალითს:

„მაგრამ იჩქითად ისე გაშეშდა ფიქრში წასული, იტყოდი — შრეშე ტკივილის ერთენტელმა დურბინაო ინაზღეულად...“ (გვ. 269).

„და მის გამოსახსნელად დიდი თანააო საქიროი“. (გვ. 17).

„და კეშმირიტად, თუ ეს უკანასკნელი მკვრეტელის გულში არ მოიძვია...“ (გვ. 19).

„ბოთლები შემსუბუქდა და თავები დაგვიმამიდა ერთობ“ (გვ. 57).

„სატირს ხომ ყოველთვის მოეძვია მიზეზი...“ (გვ. 81).

„ამ გოგონას სტუდენტი უყვარდა თურმე...“ (გვ. 55).

„ზუჯა ისე მიყვარს, ვით სული ჩემი, ხშირიდ მგონია ჭადეც, რომ თავით ჩემი სულია ზღვა“ (გვ. 86).

„ამბობენ, რომ ამ კუნძულის მახლობლად, სადაც ამკამიდ ტალღები ბუბუნებენ, ერთდროს უღამაზესი ქალაქები და სოფლები მდგარან, მაგრამ ზღვას წაუღვია ისინი ინაზღეულად...“ (გვ. 86).

„წინასწარ ვგვრძობდი, რომ ნადირობაში ხელი მომეცარებოდა...“ (გვ. 88).

„და აღმამაღლებს უფრო ძალოვნად, ვიდრე გერემო დიდებულს სხვა რომელიმე“ (გვ. 88).

„ეს დიდებულის ხმები კი არა, ცრემლები იყო თავით“ (გვ. 148).

„და მიმასუხა ურსულამ: „სიკვილიმა მოიმოქმედაო ეს“ (გვ. 172).

„და უნაზესი რედუნებით შეტყორდა იგი...“ (გვ. 269).

„...შეფარვით უთხრეს: ბაღშიაო სინიორა ლაურა“ (გვ. 173).

„და ან, საერთოდ, რა არის თავათ საამოცენება“ (გვ. 223).

განსაკუთრებით საგრძნობია „ვერთერის“ გამსახურდიასეული თარგმანის სტილის გავლენა. შეადარეთ „მოგზაურობის სურათების“ ჯორჯანელეებისეულ თარგმანის შემდეგი ადგილები „ვერთერის“ ქართული თარგმანის საერთო ტონსა და ინტონაციას:

„ეს საძველი აშბავია და ის, ვინც ვასართობს ვერ მოიფანს მასზედ უკეთესს, ისლა შეინია დიატიროს აშბავი იგი“ (გვ. 146). (მოვიგონოთ ასეთი

ფრაზა „ვერთერის“ ქართული თარგმანიდან: „...და მიიწივდებ ამ მცირე წყნეს ვუღლასა ტოლად, თუ არ გაგინდეს მეგობარი წასწე მჭირფისი“ (გვ. 3). ანდა სხვა ადგილი „მოგზაურობის სურათების“ ქართული თარგმანიდან: „ვინც თავს იწონებს, ესაო და მთელი გული შეშრნაო...“ (გვ. 279) და ა. შ.

როგორც ცნობილია, კონსტანტინე გამსახურდიის უყვარს „სმარავდისა“ და „სმარავდისფერის“ ხშირი ხსენება. და ჯორჯანელები ამაში დევანიციანი მის ზეგავლენას. იქაც კი, სადაც დედანში არათუ ნახსენები, არამედ ნაგულისხმევიც არაა სმარავდი, მთარგმნელებს მაინც შემოაქვთ პაანეს ტექსტში ასეთი არაპაინესებური ტონისა და ვაწყობილების აღმჭერელი სიტყვა.

„ჩემს წინ მობუბუნე ზღვის თვალუწვედნელი სიერცვა ვადაშლი და ჩემს ზეგარდმო გოლიათურ ბროლის თაღით კამკამებს ზეცა სმარავდისფერი“ (გვ. 86).

უნდა აღინიშნოს, რომ დედანში მხოლოდ ზეცა ნახსენები ყოველგვარი ებოთეტის ვარეშე („...Vor mir das wogende unermessliche Meer, über mir der Himmel wie eine riesige Krystallkuppel“).

„და ზევით, სმარავდისფერი ცაზე, ცხადად მოცურავდა ოქროს ვარსკვლავი“ (გვ. 171) იქაც დედანში უბრალოდ წერია: „ლურჯ ცაზე...“ („...und am blauen Himmel oben schwamm sichtbar ein goldener Stern“).

„...და შენ, ვერცხლის დიდრონი ვარსკვლავებით მოთქვილო სმარავდისფერი ცაო...“ (გვ. 293) დედანშია „...du hellblauer Himmel — „ლია მილურჯო ცაო“.

კ. გამსახურდიას ინტონაცია იგრძნობა შემდეგ ფრაზაშიც: „როცა პატარა ბიჭი ვიყავი, ჯადოსნურ და ზღაპრულ თქმულებებზე ვფიქრობდი მხოლოდ და ელფების დედაგვლი მეგონა ყოველი ლამაზი ქალი...“ (გვ. 76).

გადავიყვანოთ ეს წინადადება გ. კიქოძის სტილით:

— როცა პატარა ბიჭი ვიყავი მხოლოდ ჯადოსნურ და ზღაპრულ თქმულებებზე ვფიქრობდი და ყოველი ლამაზი ქალი ელფების დედაგვლი მეგონა — ეს კი სულ სხვა „მუსიკაა“! გემოვნების საქმეა, შესაძლოა, ზოგს ერთი მოეწონოს, ზოგს — მეორე, მაგრამ ერთი წიგნის სტილში ერთიან სუნთქვა, მონირობა და ერთგვარობა, ერთი „მუსიკა“ უნდა იგრძნობოდეს, რაც აღაგაღაც ასეთი სხვადასხვა ინტონაციებისა და ტონების შემოტანით ირღვევა ხოლმე „მოგზაურობის სურათების“ ქართულ თარგმანში.

ჯორჯანელები უხედად ეხსენებიან კ. გამსახურდიას ლექსიონის: „ნეტარობი“, „საცნაური“, „საწყალბელო“, „მაჯიფინი“, „გულგასინილი“, „ოსირი ტვირი“, „წერგადასული“, „დაამიტებდენ“, „მალემსრბოლა“, და სხვა... მაგრამ ამაში ცუდი არაფერია: ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ზოგჯერ, ვიმეორებ, ჯორჯანელებს



გამსახურდასეული განწყობილება და სტილური დიქცია შეაქვთ ჰაინეს უაღრესად თავისებურ პროზაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თარგმანის ქართულში ბუნებრივი და ძალდაუტანებელია. მაგრამ ამ მხრივაც ალავ-ალავ გამონაკლისები შეიძინევი.

„ერთნი ეს-ეს არის მოსულნი და თავი წესრიგში მოჰყავთ“ (გვ. 76) აქ სიტყვა-სიტყვით თარგმნილია რუსული და გერმანული გამოთქმები: привести в порядок და in Ordnung bringen. მეორე მაგალითი: „პირველი ხელიდან მხოლოდ ყველაზე უღებ ხარისხისას გვათავაზობენ.“ (გვ. 221).

(„...nur die schlechteste Sorte können wir frisch aus der ersten Hand bekommen“).

„პირველი ხელიდან“ წარმოადგენს ე. წ. კალს, ე. ი. სხვა ენის სიტყვების მიხედვით შედგენილ გამოთქმას. ჰაინე აქ იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ გერმანიაში კარგი ხილი არ მოდის, რომ იგი სახლგარეუთიდან შემოაქვთ და ზანგარძივი მგზავრობის (ვადატანა-ვადამოტანის) გამო ვეშას კარავსო, ამხოლოდ [ხილის] ყველაზე უღებ სხეობა შეგვიძლია უშეალოდ ხილის პატრონისაგან შევაძინოთ (მევილით“).

„...რადაც არ უნდა დასჯდომოდა...“ (გვ. 252) ქართული არაა.

„...გაგვეკეთებინა მამინ ეს არჩევანი“ (გვ. 257) არჩევანი გაეკეთეთ — ქართულად არ ამბობენ, რუსულად კი იტყვიან делай выбор.

„იგი თავის თავს გადააჭარბებდა უთუოდ“ (გვ. 342) სიტყვა-სიტყვითა თარგმნილია: „Er würde sich selbst übertreffen“.

„მაგრამ ლამაზი არ იქნება...“ (გვ. 404) ქართულად არ ელერს, რადგან იგი-კარგი არ იქნება-ს მნიშვნელობით კალკია.

„ურჩებში თითები გიკეთა“ ს (გვ. 385), მე მგონია, სჯობია: — ურჩები თითებით დაიცო —

მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ აქა-ქე ჰაინე, მთარგმნელები არღვევენ ჰაინეს ნატიფ ირონიას. ასე, მაგალითად, დედანშია: „ქალმა, რომელიც აქ თავის პირიზონტალურ ხელობას ეწევა...“ ჯორჯანელები თარგმნიან: „კახამ, რომელიც აქ თავის პირიზონტალურ ხელობას ეწევა...“ (გვ. 13).

თარგმანში აზრი არაა დამახინჯებული, თითქოს არც სხვა რაიმე შეეცდომა, მაგრამ მე ვფიქრობ, აქ ჰაინეს ირონია ნაწილობრივ დეკარგულია. ჰაინე პირდაპირ არ ამბობს ზემოხანსსებებ ქალზე — კახამ — წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა უკვე სატირიკული, სარკასტული შტრიხი; ჰაინე ამ ქალისადმი ირონიულ დამოკიდებულებას იჩენს: ინარჩუნებს მისდამი მოჩვენებით რესპექტულ მიმართებას და ამასთან სწორედ ირონიის ვეგში თუ აღამიანს პირდაპირ უწოდებს, რასაც წარმოადგენს, მაშინ ირონია ეყარება (ირონიის შემთხვევა ხომ მაშინაა გვაქვს, როცა ერთს ამბობ და საწინააღმდეგო იტულისხმება). ამ

ქალის, როგორც კახის კვალითყავია აქარწყლებს და ძალას უკარგავს სერარხუქუქ უტრიათ ნათქვამს: ...პირიზონტალურ ტელემაქს ტრევეტა თარგმანში, მე რამდენდაც შეეძელი თვალის მიდევნება, აზრობრივი დამახინჯება ჰაინეს ტუქსტისა არ გვხვდება, მაგრამ აქა-ქე, როგორც ჰანს, ჯორჯანელებს გაუქარღვამ ჰაინეს ზოგიერთი ადგილის გასაგებად თარგმნა.

ღედანში თხრობა ეხება ნორდჰაიმის სასტუმროს („მოვზიურობა პარცზე“), რომელსაც „შე“ ჰქვია (Wirtshaussonne). ჯორჯანელები თარგმნიან: „არ შეიძლება აგრეთვე ნორდჰაიმის სამოქონოს ამრის საამო შხის უღლებლუო ფაც“ (გვ. 13) გერ ერთი, საერთოდ გაუგებარია რას ნიშნავს „ამრის საამო შხე“ და, ამას გარდა, აქედან გერც ერთი მკითხველი ვერ მიხვდება, რომ ამ სასტუმროს „შე“ ჰქვია.

ამყარად გაუგებარია შემდეგ ადგილი „მოვზიურობის სურათების“ ქართულ თარგმანში:

„ყველა ამ ამრილის კაპრიზებთან მისერი თაგებიდან...“ (გვ. 263) საქმე ეხება ლამაზი ქალეზის პორტრეტებს, რომელნიც ჰაინემ გენეის ერთ-ერთ გალერეაში წახა. მთარგმნელები სიტყვა-სიტყვით თარგმნიან ჰაინეს ტექსტს: „...Von alle jenen Masköpfchen mit Aprillaunen...“

ჰაინეს აქ შემდეგი უნდა თქვას: ქალებს თავები (პირი-სახე) მისივით აყვავებული ჰქონდათ, ოღონდ უფითონ ისინი ამრილივით ჭიყვულები იყვნენო...

უნდა ვედად მთარგმნელებს, აგრეთვე, ზოგიერთი სიტყვის დაწერლობის გამო. სწორია არა „კანტორა“ (გვ. 59), არამედ კანტორა (სიტყვა წარმოქმნილია იტალიურ conto-დან, რაც „ანგარიშს“ ნიშნავს. არსებობს გერმანული სიტყვა das Kontor, რომელიც რუსულ ენაში გადაკეთდა კონტო-და). ასევე მართებულია არა „ლატერია“ (გვ. 68), არამედ „ლოტერია“ (ლტ. loterie), არა „კატრეტები“ (გვ. 158), არამედ „კოტრეტები“. რითიი გამართლებული „ბოლონკა“ (გვ. 158), უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დაგვეწერა „ბოლონკო ძალი“; რატომ „პოფ-მარშალეშვა“ (გვ. 417), როცა შეიძლება პოფ-მარშალეშვა“ ან „პოფმარშალიკო“. ქართულად უნდა იყოს არა „პრესვიტერიანელი“ (გვ. 151), არამედ „პრესვიტერიანელი“. იწერება არა „ეთიკეტი“ (გვ. 50), არამედ „ეტეკეტი“; „მედრო-გეების“ (გვ. 234) ნაცელად უნდა იყოს „მეფორ-ნეების“; სწორია „პელგოლიანი“ და არა „პელ-პოლიანი“ (გვ. 339). ირდილოეთის ზღვის ერთ-ერთ პატარა კუნძულს ჰქვია არა „ნორდენი“ (გვ. 75, 554, 555), არამედ ნორდერნი; მართებულა არა „ეზოთერული“ და „ეზოთერული“ (გვ. 52), არამედ „ეზოტერული“ და „ეზოტერული“. ამას გარდა, აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომენტარებში მოწოდებული ასანა ამ სიტყვებისა, რბილად რომ ვთქვათ, არაზუსტია (გვ. 552).



აკაკი შანიძე



## „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები

### VI. ბიძა და ბიძაშვილი, თუ ბიძაშვილები?

ტარიელისა და ფრიდონის გაენობა არაჩვეულებრივ ეთარებაში მოხდა: ფრიდონი ნადირობდა სადაო კენჭულზე და მას უცერად თავს დაესხნენ მისი გეარის განაყოფები, რომლებიც კენძულს თავისად თვლიდნენ. ფრიდონი არ მოელოდა თავდასხმის, მოუმზადებელი იყო, დამარცხდა და თავს გამოქცევით უშველა. ამ ამბავს შეესწრო ტარიელი, რომელმაც გამწყრალი და დაჭრილი ფრიდონი დაამოშინა. ამის მიზეზი ასე აღესხა ფრიდონმა ახლად გაენობილ მოყმეს:

მამის ძა და მამა-ჩემი პაპა-ჩემიან ვაყენა  
ოღეს, ზღვასა შიგან კენჭულაი, — ჩემად წილად  
მას იტყოდეს, — თვით ბიძისა ჩემსა მიხვდა, ვისთა  
შვილთა აწ დამქოდე ს; მათვე დარჩა სანადირო, არ მივსცემდი,  
მომერჩოდე ს. (601)

ამ აღვილიდან ცხადია, რომ ფრიდონი დიკოდეს მისმა ბიძაშვილ ბიძა, რომელთა რიცხვი განსაზღვრული არაა. მაგრამ, როდესაც ფრიდონი ამის დეტალების თხრობაზე გადავიდა, მან, სხვათა შორის, შემდეგი უამბო თავის ახალ მეგობარს:

თვით ბიძა-ძენი ჩემნიცა შესხდეს  
შათითა თავითა, ჩემთა ვაუხდეს ლაშქართა ზმად შათითა  
შკლავითა. (604, 3—4).

აქ კი საუბარია უკვე ბიძასა და მის ძეზე (ან ძეებზე).

გავიდა რამდენიმე ხანი, ფრიდონს დაკოდნობა მოურჩა და შეუდგა სამაგიეროს ვადახდის საპზადისს. მეორე ომში, რომელშიც ტარიელიც ესმარებოდა, ფრიდონმა ისეთი მამაკობა გამოიჩინა, რომ ილტაცებაში მოიყვანა ტარიელი:

მუნ მომეწონნეს ფრიდონის სიქველუ-  
სიციცხენია (616, 3),

უამბო ტარიელმა ავთანდილს. ეს ფრიდონის მამაკობა კონკრეტულად იმაში გამოიხატა, რომ მან

თვით ორნივე ბიძა-ძენი მისნი ხრმლითა  
ჩამოყარა (617, 1).

აქედან კი ჩანს, რომ ფრიდონს ებრძვიან თავისი ლაშქრით ბიძა-ძენი, რომელთა რიცხვი უკვე განსაზღვრულია: ორნივე ბიძა-ძენი.

რომ ფრიდონს სადაო საქმე აქვს განაყოფთა ორ წვერთან, რომლებიც მას აქტიურად ებრძვიან, ეს კარგად ჩანს ცოტა ქვემოთ მოთხრობილი ამბიდანაც:

თვით ორნივე ბიძა-ძენი  
დაბურობილნი წამოასხნა (619, 2).

ამგვარად, კანონიერად მიჩნეული პოემის ტექსტის თანახმად, ისე გამოდის, რომ სანადიროდ გასული ფრიდონისათვის საცილობელ იღვრებში ომი აუტყენიათ ბიძა-ძენთ, ხოლო დაუჭრიათ ბიძის შვილებს, რომელთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული. შემდგომ კი, როდესაც ფრიდონმა სამაგიეროს ვადახდის მიზნით ახალი ლაშქრობა მოაწყო, მან დაამარცხა და ტყვედ წამოასხა ორნივე ბიძა-ძენი, ვ. ი. ერთი ბიძა და ერთი მისი ძე. ზემოთ კი ნათქვამი იყო, რომ პირველ ომში ფრიდონი დაკოდეს ბიძის შვილებმა. ეს ბიძის შვილები, მეტი თუ არა, ორი მიიწე უნდა ყოფილიყო და საკითხავია: სადღაა მეორე ბიძაშვილი მეორე ომში? ცხადია, ტექსტში რაღაც შეუსაბამობაა და უნდა გაიჩვენოს, რაშაა საქმე

რა ფორმად ბიძა-ძენი? — ეს არის ერთგვარი კომპოზიტი, რომელიც ტოლად-შერწყმული ხასიათისაა: ორი სახელი (ბიძა და ძე) შეერთებულია, მაგრამ უკავშირდოდ, დას. ვარსებ: ბიძა და ძე, ანუ ბიძა-ძე. ამგვარი კომპოზიტი უამრავია ქართულში: დიდ-მამა (დედა და მამა), ხელ-ფეხი (ხელი და ფეხი), დანა-ჩანგალი (დანა და ჩანგალი), ქართლ-კახეთი (ქართლი და კა-

ხეთი) და მისთ. ძველ ქართულში ასეთ კომპოზიტებს მრავლობითის ფორმა ჰქონდათ: მამა-დედანი (დედ-მამა), მამა-ძენი (მამა და ძე), ბიძა-ძენი (ბიძა და ძე), და-ძმანი და მისთ. ეს წესი ძალაში იყო ეფესოს-ტყაოსნის "შექმნის ეპოქაშიც, როგორც ამას გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი თვით ეფესოს-ტყაოსნიდან: რამაზ მეფე რომ ღალატს უპირებდა ტარიელს, მან ტბილი სიტყვები შემოთვალა:

ტბილად ვნახნეთ ერთმანერთნი, ვიყვნეთ ვითა  
მამა-ძენი  
(429, 4)

„ვიყვნეთ ვითა მამა-ძენი“ ამას ნიშნავს: ვიყვნეთ როგორც მამა და ძე, როგორც მამა და შვილი.

აღსანიშნავია, რომ ასეთ კომპოზიტს მრავლობითის ფორმა სხვა ბრუნებშიც გადაყვებოდა. ამავე პოემაში ტარიელი გვიამბობს, რომ, როცა ნათარა ფრიდონი დაწყინარდა,

თანა წამომყვა, წაველით უტყობსნი მამა-  
ძეთა სი  
(597, 3).

მამა-ძეთასა არის რთული ბრუნვის ფორმა — ნათესაობით-მიცემითისა: მამა-ძეთა-სა, სადაც ნათ. ბრუნვის ფორმა მამა-ძეთა; მამასადაძე, ბრუნვათა ფორმები ასეთია: მამა-ძენი, მამა-ძეთა, მამა-ძენი.

მსგავსად ამისა, ბიძა-ძენი მრავლობით რიცხვში დაყენებული რთული სიტყვაა, რომელიც ეფესოს-ტყაოსნის დაწერის დროინდელი გაცემით ამას ნიშნავს: ბიძა და ძე, ან ბიძა და ძენი. მაგრამ თუ მას რიცხვითი სახელიც ახლავს, მაშინ უკვე რაოდენობა გარკვეულია: ორნივე ბიძა-ძენი დღევანდელი ქართულით იქნება: ორი კაცო — ბიძა და (მისი) ძე, ე. ი. ბიძა და ბიძა-შვილი.

ბიძა-ძენი დღესით დაწერილი სიტყვებია, თანახმად ახლანდელი ორთოგრაფიისა, მაგრამ ვახტანგ VI-ის დროს დღესივებს არაიქნ ხმარობდა წევნი და მას ბიძა-ძენი პოემის I გამოცემაში (1712) ყველგან ცალკე-ცალკე აქვს დაბეჭდილი, უდღესოდ: მამა ძენი [სტროფები 594), ქს (607), ქო (609)]. პოემის შემდეგს, გამოცემაში კი (ბეტრები. 1840) უკვე დღესითი (ახსპარი: ბიძა-ძენი [სტროფები ქკ (620), ქლგ (633), ქლე (635)]. დღესივებითა დაბეჭდილი ეს კომპოზიტი (ბიძა-ძენი) შერჩინდელ გამოცემებში: ქართული-შვილისაში (1888), კარიკა-შვილისაში (1903, სტრ. 587, 600, 602), აბულაძისაში (1914, სტროფ. 543, 556, 558; მეორე გამოც. 1926, სტრ. 511, 524, 526), უიენაძისაში (1934), (სტრ. 647, 660, 662), საიუბილეოში და მისგან მომდინარეებში, ინგოროყვასაში (1953).

ამკარაა, რომ ჩამოთვლილი გამოცემების მიხედვით ფრიდონს მეორე ომბო სტროფებში მამა-ძენი და მის ძეს უტყობსნი მამა-ძენი და ბიძა-შვილთან.

ასეთი გაცემა, თითქო ფრიდონი რეკამის მიზნით გაიშართულ ომბო ამარცხებდეს ბიძასა და მის ერთ შვილს (ბიძასა და ბიძა-შვილს) ქართული ტექსტიდან თარგმანებშიც გადასულა. იმ რამდენიმე ნიმუშო:

ა. ცაგარის თარგმანში (მოსკ. 1937) იკითხება:

Дядю вместе с сыновьями доле горестной  
обрек (გვ. 93).

შ. ნუცუბიძის რუსულ თარგმანში (მოსკ. 1937) იკითხება:

Сам он дядю с сыном наземь свергнул  
взмахами меча  
(617).

ან კიდეც

Дядю с сыном побежденных он забрал  
с собой в полон  
(619).

ზაბოლოცკის რუსულ თარგმანში (მოსკ. 1955) იკითხება:

Дядю он свалил на землю и коварных  
сыновей (გვ. 84).

არ არის აუცილებელი, რომ ყველა თარგმანი იყოს შემოწმებული ამ მხრივ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბიძის სხვენებს ვერ ასცდენია ესლახან გამოსული ვერმანული თარგმანი პეტრო პუბერტისა (1955). მაგრამ საყურადღებოა, რომ მისგან თავისუფალია ინგლისური თარგმანი მარჯორი უორდრობისა (ლონდ. 1912) და მასზე დამოკიდებული რუსული თარგმანი ბალმონტისა (მოსკ. 1937): იქაც და აქაც ფრიდონს ომი აქვს ბიძა-შვილებთან; ერძოდ, ბალმონტის თარგმანში გკითხულობთ:

Два двоюродные брата —  
В нем им гибель без возврата,  
Были целыми когда-то, —  
Пальцы рук им обрубил.

როგორია ხელნაწერების წევნება ამ საკითხში?

როგორც ს. კაკაბაძის პირველი გამოცემიდან (1913) ჩანს, რომელიც ხელნაწერის მიხედვით მას ყველგან დაბეჭდავს ბიძის ძენი (სტრ. 567, 580, 587), მეორე გამოცემაში კი (1926) ბიძის ძენი დაუტოვებია მხოლოდ ერთ შემთხვევაში (სტრ. 593, რომელიც უღრის მისი პირველი გამოცემის 567-ს) ორ სხვა შემთხვევაში კი ბიძა-ძენი დაუბეჭდავს (სტრ. 606 და 608, რაც მისი პირველი გამოცემის 580-სა და 582-ს უღრის შესაბამისად).

შარშან ს. ყუბანაიშვილის მიერ გამოცემულ ეფესოს-ტყაოსნის ერთ ხელნაწერში, რომელიც 1671 წ. არის გადაწერილი, ორ შემთხვევაში ბი-

ძის ძენი ყოფილა (სტრ. 657, 769), ზოლო ერთ-  
ხელ — ბიძის ძენი (სტრ. 771).

ის შეუსაბამობა, რომელზედაც ზემოთ იყო  
საუბარი, ერთბაშად ვაჭრება, თუ ბიძა-ძენი  
ფორმის ნაცვლად იქნება ბიძის ძენი. ამ შემ-  
თხვევაში საიშარი მოქმედება ფრიდონს ორსა-  
ცე ომში ექნება ბიძაშვილებთან. პოემის თხრო-  
ბის მიხედვით სწორედ ეს გაგებაა საჭირო და  
თავდაპირველად უთუოდ რაღაც ამგვარი იყო  
კედეც, მაგრამ შემდგომ ტექსტი შეტყვევნილა  
ვადამწერთათვის.

როგორ მოხდა, რომ ხელნაწერებში (ზოგში)  
და აქედან გამოცემებში ბიძაშვილების ნაც-  
ვლად ბიძა-ძენი განიდა?

ბიძა ისეთი სიტყვაა, რომ ჩვეულებრივ მისი  
ბოლო ხმოვანი იკვეთებოდა და ამჟამადც იკვე-  
ტება: ბიძა, ბიძ-ისა, ბიძ-ითა, ბიძ-ეზე; მაგრამ  
ზოგ შემთხვევაში შეიძლება არ შეიკვეთოს და  
ბოლო ხმოვანი შენახულ იქნეს: ბიძა, ბიძა-სითიზ,  
ბიძა-თი, ბიძა-ეზი. სხვათა შორის, დღევანდელი  
ბიძაშვილი სწორედ უკვეთელი ფორმისაგან მო-  
დის.

შვილი ძველა-ძველი სიტყვაა ქართულში,  
მაგრამ მისი ხმარება გვარებში (გურამიშვილი,  
შალაღაშვილი) შედარებით ახალი ამბავია, მის  
ნაცვლად უფრო აღერ ძე იხმარებოდა: მაღალა-  
ძე, ქადავისძე, ციხკარიძე და მისთ. ქართული  
გვარების ასეთი უფრო ძველი გაფორმება დღე-  
საც დადასტურებულია წოვა-თუმურში. წოვა-  
თუმები შთა-თუმეთოდან კახეთში ჩამოსახლე-  
ბული ხალხია, რომლებიც ზემო აღვანში ცხოვ-  
რობენ. მათ ქართულად გავორშვებული გვარები  
აქეთ, ოღონდ ორნაირად: წოვა-თუმურად საუბ-  
რის დროს ბევრ მათგანს აღრინდელი ძე-იანი  
ფორმები აქეთ შემორჩენილი, ქართულად საღ-  
რის დროს კი შერმინდელი — შვალ-იანი იხენს  
თავს; მაგ., წოვა-თუმურად ითქმის სისკარიძე  
ი. ა. სისკარიძე, ციხკარიძე, ქართულად კი —  
ციხკარიშვილი.

ძველ ქართულ საბუთებში ერთი და იგივე ბი-  
რი ზოგჯერ ძე-იან გვარს ატარებს, ზოგჯერ  
შვილ-იანს (მაგ., მაღალაძე და მაღალაშვილი).  
ეს ნიშნავს, რომ გარდატეხის მომენტია ამ სა-  
კითხში და, თუმცა ზოგ შემთხვევაში აღრინდე-  
ლი ძე საბოლოოდ მკვიდრდება გვარებში, სა-  
ზოგადად კი მერმინდელი შვილი ცვლის მას.  
ზოგჯერ ისე მომხდარა, რომ ორივე ფორმა და-  
მკვიდრებულია, მაგრამ სხვადასხვა ადგილას და  
სხვადასხვა გარემოებაში: ანდრიაძე და ანდრია-  
შვილი, გელაძე და გელაშვილი, ქადაგიძე და  
ქადაგვილი და მისთ.

საინტერესოა გამოკვეთულ იქნეს ძე და შვი-  
ლის ცილობის პროცესი გვარებში ეპოქებისა და  
კუთხეების მიხედვით, მაგრამ ეს ჩვენი წერილის  
ფარგლებს სცილდება. თუ ამ საკითხს აქ ვაქ-  
ციით შევხებით, ეს იმით, რომ ვასაკლებს გაზ-  
ღეს ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინის  
ძველი სახე ჩვენ დღეს ეპიზოდით ბიძაშვილით,

მაგრამ რუსთველი, ალბათ, ამ სიტყვას არ ხმა-  
რობდა. მისთვის ჩვეულებრივი უნდა ყოფილი-  
ყო ძე-იანი ფორმა: ბიძისძე, რომლის წინმინდელ  
და შერმინდელი ისტორია ასეთია: ბიძაძე — ბი-  
ძისძე — ბიძაძე, ე. ი. ჯერ დაკარგულა დიფთონ-  
გის მეორე ნაწილი (აა-ს ნაცვლად ა მივიღეთ),  
შემდეგ კი ს გამჭრალა ძილის წინ. რუსთველის  
ეპოქაში ს კიდევ უნდა ყოფილიყო შენახული  
ბიძისძე, მაგრამ შემდეგ, თუკი ეს სიტყვა ხმარე-  
ბაში დარჩებოდა, მას უნდა დაკარგულია ს: ბი-  
ძაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძე-ს მეტოქედ  
შვილი გამოდის და თანდათანობით ენაცვლება  
მას გვარებში. აქაც, ნათესაობის აღმნიშვნელ  
საზოგადო სახელშიც, იმავე პროცესს ვხედავთ:  
აღრინდელი ბიძისძე (თუ ბიძაძე) ბიძა(ს)შვილს  
შეუცვალა. მე არ შეგულობა არც ერთი კონტე-  
საქართველოში, რომ დღეს სადმე ბიძა(ს)ძე იხმა-  
რებოდეს; მგონი ყველგან ბიძაშვილია დამკვიდ-  
რებული, რომლის ისტორიაც მსგავსსავე ფონე-  
ტიკურ ცვლილებას გვიჩვენებს: ბიძააშვილი  
— ბიძაშვილი — ბიძაშვილი.

ესა, ალბათ, შეითხველა თვითონ მიხედვება,  
რომ ვეფხისტყაოსნის აღნიშნულ სტროფებში  
თავდაპირველად უნდა წერებულყო ბიძისძენი  
(რომელიც გადარჩენილა 1671 წელს გადამწერილ  
ხელნაწერში), რასაც ხანის დაკარგვის შემდეგ  
ბიძაძენი უნდა მოეცა, სადაც ნათ. ბრუნვის ს  
დაკარგულია: ბიძა(ს)ძენი. ამგვარად წარმომდგარ-  
ო სიტყვა (ე. ი. ბიძაძენი, წარმომობით ბიძის-  
ძენი) მყდარად აღუქვამთ. — ისე ვაუვლით,  
თითქო ის იყოს ტოლად უ-და-კვეთიროდ შერ-  
წყმული სიტყვები ბიძა-ძე, ე. ი. ბიძა და ძე,  
მრ. რიცხვის ფორმით: ბიძა-ძენი. ამ ნიდაცხე,  
ახალი ორთოგრაფიის თანახმად, მას დეფისიც  
გაუჩნდა და მცდარი გავება დამკვიდრდა ჯერ  
ქართულ ტექსტში და შემდეგ მისგან დამოკი-  
დებულ თარგმანებშიც. თუ უორდრობის ინ-  
გლისური თარგმანი გადურჩა მცდარ გავებას,  
ეს, ალბათ, იმით, რომ მთარგმნელი, პოემის  
განგლისურებისას, მის კუთვნილს ძველ ქარ-  
თულ ხელნაწერში იკვირებოდა, სადაც, ალბათ,  
ბიძის ძენი ან ბიძის ძენი იკითხებოდა.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ ვეფხის-  
ტაოსნის საშავე ადგილას (სტროფ. 604, 617,  
619) უნდა იკითხებოდეს არა ბიძა-ძენი, არამედ  
ბიძისძენი<sup>1</sup>, რაც დღევანდელ ქართულზე ბი-  
ძაშვილებში იქნება. მით უმეტეს, რომ ძე  
შამის საიპრისპირო სიტყვაა და არა ბიძის-  
ძე: ჩვეულებრივია შამამ-ძენი, მაგრამ უფრო  
ერთობრება ბიძამ-ძენი. შამასადამე, სხე-  
ნებული სტროფების შერყენილი მუხლები,  
შესწორების შემდეგ, ასეთ სახეს მიიღებს:

<sup>1</sup> ხელნაწერებში რომ აქა-იქ ბიძის ძენი  
გვხვდება, ეს, ალბათ, ვიღაც ლიტერატორის  
ბრალად, რომელიც ცდოლა გარკვეულობა შე-  
ეტანა პოემაში.

თვით ბიძასძენი ზემინია შესხდეს

მათითა თავითა (604).

თვით ორნივე ბიძასძენი მისნი

ხრმითა ჩამოყარნა (617).

თვით ორნივე ბიძასძენი დაპყრობილნი

წამოახხნა (619).

ასეთი შესწორების შემდეგ ცხადია, რომ, როცა ფრიდონს ებრძვიან მისი განაყოფები ან როცა თვით ფრიდონი გადადის შტრისძიებაზე

მათ წინააღმდეგ, ბიძა-მისი აქტიურად მოქმედი არ ჩანს, — იგი ამ დროს სიმამრ შვიდარია უკვე. მაშასადამე, პრემის მიჩვენდელი ფორმის აღდგენის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ფრიდონს ებრძოდა არა მისი ბიძა და ბიძაშვილი, არამედ ორი ბიძაშვილი, რომლებიც მან სარევეანო ომში ტარიელის დახმარებით სასტიკად დაამარცხა და მძიმედ დაკოდილები ტყვედ წაასხა მულაზიანზარს.

ამით შეიძლება ვაგვეთავებინა, მაგრამ არ შემძლია არ შევჩერდე ორიოდ სიტყვით ვიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მე-7 მუხლის ერთ ადგილზე, რომელშიც ამ წერილის დაწერა მიკარნაბა. ეს მუხლი ასე იწყება: „თუ ვინ ქვეისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შიგან მოახლე ერთ სახლის კაცთ მოკლან, — მამა, ბიძა, ძმა, ბიძა, ძე, ძმისწული, რა გინდა რა მისის გუარისა, მისი მოახლე, — სისხლად ესევე გქუსი ათასი თეთრი იყოს“. ორსავე ხელნაწერში, რომელთა მიხედვითაც ეს ძეგლი გამოსაცემად მზადდება: (ზეცურად დაწერილშიც და მხედრულად დაწერილშიც), ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთაგან ბიძა ორჯერ გვხვდება და უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც შეცდომაა. მეორე ბიძა ორსავე ხელნაწერში გიყოფილად არის დაწერილი მომდევნო სიტყვისაგან (ბიძა ძე)<sup>1</sup>, მაგრამ მე მგონია, რომ ისინი

<sup>1</sup> ამ მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლის მეცნიერულ გამოცემას ამაღლებს პროფ. ისიდორე დოლიძე.

<sup>2</sup> ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მხედრული

ერთ ცნებას გამოხატავენ და დღევანდელი ორთოგრაფიით ერთად უნდა დაფიქროთ: ბიძაძე, რომლის აღრინდელი ფორმა იქნება ბიძაძეც, ან ბიძასძე, რაც ბიძაშვილს ნიშნავს. შესწორების შემდეგ ნათესაობის ტერმინები აღნიშნულ „სჯულის დადებაში“ ასეთი სწავით წარმოგვიდგება: მამა, ბიძა, ძმა, ბიძასძე, ძმისწული<sup>1</sup>.

24. VII. 1957.

ხელნაწერი ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილს სვამს: მამა; ბიძა; ძმა; ბიძა; ძე; ძმისწული:

<sup>1</sup> ამ ძეგლის ქართ. ტექსტი 1913 წ. ს. კეკელიძემ გამოსცა და 1930 წ. — ს. მაკალათიამ (წიგნში: „მოთხუთი“). აღნიშნული ადგილი მათ ასე აქვთ დაბეჭდილი: მამა ბიძა, ძმა ბიძა, ძე ძმისწული. რუსულად კი სწორად ყოფილათვის დროს ნათარგმნი (...Отца, дядю, родного или двоюродного брата, племянника“: Сборник законов ц. Вахтанга VI. под. ред. Д. Бакрадзе. т. 1887, გვ. 85.



# სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ დაწერის თარიღისათვის

დღემდე პრობლემატურია და დაუდგენელი „სიბრძნე სიცრუისას“ დაწერის თარიღი. მისი შექმნის დროის შესახებ ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, თვალსაზრისი არსებობს: 1. ნაწარმოები, ყოველ შემთხვევაში, მისი საბოლოო რედაქცია, ხანდაზმული საბას მიერ არის დაწერილი., 2. ნაწარმოები დაწერილია ქაბუცი საბას მიერ.

პირველ თვალსაზრისს იცავდნენ: ალ. ცაგარელი,<sup>1</sup> ნ. შარაძე<sup>2</sup> და ა. ხაჩანაშვილი<sup>3</sup>. ამჟამად — ვ. ქიქოძე,<sup>4</sup> საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ალ. გვახარიას, რომელიც „სიბრძნე-სიცრუისას“ ერთი არაკის — „უბედური დიდუკარის“ „ბაბთიარ ნანეს“ ქართულ ვერსიასთან შედარების საფუძველზე დაასკვნის, რომ „სიბრძნე-სიცრუისას“ თუ დაწერილია არა, ყოველ შემთხვევაში, დამთავრებულია არა უადრეს 1712 წლისა.<sup>5</sup>

ამჟამად უფრო გავრცელებულია მეორე თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, თხზულება ქაბუცი საბას მიერ არის დაწერილი. ამ თვალსაზრისს იცავენ კ. ყეველიძე<sup>6</sup>, ალ. ბარამიძე,<sup>7</sup> გ. ლეონიძე,<sup>8</sup> ს. ორბელიანი<sup>9</sup> ვ. ლეონიძე თარიღსაც

კი აზუსტებს. მისი აზრით, თხზულება დაწერილი უნდა იყოს 1678 — 1688 წწ.

მაგნიტის კომპლექსი რომელიც ამ თვალსაზრისთან განსამართლებს თვით ნაწარმოები?

თხზულების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ „სიბრძნე-სიცრუისას“ იმ სახით, რა სახითაც მან ჩვე-ნამდგე მოაღწია, დაწერილია ხანდაზმული საბას მიერ. კერძოდ, თხზულების წერა დამთავრებული უნდა იყოს ევროპიდან საბას დაბრუნების შემდეგ, ე. ი. არა უადრეს 1716 წლისა. ამის სასარგებლოდ ლაბარაკობს ის გარემოება, რომ არაკების ერთ წყებაში საბას პირადი ცხოვრების თავისებურ ანარეკლს ვხვდებით.

საბედობრ, ამ არაკებში გმირთა მოქმედება უშეტკად მიმდინარეობს სპარსეთში, იტალიაში და მის მოსაზღვრე ადგილებში. იმ ქალაქებში, სადაც საბა იმყოფებოდა სპარსეთში და ევროპაში მოგზაურობის დროს; ზოგი არაკის გმირთა მოგზაურობის მარშრუტი თვით საბას მოგზაურობის მარშრუტს ემთხვევა, ზოგი არაკი კი საბასა და ვახტანგის ურთიერთობასა და საბას თანამედროვე საქართველოს მდგომარეობას ასახავს:

როგორც ცნობილია, საბა საფრანგეთში კონსტანტინეპოლიდან გაემგზავრა, ხოლო შემდეგ ისევე კონსტანტინეპოლში დაბრუნდა. ცნობილია ისიც, რომ მას თან ჰქონდა არა მარტო ვახტანგის, არამედ კარდინალის წერილიც. არაკში „მაგისტროსი და შიშველი მკვდარი“ არაკის მთავარ გმირზე, მაგისტროსზე ნათქვამია, „წავიდა საფრანგეთს, ყოველი კეთისრის ბრძანებული გაასრულა, მობრუნდა, მოვიდა კონსტანტინეპოლში“.<sup>1</sup> რაც უნეტად ემთხვევა საბას მარშრუტს. თვით მაგისტროსში საბაა ნაგულისხმევი, ხოლო „კეისარში“ — ვახტანგი.

ამავე არაკში ნიშანდობლივია შემდეგი ადგილი, რომელიც იმავე მაგისტროსის ეხება: „გაგზავნა კეისარმან მოცქელად საფრანგეთს, დიაკველის მოქმედი კაცი იყო, უფროსად ფარულად ექმოდის“.<sup>2</sup>

ეს ადგილიც საბას ცხოვრების ანარეკლია. როგორც ცნობილია, საბა თავისი წებით არ წასულა, არამედ ვახტანგმა გაგზავნა. „კეისარში“ ამიტომაც, ვფიქრობთ ისევ ვახტანგი უნდა იყოს ნაგულისხმევი.

<sup>1</sup> Книга мудрости и лжи Саба-Сулхана Орбелиани, пер. и объяснения Ал. Цагарели. Тб. 1878, гл. VI—VII.

<sup>2</sup> Сулхан-Саба Орбелиани, Мудрость лжи. Пер. Ал. Цагарели, 1939, с. ორბელიანი-შვილის წინასიტყვაობით, გვ. XXI.

<sup>3</sup> М. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности. III М. 1901, гл. 236.

<sup>4</sup> ვ. ქიქოძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1945, გვ. 13.

<sup>5</sup> ალ. გვახარია, „სიბრძნე-სიცრუის“ ერთი არაკის შესახებ. სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 7. გვ. 124 — 125.

<sup>6</sup> კ. ყეველიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 11, გვ. 349 — 350.

<sup>7</sup> Сулхан-Саба Орбелиани, О мудрости вымысла. Пер. Ел. Гогоберидзе, М. 1951, ალ. ბარამიძის წინ. გვ. 6—7.

<sup>8</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გ. ლეონიძის წინასიტყვაობით და ს. ორბელიანის რედაქციით, 1938, გვ.

<sup>9</sup> Сулхан-Саба Орбелиани Мудрость лжи. пер. Ал. Цагарели, 1939, с. ორბელიანი-შვილის წინასიტ. გვ. XXI.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“. 1938, გვ. 134.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 168.



გარდა ამისა, საბა ცდილობდა, რაც შეიძლება, ფარულად ემოქმედა, რათა შაჰისათვის არ გამხდარიყო ცნობილი ვახტანგის გეგმები. არაქის მთავარი გმირი მაგისტროსი ისევე „ფარულად აქმედის“, როგორც საბა.

არაქში — მოყვარულნი ცოლ-ქმარნი<sup>1</sup>. მოქმედება ისევე კონსტანტინეზოლში წარმოებს. ერთი წყება არაქებისა კი იტალიელ მხატვრებზეა დაწერილი.

არაქში „ორი დავრიში და შაჰი“ მოქმედების ადგილად ირჩეულია ისპაჰანი, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ცნობილია, ვახტანგს ქართლის ტახტი სპარსეთის შაჰ ბესლინისაგან უნდა მიეღო. ამ მიზნით ის სპარსეთს წავიდა, ქნაქ ისპაჰანს და თან თავისი ერთგული ზიძა სულხან-საბა წაიყვალა. არაქის ერთ-ერთი ადგილი — „ორი დავრიში მოვიდა ისპაჰანს. ერთი საღვთოს დაღვა და ერთი ისპაჰანის შაჰთან მივიდა“ — ზუსტად ემთხვევა საბასა და ვახტანგის სპარსეთში მოგზაურობას. ის გარემოებაც, რომ არაქის მსხველდით მხოლოდ ერთი „დავრიში“ მივიდა შაჰთან, აგრეთვე ნიშანდობლივია. რადგან სინამდვილეში, საფიქრებელია, რომ შაჰთან მხოლოდ ვახტანგი უნდა მისულიყო, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა შაჰთან საქმე.

არაქში „გრძნეული ცოლის პატრონი“ მოქმედების ადგილად ისევე ისპაჰანია დასახლებული.

არაქების საქმოდ დიდ ნაწილში ვახტანგისა და საბას ურთიერთობის უკანასკნელი წლებისა და საბას გზადღვთა, სახელდობრ, იმ წლებისა, როდესაც ვერობიდან უმუდგევოდ დაბრუნებულ საბას და ვახტანგს შორის ბოროტი ენები უთანხმოების ჩაბოვლებას ცდილობდნენ. ვახტანგს არწუნებდნენ, რომ საბა ვერობაში მოგზაურობისას ვახტანგის განთავისუფლებას კი არ ცდილობდა, არამედ პირად პატივმოყვარეობას იყმაყოფილებდა. მძიმე იყო საბას მდგომარეობა. საბამ თავისი მოგზაურობის დროს მრავალი განსაცდელი გამოიარა, გაჰარცევს კიდევ, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულს დახედა ვახტანგის გამძვინვარებული მამა, იასე და უკმაყოფილო სამღვდლოება, რომელიც საბას გაკათოლიკების გამო სდევნიდა. ყოველივე ამას დაერთო რისხვა ვახტანგისა, რომელიც საბას მომურწნოთავან იყო ამხედრებული. საფიქრებელია, რომ საბას ცხოვრების ეს უაღრესად მძიმე წლები. და მტკიცეყოლი განცდები აისახა ჰეგოთ მოყვანილ არაქებში.

შეგალითად, არაქში „მეფე ანაკოფისა“ მოთხრობილია, თუ რამდენი სიკეთე ვაჟწია ერთგულმა მონამ მეფეს. დროთა ვითარებაში მეფემ, რომელსაც ბევრი მტერი ჰყავდა, დაჰარგა სამეფოც

და მამულიც, ამიტომ „თავის სამკვიდროზე“ ვეღარ დაღვა დასხვას თემს იფურქოდა“<sup>2</sup> მეფემ შემდეგ „უამთა ვითარებით ეფე უმწიფე“<sup>3</sup> და მამულსა თვისსა მოვიდა და გააქვდა. მას-ერთგულის ნამსახურს ადარა პატივი მისცა და მის მამულიც მიეღო და ორგულს ბევრი შეკმატა“<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ არაქის აზრი სუსტად არის შენიღბული. საბა გარკვევით მიუთითებს ვახტანგის მდგომარეობაზე და საბასადმი დამოკიდებულებაზე. კერძოდ, ამ არაქში ნაველისხმევი უნდა იყოს ვახტანგის შეიღწოვანი ტყვეობა სპარსეთში, საბას ერთგულება მისადმი და ვახტანგის უმაღურება.

აშკარად ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს არაქს „კატის გარდელი ლომი“. არაქის შინაარსი ისეთია: ობლად დარჩენილი ლომის ლეკვი გაზარდა კატამ. ლეკვი წამოიზარდა და დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ როდესაც საკვები შემოაქვდა, „თავისი ვაზრდელი კატა მოინდობა შესაქმელად“<sup>5</sup>. მაგრამ კატა უაღრესად წინდახედული აღმოჩნდა. ის მოელოდა ამას, ამიტომ ლეკვს ყველა ხელობა არ ასწავლა, კერძოდ, არ ასწავლა ხეზე ზრომა და ამით თავი გადაიარჩინა. ლომმა უსაყვედურა: „ჩემო დედის უსაყვარლესი და ჩემო გამზრდელი და დამჩინელი, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასე-ლა რად იღარ მასწავლეო? — კატამან უპასუხა: — ეს ჩემთვის შევიინახე. რა ასრე გამიჭირდებოდა, მომეზარა“<sup>6</sup>.

არაქი აშკარად მიგვიითხებს ვახტანგისა და საბას ურთიერთობას გამწვავებაზე. აქ გატარებულია შემდეგი აზრი: მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმა ენებმა ვახტანგს საბაზე გული შეაქვლევინეს, ვერ შეძლეს, რომ საბა ვახტანგის რისხვის მსხვერპლი გახედაიდა.

იფიქრად მისახვედრი შედარებებია ნახმარი ამ არაქში: ლომი, ცხადია, ძლიერი მეფე ვახტანგი იფურქოსებდა. კატა კი საბამ თავის თავს შეადარა, უკვე მოხუცს და დაქვლევებულს ფიზიკურად, მაგრამ ძლიერსა და მოზრუნებულს გონებრივად.

საბასა და ვახტანგს შორის ურთიერთობის გამწვავებაზე არის მიითხებს აგრეთვე არაქში „ბროშელის წვენი“, სადაც ავტორი რუქას პირობა ამბობს „თორემ ჩემს მოწყალეს მეფესაც თქვენის გესლოვანის ენისაგან ჩემზე გული გარყენია და მით შეუზნებთ მაგ რიგად, თვარა ვერ მტყუოდათ“<sup>7</sup>. ანალოგიური ფინალი აქვს არაქს „ქავთა შემყრობელი“: „მის მსგავსად თქვენ ყოფილხართ ყოვლის ავის მქნელი და თქვენ

<sup>1</sup> „სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიკრუ-სია, გვ. 143.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიკრუ-სია, გვ. 134.

ააგებთ ჩემზე მეფის გულსა, თუარა ჩემი უჭო-  
მოდ მოწყალე ბრძანდებოდა“. 1.

საერთოდ, მთელ წიგნს წითელ ზოლად გას-  
დევს ავტორის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ  
მოხელის ბოროტნი არიან, რომელნიც ერთგულ  
ნაშაბურ მოხელეს აბეზღებენ მეფესთან და  
ცდილობენ მათ შორის შტრობა ჩამოგადონ. რე-  
ქსის დამოკიდებულება ლეონის მიმართ ამის ნა-  
თელი ილუსტრაციაა და ამ დამოკიდებულებაზე  
არის აგებული თითქმის მთელი ნაწარმოები.

ყოველივე ეს კი საბას სუბიექტური განცდე-  
ბისა და თავდადასავლის მხატვრული ანარკლია  
ამ ნაწარმოებში, საბასა და ვახტანგს შორის  
ურთიერთობა კი გვრობიდან საბას დაბრუნების  
შემდგენ გამწევედა, 1716 — 1717 წ. ამიტომ,  
საფიქრებელია, რომ „სიბრძნე-სიძველესი“ ამ  
წლებს შემდგენ არის დაწერილი.

შესაძლებელია, რომ იგი უფრო გვიანაც იყოს  
დასრულებული. კერძოდ, იმ პერიოდში, როდეს-  
საც ვახტანგშიც და ქართულ წრებშიც უკვე  
მოშფიყებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ  
უცხოესი იყო ვახტანგს მიეტოვებინა საქართვე-  
ლი, ვიდრე იქ დარჩენილიყო და დაღუპულიყო.  
ეს აზრი სადღესად ამოკიდებდა არაკი „იხვი და  
მყვარი“, ხალაღ იხვი გადაირჩა სიკვდილს იმი-  
ტომ, რომ დროზე მიატოვა „დაშრალი გუბე-  
მყვარი კი დაიღუბა, რადგან „თავისი სამკვიდ-  
რო არ მიატოვა“. არაკი მთავრდება იხვის შეგო-  
ნებით „მომბილი, შავისთანას სამკვიდროს სიყვარ-  
ბითს ჩემმულად სიარული სჯობნებიაო“.

ამგვარად, არაკებში აშკარად მოჩანს საბას  
პირად ცხოვრების მონაკვეთი — სპარსეთსა და  
ევროპაში ყოფნა, იქიდან სამშობლოში დაბრუ-  
ნება და კიდევ მეტი, საბასა და ვახტანგს შორის  
ურთიერთობის გამწევეება. ამიტომ დავასკვნით,  
რომ ნაწარმოები 1717 წლის შემდგენ უნდა იყოს  
დაწერილი.

მაგრამ ამ მოსაზრებას ერთგვარად უპირის-  
პირდება „სიბრძნე-სიძველესის“ ზოგიერთ ბელ-  
ნაწერზე არსებული მინაწერი იმის შესახებ, რომ  
ნაწარმოები საბამ დაწერა „ჟამსა სიჰამუქისასა“.   
ჩვენი აზრით, ამ მინაწერით საბა ცდილობს თავი  
დაიცივას იმ კლერიკალებს ღვენიანგან, რომელ-  
ნიც სასულიერო პირს არ აპატიებდნენ საერო  
წიგნის დაწერას, მით უმეტეს, ისეთი წიგნის და-  
წერას, რომელიც სატირას წარმოადგენდა ეკლე-  
სიის მსახურთა წინააღმდეგ.

როგორც ენობილია, საბამ ამ თხზულებაში გა-  
ბეღულად გამოაღვინა და დაგმო სამღვდლოე-  
ბის ანგარიშობა და ამორალური ბუნება, მოერი-  
დებლად ამბობს სასულიერო წრეების მხრივ  
დაბალი ფენების უსამართლო ძარცვა-გლეჯა და  
მოტყუება, ის, რომ მათ ყოველი საეკლესიო  
რიტუალი საკუთარი შემოსავლის გადაღებისა და  
გამდიდრების წყაროდ აქციეს და ფეხით გათიეს

ყოველივე წმინდა, შალაღ, ადამიანური. ყოვე-  
ლივე ამით საბა საკმაოდ ძლიერ არყვედა, სუ-  
კუნებით ნაგები ეკლესიის შენობას.

საბამ თუ გადაწყვიტებდა მინაწერით, რომ  
ნაწარმოები ახალგაზრდობაში არის დაწერილი,  
ნაწარმოების ეკლესიის ცვენზე არს გააპარეს, თუ  
შეიძლება ასე ითქვას. საბამ კი თავი დაიცვა  
ღვენიანგან და, ამავე დროს, გარკვევით უფრო  
საზოგადოებას ის, რისი თქმაც უნდოდა. კმატვ  
საბას ეკლესია, ცხადია, ადვილად აპატიებდა  
იმას, რასაც ვერ აპატიებდა უკვე ბერად შემდ-  
გარსა და მოხუცს. „ქაბუქის“ ნილატქვეშ ამოფა-  
რებამ მისცა საშუალება საბას, თავისუფლად  
ემხილა არა მხოლოდ ეკლესიის მსახურნი, არა-  
მედ გადაეშალა თავისი გულისტკივილიც ვახ-  
ტანგის უმადურების გამო და ის როლი, რაც  
შეისრულეს ამ მხრივ მისმა მოშურნეებმა და  
მტრებმა.

ამრიგად, ზემოთყვანილი მასალებიდან ორი  
დასკვნა გამომდინარეობს: 1. ნაწარმოები დაწე-  
რილია, ყოველ შემთხვევაში, დამთავრებულია  
1716 წლის შემდგენ, 2. „სიბრძნე-სიძველესი“ უხ-  
ვად შეიცავს მასალებს საბას ცხოვრებიდან და  
მისი თანამედროვე საქართველოს სინამდვილე-  
დან.

თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ „სიბრძნე-სიძველესი“  
საბამ ახალგაზრდობისას დაწერა, მაშინ ამ ნა-  
წარმოების მნიშვნელობასა და რაობასთან დაკავ-  
შირებული მრავალი საკითხი გადაუწყვეტელი  
დარჩება და, პირველ, თუ დავუშვებთ, რომ  
„სიბრძნე-სიძველესი“ დაწერილია საბას მიერ  
სიციცხლის უკანასკნელ პერიოდში, მაშინ ამ ნა-  
წარმოების ისეთი პირობეები, როგორცაა მი-  
სი კავშირი საქართველოს სინამდვილესთან, თვით  
საბას ბიოგრაფიისთან, აბლებურად გაშქრდება  
და მით გადავიღებდა „სიბრძნე-სიძველესის“,  
შესწავლისა და სწორად გაგების საქმე.

ამრიგად, „სიბრძნე-სიძველესის“ დათარიღების  
საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა,  
რომ არაკების უმეტეს ნაწილში ასახულია სა-  
ქართველოს ცხოვრებისა და საბას მოღვაწეობის  
ის პერიოდი, როდესაც საბა უკვე ხანდაზმული  
იყო. მათში მოცემულია სინამდვილიდან აღებუ-  
ლი ისეთი მოვლენები, რომელთა მოწმე მხოლოდ  
და მხოლოდ ხანდაზმული საბა შეიძლება  
ყოფილიყო. ამას გარდა, ეს იძლევა იმდროინდე-  
ლი საქართველოს სინამდვილესთან ამ ნაწარმო-  
ების შეიძლო კავშირში განხილვის შესაძლებლო-  
ბას. აქედან კი გამომდინარეობს, როგორც  
პირდაპირი შედეგი, „სიბრძნე-სიძველესის“ ორი-  
გინალობის აღიარება.

„სიბრძნე-სიძველესიში“ სულხან-საბამ უტყუა-  
რად ასახა თავისი დროის საქართველოს სინამ-  
დვილე. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას,  
რომ ამ დიდებული ნაწარმოების მნიშვნელობა  
შემოიფარება საბას ბიოგრაფიითა და ვიწრო  
ეროვნული ჩარჩოებით.

1 იქვე. გვ. 162.

საბა დიდი ვაქანებისა და ფართო პორიზონტის ადამიანი იყო. მისი გონებრივი ზედვის სფერო მოიცავდა ადამიანურ ურთიერთობათა უამრავ მხარეს. მას ჰქონდა სინამდვილისა და ადამიანის ფსიქიკის ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის თვალისათვის მიუწვდომელ სიღრმეებში ჩახედვის უნარი. მის მიერ დასმული პრობლემები და მათი გადაჭრა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის განზოგადებამდე აღიოდა. საბა უაღრესად ნათლად კერტდა და აანალიზებდა არა მხოლოდ პირად ცხოვრებას, არამედ მთელი მისი თანამედროვე საქართველოს მდგომარეობას. იგი იყო დიდი პატრიოტი, რომელსაც შესტკიოდა გული ხალხის ძნელბედობაზე.

საბას ზედვის სიმახვილე, მოცემული იმ ნაწარმოებში, ცხოვრების აკარგავს [დრამა] მწიკლის უნარი, თითქმის ყველა მსოფლიო მწიკლის წარმოადგენელთა უარყოფითი მხარეების კრიტიკა, გაბედული პროტესტი სამღვდლელობის ანგარებისა და უზნეობის წინააღმდეგ, ადამიანის ფსიქიკის ბნელი მხარეების გაშუქება, დაბალი ფენების სიყვარული და თანაგრძნობა, დიდი კაცთმოყვარება, განუხრელი ოპტიმიზმი და სხვა ამ ნაწარმოებს დღესაც უნარჩუნებს მნიშვნელობას და კაცობრიობის გენიის უბრწყინვალეს ქმნილებათა გვერდით აყენებს.



ილია ჭავჭავაძე



## გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი\*

ა) წერილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესადმი.

[1899 წ. ნოემბერი]

თქვენი თავიზიანი და მრავალჯერად დამაფიქრებელი 22 ოქტომბრის წერილზე (2) პასუხის დაგვიანებისათვის ზოდიწის ვიხდი ათას რიგად. არ ვაკვადნიერდები, რომ დაგისახოთ პასუხის დაგვიანების მეტ-ნაკლებად საპატიო მიზეზები და ყოველ შემთხვევაში ვცნობ ჩემ თავს თქვენს წინაშე დამნაშავედ, აქ ჩემი გამართლება არ შეიძლება და ყოველგვარი მომინიშება ამა-თუ-იმ გარემოებისა ამათა. მე დამჩინია მხოლოდ სასოება ვიქონიით თქვენი დიდსულოვანი მოწყალებისა და ყოვლის მიმტვერებელი სივფარულისა. ჩემთვის ოღონდ სასურველია დაგარწმუნოთ, რომ ეს მოხდა არა გულგრილობით თქვენთან გასაუბრების შედვიერ შემთხვევისადმი, თქვენთან როგორც ერთ-ერთ უგანათლებულეს მწყემსმთავართან, რომელსაც ჩემდა სასიამოვნოდ შეეხედი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

რა გინდ თავმოსაწონი არ იყვეს ჩემთვის თქვენი აზრი ჩემს მნიშვნელობაზე ქართველთა შორის, მაინც ჩემს თავს ნებას მიცემ მოგახსენოთ, რომ კვარცხლბეკი, რომელზედაც მე თქვენ აკვყვართ, შეტის-შეტად მალაღია და ჩემი სუსტი ძალებისათვის მიუწვდომელი. ჩემი მოკრძალებული როლი, შედარება ჩემს ცდებში ვიფიქროთივე სასარგებლო ხალხისათვის, რომელზეც ესოდენ მრავალი შფოთიანა, წამებისა და განადგურების შემდეგ მოიბოგა მშვიდობა და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს საფარ ქვეშ. ჩემი როლი შორს არის იმ მაღალ მნიშვნელობისაგან, რომელიც ჩვეულებრივ წარმოშობს ადამიანთა გონებაზე წარმართულ ვადლებას. ვბოლოვ, მერწმუნოთ, რომ ამას ვამბობ არა რაიმე ერთ თავმდაბლობით, არამედ ჩემი ძალების სისუსტის და ჩემ დამნაშაურებათა უმნიშვნელობის ღრმა შეგნების გამო, ღმერთს

მადლობას შევწირავდი ჩემი შედისათვის, თუ რომ ჩემი ნაღწარის ნაყოფი უფლებას მომცემდა თუ მეწვევებინა შეგნებოთ, რომ ჩემგან პატრეცემულ და მოყვარული სამშობლოს წინაშე მოვალეობა მოხდენილი მაქვს; მაგრამ სამწუხაროდ, ამისგანაც შორს ვარ.

ამისდა მიუხედავად, მე ნამდვილი სიანგონებით მივესალმები თქვენს კეთილშობილ მოწოდებას, გამსჭვალული ვარ — რა კეთილისმყოფი აზრით, რომ აუცილებელია ვეთითხებ ჩემს თვისტოთ, ეთონ ზნეობრივი და რელიგიური წარმატების კუმშართი გზა რუსების და ქართველების, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიის წევრთა, ურთიერთ ძმური დამოკიდებულების ნადავჯე, აქ ნებას მიცემ ჩემს თავს ზანმოკლედ შევანერო თქვენი კეთილგანწყობილი ყურადღება ერთ გარემოებაზე. ეს გარემოება ჩემი აზრით დღით-დღე სულ უფრო და უფრო აბრკოლებს ამ ურთიერთობათა განმტკიცებას, ის ხელს უშლის ყოველგვარ კეთილ გრძნობას დაიპყრას შესაძლო ფართე სივრცე და გაიშალოს განზეც და სიღრმეშიც, რუსების და ქართველების, როგორც ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიის თანასწორუღებობას წევრთა, საკეთილდღეოდ. ქართველებს გააჩნიათ ნიადაგი, რომელზედაც წარმოიშებიან და იზრდებიან ეს კეთილი გრძნობები, ვინაიდან მათ მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთი მოველიან მას მისნეულად და დამწყველად. ის სიმშვიდე, მშვიდობიანად გასრულდენილების ის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ რუსეთის მფარველობის ქვეშ, მეტად დიდი მონაპოვარია, რომ არ ვაფასებდეთ მას ჩვენი გულის და სულის ყველა ძალებით. რუსეთის დიდსულოვანი და უცვლელი ქომაგობის ეს რწმენა მაგრად არის ფრავამდგარი ქართველთა აქედან წარმომდგარი იმ მადლიერობის გრძნობა წარმოადგენს იმ დაუმრეტელ წყაროს, რომელსაც შეუძლია რუსეთისადმი კეთილგრძნობათა ყლორტები გადააქციოს სიცოცხლის მშვენიერ ხედ, რომელიც ყველას და ყოველივეს გადააფარებს თავის გაშლილ რტოებს. მაგრამ ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ჩვენდა დიდად საუბედროოდ, ამ წყაროს მაცოცხლებელი ნაში იყანება, უკნურად

\* შალვა გოზალიშვილის პუბლიკაციითა და შენიშვნებით (შენიშვნები იხ. წერილების ბოლოს).

გულმოდგინე ჩინოფნიკთა მიერ არა სწორად გაგებული გარუსების იდეის დამაზრობელი სენატვის გავლენით. ამას ვამბობ იმის საყურადღებოთ, რომ აქაურმა ჩინოფნიკობამ ეს იდეა შეითვისა ადამიანთა ბუნების გადღაქმვის და ყოველი ინოროდცელის გარეგნული სახით და იერით რუსად გარდაქცევის მნიშვნელობით. მაგრამ ვინა ეს მისაღწევია, რა გინდ არ იყვეს ხალხრული? ტყეყინოების შემქმნელ ღმერთს სრულიად ეს არ სურდა ერთგვარობა რასაც ამტკიცებენ მკაცრის თვალწინდელი სხვადასხვაობა. ეს სხვადასხვაობა თავის საშოლოთ ვაშში არ უშლის ხელს სამყაროს ერთიანობას და წარმოადგენს სამყაროს ყოფიერების იმ უდიდეს საიდუმლოებას, რომელშიც ადამიანი ვითებს და ამოვებს ღმერთს. გარუსების იდეის მიყენება აქაური ჩინოფნიკების მიერ შეთვისებული აზრით, არ მისაწყვეტს განადგობარები განკების წინააღმდეგ მოქმედებას, რომელმაც საჭიროდ სცნო დაეახლებოდა ტყეყინოება სხვადასხვა ტომებით და ხალხებით, რასაკვირველია არა საერთო კაცობრიული ერთიანობის დასანგრევად, არამედ სიყვითის, სიშვენიერების და კუმშარბტების მისაღწევად თვითული იმთგანის მტყაღნობით შემოქმედებისაგან საამისოდ მონიჭებული მისი ძალთა და ნიჭთა შესაბამისად. ამ განცალკევებულ მტყაღნობაში მიმართულს ყველას და ყველაფრის ერთიან მიზანში შერწყმისაკენ, არ არის მცირე და დიდი, რაოდენობრივი განხით; ყველასათვის მისაწვდომია გასრულქმნილების გზები. ვინაიდან სახარების იდეოური სიტყვით, ყველა არის მოწოდებული იმისათვის რომ იყვეს სრულქმნილი ვითარცა მამა ჩვენი ზეციური. პატარა ებრაელმა ხალხმა მისცა მსოფლიოს მაცხოვარი და ქრისტიანობის უდიდესი მანწყაღნობა და მოქალაქეობა, პატარა ძველი საბერძნეთი ეხლად აკვირვებს მსოფლიოს თავის გონების და გრძობის ნაწარმოებთა სიდიდით. ვითარებრა ამაზე, მე შორს ვარ მზავობრული [თავმოთმგვეება] აზრისაგან, ამით გადაკერით ვანიშნო ამ დიდადნიჭიერ ხალხებთან ქართველთა თუნდ შორეული მსგავსება, მაგრამ რადგანაც დღეის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, ცოდედ არ მიიწვევა, რომ ისეთია სუსტმა არსებებმავე, როგორც ქართველებია, სასოება იქონიონ დღეის ყოველის ძლიერებასა და უცადონ არ დაუღან მიწაში ის მცირედიც, რაც მათ მიეცათ მაინც განკუთსაგან ზრდისა და განვითარებისათვის.

ყოველდღე ამის გამო, გარუსების იდეა, გაგებული ადამიანთა ერთსა და იმავე სახის და მსგავსების მიხედვით გარდაქმნის და გადახალისების აზრით, თავისი არსებით ანტირელიგიურია, ვინაიდან ამ სახით ის სხვა არაფერია თუ არ უაზროფაღვთის ნებისა, რომელიც გამოიმჯღენდა დღეითრ მიზნებისათვის სხვადასხვაგვარი ტომთა და ხალხთა შექმნაში. და მართლაც: ნუთუ ტომთა და ხალხთა ეს ნაირგვარობა არის განკების შეცდომა და ადამიანს წილად ხვდა მისი გამოსწორება ან,

ვგების დედამიწაზე სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობა აღიარებულია მოუღწეოდ, რამელიც წარმოშობილია ისეთ შემთხვევითგან რასამის შედეგად, რომელთაც არაფერი უკეთ საერთო ლევის ნებასათა? მაგრამ როგორ შევთანხმობთ მაშინ ეს აზრი ქრისტეს მოძღვრებასთან იმაზე, რომ ადამიანის თავს ერთი ღვთი თმაც არ დააკლდება, თუ ამაზე არ იქნა ღვთის ნება? ჩვენ ზომ მოგვიხდებოდა აქ დავეცემა, რომ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მოუღწეობი, როგორიც სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობა შეიძლება წარმოშობილიყო სამყაროს შემოქმედების ნების გარეშე, რასაკვირველია, ტყეყანაზე შიინახება ადამიანები, რომლებსაც ზედმეტად მიანიათ ქრისტიანული მოძღვრების კუმშარბტებისათვის ანგარიშის გაწევა; მაგრამ ეს სრულიადაც არ შეუფერის მართლმადიდებულ სარწმუნოების აღმსებელთ. მართლმადიდებელი სარწმუნოება იმტომაც არის მართლმადიდებელი, რომ ეთაყვანება და აღიღებს ღმერთს ყოველდღე იმამში, რასაც ამჩნევდა მისი კუმშარბტ ხელი და რაწილ ვამომცეადენ და მისი ღვთაებრივი ნება. არ არსებობს მართლმადიდებლობა გარეშე მოძღვრებისა ანაზე, რომ ყველაფერი ღვთისგან გამოიმდინარეობს და ყველაფერი მასვე უბრუნდება უკან.

ყალბად გაგებული გარუსების იდეა მისთანვე ანტიხალხმწიფოებრივია, ვინაიდან ის წარმოშობს მისწრაფებას დამყარებს გარეგნული ერთგვარობა და შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ რაიმეგება ყოველდღე იმის და კეთილსამდლოებაში, რაც არ პტარებს რუსულ იერს, რუსულ გარეგნობას; ითქოს მაგალითად წაწვეტებული თუ გაბრტყელებული წვერის ტარება შეიძლება იყვეს მანკენებელი ინოროდცელის რუსული სახელმწიფოსადმი ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულებისა. ხოლო ამას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ურთიერთ გაღიზიანება, და მათ უფრო დამღუბველი, რომ დანაგრულ მხარებ დამიდიდა დარჩენია, იმის შიშით, რომ არ დაბრალდეს წინააღმდეგობა ჩინოფნიკთა განკარგულებისადმი, ჩინოფნიკობას მჭველეებისამებრ არ უყვარს თავის ნამოღაწეარის დღის შუქზე გამოიტანა, ვინაიდან ზოგ-ზოგან და ზოგ-რამში, რომ იტყვიან, ითით ხიწენ არ გამოეღვოდა. გარუსების იდეების ასეთ ვიწრო და ტლანკეგაგებას, ბუნებრივად, თანდაყოლება უმიზნო და არა საჭირო მწვავედ მოქმედი წამოწყებები, რომლებიც ხალხის თავმოყვარებისათვის, ამ სიტყვის საუკეთესო და კეთილშობილურთ გაგებით, დიდა თუ წერილი ნემსის მჭლეტის მასათის მქონენი არიან.

როგორც ცალკეული ადამიანის კერძო ცხოვრებაში, ასევე ხალხის ცხოვრებაში ზმირ, თუნდ ნემსისებური მჭლეტას მეტო გამაღიზიანებელი მოქმედება ატვის ვიძრე ღია ქრილობას, მიყენებულს შუბის ერთი დაკვრით, ხოლო ორი ხალხის, თუნდ ერთმორწმუნის, გუერითიანების და შერწყმის ოქნების აგება გაღიზიანებაზე იფიქვა, რაც ცუცხლოთ

ხანძრის ჩაქრობის ცდა. ამიტომაც მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ აქაური ჩინოვნიკების მიერ არსებულ გზას, ჩვენი მხარის გარუსებისა, სრულად საწინააღმდეგო შედეგებისაკენ მივყვართ და, როგორც ასეთი არ შეიძლება მოწინებულ იქნეს უმაღლეს მმართველი წარუვების მიერ. თუკი ამ წრეებს წარედგინებათ ყველაფერი აქ წარმოებული მისი მართალი და ნამდვილი სახით ასეობდა უნდა ეწვეებოდნენ ეს გზა რუსეთის მოწაყელის კემმარტ მოქალაქეებსაც.

მთელ ამ უწესრიგობას, ვარემოცულის და მასთან დაკავშირებულ სახელმწიფოებრივი ამოცანების ამ უკუღმართ გავებას მივყვართ მართულთა მმართველთაგან დაშორებისაკენ. ვინაიდან მოსახლეობა ვერ ხედავს ყოველგვ ამის საბაზს და ვერ მიმხედვარა თუ საიდან და რა მიზეზით წარმოიშება ყოველგვ ეს, რისთვის და ვისთვისაა ეს საჭირო და საით მიისწრაფვის ყოველგვ ეს. ქართველის მოსმენის უუნარობა, ხშირად მისი გულის და სულის ამოკითხვის უნდომლობა, და კიდევ უფრო ხშირად წინასწარ შედგენილი აზრი რაღაც სუპრატრინზე, რომელიც თითქოს ქართველში ბუდობს, აი ის ღვარძლი, რომელიც ამოთბს ყოველგვ კეთილს ყანობში, შემზადებულს ბატონობით და ზენაარი განგებობით ორი ერთმორწმუნე ხალხის დასახლებულად ერთობისა და სიყვარულისათვის.

რუსეთი იცნობს საქართველოს ჩინოვნიკების მეშვეობით, ხოლო ჩინოვნიკები — უწინგური და უფიცი თარჯიმნების მეშვეობით, რა ვასაკერძეულია მისი შემდეგ, რომ ყველაფერი ჩვენთან ბნელში უგზო-უგელოდ დამხეტება და ის, ვისაც ეს ეზრანება და ვისაც ეს ხელს აძლევს, აიძულებს ყველას ეჭვით მიმოხედონ ყველა მიმართულებით. ბნელი იმბროლიაც არის ბნელი, რომ მასში გახეული ყოფილი უმცირესი არადასამუღებრივი ხასიათის სიანცე, რომ აღარაფერი ფიქვით ცალკეულ შევდომებზე და ბოროტმოქმედებებზეც (ხალ არა ხდება ბოროტმოქმედება?), წარმოგვიდგეს რაღაც საფრთხობულად საყოველთაო წაქეზებლობის გაგებით და შეფასდეს სუპრატრინის ბრიკებად ამ კიდევ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ შეიქმნელება. 2)

1863 წლის პოლონეთის აჯანყების 4) შემდეგ კატკოვის 5) მსუბუქი ხელის წყალობით ფართო განაგეილი მიეცა იმეს ქვეშ დაყენებას, სუპრატრინისა და არაკეთილსამედობაში ყველა იმათ, ვინცკი არა რუსული წარმოშობისანი არიან. ყველაზე უფრო ნაკლები მიზეზი და საფუძველი იყო ეს უბედურ საქართველოსაც შეხებოდა. ამისდა მოხუხედავად შას საქართველოშიაც მიეცა განაგეილი და უცხი გაიდგა, როგორც ვარედან შემოტანილმა სენმა. რასაკერძეული, ჩვენდა სახედნიეროდ, არავითარი საფუძველი არ არის ამგვარ ეჭვების აღძვრამი ბრალი დაედოს დადებულიან რუს ხალხს, რომელსაც შევამ უანგაროდ მსხვერპლად სწირავდა თავის ბარბოზა სიცილებულს და კონ-

ბას ერთმორწმუნე ხალხთა გამოქოშაგების წმინდა იდეისათვის, ამ ხალხთა არა მოსახობის ვრამედ შენარსუნებას მიზნით. ვერ გვეყვადნიერდებოდეს ვეშვა რაიმე აზრი, რომ რუსი ხალხის უწინასილ ბელადები თავის წინასწარ დასახულ გავებას საფუძველად უდებენ მოსახლობის გამომდინარეთ ქართველთადმი უნდობლობიდან. მაგრამ დიდგვების ფაქტი სახეუა და ბუნებრივად იგრება საკითხი: ვინ არის ამასი დამნაშავე?

მაბატელი გულახდილობისათვის, მაგრამ ვინაიდან გესაუბრებთ თქვენ, როგორც ჩემ სულიერ მოძღვარს, დანაშაულებად მიმანია არ გელაპარაკეთა მთელი სულით და გულით, მსახობელი ვარ, რომ თქვენ მე გამიძიეთ ისეთ ადამიანად, რომელიც ისწრაფვის ორი ერთმორწმუნე ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, ორ ხალხის, რომელნიც ზენაარი განგების სურვილით ერთმანეთს შეხება მიწიერ არსებობას ერთ და იმავე გზაზე. ამიტომ ნებას მივექმ ზენს თავს ვეჭვო ჩემ სიტყვათა სამართლიანობის ღრმა რწმენით, რომ წინასწარშედგენილი აზრი ქართველთა სუპრატრინზე და არა კეთილსამედობაზე არის ადგილობრივი ჩინოვნიკობის ფანტაზიის ხალხის შენათხზ. ამ ჩინოვნიკობისათვის ყველაზე უფრო ხელახარული უმტკიცეს ყველას, რომ ის ვეუკანზე იის იქ, სადაც ჩამო-ჩემიც არ ისინი და მით ქვეყანას თავი ისე მოაჩვენოს, თითქოს მისი სამსახური ყოფილიყვეს თავგანწირული გმირობა და არა ჩვეულებრივი ღუგა პურის დვენახება რითი-ღა ავსნათ ის საყოველთაო ყვირილი ადგილობრივი ჩინოვნიკობისა, იმაზე, რომ მარტო ის არის მოწოდებული მაღლა ეჭრობს რუსული დრომა ამ მხარეში, სადაც ამ დროშის გამარჯვებისათვის ქართველები რუსებთან მშურ ერთობაში თავს სდებენ ზრძოლის ვულზე, რა საჭიროა ასეთი წამოაძიებები აქ, ჩვენთან, მართლმადიდებელ ქართველ ხალხში, რომლის უწმეგრდომილესი გრძნობები ასე დაუფორებლად შეურაცხყოფის ხდება დაუშასხურებელი უნდობლობით და საფუძველია იმისათვის, რომ ქართველი გამოირიცხება ხოლმე იმათ რიცხვიდან ვინც მოწოდებულა მაღლა ეჭრობს რუსული დროში, რომელსაც ქართველმა ერთგულნიც ფიცი მისცა და რომლის ერთგული რჩებიდა მუდამ ბედის ყველა უსულმართობათა დროსაც.

განა შეურაცხყოფელი არ არის ქართველის ეროვნული გრძნობისათვის, მისი აკეთი უდიერი გამოირიცხება რუსეთის დროშის ერთგულ დამცველთა რიცხვიდანეს ეს არ ნიშნავს განა ქართველი კაცის რუსეთისაღმი, რომელმაც ის იხსნა, მადლობის წმინდა გრძნობის მასხრად ავდებას, მეფისაღმი და მამულისაღმი მისი მოვალეობის და ერთგულების ფიციას მასხრად ავდებამქ ქართველის მთელი სიამაგე, მისი ეროვნული ღირსების მთელი გრძნობა თავის შინაარს ეტყება და ეტყება იმ აზრში, რომ ის ისეთივე მოქალაქეა დიდი რუსეთის სახელმწიფოსი როგორც რუსი. ამავე სახელმწიფოსი მისა-



მსახურები — კი უცერად ეუბნებოან მას: არა, შენ ხარ მონა, რომელიც ძირს უშვებ რუსულ დროშას და არ ხარ მოწოდებული გვიტროს ის შესაფერ სიმაღლეზე.

უბრუნდა ქართველი ხალხის მომავალი თრთო-ლას მჭერის ვებდაე რა, რომ ადგილობრივი მინო-ვნიკობა რუსი ადამიანის სახელის ბოროტად გა-მოყენებით, სრულიად დაუმსახურებლად და შეტად შეურაცხყოფელად ზიჯის კვრით თავიდან იზო-რებს ქართველს. ვთრთი, რადგანაც ასეთი მდგო-მარობა, ასეთი დამოკიდებულება შეურაცხყოფის მჭრელ შუბით სტვალავს ქართველის მთელ შინა-გან არსებას და ამან შეიძლება გამოიწვიოს კე-თილგონიერების დაკარგვა, უაზრო და უღონო, ღმერთმა არ ქნას, აფუქება.

სასაყლო და აბსურდული იქნებოდა ამ აფეთ-ქების წარმოდგენა რაიმე სამიწროებად, რა არის საქართველო ყოვლის შემწვე რუსეთის წინაშე? ეს არის ჭინდრის-კაცი გოლიათის წინაშე და მი-სი აფუქება რუსეთისათვის იგეგვა, რაც წელი სიო ოცანეში, რაც ფრთა გრაველის წინაშე. მაგ-რამ რა მოუვა უბედურ ქართველ ხალხს, რომე-ლიც აღიგება დეამიწის პირიდან, თუ რუსეთმა წინააღმდეგ თავის ჩვეულებრივ დიდულღონობი-სა, მიმართა ჩვენ შიერ დამსახურებულ სასჯელს? შერე რაღა იქნება? ეს მშვენიერი მზავე გადაიქცე-ვა მხოლოდ სამარედ, რომელსაც წარწერაჲკი არ ექნება, არი მასში განისვენებს ოდესღაც არსე-ბული ქართველი, როგორც ხედავთ, ჩვენ გვაქვს მიზეზი ვთრთოდეთ და ამიტომ ვასაგებია ჩვენი მუდარა, რომლითაც მუშარათეთ ყოველ განა-ღებულზე, პატოსან რუსს: ნუ გვაჯდუნებთ. ნუ შურაგბავყოფთ, ნუ შეურაცხყოფთ! გარწმუნებთ, რომ სწორად ამ მგრძნობიერი მუდარით ამოწურება ქართველის მთელი მისწრაფება და შეგნება. მაგრამ, ნათქვამია, მძა-ღარს მშვირისა არ ეურება და ადვილობრივ ჩინოვნიკობასაც ჩვენი არ ეურება და ჩვენ მუ-დარას პოტესტად მიიწვეს, ხოლო რაკი პო-ტესტა არის, მამსაღამე, არის სარჩულიც, რო-მელზედაც შეიძლება გამოყვანილ იქნეს სებარა-ტიზმის და არა კეილილანდრობის ყოველგვარი ნაყმები, ყველაფერზე, ყველაფერზე მადლობა თქვა, ამ განემდი, — ამის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ტლანქ მპრამბებელ მონისაგან და არა თანასწორულებიან მოქალაქეს მოქალაქისგან, რომლებიც საერთო სარგებლობისათვის არიან ერ-თმანეთთან დაკავშირებულნი ერთობის და ერთსუ-ლოვნობის გრძნობით.

ამ-თო-ში ღონისძიებებით გვაიძულებენ თავი შევუგრძნოთ და შევიცნოთ რაღაც უუფლებო ადა-მიანებად, რომელთაც მარტო ის-და დარჩენილი ყველაფერზე მადლობას ამბობდნენ ან გარუბდნენ, რომელთა თავიდან მოსაშორებლად იქმნება თანას-წორობა კანონის წინაშე, მოქალაქეობრივი და სა-ყოფაცხოვრებო არა თანასწორულებიანობა, და-შვთანხმეთ, რომ ყოველივე ეს სრულიად არ გა-მოდგება იმ ნიადაგად, რომელზედაც შეიძლება

იზარდოს ურთიერთ სიყვარულმა. ადამიანის ზნე-ობრივ მოთხოვნილებათა სფეროს რომ დავი-ცანებოთ, სიყვარულს, რომელიც ადამიანის ცხოვ-რებას საფუძვლად უნდა ედოს, აქვს ჩვენივე — ქართველთათვის უდავლები პრაქტიკული მნიშვნე-ლობაც. ამიტომ ის, ეს ურთიერთ სიყვარული, ჩვენთვის უფროა საჭირო ვიდრე რუსთათვის, ვი-ნაიდან ამასშინა ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსენს ერთადერთი საწინდარი. დიდ, ოვალურწვედნელ რუსეთისათვის კი — ქართველის შისდამი სიყვარუ-ლის საკითხი, შეიძლება იყოს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულა ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნე-ლობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად შეტად ღო-ნიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში უძობის თავისთვის საყრდენი, ეიმორება, ჩვენთვის, ქარ-თვლებისათვის ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან. განა ბუნებ-რივი არ არის, რომ ასეთმა მდგომარეობამ გამო-იმუშავა ჩვენი ამატებული შთაბეჭდილებიანობა ყოველივე იმისდამი, რაც ამ კეთილშობილური გრძნობის განვითარებას თუდ მყარედად ეტება, როგორც მისი დამტკიცების ასევე მისთვის ხელ-შეწყობის მნიშვნელობით.

ამის შემდეგ ვასაგებია, თუ რატომ ვიბნენ ჩვენ ასეთ დიდ გრძნობიერებას ყველა ღონისძიებე-ბისდამი, რომლებიც ასეთ თუ ისეთ ვივლენას ახდენ-დნენ ამ ურთიერთ სიყვარულის ზრდასა და განე-თარებაზე; ვასაგებია თუ რატომ ვცდილობთ ჩვენ მეტის გულმოდგინებით დავიცვათ ყველა ის გზე-ბი, რომლებსაც მისკენ მიყვებართ და ყველაზე უფრო ვშფოთავართ და ვირცხვით მამის, როდესაც მმართველთა მართლუბანით ესა თუ ის დამოკიდე-ბულება ხან ხელს გვიშლის ამ გზაზე ვიწველას და ხან უკან ვგაბევიწებს, თოქვს წინაწირებს სოზიფეს შრომისათვის. ყოველივე ამისდამი ჩვენ კატეგორიულად გვაქვზებს თავის შენახვის ბუ-ნებრივი გრძნობა, რომელიც პატრიცემული და შეწყნარებული უნდა იყოს ყველასგან ვინც კი ადამიანის სახეს სცნობს ღვთის მსგავსებად და ვინც განათლდა ადამიანის ღირსების და აქედან გამომდინარე უზიშარი და ხელშეუხებელი არ-სებობის ადამიანურ უფლებათა ქემარჩიტ გაგე-ბამდე. თავის შენახვის გრძნობით დაჯუღღოვე-ლნი არიან ღვთისგან მოქცევილი და ნუთუ ამა-ზე უარი შეიძლება ეთქვას ადამიანს.

რასაკვირველია, აქ არ არის იმის დრო და ად-გილი, რომ ჩამოვთვალოთ ყველა ის ღონისძიებე-ბი, რომლებიც ზერელე გადათავალიერების შემო-ხვევაშიც გვიწვიებენ, რომ შეიყავენ უფრო ქარ-თველთა და რუსთა გათიშვის ელემენტებს, ვიდ-რე მათი გაერთიანების ელემენტებს. ამისდა მი-უხებდავად, ამ მხრივ არსებული მდგომარეო-ბის ნათელი წარმოდგენისათვის, ჩემს თავს უფლე-ბას მივეცე მითითით ზოგიერთ ფაქტებზე. კანო-ნის წინაშე თანასწორობას აშკარად არღვევს, რასაკვირველია, არა ჩვენ, ქართველთა სასარგებ-



ლოდ, შექმნილი კანონი, რომლის ძალითაც ერთ-დამივე დანაშაულისათვის ქართველი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია აღმასმევეებს სიკვდილის განაჩენი გამოუტანოს, ხოლო რუსი სამართლებმა სამოქალაქო უწყების სასამართლოს მიერ, რომელიც მოქმედებს სასჯელთა დებულების საფუძველზე, საცუვი სიკვდილით დასჯა, როგორც სისხლიანი განიხილება, რუსული კანონმდებლობის სასახელოდ და საამაყოდ, გამორიცხულია სასჯელების რიცხვიდან. რასთვის და რა მოსაზრებით ხდება ამგვარი განცალკევება, საკუთარ თავისაგან ქართველის ასეთი გამოყოფა, რუსეთის მინაწილის თანასწორუფლებიან მოქალაქეთა რიცხვიდან მისი ასეთი გამორიცხვა. რისთვის და რა საზღვარდობისათვის ახვევენ თავზე ქართველს იმ აზრს, რომ ის არ არის რუსი მოქალაქე და რომ კანონი რუსთა მიმართ მართლმართლად დედად სჩანს, ხოლო ქართველთა მიმართ — კი გამოროტებულ და სისხლმწიფებულ დედინაცვლად!

მე უთითებ კანონის წინაშე ამ აღმასმეოთებელ უთანასწორობაზე, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მინდოდეს კანონი დაეცემა ყველა მხარით სისხლანი განიხილება; არამედ იმ მიზნით, რათა ის პუბლიკური საქმეა, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის (6) გამორიცხვა და რომელიც აღიარებულ უნდა იქნას ადამიანთა ურთიერთობათა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაყოლად, გამოყენებულ იქნეს ყველას მიმართ თანაბრად.

კანონის წინაშე ეს უთანასწორობა, ქართველურების მიმართ პუბლიკურულ საქმეისაგან უნდა დახვევა არის ადგილობრივი ჩინებულების ნაბედავი, სომ არ არის ყოველივე ეს პირდაპირი მიითებება იმაზე, რომ ერთ და იმავე სახელმწიფოში ერთი კატეგორიის მოქალაქეთა საცოცხლე ფასდება მეტად, ვიდრე მეორე კატეგორიისა. განა შეიძლება ასეთ ნიადაგზე იზარდოს და განეითარდეს ერთობის და სიყვარულის გრძობა, რომელიც წარმოადგენს თქვენი კეთილშობილური მისწრაფებათა და ასევე ჩემი გულწრფელი სურვილების საგანს. როგორც ღვთის წინაშე, ასევე კანონის წინაშე ყველანი უნდა იყვნენ თანასწორნი. ეს თანასწორობა არის კეთილშობილად სახელმწიფოს ცხოვრების ერთადერთი მტკიცე და საიმედო საფუძველი; და მანამაღმდე ვინც ამის სცოდნის მოქმედებს სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, განანიდან ძირშივე არყვებს და აბათილებს ყველაფერს, რასაც მივყავართ შერწყმისაგან და ერთობისაგან. ამავე მიმართულებით სწყობება და ცდილობენ გადაწყვიტონ ჩვენში გადასახლებულთა საკითხები, რომელიც უნაქნელი დროს ვახდა დღევანდელი დღის საკომპროტო საკითხად და ყოველგვარი მიტყმა-მოთქმის საგანად, ჩვენ მხარეში, სადაც ერთი სული გლუხაკაცზე ძლიერ მოდის ორისამი დესტრინა მიწა, ამის დამტკიცება შეიძლება სტატისტიკური ციფრებით, ფაქტობენ ჩაახახლონ...

მე შემდეგ მიმეითთა ამგვარივე ხასიათის ზოგიერთ სხვა ღონისძიებებზეც, რომელიც უფლებლიათ გამხრწნელი გავლენა იქონიან ამ ქვეყნაზე, მაგრამ მათ გამანადგურებულ ძალას წინააღმდეგობას უწევს ქართველის შველად და კეთილგონიერი მორჩილება. ქართველის ამ მორჩილებას ზურგს უმაგრებს მისი მტკიცე რწმენა, რომ ეს ყოველივე არის ნაყოფი დროებითა, გარდასავალი გაუგებრობისა და უცოდუნლობისა, რომლებიც დღეს თუ არა ზედად მინც განიფანტებიან იმ ქვეშაირიტ რუსი ადამიანთა განათლებული მცდელობით, რომლებსაც სწამთ, რომ დიდი იმპერიის ყველა სხვადასხვაგვარი ნაწილებისა საუკეთესო გაერთიანებულად საწყისად შეიძლება გამოადგეს არა შოში და ძალდატანება, არამედ სიყვარული და თანაგრძობა, ამგვარ ღონისძიებათა ჩამოთვლისაგან მე თავს ეიკავებ, რადგანაც მართლ ზემოთითხებულაც საკმარისია, რათა ღრმად დაფიქრებულ უბედურ ქართველებსადმი არა მეგობრულ დამოკიდებულებას მსავსე ფაქტს...\*

ბ). წერილი თბილისის სასულიერო ზემინარიის რექტორ სერაფიმესადმი 7).

[გარიანტი შავი] [1898 წ. ნოემბერი].

1898 წლის 22 ოქტომბრის თქვენი წერილი, ჩემი თავიყვარულობისათვის მეტად თავმოსაწონი, მიღებული მაქვს და ვერ დავიფარავთ, რომ თქვენ მიერ გამოთქმულმა აზრმა ჩემი როლის შესახებ საქართველოს საქმეებში ზომიერ მეტად გამოიყენებინო. თქვენი ესოდენ თავმოსაწონი აზრი ჩემზე, ჩემთვის, რასაკვირველია, ძვირფასია, მაგრამ სინამდვილე მას ვერ დავმორწმუნებ. ჩემი მოკრძალებული როლი რომელიც შედგენდება სურვილში, ვიყვე, ჩემი ძალების შესაძახებად, სასარგებლო ხალხისათვის, რომელმაც პირა სიშვიდე და მშვიდობიანი განუთარგების შესაძლებლობა, მსოფლიოში უღლიერესი სახელმწიფოს საფარ ქვეშ, არ ფლობს სრულიადაც იმ ზომით ჩემი თანამემამულეთა გონებას. როგორც ეს თქვენ კეთილინებთ დაგებასობათაა. მერწმუნეთ, ამას ვამბობ მე არა რაიმე ყალბი თავმდაბლობით, არამედ ქართველებზე ზემოქმედებაში ჩემი უღონობის ღრმა შეგნების გამო.

ამისდა მიუხედავად, მე მთლიანად გამსხვავდული ვარ იმ აზრით, რომ აუცილებელია ზემს თანამემამულეებს მივუთითო, რომ მისი ზნეობრივი, რელიგიური წარმატების ქვეშაირიტი გზა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და საერთო რუსულ კულტურასთან ერთობაშია. დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის.

რუსეთის ძლიერებისა და მფარველობის კეთილშობილეთა მისთვის ეს რწმენა თვითველ ქართველში მაგრად არის გამჯდარი, და მოელი შეცდომა სწორედ იმაშია, რომ არა ყველანი ზვეზე მართლველ

\* შემდეგ წამლილი და გაურკვეველია.

თავანი არიან ამასში დარწმუნებული, ყველა გაგვეგებრობები, რომლებიც თქვენ სამართლიანად გულსა გტყეწო, ისევე როგორც მე, წარმოშობილია ქართველების სურვილების და მისწრაფებათა გაუგებლობით, ქართველის სულში ჩახედვის უუნარიანობით და ხშირი უნდომობით ხოლო ყველაზე უფრო ხშირად წინასწარმედგენილი აზრის გამო, თითქოს ქართველში იმალება რაღაც სეპარატიზმი მიზეზთა მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოსი არ ეყურებათ და ამიტომ მისი არც გაგებიათ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ჩვენთვის ბედნიერი დღის აქეთ განვლო მთელმა საუკუნემ და მთელი ამ საუკუნის მანძილზე არ გამოჩენილა არც ერთი რუსთავანი, სარწმუნეობაში და საერთო რუსეთის მამულში ჩვენი უფროსი ძმთავანი, რომელსაც თავისთვის აუცილებელ საქიროებათ მივინის ქართული ენის შესწავლა, რათა ქართველი ხალხის სულიერ სწრაფვას და გულთაზრახვებს უშუალოდ ჩასწვდომოდა. ეს განა უბედურება არ არის ქართველთათვის! ეს განა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის იმასთვის, რომ საერთო მიუხედავად საერთო მამულს წარმატებით ეგმასაბუროს ჩვენს განაპირა მხარეში! ამიერკავკასიის რუსული მთავრობა იცნობს საქართველოს უწინგური თარჯიმნების მეშვეობით და რა გააკურთხევილია, ამას შემდეგ, რომ ყველაფერი აქ ბნელში უგზო-უკვლოდ დაიხეტება ყველა მხრით იტვიანად იმზირება. ბნელი შიტომ არის მკვლეი, რომ მასში ბავშვური სიანწყვეტი, ვინად შეყოფება და ცალკეული ბოროტმოქმედებები წარმოგვიდგებიან რაღაც საფრთხილად, საზოგადოებრივი გულსწრაფობის გაგებით და მათ უძლევა არსებულ წესრიგის და საუფლებების წინააღმდეგ რაღაც შეთქმულების მნიშვნელობა.

ჩემთვის სასიამოვნოა, რომ თქვენ ირწმუნეთ ჩემი გულწრფელობა რუსთა და ქართველთა ურ-

თერთდამოკიდებულებაზე ქვეყნარტი თვალსაზრისის დადგენაში. მაგრამ ამ ურთქურთ დამოკიდებულებაში მე გველისხმობ ტრესტადე ქართულთა არა მხოლოდ როგორც მართლმადიდებელ კვლების თანაწერითა, როგორც თქვენ გამოსთქვით, არამედ მასთანვე როგორც დიდი რუსეთის მამულის თანამოქალაქეთა ურთიერთ დამოკიდებულებას. ჩემთვის ესოდენ თავმოსაწონი თქვენი აზრი ჩემზე უფლებას მაძლევს გულახდით მივმართო თქვენს მოსაყვარულ გულს და არ მეშინოდეს, რომ არ ეიქნება თქვენ მიერ სწორად გაგებული, რომ თქვენ გამიგებთ როგორც კეთილშობილურ და ნაყოფიერ სურვილის მქონეს, დამყარდეს ეს ურთიერთობანი ერთობის მევიდრ საუფლებზე, რომელსაც წარმოშობს არა ერთგვარობა, არამედ ერთსულოვნობა. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს ერთიანობას არ უშლის ხელს კაცობრიობის წარმატებულობის ისეთი უძლიერესი ფაქტორის სხვადასხვაობაც კი, როგორცია რელიგია. დრო დამტკიცებს, რომ ენათა სხვადასხვაობაც არ შეუშლის ხელს სახელმწიფოში მოქალაქეთა სულთა ერთიანობას. ამიტომ ყოველგვარი ცდა შეზღუდონ ხალხის ენა სკოლებში და ეკლესიებში არის ძალღონის და დროის ამაო ხარჯვა; ამიტომ მე ეს შეჩვენება გაუგებრობის ნაყოფად და მოშავლის საზიანო აწმყის გაუმშვიბობადა.

ენათა შეზღუდვა არის დევნის ერთგვარი ფორმა და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დაუშვებელი ამის წაქეზება, ვინაიდან დევნულობა აღამიანებს აპოროტებს და წარმოშობს მხოლოდ დევნულის ორანიოტიკულ თავყინისმცენლებს. და განა ამას ისახავს მიზნად სახელმწიფო, რომელსაც შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ცხოვრების მშვიდ მდინარებას, ისეთ მდინარებას, რომელიც მოკლებულია ამა თუ იმ მიმართულებით, ზევიდან თუ ქვევიდან ხელთუფრ ზიძვებას.

### კომენტარები და შენიშვნები

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის დიდი მედროშე ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოში სახალხო განათლების და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის (სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრის, პრესის) გაშლას.

ილია ჭავჭავაძის ზრუნვის მთავარ საგანს შეადგენდა საქართველოში არსებულ სამოქალაქო და სამრევლო სასწავლებლებში ახალი თაობის აღზრდის უროვნულ ნიადაგზე დაყენება, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოღება, მისი გავრცელება, გაძლიერება და დაცვა. ამ ნიადაგზე მას დიდი ბრძოლების კვადატანა დასქირდა ცარიზმის დიდმაყრობულური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ილია მწერლის მახვილი პუბლიცისტური წე-

რილების თვმად არა ერთხელ გამხდარა თბილისის სასულიერო სემინარიის საქმიანობა და მასში გამეფებული კლერიკალურ-სკოლასტიკური განათლების სისტემა, საქმე იმაშია, რომ იმ დროს ეს სემინარია, თავისი არსებობის უკანასკნელ დრომდე, საქართველოში ერთ-ერთ თვალსაზრისით სასწავლო დაწესებულებას წარმოადგენდა და იქ იზრდებოდა ქართველი ახალგაზრდობის მრაველი თაობა. სემინარიიდან გამოხზულ მოსწავლეთა შორის ბევრი არიან ისეთნი, რომლებმაც თავი იჩინეს საზოგადოებრივ, რევოლუციური და სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე. ამიტომაც იყო, რომ ქართველი ხალხის ჟიზნენილი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აყაყი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ვიორჯი წერეთელი და სხვები სიტყვიდა და საქმიით პრესის

ნამუშაოებით, თვითცალკეული პირთა და მოხელეთა ჩარევით, ყოველთვის საზოგადოებრივი აზრის და-რჯახებითა და თანაგრძნობით ხმას იმაღლებდნენ სასულიერო სემინარიის მკვეთრთა წინააღმდეგ-როცა ეს ამას მოითხოვდა მოსწავლეთა განათლე-ბისა და სწავლა-აღზრდის წესიერი გზით წარმარ-თვის ინტერესები.

ესავე საუკუნის 80 — 90-იან წლებში, ისე-ვე როგორც ყოველთვის, თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მდგომარეობა მძიმე და ატუტანელი იყო. სემინარიის სათავეში შავრაზმე-ლი რეაქციული ზღვრისგანსვლითა ედგა. ამ გა-მეფებული იუზუიტური წესებით თავმოყრებულ მოსწავლეთა გულისწირობას საზღვარი არა ჰქონ-და. სემინარიის სასწავლო გეგმა და პროგრამა შიშლიანად კლერიკალურ-სქოლასტიკური შინა-არსით იყო გატენილი. ამ სულის შემხეთველ ატიმისფერობა ყოველგვარი ხალი და ნათელი აზ-რის სასტიკად იღვევებოდა. აკრძალული იყო კლას-გარეშე საკითხავი ლიტერატურა, ადვილი ჰქონდა ეროვნულ ჩაგვრას, ფართოდ ჰქონდა ფეხი მოკი-დებული შოინისტიკური დამოკიდებულებას ნაცუმ-ცირკუსობათა მიმართ.

მიუხედავად ამისა, სემინარიაში მოსწავლეთა შორის თავისუფლად მოაზროვნე და რევოლუცი-ურად განწყობილი მრავალი ახალგაზრდა იყოიდა თავს. აღზრდილობა და მასწავლებელთა შო-რისავე მოაპოვებდნენ თითოთორღა მოწინავე იღვევით გატაცებული ადამიანები, რომელთაც ქვეყნის საერთო სიყვარულით უძგერდათ გული. მოსწავლეთა შორის არსებობდა ფარული, კულ-ტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური ხა-სიათის წრეები, ვრცელდებოდა საკითხავად აკ-რძალული ლიტერატურა, ფართო გამოქაზილს პო-ულობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იღვება.

ისტორიული საარქივო მასალების მიხედვით ჩანს, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა ნაწილი რევოლუციური მიზანითლე-ბით მუდამ ცნობილი იყო. ამას ვამო სასწავლე-ბლის კარი ხშირად ეკეტებოდა ხოლმე. მოსწავ-ლეთა რევოლუციური მოძრაობით დამფრთხალი მუფის მოაჯრობა სემინარიიდან ეუმეტირადლ მო-წაფეებს რიცხავდა და საცხოვრებელ ადგილებში უტაპით აგზავნიდა.

90-იანი წლების დასაწყისში სემინარიაში მოქმე-დებდა მოწაფეთა ფარული წრე ცნობილი ქართვე-ლი მწერლის ეგნატე ნინოშვილისა და გოლა ზი-ტაძის ზღვრისგანსვლით, ამ წრეში მეცადნიეობ-დნენ: ლადო დარჩაშვილი, მოვაჟადა გამოსენი-ლი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი, პეტე-რეველუციონერი არილიონ ხელოშვილი და სხვები.

ეგნატე ნინოშვილის ზღვრისგანსვლით არსე-ბული მოსწავლეთა ფარული წრე პოლიტიკურად გაითვითცნობიერებისა და ლიტერატურულ-საგან-მანათლებლო ხასიათს ატარებდა, სადაც ახალგაზ-რდობა ეცნობოდა რუსი გამომენილი რევოლუცი-ონერი — დემოკრატებისა და მწერლების: ბელინ-

სკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევის და სხვათა თზულებებს, რწ წრეში კით-ხულობდნენ და სწავლობდნენ გერმანულ-ქართულ მწერლებს: ნ. ბარათაშვილის, ალ. ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაწერებს, ლეიფციგოდა მათში ეროვნული თითოწავება და მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული.

სემინარიაში გაშვებული მჭინეარე იუზუიტური რევიმი მოსწავლევებს იძულებულს ხდიდა ამ წრის მეცადნიეობა კონსაბრაციულად ეწარმოებინათ. მათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე უოგალოვლებდნენ.

ამის ნათელსაყოფად მეტად მნიშვნელოვან მა-სალას იძლევა საქართველოს საზღვრისთვის სის-ტორიო არქივში დაცული თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდის საქმეები. სემინარიაში მოს-წავლევებს „სულნი ჩამაბრომ“ მძიმე ატმოსფერო-ში უბედობლად სწავლა და ცხოვრება.

სემინარიის ინსპექტორი შავრაზმელი ბერი ისი-ლორე, ზედამხედველები: ივანოვი, პოკროვსკი, სო-კოლოვი, ბუღაგოვი, ეს კაცთმოძულე ანაფორი-ანი ვანდარაშვილი საერთო საცხოვრებლებში და კერძო ბინებზე მოსწავლევებს შუღლისას სისტე-მატიურად თავს ეხმოდნენ და მზრდუნენ. განსა-კუთხებული სიმაკრიტი და დევნიდნენ აკრძალული წიგნების კითხვას. და რა არ იყო მამინ აკრძა-ლული? დიდი რუსი ხალხის გამომენილი მოაზ-როვნების, მწერლებისა და მოღვაწეების ნათელი გონების ყოველგვარი ნააზრევს ამსახველი ლი-ტერატურა. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სემინარიაში ხომ მომაკვდიანებულ კოდ-ვად ითვლებოდა, რადგან მეფის მოხელეები მას „ძალით ენად“ აცხადებდნენ და დედაენაზე მო-ლაპარაკე ქართველ სემინარიულ მოსწავლევებს მთელი მრისხანებით დევნიდნენ.

სემინარიის მოწინავე მოსწავლეთა ჭაბუკური სწრაფვა ევლარ თავსდებოდა სემინარიის დახშულ „ბურსაკულ“ ცხოვრებაში და გონებრივი განე-თარებვის ფართო თვისსუფალ განაქანს ეტება.

თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბატო-ნებული რევიმი ვერ ითმენდა დამოუკიდებლად და საღად მოაზროვნე ახალგაზრდობას. ყოველი მათი გამოსენა შიშსა და ძრწოლას იწვევდა რეაქციო-ნურ ზღვრისგანსვლად — ზედამხედველთა შორის.

ხელოვნთა ეს მოციქულელი ვისაც შეინიშნავდნენ. მათ „მოსაქვეანებლად“ მათიწვე იღებდნენ ზო-მებს, ხოლო ქედმოხერხლებს სემინარიიდან რიც-ხავდნენ.

საარქივო მასალებში დაცული საბუთებიდან ჩანს, თუ როგორ იმორებდნენ სემინარიიდან რევოლუ-ციურად განწყობილ. მოწინავე ახალგაზრდობას და ქრმაში ერეკობოდნენ. მიუხედავად სასტიკი რე-პრესიებისა, სემინარიაში მოსწავლეთა წინააღმდე-გობა უფრო ძლიერდებოდა. ვარიცხულობა ადგი-ლებს სხვები იკავებდნენ და მოწაფეთა ფარული წრეების მუშაობა ფართო ხასიათს იღებდა.

1893 წლის 30 ნოემბერს თბილისში, საბურ-თალოზე მოეწყო სემინარიის მოსწავლეთა პირ-

ველი ფარული კრება. სასწავლებელში გაბატონებული სულისშემხეთვარე რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად კრებამ მიიღო დადგენილება მოწვეთა გაფიცვის მოწყობის შესახებ. პირველ დეკემბერს დაიწყო გაფიცვა და ოთხ დღეს გაგრძელდა.

საქართველოს ეგზარხოსოსათვის წარდგენილ მოთხოვნებში გაფიცვის მონაწილენი აღნიშნავენ: შეწყვეტა სემინარიელების მუდმივი დევნა, გაეძევინათ სემინარიიდან კაცობიძურე ზღამსხედველები: — ფანოგი და პოკროვსკი, უფიცი და თავინა მასწავლებელი ბულგაკოვი, შემოიღოთ ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლება და სხვა.

ისტორიული საბრძოლო მასალებიდან ჩანს, რომ მოწვეთა გაფიცვის გარედან იღვწი და პრაქტიკულ დახმარებას უწყვედნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგვაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე, რევოლუციონერი მინა ცხაკია და სხვები (იხ. საქ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 448, საქმე № 1348, ფურც. 200).

გაფიცვის ხელმძღვანელობას სემინარიის მოწვეულებისადმი მიუმართავს მოწოდებით, რომელიც ხელდაწერის სახით ყოფილა გაერკველებული სათაროთი — „ამხანაგებო და მეგობრებო“.

ყოფილი სემინარიელის, მოწვეთა „ბუნტის“ მონაწილის იპოლიტე გართავაგას გადმოცემით, ილია ჭავჭავაძეს, როცა მას რჩევა-დარიგებისათვის მიუბრუნებდა „ივერიის“ რედაქციამ გაფიცულთა „პეტრიკა“, მოუწონებია, მისი შინაარსი და სახეობა და უცვნია და თან „რჩევა მიუცია, რომ ისეთი რამ არ ჩადინათ, რაც პოლიციასა და განდარმერიას საბაზს მისცემდა მომხდარ ინციდენტში ჩარეულდნენ და გაუცივისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცა და გაფიცვის შეთარებში ან საერთოდ აღმინისტრაციის მიერ ათავაღწიებული მოწვევები დატყობარებინათ. „მართალია, აუცილებლად მსხვერპლი იქნება, მაგრამ დათმობაზე წასვლა მაინც უმინო იქნება“. — დასძინა თურმე ილიამ. მოწვევთა ძლიერ გაამხნევა ილიას რჩევა-დარიგებამ და გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაეჭოდნოდა. გაფიცვისათვის მტკიცე ხასიათი მიეცა“. (იხ. იმ. ვართავა, მოგონებანი, 1956, გვ. 181).

შემინებულმა და დახმარებულმა სემინარიის მმართველობამ ვერ შეძლო გაფიცვის ლეკვადგოვა, ერთი თვით შეტადინებომა შეწყვიტა და მოწვევები სახლებში დაითხოვა.

თბილისის განდარმერსა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი იანკოვსკი პეტერბურგის განდარმერთა კორპუსის უფროსს დეპეშით ატყობინებდა: „მართლმადიდებელთა სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობამ მოითხოვა რა ზოგიერთი მასწავლებლის გაეყვება და ქართული ლიტერატურის კათედრის შემოღება, შესწყვიტა შეტადინებომა, რჩევა-დარიგება უშედეგოდ დარჩა. ეგზარხოსოს

დეპეშის თანხმად, სინოდის განკარგულებით მოწვევები დათხოვნილი არიან მ. იანკოვსკი“.

მოსწავლეთა გაფიცვის შედეგად ქვემოთაერთი თვით დახურვას მოჰყვა რეპრესიები: გაფიცვის მონაწილე 87 მოწვეუ „მგლის ბილითი“ გარიცხეს სემინარიიდან. ოქტომბრის გარიცხვას თბილისში ცხოვრება აკრძალა. (იხ. შავდა გოზალიშვილი, 1905 — 1907 წლების რევოლუცია და იროდიონ ევლიშვილი, 1956, გვ. 19 — 20)

ეს გამამტრებული წინააღმდეგობა და ბრძოლა სემინარიის ხელმძღვანელობისა და მოწინავე მოსწავლეთა შორის ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ილია ჭავჭავაძე თავის გაზეთ „ივერიაში“ ხისტიმეტრებად ბეჭდვდა წერტილებს სემინარიამ გაშვებული წესების წინააღმდეგ და მუდამ ხმას იმაღლებდა მოსწავლეთა სამართლიანი მოთხოვნების დასაცავად. ამ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძესა და მის „ივერიას“ შეუღეს ბიუროკრატული ორგანოების ცენზურისა და განდარმერიისაგან მრავალი უსამართლობისა და დევნის გადატანა უხდებოდა. დღეს უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც პოლიტიკურად არასაბედო, 1884 წლიდან განდარმერიის სააღმუშაო შეთავაზურობის ქვეშ იწყოვებოდა და მის ყოველი ფენის ნაბაჯზე უფთავდებულდნენ (იხ. ა. იოვიტი, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, 1947, გვ. 212 — 214, 235). 1895 წელს განდარმერიამ მოახდინა ილიას ბინის გაჩხრეკა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ეჭებდნენ.

1893 წლის 6 ოქტომბერს ცენზურის მიერ აკრძალულ იქნა გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდვად მოწავებული ფელეტონი — „მთავარი საქართვება სასულიერო უწყებისათვის“ (იხ. О задержанном цензурою 6-го октября 1893 г. для грузинской „Иверия“ фельетона под названием „Главнейшие нужды духовного ведомства“ (по поводу с езды духовенства). საქ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 488, საქმე № 21742). ამ ფელეტონში, რომელიც იაკობ გოგვაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდეს, წამოღებულად იყო საკითხი თბილისის სასულიერო სემინარიის რეორგანიზაციისა და სწავლების ქართულ ენაზე შემოღების შესახებ. ამან საქართველოს ეგზარხო-

სის გულისწყრომა გამოიწვია და მისივე მიითთვით ფელეტონი საცენზურო კომიტეტმა დააკავა. შემდეგ დიდმა დრომაც არ გაიარა და სემინარიამში მოსწავლეთა „ბუნტი“ დაიწყო. ამის შემდეგ მოკლებული ცენზურის მიერ „ივერიის“ დევნა და მის წინააღმდეგ იერიშები უფრო გაძლიერდა.

1896 წლის თებერვლის „ივერიის“ სამ ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი — „სურათები მოწვეთა ცხოვრებიდან“ (მოგონება) „ოთხანთ კობას ზელმოწერით, რომელიც ეკუთვნოდა ყოფილ სემინარიელს, მწერალს ია კვალაძეს (იაკობ ცინცაძეს).

მართალია, ფელეტონში არ იყო პირდაპირი

მითითება, მგერამ მისი შინაარსიდან აშკარად ჩანდა, რომ ავტორმა მხატვრულ ფორმებში აღწერა თბილისის სასულიერო სემინარიის დახვეწებულ შენობაში დამკვიდრებული „ცხოვრება უფროები, ცხოვრება შევიწროებული“. მოსწავლეები ერთმანეთს შესხვიან: „ავტორი თორმეტი წელიწადია, ამ ოხერ სასწავლებელში სული ამოგვდის, სწავლის დასაფრთხილებად ცოტა გვეძლია, და ამა ჩვენ სულვეთა ვსოტვათ, რა მივუკვებ აქედან? ... მომეტებულ წაწილს კი ეს დასცენა გამოცხადდა, რომ „სხოლასტიკის“ შეიხებით ბევრი ცხოვრებაში საჭირო საგნებისა არა გავმეგობარა, დრო ბევრი გვეკარგება და ისევე უფოცები კი ვრჩებით“.

სასწავლებელში მოსწავლეთა ცხოვრებას სურათები შეეფერებოდა იყო დახატული. პირდაპირ იყო მითითებული, რომ სასწავლებელი გულბატეხილობის, დასუსტებულის ჯანისა და შერყეული რწმენის მეტს არაფერს იძლეოდა. მხოლოდ შერისიძებით გაქვნილი მოსწავლეები სასიკეთოს არაფერს გამოიღოდნენ სასწავლებლის უფროსებისასთან, რომელთა წარმოდგენით „მოსწავლენი მხეცები, მხეცის შეიღები იყვნენ, მხეცებს კი მორჯულება უნდათ და ამ მორჯულებასთან — გარდაქმნაც. ... სამწუხაროდ ღირსეული მისის ღირსეული მისიონერები ყოველგვარ ანტიპედაგოგიურ და ზნეობა-სამართლიანობის საწინააღმდეგო საშუალებათაყ ხმარობდნენ“. ეს იყო საშინელი დევნა-რბევა შეგირდებისა, ბინა-სადგურების მზარეკა, აურზაური, შოთოი და მიოქმე-მოქმე. „ავტორი-კი ჯალათებად გადაქცეულ-ხართო“ — მიმართავდა აშკარად მათ ერთერთი მოსწავლე.

ფელეტონის ავტორი გარკვევით აყენებდა მოთხოვნებს სემინარიაში სწავლების ქართულ ენაზე შემოღებას.

მოწოდებები აშკარად ჩვიან: „ვერც ეს სასწავლებელი დაკმაყოფილებს კაცის მისწრაფებას. იხ, რა ძალადობაა გამოუხეხელი. იხ რა ფარისევლობა სუფიებს. ვაა ჩვენ, რომ სიყმაწვილეს გვიფუტებენ და ხასიათს ვიხდენენ. ამა რა გაკლენა უნდა ჰქონდეს იმას... რა კეთილს მოინდომებს ჩვენთვის, ის ვისაც ჩვენი გადაგვარება სურს. იხ ღმერთო, როდის მოგვეცემა შექლება, რომ რიგიანად აღუზარდნეთ“.

ამ ფელეტონისა და სხვადასხვა დროს გამოცემებული წინა წერილების მამხილებელი ტონით აღმოფთვებული კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ 1896 წლის 17 პირილს საიდუმლოდ ვრცელი მიმართვა გაუგზავნა მთავარმართების კანცელარიის დირექტორს გაზული „ვეერიის“ „მავენ“ მიმართულების შესახებ და მოითხოვდა სათანადო ზომების მიღებას. (იხ. ლენინგრადის სახ. ისტორიული არქივი, ფონდი 776, აღწერა 12, საქმე 64, ფურც. 19—22).

საცენზურო კომიტეტმა 1896 წლის 4 მაისის თარიღით მიმართვა გაუგზავნა ავტორთვე ბებეღეთი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსს გაზ. „ვეერიის“ რედაქტორის შესახებ.

მიმართვის თან ერთვის გაზ. „ვერიაში“ (1896 წლის №№ 39, 40, 41) დაბეჭდილი ფელეტონის სათაურით — („სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან (მოკონება“), მოკლე შინაარსის რუსული თარგმანი. (იხ. იქვე, ფურც. 18, 23 — 28).

ყველა ამის შემდეგ მთავრობის ბიუროკრატიული ორგანოების მიერ მიტანილი იერიშები ილია ქავჭავაძის წინააღმდეგ დამთავრდა იმით, რომ ერთადერთი ქართული ყოველდღიური გაზ. „ვეერიის“ გამოცემა შეწყდა რვა თვით. (იხ. ა. იოვიძე, ილია ქავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, 1947, გვ. 245).

ილია ქავჭავაძეს დიდი მკაცადილება დასჭირდა, რომ რვათვის ვადის გასვლის შემდეგ გაზუთი „ვეერიის“ განიხილა განებალებინა. გაზეთის გამოცემის განებალების შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ცენზურის მიერ აკრძალულ იქნა 1897 წლის დეკემბრის „ვეერიის“ მოწინავე სტატია, რომელიც თავისი შინაარსით მთლიანად ესიტყვება ილია ქავჭავაძის პირად წერილს თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ რექტორ სერაფიმესადაღი. ცენზურის მიერ აკრძალული გაზ. „ვეერიის“ მოწინავე სტატიის ქართული დედანი დღემდე არ არის მკვლეველი (იხ. ა. იოვიძე, ილია ქავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები, საისტორიო მოამბე, 3, 1947, გვ. 251 — 254). მოწინავე სტატია, მისში გატარებული აზრების მიხედვით, მთლიანად ემთხვევა რა ილია ქავჭავაძის წერილს სერაფიმესადაღი, მის უდავო ავტორიადაყ იგი მიგვანია.

1. ილია ქავჭავაძის წერილი (ავტოგრაფი, შავი, რუსულად) უკანასკნელ დროს იქნა მიგნებულ. წერილზე არ არის აღნიშნული ადრესატი და უთარილოა. წერილის ადრესატი და თარიღი [1898 წლის ნოემბერი] დადასტურდა მის შემდეგ აღმოჩენილი თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, შემდეგში ოსტროვის ეპისკოპოსის „წათობა“, № 9

კობისის სერაფიმეს წერილით, მიწერილი ილია ქავჭავაძისადმი.  
 2. ქავჭავაძის წერილის ავტოგრაფი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში (იხ. ზენაფერთა განცხების ილია ქავჭავაძის ფონდი № 120). იმეცლება დედნის ქართული თარგმანი.  
 არქივანდრტი სერაფიმე—Серафим (в мире Яков Мешеряков, род. в 1861 г.) епископ



Осторжский, второй викарий Волынской епархии, воспитаниик СПб духовной академии написал: „Проризатель Валаам“. кн. числ. XXII—XXV гл.“ (СПБ, 1899, магистр, дисерт.). (სამოქალაქო ცხოვრებაში იაკობ მემწერიაკეცი, დბად, 1861 წ.) 1893 წლის მარტიდან დანიშნულ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად და მუშაობდა 1898 წლის აგვისტომდე. ამის შემდეგ იგი გადაყვანილი იქნა ოსტროჟსკის ეპისკოპოსად (იხ. „ივერია“ 1898, №№ 154, 167, 168, 170).

ყოფილი სემინარიელის ი. ვართაგავას გადმოცემით — სერაფიმე, როგორც რექტორი, აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა სემინარიის საქმეებში; იშვიათად გამოდიოდა შინიდან. სრულებით არ ედილობდა მოწაფეებს და მათ ყოველცხოვრებას გასცნობოდა. სემინარიის ადმინისტრაციის მუშაობასაც სუსტად ზღვმდებანელობდა. როდესაც ერთხელ მოწაფეები შეეკითხნენ ერთერთ სემინისტრს, რისთვის არ გამოდის რექტორი, რისთვის არ იღებს სემინარიის ცხოვრებაში ისეთ მხურვალე მონაწილეობას, როგორც ნიკოლოზი (მისი წინა მოადგილე — შ. გ.), მან თქვა: „Он кабинетный ученый; серьезной работой занят“. ...სემინარიისათვის სრულებით უმნიშვნელოდ ჩაიარა სერაფიმეს რექტორობამ. მისი არც ცული და არც კარგი არავის არ ახსოვდა“ (იხ. ი. ვართაგავა, მოგონებები, 1956, გვ. 176).

2. ოსტროჟსკის ეპისკოპოსის სერაფიმეს (იაკობ მემწერიაკეცი) წერალი ილია ჭავჭავაძისადმი, დღიანი (რუსულად) 2 ფურც. 1898 წლის 22 ოქტომბრის თარიღით დაცულია საქ. სახ. მუზეუმში (იხ. ზენაქოვა განყების ილია ჭავჭავაძის ფონდი № 448). წერილის თავზე ილია ჭავჭავაძის მიერ ფანქრით მიწერილია: „Волынская губ. город Кременец, Епископу Острожскому Серафиму“, წერილის ქართულ თარგმანს მთლიანად ვებუძავთ:

„მრავალი მძღვერნი დასდენ მწასახედა, ხოლო უბეველი შეიკრენ გვირგვინითა“. წიგნი ისო ზიარქისა, 11,5.

**უბრწინებლობის თავი**

მადლობას ვსწირავ ღმერთს და ვ. ლ. ვ. რადგან მე 1897 წ. საშუალება მომეცა ვამეგო თქვენი გულის კეთილშობილება და გამომერკვიო შექვენი ჭეშმარიტი აზრი და სემინარიამი მომხდარი ამბების პირობები. მე ყოველთვის ვაღიარებდი ბეჭდვითი სიტყვის უდიდეს მნიშვნელობას და ამიტომ 1893 — 97 წ. ყოველ წელს ვგანძობდი, რომ ქართული ხალხის აზრთა მფლობელად მაინც თქვენა ჩნებოთ და რომ როგორც უნდა მოწერილობები არ გამოდიოდეს სინოდისა და მისი უდიდებულესობის კაბინე-

ტიდან, ისინი ვერ გატარდებიან ქართველი ხალხის ცხოვრებაში, თუ მასზე არ ეყენება თქვენი თანხმობა და თანგატანობა და თქვენი არცერთი წუთითაც არ უნდა იხანოთ იმის შესახებ, რომ თქვენი ჭეშყვანა საღვთო თვითმპყრობელობას ემორჩილება, რადგან მარტანებელი და გავლენიანი შუკა თქვენი სულიერი სამწერლო გვირგვინისა — ამ ჭეშმარიტი შარავანდედისა — გაცილებით ძლიერ და ღრმა ზემოქმედებას მოახდენს ივერიის შეილებზე, ვიდრე ვახტანგებისა და მაგარატელების წარსული ბრძანებელი განკარგულებები. ამიტომ ჩემთვის ფრიად სასიხარული იყო დაჭრწმუნებელიყავი, რომ თქვენ საქმოდ გულწრფელი ბრძანებებით იმისათვის, რომ ვაიგოთ ჭეშმარიტი თვალსაზრისი ქართველების და რუსების ურთიერთობის შესახებ; როგორც ქრისტიანული გულსისის წყურბობა.

გულწრფელი ვიყვებ. სიყვარული, როგორც ერისთავების მიმღვეართა განმასხვავებელი ნიშანი (იონ. XIII, 135) იშვიათ მოვლენას წარმოადგენს რუსების ურთიერთ დაპოკიდებულებაში. მაგრამ უფრო იშვიათად გვხვდება იგი ქრისტეს მიმღვერტის შორის, რომლებიც სხვადასხვა ერთენებას ვეთენიან და უკანასკნელი არანაყლებს საწყენია, ვიდრე პირველი, რადგან ქართვლებს შორის და ყველა ხალხს შორისაც, ჯერ გამოურკვეველი მიზეზების გამო, გვხვდება და არსებობენ მრავალი ისეთი კარგი, კეთილშობილი პიროვნებები, რომლებიც გაცილებით სასიამოვნონი არიან მრავალ ცულ რუსებზე; მაგრამ შეგნებულ ან მრავალი გაუგებრობის და ეჭვიანობის გამო საუკეთესო ადამიანები რუსებიდან უკვე ვეღარ უწვდიან შეგობრობის ხელს ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებსაც კი და ამრავალ იქმნება დაბრკოლება ქრისტეს ამოცანის არსებობის საქმეში, რომელიც ითვალისწინებს ყველა ტომების რჩეულთა (საუკეთესო ნაწილის) ერთ იჯანში თავის მოყრას. მაგრამ ეს ამოცანა განხორციელდებოდა, რომ ქართველი ხალხის ყველა ბელადი და მწყემსი სერაფიმულად და გულახდილად დაიხსახედა თავის ამოცანად ჭეშმარიტების, სიწმინდის მიღწევას, შრომისმოყვარეობისა და უანგარობის განვითარებას, და არა ისეთ პირობით სავანს, როგორც მშობლარა ენის სამოქალაქო ხმარების სფეროს გაფართოება. ჩემი რწმენით ეს სავანი წამოყენებულია თავის თანხამამუღეთათვის თვალების ასახვევით პირადი ცხოვრების უღამაზო საქმეებისსავან, ან ოჩაფებების შესაქენად ნამდვილ სიმაჰიასა და დამსახურების უწონლობის გამო თანამედროვეთა თვალში. დასამტკიცებლად მე შეგძლოთ თქვენთვის რამდენიმე პიროვნების დასახელება, რომლებიც ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ პირადი შემოქმედებითი შრომის მაგიერ ფონს გადიოდნენ მხოლოდ ამ ტიპით — ენით. მთელი საკითხი გულსის ენის შესახებ იქამდე დაიყვანება, თუ რომელ ენაზე უნდა იწავლებოდეს თბილისის და ქუთაისის

სემინარიებში ღვთისმეტყველება და რომელ ენაზე უნდა სწარმოებდეს ღვთისმსახურება საეგზარქოსო 20 — 30 არა უმეტეს საეპარქიო მრევლში, შერეული მოსახლეობით.

საკითხის პირველი ნაწილი სრულიად კარგად თავის მნიშვნელობას რადგან, რუსეთის სემინარიის მიერ აღზრდილები არც თუ დიდად უკეთესნი არიან თბილისისაზე, მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმეტყველებას მშობლიურ ენაზე სწავლობენ. ერთად, მაგალითად იერომონახი ლიტურჯი აბაშიძე უფრო მაღლა დგას, ვიდრე რუსული სემინარიების მიერ აღზრდილი ასეული და ათასეული პირი. საკითხის მეორე ნაწილი კი გაბეჭდილია ცუდი ადამიანების მიერ, ვინაიდან პატრიარქის ადამიანები, როგორც მაგალითად მარკოზ ტუმეიაძე (ქვაშვილის ვაჟის დეკანოზი) მუდამ იტყვიან, რომ ქალაქის ამ მრევლებში წარვა-ლოცვა რაიმე ენაზე სრულდება საჭიროებისა და მიხედვით და შეზღუდვების გულწრფელია ენის აღრევის შესახებ ირკვევი მიგარი დაქტებზე, როგორც მაგალითად ის, რომ გასულ 97 — 98 სასწავლო წელს მიუხედავად ჩემი არაერთი წინადადებისა, რათა ქადაგებანი მომზადებულიყო ქართულ ენაზე (თუნდაც გადათარგმნილი რუსულ ქადაგებებიდან) მხოლოდ და შეზღუდვით კლასის მოსწავლეებმა არ გამოიჩინეს სიბრძნით და საუკეთესოებმა მითვან, როგორც მაგალითად ალაღოვა (ალაღაშვილი), (რომელიც ერთა 93 წლის ისტორიაში და ნაპოვნებია), არ დაწერეს არცერთი ქადაგება, ზოგმა საშუალო მოსწავლეებმა კი წარმოადგინეს არა უმეტეს ორისა წლის განმავლობაში. აი რა არის ცუდი და დასაინანი... მაგრამ ვთა შორის არიან მაგალითად ასეთები, როგორც მღვდელმწიფრ ნიხლაძე, რომელიც თავისი სულის სიღამაზით ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე მრავალი ჩემი თანამემამულე.

არა, საქართველოს ბედნიერება და სიხარული სრულიად იმაში არ მდგომარეობს, თუ რა საზღვრებში იხმარება საეკლესიო და საეპარქიო ენა, არამედ წრფელ სამსახურში ქრისტიანობაში. მაშინ ჩვენ რუსები, რომელთაც უნარი შეგვწევს თავი მოვიხაროთ სიკეთის წინაშე, მიუხედავად ეროვნული განსხვავებისა, თავს მოვიხაროთ თქვენს წინაშე. ისევე, როგორც ესა გულწრფელად თავს ვიხაროთ ივერიის საუკეთესო შენობისა და წარმომადგენლების წინაშე.

ამით ვამთავრებ და ვიმედოვნებ, რომ მნიშვნელოვანი საგნების განმეორება არ დააკინებებს მათს მნიშვნელობას და არ მოგვეჩვენება მოსახერხებელი და ტყუილად დამამუშრელად. გულითადად ვესალმები თქვენს მეუღლეს და თქვენ ორივესათვის ვეშუბარები ღმერთის ყოველივე სიხარულს და წარმატებას.

ოსტროვის ეპისკოპოსი სერაფიმე.  
1898 წ. ოქტომბრის 22.

3. ილია ქავჭავაძემ, ჯერ კიდევ თითქმის ორი ათეული წლით ადრე ამ გარემოებებს შინაური სურათი მოგვცა ერთად „ივერისში“ და შემდეგ „შინაურ მიმოხილვაში“. იგი წერდა: „საქირონო მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტყვილი და სიხარული და კონსერვაციის ხალხს უშეამავლოდ ელამარაკოს. ჩვენი სასწავლო, ეს დავიწყებულია დღევანდელამდე ჩვენი და თითქმის უარყოფილი. ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სიამართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსკერას და ყური დაუხშოს, — რადაც უნდა გამოეყოფოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველგვარში ცდიდნენ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოხივარის სიხივარი და გულსტკეილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწამის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა ასეთი იგი გამოითქმული, უფრო დიდს და ცხოვრების ნათელი მოხვედნის ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქაქი უკეთისა და ბრაციის მთავრებისა, — ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც შე ჩემისა ვერ გავაგებებ და ის თავისა — ის რა ჩემი მოვლელია?

... რაცა მოხელეები ამ ჯეროდან ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი.

... მოხელეთა ამორჩევანი განათლებისა და წინაშე აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უმისოდ ამოთა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღწვე მოხელისა, რომ მართალი და კეთილმეტე სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც.

... აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თვითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკეთებენ ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდან. იქ, სადაც ჩვენი ხალხის მწეფისი იზრდებიან, ჩვენს ხალხის მასწავლებელნი, მაგალითებ, სასულიერო და საოსტატო სემინარიებში, იქილამაც კი გამოდევნენ ჩვენი ენა ქართველებსაც კი ვხა არ გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ენა ჩივის...“ (იხ. შინაური მიმოხილვა, „ივერია“ 1879, № 2, გვ. 130 — 132; თხზ. ტ. V, გვ. 27 — 39).

4. 1863 — 1864 წლის პოლონეთის შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. იგი მიმართული იყო რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ. პოლონეთის დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს აღსადგენად. აჯანყება სასტიკი ღმართებით დამთავრდა.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე პოლონეთის აჯანყების შესახებ 1866 წ. წერდა: „პოლონეთი იძულებულია აჯანყდეს, რათა მიიღწიოს სრულუფლებიანობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მთავრობა თრგუნავს მას; ერთ ღამეს აპატიმრებს ათი-ათასობით საუკეთესო ადამიანებს, რათა ჯარისკაცებად გაგზავნოს ციმბირსა და კატორღაში, მარცხნივ და მარჯვნივ ზერტს და აღრიზს და ბოლოსდაბოლოს აპატიმრებს მთელ პოლონეთს; მან მოატყუა იქნაობა გლეხები, მებატონეების მიწებს თქვენ დაგიბრებთო, ახლა კი ამ მიწებს შიდა გუბერნიებიდან ჩასულებს ურიგებს და მიუხედავად ყველაფერ ამისა, მთავრობას კიდევ ნღობა აქვს ჩვენებური გულკეთილი რადიკალების თვალში... ახალი თაობა კი ამზობს: რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს იბატონოს ამ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვას საკუთარ საქმეებს; სამართლიანობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენვე საკუთარი ინტერესები მოითხოვს პოლონეთის დამოუკიდებლობას აღადგინოს, რადგან პოლონეთი რუსეთს იმაზე მეტს უჯდება, რასაც იგი იქიდან ღებულობსო...

... მთავრობა თავის შიდალსა და კეთილშობილ თვისებებს ცხადსკოტეს სილატაკითა და უფიცობით, მსახურს დაორგუნვით, საყვირაო სკოლების დახურვით, გლეხებისათვის მიწის წართმევით, შექთმანობათა მთელი ხროვისადმი მხარის დაქვრით, ვადსახლებით, საკატორღო განაჩენებით, ჩამორჩობით, სულ უბრალო დანაშაულობისათვის სიკვდილით დასჯით, ეჭვით დამატომრებულთა სიკვდილით დასჯით, მერავიოვის და კომპ. მოსურვეებით, კატკოვის საამებლად სიკვდილით დასჯით... (იხ. მთავრობა და ახალი თაობა, თხზ. რჩეული ნაწერები, 1931, გვ. 243 — 244).

5. მიხეილ ნიკოლოზის ძე კატკოვი (1818 — 1887) — რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი. 1850 — 1855, 1863 — 1887 წლებში იყო რედაქტორი რეაქციონერი გაზეთის „მოსკოვსკიე ველომოსტისა“. მიხ. კატკოვი ბევრჯერ გამოუღაშებია საქართველოსა და ქართველი საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ. 1865 წ. კვამთი ქმონდა დ. ყიფიანთან, ნ. ნიკოლაძესთან, მას გამანადგურებელი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ (იხ. „კატკოვის პასუხად, „დროება“, № 40, 1882; ნაწერები სრულ კრებულში, ტ. IX, გვ. 3 — 10, 1928. მისი ავტორაფი დაეცუა: საქ. საზ. მუზეუმის ხელნაწერთა განუ-ში, ილია ჭავჭავაძის ფონდი № 64).

60 — 70 წლებში ნ. ნიკოლაძემ ბევრჯერ გაილაშქრა კატკოვის წინააღმდეგ „თბილისის უწყებასა“ და „ობზორში“.

80-იან წლებში კატკოვის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ცნობილია ილია ჭავ-

ჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და სერგეი მესხის კამათი მაშინდელ პრესაში.

6. როგორც ამ წერილიდანაც ჩანს, თავიდანვე ილია ჭავჭავაძის ნათელი ცხოვრების ერთგვარი მშვენიერ ღირსებას შეადგენდა მისი დიდი მანაოღმდეგ შემდგომი 1906 წლის აპრილში, როცა ილია ჭავჭავაძე აჩრეული იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, მან ერთერთმა პირველმა აღიმაღლა მისი სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებისათვის. იგი შედიოდა სახელმწიფო საბჭოს წევრთა შემარცხე მცირე წრეში. ერთნაირს მ. ბოლშევაძის ვადმოცემით — „ეს წრე თავის კრებებზე აჩრევდა იმ კითხვებს, რომელნიც სათათბიროში შხადდებოდა. ასეთი დიდი კითხვები იყო: ამნისტია, სიკვდილით დასჯის მოსპობა, აგრარული კითხვა და სხვ... სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა“ (იხ. ურნალი, „განათლება“, 1908 წ. № 3 — 4, გვ. 111).

სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც გაიხსნა 1907 წლის 20 თებერვალს, ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სიტყვით სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შესახებ. სიტყვის სრული ტექსტი არა ჩანს. მისი დაბეჭდა მთავრობამ აკრძალა. ამ საკითხის დასმა სახელმწიფო საბჭოში, რომ ილია ჭავჭავაძეს ეუთვნის, ეს ჩანს სხვადასხვა ლიტერატურული ცნობებიდან. ერთნაირს მ. ბოლშევაძე ვადმოგვეცემს თვით ილის ნათქვამს: „გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავეკითხე ჩვენ წრეს (სახელმწიფო საბჭოს შემარცხენეთა ჯგუფს), მერმე კი სახელმწიფო საბჭოს“ (იხ. ურნ. „განათლება“, 1908. № 3 — 4, გვ. 110 — 111).

ილია ჭავჭავაძის სიტყვის, — სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შესახებ, ჩვენამდე შემონახულია მხოლოდ კონსპექტის ჩანაწერი (ნაწყვეტი), ავტორაფი, უთარილო, ქართულ-რუსულად თეზისების სახით ჩამოყალიბებული 7 მუხლად (იხ. საქ. საზ. ლიტერატურული მუზეუმის № 17513). ტექსტი სათაფრით — „სიკვდილისათვის“ მოგვაგვს მთლიანად:

[1906 წლის ბოლო — 1907 წლის დასაწყისი]

**სიკვდილისათვის**

[1] გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა და საჭიროა, როცა ჭკუა მოკლებულია შეჭლებას გაავოს რამე. შეჭსპირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი მარტო აღამიანის ნიჭია.  
2. პო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე რომ სასწორზე დაიდვის არა მგონია ისე თვალსაწიროდ გაიღიზიოს ან მოსა და ან

არასცნ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე და სს. სს.

3. ხოლო სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა: ა) ილუწებს გრძობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიღლება და ზმირის ნახეთ — კი ყურიც ვეცევა და გრძობაც. მე. ეხლა სიკვდილი ისეთი ზვეული რამ ამბავია, არავის-ღა უმღვრებს გულს და უკრადღებასაც არ აქეცეს, ბ) არყევს ზნეობას, რადგანაც ართმეც იმას, რის მიცემაც არ შეუძლიან, გ) შეედიომა დასჯისა აღარ სწორდება და უღანაშუალოს ჰკლავს.

4. წინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე. ჰენეს სიტყვა: მე მტერი მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა ვეხდავს სახრზობელზე ჩამოცილებულს.

5. მთელი ქვეყანა თხოულობს და თუ ბანის მიცემაში შეეცდით, ნუგეში იშაშია რომ ავეყვით ხმას ზეთისას, რადგან ხმა ერთსა არის ხმა ღვთისა.

6. საბუთად მოვეანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს, თუ აკლებს დანაშაულობას, არასფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიძრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული.

ჰო და არას საბუთებს შორის ერთი რამ არის ზოგადი ერთიცა და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო მოწამის როგორც ერთისას, ისეც მეორისას. აქ მარტო დიალექტურია ღონისძიება ერთმანეთის დასაჯერად მიმართული.

7. Убийство, смертная казнь, стали таким обычным явлением, события этого рода до того приучили нас относиться к ним равнодушно, что притупилось чувство для возмущения и ощущения всей жестокости этих явлений, а это открывает путь к огрубению в стране народного чувства. Подобные события, как обычные явления, пере-

стали быть новостью. Не заговаривает уже чувство возмущения.

Вопрос как нам быть, *ვესანი-პრესენსი* не отмене смертной казни, несмотря на все [наши] старания, не придет, не может быть разрешен, довольно арифметического порядка. т. е. тем, что группа, ставшая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтобы произвести какое-либо впечатление. какое-либо замешательство среди огромного большинства остальных. Я не так прост, чтобы помогать, что [уход наш(?)]

დასაწყისზე, გვერდით არშიაზე მინაწერია: „Когда умирает Бог в душе противника смертной казни“.

7. ილია ჭავჭავაძის ეს წერილიც პირველი წერილის შემოკლებული ვარიანტია. ქვეყნდება ღედნის ქართული თარგმანით. როგორც ჩინს, ილიას ებისკოპოს სერაფიმეს წერილის მიღების შემდეგ დიდხანს უფიქრია პასუხის მისაქემად. საპასუხო წერილის რამდენიმე ვარიანტია (მაგი) შემონახული. ზვენ მათგან ვაქვეყნებთ ორ ვარიანტს — პირველს ყველაზე უფრო სრულს და გარკვეულს, ხოლო მეორეს შემოკლებული რედაქციისას. დანარჩენებს ტექსტებიც იგივეა, უფრო პირვანდელი შავები.

წერილის ტექსტი! ფურცელია, ავტოგრაფი (მაგი), რუსულად. ამ წერილზედაც (როგორც პირველზე) არ არის აღნიშნული ადრესატი და უთარილია. დასაწყისზე წითელი ფანქრით. [გიგო ვიღშეძის] ხელით მიწერილია: Отв [ет] на письма от Сераф [има] г. к. [гр. Кипшидзе]. ამ მინაწერმა მოგვეცა საშუალება ძიებისა და მასთან დაკავშირებული საჭირო საკითხების გასარკვევად.

წერილი დაცულია საქ. სახ. მეზუუმში (იხ. ხელნაწერთა განყოფილება, ილია ჭავჭავაძის ფონდი № 118).

შალვა გოჯალიაშვილი

## ილია ჭავჭავაძის როზორც რედაქტორი

ილიამ, როგორც ქართველ ეურნალ-გაზეთების რედაქტორმა, დაუფიქრა და დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, ქართულ ენას, პუბლიცისტიკას, კრიტიკას, საერთოდ — მთელ ქართულ კულტურას. თითქმის ოცდახუთი წლის განმავლობაში მას ეჭირა ამყად და სახელწოდებ სპექს ქართული ეროვნული ცხოვრებისა; ის იყო მამაცი მებრძოლი, სიყვარული გმირი საქართველოს სახელწოდანი და შინაარსიანი ისტორიის, მისი სახელისა და ღირსების დაცვისათვის უმავალით ბრძოლაში.

„ილიამ, როგორც რედაქტორმა, შემოიკრიბა ნიკიერი ახალგაზრდა, ეროვნული იდეებით გაყვნილი, წინ უძღოდა მას, მავალით აძლედა, თუ როგორ უნდა ებრძოლა ხალხის საკეთილდღეოდ, ენის წმიდათა წმიდის დასაცავად.

როდესაც ილიამ თავისი ეურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთა, ყველას ეგონა, რომ ილია, უკვე ხანში შესული ადამიანი, ვერ შეძლებდა ყოველდღიურ დამაბულ სარედაქციო მუშაობას, როგორც ენობლია, ი.ე. მანამდეა პირდაპირ და მოუტილებლად უთხრა ილიას: „სავაზეთო მუშაობა სრულებით შენი საქმე არ არისო“.

„ივერიაში“ ილია ისე მუშაობდა, „ვეგონებოდათ იგი წლის ქაბუკით, ორი-სამი საათიც რომ ყოფილიყო ღამისა, ძილი და მოსვენება ფიქრადაც არ მოუედიოდა; ვიდრე ახლად დაბუკდის, სველ-სველ გაზეთს არ მოუტანდნენ. რა სიამოვნებით, რა სახარულით გადაიკითხავდა ხოლმე ნომერს. მუშაობდა ილია ვატაკებით, მაგრამ თანაც კი აფრთხილებდა თანამშრომლებს და ეუბნებოდა: „ყმწიფილებო, არ მიღალატოთ, თორემ ხომ იცით, თუ პაკის ერთი წიერი მოგრდება, გათავდა: პაკი ბოლომდე ჩაირღვევა, მისი შველა შეუტლებელია. მეც ასეთი თვისება მაქვს: მე შუა ვახზე დადგომა არ ვიცი. ამასაც გეტყვით: კამჩის ჯიშისა ვარ, რაც ვინდა მძიმე დატვირთული ურემი. იყოს, უკან არ დაეხევე, ზრამიდანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერი ტოლები შეყოლებიან, მხარს დამიჭერენ. მაგრამ ოინანი ცხენის ზნეცა მჭირს: თუ ერთი შევდგე, დავირდი — გათავდა: მერე კეტებით რომ მცემოთ, წინ ფეხს ვეღარ გადამადგმევიანებთ (მანსვეტაშვილი, „მოგონებანი“, გვ. 85).

ქართული გაზეთის გამოცემა ილიას რედაქტორობის დროს ადვილი საქმე არ იყო. რედაქტორის უნდა გაველო ეკლიანი გზა. ჩვეულებრივი სიღარიბე სულ უხუთავდა რედაქციის რედაქციის ორიოდ მედმივი თანამშრომელი შიშიშისა და წყურვილს განიცდიდა. გაზეთის თანამშრომლები პანორას არ ღებულობდნენ. რუსის მოხელეები „ქართველ პატრიოტებს“ მტრულად უყურებდნენ. ქართული საზოგადოება, გამსაყუთრებით გადაგვარების ვახზე დამღვარი თავად-აზნაურობა, უბრალო გულგრილობას როდი სუკრდებოდნენ, პირიქით, კილავდნენ და ღანძლავდნენ ქართულ გაზეთს, მის მუშაკებს. პირდაპირ საშინელი და სახიფათო იყო მამინდელი ცენზურა, რომელიც ყოველდღე მავალუნასათვი გულზე აწეა და სულს უხუთავდა გაზეთს. ცენზურად ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ქართველი მწერლების ჯალათად მამინდელი იყო ლუკა სტეფანიშვილი ისარლოვი. ეს კაცი იყო ქონდრის ტანისა, ბაჯაჯღანა, მახინჯი სულითაც და ზარკითაც. წვერ-ულვაშითაბარსელი, ფლიდი ენის პატრონი. რომელ არქივში განაზნა და გამოაშუქრა ეს არა კაცი მთავრობამ არაიენ იყოლა. ამბობდნენ კი, რომ ამ არაკაცი ქართული ლიტერატურა „გააბედნიერა“ ღვეან შელოქიშვილში (გენერალ-გუბერნატორმა).

ლუკა ნამდვილი ძველი პოლიციელი იყო: გული გაჭაყვებული, კეუთი გამოფიტული. ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი სული გამსჯა, ვერც ხეყწა და მუდარა ვერ მიადწედა იმის გულსა და ტიენს. მას სწამდა და სუკრდა მხოლოდ ნება და ბრძანება თავისი წარმომგზავნებისა, დანარჩენს კი „იმისათვის ერთი ბისტის ფასიც არ ჰქონდა“ (ი. მანსვეტაშვილი, გვ. 87 — 88). ამისთანა კაცთან უნდა ჰქონდა საქმე ილია ქავჭავაძეს, როგორც რედაქტორს.

ილია და მისი ერთგული თანამშრომლები საქმის დიდის სიყვარულით, შრომით, წყითა და დაგვით მოზაბდებულ გაზეთს უგზავნიდნენ ცენზორს. დიდი ილია გულის ცახცახით ელოდა, თუ რა საბით დაეპრუნდებოდა ცენზორისაგან გაზეთი. მოუესმინათ იაკობ მანსვეტაშვილს, „ივერის“ ერთ-ერთ მთავარ თანამშრომელს:

„ავერ მოგვიტანეს გაზეთიც. დაგებდავდიოდა გულს ელდა ეცემოდა. გაზეთი გაზეთს არ გავდა, სულ წითელი მელნით იყო შეთხუნული, ჯეარტინად ვადიხაზულ ვადმობაზული. ეს იმას ნიშნავდა, რომ წითელი ხაზებით გადაგვარდენებული ადგენები უნდა ამოგველო და სხვა რითიმე შეგვეცვინო. ეს არც ისე ადვილი იყო. დაელოდებოდით, დაქმარდებოდით, — გაზეთის ამგვარად გამოშვება შეუძლებელი იყო. მოცდენილ ყანას მო-

ვაგონებთან ალაგ-ალაგ რომ მოტიტვლებული ადგილები სწანს. ილია თავს მოიკლავდა, ასე დაშინებული ვაგონით საქვეყნოდ გამოტანილი, რომ ენახა. დავეტოვებინა ცარიელი ადგილები და შენიშვნა მივყვე, რომ „საქენსურთ პირობებისა იმით“ ვაზეთი ამ სახით გამოდისო, — ჩვენ არ გვეტონდა კანონის ძალით უფლება, ცარიელი ადგილები უნდა ავეყვოთ რაიმე წინასწარ დამზადებული მასალით ან უნდა წესდელით ცენტრითან და ხვეწნით, ან შედარით დავგვეწმენებინა, რომ წაშლილ ადგილებში არავითარი საშენი და საწინააღმდეგე ვისიმე არ მოიპოვებოდა“. ილია დიდ ყურადღებას იჩენდა სარედაქციო მუშაობაში, დიდად აფასებდა ვაგონის თანამშრომლებს: გიგა ყიფშიძეს, სტეფან ჭრელაშვილს („სანოს“) აღქმანდრე ნაწილში, ილია ზინელს, იაკობ მანსავერს, ხიზანაშვილს (ერბნელს), არტემ ახანაშვილს და სხვებს. ყველა სენი ერთგულად და გატაცებით ეკიდებოდნენ საერთო საგაგონო საქმეს. ასეთი გატაცებული მუშაობის შედეგად იქნებოდა თვით რედაქტორი — ილია. ის საქმის სულსაწინააღმდეგე, გზის მანქანებელი, ენის მისწავლებელი იყო უკვე ხანში შესული ილია ახლავდნენ ხალხით, გატაცებით მუშაობდა თანამშრომლებთან ერთად. სულ იმას ედინებოდა, რომ ყველასთან შეთანხმებით ემუშავა გვ. 88.

„ამიტომაც იყო, — ივანეს მანსვეტაშვილი, — რომ არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არც ერთი ფელეტონი, არც ერთი კორესპონდენცია ისე არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწივად, ვიდრე მთელი სიგაძე-სიგანიო, ძირიან-ფესვიანად არ გადავთვალავდებოდა, არ გავრანდავდებოდა. ეისხელით ღმის ორ საათამდის და გულდასმით ვასწორებდით, ვამზადებდით მასალას დასაბეჭდად“ (გვ. 77).

პირადად ილია — რედაქტორი ნიჭიერი პედაგოგის ილია ზინელის ფელეტონებს აქვეყნდა დიდ ყურადღებას და გაუსწორებლად, გაუსინჯავად არ გაუშვებდა სტამბაში, ილია ზინელის მიერ უცხო სიტყვების ბარბარობის ხშირი ხმარება ეუცხოებოდა, არ მოსწონდა. „ახა ჩემო სენიანე, მიმართავდა ილია ზინელს, — რა მოგიტანია?“ აღუბნდა მის წერილს ზღმის და დაწვევება ქართულად მონათვლას.

დამსწრე თანამშრომლებს უკვირდა, რა დაუშვებელი წყაროდან მომდინარებოდა ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლმე. შევიდოდა სიტყვების სიგაძე-სიგანოში, დაიწვებდა მეტყველების საღაროში კვლევა-ძიებას, ძებნას ზალუღ ძალეულისა და ქართული ენის სიმდიდრეიდან ისეთ მარგალიტებს გამოაღავებდა, რომ მსმენელი განცვიფრებაში მოყავდა. და ასე გამართული ფელეტონი სტამბაში გაიგზავნებოდა.

ილია, როგორც რედაქტორი, სისასტიკეს იჩენდა წერილების განხილვისა და დაბეჭდვის

დროს. ვისაც ძველი „ივერიისათვის“ თვლი უღვევებია, ან მისი კომპლექტები წმინდებისა და დიდთვალეობისა, უსათოოდ იმეორებდნენ „ივერიის“ ლექსები იშვიათად იმეორებოდა. მიზეზი ის იყო, რომ ილია ძალიან მაკაცად და სასტიკად ეკიდებოდა ლექსებს. ვაგა-ფშაველას ლექსებს კი ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა ვაგონით. იმეორებოდა დროგამოშვებით დავითაშვილის ლექსებიც.

ილია ხშირად ურჩევდა რედაქციის თანამშრომლებს: „თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვები — ფიგურა, ვარდი, ბუღელი, მთარა და სხვა ამისთანები ბოლომდე ნულარ წიკითხავთ გვერდზე გადაადგეთ, დროს ნუ დაყარავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოვილარი, ლექსად ნაჯღანია“.

ართუ ვადავარებული ქართველები, განათლებული, „მოწინავე“ საზოგადოების ზოგერთი წევრიც ილიას „ივერიას“ ენის უწუნებდა: „ვაგონის ენა არ უფარავთ, მიმივე, ეკლესიურიათ“. „მგზავის წერილებს“, „გლახის ნამბობის“, და, ბოლოს, „თათარათ ქერიის“ ენის ელეა — ბრწყინვალეა, სიუხვე და სიმდიდრე მათ არ მოსწონდათ.

„ეს კიდრე რა ვანყოფილებები შემოიღეს ვაგონით“. „დამაკვირდი“, „ნარკვევები“, „ნაკვესი“? ეს სადაური ქართულია? სისინებლანე უნიჭო ლებარალები.

ციმბირიდან დაბრუნებულმა ჯაბადარმა, ილიას კარგმა მეგობარმა, რედაქციის ერთ-ერთ კრებაზე განაცხადა, რომ მას აქვს დაწერილი რუსულად წერილი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ; თურნად „Северный вестник“-ში აბარებს დაბეჭდვას, მაგრამ ჯერ უნდა „ივერიის“ რედაქციის წევრებს წაუკითხოს. მართლაც, მალე მოერთნია და წაუკითხავს: სხვათაშორის, ჯაბადარი უფროებდა ნესტან-დარეჯანს და ტარიელს პასივობას, ვანუწვევებოვ ჩივილს, წაწმენს და ცრემლის ღვრას.

„ილია თავისებურად გაცხარდა, — მოგვიტაროს ამ საქმის მოწმე იაკობ მანსვეტაშვილი, — და ვაგონებულზე უფრო: „არა, ბატონო ივანე, ჩვენ ვგრე აღვიღად ვერ დავითმობთ რუსთაველს დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით ვერ ვიზოშებთ ავეფხისტყაოსანი“. ამას მეტი მოთქვება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის შენიჭვერების ნაგარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა კუთხით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულსავეთობა, ჩაწვდეს გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მჯღის ცემა. ეს იქნება ქართული კაცის ნამდვილი სულისტემა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკამბიეისკის კრიტიკა...“ (გვ. 92—93).

მთხვადავად ასეთი სამართლიანი მხილება — დარაგებისა, ჯაბადარმა მიანიც დაბეჭდა რუსულ



ერთნაღში წერილი. ილიამ „ივერიაში“ არა ერთხელ აწახლა გულისწყრომით ივ. ჯაბაძე-რის უსაფუძვლო ვალაშქრება.

როგორც ცნობილია, ილია აბალაზრდობიდანვე გაღწეულა, მორიდებულად ამხელდა და ეტახება შინაური მტრების, გადაგვარებულ ან გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველების უღირს და ერისათვის მავნე საქმეს და საქციელს. ეს უღირსი მამულისშვილი ილიას წინააღმდეგ ამჟამად გამოსვლას ვერ შედედებენ, ჩუმაღ კი სისინებდნენ: „ილია ქართველებს ცილს სწამებს, გვეცარებს, ძირს გვითხრის, ჩვენ ნაკლულევენებს არ მალავს, მისხარად გვიგდება და ამით მტერს ახარებსო“.

როგორც ცნობილია, შავრამელმა რედაქტორმა კატკოვა „Москв. ведомость“-ში იმის გამო, რომ „სამშობლოს“ დადგმის დროს სცენაზე ქართული დროშა გაშალეს და ამან გამოუთქმელი აღტაცება გამოიწვია თეატრში, უშვერი და უტიფარი სიტყვებით შეურაცხყო ქართველი ერის თავმოყვარეობა, ხაზი გაუსვა მის ისტორიას და ცინიკურად განაცხადა: „ქართველებმა თავი უნდა დაანებონ სიზმრებს, ბოდვას და როტვას ქართველთა რაღაც წარსულზე; ურჩევ მათ ახლა ეს ქართული დროშა გოდფრადის ცირკს ჩააბარონ, იქ ჯაბაძეები და ტაყმაზხარები უკეთ გამოიყენებენო“.

ილია არ შეუშინდა არც მთავრობას, არც ეგზეტრას და მისთვის ჩვეულის ლოგიკის სიმღერით და სიმშაფრით გასცა პასუხი თავის გაზეთში კატკოვს — რუსეთის მოწინავე აზროვნების ჯაღას, რეაქციის სულის ჩამდგმელს, პროგრესული იდეების სულთამხუთავს. და თუ სინდისისა და პატიოსანებისაგან დაიღლია კატკოვა ილიას მძლავრმა სისასტიკემ ვერ გადაარჯულა, ქართველს მაინც გული მოფხანა, აგრძობინა, რომ ის გაქირებულში მარტო ის არის, რომ მას მოეპოვება ძლავრი მოთავე და ნამღვილი ბეღალი, დამცველი“ (მანსეტრამეილი, „მოგონებანი“, გვ. 132).

კიდევ ერთი მაგალითი.

კავკასიაში ყოვლად ძლიერმა და ქართველების დაუტრებელმა მტერმა განათლების მსახურველმა იანოვსკიმ ერთი კალმის მოსმით განიზრახა ქართული ენის მოსპობა სკოლებში. ამ ამბავმა დიდ საგონებელში ჩააგდო ქართველი საზოგადოება. ქართველებს მაშინ ჰუფდა ცნობილი და ნიჭური პედაგოგები (შწერლები, ისტორიკოსები, პედაგოგისტები), მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა იაკობ გოგებაშვილი. ქართული ენის საბელმძღვანელოების შემდგენელი, მას ცოდნად დიდი ჰქონდა და კალამიც უჭრიდა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ იკისრა საბრძოლველად გამოსვლა. თვალი კი მათ და, საერთოდ, მთელ ქართველ საზოგადოებას ილიასკენ ეპირათ.

ილია ჩაუჯდა წიგნებს, საკითხი ღრმად შეისწავლა, თავის გამურიახი გონების ცხრილში

გაატარა და დაწერა ისეთი წმინდა პედაგოგიური ხასიათის წერილი, რომელმაც უპედაგოგებზე გააკვირვა, ასე ზედმიწევნით არაფერ შეუთვისებია ჩვენი მეცნიერებო.

ამ შესანიშნავმა წერილმა ხელი შეუწერა იანოვსკის და თავის განზრახვა გადაადებინა. აღნიშნავს რა ამ ფაქტს, მანსეტრამეილი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ასეთი დადებულებიანი ადამიანის თვისება: რაღაც შთაგონებით ჩაწვდებიან ისეთ სიღრმეს და იქიდან ისეთ ძვირფას მარგალიტებს ამოკრეფენ, რომელიც სხვებისათვის, თუთი სპეციალისტებისათვის, სრულიად მიუწვდომელია“.

„ივერიაში“ სარედაქციო კოლეგიის კრებებზე, ილიას თავმჯდომარეობით, გარდა ლიტერატურული საკითხებისა, საქართველოსათვის ბევრი საქირ-პიროტო საკითხი იჩნეოდა. ილიას დიდად აწუხებდა ქართველი ხალხის გლეხობის ეკონომიური უწყობა, მაგრამ როგორ უნდა მოეკლდა ხელი ამ საქმისათვის მოწინავე ქართველი ინტელიგენციას, ეს ნათლად და საფუძვლიანად არ იყო გამოჩვეული. ერთ საქმეში კი „ივერიაში“ სარედაქციო კოლეგიის წევრები შეთანხმებულად მსჯელობდნენ და აზროვნებდნენ: ზრუნვა და საქმიანობა იქითკენ უნდა მიმართულიყო, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენსავე ხალხს შერჩენოდა ჩვენი ავლადიდება ჩვენივე ხელით მიგვეწვდინა მომზარებლისათვის და რაც ჩვენ გვჭიროდა (ფართულელობა, რკინეულობა თუ სხვა რამ), შეგვეცინა უშუამავლოდ.

და როდესაც ჩვენში გამოჩნდა მოსაქმე ხალხი (მავალითად, მაჩხანელი თავის ეკონომიური პროექტით), ილიამ გზა გაუხსნა მას; „ივერიაში“ წლების განმავლობაში თავის ფურცლებზე ცოცხალი პროპაგანდა გაიშალა.

ძველებს დღესაც გვახსოვს ნადირაძის (მაჩხანელის ფსევდონიმით) საბელი და პოპულარობა. მაჩხანელი საბელი და პოპულარობა სამართლიანად „ივერიაში“ და მისმა რედაქტორმა შეუქმნეს. მაჩხანელს შწერლობაშიაც ეღდა ფეხი. მან დაწერა თავის დროზე პოპულარული მითხრობა „ძმური სიტყვა“, რომელიც „ივერიაში“ იბეჭდებოდა.

მაჩხანის დღემს და კომპარტიკის საბელი ერთ დროს ჰქედა და ქუბდა.

საშწერლოდ, ჩარჩოვებებში და მათ შიერ მოყრდენელმა მოხელეებმა შეერთებული ძალით გამოილაშქრეს ჯერ ნორჩი, შეთიარაღებული და წესებულების წინააღმდეგ და ჩაკლეს იგი.

„ივერიაში“ და მისმა რედაქტორმა ილიამ აღზარდეს მთელი პლეადა ქართველი შწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. „ივერიაში“ ნამღვილი სკოლა იყო ნამღვილი კერა ნიჭიერების, ტალანტის აღზრდისათვის. სხვას ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, „ივერიაში“ და ილიამ აღზარდეს და დაავაკაცეს დიდი კაცა. მე სტებზე აქ სიტყვის არ გაავარძელებ. ეს აღიერ თემა.

შე აქ მიიღო ვიტყვი „Pro domo sua“.

თუ შე დღეს ფეხი მიდგას ჭართელ შწერლობაში, ეს, სხვათა შორის, პირველყოფლისა, „ივერდისა“ და მისი რედაქტორის ყურადღებას და წაჭებების წყალობით. შე რა დამაფრთხნებს ამ სასიხარულო დღეს, როდესაც ჩემი სუსტი სიტყვები პირველად „ივერიაში“ ვიხილე. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფეს „ივერიაში“ დამიბეჭდა რამდენიმე კორესპონდენცია ზუგდიდთან „იხო ხეთელის“ ფსევდონიმით. მოწაფეობის დროსვე მე „ივერიაში“ იმითი შემახსია ფრთხილი და გამამბედურია, რომ დამიბეჭდა ჩემი გვირგვინის მოწერით დიდი ფულბრუნა: „ფსემ და მისი სკოლის აზანაგი“ (თარგმანი).

1895 წელს მე ყაზანის აკადემიაში შევედი. ერთი წლის განმავლობაში შედარებით ბევრს ვკითხულობდი; დრო ბევრი მქონდა. ამ წლის დამთავრობაში მე აზრადაც არ მომსულია რაზე დაიწერა და საქართველოში დასაბეჭდად გავგზავნა.

მხოლოდ მეორე წელს, ე. ი. 1897 წელს, ვცადე ვრცელ წერილს დაწერა. დაეწერე წერილი სათაურით: „პროფ. ისავეის რეფერატი. სოციალ-გაგზავნე „ივერიაში“. დაუყოვნებლივ დაიბეჭდა გაზეთის მე-2 ნომერში.

ამით გამხნეებულმა მალე დაეწერე მორბადილი წერილი: „ერის განმანათლებელნი (მასწავლებლები) და მათი მდგომარეობა“. ეს წერილიც მალე დაიბეჭდა „ივერიაში“ 34 და 35 ნომერებში.

ამის მოჰყვა წერილი: „ოქროს მთები და ბირჯის მეფენი“ (დაიბეჭდა „ივერიის“ 101—102 №№-ში), „თვითმკვლელობა და მისი გამოწვევი მიზეზები“ (დაიბეჭდა „ივერიის“ 150—151 №№-ში).

ახლა რომ ვაკვირდები ამ ჩემი თემების ხასიათს, ვხედავ, რომ აკადემიის მეორე კურსზე მე სოციალურ-საზოგადოებრივ საკითხებით ვყოფილვარ დაინტერესებული. ამ საკითხებს მე, ალბათ, ვამუშავებდი ისე, როგორც ეს ილიას მსოფლმხედველობისათვის იქნებოდა მისაღები და მოსაწონი. ამით აბსონება ის ფაქტი, რომ ჩემი წერილები შეუმოკლებლად და შეუსწორებლად იბეჭდებოდა.

1898 წელს მე განვაგრძე „ივერიაში“ თანამშრომლობა. გაზეთის 12 №-ში დაბეჭდა ჩემი წერილი „ძალა სიუვარულისა“ და №№ 209—210-ში დიდი წერილი „რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას“.

უფრო დაწვრილებით შევჩერდები ჩემს წერილებზე. — „ძალა სიუვარულისა“, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მან ყველაზე მეტი პოპულარობა მოიპოვა კითხველში, მეორე, იმიტომ, რომ მან ჩემს ცხოვრებაში შესაძინევი როლი ითამაშა.

ამ ჩემს წერილს ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული სიტყვები: „Все обновляется, все создается, все возрождается силой любви“ — ლერმონტოვის „Демон“-იდან.

ილიას თერმე, ძლიერ მოეწონა ეს წერილი. თანამშრომლებისათვის უთქვამს: „წინა მდგომარეობა ეს ახალგაზრდა ამ კვლევას [საზოგადოებრივ] მერე თურმე ვიგა ყფეშაქებს მიმართა ილიამ და უთხრა: „გაგა, ვეთაყვა, ვართავავას წერილი გაუსწორებლად ვაუშვია“. როგორც ცნობილია, ვიგა ჭართელი ენის დიდ მკოდნელ თოვლობად „ივერიის“ რედაქციაში და ძლიერ უყვარდა სხვისი წერილების გამალაშინება. ამ ფაქტის შესახებ მე წერილი მომწერა ჩემი სკოლის ამხანაგმა, იმ დროს „ივერიის“ თანამშრომელმა — ილია აგლაძემ.

ამ წერილის გამო რამდენიმე, ჭბებით ისლავსე, წერილი მივიღე მუთასიელი უცნობი ახალგაზრდებისაგან.

მაგრამ ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო ჩემთვის ჩემი ყოფილი ამხანაგის — ნიკო კერდულაშვილის (შწერლობაში „ნარ-კანის“ ფსევდონიმით ცნობილის) წერილი. მე და ნიკოს სემინარიაში სერიოზული უთანხმოება მოვიციოდა. ისე დავამთავრეთ სემინარია და ერთმანეთს დავეშორდით, რომ ერთმანეთისათვის ხმა არ ვავიციო. და ეს ჩემი გულნატყნი და სერიოზულად მომდურავი ნიკო ვრცელ, აღტაცებულ წერილს მწერს და დიდი ჭბებით ისენიებს ჩემს წერილს „ძალა სიუვარულისა“. სხვათაშორის ის გულახდილად მწერდა: „თუმცა გემდურდი, მაგრამ ყველა შენს წერილს ვკითხულობდი „ივერიაში“. კარგი წერილებია. მაგრამ უკანასკნელმა წერილმა აღტაცებაში მომიყვანა და შენთან შემაიგა. საამოცნებით ხელს გართმევ და მძერად გადაგკოცნიო“.

მეთოხე კურსის სტუდენტმა 1899 წელს „ივერიაში“ (№№ 94—98) დაბეჭდვდ წერილი: „უტილიტარისტები და მათი მოძღვრება“. ამავე წელიწადს დაბეჭდვდ ვაზ. „ივერიაში“ მიიღო ცალკე პოლემიკური ხასიათის წერილებისა კურნალ „კვალისა“ და მისი მთავარ თანამშრომლების — ნ. კორდანიას და ფ. მახარაძის წინააღმდეგ: 1. („ბაზრობა“ „კვალისტების“ რიხიანობა — ამპარტავნობა — ფანატეოსობისა“ (№№ 53—54); 2. („დაუღლელობა“ შაბლონური ქაღალევა და ფრაზიორობა“ (№№ 79—80); 3) „ბ. ნ. კორდანიას და მათა მისთა რეალური მამოღმევილობა“ (№№ 252—253 და 254). ამ წერილებს მე ვწერდი „ვარ“-ის ფსევდონიმით. ჩემ „მოგონებათა“ მეორე ტომში დაწვრილებით მაქვს მოიხრობილი, თუ რა მიზნით და რა მოსაზრებით შევსრულად უცნობა, — აკადემიის სტუდენტო იმ პერიოდში „ივერიის“ და ილია ქვეყვიძის ვარშემო დაჩაღებული მწვავე პოლემიკაში ჩაგვბი, და თუ რა მნიშვნელობას აქლევდა დიდი ილია ამ ჩემს ახალგაზრდულ გამოხმავრებას.

ერთხელ ილიამ, როგორც „ივერიის“ რედაქტორმა, ღირსა ვახადა თურმე ერთი ჩემი წერილი განსაკუთრებული ყურადღებისა. ამ ამავს

თავისი ისტორია აქვს და მსურს იგი მკითხველს გაეცნოს.

აკადემიის დამფუძნებლის შემდეგ (1899 წ.) მე რუსეთში — სიმფეროპოლში დამნიშნეს მასწავლებლად. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც ეს მიზანძანა ილიამ უკანასკნელი შესხვედრის დროს, გაემიჩი არ გამეწყვიტა „ივერიასთან“ და მისთვის ხანგამოშვებით წერილები მიმეწოდებინა. მახსოვს, რომ ერთი, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით საინტერესო, თემა ავირჩიე, მოზრდილი წერილი დაეწერე და „ივერიას“ გაეუზღავნე. ეს წერილი „ივერიასში“ არ დაბეჭდილა და თავის „ფოსტაშიაქ“ არ გამოუცხადებია, რა მიზეზით არ დაინგუდა. ცოტა არ იყოს, მივიჩნეოდა კი პირველ ხანებში, „ივერიას“ და მისი რედაქტორისაგან მე განხილული ვიყავი იმით, რომ ყველა ჩემს წერილს დაუყოვნებლივ ბეჭდავდა. დიდა ხანა განვლო. სხვა წერილები „ივერიასში“ არ გამოგზავნიდა. უცხოეთში მე დაეწერე რუსულად წერა. თანამშრომლობდა რუსულ გაზეთ „სალირა“-ში „Нездешний“-ს ფსევდონიმით. მკითხველებს ვაცნობდი ქართულ ლიტერატურას, კულტურას, ისტორიას. გამოვეცი რუსულად რამდენიმე წიგნი, სხვათაშორის: „Грузинская духовная переводная и оригинальная литература с VI по XVIII век“ და კიდევ ორი სხვა.

მე სრულიად დამავიწყდა რუსეთიდან „ივერიასში“ გამოგზავნილი წერილის შენაარსი და სათაურიც.

როცა რუსეთიდან საქართველოში დავბრუნდი, „ივერია“ აღარ არსებობდა. მისი თანამშრომლები დაიფანტნენ და თანამშრომლობდნენ სხვადასხვა გაზეთში. ხშირად ვხვდებოდი „ივერიის“ ძველ თანამშრომლებს: გრ. უიფშიძეს, ილია აგლაძეს, იაკობ ცინცაძეს (ია — ეყალაძეს) და სხვებს. მე არც მახსოვდა, აზრადღაც არ მომსვლია იმათაგან შეკითხვა, თუ რა მიზეზით არ დაიბეჭდა ათეული წლის წინათ გამოგზავნილი წერილი.

განვლო კიდევ დიდმა ხანმა; მე უკვე მოგზუცდი. და, აი, თითქმის ორმოცე წლის შემდეგ ზოთის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლათა საერთო საკომპლექტებელში ერთმა ჩემმა ამხანაგმა — ლექტორმა მაჩვენა პროფ. პაატა გუგუშვილის ნარკვევები: „ივერია“ ცენზურის ბრწყინებულში, სადაც აღნიშნული იყო, რომ „ივერიას“ 1900 წელს გადაუწყვეტა და დაბეჭდა ჩემი წერილი სამ ფელეტონად; პირველი ფელეტონი აქუსვითი, მაგრამ ცენზორის წაუშლია, აუკრძალავს. ამ ცნობამ დიდად მასიამოვნა. ჩემთვის გამოირკვა, რომ დიდ ილიას ეს ჩემი წერილიც უცვნიად ბეჭდვის ღირსად. მე კი უფიქრობდი, ვაით არ მიეწონა-მეთქი.

თბილისში ეს ამბავი ილია აგლაძეს ვაცნობდი ილიამ გაიხიზდა ამ ჩემი წერილის ისტორია და შემდეგი გადმოცემა: ილიას გაეხარა თურმე, მე რომ დაიბრუნებინებარ რუსეთიდან წერილებს

გამოგზავნა დაეწერე, დაუგვიანებლად გაეცნო წერილის შენაარსს და გიგას უთხრა, რომ სამ ფელეტონად გაეშვა. პირველს „ფელეტონი“ (დასაწყისი) ცენზორმა მოლიანდემ წაშლის ილიას თურმე ეს ძლიერ ეწეინა და დაახლოებით ასე უთქვამს: „უცხოეთში გადახვეწილი უმწეილი ასე ფიქრობს: პოლემიკური ხასიათის წერილებს მიბეჭდადნენ, რადგანაც ეს ესპიკოვობოდათ, ან კი უკრძალავს არ მპოევენო“. გიგასთვის — უთქვამს, წასულყო ცენზორთან და ეთხოვა მისთვის, ჩემი წერილი ცოტადენი ცელილებით ან შემოკლებით გაეშვა. გიგას შეუხარულეზია ილიას თხოვნა, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუღწევია. როდესაც მე ეს მოვისმინე, კიდევ უფრო დიდი პატივისცემით აღვიყვებ იმ ამხანაგსადმი, რომელიც პაატა, დამწევი კალმოსნების მომზადებისა და წაქეზებისათვის ასე ზრუნავდა მე ცხადად წარმოვიდგინე ილიას ლთაებრივი შეზღვის მოღვევა, წყრომა სიმშუელი ცენზორის მიმართ!

კიდევ ერთი ამბავი. იგი მე გადმოცემა ცნობილმა იურისტმა, აწ განსვენებულმა ზაქარია მაკავარიანმა. ოდესის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი რომანოზ ფანცხავა (ხომლელი) მასულა ოდესის ყოფილ სტუდენტ ზაქარია მაკავარიანთან და უთხორია, რომ მას, როგორც ილიას კარგ ნაცნობს, მოგზახრებია შეხვედრა ილიასთან, რათა ამ უკანასკნელს მოესმინა მისი კრიტიკული წერილი გრ. ორბელიანის შესახებ. ილიას ეს შეხვედრა დაუნიშნავს. მისულან ფანცხავა და მაკავარიანი ადრე. ილიას გუღდასმით მოესმინია გრძელი კრიტიკული წერილი, მისწონებია ავტორის მსჯელობა, ანალიზი; უთქვამს, რომ ავტორს აქვს კრიტიკული აზლი. დარაგება, მიუცია, თუ როგორ უნდა იმეშაოს. შერე თვითონ შეჩერებულა გრ. ორბელიანის შემოქმედების გარჩევაზე. ორი-სამი საათი ლაპარაკებდა თურმე გატაცებით იმ პოეტზე რომელთანაც მას, როგორც ცნობილია, შეზღავნებულა მქონდა.

ილია შემდეგ გადასულა ზოგერთ რუსი და საზღვარგარეთელი მწერლის შემოქმედების შეფასებებზე. ილიას მომაჯადოებელ მსჯელობას და სიტყვებს თურმე სულგანებელი და განციფრებული უსმენდა ორი ახალგაზრდა.

ილიას არც დაღლილობა, არც მოწყენა დასტყობია. მან თურმე თავისი ეჭვისათვის ლექცია დამათვრა მიმინ, როდესაც თენდებოდა. შიორულად ჩამართვა თურმე ხელი მსმენელებს და საწყოლი ოთახისკენ წავიდა.

„გაკვირებულნი, გაოცებულნი ვბრუნდებოდით მე და რომანოზიო, — დამათვრა თავისი მოთხრობა ზაქარიამ, ბევრი პოეტისორის ლექცია მოგესმენია უნივერსიტეტში, მაგრამ ილიასთანას მიინე ვერ ვიგონებდითო“.

ვინ იცის, იქნებ ამ ერთმა საღამომ გადაწყვეტა ბედი ხომლელისა და ხასიათი მისი ლიტერატურული მოღვეობისა...



# ილია ჭავჭავაძე-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი

ჯერ კიდევ პარტიცეპლა ქაბუკა ილია ჭავჭავაძემ კავკასიონის ქედი გადალახა, თვალწმენილი ველები გადასურა და საოცნებო ქალაქში, რევოლუციური აზროვნების ცენტრში, პეტერბურგში ფრთხილად შეაღო საამჟებრატორო უნივერსიტეტის კარები. აქედან იღწო მისი ცხოვრების წამდელი თარიღი და პეტერბურგში ამართული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროსა სიყვდილამდ ზელიდან არ გაეგლია და აქ ათებული კუმარტების ძიების ნაპერწყალი მარად კიადობდა მის პიეტურსა და პუბლიცისტურ სტიქიონებში.

ილია ჭავჭავაძე 1857 წლის 28 სექტემბერს ჩარიცხული იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე. ამის შესახებ ილიას პირად საქმეში ვკითხულობთ: „ს. პეტერბურგის ოლქის მზრუნველის მოვალეობის აღმასრულებლის წინადადებით, № 3998, თავადი ილია ჭავჭავაძე ჩარიცხულია იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილების, საკუთარ განყოფილებაზე მყოფ სტუდენტად 1857 წლის 28 სექტემბრიდან“<sup>1</sup>.

ილია უნივერსიტეტში ისმენდა მისთვის საინტერესო ლექციებს. იურიდიული ფაკულტეტი მაშინ გადატვირთული იყო საგნების სიმრავლით. გარდა ძირითადი დისციპლინებისა იკითხებოდა დამხმარე საგნებიც, მაგალითად, სტატისტიკა, ტექნოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა და სხვა.

იხ. ილიას პირადი საქმე, ГИАЛО. Фонд 14, дело 14084, связка 1010, год 1858. ст. 1—5. დასახელებული ცნობის გარდა, ილიას პირად საქმეში მოთავსებულია შემდეგი საბუთები: 1. თხოვნა უნივერსიტეტის რექტორის სახელზე სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ, 2. თხოვნა სწავლის ქირის 25 მანეთის შეტანის ნებართვაზე და გადახდილი ფულის ქვითარი, 3. უნივერსიტეტის წარდგინება პეტერბურგის ოლქის მზრუნველთან ილიას სწავლის ქირისაგან განთავისუფლების შესახებ, 4. ცნობა ამის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძემ განათავისუფლებულია სწავლის ქირის გადასახდისაგან სიღარიბის გამო, 5. ილიას თხოვნა რექტორის სახელზე დოკუმენტების დაბრუნების შესახებ, 6. უნივერსიტეტის კანცელარიის მიმართვა ილიასადმი დოკუმენტების გადაგზავნის და დასტურების მოთხოვნა ილიასაგან ასეთის მიუღებლობაზე, 7. მოწმობა ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ.

მაგრამ ილიას ლექციებზე უფრო სხვა საკითხები იზიდავდა. იგი ვატაცებული იყო ზოგადი პოლიტიკური და ფილოსოფიური პრობლემებით. ღრმად ითვისებდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — პელინსკის, ვერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პისარევის, მიხაილოვის და სხვათა რევოლუციურ იდეებს, სწავლობდა ძველი ქართული ლიტერატურის კორიფების შემოქმედებას და ადამ სმიტის, რიკარდოს, სისმონდის პოლიტიკური-ეკონომიის ხასიათის გამოკვლევებს.

ილიას მეგობარი კობეა აფხაზი წერს: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, მთელი წელშიაფი სასწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა საგნების კითხვაში იყო გართული. კითხულობდა სხვათა შორის ძველს ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზემენი და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18 — 20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მიწახავს, რომ წიგნთან მუდომარეს ჩასძინებოდა“<sup>2</sup>.

ილიას ზოგადი საგნებით ვატაციების დღი უდავოდ ამჩნევია მის ნიშნებს. ამაზე აშკარად მეტყველებენ საგამოცდო უწყისები. მართალია, იგი საგნების უმრავლესობას კარგად აბარებდა, მაგრამ საუკლებულო საგნების ნაწილი ჩაუბარებელი რჩებოდა. ამის გამო ილიას ჯგუფის საგამოცდო ყურნალში ჭავჭავაძის გვარის პირდაპირ გრაფში „Решения факультета“ სწერია: „Остается“ ანუ „Не кончила“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ლიტერატურული შემკვიდრობა, 1935 წიგნი 1, გვ. 564.

<sup>2</sup> მაგალითად, ჩვენ მიერ მიკვლეული ილია ჭავჭავაძის დოკუმენტების მიხედვით, 1857 — 58 სსსწ. წელს ჩაბარებული აქვს ოთხი საგანი შემდეგ ნიშნებზე: Внешняя истор. Росс. законод. 4, Богословие 5, Зоология 3, Психология 5, (იხ. Дело переводных и окончательных испытаний по юридическому факультету Императорского С. Петербургского университета за 1857/8 акад. год. Протоколы испитаний студентов 1-го курса юридического факультета разряда камеральных наук, в 1858 год.

ამავე დროს, ილია — სტუდენტი დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა, ამ პერიოდში დაიწერა თითქმის მისი ძირითადი ნაწარმოებები. 20 — 23 წლის უბედურ დაამუშავა ყველა ძირითადი პოეზიულმატიკური საკითხი. საეროოდ, ილიას თავისი ზანგრაღივი სიოცუბლის განმავლობაში, ყრობის ლექსებისა და თარგმანების ჩათვლით, დაწერილი აქვს დაახლოებით 165-მდე შატერული ნაწარმოები, ამათგან 85-მდე სტუდენტობის პერიოდს მიეკუთვნება. ამით რიცხვში შედის ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებები,

1858 — 59 სასწავლო წელს ჩააბარა: Технолoгия 4, Гражд. право 5, Ботаника 4, Грузинский язык 5. ქართულ ენას აბარებდა, როგორც არა ძირითად საგანს. (Список студентам 2-го курса юридического факультета, разряда камеральных наук. Испитания в 1858 — 59 г. ГИ А Л О. фонд 14, дело 19092, связка 1010, год 1858 — 59. стр. 13.). 1861 წელს: Государств. учрежд. Росс. Империи 4, Богослoвие 5, Русское гражд. право и судопроизв. 5, Грузинский Язык 5 (об. Ведомость юридического факультета административного разряда IV к. 1861 г. ГИ А Л О. фонд 14, дело 14109, связ 1012, год 1861, стр. 20—21).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის მასალები — ნიშნები და სხვა დოკუმენტები 1912 წელს შეუტრიაბია ახალგაზრდა მეცნიერს პროფ. ი. ჯავახიშვილს ილია ჭავჭავაძის გამომცემელთა სარედაქციო კომისიის დაჯალბებით. ეს და ილიასთან დაკავშირებული სხვა მასალები 1935 წელს გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნში. როდესაც ამას ვაღიარებ ჩვენ მიერ 1954 წელს პეტერბურგის ცენტრალურ და საოლქო არქივებში შეტრიალულ ილიას სტუდენტობის მასალებს, ვამხსენებ მცირე სხვაობას. შავ., 1857 — 1858 წლის ნიშნებში „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნებული მასალის მიხედვით ზედმეტად არის წარმოდგენილი სახელწოდებები და სხვაობა. ნიშანი — 4. ნამდვილად კი ილიას ეს საგანი არ ჩაუბარებია. 1858 — 1859 წლის ნიშნებში ტექნოლოგიის ნიშანი 4 მიწერილი აქვს ფსიქოლოგიას. ტექნოლოგია ნამდვილად ისწავლებოდა იურიდიულ ფაკულტეტზე. 1861 წლის ნიშნებში სამოქალაქო დაწესებულებების საგნის ნიშანი 4, მიწერილი აქვს ფინანსების შესახებ კანონებს. გარდა ამისა, „ლიტერატურული მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნებულ ილიას უნივერსიტეტის მასალებს არ ახლავს არქივის ფონდის, საქმის ნორმის და სხვა წყაროების დასახელება. ჩვენს პუბლიკაციაში ყველა ამას დაწერილობით უკუთმეთმე ლენინგრადის ცენტრალური და საოლქო არქივების აღწერილობის მიხედვით.

ბები, რომლებმაც განსაზღვრეს ილიას რელიგიურ-ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. ასეთი სახის ნაწარმოებები: პირველდღეულ რედაქცია „კაცია აღამიანის“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაცო ყანაღისა“, სამოლო რედაქცია „გლახის ნაამბობისა“ და „კაცო ყანაღისა“, მოემა „ქართლის დედა“, „ამრდილი“ „კაცო ყანაღი“ და ესეიერი „დღიშტრი თავედადებულისა“, ლექსები — „ხმა სამარადამ“, „გზაზე ზედი“, „გუთნის დედა“, „როდემდის“, „ეხილე სატრფო“, „მარტო მივეტრფა“, „დაე თუნდა მივეკვდე“, „ქართლის დედა“, „ჩემი თარიალი“, „ხმა გულისა“, „გავსწორდე ბედო“, „ელეგია“, „მეშა“, „ილ. ჭავჭავაძეს“, „ნ. ბარათაშვილზედ“, „პოეტი“, „მესმის, მესმის“. ქართველი სტუდენტების სიმღერა, „ჩემო მკვლელო“, „იენინარი“, „გახსოვს ტურფა“, „ამის სიკვდილზედ“, „გზაზე ზედი“ და სხვა. ამას უნდა დავუბრუნო ილიას პირველი თეორიული ხასიათის წერილი „ორიოდე სიტყვ. თავ. რევაზ შალვას-ზე ერისთავის კავშირის „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ამასთანავე აღვნიშნავთ, ილიას მთარგმნელობითი მუშაობა. მან პეტერბურგშივე თარგმნა პუშკინის „ქუმარტუბა“, „წინასწარმეტყველება“, „ანგელოზი“, ლერმონტოვის „პაჯი-აბრეკი“, „შვირი“, „სიზმარი“, „წინასწარმეტყველი“, „ციცაბო კლდე“, „დემონი“. რიუკერტის „ჩრდილი მალაღ მთებისა“ და „კართა თანა“, ბაირონის „კაენი“ და „მანფრედი“ (ნაწყვეტები) ჰაინე-დან — „როცა შევეტრეთ“ და „ლოფით მომეყარა“.

ყველივე ამასთან ერთად, იგი ეწეოდა ორგანიზაციულ ხასიათის მუშაობასაც: ზღმპლანელობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს, აგროვებდა ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს და სხვა.

ასეთი გოლიათური შრომა იყო უთვლად იმის მიხედვით, რომ ილიას მიმე ფორმის ტემბერკული აღმოაჩნდა. ილიას სახელზე ვაყენებ ეტიმის მოწმობაში სწერია: „მიეცა ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს თავად ილია ჭავჭავაძეს მასზედ, რომ იგი მეტრნალობდა ჩემთან 1859 წლის მაისის თვის განმავლობაში სისხლის ღებინების გამო. მართალია, საშუალოდ რომე-ბის მიღების შემდეგ ავადმყოფობამ უკლო, მაგრამ ავადმყოფის საბოლოო განჯერნებისათვის იეცილებელია მთელი ზაფხულის განმავლობაში სარგებლობა სამზრეთის ზელისმეწყობი კლიმატით, რასაც ვადასტურებ ზელის მოწერით და სახელობით ბეჭდის დასმით“.

მიუხედავად ასეთი სერიოზული ავადმყოფობისა, ილიას ინტენსიური მუშაობა მიაჩნ არ შეწყვეტია. მან მხოლოდ ერთ ზაფხულს დაისვენა საქართველოში და იმავე 1859 წლის შემოდგომაზე კვლავ პეტერბურგს დაუბრუნდა. ასეთ შრომაში გაატარა ილია ჭავჭავაძემ ოთხი წელი. პეტერბურგის უნივერსიტეტში, რამაც ვადასტურებ

ვერს როლი ითამაშა პეტის მომავალ ცხოვრებაში.

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ, მეოთხე კურსის სტუდენტმა, დატოვა უნივერსიტეტი და გამოემგზავრა საქართველოში. მეოთხე კურსიდან უნივერსიტეტის დატოვების მიზეზად ილია უნივერსიტეტში მომხდარ არეულებას ასახელებს. აი, რას წერს ამის შესახებ იგი: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი, მაგრამ გაჯანებე თავი უნივერსიტეტს მამინდელი საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით“<sup>1</sup>.

ამასვე აღნიშნავს კოტე აფხაზიც: „მართალია, ილია არ ვარდულა და მონაწილეობა არ მიუღია იმდროინდელ სტუდენტობის არეულობაში, მაგრამ მეც და ილიაც იძულებული ვიყავით უნივერსიტეტიდან მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დაბრუნებულიყავით. ეს მიხდა ვგრეთოვადებულ „მატიკელების“ წყალობით, რომელიც შემოღებული იქნა პეტერბურგის გენერალ-გუბერნიატორის იგნატევის წყალობით და შეცადინებოთ. ჩვენ, თითქმის ყველა სტუდენტმა, ამის შესახებ პროტესტი განაცხადეთ...“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძის განცხადება უნივერსიტეტიდან წამოსვლის შესახებ დამაჯერებელია, მაგრამ უნივერსიტეტის არეულობაში არ უნდა ვიგულისხმობთ 1861 წლის შემოდგომაზე მომხდარი ამბები. არეულობაში ილია გულისხმობს იმ დამძულ მდგომარეობას, რომელსაც იდგილი ჰქონდა ამავე წლის დასაწყისიდანვე.

მაგრამ, ამასთან დაკავშირებული კოტე აფხაზის მოგონება ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მისი სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქმის 1861 წლის შემოდგომაზე მომხდარი მღელვარებებისა და სტუდენტთა მასობრივად დაპატიმრების დროს ილია პეტერბურგში იყო.

... და მართალია, არც მე, არც ილია სტუდენტების კრებას არ დავსწრებივართ (მე ვერ მიუწვარი კრებას, როდესაც მივედი, კრებისათვის უკვე პოლიციას და ჯაბას აღვა შემოერთეს). მაგრამ მინც გამოვეცხადებ, რომ ვინც მატრიკულებს არ დამოორიილება, პეტერბურგიდან ოცდამთხე საათის განმავლობაში უნდა წავიდეს თავის სამშობლოშიო. ჩვენც წამოვედით“<sup>3</sup>.

ამ სიტყვებიდან გამოდის, რომ კოტე აფხაზი და ილია ჭავჭავაძე 1861 წლის სტუდენტთა მღელვარების დროს პეტერბურგში იყვნენ და „კრებაზე დაგვიანებით“ მისვლის გამო გადარჩნენ დაპატიმრებას. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ილია

ჭავჭავაძე 1861 წლის მაისს უკვე საქართველოში და თვითონაც იმეტომ დაპატიმრების, კერძოს შესრულებას არ მოეუცადოდ. მართლაც, კოტე აფხაზის ასეთმა მცდარმა განცხადებამ შეცდომაში შეიყვანა მკვლევარები. მაგალითად, ლევან ასათიანი, იმორწმუნს რა კოტე აფხაზის ამ სიტყვებს წერს: „25 სექტემბერს მოხდა სტუდენტების გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჯერ მათი არჩეული დედეგატების... შეპყრობა, ხოლო 12 ოქტომბერს კი საერთოდ სტუდენტების მასობრივი დაპატიმრება. სხვეთან ერთად დაპატიმრებულნი და კონსტაბლების ციხეში მოთავსებული იქნენ პარტიკულარები: კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, მესარიონ დობოზერიძე და სხვები. იმ დღეს, უნივერსიტეტის შესასვლელთან შეგროვილი სტუდენტთა კრებაზე მისვლა დაავიანდა ილია ჭავჭავაძე და ამით გადარჩა დაპატიმრებას“<sup>4</sup>.

ცხადია, მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა კოტე აფხაზის მოგონებამ. ილია ამბობების დროს სექტემბერ-ოქტომბერში, თბილისში იყო.

ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტიდან სასწრაფოდ წამოსვლის თაობაზე პ. ვ. ინგოროვიცა აღნიშნავს: „1861 წლის გაზაფხულზე ილია წამოვიდა საქართველოში, ჩანს, ისევე გაიმართლები. მდგომარეობის გამო? ამავე შრომის მომდევნო გვერდზე ავტორი წერს: „მე საქიორა აღინიშნის ამასთან, რომ დღემდე არ იყო დადგენილი ეს ფაქტი, რომ ილია გამორიცხული იყო უნივერსიტეტიდან, გავრცელებული იყო შეხედულება რომ ვითომ ილიამ თვითონ დაანება თავი უნივერსიტეტს მეოთხე კურსზე ყოფნის დროს“<sup>5</sup>.

ილია რომ ავად ყოფილიყო, ამას იგი თვით აღნიშნავდა, როცა „ამ საკითხს შეეხო და, ერთობად, მწელი დასაჯერებელია რომ 1861 წელს ილია სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულიყო საქართველოში.

ისივე ცხადია, რომ 1861 წლის სტუდენტთა ამბობება და ამასთან დაკავშირებული გარცხვავ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ილიას მეოთხე კურსის დატოვების მიზეზი, რადგან სტუდენტთა მღელვარება მოხდა 1861 წლის სექტემბერ-ოქტომბერის თვეში, ხოლო ილიამ უნივერსიტეტი დატოვა გაზაფხულზე.

ჩვენს აზრით, ილიას წამოსვლა პეტერბურგიდან დააქარა საქართველოს მამინდელში მდგომარეობაში. ილია ვარჯად ხედავდა, რომ ამ დროს საქართველოს აზროვნება და ლიტერატურა დაქ-

<sup>1</sup> ილიას ავტობიოგრაფია, „მნათობი“, 1937, 26 S.

<sup>2</sup> ლიტ. მეშვეიდრეობა, წიგნი 1. 1935 წ. 33. 564.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ლ. ასათიანი, ცხოვრება იაკვი წერეთლისა, პირველი გამოცემა, გვ. 185 წემდეგ გამოცემაში ლ. ასათიანმა ეს გაასწორა.

<sup>5</sup> ილია ჭავჭავაძე, ტ. 1, 1951 წლის გამოცემა.

<sup>6</sup> იქვე.



ვეითებას განიცდიდა, ცხოვრება წარმოიდგენდა დამყაყებულ გუბებს, რომელსაც გაწმენდა, გადახალისება ესაუბრობოდა. და ილია, ახალი იღვებოთ შეიარაღებული, ქვეა-ქუხილით შემოიპირა დარიალის მალალოლოვან ქარბუქში, ცეცხლითა და მახელით შეანგრია ძველი ფეოდალური აზროვნების ციხე-სიმაგრეები და სასიკვდილო განიხენი გამოუტანა ანტონ პირველის ტრადიციებზე აღზრდილ თურეტეოსებს.

ილია ჰავეკაიამ საბრძოლო პროგრამა პეტერბურგში შემოეშავა და მისი პრაქტიკულად განხორციელების მიზნით საქართველოსაკენ გამოეჩქარა.

თუმცა ზოგჯერ დილტანტს გამბედაობა ჰყოფნიდა დაცენა ილიასათვის. ამის გამო ნ. ნიკოლაძე ირონიულად იგონებს ერთ შემთხვევას: „ჩემს დღეში არ დამეოწყუდებია ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა... გამოთქვა ზენინსას, რაცა „Современник“-ის კოხტაზე წამისწრო. — გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ილია ჰავეკაიამ წახდა. ისიც აქ შიღერას, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის პეტს არა შერგებოდა და დაეცხა თავს ლაფი, ისე წვაიდა, რომ კერძი ვერ შესასრულა; უდიპლოზოდ წაბრძანდა... აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან...“<sup>1</sup>.

ამრიგად, 1861 წლის გაზაფხულიდან (მაისი) ილია საქართველოშია.

პავლე ინგოროყვა ამბობს: „ილია 1861 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, როგორც მოგისხეინოთ, საქართველოში იმყოფებოდა და სტუდენტთა არეულობაში არ მიუღია მონაწილეობა. ასე რომ, თითქმის არავითარი საბუთი არ არსებობდა ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნისათვის. მიუხედავად ამისა, ილია მაინც გამოურციტავოთ უნივერსიტეტიდან. ამრიგად, ილიას მიმართ განსაკუთრებული ზომა მიუღიათ. ამჟამაჲ ამის მიხედვით, რომ ილია აღრბანავე იმყოფებოდა პოლიციის საიდუმლო შეთვალუერების ქვეშ... უნივერსიტეტიდან გარიცხვლები 1861 წელს დიპლომადენე უნივერსიტეტის მოწმობას მათ მიერ მოსმენილი კერძის შესახებ — ერთნაირი ტრაფარეტი — 1861 წ. 12 ოქტომბრის თარალოთ. ასეთი მოწმობა, რომელიც მიეცათ სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისა და უნივერსიტეტიდან გარიცხვლის ნიკო ნიკოლაძისათვის, შენახულია ნ. ნიკოლაძის პირად არქივში... სწორედ ამავე ტრაფარეტს წარმოადგენს ილიას მოწმობა, რომელსაც უზის ფეივ თარიღი 1861 წლის 12 ოქტომბერი“.<sup>2</sup>

მართალია, ილია ჰავეკაიამ პეტერბურგში ყოფნის დროს დაახლოებული პირი იყო ჩერნიშევსკისთან, მაგრამ სტუდენტთა მღელვარებაში

მონაწილეობის გარეშე მისი გარიცხვა უნივერსიტეტიდან არ ნიშნავს მის მიმართ პოლიციის მიერ განსაკუთრებული ზომების მიღებას, როგორც სტუდენტთა მოძრაობის, პეტერბურგის ცენტრალურსა და საოლქო არქივში დაცული საქმეებიდან ჩანს, უნივერსიტეტის დახურვის გამო, უველა მსმენელი, 1600 კაცი გარიცხული იქნა მექანიკურად და, მათ შორის, ილია ჰავეკაიამც. მეორეც, მართალია, გარიცხულ სტუდენტებს ერთნაირი ნიშნის, სტამბაში დამეჭიდო ბლანკის სახის მოწმობა მისცეს, მაგრამ ამ ბლანკის ცალკეული პიროვნებაზე შევსების შედეგად ერთგვარი განსხვავება იგრძნობა. მართალია, ნ. ნიკოლაძის მოწმობაში სწერია: „...Слушал науки по административн. разряду при поведении очень хорошо, а 12 октября 1861 года по прашению уволен из университета...“<sup>1</sup>.

მაგრამ კირილე ლორთქიფანიძეს ყოფაქცევაში უწერია „კარგი“ და, ამავე დროს, აღნიშნულია, „უნივერსიტეტის დახურვის გამო დაახლოენილია“.

„...Слушала науки по историко-филологическому факультету при поведении хорошо, а 20 декабря 1861 года по случаям закрытия университета, уволен из университета“<sup>2</sup>.

ზოგჯეტს ილია ჰავეკაიას უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობა შთოლანდა: „წარმომადგენელი ამისა თავადი ილია ჰავეკაიამ ჩარიცხული იქნა სტუდენტად სპ. უნ. 1857 წლის 21 ივლისს, 4 მოისმინა იურიდიული ფაკულტეტის,

<sup>1</sup> Гос. Ист. Архив Ленинградской области. фонд 14, дело 2107, связ. 3405. год 1862. стр. 20.

<sup>2</sup> „Очень хорошо“ წაშლილია და ჩაწერილია „хорошо“.

<sup>3</sup> ГИАЛО. Фонд 14, дело 1590, связ. 3435, год 1863.

<sup>4</sup> აქ შევლოთით არის ჩაწერილი ილია ჰავეკაიას უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღად 1857 წლის 21 ივლისი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ილია უნივერსიტეტში ჩარიცხულია 1857 წლის 26 სექტემბრიდან. აქვე უნდა შევნიშნათ ისიც, რომ იგი ჰ. ინგოროყვას აქვს სწორად წარმოდგენილი ილიას უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღი. იგი წერს: „ილიამ ჩააბაჲ უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები და 1857 წლის 15 ოქტომბერს ჩაერიცხა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე“ (იხ. ტ. I, გვ. XXI).

15 ოქტომბერი ილია ჰავეკაიას უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღი კი არ არის, არამედ ამ დღეს ეცნობა საბჭოს ილიას სტუდენტად ჩარიცხვა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „...от 28 сентября 1857 года за № 3998, князь Илья Чачвадзе зачислен в числе свое-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 67.

<sup>2</sup> ი. ჰავეკაიამ, ტ. I 1951 წლის გამოცემა.



კანკალური განყოფილების საცნებო საუკეთესო ფოტოკეფით. 1861 წლის 12 ოქტომბერს, მისი თხოვნის თანახმად, დათხოვნილი იქნა უნივერსიტეტის მე-4 კურსიდან. ამის გამო კურსდამთავრებული სტუდენტის უფლებით ვერ ისარგებლებს და სახელმწიფო სასმასტრში მიღლებისას კანონის კრებულს თანახმად (1857 წლის ვაიმოცემა) და სახელმწიფოსაგან განსაზღვრული სამსახურის წესდების 88 § საუფლებლზე, მას აქვს უფლება ჩარიცხული იქნას მხოლოდ მეორე კატეგორიის ზინოვიკად, რისი დასადასტურებლად მიეცა მას, კავკავაძეს, ეს მოწმობა უნივერსიტეტის გამგეობისაგან სათანადო ხელისმწიფრით და უნივერსიტეტის მეთვრეტეების დასმით. ს. პეტერბურგში, ნოემბერი „14“ 1863 წელი, უნივერსიტეტის რეპტორი ლენცი“ 1.

თარღი საბუთის გაცემისა, იგი ბლანკის შევსების დროს აღნიშნავს და არა გარიცხვას. ცხადია, ილია ჰავკავაძის გარიცხვაც უფრო გვიან მოხდებოდა, ვინაჲე პატიმრობაში მყოფი ვირილე ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1861 წლის მეორე სემესტრის უწყისებში, ვ. ა. სანაძე უნივერსიტეტი დაიხრებოდა, ილია ჰავკავაძის გვარი ისევ შეტანილია და თან მიწერილი აქვს: „არ გამოცხადდა“. 1862 წლიდან კი ილია პოლიციის დოკუმენტებში მოხსენებულია, როგორც ყოფილი სტუდენტი.

1861 წლის სტუდენტთა მღელვარებასთან დაკავშირებით სტუდენტთა საქმეების გამოძიება მთელი წელი გრძელდებოდა. შესაშვ განყოფილება და შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემატურად ამოწმებდნენ პეტერბურგის ყოფილი სტუდენტების პირად საქმეებს და სხვა დოკუმენტებს. ამასთან დაკავშირებით პეტერბურგის ინტერპოლიციისტებს უნივერსიტეტიდან წაუღია ყველა სტუდენტის საქმე შესამოწმებლად, რამდენიმე ხნის შემდეგ ეგ საბუთები ისევ დაუბრუნებიათ უნივერსიტეტისათვის, ხოლო 52 სტუდენტის დოკუმენტი, რომელთა პატრონები პეტერბურგში ვერ აღმოუჩენიათ, დატოვებით პოლიციის კანცელარიაში. ამით შორის არის ილია ჰავკავაძის საქმეც, რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელგობრ, 1862 წლის 30 ნოემბერს პეტერბურგის პოლიციის კანცელარია, თანდართული სიის მიხედვით უბრუნებს უნივერსიტეტს 52 სტუდენტის დარჩენილ საქმეს ასეთი მიმართებით: „ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დროებით მმართველ კომისიას.

ამა წლის 20 ნოემბერს № 1983 მომართვის გამო, მიწვეს პატივი შოგართავთ პეტერბურგის

коштных студентов по разряду камеральных наук, о чем сообщено 15 октября Совету университета за № 3504 (ГИАЛО. Фонд 14, дело 696, связ. 3404, год 1863, стр. 10).  
 1 ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი 1., გვ. 564.

უნივერსიტეტის დროებით მმართველ კომისიას, სახელობით სიასთან ერთად, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი 52 სტუდენტის დოკუმენტები, რომლებიც დარჩა დაუბრუნებელი მათი პატრონების პეტერბურგში მოუძებნელობის გამო. უაღრესად გთხოვთ დოკუმენტების მიღება მიუწყით.

გენერალ-ლეიტენანტი (ხელმოწერილია):  
 კანცელარიის მმართველი (ხელმოწერილია)“.

ამ მიმართვის მართლაც თან ერთვის „სია ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტებისა, რომელთა დოკუმენტი უბრუნდება ს. პეტერბურგის უნივერსიტეტს“. ამ სიის 46-ე ნომერზე დასახელებულია ილია ჰავკავაძე.

ამრიგად, ილია ჰავკავაძე უკვე 1862 წელს მოხსენებულია როგორც ყოფილი სტუდენტი.

ასეთი რთული გზა განვლო ილია ჰავკავაძემ პეტერბურგში ოთხი წლის განმავლობაში.

ილია ზერნიშევსკისთან უშუალო კავშირში და მის თანამებრძოლებთან გამოიჭედა როგორც მტკიცე მებრძოლი ცარიზმისა და ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ. ზერნიშევსკის ოჯახი და რევოლუციონერი სტუდენტთა წრეები ილიასთვის ნამდვილი რევოლუციური სკოლა იყო.

ვ. ბასკაკოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ: „Многие члены этого кружка за активное участие в антиправительственной демонстрации студентов Петербургского университета были впоследствии высланы из столицы в Грузию под строгий надзор местной полиции. Здесь они в 1861 г. образовали нелегальную революционную группу, во главе которой стал И. Чавчавадзе — ближайший сподвижник Чернышевского, постоянный посетитель его квартиры“<sup>1</sup>.

აქ ბასკაკოვი არაღვარულ ორგანიზაციაში გულისხმობს თერგდალეულების ჯგუფს — „პირველ დას“. Революционная группа Чавчавадзе, получившая впоследствии название „Пирвела Дасი“ (первая группа), развила в Грузии кипучую деятельность в соответствии с уставомками Петербургского революционного центра“<sup>2</sup>.

ცხადია, ბასკაკოვი გადაიარაღებით აფასებს ილიას ჯგუფის რევოლუციურ ბუნებას. ყოველ შემთხვევაში, „პირველი დასი“ არაღვარული ორგანიზაცია არ ყოფილა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბასკაკოვი ქართულ მასალას არ იცნობს.

ისე კი ცხადია, რომ ილია ჰავკავაძე ღრმად ჩასწვდა სამოციანი წლების ინტელიგენციის საბრძოლო პროგრამას. იგი საქართველოში იღვწკად მომწიფებული და პოლიტიკურად ჩამოყალიბებული დაბრუნდა. მან ყველა ძირითადი საბრძოლო პრობლემა, რაც მის პოეტურსა და

<sup>1</sup> В. Г. Баскаков. Мировоззрение Чернышевского, стр. 151.  
<sup>2</sup> იქვე.

პეტერბურგში ნაწერებში გამოვლინდა, პეტერბურგში ყოფნის დროს გადაჭრა, ისე რომ მას არ გაუვლია ძიებისა და მერყეობის გზები. ყვერ დავეთანხმებით პროფ. შ. ზანდუელს, როცა იგი ამბობს, რომ პეტერბურგში ილია ჯერ კიდევ იდევრო ძიების პროცესში იყო: „თუ შემდეგლობაში მივიღებთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარიღებს, რომლებიც მის ხელნაწერებს (შავებს) აქვთ, უნდა დავასკვნათ, რომ სწორედ 1857 — 1860 წლებში ილია ჭავჭავაძის მსოფლმშედველობასა და შემოქმედებაშიც, ერთგვარი ძიების, მოძიებების, დაღუღების, თვითგამოკვების, განსაკუთრებით 1859 წ. დამლევს და 1860 წელს, გარდატეხის ხანას ვამჩნევთ“<sup>1</sup>.

მართალია, ესა თუ ის შწერალი ან მოაზროვნე ყოველთვის ძიების პროცესშია, საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, ახალგაზრდობისას სხვადასხვა, შემდეგში მისთვის მიუღებელი, იდეოლოგიითაა გატაცებული (ასე დავმართა ბელინსკის, ჩერნიშევსკის და სხვებს), მაგრამ ილია ამ გზით არ მოსულა ქართულ ლიტერატურაში.

ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძის პეტერბურგის პერიოდი არა მართო პოეტის ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედებითი ხანაა, არამედ ყველაზედ პოლიტიკური

და იდეური აღმავლობის პერიოდია არის.

ერთგვანად

არ დაჩინილა არც ერთი მნიშვნელოვანი პოეტობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან, რომელი პეტერბურგში, სტუდენტობის დროს დაწერილ ნაწარმოებში არ იყოს გადაჭრილი.

1. სოციალურ პოლიტიკური ხასიათის საკითხში, როგორც მთლიანი სისტემა, ილიამ ჩამოაყალიბა პეტერბურგში დაწერილ ნაწარმოებებში. („გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია აღამიანი...“, „აირდილი“, „გუთნის დედა“, „მუშა“ და სხვა). ეს დიდი ტილოები შექმნა ჭავჭავაძემ პოეტმა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ ნაწარმოებების ავტორს ცხოვრების ცოდნა აკლდეს. ვინც „აირდილი“ „განახლების გრიჯალის ქროლას“ უმღერა, ვინაც თქვა „ვინა შრომობდა და ვინა ძღებოდა, ღმერთო სად არის აქ სამართალი“, განა იგი დიდი დემოკრატი არაა?

2. ერთგვანად განმათავისუფლებელი იდეები და თავისუფლების მიმნი პოეტმა იმღერა ჭავჭავაძის ლექსებში და პოემებში, როგორცაა „ქართლის დედა“, „ქართლის დედას“, „ღმიტრა თავდადებულა“ ესკიზი, „მესმის მესმის“, „გაზაფხული“, „ნანა“ და სხვ.

3. ეს თეტიკის დარგში ილია პირველი თეორეტიკოსია, რომელმაც მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძვლებზე დაამყარა უტილოტარული ხელოვნების თეორია.

<sup>1</sup> ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 2, მესამე გამოცემა, გვ. 184.



# ილია ჭავჭავაძე და ქართული შემსკირიანა

მეტრამეტ სავუენეზა ბეერი იდა ყოფი-  
 ლა შექსპირის დრამების ქართულად თარგმნისა,  
 მაგრამ ყველა ეს თარგმანი საქაოად სუსტი  
 იყო. 1873 წელს ილია ქავეჯავაძემ და ივ. მაია-  
 ბელმა ქართულად თარგმნეს „მეფე ლირი“. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იგი მანაბლის  
 მიერ შესრულებული შექსპირის სხვა ტრაგედია-  
 ების თარგმანების წარმატება, დღევანდელ პოეტ-  
 მოთარგმნელთა ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში  
 ბევრად განაპირობა „მეფე ლირის“ ქართულად  
 გადმოღებისას მოქმედებამა შეთოლმა. ამიტომ  
 გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენი-  
 კება ქართული მხატვრული თარგმნის ისტორია-  
 ში ილია ქავეჯავაძისა და ივანე მანაბლის „მეფე  
 ლირის“ თარგმანზე მუშაობისას თარგმნის  
 შემოქმედებითი შეთოდის ძიების  
 ყოველ არსებითსა თუ წერტილსა. ამ შეთოდს  
 ორმა ნიჭიერმა ხელოვანმა მიაკვლია ერთმა-გა-  
 მოცდელმა, მეორემ — 18 წლის ყმაწვილმა.  
 უვეე ჩამოყალიბებული პოეტი — ილია, ცხა-  
 დია, მთავარ როლს შესრულებდა თარგმნის  
 პროცესში, თარგმნის ესთეტიკური-იდუტური სა-  
 ფუძელების გამოქმენის საყოფებში, განსაკუთ-  
 რებით. ამ დროისათვის ილიას შექმნილი აქვს  
 პოემები, მათ შორის დრამატული ხასიათისაც;  
 გამოიდიდება აქვს პოეტურ თარგმანშიც. ყოვე-  
 ლივე ეს მხედველობაში მისაღებია „მეფე ლი-  
 რის“ თარგმანში ილიას როლის წარმოსადგენად  
 და იმის გასაგებად, რომ ილია მართლაც სწორ  
 გზაზე დაყენებდა მანაბლს. რა თქმა უნდა,  
 „სამღობის“ და სხვა ტრაგედიების თარგმანში  
 გაეღებული ნაქი მანაბლისა ცხადყოფს, რომ  
 მისაც არა ნაკლები დეაწლი მიუძღვის „მეფე  
 ლირის“ თარგმანში.

„მეფე ლირი“ შექსპირის დაწერილი აქვს  
 ურიით, თუთარს ლექსით, ზოგი ადგილი — პრო-  
 ზაულად. ცნობილია, რომ ინგლისური უმთავრე-  
 სად მონოსილაბური ენაა, ამიტომ ქართულად  
 გადმოღებისას სტრიქონის მარცხვალთა რაოდენ-  
 ნობა იზრდება. მთარგმნელებმა აირჩიეს 14 —  
 მარცხლოვანი ლექსი, ურიითოდ. მათ კარგად  
 იცოდნენ, თუ რა რაოდ ამაღლებულად ედერს ამ  
 საზომით დაწერილი ბარათაშვილის ყველა ლექ-  
 სი. მაგრამ დრამატურგის ტიტანის ტრაგედიის  
 დარბაისლურა ტონის გადმოსაცემად მხოლოდ  
 14 — მარცხლოვანი ლექსი საქაოად არ იყო, რად-  
 გან შექსპირის ტონი განსაკუთრებულად ამაღ-  
 ლებულ და მედდურად (რაც ბენ ჯონსონს ვა-  
 დეპარბებულადაც კი მიაჩნდა). ამიტომ თარგმან-  
 ში არქაული ელემენტების მოშველდება-მო-  
 მარჯუებისაც ჰქონდა სეროიზული მნიშვნელობა.  
 12. „მნათობა“, № 9.

„ლირში“ აღსანიშნავია სახელთა ბრუნვის და  
 რიცხვის ძველი ფორმები: „თვალთა ჩემთა“, „მა-  
 გეთა ჩემთა“, „საყვარულთა სიძენთა ჩემთა“, „შა-  
 რავანდთ“, „თვისთ შეილთა“, „ნათიენნი დღენი“  
 და სხვ. ზემოთაშთაშთილ მიაგალითებში ცხედ-  
 ბით სიტყვათა ინვერსიისაც: მსახლერტლი მოს-  
 დევს საზღვრულს, რასაც ემთავის მნიშვნელობა  
 აქვს, — მთარგმნელთა მისწრაფება შენარსწინე-  
 ბულ იქნეს ტრაგედიის ემოცია. ამავე მიზნით  
 სზირია ლიტერატურულად მართებული, მაგრამ  
 ცოცხალი მეტყველებისათვის უცხო, იშვიათი  
 „პოეტური“ სიტყვები: „დაღდებდეს“, „მეკო-  
 ნი“, „დაშთენა“, „მაგე“, „დაღუღებდა“, „განავა-  
 რინე“ და სხვ. გამოყენებულია ზმისწინების ძვე-  
 ლი ფორმებიც, თუმცა თავისუფლად გასაგები  
 მკითხველ-მსმენელისათვის: აღ-აღმოსთქვავენ“,  
 წარ-წარვედით“, შთა-შთაბერა“ და სხვ.

„ლირის“ თვით ისეთ დახვეწილ რუსულ თარგ-  
 მანშიც კი, რომელიც შეზქანდა-ქუბერნიცმა შესა-  
 რულა, ძველი სიტყვებისა და ფორმების სრულ-  
 მა უტურიდებამ გამოიწვია ტრაგედიის ემოციუ-  
 რი ზემოქმედების ერთგვარი შესუსტება, რაც  
 განსაკუთრებით დედანთან და ქართულ თარგ-  
 მანთან შედარებისას იგრძნობა. იმის ნათელსა-  
 ყოფად, თუ რა ეფექტური შედეგა აქვს ერთ-  
 გვანად მოქმედებულ ენის გამოყენებისას „ლი-  
 რის“ თარგმანში, შევადართო ბარალღურად  
 „ლირის“ თარგმანის ქართული და რუსული  
 სტრიქონები: ყორღელისა მიმართვა მიმისადმი  
 საყვარელის სიტყვებში გამოხატვის უძღვრებო-  
 სი: „მე? არასა“ (I am nothing) „Ничто-  
 государь“; ლირი იმუქრება: „Из ничего не  
 будет ничего. Подумай и скажи“ (Nothing  
 will come of nothing; speak again — არაფ-  
 რისაგან არ იქნება, თქვი რამე), „არა-  
 რისაგან არ იქნება ის არარაია... მსთქვი  
 რამე მეტი“. ქართულ თარგმანში აქ გამოყენე-  
 ბულია ფრანზის არქაიზაცია: არქაული წყობა და  
 ზმის ძველი ფორმა — „იქმნებას“. რამდენჯერ  
 ხმარებულა ქართულ პოეზიაში ზმის ასეთი  
 ძველი ყალიბი ამაღლებული ტონის შესაქმნე-  
 ლად! — „როს მკვენვარება შე მომეს ე ე ის,  
 შენდა მოვიდტვი განსაქარებულად“ (ბარათა-  
 შეილი).

„ლირის“ თარგმანში არ არის არც ერთი სე-  
 მანტიკურად ვაუგებარი არქაული სიტყვა, რად-  
 გან აქთიზმი თვითმიზანი კი არ იყო, არამედ  
 მას თარგმანში დამხმარე, სტილისტური, ისტა-  
 ტურად მომარჯებული მხატვრული ხერხის  
 დანიშნულება აქვს. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს,  
 რომ პროზაული ადგილები, რომელნიც ლექსის

შემდეგ დრამატულ ნაწარმოებში მალალი ტონის ჩვეულებრივად დაეყვანით ხასიათდებთან, თითქმის სრულიად თავისუფალია არქაიზმებისაგან. „I am nothing“ ლექსში თარგმნილია „მე არააზას“, ხოლო სხვაგან, ტექსტის პროზაულ ნაწილში იგივე ინგლისური ფრაზა გადმოღებულა ჩვეულებრივი სასაუბრო ენით: „მე არაფერს“, ხოლო ზემარას ეუბლებები ხომ ნამდვილად სოფლური შაირის „ტეტეირი“ ენითაა დაწერილი. არქაული სიტყვა ფუფე სიტყვა მხოლოდ იქაა, სადაც იგი ვაგვებარია, მაგრამ როგორც ვიცი, სიტყვის სტილისტურ-ფენქციონალური საზღვრები მოკრავია, ამიტომ მთარგმნელს შესაფერის კონტექსტში შეუძლია გამოამკარავოს სიტყვის მნიშვნელობა, გამოაოცხლოს იგი. ასეთი სიტყვა მერე ლიტერატურულ და სასაუბრო ენაშიც იკიდებს ფეხს, რითაც მთარგმნელი დიდ საშასტურს უწევს შრობილურ ენას, რაც კარგად ჩანს „მუფე ღირს“ და მაჩაბლის თარგმანთა მაგალითზე.

გასაგებია, რომ თანამედროვე მთარგმნელებიც ვერ აუვლიან გვერდს გარკვეული ტიპის ნაწარმოებთა თარგმნისას არქაიზმების გამოყენებას. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ე. გამსახურდიას მიერ თარგმნილი დანტეს „ღვთიებრივი კომედია“, ე. კელამის მიერ თარგმნილი ჯონ მილტონის „ღდაკარგული სამთახე“. თანამედროვე ქართული ენით გადმოღებულ ნაწარმოებში ე. კელამის ეფექტურად აქვს გამოყენებული შესაფერის კონტექსტში სემანტიკურად გასაგები არქაიზმები, განსაკუთრებით იქ, სადაც ტონი უფრო მაღალია, ანდა რელიგიასთან დაკავშირებულ პასაჟებში, რაც ჩვენს ცნობიერებაში სიძველესთან დაკავშირებულ ცნებებს აღიქმება.

„ღირს“ თარგმანის ენა განსხვავდება, მაგალითად, ილ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ კორნელის „სინას“ მკვეთრად არქაული ენისაგან. „სინაში“ სტილისტური თელასპროსით ეს თვით სულა ვეღაზე მეტად იმპანდოლივია, აქლია საზღვრობა, თუმცა მრავალ ძვირფას ელემენტს შეიცავს. მანაბელმა შემდგომ თარგმანებში გაითვალისწინა „ღირს“ მაგალითი, შეინაშენა-კომენტარები, რაც მან გამოიწვია, და არქაული ელემენტების ხშირებაში იგი ზედმიწევნით ზომიერაა. მაგრამ, მოძველებული ელემენტების გამოყენების პრინციპი შესაბამისათვის ნიშანდობლივ ამაღლებული ტონის შესაქმნელად უკვე „მუფე ღირსი“ იქნა გამოყენილი. ილიას მიერ თარგმნილ გოეთეს „ბუდა მქადაგებელი“, რომელიც რელიგიურ თემის ენაა და ამაღლებული ტონისაა, გადმოქართვებულია შედარებით მოძველებული ენით, ხოლო ინტიმური თემის შემცველი თარგმნილი ლექსები საესენი არიან უბრალობითა და სისადავით.

გვიც გაჩინალაქს გამოთქმული აქვს აზრი, რომ „ივანე მაჩაბლის ეერსილიკაცია თავისი დამახასიათებელი ზომით, ინტონაციით და შეფერილობით, შესაძლებელია, გამოხსნა უმთავ-

რესად ქართველი რომანტიკოსების და, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის მელოდიატური პოეზიიდან უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა პოეტის შემოქმედებიდან. შესაბამის მრავალ მარტივებს მასალა და გაშფოთობა ბედნიერად დაემთხვა ბარათაშვილის პოეტურ ტრადიციას. იგი, მაჩაბელმა თავისი შემოქმედებითი ინტუიციის წყალობით მიავნო ამ შესაძლებლობას და გამოაყენა კიდევ თავის მოქნილ ლექსთწყობაში ამიტომაც იგი, მაჩაბლის მიერ თარგმნილი მონოლოგებმა შეიძლება ყველაზე უფრო ნ. ბარათაშვილის ღრმად ჩაფიქრებული პოეტური მსჯელობანი მოაგონონ ქართველ მკითხველს“. 1. და მართლაც, შესაბამის მრავალ პერსონაჟი მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის პოეზიის ლირიკულ გმირს, შოაზროვნეს და დაფიქრებულს, რომელიც წუთისოფლის არსზე ფიქრს გაუტყობი: „მანც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი;“ „მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან-შვილინი

სოფლისა, უნდა ვიდრეც მივსდით მას, გვესმას

შრობისა...“

შესაბამის ღირი, პამლეტი, ზემარა, და სხვ. აგრეთვე მსჯელობენ ყოფაზე: „ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი იი ეს არის. სულ-დიდ ქმნილებას რა შექმერის?..“ (პამლეტი), „რა არის კაცო, თუ იგი თვის კმაყოფილებას ქვამს და ძილში კითხვს მხოლოდ? მხეცია, სხვა რა?“ (პამლეტი), „როს ვიზადებთ, ესტირით, რომ სულელთ თამაშია

კაცთა ცხოვრება და გინდა თუ არ, — უნდა ჩავსდგეთ და

ვიტრიალოთ.“ (ღირი)

ილია და მაჩაბელი „მუფე ღირსი“ განსაკუთრებით ნაყოფიერად სარგებლობენ ნ. ბარათაშვილის ლირიკით. ბარათაშვილის პოეზიის ტრადიციების გაგრძელება ხშირად ბარათაშვილისებური გამოთქმების ხშირებაშიც ივრძნობა. „მუფე ღირსი“: „ემშაკველნო სალმობანო, წარვედიო ნემგან“, „წარვედიო ნემგან ემოწყალოდ, უსიყვარულოდ; ბარათაშვილთან: „ღამინთქე მათში სალმობან გულისა სენთი“ („ჩემი ლოცვა“); „წარვედი წულის პირს“ („ფიქრნი მტყვრის პირას“); „ღირსი“: „თავსუფლება და სიმართლე ვერ ისადგურებს“; ბარათაშვილთან: „იღუმალება და ისადგურებს“, „შენს იქით ეძებს სადგურს“ („შემოღამება მთაწმინდა-ზედ“). საყურადღებოა, რომ ეს ფრაზა არის მაჩაბლის მიერ თარგმნილი „პამლეტშიც“: „ვანა კარგია, ამ იარამ ჩვენს ბუნებაში და ისადგუროს და საზარელ გვესლად გადგვეცეს“

„განვიხილოთ „ღირსი“ შემდეგი სტრიქონი:

1 შესაბამისი, 1953 წ., ტ. 1, წინასიტყვიობა, გვ. LXII — LXIII.

„აბა ბუნების იღნაგისა ნგრეული ნაშთი“ „სიტყვა აღნაგა“, რომელიც ქართულ ენაში მეტად იშვიათად იხმარება, შესაძლებელია სწორედ ბარათაშვილიდან იყოს: „და თაყვისა სკნემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგისა“ („საფლავი მეფის ირავლსა“). როგორც თვით ილიას პოეზიაში, ისე „ლირის“ თარგმანის პოეტურ ენაში დიდი წვლილი შეიტანა ბარათაშვილის მედიტატიურმა პოეზიამ, მისმა პოეტურმა ენამ. ამიტომ შემდგომ მანაბელი „ლირით“ ხელმძღვანელობდა, როგორც ნიმუშით („ლირი“ და „პამლეტი“ მკითხველს ერთი ადამიანის თარგმანი ვგონებ). ამგვარად, ლოგიკურია დაეასკენათ, რომ მანაბელი როგორც ბარათაშვილის, ისე თვით ილიას პოეზიის ტრადიციებსაც აგრძელებდა, ემყარებოდა შემოქმედებით თარგმნის იმ იდეურ-ესთეტიკურ საფუძვლებს, რომლებზეც ილია ჭავჭავაძისთან კონტაქტში „ლირზე“ მუშაობისას ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ზემოხსენებულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ ღრმა შინაარსის შემოყვარულ გამოთქმას „ნგრეული ნაშთი“, როგორც ირკვევა, ილ. ჭავჭავაძეს უწეოდლოდ აღკვეთავის „გოგნიდან“ ასსოვდა (ამა პალატა დიდებულთა ნგრეული ნაშთი) და „ლირში“ უფროდ მისი შეტანილია. პარადოქსად არ მოგვიჩვენება ეს, თუ ვაეთვალისწინებთ, რომ „გოგნას“ დიდი გამოძახილი ჩანს „აირდილიში“. განსაკუთრებით ამას ადასტურებს „აირდილის“ XXIV თავის შეხვედრა: „გოგნასთან: უპირველესად საერთო მოტევი — დარდი იმის გამო, რომ ძლევამოსილ საქართველოდან მხოლოდ „ნგრეული ნაშთი“ დარჩა. ილ. ჭავჭავაძეს ეს მოტივი გოგნასთან აქვს პოეტურად დაყოწარებული, ილია კი პირდაპირ ლაპარაკობს საქართველის ცხოვრებაზე. ილიაც განიღვდის დიდი რომანტიკოსი პოეტის გულისწუხილს, მაგრამ უფრო შორს იხედება. მოტივის რემინისცენცია ლესიავაშიც ჩანს:

„გოგნა:“ „აწ მტერად აღგვიღან იგოძალი და იგონი“  
 „აირდილი“: „წამხდარა ეველა, ის დონე და ის ძლიერება, მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება“;

„გოგნა“: „ოდესმე ზვირთთა იღქაფებით პლულავს მრისხანედ“.  
 „აირდილი“: „ძლიერნი ზვირთნი ამ ცხოვრების იღქაფებულნი“;  
 „გოგნა“: „მაგრამ ნაქცევია მისთა კიდვთ ძაბით მიოსეღანი“;

„აირდილი“: „მამინ გათხრილნი ის კიდვნი მთლად დარღვეულნი“;  
 „გოგნა“: „ამა პალატა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“,  
 „აირდილი“: „თვისსა დიდების ნაშთთა ზედა გლავაყა აღმდგარსა“ და სხვ.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ტრადიციების გაგრძელებას ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ

რულ გაგულენას“ უწოდებენ. ტრადიციების გაგრძელება — მემკვიდრეობის, შემოქმედებითად ათვისების ნიშნავს. ასე შემოქმედებითად ათვისებულნი ილია და მანაბელი „ლირზე“ მუშაობისას ჩვენი რომანტიკოსების პოეტურ მემკვიდრეობას.

აღსანიშნავია „მეფე ლარის“ თარგმანის სიტყვაპარავლობა: დედანიან შედარებით 464 სტრიქონით მეტია (ვ. კეღელიძე, ცხოვრება ივანე მანაბლისა, გვ. 145). ვფიქრობთ, სტრიქონთა რაოდენობის გაზრდა მეტწილად ილიას უნდა ეკუთვნოდეს, როგორც უფროს მთარგმნელს. ეს მეტადრე საფიქრებელია, რომ ილიას მიერ მშვენივრად თარგმნილ „მწიროში“ (ნაწევრებ) მეორე ქვეთავში დედანშია 49 სტრიქონი, ხოლო ილიასთან — 60. შემდეგ ქვეთავში დედანშია 26 სტრიქონი, ილიასთან — 37. საერთოდ ვადაქარბებული სიტყვაპარავლობა თარგმანში არაა გამართლებელი. მაგრამ „ლირი“ შექსპირის პირველი ქართული თარგმანი იყო. მას წინ არ ჰქონდა შექსპირის თარგმნის ნიმუში, მანაბელმა კი შემდგომ შესძლო თარგმნის ყოველგვარი სიტყვაპარავლობის გარეშე. როგორც ჩანს, მანაბელი თვით ნიმუშსაც — „ლირს“ შემოქმედებითად მოკიდებია.

ამვე დროს, „ლირის“ თარგმანის სიტყვაპარავლობა შეიძლება სხვა გარემოებითაც იყოს გამოწვეული: ლირის და ზოგი პერსონაჟის მოქმედების ნაყლები მოტივირება, რაც განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში ჩანს. შეუძლებელია, ეს ილიას ვერ შეეშინოს ან თარგმნისას ამაზე არ წაეკითხოს კრიტიკულ ლიტერატურაში. ეს ნაყლები მოტივირება იმდენად საგრძნობიც კია, რომ „ლირის“ სცენური ინტერპრეტაცია საკმაოდ ძვირად და პროდუმეტური ხდება. გავიხსენოთ მსახიობების გარდაცვალების, კინის გასაქირის ღირის განსაზიერებისას. ვფიქრობთ, ნაშარმოების ამ მხარეს ილია-მესვეური ქართული თეატრისა — უუარადღებოდ არ დატოვებდა. ალბათ ქართული შექსპირილიდან საბოლოოდ გამოარკვევს, მოტივირების განსაძლიერებლად ხომ არ ეგზარდა ილიამ თარგმანის ტექსტს: „სცენაზე მშვენივრად ჩამ იქნება“, — იცნობებდა ილია ბარათით ცოლს.

შექსპირის ქართული თარგმანების სრულყოფილობა და ამით შექსპირის პოპულარობა წყნარად იმით აიხსნება ბევრის მხრივ, რომ ილია და მანაბელი თავიდანვე ძნელ, მაგრამ სწორ გზას დაადგინეს: ინგლისურ ხატოვან და ილიომეტრულ თქმებს დაკვირვებულად უთანხმებენ ქართულ შესატყვისებს, ადექვატებს: „Now thou art „O“ without a figure“ (ახლა შენ ხარ ნოლი ციფრის გარეშე) — „ახლა შენ არც გუდაფხეტა ხარ“ (ვ. ი. არაფერია). ხატოვანი თქმა „The cart draws the horse“ (ეტლი მიათრევს ცხენს) შექსპირიდან ინგლისურში მთარგმნელ თქმად იქცა და უუარდმართ საქციელს აღნიშნავს. ქართულ თარგმანში მას შემდარებული აქვს ცნობილი ქართული, ადექვატური შინაარსის შემოყვარი ხა



ტოვანი თქმა: „მეხას ვაწლი არ ასხია“. რომ უცხო თქმის კალკირება მომხდარიყო, მის ვაგონებისას, ქართული თეატრის მყურებელი დიქტორებმა აზრის გასაგებად, რაიც შეანელებდა წარმოდგენის აღქმის ხელს. რაცა უცხო ენის ტონის გამოთქმა ქართულში მოიპოვება ინგლისური ხატოვანი თქმა პირდაპირ არის თარგმნილი: *And all foes the cup of their deservings* (იტრებს — ფაღა აგი, რომელიც მათ დაიმსახურეს), „ორგულთ კი შესვან სიმწარითა საესე ფაღა“. მართლაც, ქართულში მოაპოვება ხატოვანი თქმა ფილისთან დაკავშირებულ: „მოაზინების ფაღა“ და სხვ.

ხშირად აზრის მეტ ნათელსაყოფად ინგლისური სიტყვა თარგმნილია ხატოვანი გამოთქმით: ნაცლად — „გიცნობ“ (*I know thee*) — „შე კი გიცნობ რა წითელი კოჭია ბრძანდები“. ერთი შეხედვით სიტყვათარგმობაა, თითქოს ორიგინალსაც გადააბიჯეს; სინამდვილეში კი ხატოვანმა გამოთქმამ მხოლოდ ამოშურაველ წარმოდგინა დედნის ავტორისეული აზრი, რადგან ზემოთქმულ სიტყვებს კენტი ეუბნება ოსვალდს, რომელსაც იგი ავდებულად უყურებს. ასევე: „არ მენაღვლები“ (*I care not for thee*) — „თავშიც კვა გიხლია“. ამდენად, სიტყვათარგმობას, ერთგვარად „ნარდილავს“ ცოცხალი სასაუბრო ქართული.

საერთოდ, „ღირის“ თარგმანში ვირტუოზულადა შეხმატებულ დედნის შინაარსი და ქართული ეროვნული ფორმა, და ეს ქართული ყალიბი, სიტყვათარგმობის მიუხედავად, ინგლისური ტიპისა თუ ხასიათისაა, რაიც მართლა ქმნის ამ შთაბეჭდილებას, რომ „შექსიბრი ქართულიად ლაბრაკობს“.

ხშირად თარგმნისას ფრაზეოლოგიური ერთეულის სიტყვათარგმვითი გადმოტანა არ იწვევს შინაარსის დაკარგვას. მაგ. „შეფე ლირიდან“:

„Fortune, good night; smile once more; tur thy wheel!“ რუსულ თარგმანში ამ სტრიქონში შემავალი ფრაზეოლოგიური ერთეული სიტყვათარგმვითაა გადმოტანილი:

„Фортуна, доброй ночи, —  
С улыбой колесо мне поверни!“

ასეთი გადმოტანა ვანსაუთრებთ მაშინ ზერხდება, როცა ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოდგენის ერთი საფუძველი აქვთ, — მითოლოგიურ-არქაიკური ან სხვ. „Fortune's wheel“ (ფორტუნას ბორბალი), რომელიც ზემოსენებულ ციტატაში გვაქვს, წარმოშობადაა რომელი ტელევიდიანი: ფორტუნა — ბედის ქალღმერთია, რომელსაც თვალდაპყვებით გამოხატავენ ბორბალზე (ზარხთან) მდგომს. ამ ბორბლის ბრუნვისაგან თითქოსდა დამოკიდებული იყო ადამიანის ბედ-ღებალი. ასეთი გტიმოლოგიის უნდა იყოს ქართული სიტყვები „ბედის ზარბი“, „ბედის ტრიალი“. „ღირის“ ქართულ თარგმანში ზემომოსენებული სტრიქონი ასეა თარგმნილი:

„ღამე მწვიდობის .. აბა ბედო, კელაე გემილიმე და ჩარხი შენი ზემეკენ კიდეე მირტრიალიმე“ შეიძლება „ბედისა“ და „ზარხის“ ჩაცვლად „ფორტუნას“ და „ბორბალის“ წარება, როგორც ეს დედანშია, რადგან მათ შორის არის სემანტიკური იგივეობა, მაგრამ რომელი უფრო იოლად აღიქვამს ქართველი კაცო დასაბამიდან არსებულ ხატოვან თქმას თუ ახალ ექსპერიმენტს? არ უნდა იყოს მიზანშეწონილი ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულის დანერგვის ექსპერიმენტი, რომლის აღუქვატური ფრაზეოლოგიური ერთეული უკვე გაანთა ენას.

მაინაბლის მიერ თარგმნილ „პამლეტშიც“ „ბედ“ დაკავშირებულია „ჩარხთან“: „მიღუე-მოღუეუთ მისის (ბედის — ი. კ.) ჩარხის სოლი და ფერსო“. „ფერსო“ არის „ურმის თვალის გარე-შეშო“ (საბა). ეს სატყეა ურმის გაღაშენებას ეტყე თან გაყოლოდა, მაგრამ მთარგმნელმა იგი კარგად შეუხალისა კონტექსტს, ახალი ნიუანსი შესძინა მას, გააფართოვა მისი შნიშვნელობა, რაც ხელს უწყობს ენის განვითარებას. იგანე მაინაბელი შემოკმედებით თარგმნის მეოღის ამ სასარგებლო პრინციპს „ღირის“ გადმოქართულებისას ვაევირ. მაგალითად, „ღირში“ გამოყენებული აქვთ სიტყვა „ვეძა“ — „მომეყო წყარო ბუნებით“ (საბა), რომელიც შესიტყვებული აქვს ინგლისურ იდიომს „A man of salt“ (მარბლის კაცი, ე. ი. მტრალა კაცი). „ვეძა“ ამ იდიომის შინაარსსაც ამოურჩავს და, ამავე დროს, არის ქართული ენის ახალი ლამაზი ხატოვანი სიტყვა.

შემოკმედებითი თარგმნის შეთოღის კიდეე ერთი მეტად სასარგებლო პრინციპი ჩანს „შეფე ლირში“: ერთი სიტყვიდან მეორე სიტყვის წარმოება. მაგ. „ღირში“ არსებითი სახელიდან „ფესტიკოში“ ნაწარმოებია ზმნა: „შეთესტიკოშეძა“; „ზარბაროზ სვეითი... იქმნეს ჩემს მიერ უფრო მეტად შეთევისტომეზულ“. ზედსართავი სახელიდან „გამსჯვალული“ უწარმოებიათ „შემსჯვალელება“. გასაგებია, რომ უთოღდ ასეთი სიტყვები მანამდეე ხმარებულა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მთარგმნელი იყენებს ენის საღაროში არსებულ ყველა შესაძლებლობას, შესაფერის კონტექსტში ხმარებით ამჟამებს ენაში იშვითად ხმარებულ სიტყვებს ან გრამატიკულ ფორმებს, რითაც აღწევს დედნის შინაარსის ზუსტ გადმოცემას და, ამავე დროს, ხელს უწყობს ენის განვითარებას. სხვადა, ეს პრინციპი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ენის ბუნებას.

ცნობილია, რომ პერსონაჟთა ენა ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს კონტექსტთან; მოქმედება სიტყვის უთოღერი და სიტყვა მოქმედებას (შექსპირი, „პამლეტი“). ამ პრინციპს აუცილებლად უნდა იცავდეს მთარგმნელი, რაც იშვითი სიზუსტითაა გათვალისწინებული „ღირის“ ქართულ თარგმანში, ამ პრინციპს ეყრდნობოდა შემდეგში მაინაბელიც, ამ პრინციპის თანახმად, სიტყვა, „Boy“ როცა ლირი სერაიზულად და ოდ-



წვეი გაბრძნებით მიმართავს ხეშარას, „ლირში“ თარგმნილია „შე გაქნილო“, ხოლო როცა ეხებოდა — „შე კუდიანო“. საერთოდ, მთარგმნელებს კარგად აქვთ შეგნებული დედნის ენის სიტყვათა ბუნება — პოლისემანტიზმი. „Fool“ (სულელი, ხეშარა) მომავლადი ქალიშვილისადმი მიმართვისას ღირის ბავებებიდან ისმის „ცუგარუმელა“. მართლაც რომ არალოგიკური იქნებოდა, რომ მთარგმნელებს არ გაეთვალისწინებინათ ინგლისური სიტყვის მრავალმნიშვნელობა, სიტუაცია, პერსონაჟი და „ცუგარუმელას“ ნაცვლად ღირს ეთქვა — „ხეშარავ“ ან „სულელი“. იგივე „Fool“ — „ღლაბი“, გონეროლასაგან, რომელსაც ხსავს ხეშარა. „Poor“ (ღარიბი) თარგმნილია „სიტყვაღარიბი“. აქ ამოწმებულა ინგლისური სიტყვის „Poor“-ის მნიშვნელობა ამ გარკვეულ კონტექსტში, როცა კორდელისა ვერ აძლევს გამოთქვას მამისადმი სიყვარული.

ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში იშვიათად შეხვდებით ასე მრავალნაირ ხალხურ თქმებს, მდიდარ სიტყვათა კონას, როგორც ეს „ღირის“ და შექსპირის მიახალებულ თარგმანებშია, რითაც, იქვე უნდა აღინიშნოს, მდიდარია თვით შექსპირის ენა. ცოცხალი სამეცხველო ენა, აჩაბიზმებითურთ, აი რანაირად მოხდა „ღირის“ გადმოქართულება. ამიტომია, რომ „ღირის“ თარგმანში ვხვდებით, როგორც წმინდა ხალხურ სიტყვებს: — „ჩემმა შვიმა“, „აგი სული“, „ბაიყუმი ღამე“, „ავანჩაიანი“, „ქაჯეები“, წმინდა ხალხურ ანდუზებს: „ვაის გავეპტი, ვუის შეეყვარე“, „ორ ცეცხლს შუა ვარ“, ისე არაბულ სიტყვებს და ფორმებს, რომანტიზმით აღსავსე პოეტოზმებს. „ღირის“ ხალხრობაზე ლაპარაკისას არ შეიძლება არ გავგავსენდეს ოსტადისადმი მიმართული კენტის ლანძღვა, რაც ჩვენს ბაზარზე წიკიდებულენისაგან თუ გავგიგონია, და მართლაც ასე გამოიყურებათ ამ სიტუაციაში ეს პერსონაჟები: „არამზადა, ნაეარქვეთა, ფეხთაშლეო, ნაბიჭვარი, დიდგელა, ფედერო, მათხოვარი, ორბირი, შყარლი, მერტალი, ლაიარა, გეპნილი, ჭალის გავარდნილი, თავაფდასხმული, მელაძეა, პრანჯია, ლაწირაკი“ და ა. შ. „ღირში“ „Neat slave“, რაც „ნამდილ მონას“ ნაშნავს, ეს სიტყვები ასე კი არ არის თარგმნილი, არამედ „ყურმოჭრილი მონა“. „ნამდილი მონა“ ქართული სიტყვებია, მაგრამ ხალხში ამოხატენ „ყურმოჭრილი მონა“. ენის ხალხრობის პრინციპი შემდეგში მიახებლმა ბრწყინვალედ დაიცვა თავის თარგმანებში, და ამავე „ყურმოჭრილი მონას“ იგივე ხმარობს: „სწორედ მონა ვარ მჭანჭნა და ყ უ რ მ ო ჭ რ ი ლ ი“ („ჰამლეტი“). ამგვარი შეხედვები „ღირის“ და მანამდისეულ თარგმანებს შორის ბევრია. ერთი მაგალითი: „მეფე ღირში“: „ჩემს სიციცხლეს ზალად ვხადი“. „ჰამლეტი“: „ჩემი სიციცხლე ზალის ფასად არ მიმანია“.

სწორედ ხალხურ მეტყველებაზე შემოქმედებითად დამყარებულ თარგმანს შეუძლია შეუწე-

ყოს ზელი ენის განვითარებას და თვით თარგმანი ხალხის გულამდე დაეიდეს. ქრისტეშობის წინის შავი (საქართველოს ჰაბსბურგულ-რატურული მუზეუმი, ინვენტარის № 20895 — 6) იმის საბუთია, თუ როგორი დაქინებით ყალბდებოდა და აღწევდა სრულყოფილებას თვითეული ფრაზა.

საინტერესოა, რომ ისეთი ტიპის სიტყვები, როგორცაა „ღირი“, „მადამ“, „სერა“, „პრინცი“, „მარშალი“ და მისთანანი, „ღირში“, მთლიანად გადმოქართულებულია: ბატონი, ხელმწიფე, სხასალარი, მისთავა. მაგრამ თარგმნის ისტორიიდან დასტურდება, რომ ლოკალური კოლორიტის შესანარჩუნებლად ისეთი სიტყვების აქა-იქ ხმარება, როგორცაა „გენაეკალე“, „შენი ჭირამე“, „კაიანი“, „პადრე“, „მუსიე“, „პიდალგო“, „ფრა“, „მისის“, „მისტერ“ და მისთანანი კარგ შედეგს იძლევა. ასე შენარჩუნებულია პეტო-ჰეპერტის მიერ გერმანულ თარგმნილ „ფეხისისტყაისანში“ ან, თუნდაც, ინგლისურად თარგმნილ „გვალი ბიკვამი“ ზემო-მოხსენებული ტიპის მრავალი სიტყვა. და მართლაც, მოზბლიერ ენაზე სხვა ხალხის გარემოს, ხასიათის, კოლორიტის, ლეკალური იერის შენარჩუნება შეუძლებელი ან ფერმკრთალი იქნება ზოგი დამახასიათებელი სპეციფიკური სიტყვის ხმარების გარეშე, ზომიერების და აღვილის გათვალისწინებით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი. ჰამლეტის მონოლოგიდან „To be or not to be...“ ქართულად თარგმნილია „ყოფნა, არ-ყოფნა...“, რასაც სამართლიანად ვეროვნებით ხოლმე მიახებლს. მახვილი მიგნება მართლაც (შდრ. წინამორბედ მთარგმნელებს: „ეიყო თუ არ ეიყო“, „სიციცხლე თუ სიყვდილი“?). მაგრამ 1881 წლის მარტის ილის „შინელი მიმოხილვაში“ (ტ. III, 1952, გვ. 57) გვითხრობთ: „ჰამლეტი თავისთავსა კეითხავდა: ყოფნა, თუ არ-ყოფნა...“ (ზაზი ჩვენია — ი. კ.) ეს „თუ“ არა გვაქვს მიახებლთან, მაგრამ საქმე ზმნის ფორმის შერჩევა იყო. ე. ი. „ყოფნა, არ-ყოფნა...“ პირველად ილიასთან ვხვდებით. („ჰამლეტი“ ითარგმნა 1886 წ.).

„მეფე ღირის“ ქართულად თარგმნის დროიდან მრავალმა ათეულმა წელმა განვლო. მანამდღემამ თარგმანს მოყოლა უ. შექსპირის სხვა ტრაგედიების თარგმნები. მას ირასოდეს არ უღალატია „მეფე ღირის“ თარგმანზე ილიასთან ერთად მუშაობისას მოქმენილი შემოქმედებითი თარგმნის მეთოდისათვის. და „თუ მიახებლმა „ქართულად აღლაპარაკე შექსპირი“, თუ საბჭოთა ქართველმა მთარგმნელებმა მოგვეცეს რიგი ნიჭური თარგმანებისა შექსპირისა და სხვა ელსიკური ნაწარმოებებისა ეს ბევრის შპრიე არის ორგანული გავრძელება ქართული შემოქმედებითი თარგმანის მეთოდის იმ ტრადიციისა და პრინციპებისა, რომელთა სათავესთანაც იდგა დიდი ილია, თვით ივანე მანაბლის გზის გამკვლევა.



# ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ ქართული ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი მისწრაფებითა უპლდერესი კანონიერი სიტყვიერი გამოხატულებაა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალური რევოლუციის ჰიმნი. პოემაში ცხოველი სიმათილით არის ასახული მშრომელთა ეკონომიურ-მორალური ჩაგვრა და ეროვნული გადაჯიქრების საშიშროება. ღრმა განზოგადებით და დიდი პოეტური მგზნებარებითაა გამოთქმული „განახლების გრივადის“ გამარჯვების, „ახალს ნერგზედ ახლად შობილი შრომის სუფევის“ დამყარებისა და პატრიოტული სულსცეცხებით აღზრდილი ხალხის მიერ ეროვნული თავისუფლების მოპოვების შთამაგონებელი იმედი.

„აჩრდილის“ ერთი მთავარი მხარეა სოციალური ბორბტების კრიტიკული ასახვა და მომავალი „შრომის სუფევის“ წარმეტყველება. პოემაში მძიმე პატრიოტური ურთიერთობა წარმოსახულია შებატონეთა მიერ ყმების ეკონომიური ძარცვისა და მორალური დაზიანებების რეალურად სურათებით.

ქართულ ლიტერატურაში ამაზე უფრო მკვეთრად და შემადრწუნებლად იშვიათად თუ ვინმეს გამოხატავს პატრიოტური ჩაგვრის უღმობლობა.

ილია კიცხავს მშრომელთა შიგვრებს, განცხრომაში მყოფ დიდკაცს, მომეთა მომტყუებელ კებერ ვაჟარს და უზრუნველად გულხელდაკრეფილ მღვდელს, რომლებიც მონობაში მყოფთათვის თავს არ იწყუხებენ, რადგან სოციალური უსამართლობა არის შთაი არსებობის საფუძველი. იგი ექსპლიატირებულებს ასწავლის, რომ თავისუფლების მოსაძიებლად იუციალებულია ბრძოლა, უჩვენებს, რომ უკვე დაწყებულია ძველი წყობილების რღვევა და ახსენებს: „მყოობაღი მარტო შენით“...

პოეტი სწორად განსაზღვრავს ისტორიის მსვლელობას, შრომის ახსნისათვის „კაცთა ღელესა დადი ზვიათის“ ამბოჯტრებას, ბნელი სამყაროს მოსაბობის აუცილებლობას და „განახლების გრივადის“ — რევოლუციის გამარჯვების რწმენას „კომუნისტური მანიფესტის“ სიმძაფრით, და დამაჯრებლობით გამოთქვამს:

ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრავალის ქროლას,  
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი  
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას.

ყოველი კლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელ სოციალურ უკუღმართობას ილია კაცობრიობის წინსვლის შემაფერებებელ ბორკილად სახავს, მისი დამსხვრევის რწმენას გამოთქვამს და ბრძენის წინასწარხედვით გამოხატავს ახალს ნერგზედ წარმოშობილი წყობილების საფუძველზე ქვეყნის აყვავების იმედს:

და დამსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

ილია ახალი მომავალი საზოგადოების დამახასიათებელ მხარედ განთავისუფლებულ შრომის თვისს, საყენის ისტორიულ ამოცანად „შრომის სუფევის“ დამყარება მიანდა და რწმენით აცხადებს: „ამ ზვიადმა საუკუნემა უნდა შევას იგი შრომის სუფევა“.

ილია „აჩრდილში“ ხატავს უკლასო საზოგადოების ისეთ ნათელ სურათს, რომლის ბადალი მხატვრული წარმოსახვა იმ ეპოქის კანონისტყუერებაში იშვიათად თუ მოიძებნება. ილია წერს, რომ „შრომის სუფევა მოვა თავისი ქეშმარიტებით“. ეს იქნება ყველასათვის „თანასწორადა ნეთა მღვწელი“, ეკონომიური ძარცვის ძირფესვიანად აღმოფხვრელი, „ქმობა, ერთობა, თავისუფლების“ დამამყარებელი, ისე მოწყობილებული სამყარო, რომელშიაც უნდა „ერთიან სოფედს ცხვარი და მგელი“, ე. ი. თანაბარ შრომა-საქმიანობით ცხოვრობდნენ ყოფილი ექსპლიატატორები და ექსპლიატირებულები; ეს იქნება „კაცთაშვიარებისა და სათნოების“ წყობილება, რომელშიაც მშრომელი განაკვდება და აიარ იქნება აღირც მიაგვრელი და აღირც ჩივრელი. პოეტი ხატავს თვისობრივად სრულიად ახალ საზოგადოებას, ნამდვილ „შრომის სუფევას“ და მშრომელს შთამაგონებლად მიმართავს: მშინ, მამერალო, შენც ვანკაცდება.

წართმულ ნეთა კვლავ მოიპოვებს,  
სხვას ძიარს არ დასწყევ, თეთი ამაღლდები,  
არც ვის ემონგი და არც იმონებ.

ილია შთამაგონებელი წინასწარ განვრცობით წარმოსახავს რევოლუციის განმახლებელ მძლეობამდე გრივადს და მომავალი შრომის სამყაროს გენიალურად ნათელ სურათებს. პოეტი ს. ჩიქოვანი კარგად შენიშნავს: „აჩრდილის“ შინაგანი დენა რევოლუციური რიტმის ხმაურია, ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაკვირილი და ამღვრებელი“.

ქართულ მშრომელთა სოციალური განთავისუფლება ილიას სამართლიანად მიანდა საჭარტველის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მო-

პოეზიის საფუძვლად და ამ დიდებულ თხზულებ-  
აში სოციალურ საკითხთან ერთად მან დაი-  
ყენა ეროვნული საკითხი და ისტორიული და-  
საბუთებით, ფილოსოფიური სიღრმით და პოე-  
ტური სახეებებით გამოხატა საქტაკი პატრიო-  
ტული იდეა.

ილია პოეზიის დასაწყისში წარმტაცად აღწერს  
საქართველოს ბუნების დილის მშვენიერებას და  
შენიშნავს, რომ ბედურულ ქვეყანას აფგარი დი-  
ლა ბევრჯერ გასთენებია, მაგრამ „მის ცულსა  
ენებულს“ მაინც შეუბა არ მოჰყარებია. ცის ნა-  
თელი და ბუნების მშვენიერებანი დღემოლი მო-  
წვენიება, სინამდვილეში „ქვეყნის დრტინევა და-  
უქინარი“, დააკვირდები და მამიწვე სცნობ „თვით  
მავ დღემოლი რა წყველავ არის“. მიწისა და  
ცის სიხალსე მაინც სიხარულით უფსებს გულს  
ადამიანს, უმსახილესს ხედვას „სმუნად ბუნების  
მეტველს“ ანიჭებს სიკეთის რწმენას და  
აღუფრთოვანებს ოცნებებს. ამ განწყობილებამ  
გამოიწვია იღვწალი ნეტარებით აღსავსე „უც-  
ხო ხილვანი“, რის გამოხატვას მთელი პოემა ემ-  
სახურება.

შეინვარხო დიდებულად ჩნდება დაფიქრებული  
მონუსის აჩრდილი, რომელიც უურადლებით გაჰ-  
ყურებს მთებს, ტყეებს, დავრილ ლაზივით მქუ-  
ხარე თერგს, „ქართელის ცხოვრების მოწმე“  
არავს, მის მტკიართან შერთვის მიდამოებს,  
სადაც წინათ ქვეყნის „სიციცხლე სდუნდა“.  
მთელ საყვარელ საქართველოს, „ქვეყნის მარგა-  
ლიტს მავა ოზობსა“ და გადასახებებს:

მარად და ყველგან საქართველო, შე ვარ  
შენთანა!

შე ვარო შენი თანამდევე უკვდავი სელი.

ამის შემდეგ ამ უკვდავი სელის მონოლოგ-  
ში ურთიერთსაკვიმრბია წარმოსახული საქართვე-  
ლის გმირული წარსული, საეალაო აწმყრ და  
სიამფელ მიმავალი.

ქართულის სამეციდროს მრავალი ტანჯვა გა-  
ნუცდია, გკლიან გზანე შეუბოგრად უძლია; დე-  
დამიწანე სტვა არაენაა, რომ იმასავით ორი  
ათასი წლის მედგარ ბრძოლებში სისხლი ეღვა-  
როს და „სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს“.  
ქართველმა ხალხმა თავისი ამაყი თავი „არავის  
წინა სამედამოდ არ მოხარა“. მან ბევრჯერ შეჰ-  
ლო სამშობლოს დამოუკიდებლობის განმტკიცე-  
ბა, პოლიტიკური გაძლიერება, ეკონომიური აღ-  
მავლობა, კულტურის აყვავება „ეხლა აღგვი-  
ლია ყველა ესე ვითარცა მტვერი“... გმირთა  
სავანე მესეთა, სადაც „პყვაოდა ხე ცხოვრებისა“  
და სჩქეფდა ერის „წყარო ცხოველი“. ეხლა „სა-  
მიყიტრა დებად გამხდარა“. აჩრდილი მკაცრ  
ბრალსა სდებს იმდროინდელ ქართველ საზოგა-  
დოებას სამშობლოს მდგომარეობისადმი გულ-  
ჯრილობაში, ქვეყნის კეთილდღეობისადმი ზრუნ-  
ვის შეწყვეტაში, იმის დავიწყებაში, რომ „ქვეყ-  
ნად ცასა დგოოდ მოუცია მარტო მამული“.

თანამედროვე ქართველების დიდი ნაწილი გ-

დასდგომია ქართველობას, დაუნგრევია დიდი მა-  
შული, ზნეობრივად დაცემული, თვისუფლების  
სიყვარული დაუქარავს, მონღოლის ბორკილებს  
შეჰკუებია; გმირი ხალხის შთამომავალია —

გონონობას ოქროსა ფსად ჰყიდიან,  
მთვარის ღიმილზე — პატროსნებას,  
და დაჯანგებულ ბორკილზე სკელიან  
თავის მამულის თავისუფლებას.

ამ ქვეყნის „მადლით სავსე ბუნებას შეუკრე-  
ბია ყოველისფერი“, რომ ერის დიდ ცხოვრებას  
მისცეს ზრდა, „ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი“,  
მაგრამ თანამედროვენი დაცემულან, დაჯრღმი-  
ლან, ვერ იყენებენ თავისი ქვეყნის სიკეთეს. მათ-  
ში აღარა ჩანს „გმირის დამხალი დიდ საგანი“.

შემდეგ ილია შენიშნავს, რომ ამ დაჯრღმილ-  
თა შორის ზოგჯერ კრთება პატრიოტიზმის ნა-  
პერწყალი, ზოგის გული ქვეყნის დაცემას ვერ  
ურადდება, რამდენიმე შებრძოლებასაც ედი-  
ლობს, მაგრამ ერთმანეთისადმი შურსა და მტრო-  
ბაში მათი მხნეობა აღჭერის უმაღლე ეცემა. ორ-  
სამ ცაცს ერთი საქმისათვის გაუღვიწიათ. ერთი  
მინისათვის იღწვიან და მაინც „ერთმანეთს არ  
ენდობან“. ამიტომ

„თვით იმზობენ მას, რის იღვენაც ჰურთ,  
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.“

ილია მკითხველს აღუბრავს მომავლის რწმე-  
ნას და სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობის  
მოპოვებისათვის ასამოქმედებლად ერს ასეთ  
შთამავრებელი სიტყვით მიმართავს:

წმინდაა იგი, ვისაც ეღობსა  
მამულისათვის თავის დაღებას...  
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,  
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.

პატრიოტი გმირის სახელი საუკუნეებს გადა-  
ეცემა, კამუებს „ხმლის ტარზე ძლიერ ათო-  
როლოებს ხელს“, დედები ტბილი ხმით უმღე-  
რებენ თავიანთ პირშობებს და მათთვისაც ინატ-  
რებენ გმირთა დიდებას.

პოეტო მიმავდა გმირებს მოუწოდებს:  
მართალია არის ხმალი ზღვევისა,  
რის ხელს ჰყიდებს მას მამულის ტრფობა.  
შემდეგ გამოთქვამს იმედს, რომ მისი სამშობ-  
ლო ქვეყნის სახედისწეროდ გაყრილი კეთვები  
„ერთ მღინარედ შეერთდებიან“, ერთი აზრით,  
ერთი საქმით, ერთი სულისყვეთებით გაძლიერ-  
დებიან, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისა-  
თვის ცალმიღწეულ კავკასიის სხვა ტომებსაც და-  
უკავშირდებიან და თავისუფლებას მოპოვებენ.  
იგი ნატვრით კითხულობს: როდის დაადნობს დი-  
დი ხნის დაჯანგებულ ბორკილებს მშვენიერი  
მზის მტურეალება და როდის ნახავს საქართვე-  
ლოს აღორძინებას? ამის პასუხად და თითქოს  
თავისუფლებისათვის ბრძოლის უცილებლობის  
მანიშნებლად —

ამ დროს ქუხილმა დაავრილა,  
გრგვიწვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში.  
ქარბზალმა დაიწყო კლდების გლეჯა, მების

და ღვარჯიანი ერთმანეთში აირია, შავმა ღრუბელმა შეინჯარი დაფარა, ერთხანს თეთი უკვდავი სულის სახე აღარა ჩანდა, მაგრამ მალე გადაიშინდა ეს, „გამოიღებოდა ნათლად მთამაცა“ და იწმის სხივი გაშეშებული დადი მოხუცის აჩრდილი კვალ გამოჩნდა. ახლა იგი დღადით თხოვლობდა: ქართველ ხალხს ჰქმარებოდა ტანჯვა და „სისხლის ძღვენი“, აღსდგენოდა მშვენიერი მამული და, „რათა წარღვნისა შროლოდინ“ წარხოცოდა, ეს განცდებოდა ცისარტყელა. მართლაც, ჭვეყნის დაღუბვისაგან გადარჩენის სიმბოლოდ და მომავლის იმედის შთაბრუნებლად გამოჩნდა ჯვარანახელი მშვენიერების ცისარტყელა:

მწარედ გაღმოგო ცისა ლავიარდასა  
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა,  
და ვაღუფინა ჩემს ჭვეყანასა  
მახარებელად ტყილ იმედისა.

პოემის პირველ ვარიანტში დიდი ილია ერის განთავისუფლების იმედს იმითაც გამოხატავდა, რომ წერდა: „ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს“ და რწმენით აცხადებდა:

წარვლენ ეს წელნი ძილის ვამისა  
და გაბრწყინდება მზე მომავლისა-ო.

და, აი, ჩვენს ეპოქაში ზორციელდება კაცობრიობის უმაღლესი მისწრაფებანი და გენიულური ქართული პოეტის წინასწარგანჭვრეტელი.

ამჯერად პოემაში ისტორიული წარსული ასახულია არსებითი მოვლენების თანმიმდევრული გაღმოკეობით, ჭვეყნის თანამედროვე მდგომარეობა — სოციალური ჩაგვრისა და ეროვნული დაცემლობის სინამდვილის შეუფერადებელი ჩვენება, დასახულია საზოგადოებრივ ბოროტებათა ბრძოლის დაძლევის გზა და დახატულია მომავალი სამყარო, როგორც „შრომის სუფევა“ და ეროვნული დამოუკიდებლობა.

ნაწარმოები ხასიათდება დახვეწილი ლიტერატურული ენით, სახოვანი ლექსიკით და ნათელი კონსტრუქციის წინადადებით. განსაკუთრებულ შემოხვევებში მხოლოდ ემოციური შეფერადებისათვის გამოყენებულია რამდენიმე არქაული სიტყვა, როგორცაა: წარაქეთ (მიაქეთ), მხადოდენ (სთვლიდენენ) სიქედულად (საამაჟოდ), პატყენი, (ტანჯვანი), მიჰმადლე (მიეცი) და სხვ.

პოემა პოეტური ტროპების მხრივ ზომიერებით და მეტყობი მიზანშეწონილობით ხასიათდება. ეპითეტები, გაბიროვნებანი, მეტაფორები, შედარებები თუ მიმართვანი სურათის სატოვანების, აზრის სრულყოფას და გრძნობათა ცხოვლად გამოთქმის უწყობენ ხელს.

„აჩრდილი“ დაწერილია ლექსის ორი ზომით. I — VI, VIII, — XVII, XX — XXI, XXV — XXXVI თავების ზომია ათმარცვლიანი ფესტიკული (5+5), ხოლო VII, XVIII, XIX და XXVI თავების ზომია თოთხმეტმარცვლიანი მრნობლე-

დი (5+4+5). პირველი წუთის რიტმი დინამიკურია, მეორისა შედარებით ნეკრ და რჩევე წესტად შესატყვისია ამ თავებზე გამოხატული მოქმედებათა, ვრძნობებისა, იღებთა და განწყობილებებისა. პოემა ძირითადად ქალური, იშვიათად დაქტილურით ჯვარედინად არის გაართმული, ხოლო გამოხატვისის სახით მოსახლერე რითმებით.

ილიას „აჩრდილის“ თემატური ნაკადების, იღური მოტივებისა და მხატვრული მეტყველების საშეალებათა გამოყვევის, შემდეგ ნათელი ხდება თხზულების ვერა კომპონენტის ურთიერთობა და კომპოზიციის მთავარი თავისებურება, რაც მდგომარეობს სოციალური უსამართლობის ბრძოლით მოსაზრებთან ეროვნული საციოზის გადაჭრის გარყვეულად დაკავშირებაში. ეს დაკავშირება კი ასე იხატება:

ბრწყინვალე ბუნების სიმშვიდეში იგრონობა ხალხის დაუძინარი დრტვინვა, თეთი ბუნება შთამავონებელია იმისა, რომ ამ წარმტაც ქვეყანაში აღამინსაც შეუძლია ბედნიერების მოპოვება... ამის დასამტკიცებლად წარმოსახება უცხო ხილვანი: მყინვარზე ჩნდება დიდებული მოხუცის აჩრდილი, რომლის მონოლოგთა წარმოდება ქართულთა ეროვნული ტრავედია, პატრიოტიზმის იღვა, გმირთა აღზრდისათვის ზრუნვა, ერის უდიდესი უმრავლესობის სოციალური ჩაგვრა, ამ მონობის წინააღმდეგ დაწყებული „განახლების გრიაჯალი“, მომავალი „შრომის სუფევის“ უმაღლესა სამართლიანობა და მშვენიერება, კვლავ ერის თანამედროვე ცხოვრების საბედისწერო ვითარება, შემდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის აღუგორიად — ელვა-ქვეყიანი ნიღვრის აღწერა და ბოლოს ჭვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის მომავალში აღდგენის სიმბოლო ცისარტყელის სახე.

ამჯერად, ამ თხზულების ცალგე ნაწილთა მთლიანობას ქმნის არა ფაბულისეული არაყის განვითარება, არამედ იღური ერთიანობა, რწმენა სოციალური თანასწორობის დამყარებისა და იმედი ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა, რაც გამოხატულია მონოლოგის, ლექსის ორი ზომის თავისებური მიზანშეწონილი მონაცვლების და მხატვრული მეტყველების საშეალებათა ზომიერი გამოყენების მეშვეობით. პოეტო ს. ჩიქოვანი პოემის კომპოზიციის ამ მხარეზე მიუთითებდა: „მხატვრულად ვაზრებულე სახეები პოემაში რჩეცტრივითაა აწყობილი და მთლიანად პოემა „აჩრდილი“ დიდი ოპტიმისტური და მხატვრული მღელვარების შედეგია“.

ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ ეპოქის მიჯისეუმის ამსახველი, დიადი სოციალური და ეროვნული იღებისა გამომხატველი და ნათელი მომავლის გენიალურად განმჭვრეტი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია.

## ბ. ბუხნიკაშვილი



### ა. სუმბათაშვილის ღრამატურგია ქართულ სენაზმ

რუსული თეატრის გამოჩენილი მსახიობი, წყენი თანამემამულე ა. სუმბათაშვილი-იუვიანი, რომლის დაბადების ასი წლისთავს და გარდაცვალების ოცდაათი წლისთავს ამა წლის 17 სექტემბერს აღნიშნავს საბჭოთა თეატრალური საზოგადოებრიობა, არა ნაკლებ ცნობილი იყო აგრეთვე როგორც ღრამატურგი. მის კალამს ეყუთვნოდა მთელი რიგი დრამატული ნაწარმოებები, რომლებსაც დღეი წარმატება ჰქონდათ რუსულ სენაზმზე. ა. სუმბათაშვილის პიესები თარგმნილი იყო გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ, ჩეხურ, სერბიულ და სხვა ენებზე და იღვმებოდა უცხოეთის მთელ რიგ ქალაქებში. თარგმნილი იყო ქართულ და სომხურ ენებზეც.

ა. სუმბათაშვილის ღრამატურგიის წარმატება რეკლამითა და რუსულ სენაზმზე იმით იყო გამოწვეული, რომ შინაარსით მისი პიესები მეტწილად თანამედროვეობას ასახავდა, საერთოდ ა. სუმბათაშვილი თეატრში თანამედროვე თეატრის პიესებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის წერდა: „რაც უნდა დიადი იყვნენ წარსული საუკუნეების ღრამატურგიის გიგანტები, თეატრი, რომელიც მხოლოდ მათზე შეჩერდება — მუხუცმაღ, ძვირფას აჩქივად იქცევა“.

ა. სუმბათაშვილის პიესების შინაარსი გამოდინარეობდა ავტორის პროგრესული აზროვნებიდან, მისი შეხედულებებიდან თანამედროვე ცხოვრებაზე.

ა. სუმბათაშვილის პიესები მიწოდებული იყო არა მარტო შინაარსობრივად, არამედ იმითაც, რომ სცენის დიდ კოდნით იყო დაწერილი და შეიცავდა მკვეთარ სიუჟეტს, მომგებიან როლებს და შესანიშნავ სიტყვის მასალას. მართალია, ა. სუმბათაშვილის ღრამატურგიამ დროს ვერ გაუძლო, ვერ შეერჩა ჩვენს ეპოქაში, მაგრამ თავის დროზე ამ ნიჭიერად ადამიანის ლიტერატურულ შემოქმედებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ღრამატურგიისა და თეატრის წინსვლაში.

ა. სუმბათაშვილმა პიესების წერა ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას, ახალგაზრდობაში დაიწყო. 1877 წელს მან დაწერა ორი ვოდევილი: „ახლო იდუაღი მაგრამ ვერ უბნენ“ და „ერთი მეორეზე“. 1878 წელს, როდესაც პეტერბურგში გაემგზავრა უმაღლესი კოდნის მისაღებად, იქ დაწერა ხუთ

მოქმედებიანი დრამა „სიციცხლის უფლება“. ეს პიესები იმ ხანებში დაიდგა რუსულ სენაზმზე, მაგრამ ავტორი მათ, როგორც საცდელ ნაწარმოებებს, მიინდამიანც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, 1878 წელსვე დაწერა ა. სუმბათაშვილმა დრამა „მესხარიდი“, რომელიც შემდგომ (1885 წელს) ვლ. ნემიროვიჩი-დანენკოსთან ერთად გადაიკეთა და იღვმებოდა სენაზმზე „შეფარდების და ყორნების“ სათაურით. 1879 წელს დაწერა დრამა „ბნელი ძაღვები“, რომელიც 1881 წელს გადაიკეთა და იღვმებოდა „ფოთლები შრიაღებენ“-ის სახელწოდებით. ამის შემდეგ დაწერა დრამა „საუკუნის ასული“ (1880 წ.), დრამა „სერავეი სატილოვი“ (1883 წ., აგრძელები იყო ცენზურის მიერ), „სახელოვანი ქალის ქმარი“ (1884 წ.), დრამატული ქრონიკა ლეჟსად „მეფე იოანე მე-4“ (1884 წ.), დრამა „არკანაოეები“ (1886 წ.), დრამა „პორცილი“ (1884 წ.), დრამა „ძველი წართობა“ (1895 წ.), „ჯენტლმენი“ (1897 წ.), „დაისი“ (1899 წ.), „ირინინის სავანე“ (1901 წ.), „ლალატი“ (1903 წ.), „ბადე“ (1905 წ.), „წინამძღოლი“ (1907 წ.), „ლამის ნისლი“ (1916 წ.). 1927 წელს დაწერა პიესა „რაფაელი“ (ლეჟსად), რომელიც მისი უკანასკნელი დრამატული ნაწარმოებია იყო.

ქართული საზოგადოება და პრესა თავიდანვე აღფრთხილდა თეატრის ა. სუმბათაშვილის წარმატებას როგორც სენაზმზე ისე ღრამატურგიაში და ამასთანავე სურვილს გამოთქვამდა, რომ ნიჭიერ ღრამატურგს დახმარება გაეწია მშობლიური თეატრისთვისაც. 1880 წელს ა. სუმბათაშვილი თბილისში იმყოფებოდა, ამ დროს თბილისში მომუშავე რუსულმა ღრამატულმა დასმა განიზრახა ა. სუმბათაშვილის პიესის „მესხარიდის“ დადგმა და წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად თვით ავტორი მიიწვია. ვახუთმა „დროებამ“ იუწყა ქართველ მკითხველს ეს ამბავი და ამასთანავე დასძინა: „იმედო ვეაქეს, რომ ჩვენებურთ ეს ახალგაზრდა მწერალი არ დაემაყოფილებდა მართო რუსულ ენაზე წერით, დაეხმარება სამშობლო ლიტერატურასაც, რომელსაც ისე ეჭირება რუგინი და ნიჭიერი მწერალი“ („დროება“ № 17, 1881 წ.). შემდეგ წელს ვახუთი „დროება“ (№ 193, 1881 წ.) „ახალ ამბებში“ იტყობინება „პეტერბურლის ვახუთებში იწერებთან, რომ



ჩვენს თანამემამულეს ა. ი. სუმბათოვს ახალი რუსული დრამა დაუწერია სახელად „ფოთლები შრიალბენ“, რომელიც პეტერბურდის თეატრალურ კომიტეტს მოეწონებია და მალე სცენაზე უნდა წარმოადგინონ. გაზეთ „დროებაში“ 1884 წელს (№ 223) კვლავ ვითხოვლობთ: „ერთს ჩვენს თანამემამულეს თავად სუმბათაშვილს რუსული გაზეთები ხშირად იხსენიებენ. მან გამოიჩინა თავი ორი მხრივ: როგორც ნიჟერში აქტიორმა და როგორც შესანიშნავმა დრამატულმა მწერალმა. მისმა ორმა დრამამ „ფოთლები შრიალბენ“ და „საეკენის ასულმა“ დაიმსახურეს რუსული საზოგადოების თანაგრძნობა და სათეატრო კრიტიკის ქება. სუმბათაშვილი ამას არ დასჯერებია და დაუწერია ორი ახალი სათეატრო თხზულება, კომედია და დრამა“.

99-იან წლებში ა. სუმბათაშვილის დრამატურგია ქართულ სცენაზე შემოვიდა. მისი პირველი ნაწარმოებები, რომელიც ქართულად თარგმნა, იყო „პორცილი“, პიესა სთარგმნა ა. ახნაზაროვმა 1889 წელს და დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (№№ 175 — 221, 1889 წ.). იმავე წელს ცალკე წიგნად გამოვიდა „პორცილი“, ქართულად პირველად დადგმული იყო 1890 წლის 6 დეკემბერს ქუთაისში.

„პორცილი“ თბილისის დრამატულმა დასმა დადგა. ამ პიესით გაიხსნა დასის 1891 — 1892 წ. სეზონი 15 სექტემბერს. შემდეგ „პორცილი“ წარმოადგენილი იყო ქუთაისში 1892 წლის თებერვლის თვეში (რიცხვი გამოჩვეული არ არის), 1893 წლის 20 იანვარს თბილისში, 1895 წლის 29 ოქტომბერს კვლავ თბილისში, 1902 წლის 5 ნოემბერს ბათუმში (ქუთაისის დრამატული დასის მიერ ლ. მესხიშვილისა და ნ. ხეიძის მონაწილეობით), 1902 წლის 17 ნოემბერს თბილისში (ა. სუმბათაშვილის სასცენო მოღვაწეობის 20 წლის თავის აღსანიშნავად) და 1903 წლის 26 დეკემბერს ქუთაისში.

შემდეგი პიესა ა. სუმბათაშვილისა, რომელიც ქართულად თარგმნა, იყო „შეგარდნები და ყორნები“. პიესის თარგმნელი იყო ქუთაისის თეატრის მსახიობი ვიორგა თუთბერიძე (თარგმანის ხელნაწერი დაეცუდა ცენტრალურ საისტორიო არქივის საცენო კომიტეტის ფონდში). პიესა ქუთაისშივე იყო პირველად წარმოდგენილი 1897 წლის 26 ოქტომბერს ლაო მესხიშვილის რეჟისორობით. მეორეჯერ დადგმული იყო 1906 წლის 9-ოქტომბერს თბილისის დრამატული დასის მიერ, სეზონის გასსნისას. წარმოდგენის რეჟისორი იყო ვ. აბაშიძე. მესამეჯერ „შეგარდნები და ყორნები“ დადგმული იყო თბილისშივე 1913 წლის 24 იანვარს ვ. აბაშიძის სახენწეფისოდ, ლაო მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით.

სამჯერვე იყო წარმოდგენილი ქართულ სცენაზე კოტე მესხის მიერ გადმოქართულებული ა. სუმბათაშვილის დრამა „არკაზაოვები“, „აღიყო კაზიანის“ სახელწოდებით. პიესა უფრო თარგ-

მნილი იყო ვიდრე გადმოკეთებული. შეცვლილი იყო მონაწილეთა სახელები. „აღიყო კაზიანის“ პირველად წარმოდგენილი იყო 1898 წლის 8 თებერვალს თბილისის დრამატული დასის მიერ, კ. მესხის სახენწეფისოდ. თბილისის დრამატული დასის მიერვე იყო ეს პიესა წარმოდგენილი 1900 წლის 19 თებერვალს, ვ. აბაშიძისა და კ. მესხის სახენწეფისოდ. მესამედ წარმოდგენილი იყო ქუთაისში 1902 წლის 4 აპრილს ეფემია მესხისა და კოტე მესხის მონაწილეობით, რომლებიც საგასტროლოდ იყვნენ წამოწვეული ქუთაისში. ვარდა ამისა „აღიყო კაზიანის“ ერთი მკმედემა ითამაშა თბილისის დასმა 1903 წლის 11 მაისს, თბილისში ჩამოსულ ა. სუმბათაშვილის პატივსაცემად გამართულ საღამო-წარმოდგენაზე.

„ციხის საიდუმლო“ სახელით იყო გადმოქართულებული ვ. გუნიას მიერ ა. სუმბათაშვილის დრამა „ძველი წრთობა“. პიესის მონაწილეს, რომელიც შეიცავდა რუსის ჯარის ბრძოლის მოიჯი ხალხებთან მე-19 საუკუნეში, ვ. გუნიამ გადაიტანა მე-17 საუკუნეში ქაზიუში. ქართულად პიესა ძალაან შემოცირებული იყო, ბევრი მოქმედი პირობილი იყო და ამიტომ ქართულად პიესამ ბევრად დაკარგა მხატვრული სიდიდრე. „ციხის საიდუმლო“ ქართულ სცენაზე დადგმული იყო 1901 წლის 10 თებერვალს თბილისის დრამატული დასის მიერ ვ. გუნიას რეჟისორობით, 1901 წლის 27 თებერვალს ბათუმში ქუთაისის დასის მიერ ლაო მესხიშვილის რეჟისორობით და სახენწეფისოდ. იმავე წლის 12 სექტემბერს თბილისის დრამატული დასის მიერ (სეზონის გასსნისას) ვ. აბაშიძის რეჟისორობით და 1903 წლის 30 ნოემბერს კვლავ თბილისის დასის მიერ. 1910 წლის 17 და 23 სექტემბერს „ციხის საიდუმლო“ წარმოადგინა დრამატულმა დასმა ქუთაისში. 1913 წლის 23 თებერვალს წარმოდგენილი იყო ბათუმში, ზალო იმავე წლის 9 თვისს — ქუთაისში.

ვ. გუნიამ თარგმნა კიდევ ერთი პიესა ა. სუმბათაშვილისა — „წინამძღონი“.

როგორც ვხედავთ, ქართული თეატრი საკმაო ურადლებით ეპყრობოდა ა. სუმბათაშვილის დრამატურგია. მაგრამ მისმა „ლიტარმა“ პირდაპირ დაიპყრო ქართული სცენა. ეს შესანიშნავი დრამა გადმოქართულდებული იყო ქართული თეატრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარეპერტუარო ნაწარმოებად და განუწყვეტილად იდგებოდა ქართულ სცენაზე.

„ლიტარის“ დაწერით ა. სუმბათაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა ქართული თეატრისა და საზოგადოებრივობის დიდი სურვილი — შეექმნა რაიმე ნაწარმოები საქართველოს ცხოვრებად. ამ მხრივ სხარტად და მოხდენილად გამოსახა ქართული საზოგადოებრივობის აზრი კოტე მესხმა 1918 წელს ა. სუმბათაშვილის თემაზევე მოსკოვში. მან მიმართა თემატიკას „შენ ვანშორდი საშობლო საქართველოს, შენ,

როგორც მსახიობმა, უღალატე მშობლიურ სცენას, როგორც მწერალმა — მშობლიურ ენას, მაგრამ ზეენ არ გვიცხავთ ამისათვის, რადგან შენი ლალიტი „ღალატითვე“ გამოისყიდეთ.

1903 წლის შემოდგომაზე მოსკოვის მცირე თეატრში დადგმის შემდეგ ეს შესანიშნავი ნაწარმოები უცხად მიიღო მთელ რუსულ თეატრს. მას თან სდევდა ისეთი წარმატება, რაც მხოლოდ რამდენიმე პიესას ხედა წილად მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსულ სცენაზე.

შორს წავევიყვანს იმის აწერა, თუ რა წარმატებით საჩვენებლობდა „ღალატი“ რუსულ სცენაზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ წარმატების მიზეზი არა მარტო პიესის მაქაოლად შესანიშნავი მხატვრული ღირსება იყო, არამედ ისიც, რომ თავისი შინაარსით ის ერთგვარად ეხმარებოდა რუსეთის იმდროინდელ ვითარებას — რუსი ხალხის ვაშანთავიფლებულ ბრძოლის ყოჩაღების მიმართ. „ღალატიში“ წარმოდგენილი ყოველი საპროტესტო სიტყვა ყოველგვარი ჩივილის წინააღმდეგ, მკურნებლის გონებაში შედარებას პოულობდა თანადროულობასთან. ანატოლი ვასილის-ძე ლენინარსკი შესანიშნავ შეფასებას აძლევდა „ღალატს“. ის წერდა 1922 წელს: „...პიესა სავერა მრავალფეროვნებით და სცენური სიყოცხობით და, ამასთანავე ერთად მასში არის ის სიმშვენიერე, რომელიც აბიძგის იუკონის მთელ მოღეწეობას, — ღრმა პეშანური ლიბერალიზმი და თავისებური პათოზი, რომელზედაც შეიძლება იხიოხიოთ ძირმომავალმა სკეპტიკოსებმა, მაგრამ რომელიც მუდამ მიიკვლევს გზას ქვეშარტად კეთილშობილითა გულში, განსაკუთრებით უფრო კმაჟოა ქართვე გულში, ხალხიდან გამოსული ადამიანების გულში“.

ქართველმა მსახიობებმა ადრევე იცოდნენ, რომ ა. სუმბათაშვილი წერს პიესას საქართველოს ცხოვრებიდან. 1903 წლის გაზაფხულს ის თბილისში იყო ჩამოსული საგასტროლოდ. 11 მაისს თბილისის ქართულმა დრამატულმა დასმა მას დიდი საზეიმო შეხვედრა მოეწყო და სწორედ ამ შეხვედრისას მსახიობმა ნ. ვახუშია-ცაგარლისამ კიდევ ერთხელ მოაგონა ა. სუმბათაშვილს, რომ მან უკველად უნდა დაწეროს პიესა ქართველი მსახიობებისათვის. ა. სუმბათაშვილმა უნახება, რომ ის სწორედ ახლა წერს პიესას საქართველოს ცხოვრებიდან, და სულ მალე ამ პიესას მიიღებენ ქართველი მსახიობები (ნ. ვახაიძე „თეატრალური მემუარები“, გვ. 91, თბილისი 1949 წ.).

თბილისიდან ა. სუმბათაშვილი საგასტროლოდ ოდესში გაემგზავრა და, როგორც თავის დღიურებში აღნიშნავს, ოც ივისს იქ შეუდგა „ღალატის“ წერას. პიესა სულ მალე დამთავრა. ავტოსტრში თბილისის ვახუშია „ნოვოეობოზრენიე“ იტყობინებოდა, რომ ა. სუმბათაშვილში „ღამათყარა ახალი პიესა, რომლის სიუჟეტი კავასიის ცხოვრებიდან არის აღებული და პიესა

უკვე შეტანილია ორივე საიშპეტატორი სატახტო ქალაქების თეატრების რეპერტუარში“.

დაიარებისამებრ ა. სუმბათაშვილის „ღალატის“ ეგზემპლარი ქართულ თეატრს დაუყოვნებლივ გამოეგზავნა. 1903 წლის შემოდგომაზე პიესა ცალ-ცალკე თარგმნეს კოტე მესხმა და გროგოლ უფშიძემ და თარგმანები დაბეჭდეს კიდევ კოტე მესხის თარგმანი დაიბეჭდა თურნალ „მოამბეში“ (№ 11, 1903 წ.). ხოლო გროგოლ უფშიძის — ვახუთ „ივერიამი“ (№№ 228—280, 1903 წ.). შემდეგ წელს ორივე თარგმანი ცალკე წიგნებად გამოვიდა („ღალატი“ თარგმნი აგრეთვე ნ. ავალიშვილმა და ცალკე წიგნად გამოვიდა 1906 წელს; პიესა თარგმნი აკაკი წერეთელმა. ეს თარგმანი ი. გრიშინელმა გამოაქვეყნა 1949 წელს ა. წერეთლის თხზულებათა მე-5 ტომში). ქართული დრამატული დასი 1903 წლის დეკემბერშივე შეუდგა „ღალატის“ დანდგმის სამზადისს, მაგრამ პიესის დადგმა მას თბილისის რუსულმა დრამატულმა დასმა დაასწრა. რუსული დასის წარმოდგენა 7 დეკემბერს გაიმართა და, ცხადია, ამ წარმოდგენის მთელი ქართული მოწინავე საზოგადოება დაესწრო. ა. სუმბათაშვილის პირად არჩეული დაუღლია აუარება მილოცია დეპეშებისა და წერილების სახით ქართველი მოღეწე წევრისაგან „ღალატის“ ამ პირველი წარმოდგენის შემდეგ. ა. სუმბათაშვილს ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცეს აკაკო გოგებაშვილმა, ვახუთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელმა ა. ჯაბაძარმა, თურნალ „მოამბის“ რედაქტორმა ი. კუკინამ და სხვა მრავალმა. ა. სუმბათაშვილს მიულოცეს მსახიობებმა ვასო აბაშიძემ, ლადო მესხიშვილმა, კოტე მესხმა და სხვებმა.

„ღალატის“ ქართულად დადგმის მზადების შესახებ თბილისის პრესა 1904 წლის იანვარში არა ერთხელ აღნიშნავდა. ვახუთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „ამჟამად დრამატული საზოგადოების გამგეობას და დასს დიდი მზადება აქვს თავ. სუმბათაშვილის დრამის „ღალატის“ წარმოსადგენად. რეპეტაციები რამდენიმე დღეა დაიწყო და წარმოდგენაც იმ კვირას უნათლოდ გაიმართება, როგორც გავიგოდ, გამგეობას პირველი წარმოდგენისათვის საზაინო თეატრი აუღლია, დამზადებულია ახალი დეკორაციები ბიტიანიამოსი“. „ღალატის“ ქართული წარმოდგენა გაიმართა 20 იანვარს ამ პირველ წარმოდგენაში როლებს შემსრულებლები იყენენ: ე. მესხი — ზეინაბი, ე. გენია — ოთარევი, ლ. მესხიშვილი — სოლომონ ხანი, ე. ყიფიანი — ანანია, ე. მესხი — ბესი, ს. სვიმონიძე — დათო, ე. შათირიშვილი — ერეკლე, ნ. დავითაშვილი — გაიანე, ე. ჩერქეზიშვილი — ისახარ, ა. კარგარეთელი — რეჟისი და სხვ. საწყობაროდ, ეს წარმოდგენა ზეირიანი ვერ გამოიღვა და პრესისა და საზოგადოებრივობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია პიესა წესიერად ვერ იყო მომზადებული რეჟი-

სტრის მიერ და ამასთანავე საოპერო თეატრის დიდ სცენაზე მსახიობებმა აღლო ვერ აეღეს მათთვის უჩვეულო აქუსტიკას. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 2386, 1904 წ.) წარმოდგენის სხვა ნაკლო შორის აღნიშნავდა მეტყველების უპირატესობას. უწინ და უღალატო დეკლამაცია იყო „კონსტ. მესხის სკოლისა“ და ამ დეკლამაციის მეოთხედი კართული სიტყვები სიტყვებს არ ჰგავდა და კილო კილოსო. გაზეთ „ივერიაში“ (№ 16) მოთავსებულია „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც აღმოფხვრება გამოთქმული მსახიობების მიმართ, რომლებმაც სახელი „გაუტყვეს ჩვენებურ სასცენო ხელოვნებას“. აღმოფხვრება გამოთქმული დრამატული საზოგადოების მიმართ, რომ ასე მოეშობდებოდა მსახიობები გამოეშვა, პრესა იძაგებდა კ. მესხის თარგმანსაც. (თარგმანი, მართლაც, ხეირიანი ვერ იყო და შემდგომში „ლალიტი“ მუდამ ვ. უფ. შიძის საუკეთესო თარგმანით იღვრებოდა ქართულ სცენაზე). პრესაში ამავე დროს შესანიშნავი შეფასება იყო „ლალიტის“, როგორც დრამატული ნაწარმოების.

ჩვენი აზრით, დადგმის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართული თეატრის მსახიობთა ათწლობით ჩვეული პირობითი სტილი ისტორიულ პიესებში თამაშისას ვერ შეეცა „ლალიტის“ დრმა რეალისტურ ხასიათს.

თბილისის შემდეგ „ლალიტი“ დრამატული საზოგადოების დასმა დადგა ბათუმში (22 და 24 იანვარს) და ქუთაისში (23 და 25 იანვარს). ამ წარმოდგენებში იუარება მყარებული მიიზიდა და კარგი მოგება მისცა დრამატულ საზოგადოებას. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ № 2392 იტყობინებოდა, რომ ამ თან წარმოდგენიდან სულთა მოგება 2500 მანეთი დარჩა. 28 და 29 იანვარს დრამატულმა დასმა „ლალიტი“ კვლავ ითამაშა თბილისში არტისტული საზოგადოების თეატრში. ამავერად ბესოს როლი შეასრულა ვ. აბაშიძემ, ერეკლესი — დ. ჩარკვიანი. წარმოდგენები ვატილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველად.

შეიძლება მოსაწყენი იყოს, — მაგრამ მაინც საჭიროდ ვთვლით აქ აღვნიშნოთ „ლალიტის“ დადგმები რევოლუციამდელ ქართულ სცენაზე, — ისევე როგორც „ზემოთ აღვნიშნეთ ა. სუმბათაშვილის დანარჩენი პიესების დადგმები, ვგრად იმ საბი წარმოდგენისა თბილისში, ორი წარმოდგენისა ქუთაისში და ორი წარმოდგენისაც ბათუმში, რომლებიც თბილისის დრამატულმა დასმა გამართა 1904 წლის იანვრის თვეში, „ლალიტი“ ამავე სათეატრო სეზონში თბილისში კიდევ ხუთჯერ იყო წარმოდგენილი — სახელდობრ: 22 თებერვალს და 13 მარტს მსახიობთა აბნაგაბის მიერ ვ. გუნის ხელმძღვანელობით, 14 მარტს ახალგაზრდა მსახიობთა აბნაგაბის მიერ ა. იმედაშვილის ხელმძღვანელობით (ლა-

ლი მესხიშვილის, ნ. ჩხეიძის და კ. მესხის მონაწილეობით) და 22 აპრილს დეკლამაციის დადგენას თბილისში.

შედეგობა

1904 — 1905 წლის სათეატრო სეზონში თბილისის დრამატულმა დასმა „ლალიტი“ ორჯერ წარმოადგინა — 3 ნოემბერს და 29 დეკემბერს (ნ. ჩხეიძის საბუნებისმეტყველოდ), ხოლო 1905 — 1906 წლ. სეზონში — სამჯერ: 26 სექტემბერს (სეზონის გახსნისას), 26 თებერვალს და 30 აპრილს (ორ უკანასკნელ წარმოდგენაში ლალი მესხიშვილმა მიიღო მონაწილეობა). შემდეგ 1906 — 1907 წლ. სეზონში თბილისის დრამატული დასის მიერ „ლალიტი“ წარმოდგენილი იყო 9 ნოემბერს და 22 დეკემბერს. 1907 წლის 15 აგვისტოს კმ. ნიკიტინების ცირკში დადგეს თბილისის მსახიობებმა „ლალიტი“ საქართველოში სტუმრად ჩამოსული ფრეიდანელი ქართველების ზეცაშვილისა და ონიკაშვილის პატრესაცემად. წარმოდგენას ვ. აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

1907 — 1908 წლ. სათეატრო სეზონში თბილისის დრამატულმა დასმა „ლალიტი“ ერთხელ წარმოადგინა — 16 ნოემბერს, ხოლო შემდეგ სეზონში ოთხჯერ: 1909 წლის 10 იანვარს, 28 იანვარს, 8 თებერვალს და 20 მაისს. ოთხჯერე იყო წარმოდგენილი „ლალიტი“ 1909 — 1910 წლ. სათეატრო სეზონში — სახელდობრ: 12 სექტემბერს (ეს იყო გამოსადგელი წარმოდგენა ახალ მსახიობთა მისაღებად), 11 ოქტომბერს, 31 დეკემბერს და 22 აპრილს. ზუთჯერ დადგა 1910 — 1911 წლ. სათეატრო სეზონში: 21 ნოემბერს, 13 იანვარს (ა. კარგათელის საბუნებისმეტყველოდ), 18 თებერვალს, 16 აპრილს (ი. გრუშაშვილის წარმოდგენა ქართველ მწერალთა დასმარებით ვ. გუნის რეჟისორობით) და 29 აპრილს (ვ. გუნისა და ვ. აბაშვილი — იშხნელის წარმოდგენა).

1911 — 1912 წლ. სათეატრო სეზონში „ლალიტი“ წარმოდგენილი იყო 21 ნოემბერს (ნ. დავითაშვილის საბუნებისმეტყველოდ), 1 იანვარს და 23 თებერვალს, ხოლო 1912 — 1913 წლ. სეზონში — 15 ნოემბერს, 24 ნოემბერს, 30 დეკემბერს და 18 აპრილს.

თბილისის დრამატული დასის 1913 — 1914 წლ. სათეატრო სეზონი „ლალიტი“ გაიხსნა 15 სექტემბერს და ამ სეზონში ის კიდევ იყო დადგმული 6 მარტს.

როგორც ცნობილია, 1914 წლის სექტემბერში დაიწვა თბილისის ქართული თეატრის შენობა და დრამატული დასი უზინაოდ დარჩა. იძულებული იყო ემართა მცირე რიცხვი წარმოდგენებისა სხვადასხვა სათეატრო შენობებში. „ლალიტი“ მაინც მტკიცედ იყო დაცული დასის რეპერტუარში. იგი დადგმული იყო 1914 წლის 22 ოქტომბერს (ა. წერეთლის რეჟისორობით) და 10 ნოემბერს; 1915 წლის 24 მარტს და 15 ივნისს; 1916 წლის 29 მარტს, 25 აპრილს და 30 მაისს.

ეს იყო „ლაღატი“ უკანასკნელი წარმოდგენა თბილისის დრამატული დასის რეკონსტრუქციამდე. იგი გაიმართა ა. სუმბათაშვილის პატრისაგან, რომელიც 1916 წლის გაზაფხულს საგასტროლოდ იყო თბილისში ჩამოსული. ამ წარმოდგენაზე ა. სუმბათაშვილმა წაიკითხა სცენიდან „ლაღატის“ ცნობილი წინასიტყვაობა.

„ლაღატი“ თბილისის სახალხო სცენაზეც იდგმებოდა. 1909 წლის 21 ნოემბერს ის წარმოადგინა სახალხო სახლთან არსებულმა ქართული წარმოდგენების მმართველმა წრემ კ. შათირაშვილის რეჟისორობით. შემდეგ წელს „ლაღატი“ სახალხო სახლში წარმოდგენილი იყო 13 ივნისს ე. მატარაძის გამგებლობით. 1910 წლის შემოდგომაზე „წრემ“ ორჯერ წარმოადგინა „ლაღატი“ — 30 სექტემბერს და 13 დეკემბერს (ეს უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა ნაძალადევის თეატრის სასარგებლოდ). 1911 წლის 13 აპრილს „ლაღატი“ სახალხო სახლში წარმოადგინა მსახობა-სცენის მოყვარეთა ჯგუფმა. იმავე წლის 30 ოქტომბერს „ლაღატი“ „წრემ“ დადგა ა. წიწუნაეის რეჟისორობით. წარმოდგენა გამეორებული იქნა 20 დეკემბერს, ხოლო 1912 წლის 27 აპრილს კვლავ დაიდგა ა. წიწუნაეის საბუნებისოდ. იგივე წარმოდგენა წრემ გაიმართა 1913 წლის 19 თებერვალს, ხოლო 14 მარტს წარმოდგენა გადაიტანა სახაზინო თეატრში. ამის შემდეგ „ლაღატი“ სახალხო სახლში კიდევ ორჯერ იყო წარმოდგენილი: 1913 წლის 21 მაისს (ა. იმედაშვილის მონაწილეობით) და 1915 წლის 3 აპრილს. ზუთაგერ წარმოადგინეს „ლაღატი“ ავღაბრის თეატრში სცენის მოყვარეებმა — სახელდობრ: 1911 წლის 24 ივლისს, 1912 წლის 23 დეკემბერს, 1914 წლის 16 ნოემბერს, 1915 წლის 3 მაისს და 1916 20 თებერვალს. ნაძალადევის სახალხო თეატრში „ლაღატი“ ოთხჯერ იყო წარმოდგენილი: 1912 წლის 11 მარტს, 1912 წლის 2 დეკემბერს (ს. სვიმონიძის საბუნებისოდ), 1914 წლის 28 მარტს (ს. სვიმონიძის საბუნებისოდ) და 1915 წლის 11 იანვარს (ს. სვიმონიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად).

ამრიგად, თბილისში რეკონსტრუქციამდე პერიოდში „ლაღატი“ წარმოდგენილი იყო 67-ჯერ. ქუთაისში „ლაღატი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველად წარმოდგენილი იყო 1904 წლის 23 და 25 იანვარს. იმავე წლის 25 აპრილს იგი წარმოდგენილი იქნა ლადო მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით. ლადო მესხიშვილმა „ლაღატი“ კიდევ დადგა ქუთაისში 1905

წლის 24 ნოემბერს. ამის შემდეგ „ლაღატი“ ქუთაისში წარმოდგენილი იყო: 1907 წლის 28 დეკემბერს, 1909 წლის 25 იანვარს, 2 მაისს, 12 ნოემბერს და 22 ნოემბერს; 1910 წლის 22 თებერვალს და 31 აგვისტოს; 1911 წლის 6 იანვარს, 20 თებერვალს, 11 აპრილს და 23 ივლისს; 1912 წლის 6 იანვარს და 29 სექტემბერს (სეზონის გახსნისას); 1913 წლის 6 იანვარს და 28 სექტემბერს (სეზონის გახსნისას); 1914 წლის 11 მაისს, 18 სექტემბერს (სეზონის გახსნისას), 16 ნოემბერს და 7 დეკემბერს; 1915 წლის 1 თებერვალს, 15 მაისს, 13 ოქტომბერს, 1 ნოემბერს და 27 დეკემბერს; 1916 წლის 14 თებერვალს და 21 ნოემბერს; 1917 წლის 8 იანვარს. ქუთაისში „ლაღატი“ სულ წარმოდგენილი იყო 31-ჯერ.

„გარდა ამისა, ლაღატი“ იდგმებოდა ბათუმში, გორში, ზნწში, ფოთსა და თელავში.

„ლაღატი“ საქართველოს სოფლებშიაც იდგმებოდა. ასე მაგალითად, სოფელ ზემო მახანაში.

სცენისმოყვარეებმა „ლაღატი“ დადგეს 1910 წლის 30 ივლისს და იგივე წარმოდგენა გაიმეორეს ქვემო მახანაში 31 ივლისს. ქვემო-მახანაშივე „ლაღატი“ წარმოდგენილი იყო 1911 წლის 10 ივლისს და 1913 წლის 3 აგვისტოს (მოეტ ი. ევლოშვილის სასარგებლოდ).

„ლაღატი“ ქართულად წარმოდგენილი იყო საქართველოს გარეშეც. პეტერბურგში ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობამ პიესა წარმოადგინა 1908 წლის 15 იანვარს. ბაქოში „ლაღატი“ წარმოდგენილი იყო ოთხჯერ, სახელდობრ: 1904 წლის 9 აპრილს (ლადო მესხიშვილის, ნ. ჩხეიძის, ე. მესხისა და კ. მესხის მონაწილეობით), 1909 წლის 12 ნოემბერს, 1914 წლის 26 თებერვალს (ნ. დავითაშვილისა და ე. გენიას მონაწილეობით) და 1915 წლის 4 მარტს. თითო-ჯერ იყო წარმოდგენილი კავკავში 1904 წლის 11 აპრილს (ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ) და ვანჯაში 1904 წლის აპრილის თვეში (ლადო მესხიშვილის მონაწილეობით).

„ლაღატი“ არ დაივიწყა საბჭოთა ქართულმა სცენამ. 1940 — 1941 წლის სათეატრო სეზონში რუსთაველის თეატრში განხორციელებული დადგმა „ლაღატისა“ (რეჟისორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა) უნდა ჩავთვალოთ ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად არა მარტო მსახიობთა შესრულების მაღალი ხარისხით, არამედ იმიტომ, რომ პიესას საინტერესო და სრულიად მართებული ვაგება მიეცა.

## ქართული ენის ფონეტიკა



აროფ. ს. ელენტიას ახალ შრომაში „ქართული ენის ფონეტიკა“ საფუძვლიანად არის განხილული ქართული ენის ბგერითი სისტემა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და ისტორიული განვითარების ტენდენციები. ქართველური (სვანური და ქანურ-მეგრული) ენების ბგერითი სისტემების მონაგრაფიული გამოკვლევის შემდეგ ს. ელენტი „ქართული ენის ფონეტიკაში“ დიდძალი ენობრივი მასალისა და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე განიხილავს ქართული ენის ბგერითი სისტემის ძირითად საკითხებს.

სარეცენზიო წიგნი შედგება წინასიტყვაობის, შვიდი თავისა და სამიხტებისაგან. წინასიტყვაობაში ავტორი განმარტავს შრომის მიზანსა და დანიშნულებას. ეხება რა, საერთოდ, ქართული ენის ბგერითი სისტემის შესწავლის საკითხს, ს. ელენტი წერს: „ჩვენი ფონეტიკური მენიორების განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პროფ. გ. ახვლედიანის კაპიტალურ შრომებს: „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“ (1938 წ.) და „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949 წ.). წინამდებარე შრომაში პროფ. გ. ახვლედიანის ბეგრი ახალი იდეა ექსპერიმენტული მონაცემებითაა დამატებული“ (გვ. 5).

პირველ თავში (შესავალი) განხილულია სამეტყველო ბგერითი ერთეული — ფონემა, მისი როლი და დანიშნულება ურთიერთგაგების პროცესში ფონემის ისტორიული და კონკრეტული ხასიათი, მისი პოზიციური ვარიანტების შექმნის პირობები და ფაქტორები. შემდეგ ავტორი გადადის ლიტერატურული წარმოთქმის საკითხებზე; ახასიათებს წარმოთქმის სხვადასხვა სტილს, ქართული ლიტერატურული წარმოთქმის ისტორიულ განვითარებას, წარმოთქმისა და წერის ურთიერთობას და მიუთითებს, რომ „ისტორიულად რამდენიმე ლიტერატურული ცენტრის არსებობას გარკვეული კვალი დაამჩნია ქართული ლიტერატურული წარმოთქმის შექმნასა და განვითარებას“ (გვ. 16).

მეორე თავში — ქართული გრაფიკა და ორთოგრაფია — დამახასიათებელია ქართული ანბანი, მისი მიმართულება ენის ფონემურ სისტემასთან,

თან, ქართული ორთოგრაფიის პრინციპები, ენის ფონემური სისტემის ცვლის ასახვა ორთოგრაფიაში და ა. შ. წარმოთქმისა და ორთოგრაფიის შესახებ მსჯელობისას ავტორი მიუთითებს; რომ ყოველი ენის მართლწერის შესწავლისას მზედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტორი, რომ ბგერითი ენა, წარმოთქმა წერაზე უფრო სწრაფად იცვლება. ს. ელენტი მზარს უკერს მ. პეტერსონის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ორთოგრაფიული საკითხების შესწავლა, ერთი მხრით, უნდა წარიმართოს წერიდან წარმოთქმისაკენ, ხოლო, მეორე მხრით, წარმოთქმიდან წერისაკენ (მარჯვლად თვალსაზრისი გულისხმობს მკითხველს, მეორე კი იმას, ვინც წერს).

ეხება რა ქართული დამწერლობის ისტორიულ განვითარებას, ავტორი შენიშნავს, რომ დღევანდელი წერის სისტემა ბევრად უფრო გამარტივებულია, ქართული ორთოგრაფია კიდევ უფრო დააბოლოებელია ქართულ ორთოგრაფიასთან ი. კუკუაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვა ჩვენი დიდი საზოგადო მოღვაწეების შეშეკობით. დღეს უკვე დამწერლობაში არა გვაქვს ისეთი შემთხვევები, რომ ორი ნიშანი იხმარებოდეს ორი ფონემის გადმოსაცემად“ (გვ. 25 — 26).

ამ თავში ცალკე არის გამოყოფილი ქართული ისტორიული ფონეტიკური ტერმინოლოგიის საკითხი. მასში ნაჩვენებია ანტონ I-ის, პლ. იოსელიანის, თ. ყორღანიას, შ. ჯანაშვილის, დ. კარიჭაშვილის და სხვათა როლი ქართული ფონეტიკური ტერმინოლოგიის შექმნისა და განვითარების საქმეში.

მესამე თავში (ვოკალიზმი) დამწერლობით არის განხილული ქართული ენის ხმოვანთა სისტემა. ხმოვანთა კვლევისას ავტორი მიმართავს როგორც უშუალო დაკვირვებას, ისე ექსპერიმენტს. წიგნი ხმოვანი ფონემების შესწავლისას გამოყენებულია კომპარატიული, ტენეტოგრაფიული და პალატოგრაფული მეთოდი. ექსპერიმენტული მონაცემების შესწავლის შედეგად წარმოდგენილია საყურადღებო დებულება იმის შესახებ, რომ ქართული ხმოვანები შედარებით წინა წარმოებისანი არიან. იქვე აღნიშნულია, რომ ქართული ხმოვანები იწარმოებიან საწარმოთქმო კენთების დაქიმელობით, რაც განპირობებს მათ მკაფიო, გამოკეთილ წარმოთქმას და „ფორადისებრ“ ბგერობას; ლიტერატურულ წარმოთქმაში ქართული ხმოვანები სუფთა და

<sup>1</sup> ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, რედაქტორი გ. ახვლედიანი, 1958.

შეურევლია. მათი ენერგიულობა და ინტენსიობა იმდენად დიდია, რომ ისინი არ განიცდიან არსებითს რაოდენობრივ ცვლილებას. ქართული წარმოქმნის თავისებურებებთა გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარეჟისოო წიგნში ვაკეთებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ — განსხვავებით სხვა ქართველური ენებისაგან — ქართულში ადგილი აქვს ხმოვანებისა და თანხმოვნების ე. წ. კონტრასტულ დაბირისპირებას და არ შეინიშნება მათი ურთიერთგაყვანის ტენდენცია. ამის გამო ქართული ხმოვანები არსებითად უცვლელი რჩებიან.

მეოთხე თავში (კონსონანტიზმი) ვრცლად არის შესწავლილი გარკვეული სირთელის შემცველი ქართული თანხმოვანთა სისტემა. თანხმოვანები, ისევე როგორც ხმოვნები, შესწავლილია ექსპერიმენტულად. ცალ-ცალკეა დიხსიათებული ხშულები, სპირანტები და სონორები. სპეციალურ ქვეთავშია განიხილული ქართული მკვრივი ხშულების მეღვრობის ხარისხი. მდიდარი ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებით წიგნში განვითარებულია მოსაზრება, რომ ქართულსათვის დამახასიათებელია თავისებური ელერადობა, რომელიც სხვადასხვა ფონეტიკურ პოზიციაში მდებარეობს. შემდეგ ნაწვევებშია, რომ ძველ ქართულს მეღვრობის მეტი ხარისხი ახასიათებდა, რაც ახალ ქართულში ისტორიულად შესუსტებულა. მთის დიალექტები (მთხურთ, ხევსურული) მეღვრობის მხრივ უფრო ძველ ქართულს უპირან მხარს, ვიდრე ახალს. შრომის ავტორის აზრით, მეღვრობის შესუსტების კანონზომიერება ახალ ქართულში ახლაც მოქმედებს.

სარეცენზიო წიგნში აქსლავტში მეღვრი ხშულების დაყრდნობასთან დაკავშირებით განხილულია ამ თანხმოვნების მართლწერის საკითხი. შრომაში საინტერესოდ და დამაჯერებლად არის ახსნილი თანხმოვანთა მთელი რიგი პარპონიული კომპლექსის ისტორიული განვითარება ლაზიკურ-ველარიალური შემდეგად. შემდეგ ვრცლად არის შესწავლილი ქართლისა და, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი თანხმოვნები — მკვეთრები ანუ აბრუბტები (ბ, ტ, ც, ქ, ყ, უშუალო დაკვირვებისა და ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შრომაში საინტერესოდ არის განმარტებული ამ ფონემების თავისებური ბუნება და მასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენები.

„ქართული ენის ფონეტიკაში“ ავტორი დაწვრილებით იყრდნობა ქართულს ფაონიკალურ ხშულებსა (ც, ლ, ტ); აფრიკატებსა (ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ქ); სონანტებსა (რ, ლ, მ, ნ, ე) და სპირანტებს (ზ-ს, უ-შ, ლ-ბ, მ). მეოთხე თავს თან ერთვის მნიშვნელოვანი დასკვნები, სადაც ახლებურად და საფუძვლანად არის ახსნილი ქართული ენის მდიდარი კონსონანტიზმისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი თვისებები. იქვე მოცემუ-

ლია ქართულ თანხმოვანთა სპეციალური კლასიფიკაცია.

წიგნის მეხუთე თავში (მარცვალე და მარცვალე ბულები) წარმოდგენილია ერთგვარ მასალა ქართული ენის მარცვლის შესახებ. ექსპერიმენტული მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი ასკვნის, რომ რ, ლ, მ, ნ, ე სონორებს უნარი აქვთ გაზარდონ ბგეროვნობა ცალკეულ მარცვლებში და ამით ხელი შეუწეონ თანამარცვლოვნობის შექმნას. მდიდარი ფაქტობრივი მასალის მომარჯვებით ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს ამ საინტერესო მოსაზრებას. სონორების მონაწილეობის საფუძველზე სარეცენზიო წიგნში ახსნილია აგრეთვე ქართულში თანხმოვანთა შეჯგუფების შესაძლებლობა თავიდან და არათავიდან მარცვლებში ხმოვნის მონაწილეობის გარეშე.

ქართული მარცვლის შემდგომი კვლევისას ს. ელენტი მოხერხებულად იყენებს მ. ლომონოსოვის ცნობილ საყურადღებო დაკვირვებას იმის შესახებ, რომ არათავიდან მარცვლები რუსულში იწყებიან თანხმოვანთა ამ კომპლექციებით, რომლებიც იმავე დროს თავიდან მარცვლებს იწყებენ. ამ თვალსაზრისით შრომაში ხატარბეული დიდი ენობრივი ექსპერიმენტი საყურადღებო და მნიშვნელოვან მასალას იძლევა ქართული მარცვლის შესწავლისათვის.

სარეცენზიო შრომის ავტორი ცდლობს ქართულში მარცვალეთასაყარი ახსნას ლ. შნერბას თეორიის მიხედვით. იგი მიუთითებს, რომ ქართულში, ისე როგორც ენათა დიდ უმრავლესობაში, მარცვალეთასაყარი, წვეულებრივ, არის სონორობის მიხედვით ყველაზე უფრო კონტრასტულ ბგერებს შორის. ამ თვალსაზრისის საფუძველზე წიგნში ჩამოყალიბებულია რამდენიმე საყურადღებო დებულება.

შრომის შემდეგ თავში დამახასიათებელია ბგერათვალეუბადობის მრავალფეროვანი ფორმები ქართულში; განხილულია ფუძისეული ხმოვნების კვება, ხმოვანთრედაქცია და მისი მიზეზები; ასიმილიაცია, დისიმილიაცია; აფრიკატისაღაცია და დუბლირაციისაღაცის ფორმები; ბგერათა ჩანაცვლება, მეტათეზისი და ა. შ.

უკანასკნელი თავი — აქცენტუაცია — შეეხება ქართული ენის ერთ-ერთ ყველაზე ნაყლად დამუშავებულ საკითხს. მსჯელობის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს, რომ აქცენტუაცია მატერიალური ენობრივი გარსის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ინტონაციის განსაზღვრის შემდეგ შრომაში განხილულია ამ საკითხის კვლევის ისტორია ქართულში.

სალიტერატურა ენისა და დიალექტების აქცენტუაციის ურთიერთმიმართულების შესახებ მსჯელობისას ავტორი მიუთითებს, რომ ქართულის ზოგიერთ დიალექტს მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, მაშინ როცა სალიტერატურო ენაში იგი შესამე მარცვალზეა აქვე აღნიშნულია, რომ ქართულ-კახურის დიალექტებში მახვილი სამ-და მეტმარცვლოვანი სიტყვებში



ბოლოდან შესაშვ მარცვალზეა. მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული მასალის ანალიზის საფუძველზე შრომაში გაეთვლება დასკვნა, რომ „შთაგარი და თანამხვილის არსებობა არ შეეფერება ქართული მახვილის ბუნებას“ (გვ. 280). შემდეგ შრომაში ცალკე არის განხილული მახვილის საკითხი თბრობით, კითხვით და ძაბვის წინადადებაში; ერთმანეთთან არის შედარებული მრავალმარცვლოვანი სიტყვისა და ფრაზის მახვილების ექსპერიმენტული შესწავლის შედეგი. ამის საფუძველზე მოცემულია საყურადღებო დასკვნება.

წიგნს დართული აქვს პირების, ენების, დიალექტების, კილოყაყუების და ტერმინების ვრცელი საძიებელი, რაც აადვილებს წიგნში ორიენტირების შესაძლებლობას და ზრდებს მისი გამოყენების საშუალებებს.

როგორც ვხედავთ, ს. ელენტის „ქართული ენის ფონეტიკა“ ვრცელი და საინტერესო მონაგრაფიული გამოკვლევაა. შრომის პირველ გვერდებზე ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ ქართული ენის ფონეტიკური სისტემის სრულყოფილად გამოვლენისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ქართული ენის, დიალექტების, ახალი და ძველი სალიტერატურო ქართულის ფაქტები და აგრეთვე ქართველური ენების — ქანურ-მეგრულისა და სვანურის — ბგერითი სისტემების მონაცემები. ეს სახელმძღვანელო დებულება კარგად არის გამოყენებული მთელი კვლევის მანძილზე. შრომაში ფართოდ არის მოტანილი ქართული ენების დიალექტების მდიდარი მასალა და მისი შედარება სალიტერატურო ენის ფაქტებთან. ავტორი სისტემატურად აღარებს ქართული ენის ფაქტებს ქართველური (მეგრულ-ქანური, სვანური) ენების ანალოგიურ მასალას და ამათ კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის კვლევის შედეგებს.

წიგნის უდავო ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ შრომის ავტორი ფართოდ მიმართავს ისტორიულ კვლევას და არ კმაყოფილდება ბგერითი სისტემის არსებული მდგომარეობის შესწავლით. შრომაში ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერების მოსაზრებანი და შეხედულებანი.

ამ წიგნში ქართული ენის კვლევის ისტორიაში პირველად არის ასე ფართოდ გამოყენებული

ექსპერიმენტული მეთოდი. მაღალია ექსპერიმენტების შესრულების დონეც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შრომაში ავტორის მიერ გამოყენებული ექსპერიმენტული მასალის ვერადიო, შედარების მისწრაფი, ფართოდ არის წარმოდგენილი იმავე საკითხებზე სხვა მკვლევართა (ე. დოლიძის, ლ. გამსახურდიას, ნ. ქუთელიას) მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევის მასალები; რაც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის წიგნში მიღებულ დასკვნებს.

სარეცენზიო წიგნის ამ უდავო ღირსების აღნიშვნასთან ერთად, გვინდა გავაცეთით რამდენიმე შენიშვნა. ჩვენი აზრით, რადგან შრომაში ასე ვრცელად არის გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდი, რომელსაც ამ წიგნის მეშვეობით გაცნობა მკითხველთა ფართო წრე, უმჯობესი იქნებოდა მოკლედ მაინც თქმულიყო რაიმე ექსპერიმენტული ფონეტიკის, მისი მეთოდებისა და მნიშვნელობის შესახებ.

წიგნის 159-გვერდზე ავტორი მსჯელობს ვინის წარმოთქმის შესახებ და მიუთითებს, რომ „უნდა ვერიდოთ ვინის დანრდილვას წარმოთქმაში ოვა, ოვე, ოვი, კომპლექსებში, როგორც ამას ქართულ-სლავურ და ზოგიერთ სხვა კილოებში აქვს ადგილი“. ამ დებულების გასამაჯრებლად საჭირო იყო სათანადო მავალითების მოყვანა.

შრომაში მეტად მოკლედ არის განხილული დიფთონგების საკითხი ქართულში. ვფიქრობთ, შეიძლებოდა ამ საკითხზე უფრო ვრცლად შეეხებოდა. არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა ქართულსა და მის დიალექტებში ამის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენი აზრით, საჭირო იყო აგრეთვე, სხვა თაგების მსგავსად, ცალკე უფილიყო გამოყოფილი დასკვნები მარცვლისა და აქცენტუაციის შესახებ მსჯელობის შემდეგ. იშვიათად, მაგრამ მაინც, წიგნში გვხვდება ზოგიერთი კორექტურული შეცდომა.

საერთოდ კი, როგორც უკვე აღინიშნა, ს. ელენტის „ქართული ენის ფონეტიკა“ საფუძვლიანი და საინტერესო მეცნიერული ნაშრომია. დიდია ამ წიგნის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. იგი ახალ, კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს ქმნის ქართული ენის ფონეტიკის შემდგომი შესწავლისათვის.

შ. შატირიშვილი.

**ნაშრომი ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიის საკითხებზე**



ამბერკი ვაჩეჩილაძის შრომა „ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან“ (ტომი პირველი) წარმოადგენს შეტყობამტე საუკუნის სამოციან წლ-

მაიმე ქართული დრამატურგიისა და თეატრალური წარმოდგენების ისტორიას. ავტორი წიგნის პირველ თავში მოკლედ მიმოიხილავს ქართულ დრამატურგიასა და თეატრს

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, რომ შვითხველს ნათელი წარმოდგენა მისცეს, თუ რას წარმოადგენდა მე-19 საუკუნემდე დრამატული დარგი და თეატრი. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი გვაძლევს ქართული თეატრის ისტორიად ძვირფას ახალ მასალებს. სიატრეტიკოს მასალა მოუპოვებდა მას ერეკლეს სასახლის თეატრზე. წიგნი მოყვანილია ხალხში შემონახული და ჩაწერილი სასახლის ზემართარებერტუარი, ა. ორბელიანის შესანიშნავი მოგონებები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ აღმოჩენილი მე-18 საუკუნის იშვიათ ზელანფერთა კრებული, რომელსაც, სავტოოდ, ქართული კულტურისა და, კერძოდ, თეატრის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ა. განჩინაძე ვრცლად მიმოიხილავს, არკვეს იმ მინაწერებს, რომლებიც ამ კრებულში მე-18 საუკუნის თეატრს ეხება და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საეროდ და სასახლის თეატრის გვერდით ეკლესიაში იმართებოდა მისტერიები, სასულიერო ხასიათის წარმოდგენები. ავტორმა ამ ზელანფერის საშუალებით დაადგინა მეფის სასახლის თეატრის ქართული სახელწოდება — „ეზოისა თეატრი“.

მეცხრამეტე საუკუნის დრამატურგიისა და თეატრის ისტორიის ავტორი იწყებს შინაური წარმოდგენების მიმოხილვით. იგი სამართლიანად წერს: „ქართული თეატრის აღდგენამდე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში განვითარება პოეზია სალონებში, საღამო-შეკრებებში, სადაც საესტრადო ხასიათის გამოსვლები, წარმოდგენები და მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვები იმართებოდა“. ეს დებულება ახლად მოპოვებული მრავალი ფაქტითა დასაბუთებული. მაგალითისათვის აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ზელანფერები, რომლებიც გრიბოედოვის შესახებ მივეყვებოდა ავტორს. როგორც ირკვევა, საღამო-შეკრებებზე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად მოწაწილობდნენ მოწინავე რუსი მოღვაწეები, მათ შორის გრიბოედოვიც. აქ ქართველი მწერლების ნაწარმოებთან ერთად კითხვობდნენ გრიბოედოვის, პუშკინის, რილევის, ოდოევსკის და სხვათა ნაწარმოებებს. გარდა ამისა, ა. განჩინაძეს საქართველოს მეზღვეში უნახავს მოკონდა გრიბოედოვის თანამედროვე რუსი საშხელერა პირის ოპოზიციონისა, რომელიც აღნიშნავს, რომ მას თბილისში ზელთ პქონია დღდნიდან გადმოწერილი „ვაი ქუთისაგან“, შეკრებებზე ნაწარმოების ადგილებს გკითხვობდითო კომედია ოპოზიციონისათვის უჩუქებია გრიბოედოვის ახლო მეგობარს რიუმინს. თუ რა დიდ მხედებს ამაყრება ქართველი ინტელიგენცია გრიბოედოვს, ამას მოწმობს წიგნი მოყვანილი დავით ორბელიანის (ენობილი სარდლის ივანე ორბელიანის შვილის) სიტყვები, რომ გრიბოედოვის სახით ყარგი მეგობარი გვეყოლებო. მეკლავარი არ სჯერდება თბილისში გამართულ საესტრადო გამოსვლების მიმოხილვას, იგი გეროვან ყურადღებას აქცევს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სოფლად გამართულ წარმოდგენებს. წიგნი დასაბუთებულია, რომ წარმოდგენები იმართებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ქალაქსა და სოფელში, მაგალითად, გორში, ხიდისთავში, მეჯვრისხევეში, საჩხერეში, გორისაში, სხვიტორში და სხვ. ამავე დროს, წიგნი მოცემულია მაშინდელი მცირე ფორმის სასკენო ნაწარმოებთა ზოგიერთი ნიმუში.

ამის შემდეგ მეკლავარი გადადის ცალკეულ დრამატურგთა მონოგრაფიულ განხილვაზე. თავდაპირველად იგი არჩევს თეიმურაზ ბაგრატიონის დრამატულ ნაწარმოებს — „სამსახურბა რაინდისა“ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ დრამაში დაფარულად 1832 წლის შეთქმულების მისწრაფებები უნდა იყოს გადმოცემული, კერძოდ, თვითმპყრობელობის მოწოდებისაგან გამათავისუფლებელი გმირის დაბადების იდეა.

მეკლავარი ახალ ცნობებს გვაწვდის 1845 წელს ოქროპარ წერეთლის მიერ დაწერილ პიესაზე „ქორწილი იმერეთის თავადისა“. ეს პიესა იდეებოდა სოფლებში, სხვიტორსა და გორისაში. ოქროპარ წერეთელი ბიძა არის ცნობილი მწერლის გ. წერეთლისა. როგორც ო. წერეთლის პირადი წერილებიდან ჩანს, მას ახლო ურთიერთობა ჰქონია აკაკის მამასთან, როსტომ წერეთელთან. ნარკვევის ავტორი ეჭვიმეტანლად ასაბუთებს, რომ აკაკის „თავგადასავალი“ წარმოდგენილი პერსონაჟი, რ. წერეთლის კარის ეკლესიის მღვდელი ოქროპარი ზემოაღნიშნული პიესის ავტორი — ოქროპარ წერეთელია. შრომაში მოცემულია პიესის მხატვრული ანალიზი. ავტორი აღნიშნავს, რომ ო. წერეთელი გადმოცეცემს იმერეთის სოფელში შექმნილ რეალურ მღვდოპყრობას, კერძოდ, თავადზნაურთა გადატაცებასა და დაცემას.

ნარკვევი წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიერების ისტორია, ვრცლად არის განხილული ოქროპარ ბაგრატიონის მიერ გადაცემული „ვეფხისტყაოსანი“. მეკლავარი არკვეს, თუ რა შეიტანა ავტორმა პოემა „ვეფხისტყაოსანთან“ შედარებით დრამაში ახალი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ადგილი, სადაც ნარკვევის ავტორი არკვეს, რომ ნესტანდარეჯანისა და დელარის პაქობა თვით ო. ბაგრატიონის მიერაა დრამაში ჩართული. იგი ამ შემთხვევაში მიმართავს ალგორიას, ისე რომ ნესტანდარეჯანში საქართველო იგულისხმება, ხოლო დელარში — ცარისტული ზელისუფლება, თვითმპყრობელობა.

ვრცლად არის წარმოდგენილი ა. ორბელიანის დრამატურგიის ანალიზი. სავტოოდ, მეკლავარი

კარგად იქცევა, როდესაც შესავლის სახით თავდაპირველად გვაწვდის დრამატურგის მოკლე ბიოგრაფიას, შემდეგ ასევე მოკლედ მიმოიხილავს მის სხვა ჯანჩის ნაწარმოებებს და ბოლოს ერთად იხილავს შერალს, როგორც დრამატურგს. ეს ხელს უწყობს იმას, რომ დრამატურგის შემოქმედებაზე შეათხველმა მაღალი წარმოდგენა იქონიოს. კერძოდ, განვიხილავთ მოკლედ იხილავს ა. ორბელიანის ლექსებს, პროზას და ვრცლად — დრამატურგის, ა. განვიხილავს საქართველოს სახელმწიფო მუსიკალურ ალმოდენის ა. ორბელიანის პიესა „ვაჟი მფობენ“, რომელშიც შერალი საგლეხო რეფორმის გატარების პროცესებს გვესურათებს. ა. ორბელიანის აზრით, წოდებითა შორის სიყვარულზე აგებული ბატონყმობა ცხოვრება უნდა იყოს საქართველოს იდეალი.

შრომის დირექტად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ნაწევრები ის იდეოლოგიური წინააღმდეგობანი, რომლებიც მაშინ ქართველ შერალს შორის არსებობდა, კერძოდ, როგორ უბრალოპირდებოდნენ ა. ორბელიანი და ბ. ჯორჯაძე თავიანთ დრამატურგის ნაწარმოებში. ბ. კონქაძის, ი. ევკუპიძის და ა. წერეთლის იმ იდეურ ზაზს, რომელიც მათ განვითარებული აქვთ ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილ ნაწარმოებებში. ავტორი დრამატურგის ისტორიის პროცესებს იმავად იხილავს, რომ საგნებით ნათელი ზღბა: ქართული დრამატურგის ისტორია, ისე როგორც შერალის, სრულად არ წარმოადგენს „ერთიან ნაყას“, ამ გარკვეულ მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი.

ასევე ვრცლად არის მიმოხილული ა. ორბელიანის ისტორიული დრამები „დავით აღმაშენებელი“ და „ბატონიშვილის ირაკლი პირველი დრო“. ა. ორბელიანი დრამაში „დავით აღმაშენებელი“ ისტატურად გვიჩვენებს როგორ შექლო დავით აღმაშენებელმა „ოურქაბად დამპყრობთაგან საქართველოს მიწაწვლის განთავისუფლება. მაგრამ ავტორი იქვე წერს: „დავით აღმაშენებელი“ არ ეყუთენის ისეთ ნაწარმოებთა რიგებს, რომელიც მისად ისახავს მართო ისტორიული ვითარების გადმოცემას. მასში აღგორიულად გადმოცემულია მაშინდელი ვითარება, რომელიც საქართველოში 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით შეიქმნა“. ამ პიესის ისტორიული წყაროების განხილვისას ნარკვევის ავტორი გვიჩვენებს იმ ისტორიული პროცესების ნაშედილობას, რომლებიც ა. ორბელიანმა პიესაში გამოხატა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ა. ორბელიანი საქართველოს ამ შორეულ წარსულიდან პიესაში ამტკებს ხალხთა მეგობრობის თემას.

ა. ორბელიანმა შედარებით მოგვიანებით, 1862 წელს ერთნალ „ეისიარში“ გამოაქვეყნა დრამა „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“. მასში ა. ორბელიანი გადმოგვცემს მეთურამტე საეუენში ისმალ-ლეკებისაგან გავრანებულ აღმო-

საეღო საქართველოს ტრაგიკულ მდგომარეობას. ა. ორბელიანი ასაღგზრდა ერთეულ მდგომარეობას ამ პირობებში წარმოგვიდგენს „საქართველოს მსხნელად. საერთოდ კი, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“ განთავისუფლებული მებრძოლი სულიანთა ვაეუნთლია, მაგრამ ბოლოს, მიუთხე მოქმედებაში, შერალი ზატავს უიშედო, პესიმისტურ განწყობილებებს, რაც სრულიად არ შეეფერება პიესის საერთო ტონს“.

ა. განვიხილავთ ა. ორბელიანს სამართლიანად თვლის საქართველოში რომინტიკული დრამის შემქმნელად.

შრომაში გ. ერისთავის კომედიები ყოველმხრივ არის შესწავლილი და განხილული. ავტორი არკვევს გ. ერისთავის კომედიების თემტიკას, კომპოზიციას, წყაროებსა და ენას. ნარკვევის ცალკე თავი ეძღვნება საყთოსს, თუ რა ადგილი უქირავს გ. ერისთავის შემოქმედებას მეცხრამეტე საეუნის ქართული კომედიოგრაფიის განვითარებაში. ავტორი იხილავს გ. ერისთავის შემოქმედების ვაეუნას ზ. ანტონოვისა და ა. ცაგარის კომედიებზე. აქვე გარკვეულია, თუ რა ვაეუნა მიახდინეს გამრიელ სუნდუქიანის შემოქმედებაზე გ. ერისთავის კომედიებში.

გ. ერისთავის სკოლის დრამატურგებიდან ა. განვიხილავთ არკვევს ზურაბ ანტონოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ავტორი დოკუმენტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ზ. ანტონოვი ქართველი კათოლიკე იყო. აღნიშნულია ისიც, თუ მან როგორ შექლო სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა გ. ერისთავის დახმარებით.

ა. განვიხილავთ ზ. ანტონოვის თხზულებებს ორ ჯგუფად ყოფს: „პირველი — ქართული ცხოვრების წიაღიდან ამოღებულ მასალაზე არიან აგებულნი. ასეთებია „მშის დახმარება საქართველოში“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატურაში“, „მე მინდა კენიანა ვაგზდ“, „განი ბიძია იოლი შერთო!“ და „ხეესერთა ქორწილი“. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის პიესები, რომლებიც რუსულიდან არის გადმოყუთებული, ასეთებია „ქორილი“ და „ქმარი ზეთი ცოლისა“. მეკლეგარი იხილავს ამ პიესებს, მიუთთთებს იმ წყაროებზე, რომლებიც ზ. ანტონოვის პიესებს საფუძვლად დაედო, აგრეთვე გვააღებს ამ პიესების სეცნაზე დადგმის ისტორიას. მეკლეგარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მშის დახმარება საქართველოში“ ქართული ელასიკური კომედიის ერთ-ერთ საეეეთსო ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

შრომაში ზ. ანტონოვის შემოქმედების შემდეგ განხილულია ბარბარე ჯორჯაძის ცხოვრება და შემოქმედება. მაშინ ეს ერთადერთი ქალი იყო, რომელიც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდა. მისი დრამატული ნაწარმოებები ვასულ საეუნენში ქართულ სეცნაზე ხშირად იდგმებოდა. ბ. ჯორჯაძის დრამატურგია დღემდე სეეიკალური ელდეა-ძიების საგანი არ გამხდარა. ა. განვიხილავის შრომა ერთგვარად ავსებს ამ ზარეხს.

ცნობილია, რომ თაბათა შორის უთანხმოებისას ბ. ჯორჯაძესა და ი. ქავჭავაძეს შორის იდუარ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. აღსანიშნავია, რომ „ახალი თაბათის“ წინამძღვრ ბ. ჯორჯაძის გამოხატულებს დრამატურგიაში („შერი“) ჰქონდა ადგილი. გამუქებულა ამ იდეოლოგიური პრძიოლის საკითხები.

წიგნის ბოლოს მოთავსებულია ნარკვევი „გიორგი ერისთავის თეატრი (1850 — 1856)“. ამ თავში ავტორი — ახალ მასალებზე დაფრნობით — გვაცნობს გიორგი ერისთავის შიერ დაფრწებული თეატრის ისტორიას, მეფის მთავრების დამოკიდებულებას ამ თეატრისადმი, და სხვ.

ა. გაჩენილადის შრომის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ავტორს ბევრი რამ ახალი მოუპოვებია ჩვენს არქივებში, მეტუქმებსა თუ წიგნთსაკავეებში. ამას გარდა, შრომაში მწერალი შესწავლილია მონთგრადიულად, მოცებულია მწერლის ბიოგრაფია, მისი შემოქმედების თემატური ანალიზი, კომპოზიცია, წყაროები, სტილი და მსოფლმხედველობა.

სარეცენზიო შრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა:

1. შრომაში ყოველთვის დაცული არ არის ქრონოლოგიური პრინციპი. მწერლის შემოქმედების ისტორიის შესწავლისათვის კარგი იქნებოდა, ყველა ნაწარმოები გაგვეხილა გამოქვეყნების თუ დაწერის მიხედვით. ეს კიდევ უფრო ნათელ მთაბედილებას შექმნიდა მწერლის შემოქმედების განვითარებაზე.

2. გ. ერისთავის მსოფლმხედველობას მკვლევარი არკვევს ნაწარმოებთა თემატური ანალიზისა და ენის განხილვის შემდეგ. კარგი იქნებოდა მწერლის მსოფლმხედველობა მას განეხილა ბოლოს, რადგან გ. ერისთავის შემოქმედების

კომპოზიციური მხარე, წყაროები და ადგილი ქართული კომედოგრაფიის განვითარებაში შეცემდა მას მასალას, მწერლის მსოფლმხედველობა უფრო ნათლად ჩამოეყალიბებინა.

3. ნაშრომში დაცული არ არის მინაგანი პროპორცია. შედარებით დიდი ადგილი უეიარეს აღექსანდრე ორბელიანის დრამატურგიის განხილვას, თითქმის იმდენივე, რამდენიც ქართული თეატრის განმანახლებლის — გ. ერისთავის შემოქმედებას.

4. წიგნისათვის საჭირო იყო შესავალი, რომელშიც პერიოდისათვის სახით მოკლედ დახასიათებული იქნებოდა XIX საუკუნის სამოციან წლებამდე ქართული დრამატურგიისა და თეატრის განვითარების გზები. შრომა ამის სრულ საშუალებას იძლეოდა, რადგან იგი წარმოგიდგენს სამოციან წლებამდე ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიას.

5. ბაგრატიანის დრამატული ნაწარმოები „სამსახეობა რაინდისა“ სრული სახით გერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. ამიტომ ამ პიესის მიმართულებაზე საბოლოო დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

ეს ჩვენი შენიშვნები არ ამცობენ შრომის ღირებულებას. მართალია, დღემდის ზოგიერთ ცალკეულ საკითხზე მოგვეპოვებოდა მიმოხილვები, მაგრამ სარეცენზიო წიგნი პირველი სისტემატური ნარკვევის ედაა მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან. ნაშრომი ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდ სამსახურს გაუწევს როგორც თეატრმცოდნეებს, ისე მოსწავლე ახალგაზრდობას. სასურველია გამოცემლობა „ხელმოგება“ ამ შრომის მეორე ტომი დროზე გამოისცეს.

ზოთა კიჩიშვირი

## ქართული ფოლკლური ურთიერთობის ისტორიიდან



სარეცენზიო ნაშრომი შეეხება გვიანი შესავლენების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხის — ქვემო ქართლის ფოლკლორ ერთეულთა ისტორიას XV — XVIII საუკუნეების პანძილზე. ავტორის ყურადღების ცენტრშია ცნობილი ფოლკლორის საგვარეულოს ბარათაშვილების და მის განყოფილ-ჩამომავალთა (გერმანოზიშვილების, იოთამიშვილების, ორბელიანების ან ყაფლანიშვილების და სხვათა) თავგადასავალი. ამ საგვარეულომ საქართველოს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მისცა: სულხან-საბა ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, პაუნა ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და

სხვანი. ამ მოღვაწეთა გენეალოგიური საკითხების ცვლვისათვის სარეცენზიო ნაშრომს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

გ. ჯამბურია დაწვრილებით იცვლევს, თუ როგორ ჩამოყალიბდა XV საუკუნეში ჭვემო ქართლის ტერიტორიაზე (აღგეთის, ჭკიის და მისეგრის ხეობებში) ბარათაშვილებს სათავადო — სამხატოაშვილო, რომელიც XVI საუკუნეში ქართლის ერთ-ერთ უძლიერეს სათავადოს წარმოადგენდა. ამ სათავადოს საფუძველი ნათუზა ბარათა ჭანიბაძემ, ქართლის სამეფო კარზე დაწინაურებულმა დიდმოხელემ, რომლის წინაპრები, როგორც ფიჭრობენ, დასავლეთ საქართველოდან

გადმოსულან ჯერ კიდევ საქართველოში ფეოდალური მონარქიის არსებობის ან მის უშუალოდ წინაპრებზე ზანაში (ს. ჯანაშია).

საბარათიანოს მფლობელებს XVI საუკუნეში დაახლოებით 2500 — 3000 კოპი უმა ჰქავდათ, მათ გუთონიდათ დმანისის, ქვეშის და აღმზარეს ციხე-სიმაგრეები, ფიტარეთის, გუდაჩების, ქედის და დმანისის ეკლესია-მონასტრები, დარბაზებისა და მანაქურტის სასახლეები. მათი პოლიტიკური ცენტრი სამშვილდე იყო. ისინი შემკვიდრებობით ფლობდნენ შალის სამოხელეო თანამდებობებს (მეფის სალაროს მოღვაწეობა, ქართლის სახლთუხუცესობა, „მეწინავე სიდროშის“ სარდლობა) და დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბარათიანობა თავი ისახელეს იყუბუ უაენის წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდეგ მათი ერთი ნაწილი შხარში ედგა ქართლის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურებს XVI საუკუნეში — ლუარსაბ I და სიმონ I-ს. უკვე ამ დროს ამ ფეოდალურ საგვარეულოს მძაფრი შინაომი ღრმინდა, რომელიც XVII საუკუნის 20-ან წლებში სისხლიანი ტრაგედიით დამთავრდა: ბარათიანობის მფლობელი თითქმის მთელი თავისი სახლი-კაცები გაეღიბა და თვითონაც ამ ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა. მტრობა და ბრძოლა ამ საგვარეულოს ცალკეულ ოჯახებს შორის, რა თქმა უნდა, ამით არ აღმოფხვრილა.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავში ავტორი არკვეს, თუ როგორ ხდებოდა ბარათიანობებისა და სხვა საგვარეულოთა გამოყოფა. XVI — XVII საუკუნეებში ბარათიანობებს გამოეყვანნენ და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თავიანთი სათავადოები შექმნეს: გოსტამიანიშვილებმა, გერმანოვიშვილებმა, ყაფლანიშვილებმა, ზურაბიშვილებმა, აბაშიშვილებმა, ჭავჭავაძეშვილებმა, იოსთანიშვილებმა, იარაღიშვილებმა და სხვებმა. ავტორს დიდი გულმოდგინებით შეუძრებია ის მკორფრეცხოვანი ცნობები, რომლებიც შემოუღნახავს ჩვენს ისტორიულ წყაროებს ამ საგვარეულოთა შესახებ.

XVII საუკუნეში საბარათიანობა სუსტდება და ეცემა. წინარედაცხად გოსტამიანიშვილები, იოსთანიშვილები, ყაფლანიშვილები (იგივე ორბელიანობები, ორბელიანები). ამ საგვარეულოთა კი-დილი ყაფლანიშვილ-ორბელიანობა გამარჯვებით მოაერდება. ისინი იკავებენ წამყვან ადგილს ქვემო ქართლში, ზედა ივრდენ „მეწინავე სადროშის“ სარდლობას და ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალები ზდებიან. სარეცენზიო ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი (III—VII თავები) ამ სათავადოს შესწავლისაღმია მიძღვნილი. საყაფლანიშვილოს წამოყალიბება, მისი მეურნეობა, სოციალური სტრუქტურა, სათავადოს ორგანიზაცია და მისი როლი ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში — ასეთია ის საკითხები, რომელთაც ამუშავებს ავტორი ნაშრომის ამ ნაწილში.

ამ ნაწილებში, რომ ყაფლანიშვილის (იგივე ორბელიანიშვილის) მიერ „საყაფლანიშვილობა XVII საუკუნის ქვემო ქართლის ქართლის სამეურნეო-ეკონომიურმა წინსვლამ განაპრობა. ყაფლანიშვილის დიდილი ყაფლანიშვილობა (მან 61 თველი დაასახლა) და ამი ეკონომიურა სიძლიერის მოპოვება. ასეთი სამეურნეო საქმიანობით გატაცება ამ დროს ქართლის სხვა ნაწილებშიც ჩანს (ავტორი მართებულად მოუთხოვს პაპუნ შალისის საქმიანობაზე ქართლში). მგერამ ყაფლანიშვილთა სათავადოს იმთავითვე დაქვე დაშლბეული ფეოდალური ზენი, სახლიკაცთა გუთონიანობა შინაომი, რის შედეგადაც უკვე 1721 წელს საყაფლანიშვილობი მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი (29%) აყრილი იყო.

მეურნეობის ძირითად დარგს საყაფლანიშვილობი მიწათმოქმედება წარმოადგენდა; ამივე დროს სათავადოს მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეცხოველეობასაც, განსაკუთრებით, მეცხვარეობას. ავტორი აქვე განსტერქსი ცნობას გეაწვდის საყაფლანიშვილობი 1690 წლიდან 1750-იან წლებამდე ფულადი რენტის ზრდის შესახებ. ამ პერიოდში ფულადი რენტა თითქმის ექვსჯერ გაზრდილა (930 მანეთიდან 5370 მანეთამდე). ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა საერთოდ საქართველოს ეკონომიური განვითარების დასახსნათებლად აღებული დროისათვის.

სოციალური ურთიერთობანი და კლასობრივი ბრძოლის ფორმები საყაფლანიშვილობი ავტორის განხილული აქვს ნაშრომის მეხუთე თავში. ამ იგი ახსიათხივს სოციალური ფენების (თავადი, აზნაური, მსახური, გლეხი) მგერმარეობას, მათ უფლებებსა და ვალდებობებს, წამოხლის და ახსიათხივს გლეხთა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიებს, მათ ვადასახადებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კლასობრივი ბრძოლის ფაქტებს. მრავალიცხოვანი ვადასახადები, მებრძოლეთა გუთონიანობა თვითონობა (რეგე ყაფლანიშვილის მსახური და უსუჯია — შენ რომ მოიედი აბრაგი მოქალი, იმას ოქროები ექნებოდა და რატომ არ მომტანეო...), სათავადოს სახლიკაცთა განუწყვეტელი შინაომი, რასაც ერთმანეთს ყმა-გლეხთა დარბევა მოსდევდა, მთელი აბრაგთა თარეში და მრავალი სხვა ავტორული მდგომარეობანი ავტორს საყაფლანიშვილოს გლეხობას. ავტორის შენიშვნები აქვს ხიზანთა და ბოჯანოთა რიცხვის ზრდა საყაფლანიშვილობი, რაც, მისი მართებული დასკვნით, ინტენსიური მეურნეობის დაქვეითებას იწვევდა. გლეხები იბრძოდნენ როგორც შეეძლოთ: მიმართედნენ საიფარს, ან აიყრებოდნენ სხვადასხვა მხარეს, ურჩობდნენ და უარს ამბობდნენ მებატონის სამსახურზე. აღებული ხანის საყაფლანიშვილობი გლეხთა ბრძოლის ეს ფორმები იყო უმირატესად გავრცელებული. ავტორის მართებული დასკვნით, ქვეყნის ეკონომიური და პო-

ლიტიურის დაქვემდებარება და გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ კატეგორიათა სიმრავლე თითქმის შეუძლებელს ხდიდა გლეხების მასობრივ და ერთობიროვნულ გამოსვლას თავადაზნაურთა წინააღმდეგ.

შემდეგ თავში საყაფლანიშვილ-სათავადოს ორგანიზაცია შესწავლილი. გამოარკვეულია სახლის უფროსის უფლებამოსილება, დახასიათებულია სათავადოში არსებული მიწის საკუთრების ფორმები, სამიზნელო აპარატი და სხვა. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საერთოდ ეს ფეოდალური ერთეული (სათავადო) მეფის ხელისუფლების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. ნაშრომის ბოლო ფურცლებზე საუბარია საყაფლანიშვილის თავდასაყველზე და მის როლზე ქართლის პოლიტიკურ ისტორიაში. ბარათაშვილების და შემდეგ ყაფლანიშვილების თავდასაყველი მშვენიერ მასალას იძლევა სათავადოთა პოლიტიკური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიაში.

სანამ ქართლი წარმატებით იბრძოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ (XVI ს.), ეს საგვარეულო მხარში ედგა მეფის ხელისუფლებას და იცავდა ქვეყანას. შემდეგ, როცა XVI საუკუნის მეორე ნახევარში სპარსელებმა ქართლის სამეფო ოჯახში განხეთქილება შეიტანეს (დაეთ ხანის გამაჰმადიანება, ირანელი ორიენტაციის მომხრეთა დაჯგუფება), ეს საერთო პოლიტიკური ამბავი ერთბაშად იხსნა ამ საგვარეულოს ცხოვრებაში. ბარათაშვილთა ერთი ნაწილი ირანელთა მხარეზე გადადის. აქ მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ირანიდან წამოსული საფრთხე უპირველესად ყოვლისა საზღვრისპირა საყაფლანიშვილის ბრძოლაში იბრძოლა მარცხით დამთავრდა, იგი ირანში დაიმორჩილა და აქ თავისი მოხელე-ვალი (მაგარტიონთა საგვარეულოდან) დანიშნა. ბარათაშვილთა საგვარეულოში მიმდინარე ბრძოლამ სწორედ ამ დროს მიიღწია ამოთვობს — ბარათაშვილის სახლიცავე გაქვლიტა. ვადარჩა მისი ძმისშვილი ყაფლანი, რომელმაც ირანელების მხარდაჭერით ახალი სათავადო ჩამოაყალიბა. სანამ ქართლი ირანელთა ბატონობის ქვეშ ჩიხება ყაფლანიშვილები მათ სამხატურში არიან. მაგრამ XVII საუკუნის მიწურულიდან ცხოვრებდნენ ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ (გოგორი XI, შემდეგ ვახტანგ VI) და ყაფლანიანთა ერთი ნაწილი მებრძოლთა რიგებში დგება. XVIII საუკუნეში ბრძოლის ფრონტი ფართოვდება, წარმატება წარმატებას მოსდევს, ყაფლანიშვილები ამ ბრძოლის აქტიური მონაწილენი ხდებიან. ამ საგვარეულოდან გამოიღობა გამოჩენილი მოღვაწეები: სულხან-საბა ორბელიანი, პაპუნა ორბელიანი, დავით სარდალი და სხვანი. ისინი მხარში უდგანან ვახტანგ მეექვსეს, თეიმურაზსა და ერეკლეს, მხარს უჭერენ მათ პროგრესულ პოლიტიკას რუსეთთან დაახლოებისა, რუსეთის ორიენტაციას ადგიან და საქართველოს რუსეთთან

შერთობის შემდეგ აქტიურად უწყობენ ხელს ამ ახალი ძალის დამკვიდრებას საქართველოში და ამიერკავკასიაში. ასე აირყვებოდა ამ საგვარეულოს ცხოვრებაში მთელი ქვეყნის მოღვაწეობა თავდასაყველი.

სარეცენზიო ნაშრომი მთლიანად პირველწყაროთა შესწავლაზეა დამყარებული. საეთხი; რომელიც შესწავლილია ამ ნაშრომში, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხთაგანია. სათავადო და სათავადოთა სისტემა დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრების ყველა მხარეზე ამ ხანში. სათავადოთა მონოგრაფიული შესწავლის გარეშე შეუძლებელია გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის სათანადოდ დამუშავება. გ. ჯამბურიას ნაშრომი ამ საქმეზე გარკვეულ წესდოლო შეაქვს.

სარეცენზიო ნაშრომში აქა-იქ გვხვდება ცალკეული შეცდომები თუ დაუზუსტებელი ადგილები. ასე, მაგალითად, ავტორი შეცდომით აღნიშნავს, რომ ორბეთი მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეზე მდებარეობდა (გვ. 11), სინამდვილეში ორბეთი მდ. ალგეთის მარცხენა მხარეზე მდებარეობს. გვ. 21-ზე ავტორი შეცდომით ასახელებს სიმონ 1-ის მეფობის უკანასკნელ წელს (1599), იმ დროს როცა 38 გვერდზე მასვე აქვს აღნიშნული, რომ სიმონი ტყვედ 1600 წელს ჩაივარდა.

არ მივაჩინია ზუსტად ავტორის დებულება, რომ თითქმის თავადები მეფის დასუსტების ხარჯზე ერთმანეთის გაძლიერებას უწყობდნენ ზელსო (გვ. 24). მართალია, თავადები ისწრაფოდნენ მეფის დასუსტებისაკენ, მაგრამ ერთმანეთის გაძლიერებაზე ისინი სრულგებობადაც არ ზრუნავდნენ და, პირიქით, ყველაფერს აკეთებდნენ ერთმანეთის დასასუსტებლად.

გვ. 81-ის შენიშვნაში ავტორი კომენტარს უყვებებს 1690 — 1691 წლის საჩივრის წიგნში „საერთო“ და „სათავისთავო“ მამულების მოხსენიების და თვლის, რომ აქ „სათავისთავო“ მამული „საუფლისწულოს“ მნიშვნელობით არის ნახმარო. ამის საბუთად მას მიიჩნია „სათავისთავოს“ მოხსენიება „საერთოს“ საპირისპიროდ, ავტორის აზრით „ამ ტერმინში იგულისხმება სახლდან გამოყოფილი ქონება და არა კერაო, ნასყიდი, სადაც სახლის უფროსი ზელი არ მიუწვდებოდა“.

საკვირა რომ აქ ტერმინების ასეთ აღრვევასთან გვეპოვდეს საქმე. შეუძლებელია საჩივრის დამწერთ საუფლისწულოს მაგივრად სათავისთავო დაეწერათ, ვინაიდან იმ დროს კარგად ანსხვავებდნენ ერთმანეთისაგან მამულის ამ სხვადასხვა სახეს. მართალია, სახლის უფროსს სათავისთავო მამულზე, ზელი არ მიუწვდებოდა, მაგრამ დოკუმენტში სახლის უფროსის ძალადობაზეა ლაპარაკი და სახლიცავეს სწორედ ის აღმწყოთებს, რომ იგი იქაც ზელს ურევს, სადაც მის „ზელი არ მიუწვდებოდა“.

ვერ არის მარჯვედ მოტანილი მაგალითი 89 გვერდზე, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ



როგორ გარბოდნენ საყაფლანიშვილოდან სახლი-  
კაცების შინაობით აწიოკებული გლეხები. სამა-  
გალითოდ მიითვებოდა შემთხვევა, როცა საამი-  
ლაზროდან გლეხები საყაფლანიშვილოში გამოქ-  
ცეულან.

აუხსნელი რჩება ავტორის 1690 — 1750 წლებ-  
ში ფულადი რენტის ზრდა. ეს ზრდა საიდუმლო-  
ებით მოკული ჩანს, ვინაიდან, ავტორისავე სიტყ-  
ვით, ამ პერიოდში საყაფლანიშვილოს მოსახლე-  
ობაში აყრილთა რიცხვი მატულობს და ინტენ-  
სიური შეურყნობა ეცემა. ბუნებრივია, ისმის სა-  
კითხი, როგორღა ზღვობდა ფულადი რენტის  
ზრდა. ამ კითხვაზე სამწუხაროდ პასუხი ვაყუ-  
მული არაა.

გლვბთა კატეგორიების განზილვისას ავტორის  
გამოტოვებული აქვს გლვბთა ძირითადი მასის  
„მკვიდრი“ გლეხების დახასიათება.

ასევე არაფერია ნათქვამი ამ სიგვეტელოს  
ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელზე, როგორც  
იყო შადიმან ბარათაშვილი, თბეაღერო რაზი-  
ციის ლიდერი მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედ-  
ში, ვიორცა სააკაძის თანამედროვე.

სასურველი იყო, ნაშრომს დართოდა ბარ-  
ათაშვილი-საყაფლანიშვილთა გენეალოგიური შტო,  
რის გარეშეც, შავალითად, მეშვიდე თავში ძნე-  
ლი გასარკვევი ზდება, რომელია „პირველი“,  
„მეორე“, „მესამე“ და „მეოთხე“ ოჯახები, რო-  
მელთა შესახებაც ლაპარაკობს აქ ავტორი.

ეს შენიშვნები არ ამცირებენ სარეცენზო  
ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. გ. ჯამბუ-  
რას ნაშრომი — ჩვენი ისტორიოგრაფიის ერთ-  
ერთი თვალსაჩინო შენაძენია.

შ. ხანთაძე

### სოლომონ თავაძის რომანი „დაუეწყარნი“



სოლომონ თავაძის რომანი — „დაუეწყარნი“  
სამრეწყარლო თემაზე დაწერილი ნაწარმოებია,  
მასში მოკემულია ქარხნის მეშობა სამაბულო  
ომის დროს და შემდეგ. რომანს ახასიათებს  
მძაფრი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის კონ-  
ფლიქტი. ავტორის მიერ ერთმანეთისაგან გან-  
სხვავებული ტიპები ცხოვრების სიღრმეიდან არი-  
ან ამოტანილი. ამ რომანით ვეცნობით ერთი  
მხრივ თავისუფალი შრომის ენტუზიასტებს, სამ-  
შობლოს დამცველებს, ხოლო მეორე მხრივ ძვე-  
ლი შეხედულების ისეთ ადამიანებს, რომელთაც  
ეს ქვეყანა პირადი გამოდიტრების წყაროდ მიერ-  
ნეევათ. თუ სამამულა ომის ცსარე დღეებში  
ჩვენი ქვეყნის საუვეტოესი შეილები ფრონტზე  
გავშურნენ და თავი დადეს სამშობლოსათვის,  
მეორენი იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე თავი  
არიდონ ფრონტს, ზურგში დარჩნენ, ძმათა და  
მეგობრად გაიხიონ ისეთი ადამიანები, რომლე-  
ბიც რაშეში გავრადებებთ, ხელს მოუვარათვეენ,  
საქონლს რაც ვარემე მისცემენ და სხვა: „რაც  
გინდათ ის მიყავით, ასე გავუნჩივარ ბუნებას.  
ვერ დავიტრამაზებ და ვერ ვიხამ, ჩემს ცოლის-  
ძმასაგით მივაშურო სისაკალოს და ტყეიას გა-  
მოვეჯგვირო. არც ისე სულედი ვარ, რომ თავი  
სასიკვედილო მეშეტეზოდეს“ — ამოზის გორისე-  
ლი. (გვ. 88). ამგვარი შეხედულებისა ცხოვრე-  
ბაზე ქარხნის ახალი დირექტორი, რომელსაც  
მეუღლის მეშვეობით მხარს უმავრებს ვინმე დი-  
დი კაცი. ქარხანაში მისი მისულის დღიდან საქმე  
გაუარესდა, აქ ის უფრო სარფიანი აღვილიდან

გადმოეცევიანით, ამიტომ მეუღლე ლოლა ერთა-  
ვედ ენიხნება, თავი დაანებს ამ „ქუეყიან საქ-  
მეს“, მოშორდეს ქარხანას.

ავტორი მოელი სიმძაფრით აწიშვლებს ჩვენი  
ცხოვრების უარყოფით ტიპებს, მკითხველი შეპ-  
ყავს მათ ოჯახებში და აგებინებს, თუ როგორ  
უშლიან ისინი ხელს ჩვენს წინსვლას; მლიქნე-  
ლებსა და „დიდი კაცების“ დახმარებით ათას-  
გვარი მაქინაციებით სდვენთან, საშასტრიდიან  
ხსნიან იმათ, რომლებიც დაუცხრომლად შრო-  
მობენ და ვერ ითმენენ ისეთ ხელმძღვანელებს,  
რომლებიც ცხოვრებას გამოთმენენ და იოლი  
გზით ფონს გასვლას ლამობენ.

შრომლებელი მონდომებით ეკიდებთან ქარხნის  
საქმეს, მათ აწუხებთ ფიქრი ცუდი ხელმძღვანე-  
ლობის შესახებ, იშვდს პარტიაზე ამაყებენ. ქარ-  
ხნის ენტუზიასტები დიომიდე გორშიძე და დი-  
მიტრი შვილიშაძე გულისტყვილით შესნივან  
ერთმანეთს:

- სულით არ დაეცე ჩემო დიომიდე! ჩემზე  
უკეთ იცი ერთადერთი წამალი შრომა.
- მართალი ხარ, მაგრამ შრომის ხალსიც  
დუნდება, როცა სათავეში წყალი აიშდერევა.
- ვიცი რაც ვაქვს მხედველობაში — თქვა  
დიმიტრიმ და ირგველე მიმოიხედა, ყურს ხომ  
არავინ მიგდებსო. მერე ხმადალად განაგრძო:  
მაგასაც მონენება გამოსავალი, მახვილი თვალე  
აქვს ჩვენს პარტიის, დღეს რომ გგონია, ესა თუ  
ის მედიდური ქვეყანას აზანზარებსო, ხეალ მის-  
გან აღარაფერი დარჩება.
- მაგის იმედი, რომ არ მქონდეს, მაშინ  
ცხოვრებას რალა ფსი ექნებოდა, მაგრამ... იცი,  
რას ვნატრობ? ერთი არწივივით ჩამოუქროლებ-

სოლომონ თავაძე. „დაუეწყარნი“. რომანი.  
„საბჭოთა მწერალი“ 1957.

დეს ვინმე და მძლავრად გაკრავდეს ბრწყინლებს, ენატარებებს, ფორმალისტებს..." (გვ. 104).

ავტორის კარგად აქვს დახატული ქარხნის ინსექტორი — ჩია კაცო, მლიქვნელი, ლუკა ბერ-თუკაშვილი. ქარხნის დირექტორმა კოტე ბაღ-რიშვილმა წახალისა მლიქვნელები, ბრძოლა გაუმართა ისეთ ძველ გამოცდილ რევოლუციონერ მუშებს, როგორც იყვნენ — დიმიტრი მშვიდლო-ბაძე, ილია საბურთე და სხვ. ბაღურიშვილმა პროფკავშირისა და პარტორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე, დიმიტრი მშვიდლობაძე სამსახურიდან მოხსნა. მშვიდლობაძე შორეულ დღესევე გამოიმთხვამელმა გამოიძახა და ბრალად წაუყენა, რომ დიმიტრის გვერდი აქვს შეტევილი, ის ალექსი ნათვტარაძეა. თითქოს 1907 — 9 წლებში მენშევიკურ ორგანიზაციაში ირიცხებოდა. უყვ-ლაფერია ეს მან დაუმალა პარტიას და ასეთი შავი წარსულის პიროვნება ქარხნის დირექტორს ინტრიგებს უქმნისო. აღდგებული დიმიტრი გა-მიმამთხვამელს უფროსთან შეიყვანა, რომელიც ძველი რევოლუციონერი, დიმიტრის თანამებრძო-ლი ლადო ფერაძე აღმოჩნდა. მეგობრებმა ერთ-მანეთი მოიკითხეს და გამომამთხვამელს ამ უსაფუძ-ველო ბრალდების აღმძვრელ ბაღურიშვილის საქ-მის შესწავლა მისდევნა. უფროსმა, ლადო ფერა-ძემ დიმიტრისთან შეხვედრისას ამბავი მათ საერთო ამხანაგს ივლიანე ჩუბინიძეს აცნობა, რომელმაც ინახულა რა დირექტორი მოაგონა მას, როგორ ცემოდა და ტყუილთ გაუმსამინძღა კოტეს შამა-ჯალათს თემურაზ ბაღურიშვილი ფსანაურში ივლიანეს, კოტე იმ დროს ეკ მამასთან იღვა და ხმას არ იღებდა. მოხდა ის რისაც ეწინააღმდე-გარქტორს. იგი შამას რევოლუციონერებმა ხე-ლასწმენეობად ასაღებდა და ივლიანეს, რომელ-მაც განიცადა თემურაზის სუსხი შეუძლავა გამ-იდგნოს კოტე... ბაღურიშვილმა მშვიდობაძე პა-მეწონავთ აღადგინა.

მოჩინავთ ქარხანა ბაღურიშვილის მოსვლის შემდეგ ჩამორჩა. თვალის ამხვევი ცნობები გვე-მის შესრულების შესახებ მხილებული იქნა. პარტორგანიზაციაში, რომლის მდივანი ვანო აზა-რაშვილი ვახლდათ, შეისწავლა დირექტორის საქ-მანობა, ბაღურიშვილი კავშირში აღმოჩნდა ისეთ ბორტკომპელებთან, როგორც იყვნენ რუბენ ოთარიშვილი, იაკობ გორისელი, სერგო ცხრა-მუხელი და სხვა. ეს ვაგებატორები სამამულო-ობის დროს სხვადასხვა მაქინაციებით ზურგში დარჩნენ და სახელმწიფო ქონებას ანაგებდნენ. ავტორი გვაცნობს ქარხნის მუშის, ძველი რე-ვოლუციონერის დიმიტრი მშვიდლობაძის ოჯახს, რომელმაც უფროსი ვაჟიშვილი ფრონტზე დაკარ-გა, ქალიშვილი მედიკო ფრონტიდან დაგვი-ანებით დაუბრუნდა. მედიკოს უმცროსი შმა ვაჟი, დიმიტრისთან ერთად ქარხანაში მუშაობდა, ხო-ლო უფროსი და ეკატერინა გათხოვილი იყო ბო-როტმოქმედ იაკობ გორისელზე.

მედიკოს ჩამოსვლის აღსანიშნავად გამართულ-ღობინზე ცხრამუხელმა გაიძნო ფრონტელი გო-

გონა, რომელმაც შთააგონა ცხრამუხელს კავში-რი გაეწყვიტა წამგლეჯლებთან და მუდღის-თავისი დანაშაული გაუმხილა. რაც მცემსწინე-ული არ დაურჩა ოთარიშვილს.

ოთარიშვილმა ამის შესახებ ქარხნის დირექ-ტორს ბაღურიშვილს მოელაპარაკა და ბოროტე-ბის კვალი რომ დაეფარათ ცხრამუხელის მოკლე-და გადწყვიტეს. რამდენიმე დღის შემდეგ სერგოს ვნა ვადაუტრა იაკობის შოფერმა, მანქანაში ძა-ლად ჩასვა, გზაში რუბენიც დახვდა და გაყვა. მანქანა გარუბუნისაკენ გააქანეს... რუბენმა ცხრამუხელს ორი ტყუია კაბინაში დაახალა და ობილიში ჩაადგეს. ცხრამუხელი მონადირეებმა იპოვეს და ცოცხალმკვდარი იმ საყდრეყოფოში წაიყვანეს, სადაც ექვანად მოწყობილიყო მედი-კო. სერგო ვადაარჩინეს, საქმე გაიხსნა, ქარხნის დირექტორი სამუშაოდან გაანთავისუფლეს, ოთა-რიშვილი და გორისელი დააპატიმრეს. სერგო ცხრამუხელსაც მოსუსჯეს. მედიკომ ცხრამუხე-ლის ობლად დარჩენილი მამიდაშვილები სა-ცხოვრებლად თავისთან წაიყვანა.

ქარხნის დირექტორად არჩილ გარდაბაძე და-ნიშნეს, არჩილი გაეცნო დიმიტრი მშვიდლობაძეს, იგი აღმოჩნდა არჩილის მამის განუტრეული მეგო-ბარი, რომელმაც 1906 წელს წყრილით აცნობა არჩილის დედას ვადასახლებაში მასთან მყოფი ფრიდონ გარდაბაძის გარდაცვალება და ტობოლ-სკის გუბერნიაში დასაფლავება.

რომანში აგრეთვე ეცნობათ დიმიტრის უმც-როსი ვაჟიშვილს ვაჟას, რომელმაც ქარხანაში მუ-შაობით თავი გამოიჩინა და ბოლოს გადწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება. ვაჟას შეუყვარდა რკინიგზელი ვალიკო ზარანდიას შვილი იამზე. იამზესაც მოსწონდა ვაჟა, მაგრამ გოგონა უკვე ამთავრებდა უმაღლესს და მას ცოლობას თხო-ვდა პროფესორის შვილი სტუდენტი ავთანდილ ზეკარელი.

ცხრამუხელი რომ დააპატიმრეს მედიკომ ფრონტზე დაღუპული საქმროს ბიძინა ძნელაძის მშობლები ინახულა. ბიძინას დედას — ირინას თხოვნა შეესრულა და შვილის საფლავის სანა-ხავად წაიყვანა. სევასტოპოლში მომაღლო ძეგლ-თან, რომელზედაც ბიძინას სახელი და გვარო-ფი იწერებოდა, წაიხოკეს.

დამწუხრებულ მომტირალთ რუსი მანდილო-სანი მიუხალოვდა და უველაფერი გაიგო. ამეს-მის, საქართველოდან იქნებოთ, — ჩაილაპარაკა ტალმა, მერე ირინას მკლავში ხელი ჩაადგო, ააყენა — წაივლეთ ახლა, ავტრ იმ სახლში ვღვე-ვარა". მასპინძელს უამბო ირინამ, რომ ოთხ შვილ-ში, მხოლოდ ერთი ვაჟი ბიძინა ჰყავდა. ბიძინას საცოლეს მედიკოს ის მხოლოდ სურათით გაეცნო, რომელმაც შეიღმა წარწერით გამოიგზავნა ფრონტიდან.

რომანს მთავრდება ეპილოგით, რომლითაც ეგებულობთ, რომ ცხრამუხელი მეოთხე წელს შრომაგასწორების ბანაკში იმყოფება. სერგო მე-დიკოზე ოცნებობს, არ ივიწყებს მშვიდობაძეების

ამას მამიდაშვილების პატრონობით გაწეულ დიდ ღვაწლს. ცხრამეულში დაიწახა, რომ ფარდულთან მედიკო და მამიდაშვილი პატარა ნინო დგას, ნებართვას ელოდება. გაიხარა სერგომ, როცა ნახვა დამთავრდა და წამოიშალნენ, ნანი და მედიკო კარამდის შიაცოლა და გზაზე მიმავალთ მხოლოდ ეს შიაცახა: „არ დამიფიქო, მედიკო!“

ვთქვამ იმაზე შეირთო. ვალკომ და დიმიტრიმ დიდი ქორწილი გადაიხადეს. ამ ქორწილში სხვა ამხანაგებთან ერთად იყო ივლიანე ჩუბინიძე, რევოლუციონერები ერთმანეთს გადაეხვიდნენ. ძველი ამხავე გაიხსენეს, ახალი დროს ქებას მოჰყვენენ.

როგორც აღვნიშნეთ რომანი საერთოდ დადებითი შეფასების ღირსია. მიუხედავად ამისა მას მაინც გააჩნია ზოგიერთი ნაკლი.

შეგალითად დიმიტრი მშვილობაძე ბაღური-შვილმა გამოიძახა, შეეცადა გამოეტეხა იგი და როცა დარეპტორისაგან მოისმინა, უჩინარი ძაფებით ვარ ქარხანასთან დაკავშირებული, ვიცო ვის რა ზრახვა უღვეს გულში, ვინ რა ინტრეგას ამზადებსო — ლახვარივით მოხვდა დიმიტრის ეს გულზე და მკაბედ შეეხიტყვა.

— „თავს ნუ იკატუნებ, კარგად იცო რისთვის დაგიძახე: თქვი, ხომ იცი?“ — ანდა — „...“ შენ ძველი დრო ხომ არა გგონია, ქვეშ-ქვეშ, რომ დაძვრები“. (გვ. 29) რაკი დიმიტრი მან აღადგინა სამუშაოზე, ცოტა არ იყოს ეწინიოდა კიდევ მისი, ამიტომ ასე ზეღაღებით და გამომწვევად ცხადია არც მიმართავდა.

დიმიტრი და ივლიანე საუბრობენ ძველი რევოლუციური მეომარის შესახებ, ლაპარაკი ჩამოვარდა ბაღურიშვილზე. ივლიანე კოტეს მამის მტრობაზე ლაპარაკობს და როცა დიმიტრი განუმარტავს შვილი მამის ცოდვებზე პასუხს არ ავებსო, ის შეესიტყვება:

— „კარგი ერთი, თუ მამა ხარ, ნუ გჩვევია შენ ვე მეტისმეტი სათნოება, ჯერ არ დამდგარა ისეთი დრო, რომ თხა და მგელი ერთად მოვდნენ“ (გვ. 51) ასეთი მსჯელობა დირექტორის გამოხატვლავნებლად სრულებით ზედმეტია.

ასევე ზედმეტი და არაფრის მოქმედი „ლუკა ბერთუკაშვილის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ის ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელია ახალგაზრდობის დროს, 1924 წლიდან ჩამოშორდა მათ, მაგრამ ტანში გააქცარი აქვს შიში, უპარტო ბოლშევიკია, მაგრამ მაინც ეწინია შირის. (გვ. 55 — 56).

დიმიტრი გამოძიებელმა უფროსთან შეიყვანა. ლადო ფერაძემ იცო მეგობარი და ცილისმწამებლური ბრალდება უსაფუძვლოდ ჩასთვალა. დიდხანს ისაუბრეს. შემდეგ ვკითხულობთ, ისეთ დროს წამოვიდა მშვილობაძე, რომ ტრანსპორტი არ მუშაობდა და ის ალაყაფის კართან მიჰქდა, ჩაეძინაო (გვ. 128) ასეთი რამ გაუმატოლებელია. სიყარმის მეგობარი ლადო ფერაძე უდროოდროს არ გაუშვებდა დიმიტრის.

ივლიანე ჩუბინიძე კოტეს სახლში იმ მიზნით მივიდა, რომ მშვილობაძის მოხსნის მიზნით გაეგო. მოსამსახურის ნებართვას ვერაფერ შეიკრა მასთან. ბაღურიშვილი ივლიანეს არ იცნობდა და არ შეეძლო გულს გაეხსნა და რადესაც უცნობისაგან მოისმინა დიმიტრი ალექსი ნაფეტვარიძის გვარს ატარებდაო, მხოლოდ ამით მინდობოდა და კარგი მახარებელი ეწოდებინა ჩუბინიძისათვის (გვ. 130).

რომანში გვხვდება შეუსაბამო გამოთქმებიც: „უფრო მოსალბრებებს მიაყრო“ (გვ. 15), „თავისი მოთამაშე წარბები ასწია“ (გვ. 22), „სარბი და გაუმძღარი მეთავესი“ (გვ. 32) „მოთფრო ლოყა სულ მკირედ შეკუბა“ (გვ. 40) „ახლა ჩაწედა მედიკო საცხებით, თუ რა დიდი ცვლილება მოხდა მის ცხოვრებაში“ (გვ. 61), „შემდეგ თავის დას ახალი თვალით დააკვირდა“ (გვ. 65), „აღამიანი კი, თავის სამშობლოს თუ არ განიცდის, არარა“ (გვ. 78), „მიმართა გუნებაში დიმიტრიმ“ (გვ. 178) „მოეშვა, სკაშზე დამავდა“ (გვ. 180) და სხვ.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, რომანი სამრეწველო თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის კარგი შენაძენია.

დავით კოხანძიძე.



121

# ახალი წიგნები

## საბავშვო მწერალი



- ივანე ურჯულაშვილი — ესპანური ყაყაო. რედ. ნ. ხომერიკი. გვ. 154, ფასი 2 მან. 20 კაპ.  
 ნანა კანდელაკი — წითელი მიხაკი. რედ. ა. ბელიაშვილი. გვ. 118, ფასი 1 მან. 20 კაპ.  
 ვასილ გვიტაძე — გზები და დღეები. რედ. მ. ლეხანიძე. გვ. 60, ფასი 1 მან.  
 მარი ამრაშიშვილი — ციციანთელა. რედ. რ. მარჯანი. გვ. 56, ფასი 1 მან. 20 კაპ.  
 ჯანსუღ ნიჭიანი — ნაქადელის სათავე. რედ. ა. შენგელია. გვ. 70, ფასი 1 მან. 40 კაპ.

## „ბელოკონია“

- ვერიკო ანჯაფარიძე — საიუბილეო კრებული შედგენილი ნ. ჟრუჭაძის მიერ. რედ. ო. ევაძე. გვ. 246, ფასი 12 მან. 50 კაპ.  
 შალვა კაშიაძე — სანდრო ინაშვილი. რედ. ა. ადამია. გვ. 118, ფასი 8 მან. 50 კაპ.  
 ვახტანგ ჯელოძე — ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. რედ. ა. ადამია. გვ. 384, ფასი 19 მან.  
 ლილი გვარამაძე — ქართული ზალხური ქორეოგრაფია. რედ. ო. ევაძე. გვ. 168, ფასი 15 მან. 50 კაპ.  
 ნიკოლოზ ჯაში — ბელოკონიის საკითხები. რედ. მ. დედუჩაძე. გვ. 146, ფასი 8 მან.  
 ვ. ფერმანი — დასჯელთა ვერძის ისტორია. თარგ. პ. ხუჭუბისი. რედ. ი. ტუშკია. გვ. 466, ფასი 26 მან.  
 სოლომონ ლიონიძე — ისტყვა თქმული ერეკლე მეორის დაქაღვალზე. რედ. ი. აბულაძე. გვ. 119, ფასი 7 მან.  
 ამბერკო გაჩეჩილაძე — ნარკვევები 19 საუკუნის ქართული დრამატურგიის და თეატრის ისტორიიდან. რედ. მ. დედუჩაძე, გ. ციციშვილი. გვ. 348, ფასი 17 მან. 20 კაპ.  
 ეფთხია მესხი — მოგონებები, სტატიები, პირადი წერილები. რედ. გ. მარგველაშვილი. გვ. 152, ფასი 7 მან.  
 მ. ლაყერბი — აფხაზური თეატრის ისტორიიდან. რედ. ა. ადამია. გვ. 78, ფასი 4 მან. 80 კაპ.  
 ვ. კეშელაშვილი — სიმფონიური ორკესტრი. (საკრავთმყოფნობა) რედ. ა. მაქავარიანი. გვ. 180, ფასი 4 მან. 80 კაპ.

## საბავშვო

- ელიზბარ შედგინიძე — საბავშვო მოთხრობები. რედ. ქ. ქუჩუაშვილი. გვ. 126, ფასი 3 მან.  
 კ. გოგიაშვილი — მზის გასეირნება. რედ. ქ. ქუჩუაშვილი. გვ. 98, ფასი 3 მან. 85 კაპ.  
 არამ შამილოვი — ქუჩის მწყემსი. თარგ. შ. დოლობერიძისა. რედ. ვ. ძიძიგური. გვ. 134, ფასი 3 მან.  
 ქართულ-ესპანური სასაუბრო — შედგენილი გულნარა გოგუას მიერ. რედ. ა. მარტინესი. გვ. 154, ფასი 5 მან.  
 ქართულ-ინგლისური სასაუბრო — შედგენილი დ. სირიას და მ. სობახოლიძის მიერ. რედ. ნ. მარჯანიშვილი. გვ. 148, ფასი 4 მან. 90 კაპ.  
 ქართულ-ფრანგული სასაუბრო — შედგენილი ლაქარა შადერის მიერ. რედ. გ. მეღაძე. გვ. 134, ფასი 5 მან.  
 ქართულ-გერმანული სასაუბრო — შედგენილი ნათელა ნადაბრეშვილისა და ელ სირაძის მიერ. რედ. დ. ლაქარაძე. გვ. 170, ფასი 5 მან. 30 კაპ.

## შედგომის გასწორება

„მნათობის“ № 8-ში, პრით. ე. ბერიძისა და პრით. ს. ყაუხჩიშვილის წერილში, გვ. 127, 1 სტრ. ქვეშეაქვს უნდა იკითხებოდეს ასე: „ავადღებები აგვარებენ ზოლზე ანგვარ საკითხებს“.

ფასი 8 ა.

კ<sup>მ</sup> 1177

39/379



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„მნათობი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ